იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

I

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„განათლება, კვლევა პრაქტიკა“

შ რ ო მ ე ბ ი

Iakob Gogebashvili Telavi State University

Faculty of Educational Science

I

International Scientific Conference

“Education, Research, Practice”

Scientific Papers

ISSN 2449-2337

თელავი - 2016 - Telavi

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

I

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„განათლება, კვლევა პრაქტიკა“

შ რ ო მ ე ბ ი

Iakob Gogebashvili Telavi State University

Faculty of Educational Science

I

International Scientific Conference

“Education, Research, Practice”

Scientific Papers

თელავი - 2016 - Telavi

კრებულში გაერთიანებულია იმ ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა და დოქტორანტების სტატიები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თელავში იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე: ,,განათლება, კვლევა, პრაქტიკა".

სტატიების თემატიკა მრავალფეროვანია და განათლების მეცნიერებების ფაქტიურად ყველა სფეროს მოიცავს: ბავშვებისა და მოზარდების აღზრდისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, ინოვაციები უმაღლეს განათლებაში, სტრატეგიები და ტექნოლოგიები პროფესიულ სფეროში, ინოვაციური პროცესების განვითარების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები, საინფორმაციო ტექნოლოგიები თანამედროვე განათლებაში, საგნის სწავლების მეთოდიკა, განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია, განათლების ფილოსოფია, განათლების მენეჯმენტი და ფიზიკური აღზრდა და სპორტი.

კრებული გათვალისწინებულია განათლების მეცნიერებების შესწავლის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტების, სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

სარედაქციო კოლეგია მიანიშნებს, რომ ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლები არინ ავტორები.

რედაქტორი: ასოცირებული პროფესორი დავით მახაშვილი

რეცენზენტები: პროფესორი ნინო ნახუცრიშვილი, პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი, პროფესორი ნინო მოდებაძე, პროფესორი მანანა ღარიბაშვილი, ასოცირებული პროფესორი თამარ მიქელაძე, ასოცირებული პროფესორი ნინო ბასილაშვილი, ასოცირებული პროფესორი ჰამლეტ რაზმაძე, ასოცირებული პროფესორი სვიმონ ოხანაშვილი, ასისტენტ პროფესორი ნათია გაბაშვილი

ISSN 2449-2337 **UDK(უაკ) 378.4 (479.221.2) (063)**

9772449233004 **თ-44**

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

თავმჯდომარე

ირმა შიოშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

თანათავმჯდომარეები

დავით მახაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

თამარ მიქელაძე - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

წევრები

მზია მაისურაძე - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ნუნუ გელდიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

ნინო კახაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

გოჩა კობიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი

ჰამლეტ რაზმაძე - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თამარ ასლანიშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი

ნათია გაბაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

კონფერენციის სარედაქციო კოლეგია

თამარ მიქელაძე - განათლების დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

დავით მახაშვილი - ასოცირებული პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, თელავი, საქართველო

ჰამლეტ რაზმაძე - პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

ნინო ჯაშიაშვილი - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

ნინო მოდებაძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, თელავი, საქართველო

ნინო ნახუცრიშვილი - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, თელავი, საქართველო

ქეთევან კახიანი - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

შორენა ძამუკაშვილი - პედაგოგიკის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

ვლადიმერ ადეიშვილი - ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, ქუთაისი საქართველო

მადონა მიქელაძე - ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანი, ბათუმი, საქართველო

დავით ჩოჩიშვილი - პროფესორი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, გორი, საქართველო

ლია ახალაიძე - ასოცირებული პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანი, თბილისი, საქართველო

გულიკო ბექაური - ასოცირებული პროფესორი, განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ახალციხე, საქართველო

ქეთი ჭკუასელი - პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების დეპარტამენტის პედაგოგიკის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი

მანანა ღარიბაშვილი -პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, თელავი, საქართველო

ნათელა დოღონაძე - პროფესორი, შავი ზღვის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე განათლების დარგში, თბილისი, საქართველო

ნათელა მაღლაკელიძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისი, საქართველო

იმერი ბასილაძე - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის პროფესორი, ქუთაისი, საქართველო

ირმა ქურდაძე - ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ახალციხე, საქართველო

ალექსანდრე სამოილენკო - პროფესორი, ნ. გოგოლის სახელობის ნეჟინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, უკრაინა

ვარდევან გრიგორიანი - პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნალბანდიანის სახელობის გიუმრის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, სომხეთი

იური ნიკიტინი - პროფესორი, სუმის დიპლომის შემდგომი პედაგოგიური განათლების სამხარეო ინსტიტუტის რექტორი, უკრაინა

შახინ თაგი ოღლი თაგიევი - პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი პედაგოგიკის კათედრის გამგე, აზერბაიჯანი

სვეტლანა ბერეჟნაია - პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, გ. სკოვოროდის სახელობის ხარკოვის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, უკრაინა

Organizing Committee

Chairman

Irma Shioshvili - Reactot of Iakob Gogebashvili Telavi State University

Co-chairpersons

Davit Makhashvili - Dean of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University

Tamar Mikeladze - Associated Professor of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University

Members

Mzia Maisuradze - Head of the Administration, Iakob Gogebashvili Telavi State University

Nunu Geldiashvili - Deputy Rector in Scientific Field, Iakob Gogebashvili Telavi State University

Nino Kakhashvili - Head of PR Department , Iakob Gogebashvili Telavi State University

Gocha Kobiashvili - Head of Material Resources, Iakob Gogebashvili Telavi State University

Hamlet Razmadze - Head of the Department of the Faculty of Educational Sciences, Faculty of Educational Sciences

Tamar Aslanishvili - Head of the International Relations Office, Iakob Gogebashvili Telavi State University

Natia Gabashvili - Assistant Professor of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University

Editorial Board

Tamar Mikeladze - Doctor of Education, Associated Professor of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia.

Davit Makhashvili - Associated Professor, Dean of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia.

Hamlet Razmadze - Candidate of Pedagogical Sciences, Head of the Education Department of the Faculty of Educational Sciences, Associated Professor, Telavi, Georgia

Nino Jashiashvili - Candidate of Psychological Sciences, Associated Professor of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Nino Modebadze - Candidate of Pedagogical Sciences, Professor of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia.

Nino Nakhutsrishvili - Candidate of Pedagogical Sciences, Professor of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Ketevan Kakhiani - Candidate of Psychological Sciences, Associated Professor of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Shorena Dzamukashvili - Doctor of Pedagogy, Associated Professor of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

Vladimer Adeishvili - Dean of the Faculty of Pedagogy, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Madona Mikeladze - Associated Professor, Dean of the Faculty of Education, Batumi Shota Rustaveli State University.

Davit Chochishvili – Professor, Dean of the Faculty of Exact and Natural Sciences, Gori Teaching University, Gori, Georgia.

Lia Akhalaidze - Associated Professor, Dean of the Faculty of Education, Sukhumi State University, Tbilisi, Georgia.

Guliko Bekauri - Associated Professor, Dean of the Faculty of Education, Humanities and Social Sciences, Akhaltsikhe, Georgia

Keti Chkuaseli - Professor, Head of the Education Department of Pedagogical Teaching and Scientific Institute at the Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Manana Garibashvili - Professor of the Faculty of Humanities, Iakob Gogebashvili Telavi State University

Natela dogonadze – Professor, Vice Rector Internacional Black Sea University

Natela Maghlakelidze - Doctor of Pedagogical Sciences, Professor of Ilia State University, Tbilisi, Georgia.

Imeri Basiladze - Doctor of Pedagogical Sciences, Professor of the Faculty of Pedagogy, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

Irma Kurdadze - Professor in Akhaltsikhe State University, Akhaltsikhe, Georgia.

Aleksandre Samoilenko - Professor, Reactor of Nejinsky State University after named of N.Gogol, Ukraine.

Vardevan Grigorian - Professor, Doctor of Pedagogical Sciences, Rector of Gyumri State Pedagogical Institute Named after Nalbandian, Armenia.

Iuri Nikitin - Professor, Rector of Sumi Post Diploma Regional Institute, Ukraine.

Shahin Tagi Ogli Tagiev - Professor, Doctor of Pedagogical Sciences, Head of the Department of General Pegagogy, Ganja State University, Azerbaijan.

Svetlana Berejnaia - Professor, Doctor of Philosophical Sciences, Dean of the Faculty of Pedagogy**,** Kharkiv National Pedagogical University named after G. Skovorod, Ukraine.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

ბავშვებისა და მოზარდების აღზრდისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები: საქართველოს და მსოფლიო გამოცდილება

1. **დალი ფუტკარაძე, იაგორ ბალანჩივაძე** - ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო სკოლამდელ დაწესებულებაში 18
2. **იმერი ბასილაძე, ვლადიმერ ადეიშვილი** - სწავლა/სწავლების კომპლექსური მეთოდი 23
3. **მაია ახვლედიანი, ნინო ორჯონიკიძე** - სკოლის როლი მოსწავლეთა მოქალაქეობრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის მზაობაში 27
4. **ქრისტინა ფირცხალაიშვილი** - საზოგადოების მრავალფეროვნების განზომილებები საქართველოში და მათი კავშირი განათლების პროცესთან 32
5. **ნათელა ბაღათრიშვილი, ეკატერინე სლოვინსკი, მარინა კაპანაძე** - კვლევაზე დაფუძნებული სწავლება საქართველოში 36
6. **ხათუნა ზუბიტაშვილი** - მოსწავლეებში მულტიკულტურული განათლების განხორციელების ზოგიერთი პედაგოგიური მიდგომა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ლიტერატურის სწავლებისას 41
7. **მარინე წიკლაური** - მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების საკითხები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 46

ინოვაციები უმაღლეს განათლებაში: სტრატეგიები და ტექნოლოგიები

1. **მარინე დგებუაძე, მადონა გიორგაძე** - მულტიმედიური საშუალებების გამოყენების როლი სწავლების პროცესში 51
2. **ნინო ყურაშვილი, ნინო მოდებაძე** - ელეტრონული სწავლების სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი ორიენტირები უმაღლეს განათლებაში 54

პროფესიულ სფეროში ინოვაციური პროცესების განვითარების თეორიული
და პრაქტიკული საფუძვლები: გამოცდილება და პერსპექტივები

1. **დავით მახაშვილი** - პედაგოგიური კომუნიკაციის თავისებურებანი უმაღლეს სასწავლებელში 59
2. **გივი ეჟიშვილი** - სტუდენტის სასწავლო საქმიანობის სუბიექტად ჩამოყალიბება 64

3. **ნუგზარ ძამუკაშვილი** - ბუნებრივი საღებავებით მატყლის და ნართის ღებვის ტრადიციული მეთოდი 68

განათლების მენეჯმენტი

1. **ადემ ონალ** - განათლების ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელი შპს ,,ჩაღლარის“ საგანმანათლებლო სისტემის საქმიანობის მაგალითზე 71

2. **მეჰმეთ თაჰირ თექინ** - ერზრუმში ფემ აკადემიის (ფრატის საგანმანათლებლო ცენტრი) საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელი 75

3. **შორენა მაღლაკელიძე** - მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი დანახარჯები 79

4. **მანანა დეისაძე, შალვა კირთაძე, მანანა ზივზივაძე** - მათემატიკური სავარჯიშოები სხვადასხვა სააზროვნო დონეების მიხედვით 85

5. **ქეთევან ბაქანიძე** - სასწავლო გარემო უმაღლეს სკოლაში 89

6. **ქენან ჩალიშირი** - უწყვეტი განათლების პრობლემატიკა და მისი განხორციელების ორიენტირები შპს ,,ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებებში 93

7. **ნინო გიგილაშვილი** - სტუდენტთა პროფორიენტაციის ჩამოყალიბების ტენდენციები იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე 97

8. **სალომე თათულიშვილი** - კურიკულუმების ცალკეული ასპექტების გავლენის კვლევა სტუდენტთა ევროპული ხედვების ჩამოყალიბებაზე 101

9. **თეიმურაზ ქარელი** - უფროსკლასელ მოსწავლეთა პოლიტიკური სოციალიზაციის კვლევა 105

10. **თეიმურაზ ქარელი** - პოლიტიკური სოციალიზაციის კვლევა საქართველოში 110

11. **ნანა ყარაულაშვილი** - სასკოლო ბიბლიოთეკების როლი და ადგილი სწავლებისა და განათლების საქმეში (საერთაშორისო საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად) 115

12. **ნინო ვაყელიშვილი** - ,,ბენჩმარკინგი“ საჯარო სკოლების საგნობრივი კათედრების ეფექტურობის გარანტი 120

13. **ფერით აქთაშ** - Job Satisfaction of Private School Teachers 123

14. **იბრაჰიმ ქოსე** - საზღვარგარეთ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პედაგოგთა გადაღლილობის საფეხურები 128

საგნის სწავლების მეთოდიკა

1. **მანანა ღარიბაშვილი, ნანა პაპუნაშვილი** - ღელვა, როგორც ემოციური ფაქტორი უცხო ენის შესწავლისა და შეფასების პროცესში 133

2. **ელენე მაღლაკელიძე** - წერა-კითხვის სწავლების დიდაქტიკური საფუძვლები 138

3. **ლალი (ბარბარე) აბდალაძე** - პედაგოგიკური მეთოდები და სასწავლო პროცესი სასულიერო სასწავლებლებში გურია-სამეგრელოს ეპარქიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში 141

4. **მაია აკოლაშვილი** - The Impact of Blended Learning on Increasing Students' Foreign Language Writing Motivation 146

5. **მამული ბუჭუხიშვილი** - მათემატიკა და ეკოლოგია სწავლების პირველ საფეხურზე 150

6. **ნათელა მაღლაკელიძე** - სასკოლო განათლების ენობრივი პოლიტიკა და მულტილინგვალიზმი 154

7. **ნათია გაბაშვილი** - Using Audio-Lingual Method and Listening Approach for Developing Communicative Competence in Foreign Language Learners 158

8. **ნინო დავითაშვილი** - მოსასმენი მასალის გამოყენება უცხო ენის სწავლებისას 163

9. **ლელა ეძგვერაძე** - თანწყობილი წინადადების სწავლების ერთი ასპექტის შესახებ 168

10. **ზურაბ როსტომაშვილი, ნინო ჟონჟოლაძე** - სითბური ბალანსის განტოლების შედგენა სხვადასხვა აგრეგატული მდგომარეობების შემთხვევაში 173

11. **იზოლდა ჭინჭარაშვილი, მაგდა დავითაშვილი** - პროექტით სწავლების როლი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში 177

12. **მაია ტაკიძე** - პრობლემები რომელთაც იტალიელი ინგლისური ენის შემსწავლელები აწყდებიან ინგლისური ენის წარმოთქმის დაუფლების დროს 181

13. **ნატო ქობულაძე, ლელა ეძგვერაძე, ირმა ჩხიკვაძე** - ფოკუსირებული დისკუსია, როგორც კვლევის მეთოდი 185

14. **ხათუნა ხარხელი** - წერის როლი გაგება - გააზრებისას 189

15. **თამარ ტალიაშვილი** - პედაგოგიური ურთიერთობის ფორმები და მოსწავლეთა კომუნიკაციური კულტურა 192

16. **თამარ მიქელაძე, ნინო დელიქსიშვილი** - როგორ ვისწავლოთ უცხო ენა: უცხო ენის შემსწავლელ მოზარდთა კვლევა 196

17. **კარინე სუქიასიანი** - Роман Леонида Гурунца «Облака на вершинах» в контексте деревенской прозы 60-х годов XX века 201

18. **ელიზა კევლიშვილი, ნინო ნახუცრიშვილი** - პრობლემური სწავლების გამოყენება მათემატიკის გაკვეთილებზე 207

19 **თეა მაისურაძე** - კომუნიკაციური ასპექტის როლი მეტყველების ჩამოყალიბებაში (მეორე ენის შესწავლის მაგალითზე) 212

საინფორმაციო ტექნოლოგიები თანამედროვე განათლებაში

1. **მარიამ ზაქარიაშვილი, ირაკლი ჭიჭაშვილი** - ვისწავლოთ ვირტუალური თამაშებით Learning Apps 216

2. **თამაზ ლაჩაშვილი** - ინოვაციური მეთოდები თვლის Binary digit სისტემაში 221

3. **სვიმონ ოხანაშვილი, ია ოხანაშვილი** - ელექტრონული მთავრობა და განათლება 225

4. **მუზაფფერ უჩარ** - Benefits of Using an E-Portfolio 230

განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია

1. **ნინო ბასილაშვილი, შორენა ძამუკაშვილი, ია ჩაქიაშვილი** - ძნელადაღსაზრდელები და ფსიქოლოგის როლი სასკოლო სისტემაში 234

2. **ქეთევან კახიანი** - ხუთი წლის ბავშვის აღზრდა-განათლების ძირითადი ტენდენციები 238

3. **დავით შავიანიძე** - ლეგენდა-თქმულებებში გადმოცემული აღზრდის მსოფლხედვა (სვანეთის ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) 241

4. **ჰაქან ბექთაშ, ფაჰრი სეზერ** - Examination of Relations between Lifestyles and Loneliness Levels of Parents Having Disabled Child 247

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. **ჰამლეტ რაზმაძე** - მოზარდი ასაკის კვალიფიციური სპორტსმენების შეჯიბრებისათვის მომზადების თავისებურებანი 253

2. **მამუკა მაღლაკელიძე, ტრისტან გულბიანი, მერაბ მაისურაძე** - სტუდენტური სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა 256

3. **გიორგი ჭიჭაშვილი** - ფიზიკური მომზადების პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა სპორტსმენის ფორმირების პროცესში 259

4. **გიორგი ზუბიტაშვილი** - სისტემატურობის პრინციპი სწავლებასა და წვრთნაში, როგორც ორგანიზმის მიერ, დატვირთვის საპასუხო რეაქციათა რეგლამენტატორი 264

განათლების ფილოსოფია

1. **დავით მალაზონია, ნინო ჭიაბრიშვილი** - მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხი და სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურული კომპეტენციები **270**
2. **ნინო ყანჩელი** - ჯ. დიუის თეორია კვლევის შესახებ და საგანმანათლებლო ფილოსოფია **274**
3. **ნინო ფიცხელაური** - ეთიკის სწავლება და მისი ინტეგრირება დისციპლინის სახით სასკოლო კურიკულუმში **279**

Contents

Modern Technologies in upbringing and teaching children and the youth: Georgian and the World experience

1. **Dali Putkaradze, Iagor Balanchivadze -** Supportive Environment of Inclusive Education in Pre-School Institutions 18
2. **Imeri Basiladze, Vladimir Adeishvili -** Complex Method of Teaching / Learning. 23
3. **Maia Akhvlediani, Nino Orjonikidze** - The Role of School in Readiness of Pupils to Participate in Civil Life 27
4. **Kristina Pirtskhalaishvili -** Dimensions of Social Diversity in Georgia and their Links to the Educational Process 32
5. **Natela Bagatrishvili, Ekaterine Slovinski, Marina Kapanadze -** Research Based Teaching in Georgia 36
6. **Khatuna Zubitashvili** - Pedagogical Approaches of Implementing Multicultural Education While Teaching Georgian Literature in Secondary Schools 41
7. **Marine Tsiklauri -** The Issues of Formation Civic Consciousness in Public Schools of Georgia 46

Innovations in Higher education: Strategies and technologies

1. **Marine Dgebuadze, Madona Giorgadze** – The Role of Multimedia in Teaching 51
2. **Nino Kurashvili, Nino Modebadze** - The Main Guidelines of Strategic Planning of E-Learning 54

Theoratical and practical bases of Innovative Processes in the Professional field: Practice and Perspectives

1. **Davit Makhashvili -** Peculiarities of Pedagogical Communication in the High University 59
2. **Givi Ezhishvili -** Forming Students' Studies as a Subject 64
3. **Nugzar Dzamukashvili -** Traditional Method of Dyeing Wool and Woolen Yarn with Natural Dyes 68

Educational Management

1. **Adem Onal -** Indicator of Education Internalization Based on Educational System of Ltd "Chaglar" 71
2. **Mehmet Tahir Tekin -** Indicator of Prformance Efficiency in Erzrum Fem Academy

(Frat Educational Centre) 75

3. **Shorena Maglakelidze** – Parents' Involvement in the Learning Process and their Expenses 79

4. **Manana Deisadze, Shalva Kirtadze, Manana Zivzivadze** – Math problems according to different thinking stages 85

5. **Ketevan Bakanidze** – Learning Environment in the Higher Education 89

6. **Kenan Chalishiri -** Issues of Life-Long Learning and the Ways of its implementation in the Ltd "Chaglar" 93

7. **Nino Gigilashvili** - Trends of Developing Students' Vocational Education on the Bases of Iakog Gogebashvili Telavi State University 97

8. **Salome Tatulishvili -** Research on Influence of Separate Aspects of Curriculums on Forming the Students' European Viewpoints 101

9. **Teimuraz Kareli -** Studies of the Political Socialization of Students 105

10. **Teimuraz Kareli -** Study of Political Socialization in Georgia 110

11. **Nana Karaulashvili -** The Role and Place of School Libraries in Education (According to International Library Standards) 115

12. **Nino Vakelishvili -** "Benchmarking" - the Guarantee of the Efficiency of Subject Departments in Public Schools 120

13. **Ferit AKTAŞ -** Job Satisfaction of Private School Teachers 123

14. **Ibrahim Kose -** Shota Rustaveli School Lyceum, a Turkish Language Teacher 128

Subject Teaching Methodology

1. **Manana Garibashvili, Nana Papunashvili -** Anxiety as an Emotional Factor in Foreign Language Studying and Testing Process 133

2. **Elene Maglakelidze -** Basics of Teaching Reading and Writing 138

3. **Lali (Barbare) Abdaladze** - Pedagogical Methods and Educational Process in Guria-Samegrelo Diocese Spiritual Schools in the second half of the 19th Century 141

4. **Maia Akolashvili** - The Impact of Blended Learning on Increasing Students' Foreign Language Writing Motivation 146

5. **Mamuli Buchukhishvili** - Ecology and Mathematics Teaching in the First Cycle 150

6. **Natela Maglakelidze** - Language Education Policy in Georgian Multilingual School 154

7. **Natia Gabashvili** - Using Audio-Lingual Method and Listening Approach for Developing Communicative Competence in Foreign Language Learners 158

8. **Nino Davitashvili** - Using Listening Materials in Teaching a Foreign Language 163

9. **Lela Edzgveradze** - Composite Sentence Teaching 168

10. **Zurab Rostomashvili, Nino Jonjoladze** - Thermal Equilibrium in Various Aggregate Conditions 173

11. **Izolda Chincharashvili, Magda Davitashvili** - The Role of Project Teaching in Raising Students' Motivation 177

12. **Maia Takidze** - Challenges, which Italian English Language Learners Face During Mastering English Language Pronunciation 181

13. **Nato Kobuladze, Lela Edzgveradze , Irma Chkhikvadze** - Focus Group as a Form of Discussion 185

14. **Khatuna Kharkheli** - The Role of Writing for Understanding and Comprehension 189

15. **Tamar Taliashvili** - Forms of Pedagogical Relationship and Students' Communicative Culture 192

16. **Tamar Mikeladze, Nino Deliksishvili** - How to Learn a Foreign Language: A study of Adolescents as Foreign Language Learners 196

17. **Carine Suqiasian** - The Novel "Clouds on the High" by Leonid Gurunts in the Context of Rural Prose in the 60s of XX Century 201

18. **Eliza Kevlishvili, Nino Nakhutsrishvili** - Problem-based Teaching in Math Class 207

19. **Tea Maisuradze** - The Role of Communicative Aspect in Speech Formation (On Second Language Learning Example) 212

Information Technologies in Education

1. **Mariam Zakariashvili, Irakli Chitchashvili** - Let's Learn with Virtual Games Learning Apps 216

2. **Tamaz Lachashvili** - Innovative Methods in Binary Digit System of Counting 221

3. **Svimon Okhanashvili, Ia Okhanashvili** – E-governance and Education 225

4. **Muzaffer UCAR** – Benefits of Using an E-Portfolio 230

Educational and Developmental Psychology

1. **Nino Basilashvili, Shorena Dzamukashvili, Ia chakiashvili** - Difficult Children and the Role of Psychologist in the School System 234

2. **Ketevan Kakhiani** - Education Of 5-Year Old Children – Main Tendencies 238

3. **Davit Shavianidze** - The World Vision about Upbringing Set out in Legends (According to the New Ethnographic Materials of Svaneti) 241

4. **Hakan BEKTAŞ, Fahri SEZER** - Examination of Relations between Lifestyles and Loneliness Levels of Parents Having Disabled Child 247

Physical education and sports

1. **Hamlet Razmadze** – Peculiarities of Preparing Qualified Adolescent Sportsmen

for a Competition 253

2. **Mamuka Maglakelidze, Tristan Gulbiani, Merab Maisuradze** – Students' Sport and the Youth Policy 256

3. **Giorgi Chichashvili -** Importance of Using Physical Training Methods and Principles in the Process of Sportsmen Formation 259

4. **Giorgi Zubitashvili -** Principle of Systematicity in Teaching and Training as a Reglamentator of Body's Reactions Responded by Physical Loads 264

Educational philosophy

1. **Davit Malazonia, Nino Chiabrishvili -** The Level of Student Civic Activity and Integration and Intercultural Competencies of School Society 270

2. **Nino Khancheli -** John Dewey's Theory about Research and Educational Philosophy . . . 274

3. **Nino Pitskhelauri -** Teaching Ethics and its Integration in the School Curriculum as a Discipline 279

ბავშვებისა და მოზარდების აღზრდისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები: საქართველოს და მსოფლიო გამოცდილება

დალი ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაგორ ბალანჩივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო სკოლამდელ დაწესებულებაში

ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროების მქონე ბავშვების ყოველდღიური განვითარება თანატოლებთან ერთად. სკოლამდელ დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორცორციელებისათის ასეთი ბავშვისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური განმავითარებელი პროგრამა (იგპ), რომელიც დეტალურად აღწერს ბავშვის საგანმანათლებლო მიზნებს და განსაზღვრავს შესაბამის აქტივობებს.

ინკლუზიური განათლების განხორციელებისას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშემწყობ გარემოს, მათ შორის განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს რესურსოთახის როლი და ფუნქცია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების განათლების საქმეში.

რესურსოთახი – სკოლამდელ დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილი ოთახი, რომელიც აღჭურვილია ბავშვების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელი ყველა თვალსაჩინოებითა და ტექნიკური საშუალებით. ადაპტირებული ავეჯი, მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, აუდიო-ვიდეო აპარატურა. რესურსოთახს შესაძლოა, ემსახურებოდეს ბაღის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და ყველა ის ადამიანი, რომელიც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა ინკლუზიური განათლებაში ჩართვის პროცესში მონაწილეობს. რესურსოთახში ყოფნა და დამატებითი მეცადინეობა ბავშვთა დღის განრიგის შემადგენელი ნაწილია. აქ მათ შესაძლებლობა ეძლევათ, საჭიროებისამებრ დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად იმეცადინონ. ბავშვის რესურსოთახში ყოფნის სიხშირესა და ხანგრძლივობას მისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის რესურსოთახში ყოფნა დამხმარე საშუალებაა და არა მისი სწავლების ფორმა. სწავლება მიმდინარეობს სასწავლო-განმავითარებელ აქტივობებზე ყველასთან ერთად, ხოლო რესურსოთახს იყენებენ ნასწავლის განმტკიცებისა და გავარჯიშებისთვის.

რესურსოთახის გამოყენება ასევე შესაძლებელია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა დასვენებისა და თანატოლებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებისთვის. ის აღსაზრდელებისათვის დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, რათა მათ შეძლონ და უკეთ აითვისონ ის სასწავლო უნარ-ჩვევები, რომლებიც სკოლაში შესასვლელად არის აუცილებელი და ასევე აქტიურად ჩაერთონ სასწავლო-განმავითარებელ აქტივობებში და ა.შ.

ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისათვის რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვაა საჭირო, ესენია: ბავშვებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, ბავშვების ინდივიდუალური განსხვავებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება, ყველა ბავშვისთვის ერთნაირი განვითარებისა და განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობა მთლიან სააღმზრდელო საქმიანობაში.

ბავშვებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სკოლამდელი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების, უმთავრესი ამოცანაა. როდესაც ყველა ბავშვის აკადემიური, ქცევითი და სოციალური წარმატებები საბავშვო ბაღის მთავარი ღირებულებაა, მაშინ ყველა ვინც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში არიან ჩართული - აღმზრდელები, აღსაზრდელები, ადმინისტრაცია და მშობლები ყურადღებას ამ მიზნის მიღწევისაკენ მიმართავს და შესაბამისად, საბავშვო ბაღში თანამშრომლობის, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის გარემო იქმნება, ინკლუზიური განათლება თავისი არსით სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გულისხმობს ყველა ბავშვის მიმართ და აღიარებს, რომ კეთილგანწყობილი გარემო განათლების აუცილებელი პირობაა.

ყველა აღმზრდელის მიზანი და ამოცანა ბავშვის მიღწევებსა და წარმატებებზე ორიენტირებაა, მაგრამ მოლოდინი და ბავშვისთვის დასახული მიზნები აუცილებლად რეალისტური და განხორციელებადი უნდა იყოს. შესაბამისად, ნებისმიერი დავალება, რომელსაც ბავშვს ვაძლევთ, მის შესაძლებლობებს, უნარებს და განვითარების დონეს უნდა შეესაბამებოდეს. ბავშვებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს მათი მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის აღსარდელის თვითშეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ინკლუზიური განათლება სკოლამდელ დაწესებულებაში დანერგვისთანავე მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება. სკოლამდელ დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესი გავლენას ახდენს ინკლუზიურ განათლებაზე და პირიქით. შესაბამისად, საბავშვო ბაღის ფარგლებში საგანმანათლებლო და ინკლუზიური განათლების პროცესები მისი მართვის ერთიან კონტექსტში განიხილება. კარგად დაგეგმილი მართვის პროცესში საბავშვო ბაღი ქმნის ყველა აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ თითოეული ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული და ყველას სწავლისა და განვითარების ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეს შექმნილი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საბავშვო ბაღი ერთი მიზნის გარშემოა გაერთიანებული და ყველა - ბაღის ადმინისტრაცია, აღმზრდელები, მშობლები და ბავშვები – ამ საერთო მიზნის მიღწევაშია ჩართული. ინკლუზიური განათლებისთვის საერთო მიზანი და თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც კარგ ორგანიზებულობასა და მართვას მოითხოვს.

სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის დაწესებულების მართვაში არის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას. აღნიშნული პრინციპებია:

- სკოლამდელი დაწესებულება უზრუნველყოფს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის განვითარებისა და განათლების მიღების უფლებას. ბავშვების მიღებისას სკოლამდელი დაწესებულება არ უშვებს რაიმე სახის დისკრიმინაციას და არ ამბობს უარს სხვადასხვა სირთულეების მქონე ბავშვის მიღებაზე;
- თითოეული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვისთვის სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაცია და აღმზრდელები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას მისი საჭიროებების გათვალისწინებით. ამისათვის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს: ა) კვალიფიციური სპეციალისტების მიერ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ფსიქიკური, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების შეფასება; ბ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ინდივიდუალური საჭიროების გამოკვეთა და გ) შეფასების შედეგებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე დაყრდნობით, ბავშვის მშობელთან და აღმზრდელებთან ერთად მისთვის ინდივიდუალური საგანათლებლო პროგრამის (ისპ) შემუშავება;
- სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაცია გამოყოფს ბაღისათვის ინკლუზიური განათლების კოორდინატორს. კოორდინატორი შეიძლება იყოს ადმინისტრაციის წევრი, აღმზრდელი ან მშობელი, სასურველია თუ ეს იქნება დამხმარე სპეციალისტი (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეციალური მასწავლებელი ან ექთანი). ინკლუზიური განათლების კოორდინატორის ფუნქციაა, თვალყური ადევნოს ინკლუზიური განათლების პროცესს, ბავშვთა დასწრებას, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესსა და მთლიან სხვადასხვა აქტივობებში მათი ჩართულობის ხარისხს. კოორდინატორმა საბჭოს წინაშე უნდა დააყენოს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და საბჭოს წევრებთან ერთად პრობლემების მოგვარების ეფექტური გზები ეძიოს. მათ შორის, საბჭოს წევრებთან ერთად დაგეგმოს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მოძიების ღონისძიებები. კვირის განმავლობაში კოორდინატორთან შეხვედრის დღეები წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი, რათა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვეების მშობლებმა შეძლონ ისაუბრონ შესაძლო პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე;
- სკოლამდელი დაწესებულება, რომელსაც ჰყავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი, ვალდებულია, არსებული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის პრინციპებზე დაყრდნობით, წარმოადგინოს: განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების განათლების ხელშემწყობი მექანიზმები: ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები, მოდიფიცირებული ან ადაპტირებული საგანმანათლებლო გეგმები, განსაკუთრებული სააღზმრდელო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღუდველი სასწავლო გარემოს შექმნა (მაგალითად, მეცადინეობა და/ან დასვენება რესურსოთახში, შემეცნებით იექსკურსიები, დამოუკიდებელი ცხოვრების გაკვეთილები და სხვა);

- სკოლამდელი დაწესებულება ადგილობრივ თემთან ერთად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, რათა ხელი შეუწყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას. მაგ. მოაწყოს ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; საქველმოქმედო კონცერტები, რომელთა შემოსავლებითაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები მეგობრებთან ერთად დაეხმარება მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და სხვა.

ყველა ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში, ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებული ხდება. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები მონაწილეობენ სკოლამდელი დაწესებულების ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას, მათი მშობლები აღმზრდელებთან ერთად ჩართული არიან ბავშვთა განათლების პროცესში და საბავშვო ბაღში ურთიერთ პატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო სუფევს.

სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის დაწესებულება წარმოადგენს აქტიური ცხოვრების, თამაშის, სწავლისა და მუშაობის გარემოს. ის უნდა ითვალისწინებდეს, ასტიმულირებდეს და ხელს უწყობდეს მათ ჰარმონიულ განვითარებას.

2-დან 6 წლამდე ასაკში ხდება ბავშვის სხვადასხვა უნარის განსაკუთრებულად სწრაფი განვითარება. მაგალითად: მეტყველება ასოციალურიდან ლოგიკურისაკენ ვითარდება, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ბავშვის გონებრივ და ფიზიკურ ზრდასთან, მოძრაობების განვითარებასა და ძალის მატებასთან ერთად.

გარემო უნდა ახდენდეს ბავშვის ზომიერ სტიმულირებასა და ორიენტირებას, ის არ უნდა იყოს გადატვირთული და არ უნდა აბნევდეს ბავშვს.

სტრუქტურირებული და დაგეგმილი გარემო აწვდის ბავშვს სხვადასხვა მინიშნებებსა და ორიენტირებს. ამდენად, აღმზრდელის მიერ ოთახის სივრცის მოწყობა თითოეული კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებს, პედაგოგიურ მიზნებსა და ბავშვის თავისებურებებს უნდა ეყრდნობოდეს.

ბავშვის განკუთვნილი სივრცე შეიძლება ზოგადად რამდენიმე ნაწილად დაიყოს:

- შემოსასვლელი ზონა - ადგილი სადაც ბავშვი პირველად შემოდის ბაღის შენობაში, იცვლის ფეხზე ან იხდის ქუჩის ზედა ტანისამოსს.
- ძირითადი ოთახი, სადაც ბავშვები თამაშობენ, სწავლობენ, შეიძლება საჭმელსაც კი მიირთმევენ და უმეტეს დროს ატარებენ.
- სანიტარული და სამზარეულო ზონები.
- მასწავლებლისა და ადმინისტრაციის ოთახი.
- დასაძინებელი ოთახი.

მარია მონტესორის აზრით, არ არსებობს გარემო, რომელსაც ბავშვი მოერგება, რადგან იგი ცხოვრობს უფროსების გარემოში. მაგალითად: ბავშვსა და გარშემომყოფ ობიექტებს შორის არსებული სხვაობების გამო, იგი ვერ ამყარებს კავშირს ამ ობიექტებთან და შესაბამისად, ვერ აღწევს ბუნებრივ განვითარებას.

ინკლუზიური განათლებისადმი კეთილგანწყობილ გარემოში ბავშვები ხდებიან მეტად თავდაჯერებულები, უვითარდებათ მაღალი თვითშეფასება, სწავლობენ დამოუკიდებლობას და ა.შ. ასევე სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო ასწავლის ბავშვებს ყოველდღიურ უნარ - ჩვევებსა და ცხოვრების ჯანსაღ წესს, გამორიცხავს ბავშვებზე ძალადობას, ფიზიკურ დასჯას.

მონტესორი ამბობს, რომ ბაღის ოთახი მორგებული უნდა იყოს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ საჭიროებებს.

ავეჯი უნდა იყოს მსუბუქი და მოხერხებული, რათა ბავშვმა შეძლოს მისი ადვილად გადაადგილება. სურათები უნდა ეკიდოს ისეთ დონეზე, რომ ბავშვმა კომფორტულად შეხედოს მათ. ეს პრინციპი უნდა გავრცელდეს გარემოში არსებულ ყველა ნივთზე. ავეჯი რომელსაც ბავშვი მოიხმარს ადვილად უნდა ირეცხებოდეს. მონტესორის აზრით, ამას არა მარტო ჰიგიენური თვალსაზრისი უდევს საფუძვლად, არამედ, ბავშვებში პასუხისმგებლობისა და საკუთარი მოხმარების ნივთებზე ზრუნვის ჩვევის განვითარება.

ბავშვების სამუშაო, სათამაშო, სახატავი და ძერწვისათვის მაგიდებისა და სკამების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ მათი სიმაღლე ბავშვების ასაკთან მიმართებით.

აღსაზრდელებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს მათი ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბავშვის თვითშეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და მოტივაციის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგოშიძე თამარ და სხვ. - ინკლუზიური განათლების პრინციპები, თბ. 2008
2. კაპანაძე მარიკა - ვისწავლოთ ერთად-ინკლუზიური განათლება. თბ. 2008.
3. პაჭკორია თათია, ჭინჭარაული თინათინ - ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებელთათვის. თბ. 2011.
4. ქავთარაძე თინათინ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემო (პრინციპები და პრაქტიკა). თბ. 2010.
5. Montessory M. child in the family. New York: Avon books. 1956.

Dali Putkaradze
Batumi Shota Rustaveli State University
Iagor Balanchivadze
Akaki Tsereteli State University

Supportive Environment of Inclusive Education in Pre-School Institutions

Abstract

The article is about the implementation of the principles of inclusive education in pre-school facility and supporting the environment. Underlines the necessity and purpose of the resource room, its equipment.

The article discusses those conditions that are necessary for the successful implementation of inclusive education, such as: child friendly environment, considerate attitude toward individual children differences and educational needs, to provide equal development and educational conditions for all children and participation in the whole educational activity.

Fully discussed the existing basic principles of management in the pre-school education and training institutions.

It can be concluded, that inclusive education is the friendly environment for children, where they become more self-confident, develop high self-esteem, learn independence and etc. Also, the friendly environment for learning, teach to the children daily skills and healthy lifestyle, exclude the child abuse, physical punishment.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზია, ინკლუზიური განათლება, გარემო, რესურსოთახი, პრინციპები
Keywords: Inclusion, inclusive education, environment, resource room, principles.

იმერი ბასილაძე, ვლადიმერ ადეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლა/სწავლების კომპლექსური მეთოდი

მეოცე საუკუნის 20-იანი წლები ძალზე ღარიბია ორიგინალური პედაგოგიური შრომებით პედაგოგიკის თეორიის დარგში. ამ ხარვეზებს ნაწილობრივ ავსებდა ნათარგმნი პედაგოგიური ლიტერატურა, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ევროპული პედაგოგიური გამოცდილების გავრცელებას საქართველოში, მეორე მხრივ კი საბჭოთა პედაგოგიური აზრის განვითარებასა და დამკვიდრებას ჩვენში.

1923 წელს ქართულ ენაზე გამოვიდა მეთოდური რეკომენდაციების სახელმძღვანელო წიგნი „სწავლების მეთოდი და პროგრამა მოზრდილთა სკოლებში," პოლიტ-განათლების მთავარმართველობის გამოცემა №39. წიგნი განკუთვნილი იყო დამხმარე სახელმძღვანელოდ წითელ არმიაში და პროფკავშირებში წერა-კითხვის სალიკვიდაციო მეცადინეობების გასავლელად. მასში საუბარია წერა-კითხვის სწავლების მეთოდოლოგიაზე. ასევე განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი კომპლექსური სისტემით სწავლების არსსა და მეთოდოლოგიას.

წიგნში კომპლექსური მეთოდი არსი ასეა წარმოდგენილი: „როგორც შესწავლის ისეთი საშუალება, რომლის დროს ერთი და იგივე მასალის ნიადაგზე მიღებული იქნება ცოდნა სხვადასხვა დარგებიდან (გეოგრაფია, ქართული ენა, არითმეტიკა, მსოფლიო ისტორია) იმ გვარად, რომ როგორც შესწავლის დამთავრებული კურსი, ისე ყოველი ცალკე გაკვეთილი შეგნებულად იქნას შეთვისებული მსმენელების მიერ. ისინი უნდა წარმოადგენდნენ ერთ ლოგიკურ მთელს, მოსწავლეების მიერ შესასწავლ საგანსა და მოვლენათა ერთ კომპლექსს. აქ მთლიანი კურსი იძლევა მოკლე ელემენტარულ მსოფლიო გაგებას: ცალკე ადამიანის, ფიზიკურ და სულიერი არსის, საზოგადოების, ბუნების, საკუთარი სახელმწიფოს გაგებას. ცალკე გაკვეთილი კი თავისი შინაარსით უნდა შეადგენდეს მთელი კურსის გარკვეულ ნაწილს. გაკვეთილი უნდა გვესმოდეს, როგორც მეცადინეობის არა ერთი არამედ რამდენიმე დღე, კურსი ერთი ნაწილის შინაარსის მთლიანობით გაერთიანებული"(სწავლების მეთოდი და პროგრამა მოზრდილთა სკოლებში, პოლიტ-განათლების მთავარმართველობის გამოცემა № 39, თბილისი 1923., გვ. 59).

მასწავლებელთათვის მოცემული იყო კომპლექსური მეთოდის გამოყენების შემდეგი მეთოდოლოგია, რომ მან წინდაწინვე უნდა გამოიმუშაოს და შეადგინოს: „1. იმ საგნების წრე, ქართული ენის ცოდნის გარდა, საიდანაც მან უნდა ამოიღოს სხვადასხვა ცნობები და გადასცეს

მოსწავლეებს მთელი კურსის შესათვისებლად; 2. პროგრამა ძირითად საგანში-ქართული ენა და მოკლე განმსაზღვრელი პროგრამა ყველა საგანში; 3. წინდაწინვე შერჩეული იქნეს მეცადინეობის მასალა. მაგრამ მასწავლებელმა არ უნდა დატვირთოს ზედმეტად მოსმენელთა მეხსიერება; 4. მეცადინეობა ისე უნდა დაიგეგმოს დროის განმავლობაში, რომ მასწავლებლის მიერ მთელი დასახული ცნობების კომპლექსი, შესაძლებლობის დაგვარად, შეთვისებული იქნას მსმენელების მიერ კურსის ბოლოსათვის, მათი შეთვისების თანდათანობითი დაცვით. ეს თანდათანობა კი დამყარებულია, ერთის მხრივ სხვადასხვა დისციპლინებიდან ამორჩეული ცნობების შინაარსით“(2, გვ.61-62).

1924 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა კრებული „კომპლექსური სწავლება“. მასში გაშუქებულია ის სიახლეები, რომელიც იმდროინდელ ქართულ სკოლაში ინერგებოდა. მოცემულია კომპლექსური სისტემით სწავლების არსი, მისი მნიშვნელობა, მისი მეთოდოლოგიური და ზოგადპედაგოგიკური საფუძვლები და სხვა. კრებულში წარმოდგენილია საბჭოთა პედაგოგიკის გამოჩენილ წარმომადგენელთა: პ. ბლონსკის, ე. მედინსკის, და სხვათა წერილები კომპლექსური სწავლების მეთოდის შესახებ.

კომპლექსური სისტემით სწავლებას უნდა შეეცვალა საგნობრივი სისტემით სწავლება. კ. ნ. სოკოლოვი, როდესაც ახასიათებს ჰოლის, დიუსა და სხვათა აზრს კომპლექსური სისტემით სწავლების შესახებ აღნიშნავს, რომ არ შეიძლება, ბავშვს ვასწავლოთ ქიმია, როგორც ქიმია, ან ფიზიკა, როგორც ფიზიკა. ბავშვები ქიმიის შესწავლისათვის შეემზადებიან მაშინ, როდესაც ისინი თვალყურს ადევნებენ პურის, კვასის გაკეთებას, წვისა და ლპობის პროცესებს და სხვა. საგნობრივ სისტემას კი ის ნაკლი აქვს, რომ არ არსებობს ბუნებრივი კავშირი გაკვეთილებს შორის.

კომლექსური სისტემით სწავლების მომხრეთა აზრით, კომლექსური მეთოდი იძლევა საშუალებას, რომ სკოლებში მუშაობა მოეწყოს იმ სახით, როდესაც შესაძლებელი ხდება სასურველი შრომის გამოყენება. კრებულში კომპლექსი ასეა განმარტებული: „კომპლექსური - ეს არის კონკრეტული სირთულე სინამდვილიდან აღებულ და განსაზღვრული ცენტრალური თემის ან იდეის გარშემო შეერთებულ მოვლენათა. სწავლების დროს კომპლექსური მეთოდით სარგებლობა ნიშნავს დაკავშირებას, შეერთებას, მაგრამ ამით კი არ არის განსაზღვრული“(3,გვ.7)

კრებულში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა აზრით კომპლექსური მეთოდის არსს წარმოადგენდა რომელიმე მოვლენის შესწავლა სხვა მოვლენებთან დაკავშირებით, ცხოვრების შესწავლა იმ სახით რა სახეც მას აქვს სინამდვილეში. პ. ბლონსკის აზრით ამ მეთოდის მეშვეობით ხდებოდა „სინამდვილის ცოცხალი, ყოველმხრივი კავშირის თვალწინ გადაშლა და ძირითადის გარშემო კონცენტრაციის მოხდენა“(1,გვ.106).

პ. ბლონსკი დაბეჯითებით ასაბუთებს, რომ „კომპლექსური მეთოდი ეს არის-სინთეტური მეთოდი, ეს არის მთლიანობა და განუყოფელობა, ეს არის სწავლების დიალექტიკური მეთოდი, ეს არის მარქსიზმი პედაგოგიკაში“(3, გვ. 53). მაგრამ ბლონსკი არ მალავს ამ მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების დროს დაშვებულ დამახინჯებებს, როცა კავშირი ნაძალადევ ხასიათს ატარებს, როცა კავშირს ეძებენ ისეთ საგნებსა და მოვლენებს შორის, რომლებშიც ასეთი კავშირი საერთოდ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითებით იგი ასაბუთებს იმ მავნე გავლენას, რომელიც არა სწორად გაგებულ კომპლექსურ სწავლებას შეუძლია მოიტანოს. წერილის ბოლოს კი ასახელებს დამახინჯებათა თავიდან აცილების სამ პირობას: 1. ბავშვთა დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობა; 2. ბავშვების

მიერ პრაქტიკულ ცხოვრებაში გადატანა იმ ცოდნისა, რასაც ისინი სკოლაში ითვისებენ და 3. სინთეტური მეთოდის გაგება, როგორც სასკოლო სასწავლო პრაქტიკულ სამუშაოთა მეთოდის, ესე იგი იმ სამუშაოებისა, რომლებიც ბავშვებს მოეთხოვებოდა სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე თავიანთ ასაკობრივ ან ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე ან აუცილებლად იქნებოდა მიჩნეული“(3,გვ. 55).

პროგრამების შედგენის მთავარ თემად აღებული იყო „მოსახლეობის შრომა“, იმ მოტივით, რომ შრომა ცხოვრების საფუძველია, რომ ისტორიულად ადამიანის ცხოვრება და მისი განვითარება შრომასთანარის დაკავშირებული და ა.შ. პროგრამა იყოფოდა სამ განყოფილებად: ბუნება-შრომა-საზოგადოება. პროგრამაში გათვალისწინებული თემები სწორედ ამ სამი ძირითადი განყოფილების მიხედვით იყო დალაგებული.

კომპლექსურად იყო აგებული მთელი საშუალო სკოლის პროგრამა და თანაც ისე, რომ ყველა საკითხი, საგანი თუ მოვლენა ერთმანეთში იყო გადაჭაჭვული. ძნელი იყო გარჩევა ამათუ იმ გაკვეთილზე რა საგანი ისწავლებოდა, ან რა ძირითადი საკითხის შესწავლა იყო გათვალისწინებული. პირველი საფეხურის სკოლაში ჯგუფთან ერთი მასწავლებელი მუშაობდა, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ იყო მიჩნეული მასწავლებელთა ურთიერთდახმარების ორგანიზაცია, რადგან იგულისხმებოდა, რომ ყველა მასწავლებელი ყველა საგანს ერთნაირად არ ფლობდა. მეორე საფეხურზე სხვადასხვა სპეციალობის მასწავლებლებს მოეთხოვებოდა კოლექტიური მუშაობა. სამუშაო გეგმის ერთდროულად შედგენა, დროში კორდინაცია იმ ნაწილებისა, რომელნიც ერთმანეთს ეხებიან, პროგრამის ტექსტით კი სხვადასხვა საგანს ეკუთვნიან. ზოგიერთი თემის ერთად ჩატარება. საწრეო მუშაობის განვითარება ინდივიდუალური მისწრაფებების თანახმად.

კომპლექსური სწავლების სისტემა მოითხოვდა კვირეული ცხრილის შედგენას. ცხრილში ცალკე საგნებს დრო არ ჰქონდა განსაზღვრული. მეორე საფეხურისათვის სკოლებში არ იყო სავალდებულოდ მიჩნეული და მტკიცედ განსაზღვრული გაკვეთილი. ახალი პროგრამების თანახმად მეორე საფეხურის სკოლებში მუშაობა მიმდინარეობდა დალტონის ლაბორატორიული გეგმის მიხედვით.

კომლპექსური სისტემით სწავლებას ჰყავდა, როგორც მომხრეები ასევე მოწინააღმდეგები. ამ მეთოდით სწავლების მოწინაღმდეგეებს მის ნაკლად მიაჩნდათ: 1. მასწავლებლები არ არიან მზად ამ მეთოდით სწავლებისათვის; 2. სკოლები მატერიალურად არ არიან უზრუნველყოფილი; 3. კომპლექაური სწავლების სისტემაში ცალკე საგანთა სწავლების მეთოდს ღირებულება ეკარგება; 4. ასეთი ქაოტური სწავლების დროს მოსწავლეებს ბევრი რამ არ ეცოდინებათ, რაც კულტურული ადამიანისათვის არის საჭირო; 5. კომპლექსური სწავლება არღვევს სწავლების დიდაქტიკურ წესს მარტივიდან რთულისაკენ; 6. კომპლექსური სწავლება აფუჭებს სკოლის დამოკიდებულებას მოსახლეობასთან.

ეს თეორია რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა და სავალდებულოდ გამოცხადდა რუსეთის სკოლებისათვის. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი მხარს უჭერდა სწავლების ამ სისტემას იმ მოტივით, რომ იგი რუსეთში დიდი მოწონებით სარგებლობდა. მაგრამ მის მასობრივად გავრცელებას საქართველოში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

კომლექსური სისტემით სწავლებაზე საინტერესო სტატიები აქვთ გამოქვეყნებული: მ. ორახელაშვილს, კ. ბერიძეს, მ. ზანდუკელს, გ. კონიაშვილს და სხვას. მათ მიაჩნდათ, რომ კომპლექსების იდეა დაკავშირებულია პედაგოგიკური აზროვნების პროგრესულ

მიმდინარეობასთან. ისინი კომპლექსური სისტემის თეორიულ დასაბუთებას ეძებდნენ რუსოს, პესტალოცის, ჰერბარტის, ფრებელისა და პედაგოგიკის სხვა კლასიკოსთა შრომებში.მათ არ მოსწონდათ, რომ რუსეთის იმდროინდელ სკოლებში კომპლექსური სწავლების მეთოდი უნივერსალურ მეთოდად იყო გამოცხადებული. აქედან გამომდინარე საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა ერთბაშად კი არ გადაიყვანა საქართველოს სკოლები კომპლექსურ სწავლებაზე, არამედ პირველ ხანებში იგი საცდელად შემოიღო თბილისის სკოლებში. ამავე დროს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს დაავალა შეესწავლა ეს საკითხი და შეემუშავებინა მისი სკოლაში მასობრიბად დანერგვის კონკრეტული ღონისძიებანი. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ მიიღო ივ. ჯავახიშვილის წინადადება, რომ „სანამდის თეორიულად საბოლოოდ გადაწყვეტდეს საბჭო ამ საკითხებს, საჭიროა რამდენიმე სკოლაში მოხდენილი იქნას ექსპერიმენტები და დაკვირვებანი, რაც დახმარებას მოგვცემს უფრო საფუძვლიანად გადაწყდეს ესა თუ ის პედაგოგიური საკითხი“ (1, გვ.103). საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზე პედაგოგიკის სექციას დაევალა თანამედროვე პედაგოგიური აზროვნების ძირითადი პრინციპების, ახალი პროგრამების შესწავლა, დააკვირვება სკოლაში მათ განხორციელებაზე და შედეგების მოხსენება საბჭოსათვის.

1923 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე სამეცნიერო საბჭომ მოისმინა გ. კონიაშვილის მოხსენება თანამედროვე პედაგოგიური აზროვნების ძირითადი პრინციპების შესახებ. მასში დეტალურად იყო წარმოდგენილი კომპლექსური სწავლების მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებით საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება კომპლექსურ მეთოდთან დაკავშირებით: „კომპლექსური მეთოდი მოგვაგონებს ძველ ენციკლოპედიურ მეთოდს. ყველა საგანის დაკავშირებას შეიძლება მეტად ხელოვნური და უსიცოცხლო ხასიათი მიეცეს, საგნის სწავლებამ დაკარგოს თავისი სახე და მნიშვნელობა. ბავშვები, ჩაბმული ამ კომპლექსურ მეთოდით სწავლებაში, ბევრ საგანში უვიცად დარჩებიან. მართალი არ არის, რომ ბავშვებისათვის დამღალავი და უინტერესოა ერთი და იგივეს რამდენჯერმე განმეორება, პირიქით, სახალისოა და სიამოვნებით იმეორებენ. ასე, რომ თუმცა წამოყენებული მეთოდი და მისი მოსაზრებები მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანია, მაგრამ მანამ საკითხი გადაწყდება, საჭიროა გავიცნოთ, რა პრაქტიკულ შედეგებს მიაღწიეს იმ სასწავლებლებმა, სადაც ეს მეთოდი ტარდება ჩვენში, როგორ არის საზღვარგარეთ, და როდესაც გვექნება მასალა, მაშინ ვიმსჯელოთ“ (1, გვ.105).

განათლების კომისარიატმა დაახლოებით 1925/1926 სასწავლო წელს მისცა საქართველოში ამ მეთოდს სავალდებულო ხასიათი. მაგრამ კომპლექსური მეთოდის დანერგვის მცდელობა სრულყოფილად ვერ განხორციელდა და იგი 1930 წელს გაუქმდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურგენიძე დ., საქართველოში საბჭოთა პედაგოგიკური აზრის ისტორიიდან, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1981
2. სწავლების მეთოდი და პროგრამა მოზრდილთა სკოლებში, პოლიტ-განათლების მთავარმართველობის გამოცემა № 39, თბილისი 1923.
3. კომპლექსური მეთოდი. წერილების კრებული, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1924 წ.
4. სასკოლო მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები, შულგინის, კონდაკოვისა და იგნატიევის წერილები, ტფილისი, 1921 წ.

5. სახალხო განათლება და პედაგოგიკის მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში, რედაქტორი გ. ნიორაძე, თბილისი, 1962 წ.
6. ლორთქიფანიძე დ., სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები, პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 1954 წ.

Imeri Basiladze, Vladimir Adeishvili
Akaki Tsereteli State University

Complex Method of Teaching / Learning

Abstract

20th century lacks of original works in the field of theory of pedagogics. These gaps were partially filled with the literature translated, which contributed much in the spread of experience in European pedagogics. On the other hand it contributed the development and establishment of Soviet Pedagogical thought.

According to the proponents of complex teaching, the method allows the work to be held at schools with applying the desired work.

Complex teaching method had to change teaching with subject system. J. M. Sokolov, when characterizing Hall, Diu and others opinions about complex teaching he mentions that you cannot teach a child chemistry as chemistry or physics as in physics. Children will be ready to study chemistry when they are watching the process of doing bread, kvass, burning or rotting processes and more. The subject system has the drawback that there is no natural connection between lessons.

Education Commission made this method obligatory in Georgia in 1925/1926 academic year. But the method was not properly applied and later in 1930 it was canceled.

საკვანძო სიტყვები: ევროპული პედაგოგიური გამოცდილება, კომპლექსური სისტემა, საგნობრივი სისტემა, სასურველი შრომის გამოყენება, ენციკლოპედიური მეთოდი.

Keywords: European pedagogical experience, complex system, subject system, usage of desired activity, encyclopedia method.

მაია ახვლედიანი, ნინო ორჯონიკიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სკოლის როლი მოსწავლეთა მოქალაქეობრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის მზაობაში

ნებისმიერ ქვეყანაში აღზრდის სისტემის წინაშე ერთი და იგივე ძირითადი ამოცანა დგას: აღზარდოს ისეთი პიროვნება, რომელიც თავის ადგილს დაიმკვიდრებს არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და სხვადასხვა გარემოში მოქალაქეობრივი აღზრდის ამოცანა არ იცვლება, მაგრამ რადიკალურ ცვლილებას განიცდის ამ ამოცანის შინაარსი და მისი რეალიზაციის გზები და საშუალებანი, რაც განაპირობებს მოქალაქეობრივი აღზრდის კონკრეტულ შინაარსსა და მიმართულებას. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ეტაპზე სკოლაში ამ კუთხით

მუშაობის წარმატება მოითხოვს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ჰუმანისტური პოტენციალის აქტუალიზაციას. სადაც პედაგოგების დამოკიდებულებამ ამ საკითხებისადმი უნდა განსაზღვროს დემოკრატიისა და მოქალაქეობის ცნებების წინასწარ კარგად გააზრება. დემოკრატია ხომ ცხოვრებისა და საქმიანობის ისეთი ფორმაა, რომელიც ადგენს და ეყრდნობა მხარეთა თანამშრომლობას, შეთანხმებულობას, ტოლერანტობას. დემოკრატიისათვის მნიშვნელოვანია კონსტიტუციური მთავრობა, ადამიანის უფლებები და თანასწორობა კანონის წინაშე.

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააზრებინოს:

კონსტიტუციური დემოკრატიის ძირითადი დებულებები

განემარტებათ რა მოსწავლეებს სკოლაში დემოკრატიის ძირითადი ღირებულებები, იქვე უნდა გავაცნობიერებინოთ რომ დემოკრატია ეყრდნობა განათლებულ მოქალაქეთა საზოგადოებას. სკოლაშივე უნდა დარწმუნდნენ მოსწავლეები იმაში, რომ მოქალაქეები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებიც მოქმედებენ ერთად, რათა განსაზღვრონ, თუ რა არის მათი ქვეყნისათვის სასარგებლო, განავითარონ ის პოზიტიური, რაც არსებობს მათ საზოგადოებაში, დაძლიონ ნეგატიური მხარეები.

ამიტომაც დღევანდელ სკოლას ნამდვილად სჭირდება მოქალაქეობრივი აღზრდის და სწავლების ისეთი შინაარსი და მეთოდიკა, რომელიც ახალგაზრდას ჩამოუყალიბებს და განუვითარებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური, ეფექტიანი ჩართვისა და თანამონაწილეობისათვის საჭირო უნარებს, მისცემს მას კომპეტენტური მონაწილეობისათვის აუცილებელ ცოდნას და დაეხმარება დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებისა და პრინციპების შესატყვის პოზიტიურ დამოკიდებულებათა გამომუშავებაში. სკოლაში მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ მოქალაქეობის ამგვარი, ფართო გააზრება, რამაც ისინი საზოგადო მოღვაწის გაგებამდე უნდა მიიყვანოს. საზოგადო მოღვაწეს კი აქვს უფლება, თავისუფლება და

პასუხისმგებლობა, რათა თავისი წვლილი შეიტანონ საზოგადოების მართვასა და განვითარებაში. მოსწავლეებმა სკოლაშივე უნდა გააცნობიერონ, რომ მოქალაქე არის ის ადამიანი, რომელიც ცდილობს იცხოვროს და ითანამშრომლოს სხვა ადამიანებთან, რათა გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც წარმოიშობა ყოველდღიური თანაცხოვრების პირობებში და ეძიოს საერთო ინტერესები, მიზნები და იდეალები განსხვავებათა არსებობის პირობებში.

ამისათვის კი ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს: მოქალაქეობრივი თვისებები, ცხოვრებაში მოქალაქეობრივი მონაწილეობის უნარები, სამოქალაქო ცოდნა. ამ სამ მონაცემს უნდა დაეყრდნოს მოქალაქეობრივი აღზრდა, მისი შინაარსი და მეთოდიკა.

სკოლიდანვე უნდა გამოჰყვეს ახალგაზრდას

1. მოქალაქეობრივი თვისებები



2. ცხოვრებაში მოქალაქეობრივი მონაწილეობის უნარები



3. სამოქალაქო ცოდნა



ამრიგად,

1. მოსწავლეთა მოქალაქეობრივი აღზრდის შინაარსი წარმოადგენს სხვადასხვა ურთიერთობის მოწესრიგებულ მთლიანობას, რომელშიც ერთვება პიროვნება საკუთარი ცხოველმოქმედიანობის პროცესში. ეს პროცესი ყველაზე ინტენსიურად უფროს სასკოლო ასაკში ვითარდება და მოქალაქეობრივი აღზრდის თვალსაზრისით, სწორედ ეს ასაკია ყველაზე ოპტიმალური. ამ პერიოდში აღმოცენდება მოსწავლეთა მიერ ზნეობრივი პრინციპების ღრმად დაუფლების არა მარტო შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობაც. სწორედ ამას უკავშირდება სოციალური ოპტიმიზმის გრძნობის აღმოცენება. სოციალური ოპტიმიზმი მოქალაქეობრივი შეგნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

2. საკუთარი უფლებების გაცნობიერების გარეშე სამოქალაქო შეგნება არ არსებობს. მოსწავლეებმა უნდა დაინახონ ისეთი კანონების უვარგისობა, რომლებიც არ ითვალისწინებენ ადამიანის ინდივიდუალობას. ისინი უნდა მივიყვანოთ იმის გაგებამდე, რომ ადამიანის ბედნიერებისათვის თავისუფალი არჩევანის უფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ბავშვმა უნდა გაიგოს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში თანასწორობა არ ნიშნავს ინდივიდუალობის მოსპობას. ეს ამოცანა წყდება სამართლებრივი აღზრდის, კერძოდ, „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ სწავლებისას.

3. მიზანმიმართული პედაგოგიური ღონისძიებანი მნიშვნელოვნად აჩქარებს მოსწავლეთა ზნეობრივ შეხედულებათა ჩამოყალიბების პროცესს. მხატვრული ნაწარმოების კოლექტიური ანალიზი, ხალხური შემოქმედების ნიმუშებისა და პროცესების გაცნობა, ეროვნული ტრადიციების შინაარსში წვდომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დადებითი ზნეობრივ-სოციალური ორიენტაციების ჩამოყალიბებას.

4. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებისა და მეცნიერული კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს იმას, რომ სკოლაში არსებობს აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის ობიექტური მოთხოვნილება. კერძოდ, ამოცანა ის არის, რომ მოსწავლეებში მოქალაქეობრიობა განვითარდეს როგორც აქტუალური თვისება. ამ მხრივ, გამოიკვეთა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პოზიციის ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშნები: ძირითადი კანონების ცოდნა და მათი გათვალისწინება საკუთარ ქმედებაში. მოქალაქეობრივი უფლებებისა და მოვალეობების ცოდნა; სოციალური აქტივობის გამოვლენა საერთო საქმის სასარგებლოდ; ადამიანის მიმართ კეთილგანწყობილება, ჰუმანური ურთიერთობისადმი მისწრაფება.

5. მოსწავლეთა სოციალურ-პოლიტიკური აღზრდის მიზნით გაწეული მუშაობა პროპაგანდის პრინციპების კომპლექსურ გამოყენებას უნდა დაეფუძნოს (რეალიზმი, უწყვეტობა, სისტემატურობა). კარგ შედეგებს იძლევა პრობლემურ-სადისკუსიო მუშაობა, მოვლენათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფაქტების ურთიერთშეპირისპირება და ანალიზი.

6. მოქალაქეობრივი პოზიციის გამომუშავებისა და შეგნების ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა თვითმმართველობას. თვითმმართველობა არ უნდა მოიცავდეს სასწავლო პროცესს. იგი უნდა განხორციელდეს თავისუფალი დროის ორგანიზაციის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე არასასწავლო ღონისძიებების დაგეგმვისა და რეალიზაციის პროცესში.

7. პიროვნების მოქალაქეობრივი სახე არის იდეოლოგიური, პოლიტიკური, იურიდიული, მორალური თვისებების ერთობლიობა. ამიტომ, მოსწავლის

მოქალაქეობრივი აღზრდის შინაარსი მოიცავს იდეურ მრწამსს, საზოგადოებრივ აქტივობას, მოქალაქეობრივ გრძნობებსა და პასუხისმგებლობას, მოქალაქეობრივ სინდისსა და მოქალაქეობრივ სიმამაცეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან კი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

1. მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბება პიროვნების საზოგადოებრივი მიმართულებისა და სოციალური აქტივობის უმნიშვნელოვანესი რგოლია. ეს არის კომპლექსური, ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც შინაგანი და გარეგანი პირობების მკაცრად გათვალისწინებას საჭიროებს;

2. პიროვნების სოციალურ-პოლიტიკური კულტურის აღზრდის აქტუალური ამოცანაა საკუთარი პოზიციების არგუმენტირებული დაცვისა და სხვათა შეხედულებებისადმი პატივისმცემლური დამოკიდებულების სწავლება. სასწავლო აღმზრდელობით პროცესში მოსწავლეები უნდა შევაიარაღოთ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებული ფაქტორებისა და მოვლენების ანალიზის უნარით; მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბების ქმედითი საშუალებაა მოსწავლეთათვის დისკუსია-კამათის სწავლება პრაქტიკული მოქმედიანობის პროცესში;

3. ადამიანი მოქალაქედ ყალიბდება მაშინ, როდესაც საქმით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოქალაქეობრივ მოვალეობებს. კერძოდ, როდესაც რეალურად ასრულებს იმ მოვალეობებს, რაც მას აკისრია ოჯახისა და კოლექტივის წინაშე.

4. საგანგებოდ ორგანიზებულ ისეთ გარემოში, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ მოქალაქეობრივი წრთობა, მიიღწევა მნიშვნელოვანი შედეგები მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბების საქმეში. აღზრდისპროცესის ინტენსიფიკაცია დამოკიდებულია აღზრდის გამიზნულ შინაარსსა და კონკრეტულ მიმართულობაზე;

5. მოქალაქეობრივი აღზრდის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაიკავოს სოციალურ-როლურმა თამაშებმა, რომლის პროცესშიც აღსაზრდელებს გამოუმუშავდებათ სათანადო უნარ-ჩვევები.

6. მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბების ამოცანას კომპლექსურად უნდა მივუდგეთ, რაც კოლექტიური შემოქმედებითი საქმიანობის, როგორც სისტემის პირობებში ხორციელდება.

7. მოქალაქეობრივი პოზიციის გამომუშავებისა და შეგნების ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა თვითმმართველობის რაციონალურ ორგანიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი. სკოლაში სააღმზრდელო მუშაობის აქტუალური პრობლემები რედაქტორი: მ. დოღონაძე
2. ფ. ა. ტიტოვი, საზღვარგარეთის ქვეყნების პედაგოგიკა. 2010 წ.
3. ვ. შვეცოვი, ფრანგული სკოლა 2000 წლისათვის, ჟ. „პედაგოგიკა“ 1992, №1
4. ზ. ცუცქირიძე, ნ. ორჯონიკიძე, განათლების თანამედროვე თეორიები, თბ. 2005
5. ა. ხორვატი, ო. მიხაი, განათლების გლობალიზაცია აღმოსავლეთ ევროპაში, ჟ. „პერსპექტივა“ 2007 წ. №1-2
6. ჯოვანი გოიცერი, სასწავლო პროგრამები და სოციალური პრობლემები, - ჟ. „პერსპექტივა“ – 2008წ. №1

Maia Akhvlediani, Nino Orjonikidze
Akaki Tsereteli State University

The Role of School in Readiness of Pupils to Participate in Civil Life

Abstract

A civil image of personality is a totality of ideological, political, juridical and moral properties. Thus, the content of civic education of pupils comprises ideological conviction, social activities, public spirits and responsibility, civic conscience and civic resolve.

The paper dwells on the content and methodology of civic education in school, and there is shown that planned, systematic educational work, which is based on the acquisition of knowledge and pupils self-governing principles, creates a person for the formation of a socially active citizen, or such a personality, who is expected to be able to live in harmony with the moral-juridical laws in a democratic State.

საკვანძო სიტყვები: თანამშრომლობა, თანასწორობა, დემოკრატიულობა, მოქალაქეობრივი შეგნება, მოქალაქეობრივი თვისებები
Keywords: Cooperation, equality, democracy, the sense of civility, civic properties

ქრისტინა ფირცხალაიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოების მრავალფეროვნების განზომილებები საქართველოში და მათი კავშირი განათლების პროცესთან

ადამიანი იმ ეროვნებას ეკუთვნის, რომელი ეროვნების ცნობიერებაც გააჩნია. გამონაკლისი არც ქართველია. ქართველია ყველა, ვისაც ქართული ცნობიერება აქვს. ისტორიულად ქართული ცნობიერება სოფელში ჩამოყალიბდა. ქართულმა სოფელმა განსაზღვრა ქართული ცხოვრების წესი, უძველესი კულტურა და მდიდარი ტრადიციები, ყოფაქცევის ნორმები, ადათები, რიტუალები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, რომლებმაც საბოლოოდ ქართველი ხალხის ფსიქიკურ წყობასა და ერთობაში იჩინა თავი. თანამედროვე განათლების წინაშე დგას ამოცანა – გაითვალისწინოს საზოგადოების მულტიკულტურული მახასიათებლები და ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის მშვიდობიან თანაარსებობას და პოზიტიურ ინტერაქციას. ამიტომ სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულებაა ის ადგილი, სადაც ამ მხრივ ყველაზე დიდი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი. აქ უნდა ისწავლონ ბავშვებმა განსხვავებული აღმსარებლობის თუ ეთნიკური წარმომადგენლებისადმი პატივისცემა.

სწავლის მნიშვნელობაზე საუბრისას ძნელია უპირატესი ასპექტის გამოყოფა, მაგრამ შესაძლებელია მსჯელობა ადამიანის ფორმირებისთვის საჭირო

მახასიათებლებზე. მათ შესახებ საზოგადოებაში უამრავი მოსაზრება არსებობს, რომელთაგან გამოკვეთილია ერთი: „შესაძლოა, მოსწავლე არ იყოს დიდად განსწავლული, მაგრამ აუცილებლად უნდა ისწავლოს დამოუკიდებელობა, თავისი ქცევის, ქმედებების გაანალიზება, სრულყოფილებისკენ სვლა, საზოგადოებაში თავისი თავის რეალიზების გზების მოძიება". ამიტომ სწავლების პროცესის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ მხარეებისა და მიდგომების აღმოჩენაა, რომლებიც მოსწავლეს ამის საშუალებას მისცემს, მულტიკულტურული განათლება და მისი შესაფერისი ინტერაქციული მეთოდების გამოყენება კი ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში კი, როდესაც გლობალიზაციამ, წარსული საუკუნეებისგან განსხვავებით, მართლაც გლობალური მასშტაბები მიიღო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უცერემონიოდ შეიჭრა, განსაკუთრებით მცირერიცხოვან ქვეყნებს თავსატეხი გაუჩინა. გლობალიზაციის პროცესი ერთიანობაში მოიცავს პოლიტიკასაც, ეკონომიკასაც და კულტურასაც. გაჩნდა მრავალფეროვანი საზოგადოება, რომელთა შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარება ზოგჯერ რთულდება. საქართველო ეთნიკური, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით მრავალეროვანი ქვეყანაა. ეს სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს:“ საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე, განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38.1). როგორც ქართული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო ნორმების მიხედვით ეროვნულ უმცირესობებს უნდა მიეცეთ უფლება, თავისუფლად ეზიარონ თავიანთ კულტურას, რელიგიას. სახელმწიფო კი იღებს ზომებს, რათა კანონის წინაშე სრული თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ უმცირესობათა ყოველი წარმომადგენლისთვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაცი. ამ ძირითად თავისუფლებათა და უფლებათა დაცვაში შედის რწმენის თავისუფლება. რწმენის თავისუფლება არის ადამიანის უფლება სურვილისამებრ შეიცვალოს, აღიაროს ნებისმიერი რელიგია და გამოხატოს რწმენა. რელიგიური თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივ-სუბიექტური უფლება კი იცავს პირს ხელშეუხებლობისგან, აღჭურავს მოქალაქეებს კონკრეტული უფლებებით, სწამდეთ რომელიმე რელიგია, გაერთიანდნენ რწმენისა და ერთობლივი აღმსარებლობის მიზნით. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებს.

კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით: “სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას”. კონსტიტუციის მე-9 მუხლი ასახავს უმნიშვნელოვანეს უფლებებს: 1) ყველა ადამიანს აქვს სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება; 2) დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისის შეხედულება მათ შესახებ 3) დაუშვებელია ამ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას, თუმცა დღეს ქვეყანაში არსებული რეალობა მკვეთრად განსხვავდება როგორც კონსტიტუციით, ისე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით დეკლარირებული ნებისაგან. პრობლემას სწორედ ამ დეკლარირებული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებისას ვაწყდებით, რაც საჭიროებს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების (და არა მარტო მათი) მხრიდან რეაგირებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობის ქადაგებაში ჩარევას, პიროვნების დევნას რელიგიური ნიშნით ან მისი აღმსარებლობის გამო. კრძალავს რელიგიური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეშლას.

ჩემი აზრით იყო ქართველი, არ ნიშნავს მხოლოდ იმას,რომ სტერეორიპული დოგმებით იცავდე რომელიმე ტრადიციას ან ებრძოდე რომელიმე განსახვავებული კულტურის წარმომადგენელს, განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანს. ეს ჰომოფობიაა და მას ეროვნული ღირსების დაცვა-პატივისცემასთან საერთო არ აქვს. აქ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ასევე ადამიანის როგორც ინდივიდისა და მისი ღირებულებების პატივისცემა და ხელშეუხებლობა. ვფიქრობ სწორედ ესაა ეროვნული სულიერი კულტურის მთავარი ფასეულობა. ჩემთვის, ვიყო ქართველი ნიშნავს, რომ დავიცვა ჩემი ქვეყნის ტრადიციები, თუმცა ისე, რომ ამით არ შევურაცვყო სხვისი... **ადამიანის უფლებეზე საუბრისას უნდა გვესმოდეს ერთი ბუნებრივი კანონი, რომ ჩვენი უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი.** მიუხედავად იმისა,რომ როგორც ქართულ სტერეოტიპებზე აღზრდილი შინაგანად ბოლომდე ტოლერანტული ვერ ვარ გარკვეული განსხვავებების მიმართ, მე არასოდეს ვებრძვი განსხვავებული კულტურის წარმომადგენელს და ბუნებრივია არ გავურბივარ ასეთი ადამიანების გარემოცვას. ვფიქრობ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ქვეყანა განვითარდეს და იყოს ღირსეული ისე როგორც ეს ისტორიულად მოგვდგამს, დღეს ამისათვის მხოლოდ ტრადიციების დაცვა არ კმარა. ქართველად ყოფნას ეროვნული კულურის პატივისცემასთან ერთად ჰუმანურობა და საზოგადოებრივი მრავალფეროვნების პატივისცემაც ჭირდება. ჩემი აზრით დღევანდელი გლობალიზაციის ფონზე ესაა ქართველობის არსის თანამედროვე გაგება.

ყველა დროს თავისი გამოწვევები და პრობლემები მოაქვს, რომელსაც შესაბამისი პასუხის მოძებნა სჭირდება. დღეს საქართველოს წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა

ჰარმონიულ ურთიერთობაზე. ეს კი მაშინაა შესაძლებელი, თუ მეტი ვიცით ერთმანეთის კულტურის შესახებ. ასეთი ცოდნა კი ხელს შეუწყობს განსხვავებული ურთიერთპატივისცემას, სტერეოტიპების დაძლევას, კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის დამკვიდრებას და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას.

აქვე უნდა დავამატო, რომ საზოგადოების არატოლერანტულობა რელიგიური უმცირესობების მიმართ არ შეიცვლება მხოლოდ კანონების მიღებით. მოქალაქეებს სრული უფლება აქვთ, არ მოსწონდეთ სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებები, მაგრამ თუ თავიანთ ანტიპატიას საჯაროდ გამოხატავენ და მორწმუნეების კონსტიტუციურ უფლებებს შელახავენ, სახელმწიფო ვალდებულია გამოექომაგოს მათ და გაატაროს შესაბამისი სანქციები, ასეთ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს ფართო საგანმანათლებლო პროგრამებს, საზოგადოების მხრიდან ისეთი საკითხების ჯანსაღად აღქმას, როგორიცაა რელიგიური მრავალფეროვნება და სხვათა უფლებების პატივისცემა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყოველ დროს თავისი გამოწვევები და პრობლემები მოაქვს, რომლებსაც შესაბამისი პასუხის მოძებნა ჭირდება. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე, რომლებიც სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს ცხოვრების ტრადიციულ წესებს, სოციალური მდგრადობის, მშვიდობიანი თანაარსებობის შენარჩუნებასა და ტოლერანტული საზოგადოებების ჩამოყალიბებაში სერიოზული როლის შესრულება შეუძლია განათლებას. კულტურისა და განათლების ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. კულტურა აყალიბებს განათლების შინაარსს, საშუალებებს და კონტექსტს, რადგან იგი განსაზღვრავს აზროვნებისა და მოქმედების წესს, რწმენას. დღეს საქართველოს წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ჰარმონიულ ურთიერთობაზე. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, თუ მეტი ვიცით, ზოგადად, კულტურის ფენომენისა და, კერძოდ, ერთმანეთის კულტურის შესახებ. ასეთი ცოდნა ხელს უწყობს განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთპატივისცემას, სტერეოტიპების დაძლევას, კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის დამკვიდრებას და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დღეს ჩვენი ქვეყნისათვის. თანამედროვე განათლების წინაშე დგას ამოცანა - გაითვალისწინოს საზოგადოების მულტიკულტურული მახასიათებლები და ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის მშვიდობიან თანაარსებობას და პოზიტიურ ინტერაქციას. ამიტომ სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულებაა ის ადგილი, სადაც ამ მხრივ ყველაზე დიდი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი. აქ უნდა ისწავლონ ბავშვებმა განსხვავებული აღმსარებლობის თუ ეთნიკური წარმომადგენლებისადმი პატივისცემა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელექტრონული რესურსი - ინტერნეტგაზეთი: მე უნდა ვიყო ტოლერანტი. წვდომა: http://www.mastsavlebeli.ge/?action=news&npid=8
2. ელექტრონული რესურსი - მულტიკულტურალიზმი და კულტურული მრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულება საქართველოში. ავტორი: თამარ გამყრელიძე,/ Tamar Gamkrelidze წვდომა: http://studentresearch.iliauni.edu.ge/images/pdf/Tgamkrelidze.pdf
3. მრავალფეროვნების მართვის საფუძვლები. ავტორი: მილენა მითაგვარია. თბილისი 2010

Kristina Pirtskhalaishvili
Batumi Shota Rustaveli State University

Dimensions of Social Diversity in Georgia and theirLinks to the Educational Process

Abstract

People belong to that nationality, which country's national consciousness they have. Georgians are no exception. It could be called Georgian, who has a Georgian consciousness. Historically, the Georgian consciousness was formed in the village. Georgian village determined Georgian lifestyle, ancient culture and rich traditions, norms of behavior, customs, rituals that are passed from generation to generation. The modern education faces to the task - to take into account the characteristics of a multicultural society and to promote peaceful co-existence between different cultural groups and positive interactions. That's why the educational institution is a place where children could be taught and got the biggest achievement of the results to another religion or ethnic representatives' respect.

საკვანძო სიტყვები: მრავალფეროვება, ტოლერანტობა, ინტერაქცია, განათლება, კულტურა

Keywords: Diversity, tolerance, interaction, education, culture.

ნათელა ბაღათრიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკატერინე სლოვინსკი, მარინა კაპანაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება საქართველოში

შესავალი: XXI საუკუნეში მნიშვნელოვანი როლი შეიძინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებამ. დღეს ეს საკითხი აქტუალურია, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება უზრუნველყოფს მოსწავლის აღჭურვას იმ ცოდნითა და უნარებით, რომლებიც მას დაეხმარება ფეხდაფეხ მიჰყვეს კაცობრიობის სწრაფ პროგრესს. უდავოა,

რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლისას მოსწავლე ამ მეცნიერებების საფუძვლებს ეცნობა, უვითარდება კვლევითი უნარ-ჩვევები, რის შემდეგაც, იგი შეიცნობს სამყაროს, ცდილობს ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში და გრძნობს პასუხისმგებლობას, როგორც საკუთარი თავის, ასევე საზოგადოების წინაშე. ევროკომისიის დადგენილებით[3] მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესის მკვეთრი დაცემა აღინიშნა. ჩვენს ქვეყანაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის კლების ერთ-ერთ მიზეზად სახელდება საჯარო და კერძო სკოლებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მიდგომები, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სასწავლო გარემო, რესურსები და სხვა.

მასწავლებელთა მხრიდან მნიშვნელოვანია აქცენტები გაკეთდეს ცოდნაზე, უნარებსა და დამოკიდებულებებზე. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელი მუდმივად უნდა ფიქრობდეს მოსწავლეებში გააღვიძოს გარემომცველი სამყაროს მიმართ კვლევის ინტერესი. საქართველოში 2004 წლიდან შემუშავდა და დაინერგა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელშიც დიდი ადგილი უკავია მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებსა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას[4], შეიქმნა თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები. თუმცა სასკოლო ლაბორატორიები დღემდე არ არის სათანადოდ აღჭურვილი, მასწავლებლები ვერ ფლობენ კურიკულუმის მიხედვით სწავლების უნარებს და საჭიროებენ სათანადო გადამზადებას. ტრადიციული სამეცნიერო განათლება ფოკუსირებულია თეორიულ ასპექტებზე და პასუხობს კითხვაზე „რა ვიცით?“, ხოლო კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ორიენტირებულია პროცედურულ ცოდნასა და გაგებაზე, პასუხობს კითხვას, „როგორ ვიცით?“[1]. დღეს სკოლებში საბუნებისმეტყველო სწავლების ხარისხი დაბალია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი უნივერსიტეტი საქართველოში, რომელიც რამოდენიმე წელია მოქმედ და მომავალ პადაგოგებს სთავაზობს პროფესიული მომზადების პროგრამას საბუნებისმეტყველო საგნების კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების დაუფლების მიზნით[5].

პროექტი „ჯაჭვური რეაქცია“: ჯაჭვური რეაქცია“ სამწლიანი პროექტია[2], რომელშიც მონაწილეობს 12 ქვეყანა, კოორდინატორია შეფილდ ჰალამის უნივერსიტეტი, ინგლისი. პროექტის აქტივობებს შორისაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ამ მიზნით დამხმარე რესურსების შემუშავება და საგანმანათლებლო კვლევების წარმართვა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 15 სკოლის 30 საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგის პროფესიული გადამზადება შესაბამისი ტრენინგ-მოდულებით თითოეულ მონაწილე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. შეფილდ ჰალამის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განათლების ცენტრში მომზადებული, თერთმეტი საგაკვეთილო მოდულიდან, საქართველოს სკოლებში დაინერგა 6 მოდული. თითოეული მათგანი აგებულია კვლევაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებზე, პრობლემის გადაჭრასა და მოსწავლეების მიერ განხორციელებული კვლევების შედეგად დასკვნების გამოტანაზე. პროექტს „ჯაჭვური რეაქცია“ აქვს რამდენიმე ძირითადი მიზანი:ჩვენი ქვეყნის ეროვნულ სასწავლო გეგმის საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული საგაკვეთილო კვლევითი მოდულების დანერგვა და გავრცელება; სკოლებში საგაკვეთილო კვლევითი მოდულების დანერგვის ხელშეწყობა მასწავლებელთა გადამზადებითა და მოსწავლეებში კვლევაზე დაფუძნებული სწავლებით; ხიდის გადება სამეცნიერო საზოგადოებასა და საბუნებისმეტყველო

მასწავლებლებს შორის; ქართველი მასწავლებლების ევროპის მასწავლებელთა ქსელში ინტეგრირების ხელშეწყობა; რესურსების გავრცელება; ეფექტური შეფასება; ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგაკვეთილო კვლევითი მოდულების განხორციელება საქართველოში: მეტყველებაში კვლევაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვისთვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს საგაკვეთილო კვლევითი მოდულები. მოდულებზე მუშაობის დროს მოსწავლეები საკუთარ თავს მეცნიერის როლში წარმოიდგენენ და ეცნობიან სამეცნიერო მუშაობის პრინციპებს. მოსწავლეები აგრეთვე სწავლობენ: როგორ ხდება სამეცნიერო კვლევითი მონაცემების შეგროვება და ანალიზი, მონაცემთა ინტერპრეტირება, წამოყენებული თეორიებისა და დებულებების განვითარება; როგორ შეიძლება აიხსნას მოვლენები სამეცნიერო თეორიებისა და დებულებების გამოყენებით; სამეცნიერო იდეის დაგეგმვას, სამეცნიერო კითხვებზე პასუხის გაცემასა და მეცნიერული პრობლემის გადაჭრას; ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით მასალების მოძიებას; ინდივიდუალურად და ჯგუფში უსაფრთხოდ მუშაობას; თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევას; დასკვნების წარმოდგენას, არგუმენტირებას, მათემატიკური ენის გამოყენებით გრაფიკებისა და დიაგრამების აგებას; თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარებასა და მასთან დაკავშირებულ რისკებსა და წინააღმდეგობებს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პროექტში „ჯაჭვური რეაქცია“: „ჯაჭვური რეაქციის“ გუნდმა გადაამუშავა კვლევითი საგაკვეთილო მოდულები და მიუსადაგა ქართულ რეალობას. სკოლებში ამ მოდულების დანერგვამდე 30 მონაწილე მასწავლებელმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განიხილა და დაამუშავა კვლევითი მოდულები, ჩაატარა სხვადასხვა ექსპერიმენტი. ეს სამუშაო სულ 50 საკონტაქტო საათს მოიცავდა (სემინარები, ლექცია, ვორქშოფი და სხვა). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის გავლის დროს პედაგოგები მუშაობდნენ სხვადასხვა საკითხებზე. თითოეული მათგანი ყურადღებას ამახვილებდა ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერულ ახსნაზე. სესიები ორიენტირებული იყო მონაწილე მასწავლებელთა კვლევითი, მოდელირების, თანამშრომლობითი პროფესიული უნარების განვითარებაზე. მონაწილე მასწავლებლები პროექტის ფარგლებში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ სხვა პედაგოგებსაც, აცნობენ მიღებულ მასალებს და მათთან ერთად მუშაობენ.

კელის თეორია და ქართველ მასწავლებლთა კონსტრაქტები: მოხსენებაში წარმოდგენილი დასკვნები ეფუძნება „ჯაჭვური რეაქციის“ ფარგლებში განხორციელებული კვლევების მონაცემებს. ჩვენ ვიკვლევთ,თუ რა გავლენა იქონია მასწავლებელთა პროფესიულმა გადამზადებამ მათი კვლევითი კომპეტენციების განვითარებაზე. კვლევას აქვს თვისობრივი ხასიათი, დაფუძნებულია ჯორჯ კელის ფსიქოლოგიურ თეორიაზე[6]. მისი თეორიის თანახმად, ადამიანი ახდენს მონაცემებისა და მოვლენების კატეგორიზებასა და ინტერპრეტირებას, აყალიბებს კონსტრაქტებს. ჩვენს კვლევაში საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აყალიბებენ კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებულ კონსტრაქტებს შემდეგი პრინციპით: პედაგოგებს ვთვაზობთ ცხრა ბარათს, რომელზეც მოცემულია კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებული დებულებები და ვთხოვთ, შეარჩიონ მათგან ორი

ერთმანეთის მსგავსი და ერთი მათგან განსხვავებული. მასწავლებელი დაწვრილებით საუბრობს ბარათებთან დაკავშირებით. ამ პროცედურას ვიმეორებთ სამ ეტაპად. ყოველი მომდევნო ეტაპისთვის აუცილებელი პირობაა, რომ მასწავლებელმა არჩეული ბარათების განსხვავებული კომბინაცია შეარჩიოს, თუმცა შესაძლებელია იგივე ბარათების გამოყენებაც (ცხრილი 1).

1.	კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მასწავლებელი, როგორიც მე მინდა ვიყო
2.	პრაქტიკული სამუშაოს დანიშნულება ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე
3.	კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისათვის იდეალური საკლასო სიტუაცია
4.	ჩემი საუკეთესო გამოცდილება სწავლებაში
5.	ჩემი საუკეთესო კვლევაზე დაფუძნებული საბუნებისმეტყველო გაკვეთილი
6.	ჩემი შედარებით წარუმატებელი ბუნებისმეტყველების კვლევითიგაკვეთილი
7.	მე, როგორც კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მასწავლებელი
8.	ჩემი შედარებით ცუდი გამოცდილება
9.	კვლევაზე დაფუძნებული იდეალური საბუნებისმეტყველო გაკვეთილი

ცხრილი 1. ბარათები

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს ჩაწერა თითოეულ მასწავლებელთან ხდება პროექტის დანერგვის დასაწყისში და მისი დანერგვის შემდეგ. მონაცემთა შეგროვების შემდეგ ვადარებთ პრე- და პოსტ- მონაცემებს და გამოგვაქვს დასკვნები. ამ ეტაპზე აღებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული თეზისები. თითოეულ თეზისს მივანიჭეთ კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს მის სანდოობას. თითოეული კომბინაციის განხილვისას გამოიკვეთა ფაქტობრივად არსებული ხედვა და კონტრასტული ხედვა, რის საფუძველზეც ჩამოვაყალიბეთ კონსტრაქტები. ინტერვიუების ანალიზის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებში შეინიშნება კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების მიმართ ცვლილებები. ნიმუშის სახით წარმოვადგენთ მეორე წლის მონაწილე პედაგოგის კონსტრაქტის ანალიზის შედეგს (ცხრილი 2).

პრე-კონსტრაქტი		
პრაქტიკული მუშაობა	*Vs*	ადმინისტრაციისგან ნაკლები მხარდაჭერა
სწავლების თანამედროვე მიდგომები	*Vs*	ადმინისტრაციისგან ნაკლები მხარდაჭერა
პროფესიული განვითარება	*Vs*	ადმინისტრაციისგან ნაკლები მხარდაჭერა

პოსტ-კონსტრაქტი		
მოტივაცია	*vs*	ნაკლები მოტივაცია
კვლევაზე დაფუძნებული სწავლება	*vs*	თანამშრომლობის ნაკლები შესაძლებლობა
პროექტზე დაფუძნებული სწავლება	*vs*	არასწორი დაგეგმვა

ცხრილი 2.პრე-პოსტ კონსტრაქტები

ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელებამდე, საბუნებისმეტყველო

საგნების მასწავლებლები პროფესიული განვითარებისა და საკლასო აქტივობების მრავალფეროვნებაზე ზრუნვას სკოლის ადმინისტრაციას მიაწერდნენ. ისინი მხადაჭერას ადმინისტრაციისგან ელოდნენ და ეს იყო მათი განვითარების ერთადერთი გზა. მათია ზრით, პროფესიული განვითარება და თანამედროვე მიდგომების დაუფლება ადმინისტრაციის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იყო. მაგრამ, პროექტში მონაწილეობისა და კვლევითი მოდულების დანერგვის შემდეგ, კვლევაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნიათ პროექტებზე დაფუძნებული სწავლება და გაკვეთილის სწორად დაგეგმვა, მსჯელობენ კოლეგებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან როლზე.

ზემოთ განხილული კონსტრაქტი ასახავს მასწავლებელთა კვლევაზე დაფუძნებული სწავლების კომპეტენციების განვითარებას პროექტში მონაწილეობის შემდეგ.

დასკვნა: კვლევამ ხაზი გაუსვა კვლევაზე დაფუძნებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის მნიშვნელობას ზოგადად, განსაკუთრებით „ჯაჭვური რეაქციის“ ფარგლებში, რომელიც საქართველოში განახორციელა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა. მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებით, პროექტის მონაწილე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა დასკვნები ასეთია:

- გაიზარდა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლების მოტივაცია
- გაიზარდა კვლევაზე დაფუძნებული საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ცოდნა
- გაუმჯობესდა საკლასო მუშაობა
- განვითარდა პოზიტიური დამოკიდებულება პროფესიულ განვითარების მიმართ
- შეიცვალა საბუნებისმეტყველო სწავლა-სწავლების მიდგომები
- გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობა კოლეგებს შორის

მასწავლებლები ინტერვიუში დასკვნებს აკეთებენ აგრეთვე პროექტში „ჯაჭვური რეაქცია“ მონაწილე მოსწავლეების შესახებ. ისინი საუბრობენ მოსწავლეთა გაზრდილი მოტივაციის შესახებ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ და მათი კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე. უკუკავშირიდან ნათელია, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდა. ბოლოს ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეუძლებელია განათლების რეფორმის წარმატება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bartholomew, H., Osborne, J., &Radcliffe, M. (2004). Teaching students “Ideas-about-science”: five dimensions of effective practice. *Science Education,88*[5], 655-682
2. Chain Reaction (2013) Retrieved 28/03/2016 from http://www.chreact.eu
3. European Commission (2007).*Science education now.A renewed pedagogy for the future of Europe.*Brussels: Directorate General for Research, Science and Economy. Retrieved 28/03/2016 from http://ec.europa.eu/research/science-society/document_library/pdf_06/report-rocard-on-science-education_en.pdf
4. Kapanadze, Janashia, &Eilks, 2010; Kapanadze, M., Janashia, S., &Eilks, I. (2010).From science education in the soviet time, via national reform initiatives, towards an international network to support inquiry-based science education – The case of Georgia and the project SALiS. In I. Eilks& B. Ralle (Eds.) *Contemporary science education* (237-242). Aachen: Shaker
5. Kapanadze, M., &Slovinsky, E. (2014).Inquiry science education with in the Project PROFILES in Georgia. In: Bolte, C., Rauch, F. (Eds), *Enhancing inquiry-based science education and teachers continuous professional development in Europe:* Insights and reflections on the PROFILES project and other projects funded by the European Comission, Berlin: FreieUniversitaet Berlin (Germany)/Klagenfurt: Alpen-Adria-Universit.t Klagenfurt (Austria). (112 – 118). Klagenfurt, Austria: KleinerDruck Klagenfurt.
6. Kelly, G. A. (1955). *The psychology of personal constructs*. New York: Norton.

Natela Bagatrishvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
Ekaterine Slovinski, Marina Kepanadze
Ilia State University

Research Based Teaching in Georgia

Abstract

Project Chain Reaction is a three-year (2013-2016) project funded by the FP7 program of European Commission. Chain Reaction aims to develop Inquiry Based Science Education (IBSE) across twelve partner countries. The project provides interactive and engaging IBSE professional development to teacher education professionals from each participating country using tried and tested inquiry based science resources. Ilia State University is a consortium member of the project and implements the project activities in Georgia. The Chain Reaction project offers 11 of the original Pupil Research Briefs (PRBs), which are based around "The Earth and the Universe" topic areas. Several studies were done during the implementation of the project. One of them is Kelly's Construct Theory, which is used to study the changes of Georgian science teachers' constructs of IBSE

საკვანძო სიტყვები: პროექტი „ჯაჭვური რეაქცია“, მასწავლებელთა კონსტრაქტები, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება.
Keywords: Project "Chain Reaction", teachers' constructs, research based teaching.

ხათუნა ზუბიტაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოსწავლეებში მულტიკულტურული განათლების განხორციელების ზოგიერთი პედაგოგიური მიდგომა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ლიტერატურის სწავლებისას

საქართველოს განათლების სისტემის ბოლონიის პროცესებში ჩართულობამ შეუქცევადი სისტემური რეფორმების აუცილებლობა წარმოშვა თავად სისტემაში: სკოლებში ევროპულ სივრცეში აღიარების პროცედურების ჩამოყალიბება და განხორციელება, მსოფლიო გლობალიზაციის კვალდაკვალ, მულტიკულტურული და ინტერკულტურული ურითიერთობების განვითარების აუცილებლობის პრიორიტეტულობა, ინოვაციური ცვლილებები მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო აქტივობების განსახოციელებელ მეთოდოლოგიაში - მასშტაბურობის ეფექტებს ქმნის განათლების რეფორმების მიმდინარეობაში, რომელსაც

სტიქიური და ერთგვარად დაუსრულებელი ხასიათი მიეცა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში.

ეს ერთი მხრივ გასაგებიცაა, რადგან თავად განათლების სისტემა, თავისი არსით, პროცესია და ის ერთბაშად ვერ განხორციელდება. მას დროის, მოქმედების სტრატეგიებისა და მეთოდოლოგიის, ,,განმახორციელებელთა" ფაქტორები ერთად განაპირობებს, ხოლო ეფექტურობისათვის სპეციალისტების, მკვლევარების, საზოგადოების ფრთხილ და გონივრულ მიდგომებს საჭიროებს.

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, ადამიანთა შორის მშვიდობიანი და თანაბარძალოვანი ურთიერთობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. თანამედროვე დემოკრატიული, მულტიკულტურული საზოგადოება ხასიათდება სამოქალაქო თანასწორობით, ტოლერანტობით, ურთიერთპატივისცემითა და აღიარებით. ხოლო, ამ ტიპის მოქალაქეთა ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია და მასში განათლებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ყოველივე ამისათვის, განათლების სისტემამ, რეფორმის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს, რომ შექმნას ისეთი სასწავლო გარემო და შეიმუშაოს ისეთი სტრატეგიები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობას – გახდეს თანაბარძალოვანი ნებისმიერ მულტიკულტურულ გარემოში. ასე რომ, დღეს, საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის პრიორიტეტია – მხედველობაში მიიღოს საზოგადოების მულტიკულტურული თავისებურებანი და ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის მშვიდობიან ურთიერთობას. ეს პრიორიტეტი გამოკვეთილია საქართველოს განათლებასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ დოკუმენტში (კანონები ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ, შრომის კოდექსი, ეროვნული სასწავლო გეგმა). სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მისიაა: ,,ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, სწავლა-სწავლების პროცესმა, ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას, ასევე, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისათვის [1], რაც გულისხმობს იმას, რომ განსხვავებული იდენტობების მქონე მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ გარანტირებული თანასწორობის ურყევი განცდა." უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევების ფარგლებში კულტურის უამრავ, ურთიერთგანსხვავებულ განმარტებას გავეცანით და დაგადგინეთ, რომ ყველა მეტ-ნაკლებად მართებულია. საერთო, რაც ყველა განმარტებას შორის იძებნება, არის ის, რომ კულტურა ადამიანთა ჯგუფის შრომისა და ფიქრის შედეგად შექმნილი გარემოა. მულტიკულტურალიზმი კი სხვადასხვა კულტურული წარმომადგენლისაგან შემდგარი ერთობლივი გარემო. „მულტიკულტურული განათლების იდეა ის გახლავთ, რომ ყველა ადამიანს, განურჩევლად სქესისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური კლასისა და ეთნიკური, რასობრივი ან კულტურული მახასიათებლებისა, სწავლის თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს"[4]. ხოლო, მულტიკულტურული განათლების მიზანია, სწავლება სხვადასხვა კულტურის შესახებ, რათა მიღწეულ იქნას მიმღებლობა განსხვავებული კულტურის მიმართ.

მიგვაჩნია, რომ სკოლებში მულტიკულტურული განათლების განხორციელება ერთი კონკრეტული სტურუქტურული ერთეულის, ან მხოლოდ მასწავლებლის მიერ შეუძლებელია. მასში თანაბრად უნდა იყვნენ ჩართული განათლების სპეციალისტებთან ერთად ფსიქოლოგები, ადმინისტრაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია, მშობლები და სხვა, ნებისმიერი დაინტერესებული პირი.

ბუნებრივია, რომ ეს პროცესი დაკვირვებისა და შესწავლისათვის მეტად საინტერესოა, მით უმეტეს, რომ ამგვარი საკითხების სისტემური კვლევები საქართველოში ნაკლებადა ჩატარებული, თუ არ გავითვალისწინებთ ცალკეულ, ფრაგმენტულ მონაცემებს, რომელთა შესწავლა მხოლოდ საკითხის ზოგადი სურათის გამოსავლენად გამოგვადგება. სწორედ ესაა ჩვენი სამუშაო კვლევის ინტერესის სფერო და მის ერთ ცენტრალურ საკითხზე გვინდა შევჩერდეთ. მულტიკულტურული განათლება, ისევე, როგორც ზოგადად განათლება, თავისი არსით, უწყვეტი პროცესია თავისი ჩამოყალიბებული სისტემური მიზნებით. იგი ორიენტირებულია განათლების თანასწორობაზე და დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრაზე, რომელიც არც თუ ისე იშვიათობაა საზოგადოებაში. მულტიკულტურული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჯეიმს ბენკსის აზრით, განათლების მუშაკი, საზოგადოებრივ მრავალფეროვნებასთნ დაკავშირებული პრობლემების შემცირებას შემოქმედებითად რომ მიუდგეს, უნდა ფლობდეს მულტიკულტურული განათლების კონცეფციებს, პრინციპებს, თეორიასა და პრაქტიკას. მისივე განმარტებით, მულტიკულტურული განათლება: ,,ეს არის იდეა, კონცეფცია, საგანმანათლებლო რეფორმა და პროცესი"(9). მისი განხორციელება, ვთვლით, რომ ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს სათანადო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პედაგოგთა გუნდის მიერ. რა უნდა იცოდეს პირველ რიგში ზოგადად მასწავლებელმა(ჩვენს შემთხვევაში ქართული ენისა და ლიტერატურის), რომელიც მოღვაწეობს მულტიკულტურულ გარემოში:

- მოსწავლეებს ყოველდღიურად სჭირდებათ მიკუთვნებულობის, დაფასებისა და აღიარების განცდა;
- მოსწავლეთა კულტურა ფასეულია და მათი კულტურული იდენტობა უნდა განმტკიცდეს გაკვეთილებისა და სწავლების გზით.

საქართველოში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკურად არაქართველია და უკანასკნელ პერიოდში მათი რიცხვი უფრო იზრდება. ქვეყანაში არსებული მრავალფეროვნება ასახულია საქართველოში არსებული არაქართულევანი საჯარო სკოლების არსებობის მაგალითზეც. მულტიკულტურული გარემო პედაგოგებს ავალდებულებს მულტუკულტურული განათლების პრინციპებისა და სტრატეგიების ცოდნას. მოსწავლეებს, მეცნიერ შალვა ტაბაძის მიხედვით, მულტიკულტურული განათლების ელემენტების გამოყენებით უვითარდებათ:

ა) მრავალმხრივი ხედვა;

ბ) კონფლიქტის თავიდან არიდების უნარი;

გ) ღირებულებების მიმართ პატივისცემა [1].

რომელთა ჩამოყალიბება მასწავლებელთათვის პირდაპირი პროფესიული მოვალეობა იქნება.

ჩვენი პროფესიული ინტერესიც ამის კვალდაკვალ დავიწროვდა და ძირითადი ფოკუსი კონკრეტულად, ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ქართული ენისა და ლიტერატურის გეგმიურ საკითხებზე მიიმართა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ მთავარი კვლევითი კითხვა: ,,აქვს თუ არა მოსწავლეს სრულად იმის პირობები და სასწავლო არეალი, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ფარგლებში სრულად დაეუფლოს მულტიკულტურული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ ღირებულებებსა და შესაბამის უნარ-ჩვევებს?"

აქვე შევნიშნავთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დამუშავებისას, მისი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მხატვრული ლიტერატურის საკითხების პირველადი, ზოგადი ანალიზით იკვეთება ერთგვარი უკმარისობა მულტიკულტურული განათლების განხორციელების საქმეში. ამ დანაკლისის ერთგვარად შესავსებათ, **ჰიპოთეტურად ვვარაუდობთ,** რომ საქართველოში მოღვაწე ქართველი და არაქართველი პოეტებისა და მწერლების შემოქმედება ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმის ამ ფუნდამენტური მისიის უკეთ განსახორციელებლად. ხოლო, თავად სწავლება, ორგანიზაციულად, შეიძლება მოიცავდეს როგორც საგაკვეთილო, ასევე არასაგაკვეთილო დროს. მთავარია, რომ სწორად განხორციელდეს მისი მენეჯმენტი.

ქართული ლიტერატურის სწავლება ვფიქრობთ, რომ უპირატესია მულტიკულტურული გარემოს შესაქმნელად კლასში სხვა საგნების სწავლებასთან შედარებით, ხოლო თავად მასწავლებელს, დიდი არეალი და შესაძლებლობება აქვს მსგავსი ტიპის ,,კლიმატის“ შესაქმნელად. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებისა დ მოსწავლეების შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი დიდაქტიკური მეთოდოლოგიის არსებობის პირობებში, ქართული ლიტერატურის მასწავლებელს კარგი შესაძლებლობები აქვს გამოიყენოს და განავითაროს ეს იდეა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი, თუმცა მულტიკულტურული გარემოსათვის სასარგებლო და ხელშემწყობი საკითხების ინტეგრირებით ტრადიციულ, გეგმიურ საკითხებთან. საგაკვეთილო პროცესში სასარგებლო იქნება ე.წ. პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება. მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, მოსწავლეებს დავავალოთ მსგავსი საკითხების მოძიება არაპროგრამული მასალებიდან, რათა შემდგომ მოვახდინოთ მათი შედარებითი დახასიათება. ეს შეიძლება ეხებოდეს მულტიკულტურული გარემოსათვის დამახასიათებელ განსხვავებული კულტურის, ტრადიციების, რელიგიის, შესაძლებლობების, ისტორიული ფაქტების, მწერლებისა და პოეტების შესახებ ინფორმაციების გამოვლენას ეპოქის, ადგილმდებარეობისა თუ სხვა რაკურსების მიხედვით. საკითხების შესწავლა შეიძლება როლური თამაშებითა და ჯგუფური მუშაობით გაღრმავდეს და განვითარდეს. საკითხის შესანიშნავი გაგრძელება შეიძლება იყოს კლასგარეშე საღამოები, დისპუტები, პოეზიის საღამოები, თემატური სპექტაკლები, სადაც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად დარბაზში იქნებიან მოსწავლეთა მშობლები, ახლობლები განსხვავებულები კულტურით, ეთნიკური წარმომავლობით, რელიგიით, სოციალური სტატუსით. ვფიქრობთ, შედეგი უსათუოდ პოზიტიური და ჯანსაღი ურთიერთობების გაღრმავების საწინდარი იქნება, სადაც მასწავლებელი იქნება ამ პროცესების მთავარი წარმართველი. ჰიპოთეზის უკეთ ინტერპრეტირებისათვის, ვფიქრობთ, ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტრატეგია და მეთოდოლოგია ეფექტის მომტანია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მუდმივად, უწყვეტი ციკლით მიმდინარეობს. სტიქიური, არასისტემატური, ერთჯერადი აქტივობები ადამიანური რესურსების ფუჭი ხარჯვაა და რისკის ქვეშ აყენებს, ან არასწორი მიმართულებით წარმართავს მის სამომავლო განვითარებას. ის შეიძლება მუდმივად გამდიდრდეს და განვითარდეს მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით, რადგან ვთვლით, რომ მულტიკულტურული ურთიერთობები მთავარი გამოწვევაა

საქართველოში საზოგადოებრივი მრავალფეროვნების მშვიდობიანი თანაარსებობისა და განვითარების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა. 2011წ
2. ინტერკულტურული განათლება - პედაგოგიური მიდგომები. საკითხავი მასალა სალექციო კურსისათვის. თბილისი. 2015წ.
3. კაპანაძე, ნ. 2014. მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლება. თბილისი.
4. ტაბატაძე, შ. 2008. ინტერკულტურული განათლება. თბილისი.
5. ქუინი, დ. 2010. მოსწავლეთა უმცირესობის ეფექტური სწავლების სტრატეგიები. თბილისი.
6. ჭიაბრიშვილი, ნ. 2015. შესავალი მულტიკულტურულ განათლებაში. თბილისი.
7. JAMES A. BANKS & CHERRY A. MCGEE BANKS, MULTICULTURAL EDUCATION: ISSUES AND PERSPECTIVES, 7TH ED, WILEY, 2010.

Khatuna Zubitashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Pedagogical Approaches of Implementing Multicultural Education While Teaching Georgian Literature in Secondary Schools.

Abstract

In the terms of world globalization peaceful relations of equal strength between the people is becoming more important. Modern democratic, multicultural society is characterized with civil equality, tolerance, respect and recognition. Formation of this kind of society is difficult and long lasting process where education occupies the major place. Education system in the framework of reforms should provide the creation of such learning environment and implement such strategies that encourages the youth to become the people of having equal strength in any kind of multicultural environment. Teaching Georgian literature is the priority for creating multicultural environment in the classroom comparing with other subjects. As for the teachers, they have wide possibilities for creating such “climates” in the classroom. In the conditions of didactic methodologies for developing teachers’ creative thinking and modern technologies in teaching, teachers of Georgian literature have good possibilities to use and develop this idea with the favorable issues for multicultural environment integrated with traditional, scheduled issues. For implementing this issue we can held events outside the classroom, use discussions, poetry events, thematic plays, where together with the school representatives, students’ parents, close people with diverse cultures, ethnic origin, religion and social status may be present.

საკვანძო სიტყვები: მულტიკულტურული განათლება, სკოლა, ქართული ლიტერატურა, კონცეფცია

Keywords: Multicultural education, school, Georgian literature, conception.

მარინე წიკლაური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირების საკითხები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება მრავალი ქვეყნის განათლების სისტემის პრიორიტეტია. ამ საკითხზე ზრუნვა საქართველოში 21-ე საუკუნეში არ დაწყებულა. ამგვარი ცნობიერებისა და ქცევის მაგალითები ქართველ მოსწავლეებს ყოველთვის მიეწოდებოდა საქართველოს ისტორიისა და ქართულის ლიტერატურის სწავლების გზით, ვინაიდან ეს საგნები მოქალაქეობრივი გმირობის მაგალითებითაა აღსავსე.

რას გულისხმობს სამოქალაქო განათლება? რა მახასიათებლებს მოიცავს მოქალაქეობრივი ცნობიერება? სტენფორდის ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში მიმოხილულია „სამოქალაქო განათლების“ (Civic Education) მნიშვნელობა და ისტორიული კონტექსტი, მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება აღზრდის პროცესის განუყოფელ ნაწილადაა მიჩნეული: „მოქალაქედ ჩამოყალიბება ევოლუციური პროცესია. ის უნდა ისწავლო და ასწავლო. მრავალი, თუ არა ყველა, საზოგადოება აღიარებს, რომ საჭიროა ახალგაზრდების აღზრდა „მოქალაქეობრივი განწყობით“, რაც გულისხმობს ფიქრსა და ზრუნვას ერთობის (საზოგადოების) საკეთილდღეოდ“.[1]

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება სწორედ ჯანსაღი მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირებით უნდა განხორციელდეს. ამ მოხსენების მიზანია, აღვწეროთ, რამდენად უხვადაა წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო განათლების პროგრამაში შესაბამისი თემატიკა, ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი მასალა; გავაანალიზოთ ცნება „მოქალაქის“ მნიშვნელობა ქართულ სამწერლობო ტრადიციაზე დაყრდნობით; მიმოვიხილოთ უცხო ქვეყნების გამოცდილება და თანამედროვე მიმართულებები აღნიშნულ სფეროში.

საქართველოს სკოლებში ამჟამად მოქმედ ეროვნული სასწავლო გეგმაში მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირებაზე ფოკუსირებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფი, რომელშიც შედის ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება და სამოქალაქო თავდაცვა. მათი სწავლების საერთო მიზნების ჩამონათვალი ითვალისწინებს: „ხელი შეუწყოს მოსწავლის თავისუფალ პიროვნებად და საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებას“, ასევე „ხელი შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბებას“, „დაეხმაროს მოსწავლეს ჰუმანური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში“[2] და სხვა. საგნობრივი ჯგუფის პროგრამა 15 მიმართულებას მოიცავს, მათ შორისაა: დრო და სივრცე; გარემო და ეკონომიკა; სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა; კულტურა და რელიგია; ადამიანი და საზოგადოება; გარემო და სოციალური სისტემები; პიროვნული განვითარება; მდგრადი

[1]Crittenden, Jack and Levine, Peter, (Summer 2013 Edition), "Civic Education", *The Stanford Encyclopedia of Philosophy*, URL<http://plato.stanford.edu/archives/sum2013/entries/civic-education/>. თარგმანი ჩვენია- მ.წ.

[2] ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016, თავი XXXV, გვ.993.

განვითარება და სხვები. ეს მიმართულებები 116 თემას აერთიანებს, მათ შორისაა: ქართული ანბანი; სტუმარმასპინძლობა საქართველოში; ლხინისა და ჭირის აღნიშვნა საქართველოში; განათლების კერები საქართველოში; ქართული სტამბა, ქართული ხელოვნება; ქართული პრესა; ქართული საგანძურის თავგადასავალი – ექვთიმე თაყაიშვილი; ძველი ქართული სამართალი; რას ნიშნავს ცნება „საქართველოს მოქალაქე“, სატრანსპორტო გზები, რომლებითაც საქართველო უკავშირდება გარესამყაროს, უცხოელი მოგზაურები საქართველოში.

„სამოქალაქო განათლების“ მე-10 კლასის ერთ-ერთ მიმართულებას გვინდა შევეხოთ - „პიროვნული განვითარების“ საკითხს. სტანდარტის თანახმად, „მოსწავლეს შეუძლია, გააანალიზოს ადამიანური ღირსების არსი“(მოქ.X.2); „მოსწავლეს შეუძლია, დააკავშიროს თავისუფალი პიროვნებისა და აქტიური მოქალაქის თვისებები“ (მოქ.X.3); „მოსწავლეს შეუძლია თვითდამკვიდრება საზოგადოებაში“(მოქ.X.1 [3] უდავოა, საკითხების ნათელყოფას მრავალფეროვანი საილუსტრაციო მასალა და ცხოვრებისეული თუ ლიტერატურული მაგალითი სჭირდება. ჩვენი აზრით, პიროვნული თავისუფლებისა და პიროვნული ღირსების საკითხების შესწავლისას „სამოქალაქო განათლების“ კურსში აქტიურად უნდა ჩავრთოთ ქართველი კლასიკოსების: რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის და განსაკუთრებით - ვაჟა-ფშაველას გმირების საქციელის განსჯა-ანალიზი. რა თქმა უნდა, ქართული ლიტერატურის გაკვეთილებზე გარკვეული ყურადღება ეთმობა ამ თემებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, პიროვნების განვითარების საკითხის ირგვლივ ფოკუსირებული და მოქალაქეობრივი ცნობიერების კუთხით სათანადოდ დამუშავებული ლიტერატურული მასალა არა მარტო გაუადვილებს მოსწავლეებს აღნიშნული საკითხების გააზრებას, არამედ სწორედ ეროვნული იდენტობის და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მიღება-გააზრებაში დაეხმარება.

საგნის კურსი ასევე უნდა ითვალისწინებდეს სიტყვა „მოქალაქის“ მრავალმხრივ მნიშვნელობას.იგი ბევრ ასპექტს მოიცავს: სულიერს, ფსიქოლოგიურს, სოციალურს, პოლიტიკურს, ზნეობრივ-ეთიკურსა და სხვას. ყველა ეს ასპექტი გადაჯაჭვული და ურთიერთგანმაპირობებელია. მხოლოდ ზნეობრივი, ფსიქოლოგიურად (ცნობიერად) განწყობილი პოროვნება „შედგება“ თავისი ქვეყნის და, აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ღირსეულ მოქალაქედ. სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსმა ყველა ეს ასპექტი უნდა გაითვალისწინოს.

ტერმინს „მოქალაქე“ ქართულ სამწერლობო ტრადიციაში უკავშირდება „ქალაქყოფა“, „მოქალაქობა“. „ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონში" ეს სიტყვები ძველი ქართული რედაქციების ყველა თხზულების ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობითაა განსაზღვრული: „მოქალაქე - ქალაქში მცხოვრები, гражданин,საქმე 21,39". [4] მაშასადამე, „მოქალაქე“, პირდაპირი გაგებით, ქალაქში მცხოვრებს ნიშნავს, ხოლო „მოქალაქობა“ ცხოვრებას, მოღვაწეობას უკავშირდება. ქართული სამოციქულოს ტექსტებში გვხვდება საინტერესო შესიტყვება – „**გონებითი კეთილმოქალაქობა**“: „გონებითა კეთილითა ვმოქალაქობ, საქმე 23,28"(იქვე). გონებითი კეთილმოქალაქობა ძველქართულ ტექსტებში სულის გადარჩენის, სასუფევლის დამკვიდრების გზაა: „ხოლო ჩუენი მოქალაქობაჲ ცათა შინა არს, – ფილიპ. 3,2" (იქვე). „საქართველოს

[3] ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი XXXV, სამოქალაქო განათლების სტანდარტი,X კლასი, გვ.1115

[4] ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, 2009, თსუ გამომცემლობა, რედაქტორი ლ.ბარამიძე, თბილისი, გვ, 252

სამოთხის“ შემდგენელი და გამომცემელი მიხეილ საბინინი (საბინაშვილი) თავისი წიგნის შესავალში სამადლობელს უძღვნის სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარ ნინას და **„ზეცისა მემოქალაქედ“** მოიხსენიებს მას: „ზოგი [იგულისხმება ზოგიერთი ჰაგიოგრაფიული ტექსტი-მ.წ.] მიბოძა სძალმან ქრისტესმან და ზეცისა მემოქალაქემან მცხეთის სამთავროს დედათ მონასტრის წინამძღუარმან ნინა“[5].

წმინდა გრიგოლ ხანძთელის ეპითეტი – **„უდაბნოთა ქალაქმყოფელი"**– გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკურ აღმშენებლობას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სულიერი „უდაბნოს" ქალაქად, ანუ კეთილ ღვაწლად, გარდაქმნას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძველქართულ ტექსტებში „მოქალაქობა“ აქტიურ, დინამიკურ პროცესს გამოხატავს – ზესწრაფვას სულიერი „განაშენიანებისკენ", ქალაქყოფისკენ. ამრიგად, მოქალაქეობრივი ცნობიერების ტრადიციას საქართველოში ღრმა ფესვები აქვს და ჰაგიოგრაფიიდან იღებს დასაბამს.

სამოქალაქო განათლების კურსი „მოქალაქეობის“ განმარტებისას ქართულ სამწერლობო ტრადიციას არ ითვალისწინებს, მხოლოდ სამართლებრივი და სოციალურ-პოლიტიკური კუთხით განმარტავს ტერმინს. თანამედროვე განმარტებით ლექსიკონებში მოქალაქეობა უცილობლად გულისხმობს კონკრეტული სახელმწიფოსადმი სამართლებრივ მიკუთვნებულობას: „მოქალაქის სტატუსი სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანს აძლევს გარკვეულ უფლებებს და მას ასევე აკისრია კანონით განსაზღვრული მოვალეობები" [6] . მაშასადამე, მოქალაქეობა გულისხმობს უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონმდებლობითაა განსაზღვრული. ლიტერატურული ტრადიციისა და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ტერმინი „მოქალაქეობა" მოიცავს, ერთი მხრივ, სულიერ მახასიათებლებს (სულიერი სრულყოფის გზას), მეორე მხრივ, კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს. ეს ორი მხარე ავსებს და ერწყმის ერთმანეთს. მოქალაქე პასუხისმგებელია როგორც ღვთის, ისე საზოგადოების წინაშე.

კარგი მოქალაქის ცნება გადაჯაჭვულია ზნეობასთან, ღირსებასთან, პიროვნულობასთან: „მოქალაქეობრივი ცნობიერების განმსაზღვრელი სათნოებები და მიდრეკილებები მჭიდროდაა დაკავშირებული ზნეობრივი პიროვნების ცნებასთან“[7]. ამ კავშირს უცხოელი მეცნიერები აღნიშნავენ შესიტყვებით – „კარგი ხასიათი“ (good character). „ხასიათის განათლება“ (character education) დღეს პრიორიტეტულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. „ხასიათის განათლება“ გულისხმობს ზნემაღალი, ტოლერანტი, გარემოზე მზრუნველი მოქალაქის აღზრდას, რომელიც მექანიკურად კი არ აღასრულებს ვალდებულებებს, არამედ შეგნებულად, გაცნობიერების კვალად. ასეთ მოქალაქე არასოდეს კარგავს ინდივიდუალობას, თვითმყოფად ხასიათს.

პუბლიცისტურ წერილში "დიმიტრი ყიფიანი" ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სიდიდე კაცისა არც მისი თანამდებობით განისაზღვრება და არც მეცნიერებით, არამედ „გულთასრულობით", "დიდხასიათობით": „არიან ბევრნი დიდხარისხოვანნიცა, მეცნიერნიცა, მოღვაწენიცა, მწერალნიცა, და **არ არიან მხოლოდ**

---

[5] საბინინი მიხეილ. 2015[1882], საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართუელოის წმიდათა, დიადემა, თბილისი, გვ. 7

[6] სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, თბილისი, გვ, 129

[7] Stanford Encyclopedia - თარგმანი ჩვენია - მ.წ.

ხასიათის კაცნი, კაცნი გულთა-სრულნი"[8]. მაინც რას გულისხმობს „გულთასრულობა და დიდხასიათობა“ ან როგორ მიიღწევა ეს მდგომარეობა? ილია ჭავჭავაძის წერილში არის ამისი პასუხიც.

რუსიფიკატორულ რეჟიმთან დაპირისპირებული დიმიტრი ყიფიანის თბილისში ჩამოსვენებამ საყოველთაო გლოვა გამოიწვია, ქალაქის ქუჩები ჭირისუფალთ ვერ იტევდა. ილია სვამს შეკითხვას - რამ განაპირობა ასეთი საარაკო გლოვა? იგი განაგრძობს: გარდაცვლილს ყოველთვის გლოვობენ, ზოგს მხოლოდ ახლობლები დასტირიან, ზოგს – უფრო ფართო წრე, დიმიტრი ყიფიანს კი მთელი ერი გლოვობს – რატომ? ილია ჩამოთვლის გარდაცვლილის დამსახურებებს – იგი იყო საზოგადო მოღვაწე, დიდი მეცნიერი, პოეტი, ნიჭიერი ადამიანი... მაგრამ ეს არის მთავარი, მთავარი ისაა, რომ მისი დაკარგვით თითოეულს თითქოს სხეულის ნაწილი მოჰგლიჯეს,დიმიტრი ყიფიანი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ყოველ მათგანთან. ამგვარ, შინაგანი შეგნებითა და ღირსებით მოტივირებულ მოქალაქეობრივ გმირობას „გადამდები“ ხასიათი აქვს, გულგრილს არვის ტოვებს. მოაქვს ერთობა, შეკავშირება, თანაგანცდა.

დიმიტრი ყიფიანის გმირობა დიდბუნებოვანი ადამიანების ხვედრია, რომლის მსგავსიც მრავლად მოიძებნება სხვადასხვა ქვეყნის ისტორიასა და ლიტერატურაში. სახელმწიფოები განსაკუთრებით ზრუნავენ ამ მაგალითების პოპულარიზაციისათვის, სასწავლო კურსებში რთავენ მათ, სასკოლო დისკუსიებს აწყობენ და ამ გზით გონებრივი განსჯისა და „გულის კულტურას“ ავითარებენ. ამერიკელი მეცნიერი ფილიპ მარკუსი თავის წიგნში „განათლების სისტემა – სამსჯავროზე: მომავლის სტრატეგიები“ აღნიშნავს: „ბოლოს და ბოლოს, დასასმელია კითხვა: ვის სჭირდება განათლება – მხოლოდ გონებას თუ მთლიანად ადამიანს? მხოლოდ თავს თუ გულსაც?“ [9] ბოლო დროს სულ უფრო დიდი ადგილი ეთმობა „გულის კულტურის“ განვითარებას, ემოციური ინტელექტის ხელშეწყობას. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას უდიდესი პოტენციალი აქვს. მას შეუძლია, ევროპისა და ამერიკის სამოქალაქო განათლებას შესთავაზოს უმნიშვნელოვანესი მაგალითები ჯანსაღი მოქალაქეობრივი ცნობიერებისა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის კურსებიდან.

ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“ საუკეთესო მასწავლებელია მოქალაქეობრივი ცნობიერების უმთავრესი თვისების – ტოლერანტობისა, „სტუმარ-მასპინძელი“ დღემდე იწვევს უცხოელ ფილოსოფოსთა დიდ დაინტერესებას. თანამედროვე მკვლევარი პაატა ჩხეიძე გვთავაზობს პოემის საინტერესო, ახლებურ ინტერპრეტაციას, რომელიც გლობალიზმის ეპოქას ეხმიანება: „სტუმარ-მასპინძელში“ მოქმედებს მესამე ქრონოტოპოსი, უფრო ძლიერი და უფრო კონკრეტული, ვიდრე სტუმარმასპინძლობა და სისხლის აღებაა. ეს გახლავთ რაინდული კანონი... „სტუმარ-მასპინძელსა“ და „ალუდა ქეთელაურში“ სტუმარმასპინძლობა და რაინდობა თემსა და მის კანონს კი არ უპირისპირდება, არამედ უმრავლესობის დესპოტიზმს, რასაც დღეს რევოლუციებსა და გლობალიზმს უწოდებენ“[10].

---

[8] ჭავჭავაძე ილია 1987, დიმიტრი ყიფიანი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ მე-4, თბილისი, გვ. 395

[9] მარკუსი ფილიპ, „განათლების სისტემა-სამსჯავროზე: მომავლის სტრატეგია“, ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“. 2000. #1, თარგმნა ირინე ჩომახაშვილმა.

[10] ჩხეიძე პაატა, ორი კანონის ჭიდილი, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2006 #15, გვ,37

ჩვენი აზრით, მოქალაქეობრივი ცნობიერების ფორმირება კანონებისა და კონვენციების გაცნობასთან ერთად მოსწავლეების თვითშეგნების ამაღლებას საგანგებოდ შერჩეული და თემატურად შედგენილი ლიტერატურული მაგალითებითაც უნდა ახორციელებდეს. ამ გზით შესაძლებელია მოქალაქებრივი აზროვნების პრინციპების არა მხოლოდ დასწავლა, არამედ სრულყოფილად შეთვისება-გათავისება, რადგან ლიტერატურა საუკეთესო გზაა „გულის კულტურის“ განსავითარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016, http://mes.gov.ge/mes.gov/content.php?id=3923&lang=geo.
2. მარკუსი ფილიპ, „განათლების სისტემა-სამსჯავროზე: მომავლის სტრატეგია“, ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“. 2000. #1, თარგმნა ირინე ჩომახაშვილმა.
3. საბინინი მიხეილ, საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაი ღუაწლთა და ვნებათა საქართუელოის წმიდათა, დიადემა, თბილისი. 2015[1882].
4. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, თბილისი, 2011.
5. ქართული სამოციქულოს სიმფონია - ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, რედაქტორი ლ.ბარამიძე, თბილისი, 2009,
6. ჩხეიძე პაატა, ორი კანონის ჭიდილი, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2006 #15.
7. ჭავჭავაძე ილია, დიმიტრი ყიფიანი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ მე-4, თბილისი, 1987.
8. Crittenden, Jack and Levine, Peter, (Summer 2013 Edition), "Civic Education", *The Stanford Encyclopedia of Philosophy* EdwardN.Zalta (ed.), URL <http://plato.stanford.edu/archives/sum2013/entries/civic-education/>.

Marine Tsiklauri
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Issues of Formation Civic Consciousness in Public Schools of Georgia

Abstract

Formation of civic consciousness is a priority of educational systems of many countries. Georgia has an interesting literary tradition in that way. The article gives the meaning of the word „citizen“ from the hagiographic Georgian literature till nowadays. The history and literature of Georgia is reach with the examples of civic heroism. One of them is a behavior of Dimitri Kipiani, who protested the curse of Geogrians by Russian Egzarch of Georgia Pavel Lebedev in 1886. He was sent into exile to Stavropol and was killed there. There are lots of similar revealing of civic consciousness in Georgian tradition. Nowadays, when Georgian school starts the special learning programs of civic education, it is necessary to use the original, national experience and not only translations of the courses of foreign studies.The article draws an attention to great Georgian poet Vazha-Pshavela's poetry, his poems „Aluda Ketelauri“ and „Host and Guest“ must be involved in the civic education courses of the world, because they give the best examples of tolerance, humanity, khnigthood and morality.

საკვანძო სიტყვები : სამოქალაქო განათლება, მოქალაქეობა, ლიტერატურა, ვაჟა-ფშაველა, გლობალიზაცია.

Keywords: Civic education, citizenship, literature, Vazha-Pshavela, globalization.

მარინე დგებუაძე, მადონა გიორგაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მულტიმედიური საშუალებების გამოყენების როლი სწავლების პროცესში

სწავლების ტრადიციული მეთოდოლოგია ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა. მის საფუძვლად აღებული იყო მენტორთან (მასწავლებელთან) კომუნიკაციის შედეგად ცოდნის მიღების პრინციპი. მენტორი ასწავლიდა კრიტიკულ აზროვნებას, აფასებდა საკუთარ კითხვებზე გაცემულ პასუხებს, განმარტავდა საჭირო მასალას. ტექნოლოგიურმა განვითარებამ, რომელსაცინფორმაციის მუდმივი განახლება მოჰყვება, გამოიწვია მოთხოვნების ზრდა განათლების პროცესში. მართალია, ინტერნეტმა ინფორმაცია ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახადა, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა, მაგრამ ჭარბი ინფორმაციის გადარჩევისა და საჭიროების მიხედვით დალაგების პრობლემა შექმნა. დღეს უკვე რთულია წარმოვიდგინოთსასწავლო პროცესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. თანამედროვე ინფორმაციულ გარემოში კი სწავლების პრობლემას წარმოადგენს, როგორც მრავალჯერ გაზრდილი ინფორმაციის სიჭარბე, აგრეთვე, მასწავლებლის როლის შემცირების ტენდენცია.

სწავლების თანამედროვე მეთოდიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენებას. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს პრეზენტაცია წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ მულტიმედიური პრეზენტაციის მეშვეობით სალექციო მასალის მიწოდება სწავლების ჩვეულ პრაქტიკადაც კი იქცა. მოცემულ სტატიაში განვიხილავთ სასწავლო გარემოში მულტიმედიური საშუალებების გამოყენების პრინციპებს, რომლებიც მაქსიმალურად ეფექტურს გახდის სალექციო პროცესს.

მულტიმედიური პრეზენტაცია – არის პროგრამა, რომლიც შეიძლება მოიცავდეს ტექსტურ მასალას, ფოტომასალას, ნახატებს, ნახაზებს, სლაიდ–შოუებს, ბგერით გაფორმებას, ვიდეო ფრაგმენტებს, ანიმაციას, სამგანზომილებიან გრაფიკას და სხვა საშუალებებს. ძირითადი მახასიათებელი, რომლითაც პრეზენტაცია განსხვავდება ინფორმაციის მიწოდების სხვა მეთოდებისგან – არის ინტერაქტულობა და ინფორმაციის ტევადობა. პრეზენტაციის გამოყენება ეხმარება მენტორს მეცადინეობების დროს მიწოდებული მასალა უფრო თვალსაჩინო გახადოს, რაც გაზრდის სტუდენტის მიერ ათვისებული მასალის სიჩქარეს და მოცულობას.

ცივილიზაციის განვითარებამ შეგრძნებების ორგანოების მეშვეობით სამყაროს თანაბრად აღქმამინიმუმამდე დაიყვანა. ინფორმაციის აღქმის განსაკუთრებულობაზე

საუბრისას მნიშვნელოვანიააღვნიშნოთ, რომ ადამიანი შემდეგი თანაფარდობით აღიქვამს ინფორმაციას:



The American University of Paris, 2015

დიაგრამა ნათლად გვიჩვენებს, რომ სასწავლო პროცესში წამყვანი მოდალობა მხედველობითია და ვიზუალური მასალის მიწოდებას სალექციო პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ვიზუალური აზროვნების უპირატესობას ხელს უწყობს აგრეთვე თანამედროვე ტენდენციებიც თავისი გრაფიკებით, ნახატებით, ფოტოებით, ანიმაციებითა თუ სატელევიზიო შოუებით. მრავალრიცხოვანი კვლევები ცხადჰყოფს,რომ ადამიანის ტვინი ვიზუალურმასალას ბევრად უფრო სწრაფად აღიქვამს, ვიდრე ტექსტობრივს. უფრო კონკრეტულად კი ვიზუალური სწავლების ალიანსის კვლევების თანახმად:

- მოსახლეობის 65% მხედველობითი სწავლის ტიპს მიეკუთვნება (Mind Tools, 1998);
- ტვინს შეუძლია აღიქვას სურათი13 მილიწამში;
- ერთი საათის განმავლობაში თვალს შეუძლია დააფიქსიროს 36 000 ვიზუალური ხატი (3M Corporation, 2001);
- ჩვენ შეგვიძლია აღვიქვათ ვიზუალური ხატის მნიშვნელობა 0.1 წამში;
- ტვინი ინფორმაციის 90 % ვიზუალური გზითიღებს.
- ტვინი გადაამუშავებს ვიზუალურ მასალას 60 000-ჯერ სწრაფად, ვიდრე ტექსტურს. (3M Corporation, 2001);
- თვალსაჩინოების გამოყენება საკლასო ოთახში 400% ზრდის სწავლის ეფექტს. (3M Corporation, 2001).

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ შექმნილი პრეზენტაციის მიზანი უნდა იყოს სტუდენტის მიერ მასალის მაქსიმალური აღქმადობა. სტუდენტმა უნდა შეძლოს გაიგოს და დაიმახსოვროს დიდი მოცულობის ინფორმაცია სწრაფად და ხარისხიანად. ამიტომ მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნას უნივერსალური სტანდარტი, რომლის გამოყენება

შესაძლებელი იქნება ნებისმიერი სალექციო კურსის პრეზენტაციების შესაქმნელად. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია შემდეგი ნიუანსების გათვალისწინება:

- სლაიდებზე განთავსებული ტექსტი – არ უნდა იყოს გადატვირთული, რადგან მისი წაკითხვით, სტუდენტი იღლება და ინტერესს კარგავს;
- მიზანშეწონილია ასოციაციური ფოტომასალის გამოყენება, რომელიც ასახავს ტექსტის მთავარ იდეას, ეს გვაძლევს დისკუსიის დაწყების საშუალებას, იწვევს სტუდენტების პროვოცირებას დასვან კითხვები. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ზრდის ინტერაქციის დონეს და მსმენელის ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- ლექტორის მიერ შექმნილი ილუსტრაციები (პორტრეტები, აუთენტური ვიზუალური ინფორმაცია) უნდა იყოს კონკრეტული, მოჰყვებოდეს განმარტებები და ეყრდნობოდეს ტექსტს;
- სემინარების და პრაქტიკული მეცადინეობების დროს, პრეზენტაციის ძირითადი მიზანი დისკუსიის წარმართვა და პრაქტიკული დავალებების შესრულება უნდა იყოს. სლაიდების სტრუქტურა უნდა ემსახურებოდეს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სალექციო პროცესში;
- არ არის მიზანშეწონილი მთლიანი სალექციო პროცესი მხოლოდ პრეზენტაციის განხილვაზეიყოს დაყრდნობილი, რადგან ხანგრძლივი პრეზენტაციები დამღლელია, რამდენადაც ინფორმაციული და თვალსაჩინო უნდა იყოს იგი (ლექტორს უნდა ჰქონდეს დამატებითი აქტივობები, რომლებიც სტუდენტებს აქტიურად ჩართავს სალექციო პროცესში და თემის განხილვაში);
- სლაიდების შეცვლის სიჩქარე შერჩეულიუნდა იყოს მსმენელის ასაკის და ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;
- არ არის მიზანშეწონილი სლაიდების გადატვირთვა ანიმაციური ეფექტებით;
- უწყვეტ რეჟიმში პრეზენტაციის ჩვენების დრო არ უნდა აჭარბებდეს ნახევარ საათს;
- პრეზენტაციის შექმნისას აუცილებელია გავითვალისწინოთ მსმენელების ინტერესები, მათი სასწავლო საფეხური, წიგნიერების საშუალო დონე, მსმენელების განლაგება აუდიტორიაში;
- პრეზენტაციაში გამოყენებული ტერმინები, აბრევიატურა, უცხო სიტყვები განმარტებული უნდა იყოს ლექტორის მიერ;
- პრეზენტაცია არის ლექტორის დამხმარე საშუალება და არა მისი შემცვლელი.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ინფორმაციული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის გაუმჯობესების უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. მსგავსი ტექნოლოგიების სალექციო პროცესში დანერგა უნდა ემსახურებოდეს დამატებითი დამხმარე ფაქტორის და არა ლექტორის შემცვლელის შექმნას. მულტიმედიური პრეზენტაციების გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ სწავლების ხარისხი, განუვითაროთ სტუდენტებს კრეატიული აზროვნება და დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევები, რაც მათ პროფესიულ ზრდას განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Acosta-Restrepo, Margarita., 2015, Master's Thesis Presentation Standards, *Office of Academic AffairsUniversity Library*The American University of Paris, pp.6-13
2. СеменоваЕ.И., Семенов В.И., СеменоваН.И., 2013, Медиакультура профессионала: сущьность, вызовы, возможности., Современные проблемы науки и образования, № 5, ст. 79-85http://www.science-education.ru/ru/article/view?id=10007 (10.04.2016)
3. Руе, Джен., 2008, *Искусство презентаций,* Пер. с англ. Кашников В., ISBN- 5-8183-1055-8., ст. 287-316
4. Вербовский Д., Особенности использования мультимедийных презентаций в учебном процессе высшей школы., *Информационно-технологическоеобеспечениеобразовательногопроцессасовременногоуниверситета*., http://www.bsu.by/main.aspx?guid=1111&detail=500403 (10.04.2016)
5. http://info.shiftelearning.com/blog/bid/350326/Studies-Confirm-the-Power-of-Visuals-in-eLearning (12.04.2016)
6. http://visualteachingalliance.com/ (12.04.2016)

Marine Dgebuadze, Madona Giorgadze
Ilia State University

The Role of Multimedia in Teaching

Abstract

This article discusses the use of multimedia presentations and a modern role in the learning process. Teaching methods described in this arrangement, a multimedia presentation, creating and presenting the basic requirements. The article bears a practical character, for universities professors and high school teachers.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ტექნოლოგიები, პრეზენტაცია, მულტიმედიური საშუალებები, საჯარო გამოვლა, მსმენელი.
Keywords: Information technology, presentation, multimedia facilities, public reveal listeners.

ნინო ყურაშვილი, ნინო მოდებაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელეტრონული სწავლების სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი ორიენტირები უმაღლეს განათლებაში

დღევანდელ დიგიტალიზებულ მსოფლიოში ახალი ტექნოლოგიები გამუდმებით ცვლის ადამიანებს შორის კომუნიკაციის ფორმებს. განათლება ერთ-ერთი სფეროა, რომელშიც ახალი ტექნოლოგიები ინტენსიურად ინერგება, რადგან თავად განათლების სფეროს მზარდი განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვაა სისტემაში. სტუდენტებს

აღარ სჭირდებათ ლექციების შემდეგ უნივერსიტეტში დარჩენა, რათა დამატებითი კონსულტაციები მიიღონ; ამისთვის, მათ შეუძლიათ სოციალური ქსელების მეშვეობით დაუკავშირდნენ თავიანთ ლექტორებს, დაამუშაონ სასწავლი კურსების შესაბამისი ონ–ლაინ და ოფ–ლაინ კოლექციები და უფრო მოქნილი და შემოქმედებითი გახადონ საკუთარი სწავლის პროცესი.
სასწავლო პროცესის ამგვარი წარმართვა დიდი სარგებელს წარმოადგენს თავად უნივერსიტეტისათვის, რადგან, მათ, ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში, უნივერსიტეტების კონკურენციის პირობებში, კარგი საშუალება ეძლევათ განვუვითარონ სტუდენტებს უნარები და კომპეტენციები, რომლებიც 21 საუკუნის საჭიროებებს აკმაყოფილებს, უფრო ზუსტად, სტუდენტების ციფრული (კომპიუტერული) წიგნიერების კომპეტენციები მათი წარმატებული პროფესიისათვის, კარიერისათვის. მარტივად რომ ვთქვათ, ყველა ის უნარი, რომლებიც საჭიროა მომავალში კარგი სამუშაოსა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად. ელექტრონული სწავლება წარმატებით აპრობირებული პრაქტიკაა ევროპაში და თანდათან იკიდებს ფეხს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. მოსწავლისა და სტუდენტის აღჭურვა ციფრული წიგნიერებით ქართული განათლების სისტემის პოლიტიკის ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია და მის სამართლებრივ რეგულაციებშიც პოვებს ასახვას (საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა, საქართველოს უმაღლესი განათლების კანონი), ამიტომ, ელეტრონული სწავლების საუნივერსიტეტო პოლიტიკად ქცევა და მისი პრაქტიკული განხორციელება საქართველოს უნივერსიტეტებისათვის საშური საქმეა.

როგორც ევროპული გამოცდილების შესწავლამ დაგვარწმუნა, ელექტრონული სწავლება რთული, სისტემური, ციკლური პროცესია თავისი მიდგომებით, სტრატეგიებით, განხორციელების ეტაპებით, შესასრულებელი ამოცანებითა და ინსტრუმენტებით, შესაბამისი უკუკავშირით. ამდენად, მისი დანერგვა უნივერსიტეტში ასევე სისტემური, გონივრული, განხორციელებადი დაგეგმარებით უნდა განხორციელდეს.

იმთავითვე შევნიშნავთ, რომ ელექტრონული სწავლების სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მუშაობისას გვერდი ავუარეთ სტრატეგიული გეგმის შემუშავების ტრადიციულ ჩარჩოს და განვსაზღვრეთ გეგმისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებზედაც ცალ–ცალკე შევჩერდებით.

1. **ორგანიზაციაში სწავლების ელექტრონული ფორმის დანერგვის აუცილებლობა:**

ელექტრონული სწავლება საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მოწინავე სტრატეგიაა და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კანონთან (თუმცა, ამავე კანონით, ელექტრონული სწავლების ფორმატი ,,დისტანციური სწავლება“ ჯერ-ჯერობით დასაშვებია მხოლოდ ქვეყნის შიგნით). რეფორმებმა საქართველოს უმაღლეს საგანამანთლებლო სივრცეში და სტუდენტზე ორიენტირებული პროცესის დანერგვამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა უნივერსიტეტები. ელექტრონული სწავლება ახალი ტიპის სწავლების, სტუდენტთა უნარ-ჩვევებით აღჭურვის, უნივერსიტეტების ცნობადობის გაზრდის ინოვაციური და სასარგებლო ფორმატია, რომლის მეშვეობით შესაძლებელია:

1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის;
2. ელექტრონული სწავლების საშუალებით უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა და რებრენდინგი;

3. საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება;
5. სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა (თუმცა, ამ ეტაპზე, ელექტრონული სწავლების ფორმატში ვიყენებთ პირისპირ შეხვედრებსაც, ამიტომ, სტუდენტთა რაოდენობა შეზღუდულია აკრედიტაციის სტანდარტებიდან გამომდინარე);
6. მოწინავე გამოცდილების გაზიარება–დანერგვა;
7. სწავლებაში ახალი ტექნოლოგიებისა და შესაბამისად ახალი დიდაქტიკური მეთოდოლოგიის შექმნა და დანერგვა.

უფრო კონკრეტულად, უნივერსიტეტისათვის იზრდება შესაძლებლობა, რომ:

- ✓ შემუშავდეს ახალი, გაუმჯობესებული მეთოდები ცოდნის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
- ✓ იყოს მეტი ხელმისაწვდომობა სტუდენტისათვის;
- ✓ რესურსები უკეთესად გამოიყენოს (პროგრამული და აპარატურული საშუალებები, ადამიანური რესურსები: მენტორები, მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი);
- ✓ მოახდინოს სასწავლო მასალის ადვილი რედაქტირება და განახლება;
- ✓ დანერგოს სასწავლო მასალის დისტრიბუციის განსხვავებული მოდელები (პირისპირ სწავლება, ონ–ლაინი, ოფ–ლაინი);
- ✓ სასწავლო კურსის შინაარსი შეიძლება ხელახლა იქნეს გამოყენებული და გაზიარებული უნივერსიტეტის ფარგლებში, ან მოხდეს მისი გაცვლა პარტნიორ ორგანიზაციებთან.

სტუდენტებს მეტი შესაძლებლობა აქვთ, რომ:

- ✓ სწავლება მოარგონ საკუთარ ინდივიდუალურ მოთხოვნებს;
- ✓ შემსწავლელმა თავად აკონტროლოს სასწავლო პროცესი;
- ✓ მოირგოს სასწავლო მასალა და მეტად გასაგები გახადოს სწავლისათვის;
- ✓ ხელახლა, მრავალჯერ(საჭიროების შემთხვევაში) გადახედოს მასალას;

იზრდება სწავლების პროდუქტიულობა, რაც გამოიხატება:

1) სტუდენტის კომპეტენციის ამაღლებაში;
2) ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სისწრაფის ზრდაში;
3) ეფექტური გუნდური მუშაობის უზრუნველყოფაში;
4) მიმდინარე შეცდომების შემცირებაში;
5) სტუდენტი, რომელიც იძენს თანამედროვე განათლებას, იძენს სხვადასხვა უნარს კარიერული წინსვლისათვის; შესაბამისად, სტუდენტი, რამდენადაც წარმოადგენს უნივერსიტეტის სახეს, დადებით გავლენას ახდენს მის იმიჯზე.

2. ორგანიზაციაში სწავლების ელექტრონული ფორმის დანერგვისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის ანალიზი, რომელიც ფაქტიურად გვაძლევს საშუალებას, გამოვკვეთოთ ელექტრონული სწავლების განხორციელებისათვის უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები) ;

ადამიანური რესურსი, რომელიც, ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტისათვის სიძნელეს არ უნდა წარმოადგენს და ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს, არის:
ელექტრონული სწავლების განმახორციელებელი გუნდი, რომლის წევრებს შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი ფუნქციები:

- ✓ ელეტრონული სწავლების კომპიუტერული კოორდინაცია და მართვა;
- ✓ პედაგოგიური მეთოდოლოგიის (მეთოდოლოგიური და დიდაქტიკური კონცეფციებისა და მეთოდების შემუშავება ელექტრონული სწავლებისა და სხვა საგანმანათლებლო მიზნებისათვის);

✓ სასწავლო მასალის დამუშავება და ე.წ. კონტენტის შექმნა;
✓ ელექტრონული სასწავლო პროცესის წარმართვა; (**ავტორები, შინაარსის შემქმნელები, Web დიზაინერები)**
✓ მეთოდისტების მიერ შემუშავებული ინსტრუქციული კონცეფციების განხორციელება და სასწავლო მასალისათვის ელექტრონული ფორმის მიცემა; **მასწავლებლები და ხელმძღვანელები**;
✓ მსმენელთა მხარდაჭერა სასწავლო პროცესში; ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის (სწავლების მართვის სისტემების და სხვა ინფრასტრუქტურული ელემენტების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა

ელექტრონული სწავლების განხორციელების დაგეგმვისას, გასათვალისწინებელია და სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს:

1) სპეც. ფსიქოლოგები, რომლებიც კარგი რესურსი იქნებოდა სამიზნე ჯგუფების განსაზღვრისას;
2) ვებ-დიზაინერი (მხატვარი);
3) სასწავლო მასალის დამუშავების ოპერატორები
4) მენტორებისა და ტუტორების ინსტიტუტი;

ჩამოთვლილი სუსტი მხარეების გასაძლიერებლად და შესაბამისად, განვითარების შესაძლებლობებად მოვიაზრებთ:

1) ფინანსური მხარის მოგვარებას;
2) ადამიანური რესურსის გადამზადებას;
3) ტექნიკური რესურსის გადახალისებას.

3. მიზნობრივი ჯგუფის ზოგადი აღწერა (არსებულის და პოტენციურის):

მაგალითისათვის განვიხილავთ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემებს: ელექტრონული სწავლების განხორციელების პროცესში, სამიზნე ჯგუფში ზოგადად შეიძლება მოვიაზროთ სტუდენტები დამოუკიდებლად სქესის, ეროვნებისა და კულტურულ მემკვიდრეობათა განსხვავებისა, რომელთა ასაკი საშუალოდ არის 18-30 წელი(დოქტორანტებისათვის ეს ასაკი შეიძლება გაიზარდოს). სამიზნე ჯგუფის წევრთა სტატუსი, კონკრეტული შემთხვევებისათვის კი შეიძლება დაჯგუფდეს გენდერული, რელიგიური, ასაკობრივი, სწავლების საფეხურის მიხედვით.

პრერეკვიზიტი: სტუდენტებს განვითარებული უნდა ჰქონდეთ მედია-უნარები მინიმუმ საშუალო დონის და ჩამოყალიბებული სწავლის მაღალი მოტივაცია.

4. ორგანიზაციაში სწავლების ელექტრონული სწავლების ფორმა, რომლის დანერგვაც არის შესაძლებელი (შერეული, წმინდა ელექტრონული სწავლება);

- შერეული ტიპის სწავლება, რაც გულისხმობს ელექტრონულ სწავლებაში პირისპირ სწავლებისა და ინტერნეტით სწავლების ელემენტების შეხამებას.

5. ორგანიზაციაში სწავლების ელექტრონული ფორმის დანერგვისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსები: ამ პუნქტის ჩამოყალიბებისას გასათვალისწინებელია ელექტრონული სწავლების განმახორციელებელი პერსონალის ხელფასი და ტექნიკური აღჭურვისათვის აუცილებელი თანხები.

6. ორგანიზაციაში სწავლების ელექტრონული ფორმის დანერგვისათვის აუცილებელი პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფა, რომელიც მოიაზრებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს ელექტრონული სწავლებისთვის:

- ✓ აპარატურული უზრუნველყოფა: პლატფორმა, სერვერი, ტექნიკა მსმენელისა და მენტორისათვის.
- ✓ პროგრამული უზრუნველყოფა: Moodle, Microsoft Office Programs (სრული პაკეტი), საავტორო საშუალებები (მაგ. eXelearing);

7. სწავლების ელექტრონული ფორმის მარკეტინგი ორგანიზაციის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ: სწავლების ელექტორნული ფორმა სასწავლო პროცესისადმი შედარებით ახალი მიდგომაა, ამიტომ მას აუცილებლად სჭირდება პოპულარიზაცია როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ასევე მის გარეთაც. ორგანიზაცის შიგნით სწავლების ამ ფორმის მარკეტინგისა და პოპულარიზაციისათვის, სტრატეგიული დაგეგმარებისას გასათვალისწინებელია სემინარების ჩატარება პროფესორ-მასწავლებელებისთვის, რათა მათ მიეწოდოთ უფრო ღრმა და დეტალური ინფორმაცია ელექტრონული სწავლების შესახებ, სწავლებების/გადამზადების ჩატარება იმ დაინტერესებული ადამიანებისათვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, ჩაერთონ ელექტრონული სწავლების დანერგვის პროცესში. არსებითია გარკვეული გაცნობითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარება სტუდენტებისთვისაც, სადაც ისინი მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას მათთვის სწავლის ახალი შესაძლებლობების შესახებ. უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ელექტრონული სასწავლო კურსების პოპულარიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო გზად პარტნიორ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათთან სასწავლო რესურსებისა და გამოცდილების გაზიარება მიგვაჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011 წელი, თბილისი;
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2005 წ. თბილისი;
3. Giz-ის მასალები ელექტრონული სწავლების შესახებ, თბილისი, 2011 წელი

Nino Kurashvili, Nino Modebadze

Iakob Gogebashvili Telavi State University

The Main Guidelines of Strategic Planning of E-Learning

Abstract

E-learning has been successfully approved in European practice and is gradually established in Georgian Education space. To provide a pupil and a student with digital literacy is one of the main priorities of Georgian Education System. And it regulates this process legally. (National Curriculum of Georgia, Law of Georgia on Higher Education), therefore it is very important for universities to implement and use in practice e-learning on university level. As an European experience shows that e-learning is a complex, systematic, cyclical process with its approaches, strategies, implementation milestones, goals and instruments, with the tasks that to be performed and its appropriate feedback. Thus e-learning at universities should be implemented systematically and wisely. In the article there are identified and described necessary and important points of strategic planning of e-learning separately and that is essential for effective development of e-learning platform.

საკვანძო სიტყვები: ელეტრონული სწავლება, სტუდენტი, უნივერსიტეტი,

Key words: E-Learning, a student, an university

პროფესიულ სფეროში ინოვაციური პროცესების განვითარების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები: გამოცდილება და პერსპექტივები

დავით მახაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგიური კომუნიკაციის თავისებურებანი უმაღლეს სასწავლებელში

პედაგოგიური ფსიქოლოგიის დარგის კვლევებმა გვიჩვენა, რომ პედაგოგიური სირთულეების გარკვეული ნაწილი განპირობებულია, როგორც მასწავლებლის სამეცნიერო და მეთოდოლოგიური მომზადებით, ასევე პროფესიონალური და პედაგოგიური კომუნიკაციის სფეროს დეფორმაციითაც.

ადამიანური ურთიერთობები სასწავლო პროცესში იგება სუბიექტ-სუბიექტურ საფუძველზე, როდესაც ორივე მხარე, როგორც პიროვნება და საკომუნიკაციო პროცესის წევრი, თანაბარ პირობებშია. ამ პირობის დაცვის შემთხვევაში ვლინდება არა ,,როლებშორისი“ კონტაქტი ,,მასწავლებელი-სტუდენტი“, არამედ ,,პიროვნებათშორისი“ კონტაქტი. ამის შედეგად კი წარმოიქმნება დიალოგი, ანუ კომუნიკაცია. კომუნიკაციის დროს კი შემეცნებით, ემოციურ, ქცევის სფეროებში პოზიტიური ცვლილებებისათვის იქმნება ოპტიმალური ბაზა. ამგვარად, ,,როლებშორისი“ კომუნიკაციის ჩანაცვლება ,,პიროვნებათშორისი“ კომუნიკაციით ხელს უწყობს ფორმალობის და დოგმატიზმის დასრულებას სწავლების პროცესში.

პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი ფორმები კომუნიკაციის პირობებში მიმდინარებს. კომუნიკაციის შინაარსი არის ინფორმაციის გაცვლა, მაგრამ ამით კომუნიკაცია არ ამოიწურება. კომუნიკაციის უმთავრესი მიზანია, რომ ერთმა მხარემ შთაბეჭდილება მოახდინოს მეორე მხარეზე, მოახდინოთ საკუთარი თავის წარმოჩენა.

ეს არის უკვე პიროვნული კომუნიკაცია. კომუნიკაციის დროს ადამიანები ცდილობენ გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი ყოფა, განიხილონ ორივე მხარისათვის საინტერესო სხვადასხვა მოვლენები. ეს არის პიროვნული ურთიერთობა მასწავლებლისა და სტუდენტის ერთობლივ საქმიანობაში. ამ თვალსაზრისით კომუნიკაცია უკვე სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანის გადაჭრის უმთავრესი ინსტრუმენტია.

კომუნიკაცია განიხილება სამ ასპექტში:

- როგორც სასწავლო ამოცანების გადაჭრის საშუალება;
- როგორც აღმზრდელობითი პროცესის სოციალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის სისტემა;
- როგორც მასწავლებლისა და სტუდენტის ურთიერთობის საშუალება, სადაც გაერთიანებულია სწავლება და აღზრდა;

- როგორც პიროვნებისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირების პროცესი.

უმაღლეს სასწავლებელში მასწავლებელი იმ საკომუნიკაციო პროცესის ინიციატორი და ხელმძღვანელია, რომელიც პედაგოგისა და სტუდენტების ურთიერთობის სისტემა, ხერხი და უნარია. მის შინაარსს კი წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლა, სასწავლო-აღმზრდელობითი ზემოქმედება, ურთიერთობების ორგანიზება და პედაგოგის პიროვნების ტრანსლაცია მოსწავლეებისათვის.

სასწავლო პროცესში საკომუნიკაციო პრობლემების კვლევის საშუალებით შესაძლებელი ხდება აღინიშნოს იმ პედაგოგიური კომუნიკაციის სტრუქტურა, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული მასწავლებლის შემოქმედებით მოღვაწეობასთან. პედაგოგიური კომუნიკაციის ეტაპებია:

1. პროგნოზირების ეტაპი: პედაგოგის მიერ ჯგუფთან კომუნიკაციის მოდელირების პროცესში მომავალი საქმიანობის დაგეგმვა ხდება;

-პედაგოგიური მიზნებისა და ამოცანების დასახვის;

-აუდიტორიაში ზოგადი პედაგოგიური და მორალურ-ფსიქოლოგიური სიტუაციის;

-პედაგოგის შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის;

-სტუდენტთა ინდივიდუალური თვისებების;

-სწავლებისა და აღზრდის მეთოდების შესაბამისად.

2. კომუნიკაციის საწყისი პერიოდი: აუდიტორიასთან, ჯგუფთან უშუალო კომუნიკაციის დამყარება: ამ ეტაპის მნიშვნელოვანი ელემენტებია:

-კომუნიკაციის დაგეგმილი მოდელის სპეციფიკა;

-დაგეგმილი კომუნიკაციის პირობებისა და სტრუქტურის დაზუსტება;

-უშუალო კომუნიკაციის საწყისი სტადიის გატარება.

3. კომუნიკაციის მართვა განვითარებად პედაგოგიურ პროცესში. ლექციაზე დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური მოთხოვნების გარდა არსებობს რიგი სოციალურ-ფსიქოლოგიური მოთხოვნებისა:

-ჯგუფთან ფსუქოლოგიური კონტაქტის დამყარება ინფორმაციის გადაცემისა და სტუდენტის მიერ მისი აღქმისათვის;

-ფსიქოლოგიურად დასაბუთებული ლექციის პარტიტურის შემუშავება;

-კოლექტიური ძიებისა და ერთობლივი განხილვის სიტუაციების შექმნა;

-სტუდენტთა შემეცნებითი მოღვაწეობის მართვა;

-პედაგოგისა და სტუდენტთა ერთიანი, პედაგოგიურად მიზანშეწონილი ურთიერთობებისა სისტემა.

4. კომუნიკაციის სისტემის ანალიზი და კომუნიკაციის მოდელირება დაგეგმილ საქმიანობაში.

უმაღლესი სასწავლებელი სკოლისაგან განსხვადება სწავლებისა და აღზრდის შინაარსით. უმაღლესი სასწავლებლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სპეციალისტის პიროვნების ჩამოყალიბება. ამ მიზანს უნდა დაექვემდებაროს მოსწავლეთა და მასწავლებელთა კომუნიკაცია. უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიური კომუნიკაცია ,,მასწავლებელი-მოსწავლის“ რგოლში საკმაოდ განსხვავდება სკოლის პედაგოგიური კომუნიკაციისაგან, ეს კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ასაკობრივი ბარიერის მოხსნას, რაც ხელს უშლის ერთობლივ ნაყოფიერ

საქმიანობას. უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიური კომუნიკაციის სისტემაში ორი ფაქტორი დომინირებს:

1. ურთიერთობა: დაქვემდებარებული პირი - წამყვანი;
2. სტუენტისა და მასწავლებლის თანამშრომლური ურთიერთობა.

,,მასწავლებელი-სტუდენტი", ,,სტუდენტი - სტუდენტი" ურთიერთობების მოთხოვნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- თანამშრომლობის ფაქტორების ურთიერთქმედება სააწავლო პროცესის ორგანიზაციის დროს;
- პედაგოგთან კორპორატიული, კოლეგიალური, პადაგოგიური ურთიერთობის ჩამოყალიბება;
- ავტორიტარული ზემოქმედების დაძლევა;
- სტუდენტთა პროფესიული ინტერესის გამოყენება, როგორც სწავლების მართვის ფაქტორი და როგორც პედაგოგიური საქმიანობის საფუძველი.

ასეთი სტილი შემდეგი ფაქტორების გავლენით ყალიბდება:

- გატაცება მეცნიერებით, საგნით;
- სამეცნიერო ძიების დარგის გარდაქმნა პედაგოგიური ზემოქმედების მასალაში.

უმაღლესი სკოლის მაღალი მოთხოვნები დეპარტამენტების, ფაკულტეტისა და მთლიანად უმაღლესი სასწავლებლის ფსიქოლოგიური კლიმატის მიმართ, ყოველდღიურ პედაგოგიურ კომუნიკაციაში ვლინდება. სტუდენტებთან საკუთარი ინდივიდუალური კომუნიკაციის სტილის ჩამოყალიბება დაკავშირებულია პროფესორთა და მასწავლებელთა შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის განვითარებასთან.

უმაღლესი სასწავლებლის დამწყები პედაგოგის მთავარი ამოცანაა აღზრდის ოპტიმალური მიზნის მისაღწევად, საკუთარი, ინდივიდუაური საკომუნიკაციო სტილის ძიება. ამას კი ხელს უწყობს:

- სტუდენტის ჩართულობა კვლევითი საქმიანობის საწყის ფორმებში;
- ერთობლივი კომუნიკაციის ფორმის შექმნა სტუდენტთა უკეთესი პიროვნული სოციალიზაციისათვის; დეპარტამენტის, ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, კონფერენციებზე მონაწილეობის მიღება;
- ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო;
- ერთობლივი, არარეგლამენტირებული, არაოფიციალური კონტაქტები, საუბრები მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე, პროფესიაზე, წიგნებზე;
- პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობა სტუდენტურ ცხოვრებაში (ოლიმპიადები, კონკურსები „რა, სად, როდის", „მხიარულთა და საზრიანთა" თამაშები, ,,მრგვალი მაგიდები").

პედაგოგიური ზემოქმედება უნდა იყოს სისტემატიური და უწყვეტი, სწავლებაზე ირიენტირებული კომუნიკაცია უნდა ჩაანაცვლოს სამეცნიერო-კვლევითმა, ხოლო ოფიციალურად რეგლამენტირებული არაოფიციალურმა კომუნიკაციამ. განსაკუთრებული მოთხოვნები ვრცელდება მეცნიერ-პედაგოგისა და სტუდენტის ეთიკური და ფსიქოლოგიური ურთიერთობის მიმართ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უკავია ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური მახასიათებლებს ან კომუნიკაციის სტილს. სტილი კი შემდეგში გამოიხატება:

- პედაგოგის საკომუნიკაციო საშუალებების თავისებურებები;
- ურთიერთობების გარკვეული დონე;

- პედაგოგის შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი;
- სტუდენტური კოლექტივის თავისებურებანი.

კომუნიკაციის სტილი - ადგენს საზოგადოების, უმაღლესი სასწავლებლის სოციალურ და ეთიკურ საკითხებს, იგი ასახავს პედაგოგის პიროვნულსა და პედაგოგიურ დონეს, მის ემოციურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

კომუნიკაციის ოპტიმალური სტილი - კომუნიკაცია, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და სტუდენტის ერთობლივ საქმიანობას, ასახავს სპეციალისტის პიროვნების ფორმირების სპეციფიკას, პედაგოგის სოციალურ-ეთიკური მოთხოვნების და პროფესიულ-პედაგოგიური კომუნიკაციის უნერ-ჩვევების ურთიერთქმედებას.

ხშირად პედაგოგიურ პრაქტიკაში კომუნიკაციის რამოდენიმე სტილია გაერთიანებული სხვადასვხა პროპორციით, სადაც ერთ-ერთი მათგანი დომინირებს. პედაგოგიური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი მ. ტალენი გვთავაზობს მასწავლებელთა პროფესიული პოზიციების ტიპოლოგიას.

მოდელი 1 - ,,სოკრატე". ეს არის დავებისა და დისკუსიების მოყვარული მასწავლებელი. მისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალიზმი, არასისტემატიურობა მუდმივი კონფრონტაციის გამო სასწავლო პროცესში; მოსწავლეები აძლიერებენ საკუთარი პოზიციების დაცვას.

მოდელი 2 - ,,ჯგუფური დისკუსიის ხელმძღვანელი". სასწავლო პროცესში მთავარია მოსწავლეებს შორის შეთანხმების მიღწევა და თანამშრომლობა. მასწავლებელი იქნება შუამავალი, რომლისთვისაც დემოკრატიული შეთანხმების ძიება დისკუსიის შედეგზე მნიშვნელოვანია.

მოდელი 3 - ,,ოსტატი". მასწავლებელი - მისაბაძი მაგალთია არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ ზოგადად ცხოვრებაში.

მოდელი 4 - ,,გენერალი". გამორიცხავს ორაზროვნებას, არის მეტად მომთხოვნი, მოითხოვს დამორჩილებას, რადგანაც თვლის, რომ ყველგან და ყოველთვის მასწავლებელი მართალია, მოსწავლე კი უნდა დაემორჩილოს მის ბრძანებებს. ტიპოლიგიის ავტორის მონაცემებით ეს მოდელი პედაგოგიურ პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია.

მოდელი 5 - ,,მენეჯერი". მასწავლებელი ცდილობს თითოეული მოსწავლე ჩართოს პროცესში, აწარმოოს მოსწავლეზე კონტროლი და შეაფასოს საბოლოო შედეგი. ცდილობს წაახალისოს მათი ინიციატივები და დამოუკიდებლობა.

მოდელი 6 - ,,ტრენერი". საკომუნიკაციო ატმოსფერო კლასში გაჟღენთილია კორპორატიული სულისკვეთებით. მოსწავლეები ამ შემთხვევაში არიან ერთი ჯგუფის წევრები, სადაც თითოეულის ინდივიდუალიზმი არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთად ბევრის გაკეთება შეუძლიათ. მასწავლებლისათვის მთავრია საბოლოო შედეგი,ბრწყინვალე წარმატება და გამარჯვება.

მოდელი 7 - ,,გიდი". მოსიარულე ენციკლოპედია. ლაკონური, ზუსტი, თავშეკავებული. წინასწარ აქვს ყველა შეკითხვაზე პასუხი. ტექნიკურად უზადოა.

მ. ტალენი სპეციალურად უთითებს საფუძველს, რაც ჩადებულია ტიპოლოგიაში: პედაგოგის მიერ როლის შერჩევა, საკუთარი და არა მოსწავლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

უნდა განუვითარდეს არა მხოლოდ საკუთარი კომუნიკაციის ოსტატობა, არამედ სტუდენტს უნდა ჩავუნერგოთ კომუნიკაციის კულტურა. პედაგოგისათვის საჭიროა არა მხოლოდ ფსიქოლოგიის ცოდნა, არამედ იმ სოციოლოგიური მონაცემების მუდმივი

ანგარიში, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას თანამედროვე ახალგაზრდობის სოციალიზაციის თავისებურებებისა და ფასეულობათა ორიენტაციის შესახებ. თანამედროვე პედაგოგიურ კომუნიკაციაში, იქნება ეს წარმატებული, თუ პირიქით, წარუმატებელი, პედაგოგის პიროვნებას უკავია განსაკუთრებული ადგილი.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ პედაგოგიური კომუნიკაცია - ეს არის კომუნიკაციის ფორმა, რომელსაც საკუთარი დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია და, ამავე დროს, ექვემდებარება იმ ზოგად ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, რომლებიც მოიცავენ საკომუნიკაციო და ინტერაქტიულ კომპონენტებს და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ფორმას ასახავენ. აგრეთვე ეს არის საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ აზრის მიზნებსა და ამოცანებს და განსაზღვრავენ პედაგოგისა და სტუდენტთა ურთიერთობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მასწავლებლის პროფესიული განვითარება, პედაგოგიკის საკითხები, თბ., 2013;
2. ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ., 2014;
3. Буланова-топоркова М. „Педагогика и Психологиа высшей школы“, 2002;
4. განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ცენტრი, თბ., 2008;
5. ბასილაძე ი, აბზიანიძე ლ., გაკვეთილი, როგორც პედაგოგიური ფენომენი, ქუთაისი, 2009;
6. Андреев А.А. Педагогика высшей школы, М., 2003;
7 www.bookap.info/okolofs/rezepov-psichologia i pedagogika;
8. რობერტ ჯ.მარზანო „კლასის მართვა“, კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის. 2009;
9. www.psyoffce.ru/8/psichologi/book.

Davit Makhashvili
Telavi Iakob Gogebashvili State University

Peculiarities of Pedagogical Communication in the High University

Abstract

Basic forms of pedagogical work takes place in terms of communication. In the high university, teacher is the leader and initiator of the communication process that is the skill, tool and system of teacher-student relation. The content of communication process is revealed in information exchange, teaching-educational influence, organizing relations and teacher's personality transmission for students.

In modern pedagogical communication whether it is successful or not, teacher's personality takes particular place.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, სტუდენტი, მასწავლებელი, პიროვნება.
Keywords: Communication, student, teacher, individual

გივი ეჟიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტის სასწავლო საქმიანობის სუბიექტად ჩამოყალიბება

პედაგოგიკაში სასწავლო საქმიანობის სუბიექტი საგნობრივ-პრაქტიკული აქტივობისა და შემეცნების მატარებელია, რომელიც ახორციელებს ცვლილებებს, როგორც სხვა ადამიანებში, ისე საკუთარ თავში. ადამინის სუბიექტურობა ვლინდება მის მოღვაწეობაში, უთიერთობაში, თვითშეგნებაში. სტუდენტის სასწავლო მოღვაწეობის სუბიექტად ჩამოყალიბება გულისხმობს საკუთარი საქმის დაგეგმვის, ორგანიზების სწავლებას, თუ როგორ ხდება წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი სასწავლო მოქმედებების, პროგრამის, სავარჯიშოების განსაზღვრა.

სტუდენტის, როგორც სასწავლო მოღვაწეობის სუბიექტის, არსებითი მაჩვენებელია მისი უნარი, რომ შეასრულოს სწავლების ყველა ფორმა და სახეობა. თუმცა, ჩვენი პრაქტიკული დაკვირვევების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ sტუდენტთა უმრავლესობას არ შეუძლია ლექციის მოსმენა და ჩაწერა, ლიტერატურის დაკონსპექტება (ხშირ შემთხვევაში იწერენ სალექციო მასალის მხოლოდ 18-20%). სტუდენტებმა არ იციან აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, კამათი, პრობლემის ანალიტიკური შეფასება.

ყურადღებას გავამახვილებთ უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის იმ ფორმებზე, რომელთა მეშვეობით ხდება სტუდენტის, როგორც სასწავლო საქმიანობის სუბიექტის ჩამოყალიბება.

მოსმენა, გააზრება, ათვისება (ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ და სხვა მეცადინეობებზე სასწავლო ინფორმაციის პერსონიფიკაცია). სტუდენტებს, განსაკუთრებით პირველ კურსზე, უჭირთ მეტყველებითი ინფორმაციის აღქმა. ასე, მაგალითად, ზოგს უჭირს მთავარი აზრის გამოტანა,ზოგი კი ვერ ასწრებს ჩაწერას. ასეთ შემთხვევებში მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია ,,იგრძნოს“ აუდიტორია და რეაგირება მოახდინოს სტუდენტთა სირთულეებზე, შეცვალოს ლექციის ტემპი, მეტყველების ტემბრი და ხმის სიმაღლე, გაიმეოროს და დააზუსტოს ნათქვამი.

წერითი ინფორმაციის კითხვა, აღქმა, გადამუშავება, ათვისება. სტუდენტისათვის მნიშვნელოვანია შეისწავლოს რაციონალური კითხვა, რაც წარმოდგენილია მეცნიერული ტექნოლოგიით და უზრუნველყობს უმოკლეს დროში და შრომის მინიალური დანახარჯებით ინფორმაციის მაქსიმალური მოცულობის კითხვასა და პერსონიფიკაციას. კითხვის პროდუქტიულობა დამოკიდებულია მის სიჩქარეზე, სიჩქარე კი შესაბამისობაში უნდა იყოს სირთულესთან, კითხვის სახესა და მის სიახლესთან.

დაკონსპექტება. ამ ფორმას სტუდენტები მიმართავენ ლექციის მოსმენისას და ლიტერატურის კითხვისას. თუმცა, შეიძლება სხვადასხვანაირად მოხდეს ამის შესრულება: სტუდენტმა შეიძლება გაუაზრებლად ჩაიწეროს მასალა, შეიძლება

ჩაიწეროს მთავარი აზრი და ამავდროულად გაიაზროს ჩაწერილი მასალა, შეიძლება ჩანაწერი გააკეთოს ტექსტის უფრო საიღრმისეული გააზრებით. არსებობს დაკონსპექტების რამოდენიმე ხერხი.

სავარჯიშოების შესრულება, ამოცანების ამოხსნა. ასეთი სამუშაოს შესრულების ძირითადი მიზანია კონკრეტული საგნების შესწავლისას უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ფიქრობდნენ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ამოცანები და სავარჯიშოები უნდა შესრულებულიყო საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და ზუსტი მეცნიერების საგნების შესწავლის დროს. თუმცა, საგანმანათლებლო პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ეს აზრი მცდარია და ამოცანები და სავარჯიშოები ყველა საგანში მისაღებია. მათი გამოყენება აუცილებლია სტუდენტთა ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებლობის განვითარებისათვის.

ცდების ჩატარება. საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლა ითვალისწინებს სტუდენტების მიერ ლაბორატორიებში ცდების ჩატარებას. ეს არის სასწავლო პროცესის აუცილებელი ფორმა, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამებით. ცდების ჩასატარებლად აუცილებელია, რომ სტუდენტი თეორიულად იყოს მომზადებული, კარგად იცნობდეს ლაბორატორიულ აღჭურვილობას და საცდელი სამუშაოს ჩატარების მასალებსა და ტექნოლოგიას. ცდების ჩატარება ფასეულია იმით, რომ სტუდენტი იძენს სამეცნიერო კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს, იღრმავებს თეორიულ ცოდნას, ავითარებს ცნობისმოყვარეობას, პასუხისმგებლობას, რაც აუცილებელი პირობაა სტუდენტის, როგორც სასწავლო საქმიანობის სუბიექტის ჩამოყალიბებისათვის.

სასწავლო კვლევები სტუდენტის სასწავლო საქმიანობის სუბიექტის ჩამოყალიბების უმთავრესი ფორმაა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მუშაობის ეს ფორმა აუცილელობას წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელში. სასწავლო კვლევების შესრულება სტუდენტებისაგან მოითხოვს დამოუკიდებლობისა და შემეცნებითი აქტივობის მაღალ დონეს, ხელს უწყობს იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც ეხმარება ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში, ასევე აღვიძებს ინტერესს ამა თუ იმ მეცნიერების მიმართ.

პედაგოგიური მოდელირება. მუშაობის ეს ფორმა გამოიყენება პრაქტიკის დროს სკოლასა თუ სხვა სასწავლო დაწესებულებაში. მისი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც სტუდენტი ადგენს გაკვეთილის გეგმას, ამზადებს და ატარებს გაკვეთილს და კლასგარეშე ღონისძიებას, ხვდება მშობლებს, იგი ამით უახლოვდება რეალურ პედაგოგიურ პროცესს, სწავლობს მისი სხვადასხვა ვარიანტების მოდელირებას. სტუდენტი ,,ირგებს“ მასწავლებლის როლს, ხოლო სპეციალისტის პროფესიონალური კომპეტენცის ჩამოყალიბება ერთ-ერთი პირობაა, რომ სტუდენტი განვითარდეს, როგორც სასწავლო საქმიანობის სუბიექტი. პედაგოგიური მოდელირება გულისხმობს მომზადებას პროფესიული მოღვაწეობისათვის.

შემოქმედებითი სასწავლო დავალებების შესრულება. შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, აზროვნების უნარი და დამოუკიდებლობა სტუდენტის, როგორც სასწავლო საქმიანობის სუბიექის ჩამოყალიბების საწინდარია. შემოქმედებითი უნარი ვლინდება სტუდენტის არატრადიციულ აზროვნებაში, როდესაც იგი ეძებს სასწავლო და სამეცნიერო პრობლების გადაჭრის ახალ გზებს.

სტუდენტის სასწავლო საქმიანობის სუბიექტად ჩამოყალიბება არ არის ერთი გარკვეული მომენტის პროცესი, არამედ მასწავლებლისა და სტუდენტის ერთობლივი, ხანგრძლივი და მიზანმიმართული მოღვაწეობაა. შეიძლება გამოვყოთ აღნიშნული პროცესის რამოდენიმე სტადია:

პირველი სტადია – უმაღლესი სასწავლებლის პირობებთან ადაპტაციის უნარი. აღნიშნულ სტადიაზე დომინირებს სტუდენტის აქტიური შეჩვევა ახალ პირობებთან, უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნების ათვისება და საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრება.

მეორე სტადია – სასწავლო და პროფესიული მოღავწეობის მოთხოვნებთან იდენტიფიკაცია. ეს სტადია მიმართულია სტუდენტის მიერ საკუთარი სოციალური როლის ათვისებასა და კვალიფიციური შესრულებისაკენ; იგი გულისხმობს სტუდენტის მომზადებას მომავალი სპეციალიზაციისათვის, საკუთარი საქმიანობის შეგნებულ ხელმძღვანელობას და გააზრებული მოტივებისა და მიზნების საფუძველზე განხორციელებულ ქცევას.

მესამე სტადია – საგანმანათლებლო პროცესში თვით რეალიზება. ეს სტადია პიროვნული თვისებებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ფორმირებას გულისხმობს. აღნიშნულ სტადიაზე იზრდება გააზრებული თვითრეალიზაცია.

მეოთხე სტადიის არსი - ეს არის პროფესიული ჩამოყალიბების სტადია, ამ დროს ვლინდება სტუდენტის სუბიექტურობა, დამოუკიდებლობა, მიზანმიმართულობა, ხოლო პიროვნული თვისებები გარდაიქმნება სოციალურად და პროფესიულად მნიშვნელოვან თვისებებში.

ბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტის სასწავლო საქმიანობა ადამიანის პროფესიული და პიროვნული ფორმირების მხოლოდ ერთ-ერთი მხარეთაგანია. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა მოიაზრება, როგორც სტუდენტის მიზანმიმართული, გეგმებითა და პროგრამებით რეგლამენტირებული, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისების, მისი პიროვნებად ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. სასწავლო მოღვაწეობის პროცესში სტუდენტი ამ პროცესის სუბიექტია, ანუ საგნობრივ-პრაქტიკული აქტივობისა და შემეცნების მატარებელი.

სტუდენტის სასწავლო საქმიანობის სუბიექტად ჩამოყალიბება გულისხმობს ამ საქმიანობის ძირითადი ფორმების დაუფლებას, მისი დაგეგმარებისა და ორგანიზების უნარს, სწავლისათვის აუცილებელი სასწავლო მოქმედებების განსაზღვრასა და მათი შესრულების პროგრამას.

ამრიგად, სტუდენტის სასწავლო საქმიანობის სუბიექტად ჩამოყალიბება შეიძლება განვიხილოთ, როგორც დეტერმინირებული, მართვადი და განვითარებადი პროცესი. ამასთან, ა.ვ. ბელოშიცკის აზრით იგი შეიძლება იყოს ნაკლებად ან მეტად მართვადი, ეს კი დამოკიდებულია ამოცანებზე, შინაარსზე, მეთოდებსა და საშუალებებზე, ასევე ამ პროცესის სუბიექტების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მასწავლებლის პროფესიული განვითარება, პედაგოგიკის საკითხები, თბ., 2013;
2. ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, თბ., 2014;
3. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, პრაქტიკული სახელმძღვანელო ტრენერებისათვის, თბ., 2012;
4. განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ცენტრი, თბ., 2008, 2011;
5. Андреев А.А. Педагогика высшей школы, М., 2003;
6. რობერტ ჯ. მარზანო „კლასის მართვა“, კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის. 2009;
7. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების“ შესახებ, 2005;
8. Буланова-топоркова М. „Педагогика и Психологиа высшей школы“, 2002.

Givi Ezhishvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Forming Students' Studies as a Subject

Abstract

In the High University, students' studies are just one of the sides of professional and personal formation. Student's learning activity is purposeful process for acquiring knowledge and skills as well as personal formation and development process regulated by plans and programs. In the process of learning, student is the subject of the process undertaking cognition and subject-practical activities. Forming students' studies as a subject implies acquisition of principal forms of this work, the skill of its organization and planning, definition of necessary learning actions and its implementation program.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტი, ცოდნა, პრაქტიკა, სწავლება, სუბიექტი.
Keywords: Student, knowledge, practice, teaching, subject.

ნუგზარ ძამუკაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუნებრივი საღებავებით მატყლის და ნართის ღებვის ტრადიციული მეთოდი

ადრეულ ხანაში საქართველოში მეცხვარეობის განვითარებამ შექმნა იმის საფუძველი, რომ ადგილობრივი შინამრეწველობა განვითარებულიყო. ეს კი თავის მხრივ მოითხოვდა არა მარტო ბუნებრივად არსებული მატყლის ფერების გამოყენებას, არამედ საქართველოში ასე უხვად არსებული მცენარეებისგან ბუნებრივი საღებავების დამზადებას. XIX საუკუნეში ქიმიური საღებავების შემოსვლამ თითქმის განდევნა ბუნებრივი საღებავებით ღებვა. მღებავის გარდა თითქმის აღარ იციან რომელი მცენარე რომელ ფერს ღებავს, რა დოზებია საჭირო და რომელი ფერმჭერები გამოიყენება. ჩემს სტატიაში მოცემულია საქართველოს ტყეებსა და ტყის ზონაში გავრცელებული ძირითადი სამღებრო მცენარეების მოკლე დახასიათება და ნართის (მატყლის) შეღებვის წესები. მათი შემადგენლობა დამოკიდებულია მცენარის ასაკზე, ზრდის ადგილზე, ნიადაგის შემადგენლობაზე, ამინდის პირობებზე ვეგეტაციის პერიოდზე. ბუნებრივი საღებავებით ღებვა - უძველესი საქმიანობაა და საქართველოში ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა, რაზეც მეტყველებს შემორჩენილი ძველი ქსოვილის და სამოსის ნიმუშები. როგორც ავღნიშნეთ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქიმიური საღებავების შემოსვლამ საფუძველი გამოაცალა ბუნებრივი საღებავებით ღებვას. საქართველოს ვერც ერთი კუთხე ვერ ასცდა ამ ზეგავლენას, სინთეზური საღებავების გავლენით თითქმის აღმოიფხვრა ბუნებრივი საღებავებით ღებვა. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში მოსახლეობა საღებავად იყენებდა, როგორც ტყის ფოთლოვან, ისე ყვავილოვან კულტურულ ჯიშებს, გამოიყენებოდა მცენარეთა ფესვებიც.

ბუნებრივ ფერთაგან გამოყოფდნენ: წითელს, შავს, მწვანეს, ყავისფერს, ლურჯს, ყვითელს. გარდამავალი ფერები კი იყო ალისფერი, რუხი, (ნაცრისფერი), წყლისფერი, მტვერისფერი, ნავთისფერი, ლილისფერი, შინდისფერი (ბორდო).

ბუნებრივი მატყლის ფერებიდან გვხვდება მხოლოდ: შავი, ყავისფერი, თეთრი, რუხი, ღია ყავისფერი, ამდენად სხვადასხვა ფერის მისაღებად საჭირო იყო ბუნებრივი საღებავები. ღებვის ხარისხისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როდის და რა პირობებში უნდა შეგროვდეს ნედლეული, ასევე როგორ უნდა გაშრეს რა ტემპერატურაზე და როგორ პირობებში შეინახოს.

საღებავი ბალახები შესაძლებელია შეგროვდეს წლის ნებისმიერ დროს, მაგრამ ძირითადად უნდა შეგროვდეს ივნის-აგვისტოში, როდესაც ვეგეტაციის პერიოდია და ვეგეტაციის ბოლოს სექტემბრიდან ყინვების დაწყებამდე. ჯერ-ჯერობით მცენარეული საღებავი თავისი ფერთა გამით გამოიყენებიან ღებვისათვის მხოლოდ სახლის პირობებში. ბუნებრივი მცენარეული საღებავი შეიძლება მივიღოთ მცენარეების ყვავილებიდან, ნაყოფებიდან, ღეროებიდან, ფოთლებიდან, ფესვებიდან, ქერქიდან. მათი შემადგენლობა დამოკიდებულია მცენარის ასაკზე, ზრდის ადგილზე, ნიადაგის შემადგენლობაზე, ამინდის პირობებზე ვეგეტაციის პერიოდზე. საღებავის მიღება ასევე დამოკიდებულია მცენარეების მოკრეფის დროზეც. ახალი გაფურჩქნული ყვავილი იძლევა უფრო კაშკაშა ფერებს. ყვავილებს კრეფავენ ახალ გაფურჩქნულს, ქერქს გაზაფხულზე, როდესაც ის ადვილად სცილდება ხეს, ფესვებს აგროვებენ მცენარის

ყვავილობამდე ან გვიან შემოდგომაზე. ახლად მოკრეფილი მცენარის ხსნარში შეღებვით მიღებული ფერები უფრო ინტენსიურია, ვიდრე გამხმარი მცენარეების გამოყენებისას. თუ აუცილებელია მცენარეების გახმობა ეს უნდა გაკეთდეს ჩრდილში, რომ მან შეინარჩუნოს ბუნებრივი ფერი. ფესვებს გახმობის წინ რეცხავენ. გამხმარი მცენარე შენახული უნდა დახურულ დახურულ ჭურჭელში, მშრალ ადგილზე.

გამოყენების წინ გამშრალ ფოთლებს, ღეროებს, ფესვებს, ყვავილებს, ნაყოფს, გირჩებს, ქერქს და მარცვლებს წინასწარ ალბობენ ერთ დღე-ღამეს ცივ წყალში, შემდეგ ადუღებენ იმავე წყალში 15-20 წუთს. დაახლოებით 100 გრ მცენარეზე იღებენ 1-2 ლიტრ წყალს. საღებავის მიღება შეიძლება სხვა გზითაც: 24 საათიანი დალბობის შემდეგ მცენარეებს ხარშავენ იმავე წყალში 1-2 საათი (გააჩნია მასალას), შემდეგ ცხელ ნახარშს წურავენ საცერში და აცივებენ. საღებავის უფრო ინტენსიური მოქმედებისათვის ნახარშს აცლიან დამჟავებას. თუ საღებარი (ექსტრაქცია) გამოჰყავთ ყვავილებიდან, მაშინ ადუღებენ 30 წუთს, თუ ფოთლებიდან - 1 საათს, თუ ფესვებიდან - 2 საათს, საღებრის გამოყოფა მცენარიდან მოხდება უფრო სწრაფად თუ მასში ჩაამატებენ საჭმელ სოდას. აუცილებელია ნედლეული გაშრეს ისეთ შენობაში, რომელიც კარგად ნიავდება და შეძლებისდაგვარად არის ჩრდილი. საღებავად გამოყენებული მცენარე შეიძლება შეინახოს 1-3 წელი. დროის გასვლასთან ერთად ფერის ინტესივობა იკლებს, მაგრამ მაინც ღებავს. ყველაზე კარგია ახალმოკრეფილ ნედლეულში შეღებვა. სხვადასხვა მცენარეს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, ამიტომ ნაშრომში შეძლებისდაგვარად მითითებულია შებამისი სახელი, ასევე ინგლისური და რუსული დასახელება, რადგან ზოგიერთ კუთხეში კიდევ შემორჩა ასეთ დასახელებები.

ბუნებრივი მცენარეებით ღებვისას აუცილებელია ვიცოდეთ რომელი მცენარის გამოყენებისას რომელი ფერმჭერია საჭირო და რა დოზით.

ბუნებრივი საღებავების ტრადიციული ფერმჭერებია: ნაცართვალი, თეთრი შაბი, შაბიამანი, ძაღა (რკინის შაბიამანი), ტუტე (მზადდება ნაცრით, კარგია არყის ნაცარი), ძროხის შარდი. ჭურჭელი სადაც უნდა მოხდეს შეღებვა აუცილებლად უნდა იყოს მომინანქრებული ან თუჯის, დამოკიდებულია თუ რომელ მცენარეს ვღებავთ.

ღებვის წინ მატყლს გაარჩევენ, გასუფთავებენ და გარეცხავენ. შემდეგ ნაცრისთვალს ან თეთრ შაბიან წყალში წამოადუღებენ ან ადუღებამდე მიიყვანენ. ყველა ფერს თითქმის თავისი ფერმჭერი აქვს. თუ ღია ფერებს ვღებავთ თეთრ შაბს ვიყენებთ. თუ მუქ ფერებს ნაცრისთვალს ან ძაღას (რკინის შაბიამანს) ვიყენებთ.

ბუნებრივი საღებავებით ღებვისას, ასევე შესაძლებელია ნაცრის მოყრა უკვე სამღებროდან ამოღებულ მატყლზე ან შულოებზე. თბილად დახურულს ორთქლზე ან ძროხის შარდში გავლებისას მატყლი და ნართი უხუნარი გამოდის.

ნაცართვალი მზადდება შემდეგნაირად: წყლის წამოდუღებამდე შიგ ნაცარს ჩაყრიან, კარგად მოურევენ და გააჩერებენ სანამ არ დაილექება ნაცარი და ზემოდან სუფთა წყალი არ დარჩება. სწორედ ეს სუფთა წყალი არის ნაცართვალი. ნაცართვალი უნდა შეამოწმონ რომ ძალიან ცხარე არ იყოს და ძაფი ან მატყლი არ დაწვას. ამ შემთხვევაში წყლის დამატებაა საჭირო.

უმრავლეს შემთხვევაში შავი ფერი ყოველთვის ორჯერადი ღებვით მიიღება. მაგ: თავშავაში და ძაღაში. თავშავაში შეღებვას დედებას ეძახიან. ადედებდნენ და შემდეგ ძაღას დამატებით უკვე შავად ღებავენ.

ზოგიერთ მცენარეში შეღებვას ფერმჭერი არ სჭირდება: მაგ. კაკლის წენგოში ღებვას, ვაშლის ქერქში ღებვას და სხვა. ფერთა მიღების ბევრი საიდუმლო ვლინდება

ღებვისას. ტრადიციულად მცენარეს არავინ წონიდა, თუმცა შემღები მცენარის წონა დაახლოებით ხუთჯერ და მეტადაც აღემატებოდა შესაღები მატყლის წონას. ფერს ღებვის პროცესში აკვირდებიან და ღებვას წყვეტენ სასურველი ფერის მიღების შემდეგ. ბუნებრივი საღებავებით ღებვა მეტად სახალისო და საინტერესო პროცესია. ფერთა მიღების ბევრი საიდუმლო ვლინდება ღებვისას. მართალია ნაშრომში ზოგადად განხილული არის ფერთა მიღება და შეღებვის წესები, მაგრამ ბუნებრივი საღებავებით ღებვის ხარისხი და ამა თუ იმ ტონალობის მიღება მღებავის დაოსტატების პროცესში მუშავდება. აღნიშნული საკითხი აქტულურია განსაკუთრებით დღევანდელ პერიოდში, როდესაც საჭიროა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, როგორც საქართველოში წარმოებულ პროდუქციაზე ასევე ევროპულ ბაზარზე გასატანად, ბუნებრივი საღებავებით შეღებილი ნართი და მატყლით წარმოებული პროდუქცია კი სწორედ ამის საშუალებას იძლევა და უახლოეს პირობებსი კონკურენტუნარიანი გახდება ქიმიურ საღებავებთან ერთად. გარდა ამისა ბუნებრივი სარებავებით ღებვის პრაქტიკული გამოყენება ხელს შეუწყობს ქართული ხალხური რეწვის ისეთი დარგის განვითარება-შენარჩუნებას, როგორიცაა დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მასალები შინამრეწველობის ისტორიისათვის ივ. ჯავახიშვილი ტ.2. 1976წ. თბილისი.
2. ქართული თექა. ნ. ცაგარელი 1982 წ. ხელოვნება.
3. მატყლის ღებვის ტრადიცია თუშეთში. ნ. აზიკური. 1999 წ. თბილისი.
4. თექა. ე. ბუაძე, რ.ბოჭორიშვილი. 2013 წ. ქუთაისი.

Nugzar Dzamukashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Traditional Method of Dyeing Wool and Woolen Yarn with Natural Dyes

Abstract

The article deals with the traditional method of dyeing wool with the help of natural dyes. The history of wool dyeing as well as its eradication and the shift of natural dyes with chemical ones from the second half of the XIX century is presented. The article contains information about optimal time for collecting dyeing plants. We have shown which part of the natural plant is used for dyeing. The usage of color recipient for receiving specific colors and the rule of their preparation-usage in the process of dyeing with plants is defined. We have offered practical patterns of woolen yarn dyed with plants which we have studied and practically used. In order to easily guess the names of plants we have given English and Russian names. This issue is especially actual in the modern period when we truly need ecologically clean production produced in Georgia and for export in European market also. Woolen yarn dyed with natural dyes and woolen products give this opportunity. Besides, practical usage of dyeing with natural dyes will promote the development and preservation of Georgian national craft's branch such as decorative-applied art.

საკვანძო სიტყვები: მატყლი, ღებვა, რეწვა, მცენარე, დეკორატიული.
Keywords: Wool, dyeing, craft, plant, decorative.

ადემ ონალ
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლების ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელი შპს ,,ჩაღლარის" საგანმანათლებლო სისტემის საქმიანობის მაგალითზე

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ერთიან ევროპულ სივრცეში გაერთიანებამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა თავად სისტემა. ჯანსაღი კონკურენცია საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მოთხოვნა და საქართველოში განათლების სფეროში რეფორმების მთავარი მონაპოვარია. ამ პროცესების კვალდაკვალ, განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესმა ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა განათლების ხარისხის ამაღლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. ,,დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე" – განმარტებულია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ აკრედიტაციის ერთ-ერთ სტანდარტში, რომელიც დაწესებულების ფუნქციონირების მთავარი მოთხოვნაა. ის თავის თავში მოიაზრებს საგანმანათლებლო დაწესებულების იმგვარ მოწყობას, საქმიანობის მენეჯმენტსა და ადმინისტრირებას, სადაც შესაძლებელი იქნება განხორციელდეს ურთიერთობები საერთაშორისო დონეზე. ეს შეიძლება იყოს: სტუდენტთა, მოსწავლეთა და ლექტორთა გაცვლა საერთაშორისო დონეზე, ამავე დონეზე ერთობლივი სწავლისა და კვლევების დაგეგმვა, კონფერენციების ჩატარება, ერთობლივი პროგრამების შექმნა და განხორციელება, ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავების მიზნით სხვადასხვა კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს ბოლონიის პროცესში ჩართვიდან მხოლოდ ათი წელი გავიდა და გავაანალიზებთ ამ ხნის განმავლობაში საქართველოს განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის ხარისხობრივ მაჩვენებელს, ზრდის დინამიკა ნამდვილად შეინიშნება. საგანმანათლებლო არეალის გაფართოებამ და ე.წ. საზღვრების გახსნამ, სულ სხვა ,,განზომილებაში" გადაიყვანა საქართველოს განათლების სისტემა და შესაძლებლობები გაუხსნა, თუმცა, მოიძებნება დამატებით ფაქტორები, რომლებიც კიდევ უფრო განავითარებს საერთაშორისო ურთიერთობებს და მისი ეფექტურობის მაჩვენებელს აამაღლებს.

განათლების რეფორმების კვალდაკვალ, თურქეთისა და საქართველოს საგანმანათლებლო ურთიერთობას მოკლე, მაგრამ საინტერესო ისტორია აქვს. ეს ისტორია ძირითადად თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლისა და მისი პირველი პრეზიდენტის – ათათურქის მოღვაწეობიდან იწყება, რომელსაც ერთხელ უთქვამს: ,,თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი აღმოსავლეთში და ასეთ მეზობლად შეიძლება საქართველო იქცესო.” დღეს უკვე საქართველოში არსებობს და წარმატებით ფუნქციონირებს თურქი მოღვაწეებისაგან დაფუძნებული ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორიცაა: უმაღლესი სასწავლებელი, ლიცეუმები, სკოლები, საგანმანათლებლო-სამეცნიერო ასოციაციები და სხვა. საკითხის სისტემურობისათვის ჩამოვთვლით ,,ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელთაგან ყველა ავტორიზებულია და აქ სწავლება და სხვა აქტივობები საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნათა შესაბამისად ხორციელდება:

1. ქ. თბილისის დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, 1993 წ.
2. ქ. ბათუმის რ. შაჰინის სახ. მეგობრობის სკოლა-ლიცეუმი, 1994წ.
3. ქ. თბილისის სკოლა-ლიცეუმი ,,სხივი“, 2003წ.
4. ქ. ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი, 2004წ.
5. ქ. თბილისის ნიკო წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა-ლიცეუმი, 2006წ.
6. ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი, 2007წ.
7. ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის დაწყებითი სკოლა, 2011წ.
8. შავი ზღვის ს აერთაშორისო უნივერსიტეტი, 1995წ.

მათი საქმიანობა ხელს უწყობს ქართველი და არაქართველი მოსწავლეებისა და სტუდენტების ეფექტური ურთიერთობის განხორციელებას, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ზრდას. ამ საკითხების კვლევისას, კვლევის ძირითად მეთოდოლოგიათ გამოვიყენეთ ,,ჩაღლარის” საგანმანათლებლო ქსელის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების შესწავლა და ანალიზი მისი დაარსებიდან დღემდე. აქ ძირითადი აქცენტი სკოლების მუშაობაზე გავაკეთეთ კონფერენციის მოთხოვნილი ფორმატიდან გამომდინარე, თუმცა, მხოლოდ სკოლების მუშაობის შესახებ სტატისტიკამაც, შეიძლება ითქვას, რომ შთამბეჭდავი სურათი გამოავლინა.

1993-2015 წლებში ,,ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავი სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსსა თუ სასწავლო-სამეცნიერო ოლიმპიადაზე. მოსწავლეების მონაპოვარი ასეთია: 56 ოქროს, 97 ვერცხლის, 85 ბრინჯაოს მედალი, სულ - 238 საპრიზო ადგილი. გარდა ამისა, ,,ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებები, ყოველ წელს, ტრადიციულად, თავად მასპინძლობენ სხვადასხვა სახის ოლიმპიადებსა და კონკურსებზე სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომელთაგან გამოირჩევა ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა ოლიმპიადა (IYIPO), რომელიც უკვე მე-9 წელია შპს ,,ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზებით ტარდება. პირველად 2007 წელს ჩატარდა და მასში სულ 3 ქვეყანა მონაწილეობდა. რიგით მეცხრე ოლიმპიადაში კი, რომელიც 2015 წლის 1-3 მაისს გაიმართა, მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 35 ქვეყნის წარმომადგენელი მოსწავლე და მასწავლებელი. სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორის მეგობრობის გამყარებისა და ურთიერთპატივისცემის ნიშნად სტუმრების

უმეტეს ნაწილს მასპინძელი სკოლის მოსწავლეებმა უმასპინძლეს თავიანთ ოჯახებში და ამით შესაძლებლობა მისცეს მათ უკეთ გასცნობოდნენ ქართული ოჯახების ტრადიციებსა და ქართულ კულტურას.

,,ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებები მხარს უჭერს მოსწავლეების საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობას. ამათგან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ენისა და კულტურის ფესტივალი, რომელიც ხელოვნებისა და კულტურის ენით, მსოფლიოს 170 ქვეყნიდან, ათასობით მოსწავლის საშუალებით, წარმოაჩენს ადამიანურ ღირებულებებს, სიყვარულსა და მშვიდობიან თანაცხოვრებას. ამ ფესტივალზე დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მოსწავლემ პირველი ადგილი მოიპოვა. (https://www.youtube.com/watch?v=I9MTDCoERcQ)

2015 წელს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მოცეკვავეთა ანსამბლმა საერთაშორისო ენისა და კულტურის ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე გერმანიაში და გალა კონცერტზე ბრიუსელში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მოსწავლეებთან ერთად შეასრულა ქართული ხალხური ცეკვები და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. (https://www.youtube.com/watch?v=6tKLB8A4vIE), ფესტივალზე, ყველა მონაწილემ წარმოადგინა თავისი ქვეყნის კულტურის ამსახველი სტენდი. ,,ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა საქართველოს კულტურა ამჯერად მათივე დამზადებული ძველი თბილისის მაკეტით წარმოადგინეს, რითაც დიდი მოწონება დაიმსახურეს.

მუშაობა გრძელდება: გასული წლის აგვისტოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა წარმატებული სკოლებისა და პედაგოგების დაჯილდოვების ცერემონია, სადაც თბილისის დემირელის სახელობის კოლეჯისა და ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის 5 მოსწავლესა და 4 მასწავლებელს სერტიფიკატები გადაეცათ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ოლიმპიადებში მიღწეული წარმატებისათვის. კარგი შედეგები წარმოჩინდა კურსდამთავრებულთა შემდგომი ინტერნაციონალიზაციის საკითხის კვლევისას. 1999-2015 წლებში ,,ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებები სულ 1025-მა მოსწავლემ დაამთავრა. მათგან სწავლა მსოფლიოს 23 სხვადასხვა ქვეყანაში გააგრძელა (თურქეთი-32, ამერიკა-29, გერმანია-11, ინგლისი-10, ბულგარეთი-9, რუსეთი-6, იტალია-5, ჰოლანდია-3, გაერთიანებული არაბეთის ემირატები-2, ჩეხეთი-2, საფრანგეთი-2, კვიპროსი-2, უნგრეთი-2, აზერბაიჯანი-4, საბერძნეთი-1, ავსტრალია-1, ბელარუსია-1, დანია-2, შვედეთი-1, ისრაელი-1, შვეიცარია-1, პოლონეთი-1, ირანი-1).

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით მოპოვებული მასალების ანალიზით ირკვევა, შედეგები დაახლოებით 7%–ს შეადგენს. მხოლოდ 2015 წლის სტატისტიკა თბილისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულთაგან ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში საწავლის გაგრძელების შესახებ არის 12. თუ გადავხედავთ საქართველოს დანარჩენი სკოლების კურსდამთავრებულთა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ჩარიცხვის სტატისტიკას, ეს შედეგი აღემატება ბევრად მათ მიღწევებს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ,,ჩაღლარის“ დაწესებულებებს აქვთ სრული პოტენციალი, რომ მაჩვენებლები დინამიურად გაზარდონ და ახალ ნიშნულებზე აიყვანონ. სწორედ მათ მიერ შემდგომში ჩასატარებელი სამუშაოების ეფექტურობის გაზრდისათვის აუცილებელი კონცეფციის ძიება გახდა ჩვენი კვლევის ინტერესის სფერო. ვვარაუდობთ, რომ თუ ჩამოყალიბდება

,,ჩარლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტარნაციონალიზაციის ხარისხის მუდმივი ზრდისადმი სისტემატიზაციის კონცეპტუალური მიდგომა, შედეგები უფრო მაშსტაბური გახდება. ვფიქრობთ, რომ ის თავის თავში უნდა მოიაზრებდეს შემდეგი აუცილებელი ნაბიჯების განხორციელებას:

- ,,ჩაღლარის" განხორციელებული და განსახორციელებელი აქტივობების სისტემურად დალაგებას;
- ,,ჩაღლარის" საგანმანათლებლო ქსელის ინტერნაციონალიზაციის უწყვეტი სტრატეგიის ჩამოყალიბებას, ხედვისა და მისიის განსაზღვრას, მის განსახორციელებლად აუცილებელი ამოცანების ჩამოყალიბებასა და არსებული შედეგების ინდიკატორებად გამოყენებას, რომელიც სამომავლო გაუმჯობესებაზე თვალსაჩინო სურათს შექმნის;
- ,,ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტური თანამშრომლური კომუნიკაციის გაღრმავებას საქართველოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საჯარო და კერძო სექტორებში;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კოორდინაციას სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ამ კოორდინაციის ფარგლებში ურთიერთობების საინფორმაციო ბაზის შექმნას უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივ სასწავლო-სამეცნიერო და კულტურულ სფეროებში.

უკანასკნელი საკითხის მაღალ დონეზე დამუშავება და გამოყენება ,,ჩაღლარის" საგანმანათლებლო ქსელისათვის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ასამაღლებლად, რომელიც ამავე დროს, საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, არსებითი საკითხია.

მსოფლიო გლობალური საკომუნიკაცო ქსელის შექმნის კვალდაკვალ, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის განვითარებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კონკრეტულად, საინფორმაციო ელექტრონული ბაზის გამოყენება მეტად ხელსაყრელი და ძლიერი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ:

- უკეთესად შეფასდეს, დაიგეგმოს და განვითარდეს კომუნიკაციები ადგილობრივ და უცხოურ ბიზნეს დ საგანმანათლებლო პარტნიორებთან;
- მოხდეს მსგავსი ტიპის აქტივობების კოორდინაცია პარტნიორებთან დროის, ფინანსური და ორგანიზაციული დაგეგმვის, შედეგების დათვლა–აღრიცხვის, მართვის, წახალისების, სამომავლო კონცეპტუალური ხედვის, დაგეგმარებისა და პოლიტიკის განსაზღვრის სფეროებში

ჩვენი შემდგომი კვლევებიც ამ კუთხით გაღრმავდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებები 2015 წელი
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტები;
3. პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის სტანდარტები;
4. საქართველოს კანონები უმაღლესი და ზოგადი განათლების შესახებ. თბილისი 2005 წელი.
5. საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა. თბილისი. 2014 წელი.

Adam Onal
International Black Sea University

The Indicator of Educational Internationalization According to Education System of Chaglar

Abstract

According to the Accreditation standards: "The institution is focused on teaching, scientific work and the internationalization of graduates, which in itself implies such arrangement and activities of educational institution, where the relations will be implemented at the international level. This could be: students and teachers exchange programs, joint learning and research planning, conferences, various cultural, sports, educational activities. The article presents the results of the research, which was conducted at "Chaglar" educational institution to study its internationalization quality. We suggest that it is possible to raise its marker if the following steps are implemented**:**

- Enhancement of effective communication of Chaglar educational institution with the educational, scientific, public and private sectors;
- Coordination in international relations with educational institutions in other countries;
- Within this coordination creating a database with foreign partners in joint educational, scientific and cultural fields.

საკვანძო სიტყვები: ჩაღლარი, სკოლა, ინტერნაციონალიზაცია, განათლება, მოსწავლე
Keywords: Chaglar, school, internalization, education, student.

მეჰმეთ თაჰირ თექინ
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერზრუმში ფემ აკადემიის (ფრატის საგანმანათლებლო ცენტრი) საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაზე მიბმული, შრომის ბაზარზე მიმდინარე მოვლენები და ტენდენციები მეტად აქტუალური და საინტერესოა, სადაც ორი ძირითადი სუბიექტი დომინირებს: დასაქმებული და დამსაქმებელი. მათი ურთიერთობით განისაზღვრება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მისი ბიუჯეტი, უმუშევრობის პრობლემები, შრომის სახელფასო და საკომპენსაციო მაჩვენებლები და სხვ. შრომის ბაზარზე არსებული დადებითი ტენდენციები უშუალოდ არის დაკავშირებული იქ დასაქმებულ კვალიფიციურ მუშახელზე, რომელზეც დღეს განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნილება შეიმჩნევა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკურად მაღალგანვითარებად ქვეყნებში კვალიფიციურ მუშახელს, რომლის ნაკლებობა ყოველთვის შეიმჩნევა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ინტელექტუალური პოტენციალი, კომპეტენტურობა და ინოვაციური ცვლილებებისადმი მზაობა განსაზღვრავს ნებისმიერი კომპანიის განვითარების დონეს, სიცოცხლისუნარიანობას,

ეფექტურ ფუნქციონირებას. ესაა შრომის ბაზრის ცალსახა მოთხოვნა და ერთგვარი დაკვეთა საგანმანათლებლო სისტემის მიმართ, რომელზედაც ყველა ქვეყნის ბიზნესის წარმომადგენლები უპირობოდ თანხმდებიან. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რა ცოდნითა და უნარ–ჩვევებით აღჭურვილი უნივერსიტეტისა თუ პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებული შედის დასაქმების შრომის ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად. საყურადღებოა, რომ პიროვნების პროფესიული დაოსტატების დონეს მისი საწყისი ცოდნაც განსაზღვრავს, ამიტომაც ბუნებრივია, რომ როგორც საქართველოში, ასევე თურქეთის საგანმანათლებლო სისტემის პრიორიტეტს ზოგადი განათლებით პიროვნების აღჭურვა წარმოადგენს.

ჩვენს თემაში მოკლედ შევეხებით თურქეთის განათლების სისტემის სისტემურ წყობას და სკოლის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტის უნივერსიტეტში მოხვედრის პროცედურებს, რომლის მიღწევასაც, თავისი საქმიანობით, ემსახურება თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ერზრუმის ფემ აკადემია (ფრატის საგანმანათლებლო ცენტრი)

უნდა ითქვას, რომ მოსახლეობასთან შეფარდებით, ერზრუმის უნივერსიტეტი თურქეთის უნივერსიტეტებს შორის სტუდენტთა რაოდენობით პირველ ადგილზეა. როგორია თურქეთის საგანმანათლებლო ცენტრალური საგამოცდო სისტემა, რომელიც საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდების ანალოგს წარმოადგენს? თურქეთში 3 სახეობის ცენტრალური გამოცდაა:

1) SBS (დონის მარეგულირებელი გამოცდა), რომელიც წყებითიდან საშუალო სკოლისთვის მოსამზადებელი გამოცდაა. გამოცდის შედეგად წარმატებული მოსწავლეები ლიცეუმებში იგზავნებიან.

2) YGS-LYS (უნივერსიტეტისათვის მოსამზადებელი გამოცდა). თავის მხრივ: 4 წლიანი ლიცეუმის განათლების შემდეგ მოსამზადებელი 2 ეტაპიანი გამოცდაა:

A. YGS (უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისათვის მოსამზადებელი გამოცდა): ძირითადად მარტში ტარდება, 2 და 4 წლიანი ფაკულტეტებში ხდება გადანაწილება.

B. LYS (საბაკალავრო მოსამზადებელი გამოცდა): ამ გამოცდით 4, 5 ან 6 წლიან ფაკულტეტებში ხდება გადანაწილება.

-პედაგოგი, სტომატოლოგი, ვეტერინარი, ფარმაცევტი, ფიზიკის თერაპიის, სამედიცინო და საჯარო მიმართულებები...

3) KPSS (სახელმწიფო/საჯარო პერსონალის შესარჩევი გამოცდა).

ლიცეუმის და უნივერსიტეტდამთავრებულთა შესარჩევი გამოცდა სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის დაწყებისათვის. ამ გამოცდით პიროვნებას პედაგოგად, საგამოცდო დამკვირვებლად, პროკურორად, გამგებელად, მოსამართლედ, სახელმწიფო ბანკის თანამშრომლად შეუძლია მუშაობის დაწყება. ამ ტიპის გამოცდის განხილვაც ძალიან საინტერესო იქნებოდა ჩვენთვის, მაგრამ, კონფერენციის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისათვის ფემ აკადემიის ეფექტურობის მაჩვენებელს განვიხილავთ.

ერზრუმში 3 სახეობის საგანმანათლებლო დაწესებულებაა. შესაბამისად, ფემ აკადემია ამ მიმართულებით ახორციელებს მუშაობას და მოსამზადებელ საგნობრივ კურსებს სთავაზობს მსურველებს. სტატისტიკა ასეთია:

1) ლიცეუმისათვის მოსამზადებელი კურსები:ზოგადად, ერზრუმში 8 სახეობის კერძო კურსია: დაახლოებით 6.000 აბიტურიენტია დაფიქსირებული ამ კურსზე. აღნიშნული გამოცდა აბიტურიენტს ამზადებს მომავალი საფეხურისათვის.

2) უნივერსიტეტისათვის მოსამზადებელი კურსი: ფემ აკადემია 11 სახეობის კერძო კურსს სთავაზობს მსურველს, რომელზედაც დაახლოებით 13.500 აბიტურიენტი ემზადება.

ჯგუფების საერთო რაოდენობა 118-ია, სადაც კვირაში სამჯერ მიმდინარეობს კურსის ლექციები, პედაგოგთა რაოდენობა 120-ია, ხოლო ადმინისტრაცია 21. ფემ აკადემიის საქმიანობის ეფექტურობის მთავარი ინდიკატორი, ბუნებრივია აბიტურიენტთა უნივერსიტეტში ჩარიცხვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელია, თუმცა, საერთო სურათის შესაქმნელად, ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია თავად აბიტურიენტების აზრი და შეხედულება ფემ–ის საქმიანობის ეფექტურობის შესახებ. სწორედ ამ მიზნით, ჩავატარეთ კვლევა და მოვახდინეთ აბიტურიენტთა და სტუდენტთა (რომლებიც ამ კურსების დასრულების შემდეგ ჩაირიცხნენ უნივერსიტეტებსი) კმაყოფილების ანალიზი აღნიშნული კურსების ირგვლივ. სოციოლოგიური კვლევა მიმდინარეობდა 2014 წლის მარტ-აპრილში. კვლევის სუბიექტები იყვნენ 11, 12 კლასის მოსწავლეები (აბიტურიენტები), ასევე სტუდენტები, რომელთა საერთო რაოდენობა იყო 1209. კვლევის ცდომილება განისაზღვრა 3%-ით. გამოკითხვის ანკეტა იწყებოდა კითხვით: როგორი იყო ოჯახის შემოსავალი. ამ ტიპის კითხვა იმიტომ შევიტანეთ ანკეტაში, რომ გვაინტერესებდა, კურსზე ჩარიცხვა ხომ არ უკავშირდებოდა ოჯახის დაბალ შემოსავალს და არა მენტალურ ნდობასა თუ უნდობლობის საკითხს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ მოსამზადებელი კურსების მიმართ. გამოკითხულთაგან 54% საშუალო ფენას წარმოადგენს, 28% დაბალი სემოსავლების მქონეა, ხოლო 18%–მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახიდანაა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ არამოულოდნელი აღმოჩნდა ის, რომ კერძო სექტორიდან აბიტურიენტთა მხოლოდ 4% მოდის კურსებზე. როგორც საქართველოში ჩვენს კოლეგებთან საუბარში გამოიკვეთა განათლებაში, კერძო სკოლების დიდი ნაწილის კურსდამთავრებულები მომზადების გარეშეც აჩვენებენ ჩარიცხვის მაღალ მაჩვენებელს, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ(ამის შესახებ მაჩვენებელი ჯერ არ გვაქვს) ამ აბიტურიენტების რეპეტიტორებთან მომზადების შედეგად აწეულ მაჩვენებელს. აბიტურიენტების მიერ ფემ აკადემიის მიერ შეთავაზებული კურსების შეფასება იმისათვის, რომ მისაღები გამოცდა წარმატებით დაძლიოს არის 61 %.

როგორც ფემ აკადემიის საქმიანობაზე დაკვირვებით გამოიკვეთა, აბიტურიენტთა კურსებზე დასწრების მაჩვენებელი არათანაბარია, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, გაგვერკვია მათი აზრი ამის შესახებ. გამოკითხულთა 77 % მიიჩნევს, რომ წარმატებული შედეგისათვის კურსებზე სისტემატური დასწრება აუცილებელია. მომდევნო შეკითხვაზე, განათლების მიღების რომელ სისტემაში იღებს უკეთეს პროფორიენტაციულ რჩევებს, პასუხად აბიტურიენტთა ნახევარზე მეტი 51 % მიიჩნევს, რომ რჩევებს პროფესიის არჩევაზე და შესაბამისად, სასურველი უნივერსიტეტის შესახებ, ფემ აკადემიის მიერ სეთავაზებული კურსების გავლისას უფრო მეტად იღებს, ვიდრე სკოლიდან. მხოლოდ კერძო ლიცეუმიდან მოსული აბიტურიენტების 39% აფიქსირებენ საპირისპიროს.

ანკეტის შემდეგი შეკითხვა ეხებოდა სკოლისა და კურსის გავლის შედეგად მიღებული განათლების შედარებას, რომლის პასუხად, ყოველი 4 კანდიდატიდან 3, ე. ი. 75% მიიჩნევს, რომ კურსების გავლის შედეგად მიღებული განათლება უფრო ხარისხიანია. ხოლო, გამოკითხულთა 44% მიიჩნევს, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა

საუნივერსიტეტო გამოცდის მინიმუმ დასაძლევად, ან მაღალი შედეგის მისაღწევად არასაკმარისია.

კითხვაზე, უნივერსიტეტებს მომზადებულ აბიტურიენტებს სკოლა უკეთესად აწვდის, თუ მოსამზადებელი კურსები: სტატისტიკა ასეთი გამოჩნდა **(სქემა 1)**: გამოკითხულთა 72 პროცენტი მიიჩნევს, რომ ფემ აკადემიის მიერ სეტავაზებული კურსები უკეთესად ამზადებს აბიტურიენტს უნივერსიტეტში ჩასაბარებლად და მაღალი შედეგების საჩვენებლად.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვა მხოლოდ ამ შეკითხვებით ამ ამოიწურება და შედეგების მხოლოდ ნახევარს წარმოვადგენთ, დარჩენილ მასალას, რომელიც არანაკლებ საინტერესოა, სხვა ფორმატით ვაჩვენებთ საზოგადოებას. მთავარია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები სტიმულის მომცემია ჩვენი აკადემიის საქმიანობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად. აკადემიის საქმიანობის საგანმანათლებლო მენეჯმენტის ერთ ფრაგმენტს დავამატებთ კიდევ: ყოველწლიურად აბიტურიენტი, რომელიც აკადემიის კურსებს საუკეთესო მაჩვენებლებით დაამთავრებს და ასეთივე წარმატებით ჩაირიცხება უნივერსიტეტში, აკადემიისაგან ჯილდოდ იღებს მანქანას და სტიპენდიას, რას ასევე კარგი სტიმულია კურსებით მომავალი მოსარგებლისათვის.

ჩვენთვის საყურადღებო აღმოჩნდა მომზადების მსგავსი სისტემის მოძიება საქართველოში, როდესაც კოლეგებმა გაგვიმხილეს, რომ ეს სისტემა დღემდე არაეფექტურობის გამო არ მუშაობს(თუმცა გერკვეული წლების წინ ამის მცდელობა იყო და ის ძირითადად უნივერსიტეტების ბაზებზე მიმდინარეობდა). შესაძლებელია, რომ პრობლემების ძიებისას ორი ქვეყნის განათლების სისტემის პრიორიტეტები არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ საერთო სიძნელეების გამოკვეთა და მათზე მორგებული გამოსავლის ძიება ყოველთვის პოზიტიური ნაბიჯები იქნებოდა, მით უმეტეს, რომ საერთო საგანმანათლებლო სივრცეში საგანმანათლებლო დაწესებულების თანაარსებობა და ურთიერთთანამშრომლობას, დღეს ასეთ სიმაღლეებს აღწევს.



სქემა 1.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Кудрявцева Е.И. Козин А.А. Корпоративное обучение как современная форма повышения квалификации персонала // Вестник Коми Республиканской Академии государственной службы и управления при Главе Республики Коми, Серия ,,Теория и практика управления“, №2, 2006.

2. http://www.24saati.ge/weekend/story/14217-shromis-bazari-saqartveloshi. შრომის ბაზარი საქართველოში.
3. მეჰმეთ თაჰირ თეკინ. ერზრუმის ეროვნული საგამოცდო ცენტრის საგანმანათლებლო საქმიანობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით. III საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია - კომპიუტინგი/ინფორმატიკა, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება. ბათუმი, 17 – 19 ოქტომბერი, 2014.
4. ერზრუმში (თურქეთი) ჩატარებული კვლევის მასალები. 2014 წ. მარტი–აპრილი

Mehmet Tahir Tekin
Iakob Gogebashvili Telavi State University

The Efficiency Indicator of Performance at Erzurum Fem Academy (Fratis Educational Center)

Abstract

Intellectual potential, competence and readiness for innovative changes determine development, viability, efficiency of any company's performance. This is the explicit requirement of the labor market and the demand to the educational system, on which the country's business community unconditionally agree. Therefore, it is essential with what knowledge and skills a graduate of the university or the college is equipped while entering the labor market. The article describes the efficiency of the performance of Erzurum Fem Academy, and analyzes satisfaction level of students in preparatory courses; the results will further stimulate the development of educational performance of Femme Academy. The recommendations are applicable in similar Georgian educational space.

საკვანძო სიტყვები: ფემ აკადემია, აბიტურიენტი, გადამზადების კურსები, სკოლა, მოსწავლე
Keywords: Fem academy, entrance student, re-training courses, school, student.

შორენა მაღლაკელიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში და მათი დანახარჯები

მშობელთა ჩართულობის განსაზღვრა სასწავლო პროცესში მრავალმხრივ შეიძლება წარმოვადგინოთ. ძირითადად მკვლევართა მიერ ყურადღება მახვილდება იმის დადგენაზე, თუ რამდენად და რა ფორმით არიან მშობლები ჩართულები სასწავლო პროცესში და რა გავლენასახდენსეს ჩართულობას მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე. ზოგადად თვლიან, რომ მშობელთა ჩართულობა, ეს არის მათი სწრაფვა შვილების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა საგანმანათლებლო და სკოლასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, მშობლების მონაწილეობა სასკოლო აქტივობებში, მშობლების,

მასწავლებლებისა და დირექციის კომუნიკაცია მშობლების მონაწილეობა სასკოლო აქტივობებში და შვილებისათვის სასკოლო საკითხებში დახმარების გაწევა სახლში(ფენი, 2001).

მიუხედავად მრავალრიცხოვანი ჩამონათვალისა, აქ არ არის დასახელებული ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას, და გამოისახება იმ დანახარჯებში, რასაც მშობლები გაიღებენ მოსწავლის სასწავლო ნივთების, სატრანსპორტო საშუალებების, სახელმძღვანელოების, ექსკურსიების თუ სხვათა შეძენისა თუ გამოყენების დროს. სწორედ მშობელია ის ადამიანი, რომლიც გადაწყვეტილებას იღებს მისიშვილის განათლებაში ინვესტიციების შესახებ.ინვესტიცია შეიძლება სხვადასხფა ფორმით განხორციელდეს, მაგრამ აქ ყურადღებას გავამახვილებთ ბავშვისათვის კონკრეტული საქონლის და მომსახურების ფორმით წარმოდგენილ ხარჯებზე, რამდენადაც მათ აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა ბავშვების მიღწევებში (Haveman & Wolfe,1995). შესაბამისად, მშობლების შემოსავალს, დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების წარმატებისათვის სკოლაში.

ბოლო ათწლეულების კვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში უთანასწორობა შემოსავლისა და სიმდიდრის მიხედვით სტაბილურად იზრდება. (Danziger და Gottschalk 1995 Levy 1998 Gilbert 2008 წ.) მშობლებმა იციან, რომ ამჟამად ბავშვები საჭიროებენ უფრო მეტ ინვესტიციებს ფულისა და დროის სახით ვიდრე ახლო წარსულში. ეს დაკავშირებულია იმ ცვლილებებთან, რაც მიმდინარეობს შრომის ბაზარზე, და გამოიხატება უფრო მაღალ შემოსავალში,რაც განათლებისა და პროფესიული მომზადების შედეგად მიიღება. ითვალისწინებენ რა თავიანთი შვილების პერსპექტივებს, მშობლებმა, როგორც ჩანს, შეიმუშავეს სტრატეგია(ევროპის ქვეყნებში), რომლის შედეგია მცირერიცხოვანი ოჯახები და შვილებისათვის მეტი ინვესტიციები. ამდენად თანამედროვე ოჯახს ჰყავს ნაკლები შვილები და მშობლებიც მეტ დროს და ფულს ხარჯავენ მათთვის ვიდრე წარსულში (Bianchi 2000; Bianchi,Robinson, and Milkie 2006)

მიუხედავად ასეთი სტრატეგიისა, მაინც არსებობს მაღალშემოსავლიანი საარსებო მინიმუმს მიღმა მყოფი ოჯახები. ბავშვებს კი, რომლებიც სკოლაში ივლიან, აუცილებლად ჭირდებათ სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მოწყობილობები, ტრანსპორტი, კვება სკოლაში, სხვადასხვა წრეებზე სიარული, სასკოლო ექსკურსიებში მონაწილეობის მიღებაა, და სასკოლო ფორმა, როგორც მოსწავლის აუცილებელი ატრიბუტი. მათი შეძენა და მომსახურების მიღება კი მშობლებისაგან ერთჯერად თუ ყოველდღიურად გაწერილ მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს. იმისათვის, რომ დაბალშემოსავლიან ოჯახების შვილებს მიეცეს განათლების საშუალება, მთელ რიგ ქვეყნებში მოქმედებს სხვადასხვა კანონი და მათ შესაბამისად შედგენილი სქემა. მაგალითად, ირლანდიაში მოქმედებს სქემა, რომელიც ითვალისწინებს იმ მოსწავლეთა მშობლებზე ფინანსურ დახმარებას, რომელთა ოჯახის შემოსავალი განსაზღვრულ დონეზე ნაკლებია და ძირითადად დამოკიდებულნი არიან სოციალურ დახმარებებზე. ასეთია მაგალითად ტანსაცმელითა და ფეხსაცმლით დახმარება, იმ ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის ღირებულების გადახდით, რაც წარმოადგენს მოსწავლეებისათვის სასკოლო ფორმას.

სკოლის წიგნები საგრანტო სქემის მიხედვით ხელმისაწვდომია სახელმწიფო დაწყებითი და საშუალო კლასების მოსწავლეთავის დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან.

მოსწავლეები, რომლებიც ცხოვრობენ სკოლიდან შორს, შეუძლიათ ისარგებლონ პანსიონის მომსახურებით (თუ 25 კმ რადიუსში არ არის მისთვის ხელმისაწვდომი სკოლა) (Department of Education and Skills, Ireland, 2013).

ბევრი მოზარდი მშიერი მიდის სკოლაში, და ეს აშკარა გავლენას ახდენს მათ უნარზე, რათა მაქსიმუმი გააკეთონ სკოლაში საგაკვეთილო დროში. მშობლებმა და და მასწავლებლებმაც იციან, რომ ბავშვებს, რომლებიც მშიერი ზიან კლასში, უჭირთ გაკვეთილზე კონცენტრირება. კლინიკური კვლევები ამტკიცებენ, რომ გლუკოზის ადეკვატური მიწოდება აძლიერებს ტვინის კოგნიტურ ფუნქციონირებას. კავშირი შიმშილსა და სწავლას შორის აღიარებულ იქნა ბრიტანეთის მთავრობის მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინ. 1906 წელს მიღებული კანონი, შესაძლებლობას აძლევდა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ უზრუნველეყო იმ ბავშვების კვება, რომლებიც საკვების დეფიციტის გამო ვერ ახერხებდნენ მიეღოთ სათანადო განათლება. აღნიშნულმა გამოიწვია FSM სქემის შექმნა, რომელიც დღემდე მუშაობს. ეს უზრუნველყოფს უფასო საკვებს სკოლებში, რაც ხელმისაწვდომია მოზარდისათვის, რომელთა მშობლებისა დაუსაქმებელია და შესაბამისად ოჯახი სიღარიბის ზღვარს მიღმაა. როგორც კვლევა აჩვენებს 2.3 მილიონი სასკოლო ასაკის ბავშვი ცხოვრობს სიღარიბეში. აქედან მხოლოდ 1.2 მილიონია ჩართული სქემაში. ამ ორ ციფრს შორის განსხვავება ნიშნავს, რომ მოზარდებს, რომელთა მშობლებს აქვთ სამუშაო, თუმცა აქვთ ძალიან დაბალი შემოსავალი, არ აქვთ აღნიშნულის უფლებამოსილება. (Child Poverty Action Group, Kids Company, National Union of Teachers, 2014)

ახლა განვიხილოთ თუ როგორია საქართველოში მშობლების ჩართულობა და ინვესტიციები მათი შვილების განათლებაში და როგორია ქვეყნის სამთავრობო თუ სასკოლო პოლიტიკა იმ მიმართებით, რომ ხელი შეუწყოს მშობლებს უფრო აქტიურად ჩაერთონ მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ეკონომიკური მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს, მან შეძლო ისეთი რეფორმის გატარება განათლების სფეროში, რომელმაც საფუძველი დაუდო მრავალ ცვლილებას, რაც შემდგომ წლებში უფრო და უფრო განვითარდა და სრულყოფილი გახდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად. შესაბამისად, უფასო და ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა აქვს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეს, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეებს, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.

სასკოლო განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ამაღლება დაკავშირებული იყო იმ პრობლემების გადაჭრასთან, რომლების მშობლებს და სკოლას ექმნებოდა და რაც განსაკუთრებით მწვავედ სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან სასკოლო ასაკის მოსწავლეებზე აისახებოდა. უპირველეს ყოვლისა ეს დაკავშირებული იყო ზამთრის სეზონის დადგომასთან. ამ პერიოდში თითქმის 5 თვის განმავლობაში, სკოლების ფიზიკური ხელმისაწვდომობის პრობლემა იდგა რთულ რელიეფიანი რეგიონების, განსაკუთრებით, მაღალმთიანი სოფლების მოსწავლეებისათვის. დასწრება 30%-ზე დაბალი იყო. ბოლო სამი წლის განმავლობაში სკოლების ხელმისაწვდომობა გაზარდა სასკოლო ავტობუსების მომსახურებამ. დღეს 1065 სკოლის 53 ათასამდე მოსწავლეს სარგებლობს ამ სერვისით. მოსწავლეებს რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა აღარ უწევთ. სკოლებში დასწრება 95%-მდე გაიზარდა. შესაბამისად, სწავლის

პროცესიც უფრო ეფექტური გახდა. აღნიშნული სერვისით ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ის მოსწავლეებიც სარგებლობენ, რომელთაც ქართულ ენაზე განათლების მისაღებად ყოველდღიურად რამდენიმე კილომეტრის გავლა და გამყოფი ხაზის გადმოკვეთა უწევთ. გამყოფ ხაზთან მათ ხვდებათ სასკოლო ავტობუსი და მოსწავლეების სკოლამდე მიყვანას უზრუნველყოფს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში, 2014 წელი).

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ასევე მოსწავლეებისა და მათი მშობლების წინაშე იდგა, იყო მოსწავლეებს სასწავლო რესურსებთან წვდომის საკითხი. საქართველოში მოსახლეობის 11%-ზე მეტი ანუ 432.5 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველია(საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2015). გარდა ამისა ოჯახების ამდენივე და უფრო მეტიც დაბალშემოსავლიანია, რომელიც მიახლოებულია სიღარიბის ზღვართან. რსწორედ, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ოჯახების თითქმის 65%-ს არ შეეძლო ძვირადღირებული სახელმძღვანელოებითა და სავარჯიშო რვეულებით შვილების უზრუნველყოფა. მოსწავლეების დიდი ნაწილისთვის მეორადი სახელმძღვანელოს უხარისხო ასლებიც კი არ იყო ხელმისაწვდომი. 2012 წლიდან ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეს და ასევე, კერძო სკოლების სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილებს სასკოლო სახელმძღვანელოებით და სამუშაო რვეულებით უზრუნველყოფს სახელმწიფო. სასკოლო სახელმძღვანელოების პროგრამის ფარგლებში 500 000-მდე მოსწავლეს, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსწავლეებს, უსასყიდლოდ გადაეცა სასკოლო სახელმძღვანელოები და რვეულები(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიში, 2014 წელი).

აღნიშნულმა ფართომასშტაბიანმა პროგრამებმა თითქმის 60%-მდე შეამცირა ოჯახის წლიური დანახარჯი ზოგად განათლებაზე და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსწავლეთა მდგომარეობა. მაგრამ ყველა პრობლემა, რომელიც დგას იმ მშობლების წინაშე რომლების სიღარიბის ზღვარს მიღმა არიან, ან ვერ მოხვდნენ მათ რიცხვში, მაგრამ არა ნაკლებ მძიმე პირობებში ცხოვრობენ, აღნიშნულით არ გადაჭრილა. საკითხი ეხება ბავშვთა კვებას სკოლაში, სხვადასხვა წრეებში ბავშვთა გაერთიანებას, სასკოლო ექსკურსიებში მონაწილეობას. სკოლაში კვება, როგორც აღნიშნული იყო, მეტად მძიმე და მტკივნეული საკითხია როგორც მშობლებისათვის, ასევე სკოლისთვის.

,,მე არ შემეძლო კონცენტრირება გაკვეთილზე იმიტომ, რომ ვიყავი ძალიან მშიერი.“ მოზარდი დაბალ შემოსავლიანი ოჯახიდან. და ასევე ,, საკვები არის ძალიან ძვირი ჩემთვის“. (British Youth Council, Child Poverty Action Group, Kids Company, National Union of Teachers, 2014).

იგივე შეიძლება თქვას ბევრმა მოსწავლემ საქართველოს სკოლებიდან. აღნიშნულის დადასტურება შეიძლება მოვახდინოთ შემდეგი მაგალითით. აჭარის რეგიონში კვლევების ჩასატარებლად ყოფნისას, ასევე გავეცანით სკოლა პანსიონების მუშაობას. ერთ ერთ პანსიონში, რომელიც ყველაზე ნაკლებ კეთილმოწყობილი იყო, დერექტორს მაგიდაზე ჰქონდა საკმაოდ სქელი შეკვრა მშობლების განცხადებებისა, ახლომდებარე სოფლებიდან, მათი შვილების სკოლა-პანსიონში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. მშობელს, თუ ძალიან არ უჭირს, არავითარ შემთხვევაში არ მიიყვანს შვილს იქ, სადაც ელემენტარული პირობები არ არის ბავშვთა კომფორტული ცხოვრებისათვის. ამ პანსიონს ერთადერთი რამ ჰქონდა მიმზიდველი -

არაჩვეულებრივად სუფთა, ნათელი ყველა მოსწავლეზე გათვლილი სასადილო - ოთხჯერადი კვებით.

კვლევის ფარგლებში მოვახდინეთ მე-12-ე კლასელთა მშობლებთან გასაუბრება და მომზადებული კითხვარის მიხედვით მათი გამოკითხვა.

მშობლები თამამად გამოთქვამენ საკუთარ დამოკიდებულებას და მოთხოვნებს სკოლების მიმართ. მათი ნაწილისთვის მისაღებია სკოლის მიერ შეთავაზებული სახელმძღვანელოები. სხვები თვლიან, რომ მოსწავლეებისთვის მხოლოდ ერთი პოზიციის გამომხატველი ნარატივის შეთავაზება არასწორია და საჭიროა ალტერნატიული წყაროების მიწოდება. ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებელს სჭირდება იმის დემონსტრირება, რომ გულწრფელად ესმის მოსწავლეთა განსხვავებული შეხედულებები და დამოკიდებულებები.

სამწუხაროდ, მშობელთა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ეთანხმება აზრს, რომ თავად აქვთ დიდი გავლენა იმ შედეგებზე, რასაც მათი შვილები აღწევენ სკოლაში. კითხვაზე, რა მიგაჩნიათ სწავლების გაუმჯობესების გზად, უმრავლესობა ასახელებს კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობის ზრდას და არა საკუთარ პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვას.

კითხვარის ერთი ნაწილი(გარდა იმისა, რაც უკვე აღინიშნა კერძო რეპეტიტორობის განხილვისას) ეხებოდა მშობლების დანახარჯს ბავშვთა კვებაზე სკოლაში და ექსკურსიებზე.

მშობელთა 12.9% წერს, რომ მათი დანახარჯი წლის მანძილზე 300-400ლარია, 25% -ის დანახარჯი-140-160 ლარია, 31.5%-ის 100 ლარამდე, ხოლო დანარჩენი-30.4% არაფერს არ ხარჯავს. ზოგიერთი მშობელი აღნიშნავს, რომ მათ სკოლაში სასადილო არ არის. ალბათ საკმაოდ ძნელია მოსწავლისათვის 5, 6 ან 7 გაკვეთილის მანძილზე საკვების გარეშე ყოფნა, მით უმეტეს, თუ სადილი სახლშიც არ ელოდება.

სკოლის დირექტორი: ყოფილა შემთხვევები, როცა მოსწავლე გაკვეთილზე ცუდად გამხდარა. როგორც შემდეგ ირკვეოდა, ამის მიზეზი შიმშილი იყო. ერთი ფინჯანი ტკბილი ჩაისა და ნამცხვრის ჭამის შემდეგ ფერმოსული, ხალისით შესულა გაკვეთილზე.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა სასკოლო ექსკურსიებთან დაკავშირებით. რადგანაც ამისათვის ფულს მშობელი იხდის, ნაწილი მშობლებისა იძულებულია სესხად აიღოს საჭირო თანხა, ან უკიდურეს შემთხვევაში ბავშვი ვერ წავიდეს ექსკურსიაზე.

ქვეყანაში მძიმე სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაში მოსახლეობის უმრავლესობის ყოფნის გამო, როგორც აღნიშნული იყო, სახელმწიფოს მიერ მრავალი ღონისძიება გატარდა სასკოლო განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად. აქ ალბათ აუცილებელია თავისი სიტყვა სკოლამაც თქვას.

როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში სკოლებს შეუძლიათ ამ პრობლემისმოსწავლისა და მშობლის სასარგებლოდ გადაწყვეტა. ამისათვის საჭირო იქნება სკოლის ხელმძღვანელობის კეთილი ნება, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ფულადი სახსრები უფრო მიზანმიმართულად. ამჟამად საქართველოს ნებისმიერ სკოლას აქვს საკმაო ოდენობის თავისუფალი ფული(ნაშთის სახით), რომლის მცირე ნაწილის გამოყენება და შესაბამისად ბიუჯეტში გათვალისწინება, სასწავლო წლის მანძილზე თუნდაც ერთჯერ, სასწავლო ექსკურსიებისათვის, და სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის ფინჯანი ჩაისა და ფუნთუშისათვის, პრობლემას არ

შექმნის. სკოლების ჩართულობა რაც გამოიხატება მოსწავლეების დახმარებაში, დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან - კიდევ უფრო ჰუმანურს და სრულყოფილს გახდის ამ პროცესს. სკოლების ჩართულობა დაბალშემისავლიანი მოსწავლეების დახმარებაში, ოჯახებიდან, კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის ამ პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bianchi,Suzanne M. 2000; Maternal employmentand time with children: Dramatic change or surprising continuity?, Demography, Volume 37-Number 4, November: 401–414
2. Suzanne M. Bianchi, John P. Robinson, & Melissa A. Milkie, 2006; Changing Rhythms of American Family Life, Volume 69, Issue 2.
3. Gilbert N, (2008). Researching social life. 3rd edn: 576 pages. Sage Publications
4. Financial help with going to school,2013, Department of Education and Skills, Ireland, http://www.citizensinformation.ie/en/education/primary_and_post_primary_education/educational_supports/school_books_scheme.html.
5. The Costs of Going to School, from Young People's Perspectives, 2014, British Youth Council, Child Poverty Action Group, Kids Company, National Union of Teachers.
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ, 2014 წლის ანგარიში.

Shorena Maglakelidze
Ilia State University

Parents' Involvement in the Learning Process and their Expenses

Abstract

Important factors that promote student success, have its' costs, cause parents have to pay for school items , transportation, text books, excursionsand and many other thing. Accordingly, the resources of the family, especially the 'sparents' income, has great impact on childs success at school. Number of countries have introduced different laws in accordance with the schemes to give children, from low-income families, an opportunity of education. In Georgia like Europian counties, lot's of changes have been made to improve the quality and accessibility of education. Accordingly, today all public school students have opportunuty to have free basic education. Which means free textbooks, notebooks, and free bus service. The school involvement in helping students from low-income families will make this process even more perfect.

საკვანძო სიტყვები: მშობლების ჩართულობა, სკოლა, დანახარჯები, სიღარიბე, მოსწავლის წარმატება.
Keywords: Parents involvement, school, costs, poverty, student success.

მანანა დეისაძე, შალვა კირთაძე, მანანა ზივზივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მათემატიკური სავარჯიშოები სხვადასხვა სააზროვნო დონეების მიხედვით

ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი მიზანია მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს მათემატიკური სააზროვნო უნარები-ჩვევები. აქედან გამომდინარე მათემატიკის თანამედროვე გაკვეთილი აქტიური და საინტერესო უნდა იყოს. სწორედ დაწყებით კლასებშივე ეყრება საფუძველი მოსწავლეთა სააზროვნო უნარ-ჩვევების დაუფლებას. ამიტომაც მასწავლებელმა უნდა შეძლოს დაწყებით კლასებშივე მოსწავლის ინტერესის გაღვივება მათემატიკისადმი. ამისათვის აუცილებელია მასწავლებელმა შეადგინოს მოქნილი და კრეატიული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია განათლების მიზნების, ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით გათვალისწინება.

სიტყვა **„ტაქსონომია“** აღნიშნავს იმგვარ კლასიფიკაციას, რომელიც ამათუიმ საგანს ახასიათებს მარტივი კატეგორიიდან რთულისაკენ. იგი წარმოდგება ბერძნული სიტყვებისგან **ტაქსის,** რაც წესრიგს, დალაგებას ნიშნავს, და **ნომოს,** რაც ნიშნავს კანონს, მეცნიერებას. ბლუმის ტაქსონომია სწავლების მიზნების კლასიფიკაციას უკავშირდება და აღწერს ამ კლასიფიკაციის ძირითად პრინციპებს.

ბლუმის ტაქსონომია 1956 წელს შეიმუშავა მათემატიკის სპეციალისტთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბენჯამენ ბლუმი.

ბლუმის ტაქსონომია აღწერს ადამიანის აქტივობის ამ სფეროს: კოგნიტურს (შემეცნებითი), აფექტურს (ემოციური), ფსიქომოტორულს.

სამივე სფეროში კატეგორიები დაყოფილია იერარქიულადსირთულის მიხედვით - მარტივიდან რთულისაკენ.

ნაშრომში ყურადღებას შევაჩერებთ კონგნიტურ (შემეცნებით) სფეროზე. ბლუმის მიხედვით აზროვნების უნარი დაყოფილია ექვს დონედ: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება.

ქვედა სააზროვნო დონეში მოიაზრება: **ცოდნა, გაგება, გამოყენება, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება ზედა დონეში და ავითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს.**

მნიშვნელოვანია ის, რომ მასწავლებელი კარგად უნდა ფლობდეს თითოეული დონის შესაბამისი მათემატიკური სავარჯიშოთა სისტემის შედგენის ხერხებს. თეორიულად თითქოს კარგად ჩამოაყალიბებენ თითოეული დონის მოთხოვნებს, მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, უძნელდებათ თითოეული დონის შეაბამისი კონკრეტული სავარჯიშოთა სისტემის შედგენა,ჩამოყალიბება. მითუმეტეს, სირთულეს წარმოადგენს ერთი და იმავე თემის დონეებად ჩაშლა, ყველა დონის შესაბამისი სავარჯოშოების შედგენა.

განვიხილოთ ბლუმის ტაქსონომიით განსაზღვრული დონეების მოკლე აღწერა: დავასახელოთ საკვანძო სიტყვები, დავსვათ შესაბამისიშეკითხვები და მივუთითოთ შესაბამისი აქტივობები.

I საფეხური - ცოდნა

საკვანძო სიტყვები: მოყევი, ჩამოაყალიბე, ჩამოთვალე, დაასახელე, დაწერე, ჩამოწერე.

შესაბამისად შეიძლება მივცეთ ასეთი ტიპის დავალებები:

- დაწერეთ მართკუთხედის ფართობის გამოსაანგარიშებელი ფორმულა
$$s = ab$$
- რას უდრის მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა?- $V = abc$
- დაწერეთ კვადრატული განტოლების ამოსახსნელი ფორმულა $x = \frac{-b \pm \sqrt{D}}{2a}$

ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლე ფლობს მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას.

II საფეხური - გაგება

საკვანძო სიტყვები: საკუთარი სიტყვებით ახსნა, განმარტება, შეცვლა, გადათარგმნა. მაგალითად, შეუძლია საკუთარი სიტყვებით გადმოცეს რაიმე წესი.

- მართკუთხედის პერიმეტრი არის მისი ყველა გვერდების ჯამი.
- სამკუთხედის ფართობი არის ის ადგილი, რასაც იკავებს სამკუთხედი.
- წრეწირის სიგრძე წრეწირის დიამეტრის პირდაპირპროპორციულია.
- მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობა გვიჩვენებს, რა ტევადობისაა იგი.

III საფეხური - გამოყენება

საკვანძო სიტყვები - გამოყენება, გაგება, გამოთვლა, პოვნა, აღმოჩენა....;

- მაგალითად, მოსწავლემ იცის კვადრატული განტოლების ამოსახსნელი ფორმულა და მას შეუძლია ამ ფორმულის გამოყენებითამათუიმ კვადრატული განტოლების ამოხსნა. მაგალითად, ამოხსენით $x^2-5x+6=0$ განტოლება.
- მოსწავლემ იცის მართკუთხედის პერიმეტრის გამოსაანგარიშებელი ფორმულა და შეუძლია, გამოიყენოს იგი ამოცანის ამოხსნისა: რას უდრის მართკუთხედის პერიმეტრი, თუ მისი გვერდებია 4დმ და 2 დმ?
- რა სიგრძის ღობეა საჭირო მართკუთხა ფორმის მიწის ნაკვეთის შემოსაღობად, რომლის სიგრძეა 200მ, ხოლო სიგანე კი-100მ?

IV საფეხური - ანალიზი

საკვანძო სიტყვები - გაანალიზე, ახსენი მიზეზი, დაადგინე....; მოსწავლემ უნდა შეძლოს არსებული სიტუაციის გაანალიზება და შემდეგ შესაბამისი დასკვნების გამოტანა. ასე მაგალითად,

- თუმოცემულია რიცხვითი მიმდევრობა, უნდა შეძლოს 5,6,7,8,9.. გაანალიზოს რა კანონზომიერებაა ამ მიმდევრობის რიცხვებს შორის და შემდეგ შეძლებს მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, ... წევრი.
- ვთქვათ, მოცემულია ცხრილი. გამოსახეთ y როგორცx-ს ფუნქცია.

x	2	4	5	6
y	4	8	10	12

V საფეხური - სინთეზი

საკვანძო სიტყვები: აღმოჩენა, შედგენა, აგება, დაგეგმვა, განვითარება, ორგანიზება.

ასე მაგალითად

- სავაჭრო ცენტრმა გამოუშვა ბარათი, რომლის შეძენის შემთხვევაში, ბარათის მფლობელს შეუძლია საქონლის შეძენა 5% იანი ფასდაკლებით. ღირებულებაა 25 ლარი. ვისაც ბარათი არ გააჩნია, საქონელს ყიდულობს ფასდაკლების გარეშე. რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი ამ ბარათის შეძენა?

VI საფეხური - შეფასება არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა. მოსწავლემ ამ დროს უნდა შეეძლოს არსებული სიტუაციის შეფასება, განსჯა, შემოწმება და შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება, დასკვნების გამოტანა. აზროვნების ეს დონე ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მაგალითად, მოცემულია ამოცანა:

- ერთმა მეთევზემ ჰკითხა მეორეს: „რამდენი თევზი ჰყავს კალათაში? მან უპასუხა: „ჩემს კალათაში იმდენი თევზია, რამდენიც შენი თევზების ნახევარია და კიდევ 10 თევზი“, ხოლო პირველმა მეთევზემ კი უთხრა: „ჩემს კალათაში კი იმდენი თევზია, რამდენიც შენს კალათაში მთლიანად და კიდევ 20 თევზი“. რამდენი თევზი ჰყავდა თითოეულ მეთევზეს?

ცხადია ეს ამოცანა შეიძლება ამოიხსნას განტოლებით, შეიძლება სქემატურად.შემდეგ უნადა შვაფასოთ, რომელია უფრო ხელსაყრელი ხერხი. რათქმა უნდა ადვილად გადაწყდება ეს ამოცანა სქემატური ხერხით.

თითოეული დონის შესაფერისი მაგალითების შერჩევა გაცილებით მარტივია, ვიდრე ერთი რომელიმე საკითხის დონეების მიხედვით ჩაშლა შესაფერისი სავარჯიშოებით.

მაგალითად, განვიხილოთ თემა: მართკუთხედის ფართობი. შევეცადოთ ჩამოვაყალიბოთ ექვსივე დონის შესაფერისი სავარჯიშოები.

მართკუთხედის ფართობი

ცოდნა	• რას უდრის მართკუთხედის ფართობი თუ მისი გვერდებიa და b? • S= ab
გაგება	• მართკუთხედის ფართობი არის მართკუთხედს რა ადგილი უჭირავს სიბრტყეზე.

გამოყენება	• იპოვეთ მართკუთხედის ფართობი თუ, მისი გვერდებია 5 სმ და 2 სმ. • მართკუთხა ნაკვეთის სიგრძე 15მ-ია. სიგანე კი 7სმ. მათი ნაკვეთი შემოღობილია მესრით. რა სიგრძის მესერია ამისათვის საჭირო?
ანალიზი	• ხუთი პატარა კვადრატი მიადგეს ერთმანეთს. მიღებული მართკუთხედის პერიმეტრია 48 სმ-ია. რას უდრის ერთი პატარა კვადრატის ფართობი?
სინთეზი	• მართკუთხედის სიგრძეა 20 სმ, სიგანე კი 5 სმ-ით ნაკლებია სიგრძეზე. გამოვთვალოთ მართკუთხედის ფართობი.
შეფასება	რას უდრის მოცემული ფიგურის ფართობი? 

ამ ტიპის სავარჯიშოები ხელს უწყობს მოსწავლეებში არამარტო ფაქტობრივი ცოდნის დაუფლებას, არამედ სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარებას. მოსწავლეს შეეძლება არსებული სიტუაციის, პრობლემის ჯერ გააზრება და შემდეგ მისი გადაჭრის გზების მოძიება და მათგან ოპტიმალური გზის არჩევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1) ზ. გიუნაშვილი - ბლუმის ტაქსონომია მათემატიკის სწავლებისას. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასალები, 2015წ.
2) სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები მათემატიკაში- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასალები, 2015წ.

Manana Deisadze, Shalva Kirtadze, Manana Zivzivadze
Akaki Tsereteli State University

Math Problems According to Different Thinking Stages

Abstract

The main goal of the national educational plan is to develop mathematical thinking skill among pupils. Thus, modern math lessons should be interesting and active. It is the primary school where thinking skills of pupils begin to develop. That is why it is so important for a teacher to have appropriate knowledge and experience in order to expand pupils' interest to study and love mathematics. Flexible and correctly-built teaching plan is another attribute which is very important and should be organized considering the main teaching objects and Bloom's taxonomy.

Bloom's taxonomy explains the following activities of a person: cognitive (informative), affective (emotional), psychomotoric. In all three fields categories are divided according to hierarchy and complexity from simple to difficult.

The research paper deals with the cognitive (informative) field and represents appropriate practical exercises and samples.

საკვანძო სიტყვები: ცოდნა, გაგება, გამოყენება, სინთეზი, ანალიზი.
Keywords: Knowledge, comprehension, application, synthesis, analysis.

ქეთევან ბაქანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გარემო უმაღლეს სკოლაში

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში უმაღლესი სკოლის სასწავლო გარემო ეს არის იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარემო, სადაც სწავლობს ან სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა სტუდენტი, მაგისტრანტი თუ დოქტორანტი. ეს არის უნივერსიტეტში და აუდიტორიაში არსებული ყველა სასწავლო საშუალებებისა და რესურსების ერთობლიობა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის პროცესის სწორად წარმართვას წინასწარ დაგეგმილი მიზნების მისაღწევად. სასწავლო გარემო შედგება ფიზიკური და სოციალური ელემენტებისაგან. კერძოდ, ადამიანური რესურსები - რომელშიც ერთიანდება უნივერსიტეტის როგორც აკადემიური ისე ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური მახასიათებლები, რომელშიც ერთიანდება: არქიტექტურა, აუდიტორიული მოწყობა (მერხები, სკამები, დაფა ცარცის, დაფა პროექტორის, პროექტორი, აუდიტორიის სწორი განათება, აუდიტორიის სავენტილიაციო სისტემა და სხვა), საბიბლიოთეკო ფონდი, ტექნიკური ფონდი (კომპიუტერული ლაბორატორია, ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსცენტრი), სველი წერტილები, სანიტარული ნორმები და სხვა.

ეფექტიანი სასწავლო გარემოს ძირითად მახასიათებლებად მიიჩნევა:

- ფსიქოლოგიური უსაფრთხოება: სტუდენტს შეუძლია საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა. მის პიროვნულ თავისებურებებს პატივს სცემენ. გარემო არის მზრუნველი, გულწრფელი და ნდობით აღსავსე;
- ფიზიკური უსაფრთხოება: სტუდენტის ჯანმრთელობას არ ექმნება საფრთხე;
- ინკლუზია: სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, რელიგიის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სტუდენტები პატივს სცემენ ერთმანეთს და მშვიდობიანად თანაარსებობენ და სწავლობენ ერთ გარემოში;(განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის, თბილისი 2007; გვ.52-53.)

საქართველოში უმაღლესი სკოლის სასწავლო გარემო დღეს სხვადასხვა ნორმატიული აქტით რეგულირდება. ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, კერძოდ:

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები;
3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება;
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება;
5. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება;

წარმოგიდგენთ უმაღლესი სკოლის სასწავლო გარემოს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტაციის ანალიზს:

1. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ დაწესებულებას ანიჭებს ავტონომიურობას სასწავლო გარემოს შექმნისას. თავად დაწესებულება წყვეტს როგორც ადამიანური ისე მატერიალური რესურსის საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტი, წარმოადგენს ზოგად მარეგულირებელ პრინციპებს რასაც უნდა დაეყრდნოს ყველა უმაღლესი სასწავლებელი. კანონში სასწავლო გარემო, როგორც განათლებისა და სწავლების პროცესის წარმართვის აუცილებელი კომპონენტი ნახსენებიც არ არის. დოკუმენტის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ უნივერსიტეტები ავტონომიურად არეგულირებენ საუნივერსიტეტო მატერიალურ და ადამიანურ რესურსს რაც ერთობლიობაში გვაძლევს საუნივერსიტეტო სასწავლო გარემოს.

2. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია გარე შეფასების მექანიზმია, რომელიც აფასებს დაწესებულების მიერ შევსებულ თვითშეფასების კითხვარს, სადაც მოცემულია: პროგრამების, სილაბუსების, საბიბლიოთეკო ფონდის, ინფრა–სტრუქტურის და ზოგადად, სასწავლო გარემოს მოწყობას დაწესებულების მისიის, წესდების, ავტორიზაციის სტანდარტის და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების მიხედვით და ადგილობრივად ამოწმებს ანკეტა–კითხვარში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე რეალურად არსებულ ვითარებას. სტანდარტის მიხედვით, უმაღლესი სკოლის სასწავლო გარემოს მოწყობისას ყველა დაწესებულებას კონკრეტულ მისამართზე მოეთხოვება მინიმუმ 700 კვადრატული ფართის არსებობა, სადაც სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს სწავლებისათვის საჭირო ყველა ინვენტარი. ავტორიზაციის სტანდარტში არ არის გაწერილი ინვენტარის რაოდენობის შეფარდება სტუდენტთა რაოდენობაზე. სტანდარტი ასევე ავალდებულებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს რომ უზრუნველყოფილი იყოს შენობა სველი წერტილებით და ბუნებრივი განათებით. მოვიძიეთ რა სხვა ნორმატიული აქტები, ვერცერთ კანონმდებლურ დოკუმენტში ვერ ვნახეთ სველი წერტილების სანიტარული ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი, შენობას ექსპლოატაციაში შესვლის დროს ეძლევა ერთჯერადად დასკვნა სველი წერტილების არსებობის შესახებ და უფლება შენობის გამოყენებისთვის, სამწუხაროდ, არსად არ ფიქსირდება სველ წერტილებში სანიტარული ნორმების დაცვის კრიტერიუმები, არ ფიქსირდება ასევე სტუდენტთა და უმაღლეს სკოლაში დასაქმებულ პერსონალთა რაოდენობაზე რამდენი სველი წერტილი უნდა არსებობდეს კონკრეტულ შენობაში. ასევე საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანია ბუნებრივი განათების საკითხი, ვინაიდან სტანდარტის მიხედვით სასწავლო აუდიტორიებში აუცილებელია იყოს ბუნებრივი განათება.

სტანდარტის მიხედვით დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ზომები, იყოს

ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა და ევაკუაციის გეგმა, რომელიც თვალსაჩინო ადგილზე იქნება გამოკრული. ასევე აუცილებელია ადაპტირებული გარემოს არსებობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტანდარტის ის მინიმალური და ასევე ზოგადი მახასიათებლები, რომელიც უმაღლესმა სკოლამ უნდა დააკმაყოფილოს არც ისე მარტივია, ვინაიდან სახელმწიფო უნივერსიტეტიც კი, რომელსაც ერთ–ერთი წამყვანი ადგილი უკავია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში როგორც ადამიანური ისე მატერიალური რესურსის და სტუდენტთა რაოდენობის მხრივ, ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულია რეკომენდაციები ავტორიზაციის გავლის მსურველ დაწესებულებათათვის, აღნიშნულ რეკომენდაციებში გაწერილია როგორი უნდა იყოს უმაღლესი სკოლის სასწავლო გარემო და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება ავტორიზაციის მოსაპოვებლად. კერძოდ:

რეკომენდაციების მესამე თავში განხილულია სასწავლო გარემოს მატერიალური და ადამიანური რესურსის რაობა. განხილულია, თუ რას ნიშნავს მატერიალური რესურსი, ვინ არის აღნიშნულ რესურსზე პასუხისმგებელი. დოკუმენტში დასახელებულია სასწავლო გარემოსთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი, ესენია: სასწავლო აუდიტორია, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

რეკომენდაციებში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ავტორიზაციისთვის განიხილავს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საქმისწარომების საკითხებსა და ოფიციალურ ვებ–გვერდს. ამრიგად, ის რეკომენდაციები რომლებსაც ადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მეტნაკლებად გათვალისწინებულია სახელმწიფო უნივერსიტეტში. რაც შეეხება უშუალოდ რეკომენდაციებს, დოკუმენტს, ისევე როგორც ზემოთ განხილულ სხვა დოკუმენტებში, აქაც ვფიქრობთ, უფრო მეტი კონკრეტიზაციაა საჭირო, რათა კიდევ უფრო ეფექტური და საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო შექმნან უმაღლესმა სკოლებმა.

ჩვენს მიერ მოძიებულ და შესწავლილ დოკუმენტებში შედის ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის ბრძანება, რომელიც ეხება უმაღლესი სკოლის სასწავლო გარემოს უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციას, განსაზღვრულია ლექტორის მოვალეობები უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად:

წარმოდგენილი ბრძანება მეტად მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს ადამიანური რესურსის თვალსაზრისით. მინისტრის ბრძანების მიხედვით, პროფესორი მხოლოდ პროფესიული ცოდნაზე არ უნდა იყოს ორიენტირებული, ის უნდა მუშაობდეს სტუდენტთა პიროვნული თვისებებისა და ღირებულებების აღზრდაზე. ასევე მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში მასწავლებლის/პროფესორის მიერ ისტ-ის გამოყენება და ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინება.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი და განხილული საკანონმდებლო ბაზის, კანონის, ბრძანებებისა და სხვა მარეგულირებლების მიხედვით. სახელმწიფო პოლიტიკა უმაღლესი სკოლის სასწავლო გარემოს მოწყობით იმდენად ზედაპირულადაა დაინტერესებული, რომ უნივერსიტეტები დიდი კონკურენციის პირობებშიც კი ვერ

ახერხებენ უზრუნველყონ სრულყოფილი სასწავლო გარემოს შექმნა. თუმცა, ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სრულყოფილი სასწავლო გარემოს მოსაწყობად წარმოდგენილი აქვს 2016–2019 წლების ძირითადი მიმართულებები, რომლის განხორციელების შემთხვევაში, ვფიქრობთ, უმაღლესი სკოლის სასწავლო გარემოს ბევრი პრობლემური და მოუგვარებელი საკითხის მოგვარებაა შესაძლებელი, თუმცა ნებისმიერ რეფორმას, მით უმეტეს კი, თუ ეს რეფორმა ეხება განათლებას, ესაჭიროება დიდი ფინანსური მხარდაჭერა, საქართველო კი განვითარებადი ქვეყნის სტატუსის პირობებში, რომელიც დონორი ორგანიზაციების გრანტებისა და საერთაშორისო სესხების იმედადაა, ვფიქრობთ, გაუჭირდება დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესწავლილი ნორმატიული აქტების საფუძველზე ყველა სასწავლო დაწესებულება, როგორც უმაღლესი სკოლა ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიც ზოგად პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდნენ.საქართველოს საკანონმდებლო დოკუმენტებში და არც კონკრეტულად კანონში უმაღლესი განათლების შესახებ არსად არ არის განმარტებული სასწავლო გარემოს ცნება, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს; სასურველია, სახელმწიფოებრივ დონეზე განისაზღვროს სასწავლო გარემოს ძირითადი საკითხები; სასურველია, უნივერსიტეტებს მიეცეთ კონკრეტული რეკომენდაციები სახელმწიფოსა და პროფესიული საზოგადოებისაგან რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო გარემოს ეფექტური მოწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის, თბილისი 2007 წელი; 150გვ.;
2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება #188, 07/04/2011 წლებისათვის
3. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 2, პუნქტი ბ, თბილისი 2004, 58გვ.;
4. მედინსკი ნ., კონსტანტინოვი ნ. ე., შაბაევა მ.,პედაგოგიკისისტორია, თბილისი, ცოდნა, 1940 წელი, 615 გვ.;
5. საქართველოს სანიტარიული კოდექსი
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისბრძანება N28/ნ2010 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისადა სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 281/ნ2009 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი
8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.

Ketevan Bakanidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Learning Environment in the Higher Education

Abstract

Joining with the bologna process ,it caused a great changes in higher schools in 2005.
New educational reform made it to face new requirements in educational institutions.
Most important of this reform are processes of accreditation and authorization, which means the external assessment of educational programmes in university and also the assessment of the educational conditions during realization this programme.

- **The aim of the research** : studying and comparing normative acts in present university educational condition.

In our opinion, already mentioned issue is actual , because educational condition for successful studying is the main factor and the public policy should work fundamentally in order to develope educational conditions.
Besides there is not any research about this direction, so the results of the research would be brand new in Georgian reality.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი სკოლა, სასწავლო გარემო,საკანონმდებლო ბაზა.
Keywords: Higher schools, learning environment, laws database.

ქენან ჩალიშირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უწყვეტი განათლების პრობლემატიკა და მისი განხორციელების ორიენტირები შპს ,,ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებებში

საქართველოს განათლების სისტემის ბოლონიის პროცესებში ჩართულობამ შეუქცევადი სისტემური რეფორმების აუცილებლობა წარმოშვა თავად სისტემაში, სადაც თავისი მნიშვნელობითა და ღირებულებით ყურადღბას იქცევს უწყვეტი განათლება. უწყვეტი განათლების განხორციელება – სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე - მასშტაბურობის ეფექტებს ქმნის განათლების რეფორმების მიმდინარეობაში და უფრო მეტიც, ამ ეტაპზე საქართველოს განათლების სისტემის პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. უწყვეტი განათლების სისტემა წარმატებითაა აპრობირებული ევროპის ყველა უნივერსიტეტში და ,,ხორციელდება ისეთი მრავალფეროვანი ფორმებით, როგორიცაა: საჯარო ლექციები, კონფერენციები, დისტანციური სწავლება, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება(work-bazed), პროექტის განხორციელება და სხვა"[1] .

,,სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე" პოლიტიკის გატარება ევროპული უნივერსიტეტების ერთ–ერთი მთავარი გამოწვევაა და ემსახურება რეგიონის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. უწყვეტი განათლების იმპლემენტაცია საუნივერსიტეტო დონეზე მხარდაჭერილია ევროპის უნივერსიტეტების ქსელის ,,სწავლა მთელი ცხოვრებია მანძილზე" და ევროპის უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელის მიერ.

განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ადამიანისათვის, რომელიც საქართველოში ზოგადი და უმაღლესი განათლების კანონების მიხედვით საკანონმდებლო დონეზეა დარეგულირებული 2005 წლიდან, თეორიულად შესაბამისობაშია თანამედროვე ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ერთ-ერთი და აუცილებელი განსახორციელებელი აქტივობაა. თუმცაღა, 2009 წელს რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევებმა საგანგაშო შედეგები აჩვენა საზოგადოებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს უმაღლეს დაწესებულებებში განათლების

ხელმისაწვდომობისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობისათვის პრაქტიკულად არ იყო მზაობა. სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ ცალკეულ უნივერსიტეტებში, ისიც არასისტემურად და ფრაგმენტულად ხდებოდა მასზე ფოკუსირება, შესაბამისი აქტივობები არ იყო განსაზღვრული მათ სამოქმედო გეგმაში.

2009 წლიდან დღემდე, სისტემური კვლევის ჩატარების გარეშეც, ჩვენს მიერ მხოლოდ უნივერსიტეტებისა და საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ–გვერდის მასალების შესწავლამ გამოკვეთა დადებითი ტენდენცია საქართველოში უწყვეტი განათლების განხორციელების ზრდადი ტენდენციის შესახებ. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ არსებული მაჩვენებელი ძირითადად პროფესიული პროგრამების შექმნის ხარჯზეა წარმოჩენილი. როგორც უნივერსიტეტებისა და პროფესიული კოლჯების წარმომადგენლებთან საუბრისასაც დადასტურდა, 2010 წლიდან დღემდე აკრედიტაცია მიიღო ასობით პროფესიულმა, შრომის ბაზარზე მოთხოვნადმა, დასაქმებადმა სპეციალობამ და პროცესები აქტიურ ფაზაშია შესული.

თუმცა, ვფიქრობთ, უწყვეტ განათლების განხორციელებაზე საუბრისას არის საკითხები, მიმართულებები, რომლებიც დამატებით განვითარებას საჭიროებს წარმატების საერთო ფონის შესაქმნელად. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ უწყვეტი განათლების განხორციელების ისეთ ორიენტირებზე, რომელიც აქტიურადაა აპრობირებული შპს ,,ჩაღლარის" საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ვფიქრობთ, შესაძლებელია მისი გაზიარება სხვებისათვის.

ინფორმაციისათვის მოვიყვანთ ქსელში გაერთიანებულ სასწავლებლებს:

1. ქ. თბილისის დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, 1993 წ.
2. ქ. ბათუმის რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმი, 1994წ.
3. ქ. თბილისის სკოლა-ლიცეუმი ,,სხივი", 2003წ.
4. ქ. ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი, 2004წ.
5. ქ. თბილისის ნიკო წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა-ლიცეუმი, 2006წ.
6. ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი, 2007წ.
7. ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის დაწყებითი სკოლა, 2011წ.
8. შავი ზღვის ს აერთაშორისო უნივერსიტეტი, 1995წ.

ჩვენთვის, საკითხის გაღრმავებული შესწავლისა და უწყვეტი განათლების არსის შემდგომი განსაზღვრისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ: ,,მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ,,მომსახურება" შეიძლება გულისხმობდეს არაფორმალურ (non-formal) და არაოფიციალური (informal) განათლების აღიარებას/ვალიდაციას, რჩევების სხვადასხვა ფორმებს, ხელმძღვანელობასა და კონსულტირებას, ინსტრუქტორობას, მენტორობას, ტუტორობას, დახმარებას აკადემიურ სფეროში, უცხოური ენების შესწავლაში" [1].

ჩაღლარის სკოლებში წარმატებით ფუნქციონირებს ე. წ. მრჩევლის პოზიცია, რომელიც ორიენტირებულია სკოლის მოსწავლეებისათვის პროფორიენტაციის ჩამოყალიბებაზე. მრჩევლის ფუნქციას სკოლის მასწავლებლები ითავსებენ დამატებითი ანაზღაურების ფასად და მოსწავლეების მომავალი პროფესიული მომავლის განსაზღვრისათვის ატარებენ კონსულტაციებს, ახვედრებენ მოსწავლეებს უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, ორგანიზებულად სტუმრობენ მათ ბაზებზე და ამით, მნიშვნელოვნად ამცირებენ იმ იმ რისკებს, რომელიც შეიძლება წრმოიქმნას

ბავშვის წინაშე პროფესიისა და უნივერსიტეტის სპონტანურად, გაუაზრებლად ან შემთხვევით არჩევის შემთხვევაში.

მსგავსი დახმარება უტარდებათ (სტუდენტების სურვილის შემთხვევაში) შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ლექტორებს; უნივერსიტეტში შექმნილი და საერთაშორისო პროექტის ,,CASEDE" მიხედვით განვითარებული სტუდენტთა და ლექტორთა კარიერული განვითარების ცენტრი ისეთ მრავალფეროვან დახმარებას სთავაზობს მსარგებელ პიროვნებებს, როგორიცაა: ტუტორინგი საკუთარი პროფესიული კარიერის დაგეგმვაში, კარიერული დაგეგმვისა და განვითარების შესახებ კურსები, ტრენინგები, ვაკანსიების მოძიება, შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებელთან, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო და კვლევითი აქტივობები საქართველოში და საზღვრებს გარეთ.

უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების განხორციელების ერთ-ერთ ორიენტირს ასევე, შიდა(კორპორაციული) განათლება წარმოადგენს და მისი განხორციელება პერსონალის მუდმივ პროფესიულ ზრდაზეა ფოკუსირებული. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის განათლება არა მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა მოხმარებაზეა გათვლილი, არამედ გარე საზოგადოების დაინტერესებულ წევრებსაც მოიაზრებს. მაგალითად, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში პიროვნების კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება შემდეგი კურსები: კვლევის მეთოდები, კომპიუტერული წიგნიერება, ელექტრონული კურსების მომზადება, პროექტის წერა, მენეჯმენტი, ენის კურსები და სხვა. პირველადი სტატისტიკით, აღნიშნული კურსებით უკვე რამდენიმე ასეულმა პირმა ისარგებლა. განსაკუთრებით გამოვყოფთ ენის კურსების მნიშვნელობას უწყვეტი განათლების განხორციელებისათვის და მის პრაქტიკულ სარგებელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისათვის. როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ და საერთაშორისო უნთიერთობათა განყოფილების მასალებმა დაგვარწმუნა, უნივერსიტეტში მოთხოვნადია ენის კურსები (ქართული და უცხო ენები) სტუდენტებისა პერსონალის მხრიდან. შესაბამისად, სოლიდურია მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლას საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში საბაკალავრო სამაგისტრო, სადოქტორო და პოსტდოქტორანტურის შესაბამისი აქტივობების საწარმოებლად. აღსანიშნავია უნივერსიტეტში მომუშავე უცხოენოვანი პერსონალისა და ადმინისტრაციის მონაცემებიც, რომლებიც კურსებზე ქართული ენის დაუფლების შემთხვევაში საქართველოში საქმდებიან სხვადასხვა თანამდებობებზე. ამის ერთი კონკრეტული მაგალითი მე გახლავართ.

აქვე დავძენთ, რომ ენების, როგორც უწყვეტი განათლების განხორციელების ძლიერი ინსტრუმენტის შესწავლასა და პოპულარიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩაღლარის სკოლების ქსელში. ჯერ კიდევ 2006 წელს რუსთავსა და მარნეულში ,,ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებების ბაზაზე გაიხსნა და წარმატებით ფუნქციონირებს ენების შემსწავლელი ცენტრი. ,,ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებართვით, ყოველ წელს ატარებს ქართული ენის ოლიმპიადას რესპუბლიკის მასშტაბით. მოსწავლეებს ოლიმპიადის ფარგლებში ექვს სხვადასხვა კატეგორიაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება (გრამატიკა, კითხვა, წერა, კალიგრაფია, სიმღერა და ლექსის წაკითხვა). ოლიმპიადაში მონაწილეობა უფასოა და ტარდება აპრილის თვის მეორე კვირაში.

აღნიშნული ოლიმპიადა უკვე მე-8 წელია ტარდება და ყოველწლიურად იზრდება მონაწილეთა რაოდენობა. 2014 წელს ჩატარებულ ოლიმპიადაში 1290 მოსწავლე მონაწილეობდა, ხოლო წელს კი ოლიმპიადა მოსწავლეთა რეკორდული რაოდენობით(3774) ჩატარდა. II ტური ჩატარდა 5 აპრილს დაწყებით სკოლა ,,სხივში", სადაც მონაწილეობდნენ დაწყებითი საფეხურის I-VI კლასის მოსწავლეები. გამოვლინდნენ პირველი სამი კატეგორიის გამარჯვებული მოსწავლეები. სიმღერისა და ლექსის კატეგორიაში ერთმანეთს შეეჯიბრნენ ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მონაწილეები.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია უწყვეტი განათლების ე.წ. სოციალურ განზომილებაში განხილვა, რადგანაც სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე გულისხმობს როგორც პროფესიულ, ისე პიროვნულ განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებსაც შეიძლება უკავშირდებოდეს, მაგალითად: მოქალაქეობრივ აქტივობას, ხელოვნებას და სხვა. ,,უნივერსიტეტში მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა უპირველეს ყოვლისა ემსახურება ცალკეული ინდივიდების, ადამიანის ჯგუფის საჭიროებათა დაკმაყოფილებას და არა რომელიმე დარგის, ან დისციპლინის ინტერესებს"[1].

,,ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულები ბევრი კარგი ტრადიციული აქტივობით ეხმაურებიან უწყვეტი განათლების განმარტების ამ კონტექსტს. მაგალითად: ყველა სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და დიდი ენთუზიაზმით აღნიშნავს მას. მოსწავლეები რამდენიმე თვით ადრე იწყებენ ღონისძიებისათვის მზადებას. საბოლოოდ კი სცენაზე წარმოადგენენ დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ არაერთ სიმღერას, ლექსსა თუ პიესას. ამ და სხვა მრავალი სახის კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობითა და მასპინძლობით, ადგილობრივ და საერთასორისო მასშტაბით, ჩაღლარის სკოლების მოსწავლებს სოლიდური მიღწევები გააჩნიათ. ათობით ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, ფულადი წახალისებები არის ,,ჩაღლარის,, სკოლების მოსწავლეთა მონაპოვარი ამგვარ ღონისძიებებზე და მუშაობა ამ კუთხით ინტენსიურად მიმდინარეობას. მაგალითისათვის: 2015 წელს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მოცეკვავეთა ანსამბლმა საერთაშორისო ენისა და კულტურის ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე გერმანიაში და გალა კონცერტზე ბრიუსელში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მოსწავლეებთან ერთად შეასრულა ქართული ხალხური ცეკვები და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. (https://www.youtube.com/watch?v=6tKLB8A4vIE).

ვფიქრობთ, რომ უწყვეტი განათლების ეფექტური განხორციელების ჩვენს მიერ წარმოდგენილი ორიენტირები, რომელიც, ამავე დროს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, მუდმივად განვითარებადი იქნება და უფრო მეტი ეფექტის მომტანი, თუ იგი მუდმივად, უწყვეტი ციკლით იქნება დაგეგმილი და ამასთანავე, განსახორციელებელი აქტივობები სისტემური, კონცეფციის ფორმატით იქნება განსაზღვრული.

ჩვენი მომდევნო კვლევებიც ამგვარი კონფეცფიის შესაქმნელად წარიმართება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ,,მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის" სტრატეგია, 2010წ.
2. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრის მასალები;

3. საქართველოს უნივერსიტეტებისა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ–გვერდის მასალები
4. შპს ,,ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებები. თბილისი 2015
5. საქართველოს კანონები ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ. თბილისი, 2005წ.

Kenan Chalishir
Iakob Gogebashvili Telavi State University

Problems of Lifelong Learning anڈ the Ways of its Implementation in Ltd "Chaglar" Educational Institutions

Abstract

Implementation of lifelong learning is widely spread in the course of educational reforms and represents the key priority in Georgian educational system policy. The article deals with the priorities and approved directions in the process of implementing lifelong learning of 'Chaglar" educational institutions. Mainly we have discussed issues such as successful functioning of advisers' position while defining students' professional orientation, the practice of inner (corporative) education in the Black Sea University and social context of lifelong education in schools.

We consider that the described ways for successful implementation of lifelong learning which at the same time is inseparable part of the state educational policy will constantly develop and be effective if it is planned as a continuous cycle and the activities are defined in the format of systemic conception.

საკვანძო სიტყვები: უწყვეტი განათლება, ჩაღლარი, მოსწავლე, სისტემა, კარიერა
Keywords: Lifelong learning, chaglar, pupil, system, career.

ნინო გიგილაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტთა პროფორიენტაციის ჩამოყალიბების ტენდენციები თელავის სახლემწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე

მსოფლიო გლობალიზაციისა და სწრაფად ცვალებადი გარემოს ფონზე, მათთან ადაპტირებისათვის იცვლება ადამიანი და მისი საჭიროებები, ცოდნა, უნარი, მიდგომები, ფასეულობები. ამ ცვლილებების ერთიანობა ცვლის კარიერულ შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს. იცვლება სამუშაოს ხასიათი და მოთხოვნაც თამანშრომლებზე, რადგან კონკრეტული საქმე და პროფესია, დროის მიხედვით, ხშირად ხდება ნაკლებად მოთხოვნადი, ან საერთოდ უსარგებლო ბაზრისათვის. წარსულში ყველაზე პრესტიჟულად ჩათვლილი პროფესიები დღეს სულ სხვა პროფესიებმა ჩაანაცვლა, ან ბაზარმა სულ სხვა მოთხოვნები და სტანდარტები დაუწესა

მათ. შესაბამისად, ადამიანისათვის კარიერის ცნებაც იცვლება; ამ ცვლილებების კვალდაკვალ, ის სცდება თავის საზღვრებს. ადამიანი, რომელსაც სურს, რომ მოთხოვნადი იყოს დასაქმებისათვის, იძულებულია იყოს მოქნილი და ინოვაციური, მუდმივად ეძებდეს ახალ გამოწვევებს სამუშაოსა და სწავლის სფეროებში. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავიდანვე სწორად ჰქონდეს ჩამოყალიბებული ხედვა: რა უნდა, რომელი სპეციალობაა მისთვის კომფორტული, რამდენად შეძლებს არჩეული სპეციალობის დაუფლებით, ასეთი დაჩქარებული ტემპების მქონე აზოგადოებაში დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი და შეინარჩუნოს ინდივიდუალურობა. შესაბამისად, განათლების სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დგება: რამდენად შესაძლებელია, რომ სტუდენტთა დახმარების მიზნით, კარიერული დაგეგმვისა და განვითარების პრობლემატიკა, მათი დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგად–ტრანსფერული კომპეტენციებით აღჭურვა გათვალისწინებულ იქნეს კურიკულუმებში, დაიხვეწოს ისინი ისე, რომ სტუდენტი, უშუალოდ სწავლის დაწყებიდანვე **ავითარებდეს** არჩეულ პროფორიენტაციას, რომელიც, თავის მხრივ გავლენას მოახდენს მომავალი კარიერის დაგეგმვასა და განვითარებაზე. ეს სიტყვა შემთხვევით არ შეგვირჩევია, რადგან, სტუდენტისათვის საკუთარ თავში გარკვევა და ზრუნვა საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისათვის უნივერსიტეტში მოსვლისას ერთგვარად დაგვიანებულადაც კი გვეჩვენება. როგორც მოწინავე ევროპულმა გამოცდილებამ აჩვენა, მოზარდისათვის პროფორიენტაციის სწორად განსაზღვრა და განვითარება სკოლის დაწყებითი საფეხურიდანვე იწყება და თამაშის, მაგრამ სრულიად სერიოზული და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. ამ მიმართულებით უამრავი მეთოდური ლიტერატურისა და ვიდეორგოლების გაცნობამ(რომელთაგან ერთ–ერთს პრეზენტაციისათვის წარმოვადგენთ), ჩვენთვის ერთგვარად მოულოდნელი და სასიამოვნო შტრიხები გამოკვეთა. კონკრეტულად, ევროპულ სკოლებში (ავსტრია, გერმანია, ნორვეგია, ფინეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი), ბავშვის ყოველ, თუნდაც იმ ასაკისათვის გულუბრყვილო არჩევანს მომავალი პროფესიის შესახებ იმგვარი მხარდაჭერა და სტიმული გააჩნია მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან, რომ მათთვის, სკოლის დამთავრებამდე, მაქსიმალურად მარტივი და კომფორტული ხდება საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის გადადმული სკოლის შემდგომი ნაბიჯები. სამწუხაროდ ასე არაა ჩვენთან. ეს ერთი შეხედვითაც ჩანს, შრომის ბაზრის კვლევისას, სადაც იკვეთება, რომ ევროპაში, რა თქმა უნდა ე.წ. ელიტარული სპეციალობები არსებობს, მაგრამ მოსწავლეთა მიერ არჩეული პროფესიების სპექტრი მეტად მრავალფეროვანია, მაშინ როდესაც საქართველოში აბიტურიენტთა მიერ შერჩეული პროფესიათა გამა მეტისმეტად ვიწროა და მხოლოდ რამდენიმე სპეციალობაზე ახდენს ფოკუსს. ეს რა თქმა უნდა, კიდევ სხვა ფაქტორებზეცაა დამოკიდებული და მხოლოდ სკოლებში პროფორიენტაციასთან დაკავშირებული აქტივობების არარსებობას არ უიკავშირდება, მაგრამ გარკვეული დოზით საყურადღებოა და გასათვალისწინებელი. ამგვარად, სტუდენტს, ჩვენი აზრით,

უკვე ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს პროფორიენტაცია და უნივერსიტეტში მისი განვითარება უნდა მოახდინოს(გარკვეული გამონაკლისების გარდა). სწორედ ამ საკითხების კვლევა გახლდათ ჩვენი მომდევნო კვლევის სფერო, რომლის ფარგლებში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავატარეთ ხუთი ფაკულტეტის სტუდენტ–ბაკალავრთა გამოკითხვა. კვლევა მიმდინარეობდა 2016 წლის მარტ–აპრილში, ორი თვის განმანვლობაში. რესპოდენტთა გენერალური ერთობლიობა შეადგენს 130, რაც ბაკალავრთა საერთო რაოდენობიდან გამომდინარე, სრულიად ვალიდურია და ექვემდებარება გაზიარებას. კვლევის მონაცემები დამუშავდა კომპიუტერში, ხოლო კვლევის ცდომილება განისაზღვრა 4%. ანკეტის პირველ კითხვაზე: ,,როგორ მოხვდით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნულ სპეციალობაზე,, ვთვლით, რომ სტანდარტული პასუხები გამოიკვეთა(გრაფიკი: 1), მაგრამ მეორე კითხვაზე: ,,რამდენად საკუთარი იყო დაფიქსირებული არჩევანი, პასუხების პროცენტულმა დამუშავებამ დაადასტურა ჩვენი ვარაუდი მოსწავლეთა პროფორიენტაციული სისუსტის შესახებ (გრაფიკი 2). როგორც გრაფიკ 2–ზე ჩანს, სტუდენტების მაჩვენებელი, რომელიც საკუთარი სურვილით მოხვდა აღნიშნულ უნივერსიტეტსი აღნიშნულ სპეციალობაზე არის 73%, ხოლო, იმ სტუდენტთა მაჩვენებელი, რომელმაც სხვისი რჩევა გაითვალისწინა, 27%–ია, ანუ დაახლოებით ერთი მესამედი, რომელიც ერთგვარად ზრდასრული ადამიანის კვალობაზე ცოტა ნამდვილად არ არის.

Y



გრაფიკი. 1



გრაფიკი 2.

მომდევნო კითხვაზე, ,,რა ნიშნავს კარიერის ცნება თქვენთვის“ ასევე, სტუდენტთა საინტერესო პასუხები გამოიკვეთა გრაფიკი 3). სტუდენტს მეტ–ნაკლებად გააზრებული აქვს კარიერის არსი და მნიშვნელობა და სხვადასხვა პასუხებით ახერხებს გადმოსცეს კარიერის შინაარსი, თუმცა სტუდენტთა გარკვეული პროცენტის არსებობა, რომლებიც არ, ან ვერ აღწერენ, ან საერთოდ არ ცოდნას ამჟღავნებენ საკითხის შესახებ, გამოწვევების წინაშე აყენებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამგვარი ნაკლოვანებების შესამცირებლად. მიუხედავად სტუდენტთა არაერთგვაროვანი პასუხებისა კარიერის არსის შესახებ, მომდევნო კითხვაზე, კარიერის დაწყება სწავლის დაწყებისთანავე უნდა იფიქროს თუ არა, თითქმის ერთსულოვანი პასუხი დაფიქსირდა, სადაც გამოკითხულთა 88%– მა დადებითი პასუხი დააფიქსირა.



გრაფიკი 3.

საკითხის მეტი ინტერპრეტირება ჩანს შემდეგ კითხვაში: რა კავშირშია კარიერა და სწავლა ერთმანეთთან, სადაც ასეთი პასუხები დაფიქსირდა (ცხრილი 1):

თავიდანვე უნდა იყოს გარკვეული საკუთარ მიზნებში	41%
სწავლის პროცესში აქტიურობა განსაზღვრავს, შემდგომ დასაქმებას	20%
კარიერა პირდაპირ კავშირშია სწავლასთან	20%
სწავლის პროცესშივე უნდა ჩამოუყალიბდეს სწორი სამომავლო ხედვა	15%
შეიძენს უფრო მეტ პროფესიულ ცოდნას	4%

ცხრილი 1.

როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა 41% მიიჩნევს, რომ პროფორიენტაციული ხედვები უნივერსიტეტში მოსვლამდე უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, ხოლო სტუდენტთა ასევე საკმაო რაოდენობას, 59%–ს არაპირდაპირ, მაგრამ მაინც, მიაჩნია, რომ შემდგომ განვითარებასა და კარიერულ ზრდაში უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა განმსაზღვრელია.

ამგვარად, სტუდენტი ფიქრობს საკუთარი არჩევანის განვითარებაზე და ამაში ერთგვარი დახმარება საგანმანათლებლო კურიკულუმებებმაც უნდა გასწიონ. ზოგადად კი, რა სახის დახმარება გავუწიოთ სტუდენტს, რომ იყოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ,,დასაქმებადი” პიროვნება და სწორად მოახდინოს თავის დამკვიდრება საზოგადოებაში, არის ჩვენი კვლევის არეალი და მომდევნო კვლევებს უკვე პოტენციურ დამსაქმებლებთან ვგეგმავთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იაკობ გოგებაშვილი სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერისტეტში ჩატარებული კვლევის მასალები, 2016 წლის თებერვალი-მარტი;
2. Human Resource Management " Alan Proce, Cengage Learning EMEA

Nino Gigilashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Tendencies of Forming Students' Professional Orientation (In the Example of I. Gogebashvili Telavi State University)

Abstract

University curriculum must give device to students for development of their skills and career planning, from the very beginning of studying process. As European experience shows, precise determination of professional orientation for children must start from elementary school, and the process has game character, but it is very serious and purposeful process. Unfortunately we do not have such activities in Georgia.

We would like to show in our article an research, which took place in Telavi State University, for ascertaining the dynamic of creating and developing students' professional orientation. According this we can recommend, that University Curriculum must be created in the way that students could reinforce chosen specialization and give help for further employment

საკვანძო სიტყვები: სტუდენტი, პროფორიენტაცია, კარიერა, არჩევანი, პროფესია

Keywords: Student, professional orientation, career, choice, profession

სალომე თათულიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კურიკულუმების ცალკეული ასპექტების გავლენის კვლევა სტუდენტთა ევროპული ხედვების ჩამოყალიბებაზე

ევროპის საერთო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია საქართველოს განათლების სისტემას ავალდებულებს უპასუხოს გამოწვევას, შეასრულოს ბოლონიის პროცესში მონაწილე მხარეების მიერ აღიარებული ძირითადი პრინციპები: სამსაფეხურიანი სწავლების შემოღება, კრედიტების სისტემაზე გადასვლა, სტუდენტთა და ლექტორთა მობილობისა და განათლების ხარისხის ხელშეწყობა, სტუდენტთა მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების მართვაში, სწავლებისა და კვლევის განუყოფელობა უმაღლეს განათლებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს

განათლების სისტემა, განათლების რეფორმების კვალდაკვალ, გადადის განათლების პროევროპულ სტანდარტებზე და უნდა ითქვას, რომ პროცესი კვლავაც მიმდინარეობს. განათლების რეფორმის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს საუნივერსიტეტო კურიკულუმის ცალკეული ასპექტების ტრანსფორმაცია წარმოადგენს, რომელიც გვაძლევს წარმოდგენას, რამდენად პრო–ევროპული ხდება რეალურად საუნივერსიტეტო სისტემა და რა გავლენას ახდენს ეს სტუდენტებზე. ამ და სხვა პრინციპების გათვალისწინებით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2007 წლიდან, ყოველწლიურად ატარებს სოციოლოგიურ გამოკითხვას, რომელიც სწორედ კურიკულემების ცალკეული ასპექტების შეფასებას და შესაბამისად, სტუდენტთა ევროპული ხედვის ჩამოყალიბების დადგენას ემსახურება.

კონკრეტული კვლევა, რომლის შესახებაც ამ სტატიაში ვისაუბრებთ, 2015 წლის შემოდგომაზე, სამი თვის განმავლობაში ტარდებოდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კვლევა დაფუძნებული იყო შემდეგ ძირითად ასპექტებზე:

- როგორ აფასებენ სწავლის ხარისხს სტუდენტები; მათი მოსაზრებები სწავლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ;
- რამდენად აქტიურად იყენებენ იმ რესურსებს რაც მათ უნივერსიტეტი სთავაზობთ (მაგ: ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდით სარგებლობა, გაცვლითი პროგრამებით და ა.შ.)
- რამდენად ერგება თანამედროვე სტანდარტებს ლექტორი; იყენებს თუ არა სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
- დაცულად თვლიან თუ არა საკუთარ უფლებებს უნივერსიტეტში.

აღნიშნული კვლევის მეთოდად წლების მანძილზე, რომელიც წარმატებითაა აპრობირებული, ვიყენებთ მასობრივ გამოკითხვას, რომელიც რაოდენობრივი კვლევის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია და მოიცავს ნებისმიერ პროცედურას, რომელიც გულისხმობს რესპონდენტებისათვის (ბუნებრივია ამ შემთხვევაში არიან იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები) შეკითხვების დასმას. კვლევა მიმდინარეობდა რამოდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა საკვლევი ჰიპოთეზა და საკვლევი ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო მონაცემების მოგროვება. ამ კვლევისათვის სტრუქტურირებული ინტერვიუ გამოვიყენეთ და შევადგინეთ მკაცრად ფორმალიზებული კითხვარი. მეტი მოქნილობისათვის კითხვარში გამოვიყენეთ როგორც ღია და დახურული, ასევე ნახევრად დახურული შეკითხვები. პირისპირ ინტერვიუები, ასევე ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ჩაატარეს მცირე ტრენინგისა და კითხვარის გაცნობის შემდეგ (კვლევაზე მუშაობდა სულ 8 ინეტერვიუერი).

შემდეგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხური, ეს იყო შერჩევის განხორციელება: სოცილოგიური კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდნენ უნივერსიტეტის ორი საფეხურის, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები, ხოლო შერჩევითი ერთობლიობა საბოლოო ჯამში ასე გამოიყურებოდა: სულ გამოიკითხა უნივერსიტეტში არსებული ხუთივე ფაკულტეტის, 143 სტუდენტი.

პირველადი სოციოლიგიური ინფორმაციის შეგროვების, წარმატებული საველე სამუშაოების შემდეგ, მოხდა უკვე აღნიშნული მონაცემების კომპიუტერიზაცია და

სტატისტიკური ანალიზი, სულ ბოლოს კი მოეწყო საჯარო პრეზენტაცია შედეგების ფართო მასებისათვის გაცნობის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი გარემოება, რაც უნივერსიტეტის მასშტაბით კვლევისას იკვეთება, არის სტუდენტების მზაობა და კმაყოფილება მსგავსი კვლევების მიმართ. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ყველა ფაკუტეტის სტუდენტმა აქტიურად ითანამშრომლა ინტერვიუერებთან და თამამად დააფიქსირა საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკვანძო საკითხზე. ინტერვიუერებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ მომავალშიც მიესალმებიან მსგავსი ტიპის კვლევებში მონაწილეობის მიღებას. ვინაიდან, გაცნობიერებული აქვთ საკუთარი როლი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და კვლევის მიზანსაც ხომ სწორედ მათი მოსაზრებების შემდგომში გათვალისწინება წარმოადგენს. ეს კი ვფიქრობთ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ვინაიდან ბოლონიის პროცესის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტი ხომ სწორედ ესაა: „სტუდენტთა მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების მართვაში“.

გამოკითხულ სტუდენტთა 53% შუალედურ პოზიციას აფიქსირებს უნივესრიტეტში სწავლით კმოყოფილების შესახებ. კითხვაზე „ზოგადად, რამდენად მოგწონთ, ან რამდენად არ მოგწონთ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა?“ რესპონდენტთა პასუხები ასე გადანაწილდა:



გრაფიკი N 1

შეკითხვაზე, რომელიც სტუდენტების უფლებების დაცვას ეხება ჩვენს უნივერსიტეტში, ასეთი შედეგი მივიღეთ:



გრაფიკი N 2

როგორც ვხედავთ, გამოკითხული სტუდენტების 43%-ს მიაჩნია, რომ მისი, როგორც სტუდენტის უფლებები სრულადაა დაცული უნივერსიტეტში. 40% შუალედურ

პოზიციას აფიქსირებს, ხოლო მხოლოდ 16% თვლის, რომ უნივერსიტეტში მის უფლებებს არ იცავენ. აღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თელავის უნივერსიტეტში ძირითადად დაცულია სტუდენტების უფლებები. კვლევისას გამოიკვეთა, რომ ლექტორები, უშუალოდ ლექციის პროცეში, აქტიურად იყენებენ ისეთ თანამედროვე მეთოდებს, როგორებიცაა, გუნდური/ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები, ელექტრონული სწავლების ელემენტები, პროექტული სწავლება და სხვა. გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ნაწილი (60%) თვლის, რომ მისი ლექტორები თანამედროვე მეთოდებს სწავლების პროცესში ძირითადად იყენებენ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სტუდენტებთან ბიბლიოთეკის გამოყენების სიხშირის საკითხიც განვიხილეთ და მივიღეთ შემდეგი შედეგი, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა უმრავლესობა 84% აქტიურად სარგებლობს ბიბლიოთეკის წიგნებითა და სამკითხველო დარბაზით. და კმაყოფილებას გამოხატავს ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ გაწეული მომსახურებითა და მათ მიერ გამოჩენილი ყურადღებით.

კითხვაზე: ,,კმაყოფილი ხართ თუ არა, ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ გაწეული მომსახურებით?“



გამოკითხული სტუდენტები თითქმის ერთხმად აფიქსირებენ დადებით პასუხს.

რაც შეეხება გაცვლით პროგრამებს, კვლევის შედეგად ირკვევა შემდეგი, რომ გამოკითხულ სტუდენთა 46% ინტერესდება და იღებს ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამების შესახებ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურიდან.

ნაშრომის დასკვნისათვის აღვნიშნავთ, რომ ჩვენი კვლევების სფეროს ინტერესებიდან გამომდინარე, ვგეგმავთ კიდევ უფრო სიღმისეულ შესწავლას და რეალური სტატისტიკის დაფიქსირებას გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების შესახებ. ბუნებრივია, რომ ჩვენი კვლევის სამიზნე დრო იქნება საქართველოს განათლების სისტემის ბოლონიის პროცესში ჩართვიდან დღემდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წულაძე ლია, 2008, „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“, სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი
2. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ, 2005, ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბილისი
3. თამარ ზურაბიშვილი, თინათინ ზურაბიშვილი, 2005, სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკა, რაოდენობრივი მეთოდები, სამოქალაქო განათლების პროექტი, თბილისი.

Salome Tatulishvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Research on Influence of Separate Aspects of Curriculums on Forming the Students' European Viewpoints

Abstract

Educational system of Georgia, following educational reforms, is transferring to the pro-European standards of education and it should be mentioned that the process still continues. One of the major priorities of education reforms is transformation of separate aspects of the university curriculum, which gives us imagination how pro-European the university system really becomes and how it influences on the students. By considering the mentioned and other principles, Quality Assurance System of Iakob Gogebashvili Telavi State University annually organizes sociological inquiries since 2007, which serves just evaluation of separate aspects and accordingly defining the formation of the students' European viewpoints. The article analyzes one of the peculiar researches such as the outcomes of inquiry implemented with the purpose of defining the quality of the students' satisfaction.

საკვანძო სიტყვები: კვლევა, კურიკულუმი, განათლება, სტუდენტი, კმაყოფილების ანალიზი
Keywords: Research, curriculum, education, student, analysis of satisfaction.

თეიმურაზ ქარელი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

უფროსკლასელ მოსწავლეთა პოლიტიკური სოციალიზაციის კვლევა

პოლიტიკური სოციალიზაციის კვლევას 40 წლის ისტორია და უამრავი ასპექტი აქვს. კვლევა მიმდინარეობს მაკრო და მიკრო დონეზე. კვლევების უმრავლესობა მაკროდონეზეა შესრულებული, ხოლო მიკროპროცესები (ინდივიდუუმების და სოციალური ჯგუფების პოლიტიკური ინტერაქცია) არ არის სათანადოდ შესწავლილი. ემპირიული კვლევების უმეტესობა ბავშვებში „პოლიტიკის სამყაროს სურათის" ჩამოყალიბების პროცესს ეძღვნება. ტრადიციული მიდგომა უფრო ხშირად „ფსიქოლოგიური ნიშნების" და ფსიქოანალიზის თეორიებით განისაზღვრება. ამ მიდგომის მომხრენი სოციალიზაციაში გულისხმობენ სოციალიზაციის სუბიექტის მიერ მისი ობიექტისთვის შესაბამისი პიროვნული მახასიათებლების გადაცემას. საქართველოში ამ საკითხის ერთ-ერთი პირველი ემპირიული კვლევები ჩატარდა 2012 წლის ივნისსა და 2013 წლის დეკემბერში ილიაუნის პოლიტოლოგიის ინსტიტუტში (პროექტები: „მოზარდი და პოლიტიკა: ღირებულებითი ორიენტაციების ცვლილება

საქართველოში“ „ბავშვი პოლიტიკურ სისტემაში: პოლიტიკური ლეგიტიმაციის ფესვები საქართველოში“). შესწავლილ იქნა მოზარდთა წარმოდგენები პოლიტიკის სამყაროზე, მათი ეროვნული იდენტობა, ღირებულებები. [3] საქართველოში საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე ახალგაზრდობის პოლიტიკაში შესვლის პროცესის კვლევისადმი საყოველთაოდ გაზიარებული მეთოდოლოგიური მიდგომების არარსებობის შედეგია კვლევის შედეგების შედარებისას კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკებში არსებული სირთულეები. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის თეორიულ გააზრებაში, ისევე როგორც ახალი ქართული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებაში, გზის დასაწყისში ვიმყოფებით.

სოციოლოგები განათლებას განიხილავენ თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ განშტოებულ ინსტიტუტად და უწყვეტ პროცესად, მასზეა დამოკიდებული დასაქმების მრავალ სფეროში წარმატებები. [9,195] განათლების მიზანია - პიროვნების სოციალიზაცია, სოციალიზაციის აგენტებს შორის კი განათლების და მისი პროცესის მონაწილეთა განხილვა არსებითად აზუსტებს განათლების შესახებ ტრადიციულ წარმოდგენას. პიროვნების პოლიტიკურ სოციალიზაციაში განათლების სათანადო წვლილი იძლევა „კარგი მოქალაქის“ და ქვეყნის პატრიოტის ჩამოყალიბებაში საზოგადოებრივი მოთხოვნილებების რეალიზების შესაძლებლობას, მისი თანდათანობითი განვითარების უზრუნველყოფას. პოლიტიკური სოციალიზაცია არის კონკრეტული ინდივიდის მიერ პოლიტიკური ღირებულებების, განწყობების, კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკური ქცევის წესების ათვისების პროცესი.

1990-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური პარტიის და კომუნისტური იდეოლოგიის კრახმა მთლიანად მოშალა პოლიტიკური სოციალიზაციის საბჭოური სისტემა, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა ინსტიტუტებს (ოქტომბრელებს, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს) მოიცავდა. საქართველოში პოლიტიკური მონაწილეობის მემკვიდრეობით გადაცემა არ არსებობდა, რაც სერიოზულ პრობლემად იქცა. პოლიტიკური ქცევის და მონაწილეობის ძველი მოდელები სრულიად არ პასუხობს ახალ რეალიებს, ახალი მოდელები კი მეტისმეტად ნელა ყალიბდება და აითვისება.

თანამედროვე პოლიტიკური ქცევის ჩამოყალიბება დამოკიდებულია პირველადი და მეორადი სოციალიზაციის, რესოციალიზაციის ახალი ინსტიტუტების შექმნაზე. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების გამოცდილების და ცოდნის ტრანსფერტიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერის ფრედ ირვინ გრინშტაინის ე.წ. ნიუ ჰეივენის კვლევის შედეგები. [7,153-160]

მოზარდობა კულტუროლოგიური და თავისებური სტატუსის მქონე სუბკულტურაა. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგად კულტურულ პროცესში ამ პოზიციის უცვლელობის გაგებას. უფრო მეტიც, მკვლევართა შეფასებით მოზარდის აზრი ზოგჯერ სოციოკულტურულ დაძაბულობას ზრდასრულთა მსჯელობებზე უფრო რელიეფურად და ზუსტად ასახავს. მოზარდად (ყმაწვილად) განვიხილავთ 10- 17+ წლის ადამიანს, პერიოდს, რომელიც მოიცავს წლებს ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის. მოზარდობის ხანას ყოფენ სამ პერიოდად: ადრეულ (10-13 წ), შუა (14-16 წ) და 17+ წლებად. [2, 257] მოზარდობის ეტაპი დაკავშირებულია ცხოვრებისეული გეგმების დასახვასთან, რაც მოზარდს აიძულებს განსაკუთრებული მგრძნობიარობით მოეკიდოს მასობრივ ცნობიერებაში დაფიქსირებულ თანამედროვე სასიცოცხლო მუქარებს. ამ

მიმართებით მთლიანობაში თანამედროვე სოციოკულტურული რეალიების გასაგებად მოზარდის ცნობიერება მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

გაბრიელ ალმონდი ერთ-ერთ თავის სტატიაში წერდა, რომ საზოგადოების ცალკეული ჯგუფის პოლიტიკური სოციალიზაციის ანალიზი პოლიტიკური კვლევების საფუძველია, ვინაიდან ეს იძლევა მოცემულ საზოგადოებაში არა მხოლოდ პოლიტიკური კულტურის და სუბკულტურების ნიმუშების გაგების შესაძლებლობას, არამედ განსაზღვრავს კიდეც ჩვენს ადგილს სოციალიზაციის პროცესებში, რომელშიც ერთვება პოლიტიკური კულტურის სპეციფიკური თვისებები და ელემენტები, აგრეთვე განსაზღვრავს ადგილს იმ საზოგადოებაში, სადაც ხდება ამ ელემენტების მხარდაჭერა ან ცვლილება. [**5, 31**]

დ. ისტონი და ჯ. დენისი ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში გამოყოფენ ოთხ პერიოდს. ესენია: *პოლიტიზაცია* - პოლიტიკის აღქმადობა; *პერსონალიზაცია* - როდესაც რომელიმე ავტორიტეტული ფიგურა იქცევა თითქოსდა შეხების წერტილად ბავშვსა და პოლიტიკურ სისტემას შორის; *პოლიტიკურ ხელისუფალთა იდეალიზაცია,* როდესაც ბავშვი აღიქვამს მათ, როგორც კეთილი ან ბოროტი განზრახვის მქონედ და სწავლობს მათ სიყვარულს ან სიძულვილს; *ინსტიტუციონალიზაცია* - ესაა პერიოდი, როდესაც ბავშვი გადადის პერსონალიზებული წარმოდგენებიდან ინსტიტუციურზე, ანუ პოლიტიკური სისტემის წარმოდგენებზე. [**6**]

მოზარდი თაობის მიერ პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების შეცნობის სპეციფიკის შესახებ კლასიკური კონცეფტური განაზრევები, პოლიტიკური როლების და ურთიერთქმედებების განმარტებაში მისი თანამონაწილეობა, მის მიერ სოციალური და პოლიტიკური პრაქტიკის ათვისების მცდელობები, პირველადი პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესების თანამედროვე შესწავლის საფუძველია.

ზოგადად ყველა აღიარებს, რომ კარგ მოქალაქედ კი არ იბადებიან, არამედ ყალიბდებიან. ბავშვები ხდებიან პასუხისმგებლობით აღჭურვილი მოქალაქეები სხვადასხვა გავლენისა და ინსტიტუტების ურთიერთქმედების შედეგად; ესაა ოჯახი, სკოლა, თანატოლები, რელიგია, მასმედია და კანონი, რომლებიც უყალიბებენ მოქალაქის ვალდებულებებისა და საკუთარი რწმენის შეგრძნებას. როგორც ითქვა სოციალიზაცია ეწოდება პროცესს, რომლითაც ადამიანი იძულებული ხდება იფიქროს და იმოქმედოს საზოგადოებრივად მისაღები ფორმით. ჩვენს კვლევაში პოლიტიკის, როგორც მოვლენისადმი, მოზარდის მიმართების რამდენიმე ასპექტი გამოიყო.

პირველი კითხვა მიზნად ისახავდა საზოგადოების ცხოვრებაში პოლიტიკის მნიშვნელობის გარკვევას. კითხვაზე: „მიგაჩნიათ თუ არა, რომ პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში?“, გამოკითხული უფროსკლასელების 69, 40% უპასუხა: „დიახ, რა თქმა უნდა ეს საზოგადოების განუყრელი ნაწილია“. პოლიტიკა „მეტნაკლებად მნიშვნელოვნად“ მიიჩნია 23,88 %-მა, ხოლო 4,72 % - მა მიუთითა, რომ პოლიტიკა „საზოგადოებისათვის ესოდენ მნიშვნელოვნად არ მიაჩნია“. პასუხი გაუჭირდა 1,99 %.

მოზარდებმა დააფიქსირეს პოლიტიკის მიმართ თავიანთი ინტერესის ხარისხიც. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 14,7 % პოლიტიკა ძალიან აინტერესებს და საქმის კურსში რომ იყოს, ამისთვის ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებით სარგებლობს. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა ზომიერი პოზიცია დაიკავა, 68,7 %-მა მიუთითა, რომ პოლიტიკა მეტ-ნაკლებად აინტერესებს, ძირითადად კი თავისი საქმეებით არის დაკავებული. პოლიტიკა სრულიად არ აინტერესებს უფროსკლასელთა 15,4 %. პასუხის

გაცემა გაუჭირდა - 1,2%. ამრიგად, მთლიანობაში, პოლიტიკისადმი ინტერესი გამოხატა გამოკითხული მოზარდების 83,3 %. თუმცა პოლიტიკის მიმართ ესოდენ დიდ ინტერესს და, შესაბამისად, მათი მოთხოვნილებების რეალიზაციას გარემო-პირობები აშკარად ხელს ვერ უწყობს.

კვლევამ აჩვენა, რომ მოზარდთა გარემოცვაში პოლიტიკის შესახებ ყველაზე ხშირად ლაპარაკობენ ოჯახში (28, 9 %), მეზობლებთან (18,4 %), ნათესავებთან (16,7 %), თანატოლებთან (8,7%), სხვაგან (15,9 %). სახელდობრ, რესპონდენტებმა დაასახელეს: „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები“ (1,5%), საზოგადოებრივი ტრანსპორტი“ (2,2%), „სუფრაზე“, „ქუჩაში“, „ყველგან“ (3,7%), „არსად“ (1,9), იშვიათად ლაპარაკობენ (1,2%). ამ კითხვაზე პოზიციების კონტინუუმი ორ პასუხში გამოიხატა: 1. “ჩემს გარემოცვაში პოლიტიკაზე არ ლაპარაკობენ..., არ შეიძლება პოლიტიკა გახდეს უბრალოდ ჩვეულებრივი ხალხის გასარჩევი და სამსჯელო“ (მდედრ., X კლასი - ანკეტა N 193). 2. დღევანდელ საქართველოში პოლიტიკა იმდენად აქტუალური თემაა, რომ ჩემს ირგვლივ ყველგან არის საუბარი ამის შესახებ“ (მდედრ. X კლასი, - ანკეტა N 323). საყურადღებოა, რომ მოზარდი უფროსკლასელების გარემოცვაში ყველაზე ნაკლებად სკოლაში ლაპარაკობენ (4, 7 %). თბილისელი მოზარდების პოლიტიკური სოციალიზაციის არხების შესწავლამ აჩვენა, რომ პოლიტიკის შესახებ მათი შეხედულებების, მათი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში, ისეთ აგენტებს, როგორიცაა ოჯახი, სკოლა და თანატოლები, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. შევჩერდეთ სკოლის, როგორც პოლიტიკური სოციალიზაციის ინსტიტუტის საკითხზე.

დისკუსია სკოლის როლის შესახებ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მომდინარეობს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ძირითადი ყურადღება ლატენტურ პოლიტიკურ სოციალიზაციას ეთმობოდა. მიუთითებდნენ, რომ ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, კომუნიკაციის ფორმები კლასში და პოლიტიკური აქტივობა სკოლაში გავლენას ახდენს მოსწავლეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განწყობაზე. სკოლის როლი განწყობათა ფორმირებაში უფრო მეტია, ვიდრე მისი გავლენა კონკრეტული პოლიტიკური აზრის ფორმირებაზე. [**8, 195-214**]

ზოგადად, რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით მეტი ინტერესი აქვს მოსწავლეს პოლიტიკაზე ინფორმაციის მიღებასა და მასში მონაწილეობასთან დაკავშირებით. უფრო ზუსტად, არსებობს პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება, კავშირი, ერთი მხრივ, განათლების დონეს ე.ი.მოსწავლის ცოდნას იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს ხელისუფლებას ინდივიდზე, ინტერესს ახალი ამბების მიმართ, პოლიტიკის შესახებ საერთო განათლებას, შეხედულებათა ჰორიზონტსა და, მეორე მხრივ, პოლიტიკაზე მსჯელობას, განსაკუთრებით კი ბევრ განსხვავებულ ადამიანთან მსჯელობის სურვილს შორის. დაბოლოს, განათლების მაღალი დონე უკავშირდება საკუთარი შესაძლებლობების რწმენას და სხვების ნდობას, აგრეთვე იმის შეგნებას, რომ ადამიანს შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ხელისუფლებაზე. [**1,322**]

თბილისის ხუთ ქართულ საჯარო სკოლაში X-XI კლასების მოსწავლეთა პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაშისკოლის როლის კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 22, 9 % ამ მიმართებით სკოლის ფუნქციას აღიარებს, მაგრამ, რაც ძალზე დამაფიქრებელია, უფროსკლასელთა 70, 1 % ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა. პასუხი გაუჭირდა 6,7%. ამრიგად, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სკოლა პოლიტიკური სოციალიზაციის საშუალებას არ წარმოადგენს. ძნელია რაიმე ითქვას იმის შესახებ, როგორ სწავლობენ ბავშვები პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ

ღირებულებებს. ასაკთან ერთად, ბავშვები ნაკლებემოციურად და უფრო შემეცნებით რეაგირებენ, იგებენ ისეთი აბსტრაქტული ცნების დეტალებს, როგორიცაა დემოკრატია. მოზარდობის ასაკში ხელისუფლებისადმი მათი დამოკიდებულება ხშირად რადიკალურად იცვლება. მშობლების ზედამხედველობის შესუსტებასა და დამოუკიდებლობის მატებასთან ერთად, ბავშვები უსიტყვოდ (შეკითხვების, ეჭვის გარეშე) აღარ ემორჩილებიან ავტორიტეტს. ისინი სულ უფრო მეტად ცდილობენ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. ეს დამოკიდებულება პოლიტიკის სფეროშიც ადვილად გადადის. როგორც ჩანს, მკვლევრები, რომლებიც ზემოთ დავასახელეთ, საშუალო სკოლის სამოქალაქო განათლების ტიპიურ გაკვეთილს კარგი მოქალაქეობისათვის აუცილებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმალური ტრეინინგის (წვრთნის) ასპარეზად განიხილავენ, რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ სამოქალაქო განათლების გაკვეთილები ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე სწავლის გამოცდილების საერთო კონტექსტი. შესასწავლია სკოლაში გავლენის მქონე ფაქტორები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს კეთილსინდისიერი მონაწილეობისა და საერთო მიზნისათვის მუშაობის მნიშვნელობას.

2012 წლის გამოკითხვით გაირკვა, რომ მოზარდების მიერ ქვეყანაში დემოკრატიის ნიშნების დამკვიდრების რეალური პრაქტიკის შეფასება ძალზე დაშორებულია მთლიანობაში დემოკრატიული ღირებულებებისადმი მათი თითქმის უდავოდ პოზიტიური დამოკიდებულებისგან. კითხვაზე: „ჩამოთვლილი დემოკრატიის ნიშნებიდან რომელი შეესაბამება საქართველოს?“ რესპონდენტებმა მათთვის მისაღები პასუხების ასეთი არჩევანი დააფიქსირეს: ხელისუფლების წყაროა საზოგადოების ნება - 8, 5%; ხალხი რეალურად მონაწილეობს ქვეყნის მართვაში - 12,2%; მმართველობის საფუძველია საზოგადოების ინტერესები, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვა - 12,4%; მართვის წესები დემოკრატიულია; იძულების მეთოდები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენება - 15, 7%; ადამიანის უფლებები დაცულია, უზრუნველყოფილია მათი განხორციელება - 14,4%; კანონები მიიღება საზოგადოების ინტერესების მიხედვით და დაცულია მათი უზენაესობა თავად სახელმწიფოსთვისაც - 6,5%; სასამართლო დამოუკიდებელია და მიუკერძოებელია, მოქმედებს მხოლოდ კანონით - 16,9%; ბიზნესი, ეკონომიკა თავისუფალია, სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება მხოლოდ კანონიერ ფარგლებში, ყველას ეძლევა მეწარმეობის თანაბარი შესაძლებლობა - 12,9%; მასმედია, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება თავისუფალია და ემსახურება საზოგადოების ინტერესებს“ – 13,4%; სხვა აზრი - 25,9%; პასუხი გაუჭირდა - 25,4%; 0 –(საერთოდ არ უპასუხა კითხვას) - 2,9 %.

როგორც ვხედავთ, მოზარდების შეფასებები ძალზე კრიტიკულია. გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა (28,4%) საერთოდ თავი აარიდა პასუხს, ხოლო, „სხვა აზრის“ აბსოლუტური უმრავლესობა შეესაბამება პასუხს: „არც ერთს არ ვეთანხმები“, ან „არც ერთი ნიშანი არ შეესაბამება საქართველოს“ ან, „სამწუხაროდ, საქართველოში არც ერთი არ არსებობს“ და ა.შ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური სოციალიზაციის კვლევის შედეგები ამჟამად დასკვნების საკმარისად დასაბუთების შესაძლებლობას არ იძლევა. მაგრამ, ჩვენი ცოდნის განვითარების პერსპექტივები ამ სფეროში ძალზე ხელსაყრელია და საშუალებას იძლევა ახალი სამეცნიერო აღმოჩენების იმედი ვიქონიოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაგშტადტი თომას მ. (2010). *გავიგოთ პოლიტიკა. იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები.* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. ნადირაშვილი შოთა. (2014). *განწყობის ანთროპული თეორია.* ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.
3. ქარელი თეიმურაზ. (2014). *მოზარდი და პოლიტიკა.*//საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტუალი", № 25, გვ. 67-76.
4. პიერ ბურდიე. (2006). *განსხვავება. მსჯელობის სოციალური კრიტიკა.* გამომცემლობა „დიოგენე".
5. Almond Gabriel A.. (1960). *"A Functional Approach to Comparative Politics," is The Politics of the Developing Areas,* Gabriel A. Almond and James S. Coleman, eds. Princeton University Press, Princeton.
6. Easton D., Dennis J. (1969). *Chidren and the Political System.* Publisher: McGraw-Hill, N.Y.
7. Grenstein F. (1965). *Children and Politics.* Yale University Press, New Haven.
8. Pavelka P. (1977). *Politische Socialization.* AkademiSche Verlagsgeselschaft, Wiesbaden.
9. Бергер П., Бергер Б., Коллинз Р. (2004). *Личностно-ориентированная социология* . Перевод с англ., Академический Проект, Москва.

Teimuraz Kareli
Institute of Political Science of the Ilia State University

Studies of the Political Socialization of Students

Abstract

In the paper the concept of political socialization is considered and the basic theoretical and methodological positions of its agents' are marked Analyzing the basic ways of political socialization realization and their features in a modern Georgien society the author illustrate them with sociological research data. Schoolchildren's political attitudes corresponding to the basic stages of personal primary political socialization (according to the theory of D. Easton and J. Denis) are described.

საკვანძო სიტყვები: მოზარდი, პოლიტიკური სოციალიზაცია, განათლება, სკოლა, რესოციალიზაცია.
Keywords: Adult, political socialization, education, school, re-socialization.

თეიმურაზ ქარელი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

პოლიტიკური სოციალიზაციის კვლევა საქართველოში

შეუძლებელია ადამიანის აღზრდის შესახებ უფრო ჭკვიანური და ლაკონიური ფრაზის წაკითხვა, ვიდრე ეს არის: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისათაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო" (ეს სიტყვები დავით გურამიშვილს ეკუთვნის). მართლაც, ადამიანი სამსახოვანია - ნებისმიერი ჩვენგანი არის: 1. განუმეორებელი ინდივიდი; 2. რომელიმე ერის შვილი; 3. მთლიანი კაცობრიობის წარმომადგენელი. განათლების უმთავრესი პარადიგმა სწორედ ეს არის - ადამიანის არსებობის სამი განზომილების გააზრება სამივე დროში. სოციალიზაციის

პროცესში აღზრდის არსებითი მიზანი პიროვნების ჩამოყალიბებაა. [3, 101] ცხადია, ეს გულისხმობს „კარგი მოქალაქის“, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებასაც.

როგორ ყალიბდება მოქალაქე? სიტყვა „ქალაქი“ ძველქართულად „წესრიგსაც“ მოიაზრებს. ამიტომ უკავშირდება ის საზოგადოებრივ შრომას, ღვაწლს, ქვეყნისთვის და კაცისთვის სასარგებლო საქმის კეთებას. ჩვენს ცნობილ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ხშირად ვხვდებით „მოქალაქეობას“ - მაგალითად, „ცხორება და მოქალაქობა გრიგოლ ხანძთელისა“. ქართულ სამეცნიერო მეტყველებაში და ლიტერატურაში სიტყვა „პოლიტიკის“ პირველი დამამკვიდრებელია იოანე ბატონიშვილი, რომელიც ასე განსაზღვრავს პოლიტიკას: „პოლეტიკა. ესე განმარტებს კანონთა გონიერებისათა და არათუ ზაკვითსა და სხუათა მაცთურყოფისა ცნობა არს. ხოლო განსაზღურებენ ესრეთ: *პოლეტიკა არს ცნობა, მმართუ<ველი საქმეთა მეგობრობასა შინა მოქალაქობითსა, ანუ საზოგადოებითსა შეხდომილებათამებრ დროთასა; გარნა საითიკო უკუ<ე პოლეტიკაჲ ყოველთვის დაფუძნებულ არს ჭეშმარიტებასა ზედა“.* [2, 392] ამგვარი პოლიტიკური ეთიკა კი მხოლოდ პოლიტიკური სოციალიზაციის საფუძველზე ყალიბდება.

პოლიტიკური სოციალიზაცია არის პროცესი, რომელშიც მოქალაქეს უყალიბდება ღირებულებები, შეხედულებები, რწმენა და აზრები, რომელთა საშუალებით იგი კავშირს ამყარებს და მოქმედებს პოლიტიკურ სისტემაში. პოლიტიკური სოციალიზაცია უდიდესი მნიშვნელობისაა; თუ ერი ვერ ახერხებს მოქალაქეთა დიდი ნაწილის სოციალიზაციას, ამ ერის პოლიტიკური სტაბილურობა საფრთხეში აღმოჩნდება. აქედან გამომდინარე, ვერც ერთი ხელისუფლება, რა ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს იგი, ვერ მისცემს თავს უფლებას უგულებელყოს მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბების გზა. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური (პოლიტიკური) პედაგოგიკის პრობლემების სიღრმისეული კვლევა.

საქართველოში პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაციის მთლიანი სისტემის არარსებობა იწვევს იმას, რომ ინდივიდების პოლიტიკური პოზიციები განპირობებულია არა ლიდერების, გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიის, პარტიების გავლენით, არამედ მათი ეკონომიკური მდგომარეობით. შემთხვევითი როდია, რომ პოლიტიკური სოციალიზაციის ყველაზე მძლავრ ფაქტორს ანომიის პირობებში ახდენენ კონკრეტული ეკონომიკური (მაგალითად, დოლარის კურსის მერყეობა) და პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ინდივიდის მდგომარეობას ცვლიან. მაშასადამე, საზოგადოება, რომელიც ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე გადადის, პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში ორი წინააღმდეგობრივი ტენდენციის გადახლართვით ხასიათდება. ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია აფართოვებს პიროვნების პოლიტიკური მონაწილეობის, მოსახლეობის პოლიტიკურად პასიური ჯგუფების პოლიტიკაში ჩართვის შესაძლებლობებს, ზრდის მოქალაქეების ინფორმირებულობას სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, ღრმავდება პოლიტიკური აპათია, გაუცხოება, ურწმენობა (უნდობლობა) როგორც ინდივიდუალური და მასობრივი ცნობიერების რეაქცია ცხოვრების დონის დაცემაზე, იდეალების მსხვრევაზე.

პოლიტიკური სოციალიზაციის ინსტიტუტები პოლიტიკისადმი პიროვნების ზიარების „შუამავლებს“ წარმოადგენენ, პიროვნების ასაკობრივი ცვლილებები განაპირობებენ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის ეტაპობრივად, სტადიებად გავლას. პიროვნების განვითარების თითოეულ ეტაპზე პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ინსტიტუტებს. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია პოლიტიკური

სოციალიზაციის ინსტიტუტების დაყოფა ჯგუფებად, პიროვნებაზე მათი ზეგავლენის საფუძველზე მისი ცხოველქმედების სხვადასხვა პერიოდებში. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ის ინსტიტუტები, რომლებიც ადამიანის ბუნებრივი თვისებების თავდაპირველ განვითარებას უზრუნველყოფენ. სოციალიზაციის ინსტიტუტების მეორე ჯგუფს ქმნიან სწავლების ინსტიტუტები. სოციალიზაციის ინსტიტუტების მესამე ჯგუფი მოიცავს ზრდასრული ადამიანების, უკვე პიროვნებების, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სასიცოცხლო მოქმედების პერიოდს.

პოლიტიკური სოციალიზაციის ყველა ინსტიტუტი შეიძლება დაიყოს პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ინსტიტუტებად. პოლიტიკურ ინსტიტუტებს მიეკუთვნებიან სახელმწიფო მოწყობის ხასიათი და ტიპი, პოლიტიკური ინსტიტუტები, პარტიები და მოძრაობები, ხოლო არაპოლიტიკურს - ოჯახი, განათლების სისტემის დაწესებულებები, არმია, რელიგიური ინსტიტუტები, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. საზღვარგარეთელი მკვლევრების გ. ალმონდის, ჯ. პაუერის, კ. სტრომის, რ. დალტონის აზრით პოლიტიკური განწყობის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ინსტიტუტია „თანატოლთა ჯგუფები“. ადამიანის ცნობიერებაში გაბატონებული პოლიტიკური კულტურის ნორმების ჩანერგვის ამოცანას ასრულებს პოლიტიკური სოციალიზაციის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი - მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები (მკს): პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, ვიდეოჩანაწერი, კომპიუტერული ქსელი.

2012 - 2015 წლების კვლევებმა საყურადღებო დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა. დამაფიქრებელია პოლიტიკური სოციალიზაციის ჭრილში თანამედროვე ქართული რეალობის სპეციფიკის ანალიზი მისი ძირითადი აგენტების და საბაზო ელემენტების ცვლილებათა გათვალისწინებით. სტატისტიკური მონაცემები და პოლიტოლოგიური კვლევის შედეგები ადასტურებენ ისეთი საბაზო აგენტების მასოციალიზებელი ფუნქციების დაკნინებას, როგორიცაა ოჯახი, განათლების სისტემა, ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციები, არმია. საზოგადოებრივი კავშირების და პოლიტიკური ურთიერთობების სისტემაში არასაკმაო ინტეგრირების პრობლემის გადაჭრას ცდილობენ საზოგადოებრივი ჯგუფები, ისეთი როგორიცაა ეთნიკური ორგანიზაციები, მოქალაქეთა ასოციაციები და საპრობლემო ჯგუფები (ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.)

პრობლემის ყველაზე უფრო განზოგადებული განხილვის საფუძველზე შესაძლებელია პოლიტიკური სოციალიზაციის მექანიზმების სამი ძირითადი ჯგუფის გამოყოფა, სახელდობრ, ესენია: 1. ინტერნალიზაცია - პიროვნების მიერ გარემოს (პოლიტიკური სისტემის) მოთხოვნების ათვისება; 2. ინტერაქცია - ურთიერთქმედება პოლიტიკურ გარემოსთან; 3. ექსტერნალიზაცია - პიროვნების პოლიტიკური ორიენტაციების გამოხატვა.

პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელების ანალიზმა სხვადასხვა ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ჩინეთი, ყოფილი სსრკ) ორი ძირითადი პრობლემის განსაზღვრის საშუალება მოგვცა. პირველი მდგომარეობს იმაში თუ როგორ ხდება პიროვნების ჩართვა მთელი პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, ესე იგი მაკროდონეზე. მეორე პრობლემა უკავშირდება პოლიტიკური სოციალიზაციის თავისებურებებს მიკროდონეზეც - მცირე ჯგუფების და პიროვნების დონეზე.

საქართველოში პოლიტიკური სოციალიზაციის კრიზისია, ამას პირდაპირი დასავლური ანალოგია არა აქვს. ჯერ ერთი, ეს კრიზისი შეიმჩნევა ყველა ასაკობრივ

ჯგუფში, ის ეხება არა იმდენად უმცროს, რამდენადაც უფროს ზრდასრულ კოჰორტებს, რომლებიც ახალ პოლიტიკურ პირობებში სხვებზე გაცილებით ცუდად ადაპტირდებიან. მეორე, ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარეობს რესოციალიზაციის პროცესი, რადგან პოლიტიკური ღირებულებები იცვლება მთლიანად როგორც საზოგადოების, ასევე ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების დონეზეც. რესოციალიზაცია გართულებულია იდეოლოგიური მიზეზების გამო: ახალმა დემოკრატიულმა ღირებულებებმა ოფიციალური სტატუსი კი შეიძინეს, მაგრამ, ადექვატური სისტემატიზაცია არ მომხდარა, რაც აფერხებს მათ ტრანსლიაციას პოლიტიკური სისტემიდან პიროვნებისკენ.

საზოგადოებრივი განვითარება დიდად არის დამოკიდებული პოლიტიკური ქცევის თავისებურებებზე. უფრო ინტენსიურად კი სოციალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ადრეულ ბავშვობაში, მოზარდის ასაკსა და ჭაბუკობის ასაკში. ასაკი არა მხოლოდ თავისთავად მნიშვნელოვანია, როგორც ადამიანის ბიოლოგიური მდგომარეობა, ადამიანის („კაცის“) სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპისადმი დამოკიდებულება, ცალკეული ასაკობრივი პერიოდის სტატუსი, ფასეულობა და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცნობიერებაში ეპოქიდან ეპოქამდე მნიშვნელოვნად იცვლებოდა. ყოველ ეპოქას და ყველა ხალხს თავისი „პრივილეგირებული“ ასაკი ჰქონდა და მათ შორის სახელწოდებებიც. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში განმარტავს: „ვიდრე ხუთ(ს) წლამდე ვაჟს(ა) ჩჩვილი ეწოდების, ქალსა ჩჩვილა. ხუთის წლით ვიდრე ათ წლამდე ვაჟსა - უსუარი და ქალსა - უსუარა; ათის წლით თხუთმეტამდე ვაჟსა - ნინველი და ქალსა - ნინველა; თხუთმეტის წლით(გან) ვიდრე ოცამდე ვაჟსა ყრმა და ქალსა ყრმაი; ოცის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე ვაჟსა - ჭაბუკი და ქალსა ჭაბუკა და შემდგომად სრული კაცი, ვიდრე ორმეოცდაათამდე. და შემდგომ(ად) ეწოდების ვაჟსა მოხუცებული და ქალსა მოხუცებულა, და შემდგომად ვაჟსა ბერი და ქალსა - ბებერი, რომელ არს მამაბერი და დედაბერი, ხოლო შემდგომად მიხრწნილი ეწოდების, და წვერ-თეთროსანსა ჭარმაღი და მხცოვანი ეწოდების“. [**4, 357-358**]. ასაკთა არათანაბარი ღირებულება ვლინდება ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციაში, რომელიც აისახება ცნებაში ***„ეიჯიზმი“***.

ჩვენი კვლევითი პროგრამის ძირითადი იდეა შეესაბამება პიერ ბურდიეს მიერ განვითარებულ შეხედულებებს და, პირველ რიგში, სოციალური ტიპოლოგიის შესახებ მისეულ იდეას. [**1; 5**] ამ იდეის მიხედვით ავაგეთ ჩვენი მტკიცებულებები, რომლებმაც კვლევის *პოლიტიკური ველი* განსაზღვრეს, სადაც ცალკეული პოლიტიკური სიუჟეტები შესაძლებელია აიგოს ფასეულობრივად ორიენტირებული რესპონდენტის ხედვის თვალსაწიერში, მისი ფასეულობრივი თვითშემეცნების თვალსაზრისით. კვლევის „ზეამოცანის“ სახით შევეცადეთ გამოგვეყო მოზარდის განსაკუთრებული ასაკობრივი ქრონოტიპი, რომელიც თანამედროვე უ ფ რ ო ს კ ლ ა ს ე ლ ი ს მიერ პოლიტიკური რეალობის ფასეულობით ხედვას განსაზღვრავდა. მართლაც, თუ გვინდა მოზარდობა ვიკვლიოთ კულტურულ-ისტორიული პარადიგმის ფარგლებში, მაშინ არსებითად მნიშვნელოვანია შევძლოთ არა მხოლოდ ამა თუ იმ აზროვნებათა ფორმების ასაკობრივი დამკვიდრების თავისებურების გარკვევა, არამედ ფასეულობით-აზრობრივი ფორმების დამკვიდრების შესწავლაც. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული ემპირიული კვლევების მასალაზე დაყრდნობით. კვლევებმა გამოავლინეს „სისტემური პოლიტიკური სოციალიზაციის“ ნაკლოვანებები და ხარვეზები, მათი დაძლევის სავარაუდო გზები. ასეთ ნაკლოვანებებს მიეკუთვნება

პოლიტიკური სისტემის და მისი ცენტრალური ინსტიტუტების საზოგადოების განვითარების დინამიკის თანხვდენილად მოქმედების უუნარობა, ფუნდამენტური ორგანიზაციული გარდაქმნის უსურველობა.

სათანადო რეფორმების გატარების აუცილებლობა გულისხმობს, რომ მათი მიზანი უნდა იყოს პოლიტიკურ სისტემას (ე.ი. მის ინსტიტუტებს) და საზოგადოების სისტემას (ე.ი. მოქალაქეებს) შორის პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესების გამართვა. აქედან გამომდინარეობს რეფორმების ორი მიმართულება პოლიტიკურ სისტემაში (რეფორმების მიზანია - სისტემის ინსტიტუტების ორგანიზაციული საჯაროობის განვითარება) და საზოგადოებრივ გარემო სამყაროში (რეფორმების მიზანია - პარტიების და კავშირების მეშვეობით დისკურსის საშუალებით მოქალაქეთა „ჩართულობის“ გაზრდა)

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურდიე პიერ. (2006). *განსხვავება. მსჯელობის სოციალური კრიტიკა.* გამომცემლობა „დიოგენე“. თბილისი.
2. იოანე ბატონიშვილი. (1990). *ხუმარსწავლა. კალმასობა.* წიგნი I. „მერანი“, თბილისი.
3. მურღულია გია. (2013). *საუბრები უფროსკლასელებთან.* გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.
4. სულხან-საბა ორბელიანი. (1966). *ლექსიკონი ქართული.* წიგნი 1. „საბჭოთა საქართვ ელო“, თბილისი.
5. Бурдье П. (1993). *Социология политики*: Пер. с фр./Сост., общ. ред и предисл. Н. А Щматко./ - Socio-Logos, М.

Teimuraz Kareli
Institute of Political Science of the Ilia State University

Study of Political Socialization in Georgia

Abstract

Political socialization is a tool, that helps to maintain a certain kind of legitimized level and creates the borders where the regime can carry out its policy. Political socialization is a difficult process which is shaped by the number of human factors influence: purposeful and natural influences from the environment, as well as the respond of these incentives to the internal mechanisms, the activity of human himself and his social experience, existed regional and age characteristics.

The following conclusions have been done based on the certain analysis:
1) The institutions of political socialization are "intermediaries" which familiarize human personality to policy, due to age changes the process of political socialization is carried gradually, in stages. Different institutes have various priority significance on each stage of human development. In this context, the institutions of political socialization are expedient to classify into groups, on the base of their influence upon the personality in different periods of his/her activity. The first group includes institutions providing the initial development of human natural properties. The second group contains educational institutions. As for the third one it is a period of adulthood – here we can claim that the person is already realized.
2) All the institutions of political socialization can be divided into political and apolitical. Political institutions include the character and type of state, political institutions, parties and movements, as for apolitical system it contains – family, the education system establishment, “peer group”, army, religious institutions, Mass Communications. A special institute of political socialization can be called religious institutions. According to the works of foreign researchers, G. Almond, J. Pauer, K Strome, R Dalton the most significant social quantity forms shaping political attitudes are "peer group”. Mass Media: press, radio, TV, movie, video, computer networks are important institute of

political socialization which in the modern world bring dominant political culture into the human consciousness.
3) From the point of political socialization analysis view the specificity of modern Georgian reality is shown through the prism of its main agents and basic elements. Statistic data and political studies prove the fact of weakening such social function as family, educational system, children and youth organizations, army. Social groups such as ethnical organizations, civic associations and problematic groups (association of Entrepreneurs, the taxpayers, human rights defenders, environmentalists, etc.) try to solve the problem of insufficient integration into the system of social relations and political relations.
4) Existed scientific schools choose the various approaches to the political socialization mechanisms from more generalized (internalization, interaction, externalization) through sub processes, to the specific (psychological - programming, social learning, etc .; social - political support, role training, and others). In the frame of more generalized approach of the problem we can highlight 3 main political socialization mechanism groups: 1. Internalizational - mastering the personality requirements of the environment (political system); 2 interactional - interaction with the political environment; 3. Externalizational - an expression of person's political orientation.
5) The analysis of political socialization models of different countries allows us to identify and highlight two main problems. The first one shows person's involvement into the policy of his/her political system frame, it means in the macro level. The second one shows that the political socialization has its features on the micro level too - on the level of small groups and personalities. The existed political socialization crisis in Georgia has no direct Western analogues. Moreover, this crisis is obvious among the various age groups, it contains much more older age cohorts then younger, which is able to adapt to the new political conditions worse than others. Not less important point is that in resent years here, in Georgia the process of re-socialization has been going on, as there is a change in the sign of political values at the level of society in a whole and the individual political groups. Re-socialization faces difficulties due to ideological reasons: new democratic values has reached an official status but still has not gained an adequate systematization, which is a certain kind of obstacle to broadcast political system to the individual.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური სოციალიზაცია, მოქალაქე, მოზარდი, განათლება, სამოქალაქო აღზრდა.
Keywords: Political socialization, citizen, adult, education, civil up-bringing.

ნანა ყარაულაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასკოლო ბიბლიოთეკების როლი და ადგილი სწავლებისა და განათლების საქმეში
(საერთაშორისო საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად)

დღევანდელობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოში სასკოლო ბიბლიოთეკების რეფორმა, მათთვის კონცეფციისა და სტანდარტების ჩამოყალიბება მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან სასკოლო ბიბლიოთეკა სასკოლო

განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწორედ სკოლის ბიბლიოთეკაში იძენს ბავშვი ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების უნარ-ჩვევებს. ვფიქრობთ, სკოლის ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარი გათანაბრებული უნდა იყოს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან, რადგან ისინი თანაბრად მონაწილეობენ ეროვნული დონის საგანმანათლებლო პროგრამებში, ხოლო მათ როლსა და ფუნქციებს უნდა განსაზღვრავდეს ეროვნული და რეგიონალური სტრატეგიები. ხოლო, სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარებისა და ბიბლიოთეკარების პროფესიონალიზმის ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საბიბლიოთეკო ასოციაციების რეკომენდაციები.

იმისათვის, რომ ამაღლდეს სასკოლო ბიბლიოთეკების პრესტიჟი სკოლაში, რეგიონსა თუ ქვეყანაში, მთავრობამ და განათლების სამინისტრომ ერთობლივად უნდა შეიმუშაონ შესაბამისი სტრატეგია, სადაც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი პირობები და ყველა ტიპის სკოლის მოთხოვნილებები. საბიბლიოთეკო საქმის გამოცდილი სპეციალისტების მიერ მუდმივად უნდა ტარდებოდეს კონფერენციები, პრაქტიკული სემინარები, მიმდინარეობდეს ხშირი დისკუსიები, ქვეყანაში იქმნებოდეს ისეთი ნორმატიული აქტები, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე სასკოლო ბიბლიოთეკების შექმნასა და განვითარებას.

სასკოლო ბიბლიოთეკა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ინფორმაციასა და წიგნიერებაზე დაფუძნებული დღევანდელი საზოგადოებისათვის. იგი სკოლის მოსწავლეებს არა მხოლოდ მუდმივი თვითგანათლების უნარ-ჩვევებს უნერგავს, არამედ უზრუნველყოფს მათთვის ინფორმაციისა და იდეების მიწოდებას, ეხმარება - გახდნენ პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები. ბიბლიოთეკის მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპები ზუსტად უნდა გამოხატავდეს რეალობას, მის სულისკვეთებას, მიზნებსა და ამოცანებს. პრინციპები უნდა იყოს მრავალმხრივი და განხორციელებადი, ხოლო მის განსაზღვრაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი სასკოლო საზოგადოება.

სასკოლო ბიბლიოთეკის წარმატებულ მუშაობას სწორი მენეჯმენტი განსაზღვრავს, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- დაფინანსება და ბიუჯეტი;
- შენობა და რესურსები;
- ბიბლიოთეკის გამოყენების დონე;
- ბიბლიოთეკის რეკლამირება (საზოგადოებასთან ურთიერთობა).

ყველა მათგანი მუდმივად უნდა განიხილებოდეს და ვითარდებოდეს. სკოლის ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ახდენს სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის მონიტორინგსა და შეფასებას. თავის მხრივ, ხელმძღვანელი მოვალეა, ბიბლიოთეკა უზრუნველყოს შენობის, მასალების, ტექნიკის, მომსახურე პერსონალის შესაბამისი სტაბილური დაფინანსებით. ამისათვის იგი უნდა იცნობდეს სკოლის ფინანსური დაგეგმარების პროცესს, სკოლის საბიუჯეტო ციკლის გრაფიკს და სკოლის ძირითად პერსონალს, რათა შეძლოს ბიბლიოთეკისათვის საჭირო დაფინანსების გააზრება. სასკოლო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების თანხები არ უნდა იყოს სკოლის ბიუჯეტის 5%-ზე ნაკლები. კადრებით დაკომპლექტების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სასკოლო ბიბლიოთეკის სამუშაო დროზე, მისი მომსახურების ხარისხსა და ფორმებზე, ამიტომ სასკოლო ბიბლიოთეკის პერსონალის სახელფასო ფონდის განხილვაში მონაწილეობას აუცილებლად უნდა ღებულობდეს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

თანხები საკმარისი უნდა იყოს ბიბლიოთეკის სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის. არაერთგზის კვლევამ ცხადყო, რომ სტანდარტულ გამოცდებზე უმაღლეს შეფასებას ღებულობენ იმ სკოლის მოსწავლეები, სადაც სასკოლო ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია მეტი წიგნით, ჟურნალით, ვიდეომასალით და კვალიფიციური პერსონალით. ყველაზე პატარა ბიბლიოთეკისათვის ფონდი უნდა ითვლიდეს 2500 ერთეულს (საშუალოდ 10 წიგნი ერთ მოსწავლეზე). სასკოლო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან ერთად უნდა შეიმუშაონ ფონდის ფორმირების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება სასწავლო გეგმასთან, სკოლის პერსონალის კონკრეტულ ინტერესებთან და ასევე უნდა ასახავდეს სკოლის გარეთ არსებულ რეალობას. ბიბლიოთეკის განვითარებისათვის მუდმივად აუცილებელია დაფინანსება ახალი რესურსებით:

- წიგნები, პერიოდიკა, არაბეჭდური მასალები, პლაკატები;
- საკანცელარიო ნივთები და ადმინისტრაციული მასალები;
- სარეკლამო ღონისძიებების დაფინანსება;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- პროგრამული საშუალებები.

სასკოლო ბიბლიოთეკის შენობის დაპროექტებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ბიბლიოთეკის ფუნქციები, რათა შემდგომში მისმა მუშაობამ უპასუხოს სკოლის მოთხოვნებს. მიზანშეწონილია გათვალისწინებული იყოს შემდეგი:

- სამეცადინო და კვლევის ზონა, სადაც განთავსებული იქნება მაგიდები სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისათვის, ინტრნეტქსელში ჩართული კომპიუტერები/ ინტეგრირებული ელექტრონული კატალოგი, ასევე უნარშეზღუდული მომხმარებლის მოთხოვნილების შესაბამისად მოდიფიცირებული კომპიუტერული აღჭურვილობა, მაგნიტოფონი, საცნობარო მასალები და ძირითადი ფონდები;
- არაფორმალური სამკითხველო ზონა წიგნებისა და პერიოდიკისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნიერების განვითარებას, მუდმივ განათლებას და სიამოვნებისათვის კითხვას;
- სასწავლო ზონა, რომელსაც ექნება მცირე ჯგუფების, დიდი ჯგუფების და მთელი კლასის მეცადინეობისათვის აუცილებელი ავეჯი/სავარძლები, აგრეთვე სწავლების და დემონსტრირებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო დაფა;
- საწარმოო და საპროექტო ზონა, სადაც ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები, ცალკეულ პირთა, გუნდური და კლასების შეხვედრები/ასევე ინახება მულტიმედიის მასალების შესაქმნელად საჭირო აღჭურვილობა;
- ადმინისტრაციული ზონა: სააბონენტო მაგიდა, ადგილები მულტიმედიური მასალების, აუდოვიზუალური და სხვა აღჭურვილობის დასამუშავებლად და შესანახად.

ბიბლიოთეკაში ასევე უნდა იყოს უსაფრთხოება; კარგი განათება; ავეჯი, რომელიც იქნება რეგულირებადი მოსწავლის სიმაღლის შესაბამისად. ეს ყველაფერი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს სივრცესთან და ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნილებებთან. ბიბლიოთეკის სივრცე შეიძლება შეიცვალოს სკოლის სასწავლო პროგრამების ცვლილებების შესაბამისად. სასკოლო ბიბლიოთეკა ესთეტიურად უნდა იზიდავდეს მომხმარებელს და ორიენტირებული იყოს მრავალფეროვანი რესურსების

თანაბრად და დროულად მიწოდებისაკენ. დაცული უნდა იყოს საავტორო უფლებები, ინტელექტუალური თავისუფლება და ინფორმაციის თავისუფლება.

სასკოლო ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხი დამოკიდებულია ბიბლიოთეკის ადამიანურ რესურსებზე, ამიტომ დაკომპლექტება უნდა მოხდეს კარგად მომზადებული და კეთილსინდისიერი კადრებით, რაც გულისხმობს ბიბლიოთეკის კვალიფიციურ გამგეს და ასევე მის კვალიფიციურ მოადგილეს. სასკოლო ბიბლიოთეკის გამგეს შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად უნდა ჰქონდეს პროფესიული განათლება. ამასთან, იგი საკმაოდ კარგად უნდა ფლობდეს პედაგოგიკის თეორიასა და მეთოდიკას. ბიბლიოთეკის გამგე ექვემდებარება სკოლის დირექტორს, ან მის მოადგილეს, მონაწილეობას იღებს საერთო საქმეში და ესწრება ყველა თათბირს. სწორედ ბიბლიოთეკის გამგემ უნდა შექმნას ბიბლიოთეკაში მომსახურების თბილი გარემო თანამშრომლებსა და ბავშვებს, მოზრდილებსა და ახალგაზრდებს შორის. ბიბლიოთეკის „შტატიანი“ პერსონალი უნდა ერკვეოდეს საბიბლიოთეკო მომსახურების პრინციპებში, ჰქონდეს განსაზღვრული მოვალეობები, მათი სამსახურში მიღება უნდა ხდებოდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და უნდა იღებდნენ პროფესიონალიზმის შესაბამის ანაზღაურებას. ბიბლიოთეკარი ექვემდებარება ბიბლიოთეკის გამგეს. მას უნდა ჰქონდეს საბაზო განათლება საბიბლიოთეკო საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის განათლებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკას შესაძლებელია ჰყავდეს დამხმარე პერსონალი: მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, მშობლები და სხვა მოხალისეებიც. კონტრაქტი უფორმდებათ როგორც დამხმარე პერსონალს, სადაც განსაზღვრულია მათი როლი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობაში. სასკოლო ბიბლიოთეკის მომსახურების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად შესაძლოა სკოლამ მოიწვიოს ექსპერტებიც.

სასკოლო ბიბლიოთეკის გამგის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს:

- სასკოლო ბიბლიოთეკის მისიისა და მიზნების ფორმულირება და განხორციელება, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის მისიასა და მიზნებთან;
- სკოლის ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრატორებთან და პედაგოგებთან ერთად მონაწილეობის მიღება სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში;
- გადაწყვეტილების მიღება საინფორმაციო მომსახურების, ბეჭდური და ელექტრონული რესურსების ინფორმაციული ამოცანების გადაჭრის სფეროში;
- საბავშვო ლიტერატურის კითხვის, მულტიმედიის და სხვა მასობრივი ღონისძიებების საქმის ხელმძღვანელობა.

ბიბლიოთეკარის სამსახურებრივი მოვალეობაა:

- ლიტერატურის გაცემისა და დაბრუნების რეგისტრაცია;
- საბიბლიოთეკო მასალის დამუშავება.

სასკოლო ბიბლიოთეკის პოტენციალის აქტიურად გამოყენების მიზნით, აუცილებელია თანამშრომლობა მასწავლებლებსა და სკოლის ბიბლიოთეკარებს შორის, იმისათვის, რომ ბიბლიოთეკამ:

- განავითაროს და ასწავლოს მოსწავლეებს, შეაფასოს მათი მოსწრება საგნების მიხედვით, შეიმუშაოს გაკვეთილების გეგმები;
- განავითაროს მოსწავლეთა ინფორმაციული უნარ-ჩვევები და ბიბლიოთეკის თანამონაწილეობით განახორციელოს სპეციალური პროექტები;

- მოამზადოს სხვადასხვა სახის ღონისძიებები, გააცნოს მშობლებს ბიბლიოთეკის მნიშვნელობა, დანერგოს პროგრამაში ინფორმაციული ტექნოლოგიები.

სასკოლო ბიბლიოთეკის მკითხველთა ორი ძირითადი ჯგუფი არსებობს: მოსწავლეები და მასწავლებლები. თუმცა ვხვდებით სხვა კატეგორიებსაც - სკოლის ადმინისტრაცია, აღმზრდელები, მშობლები. ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელი იცავს ეთიკის ნორმებს და ვალდებულია დააკმაყოფილის მკითხველთა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების მოთხოვნები. სასკოლო ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ბიბლიოთეკარები მასწავლებლები არ არიან. არიან მხოლოდ მრჩევლები და არასოდეს ახვევენ თავს საკუთარ აზრს მომხმარებელს.

ძალიან მომგებიანია სასკოლო, საჯარო, მასობრივ და სამეცნიერო ბიბლიოთეკებს შორის თანამშრომლობა:

- კადრების ერთობლივი მომზადება;
- ფონდების ერთობლივი ფორმირება;
- პროგრამების ერთობლივი შემუშავება;
- ელექტრონული მომსახურების და ქსელების მუშაობის კოორდინაცია;
- მომხმარებელთა სწავლების საშუალებების შექმნა;
- ექსკურსია, ერთობლივი კითხვა და მისი პროპაგანდა;
- საბიბლიოთეკო მომსახურების ერთობლივი მარკეტინგი.

სკოლაში ურთიერთთანამშრომლობის ინიციატორი უნდა იყოს სკოლის დირექტორი. მან სკოლის მუშაობის შეფასებისას, ყოველთვის ხაზი უნდა გაუსვას ბიბლიოთეკის მუშაობის მნიშვნელობას, დადგენილი სტანდარტების შესრულების საქმეში.

ბიბლიოთეკამ პედაგოგს უნდა მიაწოდოს ისეთი რესურსი, რომელიც გააღრმავებს მის საგნობრივ ცოდნას და გააუმჯობესებს სწავლების მეთოდიკას. მოსწავლეთა გააქტიურების და დამოუკიდებელი სწავლების უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით, პედაგოგებს შეუძლიათ ბიბლიოთეკასთან ითანამშრომლონ შემდეგ სფეროებში:

- ინფორმაციული წიგნიერება - მოსწავლეებში ძიებისა და ინფორმაციის კრიტიკულად და შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- საპროექტო სამუშაოები და დავალებები;
- მოსწავლეთა დაინტერესება კითხვით, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ პროგრესული და ღია პედაგოგიური პრინციპებით, როგორც წესი, აქტიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკით. ტრადიციული დიდაქტიკური მეთოდოლოგიის განვითარებითა და ახალ სტანდარტებზე მორგებით, მათ შეუძლიათ ბიბლიოთეკა აქციონ სწავლის და სწავლების პროცესის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინფორმაციული წიგნიერება. ბიბლიოთეკათმცოდნეობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები (სალექციო კურსი). თბ.: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემცემლობა, 2008;
2. სახელმძღვანელო სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის. თბ.: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, 2009;
3. www.britannica.com/EBchecked/topic/339421/.../The-history-of-libraries;
4. www.nplg.gov.ge.

Nana Karaulashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

The Role and Place of School Libraries in Education
(According to International Library Standards)

Abstract

The school library is an essential part of the educational process. Proper management determines the successful work of school library. Recommendations of international organizations and library associations are very important for development of school libraries and professional growth of librarians themselves. Librarians are not teachers. They are just advisers and they never force their opinion to customers. Typically, teachers who work on progressive and open pedagogical principles use libraries. In spite of traditional didactic methods they can make library as one of the central part of teaching-learning process.

საკვანძო სიტყვები: სასკოლო ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკარი, მომხმარებელი, სკოლა, მასწავლებელი.
Keywords: School library, librarian, customer, school, teacher.

ნინო ვაყელიშვილი
თელავის მე-5 საჯარო სკოლა

„ბენჩმარკინგი“ საჯარო სკოლების საგნობრივი კათედრების ეფექტურობის გარანტი

საჯარო სკოლებში ხარისხის უზრუნველყოფა განიხილება, როგორც სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესების აქტივობებს მკაფიოდ განსაზღვრულ გარემოში. მეორე მხრივ, სრულიად სამართლიანად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ხარისხის უზრუნველყოფა, როგორც პროდუქტი, თუ ის წინასწარ დაგეგმილ, გაზომვად შედეგზეა ორიენტირებული. სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის დღის წესრიგში სკოლის ეფექტური მმართველობითი მუშაობა დგება, რომლის განხორციელების ეფექტურობაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს სკოლის არა მხოლოდ ერთი, არამედ მართვის პირობითად ყველა (ქვედა, საშუალო და უმაღლესი) რგოლი. სკოლის მმართველობის ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენს მასწავლებელთა საგნობრივი ჯგუფები-კათედრები.

ყველა სკოლაში (სადაც ერთზე მეტი საგნის მასწავლებელია) უნდა არსებობდეს საგნობრივი ჯგუფების მასწავლებელთა კათედრები, რომლებიც საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელს გააერთიანებს. სკოლაში, საგნობრივი კათედრების ეფექტური მუშაობის მენეჯმენტი გულისხმობს იმას, რომ იგი არის ამ პროცესის ოპტიმალური

მართვის აუცილებელი პირობა. თუ საგნობრივი კათედრა არასტაბილურად ფუნქციონირებს და არაგეგმაზომიერად ხდება მისი მუშაობის გაუმჯობესება, მაშინ ნათლად ჩანს, რომ არ არის გამოყენებული მართვის თანამედროვე მეთოდები, კერძოდ პრობლემების გადაჭრისადმი ინოვაციური მიდგომა, რომელიც ხარისხის მენეჯმენტის შინაარსში აისახება. აქედან გამომდინარე, სკოლის ეფექტური ფუნქციონირებისა და სტრატეგიული განვითარების თანამედროვე საყრდენად უნდა წარმოვიდგინოთ საგნობრივი კათედრების მართვის მენეჯმენტური მიდგომა, რომელიც სკოლის, როგორც სისტემის პოზიტიურისკენ ცვლილების, მაღალი ხარისხის მიღწევის ძირითადი საშუალებაა;

საგნობრივი ჯგუფების კათედრების მუშაობის მთავარი ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.

კათედრის ეფექტური მუშაობისთვის სასურველია თავმჯდომარის არჩევა ერთი წლის ვადით. თავმჯდომარის ფუნქციებია:

- კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
- პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციებისდასხვ.) ორგანიზება.

შესაძლებელია, კათედრებმა შემოიღონ თითოეულ საგნობრივ ჯგუფში საუკეთესო მოსწავლის (საფეხურის ან კლასის მიხედვით) პრიზი, რომელიც ყოველ წელს სკოლის დამთავრებისას საერთო შეკრებაზე გადაეცემა. კათედრის წევრები რეგულარულად უნდა შეიკრიბონ (მინიმუმ ორჯერ თითო სემესტრში). აუცილებელია კათედრის შეკრება წლის დასაწყისში. ამ შეკრებაზე (წლის დასაწყისში და სავარაუდოდ შემდეგ ყოველი სემესტრის ბოლოს როგორც მინიმუმ) აუცილებელია, რომ კათედრაზე მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამებისა და შესაბამისად არჩეული სახელმძღვანელოების განხილვა. წლის დასაწყისში საუბარი იმისთვის, რომ წინასწარ იქნეს დასახული გეგმები: თუ რა საჭიროებები ექნებათ მასწავლებლებს წლის განმავლობაში; რა პრობლემების გადაჭრა იქნება აუცილებელი; რა რესურსების გამოყენება იქნება საჭირო საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულების

მიმდინარეობისას. ამ დროისთვის უნდა მოხდეს პრობლემების გამოვლენა და შეფასება, თუ რა ხარისხით იქნება შესაძლებელი ყველა მოსწავლისთვის საგნობრივ პროგრამებში აღწერილი შედეგების მიღწევა.

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. სწორედ ამიტომ, ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით.

თითოეულ კათედრას შესაძლებლობა აქვს:

- მოახდინოს მისი საქმიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედარება მართვის ყველა დონეზე სხვა კათედრებთან - ,,ბენჩმარკინგ"-ი;
- გაიზიაროს წარმატებული გამოცდილება;
- მიიღოს სასარგებლო რეკომენდაციები;
- დაგეგმოს სკოლის ეფექტურისამომავლო სტრატეგიები.

შედარება სხვა კათედრებთან საჭიროა და აუცილებელი იმისთვის, რომ ვზოგავთ დროს - ვსწავლობთ სხვების გამოცდილებაზე, უკეთ ვხედავთ და ვაცნობიერებთ საკუთარ პრობლემებს/შეცდომებს, იზრდება უკეთესობისკენ ცვლილებების მოტივაცია. კათედრებს ეძლევათ შესაძლებლობა საშუალება მისცენ სკოლას მიაღწიოს მაღალ ხარისხს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობაში, რაც ნიშნავს ,,შეუქმნას მოსწავლეს ხელსაყრელი გარემო ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის". განათლების ხარისხის სწორი მენეჯმენტი განაპირობებს სკოლის ცვლილებას ძველი მდგომარეობიდან ახალ გამოწვევებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N36/ნ 11 მარტი, 2011წ.
2. საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.
3. http://www.kpms.ru/General_info/Benchmarking.htm

Nino Vakelishvili
Telavi №5 public school

"Benchmarking" - the Guarantee of the Efficiency of Subject Departments in Public Schools

Abstract

In the article there is presented the definition of benchmarking. The role of benchmarking is presented in organization management. benchmarkingand its role in general educational institutions. Various types of communication connections among inter-subject branches at schools.

საკვანძო სიტყვები: საჯარო სკოლა, საგნობრივი კათედრა, ხარისხის მენეჯმენტი, ბენჩმარკინგი, განათლება

Keywords: Public school, subject branches, quality management, benchmarking, education

Ferit AKTAŞ
Iakob Gogebashvili Telavi State University

Job Satisfaction of Private School Teachers

INTRODUCTION

Teaching is the noblest profession among all other professions. A teacher certainly has a different place in all societies. However, there are some variables that prevent teachers from having job satisfaction. Job, as an individual and social activity, is one of the most important social environments in a person's life. It is a decisive phenomenon that enables the individual to keep living, earn the necessary amount of money, feel free and happy and have a satisfaction regarding his life (Şahin, 2013:144).

Experiences that cause stress in life also cause reluctance in both working and private life make people indifferent to reaching their goals by discouraging them. Working psychology aims to enable personnel to be satisfied and happy, increase their motivation while working and employs organizational and individual strategies to reduce psychic problems regarding working life to a minimum level with the aim of reaching this goal (Çakır, 2009:147).

Teaching is considered to be more backbreaking than other professions. It takes place in a highly risky group in terms of exhaustion because of a great number of stress sources. It is likely to observe professional exhaustion in professions such as doctors, nursing, policing, management and teaching (Çokluk, 2003: 110).

It is required for a teacher to have a high level of job satisfaction in order to completely function as a teacher. This study aims to compare job satisfaction of teachers in terms of a number of variables.

METHOD

Sampling

Participants consisted of 50 (50 %) female and 50 (50 %) male teachers that work in any branch and any rank. 38 % (38) of participants in sampling group are aged between 24-30, 42 % (42) of them are between 31-39, 10 % (10) of them are aged between 40-49 and 10 % (10) of them are aged between 50-59. 72 % (72) of teachers is married, 8 % (8) of them are divorced and 20 % (20) of them are single. This study employed a case sampling method, one of the purposeful sampling methods.

Data collection instruments

This study employed Job Satisfaction Survey developed in 1985 by Spector to collect data relating job satisfaction of teachers. This survey consists of 9 facets including pay, promotion opportunities, supervision (job satisfaction resulting from the relationship with first supervisor, social rights, contingent rewards, operating conditions (job satisfaction related to rules and procedures) coworkers, nature of work, communication. Each subscale consists of 36 items. Each item is presented as a statement. 17 statements are stated in a positive direction and 19 in a negative direction. The answer of each answer is evaluated on a scale from 1 to 6 (disagree very much, disagree moderately, disagree slightly, agree slightly, agree moderately, agree very much). Positive statements are evaluated as 1,2,3,4,4,6; negative statements are evaluated vice versa. Assessment of the facets' internal consistency indicated that Cronbach α coefficient for each dimension of the survey is 0.78 (Yelboğa, 2012: 175).

Sub Scale item Numbers
Pay 1, 10, 19, 28
Promotion opportunities 2, 11, 20, 33
Supervision 3, 12, 21, 30
Fringe benefits4, 13, 22, 29
Contingent rewards 5, 14, 23, 32

Operating conditions6, 15, 24, 31
Coworkers 7, 16, 25, 34
Nature of work 8, 17, 27, 35
Communication 9, 18, 26, 36
Total satisfaction 1-36

Personal Information Form

The researcher designed the personal information form. The form consists of 5 questions related to gender, marital status, age and, rank status of teachers.

Analysis of data process

The study sampling consisted of private school teachers. Teachers consented to participate in data collecting scales. Descriptive analysis (mean and standard deviation) was used to determine demographic features of individuals.

FINDINGS

Likert scales were employed to determine the job satisfaction of the teachers in the study sampling. Chart 1 indicates the results of descriptive analysis that were obtained from these scales.

Chart 1:*descriptive analysis results*

	N	Mean	Ss		
Pay satisfaction	100	3.30	1.20		
Promotion satisfaction	100	3.08	1.06		
Supervision satisfaction	100	4.4	1.16		
Fringe benefits satisfaction Contingent rewarding satisfaction	100	3.00	1.5		
Coworkers satisfaction	100	4.73	1.02		
	100	3.52	0.70		
Nature of work satisfaction	100	3.15	0.47		
Communication satisfaction	100	3.19	0.76		
Total job satisfasction	197	3.85	0.67		

Scoring: scores between 1 and 3 mean low level of job satisfaction, the ones between 3 and 4 mean medium and the ones between 4 and 6 mean high level of job satisfaction.

Analysis results indicate that the teachers have high levels of satisfaction and their highest satisfaction levels belong to coworkers scale (average: 4,73) while the lowest levels belong to satisfaction scale (average: 3,00).

Findings and Remarks Regarding Differences in Job Satisfaction Levels of Teachers Depending on Their Genders

This study employed t-test to determine differences between job satisfaction levels of teachers and their genders and chart 2 demonstrates the obtained results.

Chart 2:

	N	Gender	average	S.S	T	P
Pay Satisfaction	50	Female	3.76	1.22	0.46	0.56
	50	Male	3.60	1.3		
Promotion satisfaction	50	Female	3.81	1.24	0.52	0.60
	50	Male	3.50	1.4		
Supervision satisfaction	50	Female	3.36	1.1	0.97	0.58
	50	Male	3.12	1.12		
Fringe benefits satisfaction	50	Female	4.11	1.44	0.48	0.89
	50	Male	4.15	1.53		
Contingent reward satis.	50	Female	4.28	1.22	0.98	0.28
	50	Male	4.51	1.12		
Coworkers satisfaction	50	Female	3.19	1.32	0.67	0.44
	50	Male	3.33	1.36		
Nature of work satisfaction	50	Female	3.34	1.34	0.66	0.56
	50	Male	3.76	1.13		
Communication satisfaction	50	Female	3.14	1.15	2.45	0.01**
	50	Male	4.12	1.16		
Total Job satisfaction	50	Female	3.76	1.12	0.45	0.56
	50	Male	3.56	1.14		

**p<0,05

Chart 2 indicates that independent group t-test that was conducted for score averages obtained from communication satisfaction of teachers is statistically significant (p<0,05). It is likely to note that available data indicate that male teachers possibly have higher communication satisfaction levels than female teachers.

An independent t-test was used to test score averages of pay satisfaction, promotion satisfaction, supervision satisfaction, fringe benefits satisfaction, rewarding satisfaction, nature of work satisfaction, coworker satisfaction, operating satisfaction, total job satisfaction depending on gender variable and this t-test is statistically insignificant(p>0,05).

Findings and Remarks Regarding Differences in Job Satisfaction Levels of Teachers Depending on Age Variable

One way analysis of variance was employed to determine differences between job satisfaction of teachers and their ages and chart 3 indicates the obtained results.

Chart 3. One way analysis of variance that was conducted to test score averages of job satisfaction of teachers depending on their ages

Chart 3:						
	N	Age	Average	SS	F	p
Pay satisfaction	38	24-30	3.76	1.22		
	42	31-39	3.11	1.1	1.33	0.15
	10	40-49	3.35	1.21		
	10	50-59	3.43	1.32		
	100		3.56	1.12		
Promotion satisfaction	38	24-30	3.66	1.20		
	42	31-39	2.10	1.12	1.16	0.17
	10	40-49	3.35	1.26		
	10	50-59	3.43	1.33		
	100		3.56	1.10		
Supervision Satisfaction	38	24-30	3.76	1.32		
	42	31-39	3.11	1.20	2.2	0.19
	10	40-49	3.35	1.31		
	10	50-59	3.43	1.42		
	100		3.56	1.25		
Fringe benefits satisfaction	38	24-30	3.45	1.32		
	42	31-39	3.33	1.16	0.66	0.20
	10	40-49	3.25	1.28		
	10	50-59	3.47	1.32		
	100		3.46	0.12		
Contingent rewarding satisfaction	38	24-30	3.36	1.55		
	42	31-39	3.21	0.10	1.3	0.45
	10	40-49	3.38	0.27		
	10	50-59	3.33	0.30		
	100		3.22	0.72		
Coworkers	38	24-30	3.16	0.20		
	42	31-39	3.61	0.18	1.4	0.54
	10	40-49	3.31	0.31		
	10	50-59	3.33	1.22		
	100		3.46	0.19		
Nature of worksatisfaction	38	24-30	3.41	0.29		
	42	31-39	3.22	0.45	0.70	0.24
	10	40-49	4.35	0.41		
	10	50-59	4.46	0.82		
	100		4.56	0.92		
Communication structure	38	24-30	4.70	0.27		
	42	31-39	4.10	0.19	1.56	0.39
	10	40-49	3.36	0.71		
	10	50-59	4.13	1.35		
	100		4.56	1.19		

Total job satisfaction	38	24-30	3.26	1.41		
	42	31-39	3.54	1.17	2.1	0.48
	10	40-49	3.25	0.28		
	10	50-59	3.33	0.32		
	100		3.49	0.18		

Chart 3 indicates that one way analysis of variance that was conducted to test score averages of job satisfaction of teachers depending on their ages has no statistically significant difference (p>0,05). There are no significant differences between their ages and pay satisfaction, promotion satisfaction, supervision satisfaction, fringe benefits satisfaction, rewarding satisfaction, operating conditions satisfaction, coworker satisfaction, nature of work satisfaction, communication satisfaction and total job satisfaction.

Findings and Remarks Regarding Differences in Job Satisfaction Levels of Teachers Depending on Marital Status Variable

This study employed t-test to determine differences between job satisfaction levels of teachers and their marital status and chart 4 demonstrates the obtained results.

Chart 4. Standard deviations and t- test scores of job satisfaction levels of teachers depending on their marital status

Chart 4:						
	N	Gender	Average	S.D	T	P
Pay satisfaction	72	Married	3.06	1.21	0.46	0.56
	20	Single	3.30	1.3		
Promotion satisfaction	72	Married	3.24	1.22	0.56	0.56
	20	Single	3.10	1.11		
Supervision satisfaction	72	Married	3.26	1.12	0.51	0.56
	20	Single	3.50	1.26		
Fringe benefits satisfaction	72	Married	3.56	1.18	0.36	0.56
	20	Single	3.20	1.16		
Reward satisfaction	72	Married	3.66	1.15	0.48	0.56
	20	Single	3.67	1.26		
Coworkers satisfaction	72	Married	3.16	1.32	0.67	0.44
	20	Single	3.23	1.36		
Nature of work satisfac.	72	Married	3.66	1.13	0.45	0.56
	20	Single	3.80	1.21		
Communication satisf.	72	Married	4.16	0.92	2.46	0.02**
	20	Single	3.60	1.11		
Total job Satisfaction	72	Married	3.36	1.22	0.41	0.56
	20	Single	3.50	1.41		
**p<0,05						

Chart 4 indicates that independent group t –test that was conducted to test score averages of communication satisfaction of teachers depending on their marital status has a statistically significant difference (p<0,05). It is likely to state that the data shows that married teachers have higher levels of communication satisfaction than single teachers. The independent t-test that was used to test score averages of pay satisfaction, promotion satisfaction, supervision satisfaction, fringe benefits satisfaction, rewarding satisfaction, nature of work satisfaction, coworker satisfaction, operating satisfaction, total job satisfaction depending on gender variable has a statistically insignificant difference(p>0,05).

Conclusion and Discussion

The main purpose of this study is to analyze job satisfaction levels of private school teachers in terms of a number of variables.

Analysis results show that the highest levels of job satisfaction of teachers belong to coworker satisfaction scale while their lowest levels belong to fringe benefits scale.

Score averages of communication satisfaction depending genders of teachers have a statistically significant difference. Available data indicates that male teacher possibly have higher levels of communication satisfaction than female teachers.

Score averages of job satisfaction of teachers depending on their ages show no statistically significant difference (p>0,05). There are no significant differences between their ages and pay

satisfaction, promotion satisfaction, supervision satisfaction, fringe benefits satisfaction, rewarding satisfaction, operating conditions satisfaction, coworker satisfaction, nature of work satisfaction, communication satisfaction and total job satisfaction.

Score averages of communication satisfaction of teachers depending on their marital status show a statistically significant difference ($p<0,05$). It is likely to state that the data shows that married teachers possibly have higher levels of communication satisfaction than single teachers.

References

1. Çakır, Ö.(2012). Öğrenilmiş Güçlük ve Çalışma Yaşamı. Keser,A., Yılmaz,G., Yürür,S. (Editörler). Çalışma Yaşamında Davranış, Güncel Yaklaşımlar(167-187) İzmit: Umuttepe Yayınları
2. Çokluk, Ö., (2003). Örgütlerde Tükenmişlik. Elma, C. Ve Demir ,K. (Editörler).Yönetimde Çağdaş Yaklaşımlar(109-133). Ank: Anı Yayıncılık.
3. Şahin, İ.,(2013). Öğretmenlerin İş Doyumu Düzeyleri, YYÜ Eğitim Fakültesi Dergisi. X(:I) 142-167
4. Yelboğa, A.,(2007, Aralık). Bireysel Demografik Değişkenlerin İş Doyumu ile İlişkisinin Finans Sektöründe İncelenmesi. Sosyal Bilimler Dergisi, 4(2)
5. Umay, G.(2015) Psikolojik Danışman ve Rehberlik öğretmenlerinin iş doyumu ve tükenmişlik düzeylerinin ilişkisi, Yüksek lisans tezi. İstanbul.

ფერით აქთაშ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

კერძო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების შრომითი კმაყოფილება

რეზიუმე

მოცემულ კვლევაში გამოყენებულია აღწერილობითი მეთოდი რომ იკვლევს კერძო სკოლის მასწავლებლების კმაყოფილებას სამუშაოთი. კვლევაში მონაწილეობდა 100 მასწავლებელი (50% კაცი და 50% ქალი). ამ კვლევის მიზანი იყო შეგვედარებინა და გაგვეანალიზებინა შემდეგი ფაქტორები: შრომითი კმაყოფილება, სქესი, ოჯახური მდგომარეობა და ასაკი.

Ferit AKTAŞ

Iakob Gogebashvili Telavi State University

Job Satisfaction of Private School Teachers

Abstract

This study employed a descriptive method for private school teachers with the aim of determining their job satisfaction. The study sample consisted of 100 teachers (50 % male and 50% female). The aim of this study is to comparatively analyze the relationship between job satisfaction, gender, marital status and age.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელი, შრომითი კმაყოფილება, კერძო სკოლა

Key words: Teacher, job satisfaction, private school

იბრაჰიმ ქოსე
შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა ლიცეუმი

საზღვარგარეთ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პედაგოგთა გადაღლილობის საფეხურები

შესავალი

პედაგოგობა ყველა პროფესიის მსგავსად მნიშვნელოვნად საინტერესოა. უდაოდ ცხადია, რომ პედაგოგის როლი საზოგადოებაში ყოველთვის გამორჩეულია. პედაგოგის პროფესია ნებისყოფას, იდეალიზმს, სიყვარულს მოითხოვს. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოღვაწე პედაგოგებს ერთი საერთო პრობლემა აერთიანებთ. ამ პრობლემის მოგვარება კი როგორც ხელმძღვანელობის, ასევე ხალხის თანადგომითა და სიყვარულით არის შესაძლებელი.

პედაგოგი ნებისმიერი პრობლემის არსებობის შემთხვევაშიც კი ბოლომდე არ ამჟღავნებს. ადამიანის ცხოვრების წარმატებულად წარმართვისათვის აუცილებელი ფაქტორი არის თავდაჯერებულობისა და ცხოვრებისაგან თვითკმაყოფილების შეგრძნების უნარი (Şahin, 2013:144). ცხოვრებისეულ სტრესს შეუძლია პედაგოგის განადგურებაც. იმ შემთვევაში თუ, მოსწავლის წარმატებისათვის გაწეულ შრომას წინსვლა არ მოჰყვება, პედაგოგი პროფესიისაგან ნაკლებად კმაყოფილი რჩება და შესაბამისად პროფესისგანაც ნაკლებ სიამოვნებას ღებულობს.

სხვა პროფესიებთან შედარებისას პედაგოგიკა დამქანცველ პროფესიად გვევლინება. თუმცა ადამიანებისათვის ნებისმიერი პროფესია გამანადგურებელია. ამ თვალსაზრისით პედაგოგიკის სხვა პროფესიებთან შედარებისას გადაღლილობა უფრო მეტად შეინიშნება. გადაღლილობა ექთნებში, პედაგოგებში, პოლიციელებსა და ხელმძღვანელებში შეინიშნება. (Çokluk, 2003: 110).

პედაგოგის მიერ დასახული მიზნის განსახორციელებლად სტრესისაგან თავის დაღწევა მეტად მნიშვნელოვანია. ძირითადი მიზანი პედაგოგთა გადაღლილობის თვალსაზრისით არსებული მსგავსება-განსხვავების გამოვლენაა.

მეთოდი

სტატისტიკა

კვლევა მოიცავს 60 (%30) ქალსა და 140 (%70) კაცს, რომლებიც არიან სხვადასხვა დარგში მოღვაწე პედაგოგები, მათი რიცხვი კი სულ 200-მდეა. სტატისტიკის ჯგუფში დაახლოებით 40-ის (%20) საშუალო ასაკი 21-30 წლამდეა, 120-ის (%60) ასაკი 31-40 წლამდე, დარჩენილი 40-ის კი (%20) 41 წელი და ზემოთაა. პედაგოგთა 180 (%90) დაოჯახებული, 20 (%10) კი დასაოჯახებელია. კვლევაში აღწერილობითი მეთოდი იქნა გამოყენებული. 2015-2016 წლებში არსებულ კვლევაში, საქართველოში კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პედაგოგებზე დაკვირვებით სტატისტისტიკა დადგინდა.

მონაცემთა მოპოვების გზები

მონაცემთა მოპოვების გზები, ინდივიდუალურ მონაცემთა ანკეტასა და „მასლაქის“ სქემაში არსებული გადაღლილობის მატერიალს მოიცავს. მონაცემთა ანკეტა პედაგოგთა ინდივიდუალური მონაცემების მოსაპოვებლად იქნა დამზადებული. მონაცემების ანკეტა მოიცავს: ასაკის, სქესისა და ოჯახური მდგომარეობის გრაფებს. მასლაქის გადაღლილობის სქემა (Maslach Burnout Inventory) კი (MTE) მასლაქისა და

ჯექსონის მიერ 1981 წელს იქნა გაუმჯობესებული. აღწერაში არსებული 22-ე მუხლი, გადაღლილობის კვლევის საფუძველზე ემოციურ გადაღლილობას (Emotional Exhausation), გულგრილობასა (Depersonalization) და ინდივიდუალური წარმატების (Personal Accomplishment) ფარგლებში ინფორმაციის მიწოდების მიზნით შემუშავდა. ემოციური გადაღლილობის ფარგლებში (1, მე-2, მე-3, მე-6, მე-8, მე-13, მე-14, მე-16, მე-20 მუხლები) სულ 9 მუხლი, გულგრილობასთან დაკავშირებით (მე-5, მე-10, მე-11, მე-15, 22-ე მუხლები) სულ 5 მუხლი, ინდივიდუალური წარმატების ფარგელბში კი (მე-4, მე-7, მე-9, მე-12 მე-18, მე-19, 21-ე მუხლებს) სულ 8 მუხლს მოიცავს. კვლევაში გამოყენებულია მასლაქის კვლევაში გამოყენებული მასლაქის გადაღლილობის სქემა (MTE), ჩამის მიერ თურქულ ენაზე დამუშავებული და ასევე მის მიერ MTE-ის საიმედო კვლევა იქნა ჩატარებული. ჩამის საიმედო კვლევა ექთნებზე დაყრდნობითაა შექმნილი, და ამ მეთოდის გამოყენებით, კუდერ რიჩარდსონმა, 20 ფორმულისა და განაწილების მეთოდის გამოყენებით ჩამოაყალიბა ტექნიკა. აქედან გამომდინარე, კუდერ რიჩრდსონის 20 ფორმულის მიხედვით კოეფიციენტები შემდეგნაირადაა: ემოციური გადაღლილობის ეტაპები 0.89 გულგრილობა 0.71 ინდივიდუალური წარმატება 0.72.(69 ჯანანერგინი, „ექიმებსა და ექთნებს შორის არსებული გადაღლილობისა და მასლაქის მიერ გადაღლილობასთან ადაპტირების ზომები“ VII. ეროვნული ფსიქოლოგთა კონგრესის მეცნიერული კვლევები. (რედატორები: რუვეიდა ბაირაქთარ, ილჰანდაღი, VII. ეროვნული ფსიქოლოგიური კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტისა და თურქ ფსიქოლოგთა ასოციაციის გამომცემლობა, ანკარა, 1993; გვ. 143-154).

ინდივიდუალური მონაცემების ანკეტა

ინდივიდუალური მონაცემების ანკეტა მკვლევართა მიერ გაუმჯობესებულია. ანკეტაშია მითითებულია სქესის, ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ 3 კითხვა.

მონაცემთა პროცედურა და ანალიზი

კვლევითი ნიმუში ინდივიდთა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პედაგოგებს მოიცავს. აღნიშნულ კვლევაში სურვილის მიხედვითპედაგოგებზე ჩატარებული იქნა მონაცემთა მასშტაბების გამოკვლევა. აღწერითი ხასიათის ჯგუფებში პიროვნებათა დემოგრაფიული მახასიათებლები (საშუალო და სტანდარტული ფორმებით) ვლინდება. კვლევაში მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, კომპიუტერის დახმარებით „SPSS“-ის პროგრამული პაკეტის გამოყენებით იქნა გარკვეული.

გადაღლილობის საფეხურებს შორის მსგავსება-განსხვავების დასადგენად ორი ჯგუფისაგან შემდგარი „t-ტესტი“, ჯგუფის რაოდენობის 2-ზე მეტის შემთხვევაში კი ერთ მიმართულებიანი ანალიზის ვერსია (one-way) იქნა გამოყენებული. მნიშვნელოვანი ზღვარი კი 0.05 იქნა მიჩნეული.

კვლევითი ანალიზის შედეგები

კვლევის ნიმუშად პედაგოგის გადაღლილობის ზღვარი იქნა დადგენილი. ანალიზიდან დადგენილი საბოლოო მონაცემები მე-5 ცხრილშია ნაჩვენები:

ცხრილი 5. ემოციური გადაღლილობის სტანდარტული კვლევა

ეტაპები	N	%
დაბალი	80	40
საშუალო	86	43
მაღალი	34	17
სულ	200	100

ცხრილი 1-ის მიხედვით, პედაგოგთა მიერ თავიანთი ემოციური გადაღლილობის მიხედვით პროცენტულად გამოთვლილი მაჩვენებელის სქემა იქნა შემუშავებული. ცხრილში მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, 100 % ნორმალური ქმედების შედეგად ემოციური გადაღლილობა პედაგოგებში განისაზღვრა 40% ის მაგალითზე დაბალი მაჩვენებლით, 43% ში აღინიშნა საშუალო დონე, ხოლო 17% თან კი მაღალი დონის დაღლილობა იქნა ნაჩვენები. პედაგოგის პროფესია ითვალისწინებს ზედმეტი ყურადღების გამოვლენას, რის საფუძველზეც შეიძლება ის დასახელდეს გამანადგურებელ პროფესიად. ზოგადად, მშობლებიც პედაგოგებთან მიმართებით ბევრის მოლოდინში არიან. ბავშვის განათლების საკითხში წარუმატებლობაც პედაგოგს ბრალდება. ამ შემთხვევაში დასკვნის გაკეთება მათი კომენტარებიდანაა შესაძლებელი. პედაგოგთა საშუალო პროცენტულ მაჩვენებელში აღნიშნული დაღლილობაც შესაძლოა აქედან გამომდინარეობდეს.

ცხრილი 6. გულგრილობის ზომების სტანდარტული კვლევა

ეტაპები	სტანდარტი	%
დაბალი	124	62
საშუალო	56	28
მაღალი	20	10
სულ	200	100

მე-6 ცხრილში პედაგოგთა 60% მა დაბალი მაჩვენებელი, 28 % საშუალოდა 10 % კი მაღალი მაჩვენებლით "გულგრილობის" ზომებში აღნიშნული გადაღლილობა გამოვლინდა.

ცხრილი 7. პედაგოგთა ინდივიდუალური მონაცემების წარმატების ზღვარის დასადგენად სტანდარტული კვლევა

საფეხურები	სტანდარტი	%
დაბალი	124	62
საშუალო	56	28
მაღალი	20	10
სულ	200	100

მე-7 ცხრილის მიხედვით, პედაგოგთა ინდივიდუალურ მონაცემებში წარმატების ზღვარი 62 % - ზე დაბალ საფეხურზე დაფიქსირდა. 28 % -თან საშუალო შედეგი, 10 % კი მაღალი მაჩვენებლით იქნა წარდგენილი.

ცხრილი 8. პედაგოგებში ასაკის მიხედვით გადალილობასთან დაკავშირებული ანალიზის სავარაუდო შედეგები გამოვლინდა:

საფეხურები	**სავარაუდო დასაბამი**	**კომბინაცია სულ**	**SD**	**კომბინაციის საშუალო მაჩვენებელი**	**F**	**დასკვნა**
ემოციური გადაღლილობა	ჯგუფებშორის	0.35	2	0.17		
	ჯგუფები	102.8	198	0.50	0.36	P>0.05
	სულ	101.5	200			
გულგრილობა	ჯგუფებშორის	0.16	2	0.06		
	ჯგუფები	89.78	198	0.053	0.17	P>0.05
	სულ	89.83	200			
ინდივიდუალური წარმატება	ჯგუფებშორის	0.78	2	0.43		
	ჯგუფები	49.3	198	0.23	1.52	P>0.05
	სულ	50.18	200			

მე-8 ცხრილის მიხედვით, 3 ქვედა განზომილებიანი კვლევის საფუძველზე პედაგოგთა გადაღლილობასთან დაკავშირებით მკვეთრი განსხვავება შეინიშნება.

ცხრილი 9. პედაგოგებში გადაღლილობის საფეხურების დადგენა ასაკის მიხედვით, განსხვავებებთან დაკავშირებული შედეგები და კომენტარები.

საფეხურები	სქესი	ნორმა	საშუალო	სტანდარტული ცვლილება	დასკვნა
ემოციური გადაღლილობა	მდედრობითი	60	1.58	0.66	t:0.53 P>0.05 SD:200
	მამრობითი	140	1.55	0.73	
გულგრილობა	მდედრობითი	60	0.64	0.56	t:2.03 P<0.05 SD:200
	მამრობითი	140	0.80	0.70	
ინდივიდუალური წარმატება	მდედრობითი	60	1.22	0.42	t:0.55 P>0.05 SD:200
	მამრობითი	140	1.18	0.48	

მე-9 ცხრილში ემოციურ გადაღლილობასა და ინდივიდუალურ წარმატებას შორის მითითებულ ქვეგანზომილებებში სქესობრივად დაკვირვებაზე დაყრდნობით მკვეთრი ცვლილება არ შეინიშნა. ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ სქესობრივ მონაცემებს დიდი გავლენა არ აქვს ამ პრობლემასთან. თუმცა, გულგრილობასთან დაკავშირებულ განზომილებებსა და სქესობრივად განცალკევებებს შორის კი საკმაო განსხვავება აღინიშნება. მდედრობითი სქესის პედაგოგებში უფრო მცირე გადაღლილობა კი აიხსნება იმით, რომ ისინი მოსწავლეებთან უფრო მეტად მომთმენნი არიან და მათთან მიმართებით უფრო მეტად ოპტიმისტურად არიანგანწყობილნი.

ცხრილი 10. პედაგოგთა გადაღლილობის საფეხურების დადგენა ოჯახური მდგომარეობის საფუძველზე

საფეხურები	ოჯახური მდგომარეობა	ნორმა	საშუალო	სტანდარტული ცვლილება	დასკვნა
ემოციური გადაღლილობა	დაოჯახებული	180	1.56	0.65	t:0.83 P>0.05 SD:200
	დასაოჯახებელი	20	1.52	0.72	
გულგრილობა	დაოჯახებული	180	0.74	0.55	t:0.63 P<0.05 SD:200
	დასაოჯახებელი	20	0.80	0.71	
ინდივიდუალური წარმატება	დაოჯახებული	180	1.26	0.46	t:1.00 P>0.05 SD:200
	დასაოჯახებელი	20	**1.11**	**0.44**	

მე-10 ცხრილში 3 ქვეგანზომილებიდან ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მკვეთრი ცვლილება არ შეინიშნება. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ, პედაგოგებში გადაღლილობისათვის გადამწყვეტი ოჯახური მდგომარეობა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია. გარდა ამისა, დაოჯახებულ პედაგოგთა უმრავლესობა დასაოჯახებელთან შედარებით გადაღლილობას უფრო მეტად უჩივის.

დასკვნა და კომენტარები

ამ კვლევის ძირითადი მიზეზი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოჭვაწე პედაგოგთა გადაღლილობის ფაქტორების დადგენა და ამ კუთხით კვლევაა;

მონაცემებზე დაყრდნობით მკვეთრი ცვლილება ემოციურ დაღლილობასა და ინდივიდუალური წარმატების მქონე პირებს შორის სხვადასხვა განზომილებების საფუძველზე და არც მათ სქესზე არ აისახა განსხვავევა. ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ სქესობრივ ფაქტორსაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს ამ საკითხში.

ოჯახური მდგომარეობის განზომილებებიდან გამომდინარე, არც აქ დაფიქსირებულა მკვეთრი განსხვავება. ოჯახურ მდგომარეობასაც ნაკლებად

გადამწყვეტი როლი გააჩნია. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, დაოჯახებულ პედაგოგთა უმრავლესობა დასაოჯახებელთან შედარებით გადაღლილობას უფრო მეტად უჩივის.

გადაღლილობის ამ სამი განზომილებებიდა ყველაზე მეტად, ასაკის ფაქტორს აღენიშნა მკვეთრი განსხვავება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Çokluk, Ö., (2003). Örgütlerde Tükenmişlik. Elma, C. VeDemir ,K. (Editörler).Yönetimde Çağdaş Yaklaşımlar(109-133). Ank: Anı Yayıncılık.
2. Ergin, Canan (1993). "Doktorve Hemşirelerde Tükenmişlikve Maslach Tükenmişlik Ölçeğinin Uyarlanması". Ankara: VII. Ulusal Psikoloji Kongresi Bilimsel Çalışmaları. (Editörler: Rüveyda Bayraktar, İlhan Dağ). VII. Ulusal Psikoloji Kongresi Düzenleme Kuruluve Türk Psikologlar Derneği Yayınları
3. Şahin,İ.,(2013). Öğretmenlerin İşDoyumu Düzeyleri, YYÜ Eğitim Fakültesi Dergisi. X(:I) 142-167

Ibrahim Kose
Shota Rustaveli School Lyceum

Fatigue Levels of Teachers Working in Private Educational Institutions Abroad

Abstract

This article deals with teachers' reduction level in the private educational institutions abroad. The study involved teachers 50% of men, 50% - women. The research considers the levels of fatigue, gender, marital status and age for comparison.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგი, გადაღლილობის საფეხურები.
Keywords: Teacher, the levels of fatigue

მანანა ღარიბაშვილი, ნანა პაპუნაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ღელვა, როგორც ემოციური ფაქტორი უცხო ენის შესწავლისა და შეფასების პროცესში

საქართველოში ბოლო დროს შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ცხადყო ბილინგვილიზმის და მულტილინგვიზმის აუცილებლობა.

ორი ან მეტი ენის ცოდნა გახდა წინაპირობა სრულფასოვანი განათლების მიღების, კომუნიკაციის თუ სოციალიზაციის. ყველაზე მთვარი: დღეს უკვე ორენოვნება მოიაზრება ერთ-ერთ მტკიცე გარანტად კარიერული წინსვლისთვის (შუბითიძე, 2012). შესაბამისად, გაიზარდა მოთხოვნილებები საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ, რომლის მთავარ ამოცანად იქცა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის უცხო ენის შესაბამისი ცოდნის ამაღლება.

უცხო ენის სწავლება ხანგრძლივი და რთული პროცესია. იგი ემსახურება შესაბამისი რეცეპტული თუ პროდუქტიული უნარების განვითარებას, რომლის თანმდევი მექანიზმია - შემოწმება/ შეფასება.

შეიძლება გამოვყოთ უცხო ენის შეფასების შემდეგი ფორმები:

- ზეპირი გამოკითხვა (დისკუსია - ჯგუფური თუ ინდივიდუალური);
- პრეზენტაცია;
- საქაღლდე (ე.წ. „პორთფოლიო“);
- წერითი გამოკითხვა;
- ელექტრონული ტესტირება.

თავის მხრივ შეფასება უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის პრინციპებს:

- ენის შემსწავლელთა ასაკობრივი განვითარების თვისებურებების გათვალისწინება;
- ენის შემსწავლელთა შესაძლებლობებისა და განვითარების ტემპის გათვალისწინება;
- ობიექტურობის დაცვა წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე;
- შეფასების შედეგების სანდოობის უზრუნველყოფა;
- შეფასების სიზუსტის (ვალიდობის) უზრუნველყოფა;
- ღიაობა და გამჭვირვალეობა;
- იყოს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი წაყენებული მოთხოვნების თანხვედრი (შუბითიძე, 2012).

უცხო ენის სწავლების პროცესის შეფასება თავისთავად უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ მიზნებს, როგორცაა:

- ცალკეული ენის შემსწავლელის თუ ენის შემსწავლელითა ჯგუფის განვითრების დაკვირება;
- ენის სწავლების პროცესის შესწავლა და შედეგების გამოკვეთა;
- ენის შემსწავლელთა სწავლის პროცესის მოთხოვნილებების და საჭიროებების დადგენა და შესაბამისი ხელშემწყობი გარემოს შექმნა;
- ენის საწვლების პროცესის დახვეწა მათი შესაბამისი სრულყოფა;
- ენის სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება/სტიმულირება ენის შემსწავლელებში.

რა თქმა უნდა უცხო ენის ცოდნის შეფასებისას გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღოს უცხო ენის პედაგოგმა. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორად ენის შემსწავლელის შფოთვა გვევლინება. იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გრძნობა/ემოციური რეაქცია, რომელიც ჩნდება ერთის მხრივ უცხო ენის სწავლების და, მეორეს მხრივ, უცხო ენის გამოყენების პროცესში. ღელვა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ჭარბი მღელვარება, რაც საზიანო გავლენას ახდენს როგორც სასწავლო პროცესზე, ასევე შესწავლილი მასალის შეფასებისას. ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს. თუმცა საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ყველა მათგანი ამ კონკრეტულ ფსიქოლოგიურ ასპექტს უარყოფითი კუთხით განიხილავენ, რომელსაც უამრავი გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორი განაპირობებს.

სქეჰენი (Skehan, 1989) გამოყოფს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: პიროვნული ინტელექტი, მოტივაცია, სწავლისადმი დამოკიდებულება, ასაკი, სქესი, ღელვა და სხვა ფაქტორები. იგივე მოსაზრება აქვს ვუს (Wu, 2010), რომლის მიხედვითაც, უცხო ენის დაუფლება შესაძლებელია ბუნებრივი გზით, თუმცა უცხო ენის დაუფლების პროცესში არაერთი სირთულე წარმოიქმნება. ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას, ენის შემსწაველელების მხრიდან, სწორედ აფექტის ფაქტორი ანუ ღელვა წარმოადგენს. შესაბამისად, ღელვა უდიდეს როლს თამაშობს უცხო ენის დაუფლების პროცესში.

ფსიქოლოგიაში არსებობს ღელვის ზოგადი განმარტება, რომლის მიხედვითაც „ის არის შიშის მდგომარეობა, რომელიც არაპირდაპირი გზით უკავშრდება რაიმე საგანს ან მოვლენასთან“ (Scovel, 1991, p.125).

მეცნიერების მიერ დადგენილია სხვადასხვა ტიპის ღელვა:

1) სომატური - რომელიც მიმართულია იმისკენ, თუ რას განიცდის მოსწავლე;
2) კოგნიტური - რომელიც იმაზე მიანიშნებს, თუ რას ფიქრობს მოსწავლე. http://www.unm.edu/adurakie/unm_template/common/docs/TEST%20ANXIETY.pdf

ვულფი (Wolfe, 2005) ასევე ეთანხმება მოსაზრებას, რომ ღელვა ის მოჭარბებული და გაუკონტროლებადი განცდაა, რომელსაც შემსწავლელი განიცდის სასწავლო პროცესის დროს გარკვეული აქტივობების პროცესში. მსგავს სიტუაციებში მოსწავეებს მიაჩნიათ, რომ მათ არ ჰყოფნით სათანადო უნარი წარმატებით გაუმკლავდნენ კონკრეტულ სიტუაციას აკადემიურ გარემოში.

ზოგ ადამიანს გაცილებით დიდი ღელვა ეუფლება ისეთი მოვლენებისა თუ საგნების მიმართ, რაც ნამდვილად არ საჭიროებს ასეთ მოჭარბებულ ემოციურ განწყობას. ზოგადად, ღელვა ნორმალური რეაქციაა სტრესულ გარემოში (Connolly, Simpson, & Petty, 2006).

ღელვის მიზეზი, შესაძლებელია, ბოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით იყოს გამოწვეული. აკადემიური სიტუაციაში ღელვა, გარკვეულწილად, უკავშირდება

ემოციური აშლილობას (Smith, 2009). მიზეზებისა თუ ტიპის მიუხედავად, ღელვა შესაძლებელია გაკონტროლდეს. ამისათვის საჭიროა, რომ პედაგოგები აღჭირვილნი იყვნენ სათანადო სტრატეგიებითა თუ მეთოდებით, როგორიცაა შესაბამისი მაგალითებით გაჯერებული სწორი და ნათელი დირექტივა/ინსტრუქტაჟი უცხო ენის გაკვეთილებზე. ამგვარად, ღელვა დაძლევადია.

მიუხედავად იმისა, რომ ღელვა სასწავლო პროცესში, თანამედროვე ეპოქაში, სრულიად დაძლევადია, სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც იკვეთება მითები მის გარშემო:

1) მოსწავლეებს თანდაყოლილი ღელვა გააჩნიათ ტესტების/ გამოცდების მიმართ;
2) საგამოცდო ღელვა მენტალური დაავადებაა;
3) შეუძლებელია საგამოცდო ღელვის შემცირება;
4) გამოცდისათვის მოუმზადებელ ყველა მოსწავლეს თანაბრად ეუფლება გამოცდისადმი/ტესტირებისადმი ღელვა;
5) მოსწავლეებს, რომელთაც საგამცოდო/ტესტირების მიმართ ღელვა გააჩნიათ, ვერ ეუფლებიან მათემატიკას;
6) გამოცდისათვის/ტესტირებისათვის კარაგდ მოზმადებულ მოსწავლეს არასდროს ეუფლება ღელვა;
7) საგაკვეთილო პროცესზე პერმანენტული დასწრება და საშინაო დავალების ზედმიწევნით შესრულება ამცირებს გამოცდისადმი/ტესტირებისადმი ღელვას;
8) ღელვისადმი ყურადღების არმიქცევა ავტომატურად აქრობს ღელვის განცდას მოსწავლეებში;
9) ღელვის შემცირება უკეთესი აკადემიური მოსწრების გარანტიაა.

http://www.unm.edu/adurakie/unm_template/common/docs/TEST%20ANXIETY.pdf

ანალოგიურად შეიძლება უცხო ენის შემსწავლელების მხრიდან ღელვის გაკონტროლება და მისი ხარისხის მნიშვნელოვნად შემცირება ტესტირებისა თუ სხვა საგამოცდო სიტუაციებში, თუ პედაგოგების მხრიდან გაკეთებული იქნება ნათელი და სწორხაზოვანი ახსნა-განმარტებები შესასრულებელი დავალებების გარშემო.

მეცნიერები განასხვავებენ ღელვის ორ სახეს: ე.წ. ხასიათორბივი ღელვა, ანუ ხასიათიდან გამომდინარე ღელვა (trait anxiety) და მდგომარეობითი ღელვა (state anxiety), რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინაეობს. ხასიათიდან გამომდინარე ღელვა უფრო მუდმივი ემოციაა, რომელიც ინდივიდს ხანგრძლივი დროის მანძილზე ეუფლება სხვადასხვა სიტაუციებიდან გამომდინარე. მაშინ როდესაც, მდგომარეობითი ღელვა უფორ ხანმოკლეა და სიტუაციური http://abs.kafkas.edu.tr/upload/19/Assiye_Burgucu.pdf. სწორედ სიტუაციური ღელვაა ყველაზე ხშირი ემოციური განწყობა, რომელიც უცხო ენის შემსწავლელს შეიძლება დაეუფლოს ნებისმიერ მომენტში, განსაკუთრებით კი საგამოცდო/ტესტირების პროცესში.

არაერთი მკვლევარი (ბლაუ, ბრაუნი, ელიზი, ჰორვითსი, კოუპი, სკოუველი, სპაილბერგერი) თუ მეცნიერი შეხებია საგაკვეთილო თუ საგამოცდო პროცესში წამოჭრილი ღელვის საკითხს http://abs.kafkas.edu.tr/upload/19/Assiye_Burgucu.pdf. მათ მრავალი საინტერესო და მეტად საყურადღებო კვლევა განახორციელეს და შესაბამისი მოსაზრებები ჩამოაყალიბეს ამ საკითხების გარშემო. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ბრაუნი (Brown, 2000), რომელიც უცხო ენის პროცესში დაუფლებულ ღელვას სამ კომპონენტად ყოფს:

1) კომუნიკაციის შიში, რომელიც ენის შემსწავლელს ეუფლება საკუთარი ნააზრევის სწორად და გამართულად გადმოცემის პროცესში;
2) უარყოფითი სოციალური შეფასების შიში, რომელიც წარმოიშვება ენის შემსწავლელის მხრიდან საზოგადოებაში დადებითი შთაბეჭდილებს/იმიჯის შექმნის მიზნით;
3) ტესტირების/საგამოცდო ღელვა, რომელიც უეფლება უცხო ენის შემსწავლელს აკადემიური შეფასების პროცესში.

ტესტირების/საგამოცდო ღელვა ცალკე ფორმას თუ კატეგორიას წარმოადგენს ღელვის, როგორც ემოციის ზოგადი მცნების გამიჯვნისას (Burg, Cizek, 2005).

ღელვა ის ბუნებრივი ემოციაა, რომელიც შეიძლება დაეუფლოს ნებისმიერ ინდივიდს ენის დაუდლების პროცესში. იგი განსაკუთრებით იზრდება ასაკის მომატებისთანავე, რადგან, პარალელურად, იზრდება ისეთი შინაგანი პრინციპები, როგორიცაა თვითშეფასებისა და თვითკრიტიკის უკიდურესად მაღალი დონე, საზოგადოებაში დამკვიდრების სურვილი და ლტოლვა... ღელვა შეიძება უცხო ენის შემსწავლელს დაეუფლოს როგორც, უშუალოდ, სწავლების პროცესში, აგრეთვე ტეტსირებისას/გამოცდის ჩაბარებისას.

არანაკლებ საინტერესოა იმ გარემოებების გაანალიზება, თუ რატომ ტოვებს მოსწავლე საგამოცდო აუდიტორიას დროზე ადრე საგამოცდო ნაწერის გადახედვის გარეშე. სპეციალისტები აქ ორ გარემოებას გამოყოფენ: 1) მათი ღელვის კოეფიციენტი ისეთ პიკს აღწევს, რომ მათ აღარაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ დატოვონ საგამოცდო აუდიტორია; 2) მათ უბრალოდ არ სურთ აღმოჩნდნენ გამოცდაზე ბოლო პოზიციაზე.
http://www.unm.edu/~adurakie/unm_template/common/docs/TEST%20ANXIETY.pdf

ჩვენს მიერ კითხვარის სახით ჩატარებული მცირედი კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა საინტერესო გარემოებები:

ა) ღელვის მომენტი მნიშვნელოვნად იზრდება უცხო ენაზე საუბრისა და წერის დროს;
ბ) ღელვის კოეფიციენტი განსაკუთრებით მაღალია საგამოცდო/ტესტირების პერიოდში;
გ) ღელვის მომენტი მნიშვნელოვნად იზრდება საგამოცდო საკითხების/ტესტირების შესრულებაზე დროის ათვლისას.

აღნიშნული გარემოებების გაშიფვრის ფონზე, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ღელვის კოეფიციენტი გაცილებით მაღალია ენის პროდუქტული უნარების (საუბარი,წერა) შესრულების მომენტში, ვინაიდან, ზეპირი თუ წერითი მეტყველებისას უცხო ენის შემსწავლელი ახდენს გონების მაქსიმალურ კონცენტრაციას, აზრების ორგანიზებას მეტყველების (როგორც წერითი, ასევე ზეპირი) სწორად და თანმიმდევრულად ფორმულირების მიზნით. ეს კი ყურადღების დაძაბვას მოითხოვს ენის შემსწავლელის მხრიდან, რასაც, ბუნებრივია, თან სდევს ღელვა.

არანაკლები სიმწვავით გამოიკვეთება ღელვის კოეფიციენტი უცხო ენის გამოცდის/ტესტირების პროცესში. ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, რესპოდენტთა უმრავლესობა მიანიშნებს დროის ათვლის დაწესების ფაქტორს გამოცდაზე. ეს ფაქტორი უშლის ენის შემსწავლელს კონცენტრაციასა და აზრების ორგანიზებაში, რაც თავისთავად ასახვას ჰპოვებს გამოცდის/ტესტირების შედეგებზე.

ამგავრად, შეიძლება ითქვას, რომ ღელვა სასწავლო პროცესის თანმდევი ემოციაა უცხო ენის დასწავლის პროცესში რაც დროტა განმავლობაში შეიძლება შემცირდეს პედაგოგის მხრიდან სწორი სასწავლო სტრატეგიებისა ტუ მეთოდების გამოყენების წყალობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბუნია, კ., ინასარიძე, მ., წერეთელი, მ. (2011). ენის შეფასება და ტესტირება. გამოცმცემლობა „საიმედო". თბილისი
2. შუბითიძე, ი. (2012). ასაკობრივი თავისებურებები მეორე უცხო ენის სწავლებისას. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. პერიოდიკა
3. Brown, H. D. (2000). Personality Factors. Principles of Language Learning and Teaching. New York: Pearson Education Company.
4. Burg S. S. &Cizek, G. J. (2005). Addressing Test Anxiety in a High-Stakes Environment:Strategies for Classrooms and Schools. Thousand Oaks, CA: Corwin Press.
5. Connolly, S., Simpson, D., & Petty, C. (2006). Anxiety Disorders. New York: Chelsea House Publishers.
6. Scovel, T. (1978). The effect of affect on foreign language learning: A review of the anxiety research. Language Learning, 28, 129 -142.
7. Skehan, P. (1989). Individual differences in second-language learning. London: Edward Arnold.
8. Smith, A. (2009). Teaching Students in Inclusive Settings. Canadian Edition. Pearson Publishing. Toronto: ON
9. Wolfe, B. E. (2005). Understanding and Treating Anxiety Disorders: An Integrative Approach to Healing the Wounded Self. Washington: DC.

http://www.unm.edu/~adurakie/unm_template/common/docs/TEST%20ANXIETY.pdf
http://abs.kafkas.edu.tr/upload/19/Assiye_Burgucu.pdf

Manana Garibashvili, Nana Papunashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Anxiety as an Emotional Factor in Foreign Language Studying and Testing Process

Abstract

The principal research point of the paper is anxiety, as the emotional factor in foreign language study and testing process. Consequently the article deals with the types of anxiety and the various factors of their formation. The survey has revealed some anxiety forming conditions in foreign language studying and testing process.

საკვანძო სიტყვები: უცხო ენის შესწავლა, ღელვა, ემოციური ფაქტრები, სომატი ღელვა, კოგნიტური ღელვა

Keywords: Foreign language study, anxiety, emotional factors, somatic anxiety, cognitive anxiety

ელენე მაღლაკელიძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წერა-კითხვის სწავლების დიდაქტიკური საფუძვლები

ენის დაუფლების ერთ-ერთი ძირითადი და საკვანძო საკითხი ამ ენაზე წერა-კითხვის შესწავლაა. მოსწავლე კითხვის საშუალებით ეჩვევა სხვისი დაწერილი აზრების გაგებას, ხოლო წერის საშუალებით კი - თავისი აზრების წერილობით გადმოცემას. წერა, უწინარეს ყოვლისა, ბგერების, ფონემების აღნიშვნაა სათანადო გრაფიკული ნიშნებით - ასოებით, ხოლო კითხვა კი ამ პირობითი ნიშნების დეკოდირება (წაკითხული ასოს დაკავშირება სათანადო ბგერასთან) - და წაკითხულის გააზრებაა. ბგერითი მეტყველება რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა მისი წერილობითი ნიშნებიც. წერას ორი ძირითადი დანიშნულება აქვს. ერთი მხრივ, წერა არის კომუნიკაციის საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, გამოხატვის საშუალება (ნინო ბესელია, პაატა პაპავა, წიგნიერება დაწყებით კლასებში, 2011, გვ. 32).

წერა-კითხვის სწავლების პროცესში პირობითად შემდეგი ეტაპები შეიძლება გამოვყოთ: 1. მეტყველების ობიექტივაცია, 2. მეტყველების ნაკადის სამეტყველო ერთეულებად დანაწევრება და სიტყვის ფონემატური ანალიზი, 3. ასო-ბგერითი მიმართებების დამყარება და სიტყვის ბგერითი სტრუქტურის მოდელირება გრაფიკული სიმბოლოების მეშვეობით (სიტყვის ბგერითი სტრუქტურის გადატანა ნაწერში ასოების მეშვეობით); 4. სათანადო გრაფომოტორული ოპერაციები.

მეტყველების ობიექტივაცია

„წერა-კითხვის სწავლა მოითხოვს ყურადღების გადმოტანას საგნიდან სიტყვაზე. სიტყვა განცდილ უნდა იქნას საგნისაგან დამოუკიდებლად, როგორც შინაგანად დანაწევრებული მთლიანი. იგი თვითონ უნდა იქცეს დაკვირვების ობიექტად, დაკვირვების საგნად. ვიდრე ბავშვს ეს ამოცანა არ გადაუჭრია, წერა-კითხვის სწავლების საქმე უძნელესი დაბრკოლების წინაშე დგას. ეს ამოცანა მან მასწავლებლის დახმარებით უნდა გადაჭრას“ (ა. ბოჭორიშვილი, შ. ჩხარტიშვილი, ფსიქოლოგია, თბ. 1950, გვ. 409) . სიტყვის საგნისაგან გამოყოფა, მეტყვლების ობიექტივაცია, წერა-კითხვის დაუფლების კვლაობაზე თანდათან ვითარდება. პირველი ამოცანა, რომელიც წერა-კითხვის დასაწყისში დგება, ეს არის ბავშვის მიყვანა სიტყვის ობიექტივაციამდე, იმ განსხვავებამდე, რაც საგანსა და მის აღმნიშვნელ სიტყვას შორის არსებობს. მაგრამ სიტყვის ობიექტივაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი ფონემატური სტრუქტურის დაუფლებას. ფონემატური სტრუქტურის დაუფლება პირველ რიგში გულისხმობს ფონემის გააზრებას, სიტყვის დაშლას ფონემებად, რაც წინასაანბანო პერიოდის ერთ-ერთი ამოცანაა. ამ დროს მასწავლებელმა უნდა გაავარჯიშოს ბავშვები თქმის ფაქტის შემჩნევაზე. ბავშვისათვის ჯერ ნათელი უნდა გახდეს მეტყველება, თქმის პროცესი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სიტყვის ფონამატურ ანალიზზე გადასვლა. (ალ. მოსიავა, ზ. ხოჯავა, საანბანო წიგნის შედგენის პრინციპები, თბ. 1955, გვ.4). თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „სიტყვის თქმის ფაქტის შემჩნევა, მისი ფონემური ანალიზი თავისთავად არ გულისხმობს წაკითხვის ფაქტის გაადვილებას“ (მ. მირიანაშვილი, კითხვის ფსიქოლოგიისა და სწავლების ზოგიერთი საკითხი, დაწყებითი სწავლების ფსიქოლოგია, 1981, გვ. 93). აქ მთელი რიგი ლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებაც გახლავთ საჭირო.

სიტყვის ფონემური ანალიზი

სწორედ სიტყვის ფონემურ ანალიზს ემყარება შემდგომში კითხვა. ელკონინის აზრით, კითხვა მშობლიური ენის სწავლების პირველ ეტაპს წარმოადგენს. რამდენადაც კითხვა არის სიტყვის ბგერითი ამხარის რეპროდუქციის უნარი, ბავშვს პირველ რიგში ენის ბგერითი სამყარო უნდა გავაცნოთ. ამ მიზნით გამოიყენა მან „ბგერათა მატერიალიზაციის“ ხერხი, რაც გულისხმობს ბგერების გათვალსაჩინოებას ე.წ. „უჯრების“ საშუალებით (თოთოეულ ბგერას თითოეული უჯრა შეესაბამება). „ელკონინის უჯრები“ ხელს უწყობს სიტყვის ფონოლოგიურ ანალიზსა და ცალკეული ფონემის გაცნობიერებას. ეს მეთოდი განსაკუთრებით მოსახერხებელია იმ ენებისათვის, სადა კითხვა და წერა ერთმანეთს შეესატყვისება. ქართული კი სწორედ ასეთი ენაა. ამიტომაც არის, რომ ელკონინისეული „ფერადი უჯრები“ დღეს წარმატებით გამოიყენება კითხვისათვის მზადებისათვის წინასაანბანო პერიოდში (იხ. ნ. მაღლაკელიძე, ე. მაღლაკელიძე, „დედაენა“, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2015 წ).

შემდეგი ეტაპი უკვე **დეკოდირებაა**, ანუ ფონემისა და გრაფემის ერთმანეთთან დაკავშირება. სწორედ იგი განაპირობებს კითხვის პროცესსა და ხარისხს. რა არის კითხვა? “კითხვა არის დაწერილი ტექსტის გაგება და გააზრება, კომპლექსური ქმედება, რომელიც მოიცავს როგორც აღქმას, ისე აზროვნებას. აერთიანებს ორ ურთიერთდაკავშირებულ პროცესს: სიტყვების ამოცნობასა და გაგება-გააზრებას. (დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, 2010).

წერა-კითხვის ფსიქომოტორული პროცესები

კითხვის პროცესი ფსიქოფიზიკურ მოქმედებათა შემდეგი ეტაპებისგან შედგება: პირველი ეტაპი - მხედველობის ორგანოებზე ასოთა ფორმების ზემოქმედება და ამის შემდეგ ასოთა აღქმა წარმოადგენს ; მეორე ეტაპი - მოცემული ასოს შესაბამისი ბგერის არტიკულაცია, **მესამე ეტაპი** - ამ გრაფემის წერა. აქედან გამომდინარე, წერა-კითხვის სწავლების პროცესში ძირითადად ორი ფსიქოლოგიური სიძნელე გადაილახება: პირველი - მოსწავლის ცნობიერებაში უნდა შემუშავდეს მტკიცე წარმოდგენა **ა)** ასოთა ფორმებზე, **ბ)** ბგერასა და მის აღმნიშვნელ ასოს შორის კავშირის დამყარებაზე: „ა“ ფორმის ასოს „ა“ ფორმის ბგერა შეესაბამება, „ბ“ ბგერას- „ბ“ ფორმის ასო და ა. შ. ამგვარად მყარდება კავშირი კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე ასოსა და ბგერას შორის.

კითხვის შესწავლა ბავშვის ინტელექტუალური ძალების აქტიურ მოქმედებას მოითხოვს, რამდენადაც იგი გულისხმობს არა მხოლოდ დაწერილის წაკითხვას, არამედ მის გააზრებასა და გაცნობიერებასაც, რაც თავისთავად საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური პროცესია. კითხვა თავისებური სახის მოქმედებაა, რომელიც გარკვეული წესის მიხედვით წარმოებს. მოსწავლე ერთდროულად ეუფლება კითხვის წესებსა და წაკითხულის შინაარსის წვდომას. მაგრამ როდესაც კითხვაზე ვკლაპარაკობთ, აქ აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი კითხვას: ვის კითხვაზე ვლაპარაკობთ - კითხვაში დამწყებისა და თუ კითხვაში გაწაფულის?

კითხვაში გაწაფულის თვალი ადვილად მოძრაობს სიტყვიდან სიტყვაზე, სტრიქონიდან სტრიქონზე და ზედიზედ აღიქვამს სიტყვებსა და ფრაზებს. მაგრამ თვალი ამ დროს უფრო სწრაფად მოძრაობს, უფრო სწრაფად აღიქვამს, ვიდრე წარმოვთქამთ წაკითხულს. კითხვაში გაწაფულის მხედველობის არე ერთი ასოთი კი არ შემოიფარგლება, არამედ მოიცავს რამდენიმე სტრიქონს, რასაც „კითხვის არეს“ უწოდებენ. თვალი ამ დროს ჩერდება არა თითოეულ ასოზე (ქართულში ბგერის

გრაფიკულ ნიშანზე), არამედ რამდენიმე ასოზე, ხშირად მთელ სიტყვაზეც კი, სტრიქონის რამდენიმე პუნქტზე. ეს პუნქტები, სადაც კითხვისას თვალი ჩერდება, თვალის ფიქსაქციის პაუზებია. კითხვისას თვალის ფიქსაციის პაუზების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია კითხვის ხარისხი, ვინ კითხულობს - კითხვაში დამწყები თუ კითხვაში გაწაფული, როგორია წასაკითხავი მასალის გრაფემული შემადგენლობა (თანხმოვანდაჯგუფებული სიტყვებია თუ თანხმოვანდაუჯგუფებელი, გრძელი სიტყვებია თუ მოკლე), როგორია შინაარსის მიხედვით (ადვილად გასაგებია თუ ძნებლად გასაგები...). რამდენად გაწაფულია მკითხველი და როგორია საკითხავი მასალა - აი, რა განაპირობებს წამკითხველის საკითხავ არეალს. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ასოთა კონფიგურაციაც.

კითხვის დამწყების არე მცირე მოცულობისაა. ეს არე ასოთი იფარგლება (მაშინ, როდესაც კითხვაში გაწაფული ერთ სტრიქონზე საშუალოდ 6-7-ჯერ აჩერებს თვალს, მთლიანად აღიქვამს სიტყვას, ერთდროულად უცქერის სტრიქონზე რამდენიმე სიტყვას და ამ სიტყვებზე მხოლოდ რამდენიმე ასოზე აჩერებს თვალს). თვალის ფიქსაციის პაუზა აქ იმდენია, რამდენი ასო-ნიშანიც არის სიტყვაში. კითხვაში დამწყები (იგულისხმება წერა-კითხვის სწავლების საანბანო პერიოდი) სტრიქონზე დაახლოებით 40-ჯერ აჩერებს თვალს. მაგრამ გარდა ამისა, ეს პაუზები რეგულარულად ასეთი რაოდენობით არ მეორდება, ეს დამოკიდებულია, როგორც ზემოთ ვთქვით, წასაკითხი სიტყვების ასოით შედგენილობაზე, მათ მნიშვნელობაზე (რამდენად ესმის წამკითხველს მათი შინაარსი), ასოთა კონფიგურაციაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამწყები მკითხველისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ პირდაპირი მიმართულებით კითხვა (ქართულში ეს არის მარცხნიდან მარჯვნისაკენ), არამედ შებრუნებული, არნუ რეგრესული მიმართულებით კითხვაც (მარჯვნიდან მარცხნისაკენ), ეს უფრო ხშირად მაშინ შეინიშნება, როცა წასაკითხი ტექსტის შინაარსი მკითხველისათვის გაუგებარია ან პატარა ზომის შრიფტითაა წარმოდგენილი.

როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, „სიტყვა მით უფრო ადვილად იკითხება, რაც უფრო დიფერენცირებულია მისი გრაფიკული სურათი“. (ალ მოსიავა, წერა-კითხვის სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ. 1962, გვ. 96). ამ დიფერენცირებულობას ქმნის ასოთა სიგრძე, ხაზზევითურობა, ხაზზქვევითურობა, თვითონ ასოს შინაგანი დანაწევრება.

დაკვირვებით მტკიცდება (იხ. ალ მოსიავა, დასახელებული შრომა), რომ სტრიქონზე ასოთა ზედა და ქვედა ნაწილებს მხედველობითი აღქმისას თანაბარი ღირებულება არა აქვთ. ზედა ნაწილები უფრო უფრო ზუსტ წარმოდგენას გვაძლევენ ქართულ ასოთა მოხაზულობაზე, ვიდრე ქვედა ნაწილები. კითხვის სწავლების მომენტშიც ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

რაც შეეხება ასოების წერას, ეს ცალკე მსჯელობის საგანია, თუმც უნდა გვახსოვდეს, რომ კითხვა და წერა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, განსაკუთრებით კი საანბანო პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ბოჭორიშვილი, შ. ჩხარტიშვილი, ფსიქოლოგია, თბ. 1950
2. ნ. ბესელია, პ. პაპავა, წიგნიერება დაწყებით კლასებში, 2011
3. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი, 2010

4. მ. მირიანაშვილი, კითხვის ფსიქოლოგიისა და სწავლების ზოგიერთი საკითხი, დაწყებითი სწავლების ფსიქოლოგია, 1981
5. (ალ მოსიავა, წერა-კითხვის სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ. 1962, გვ. 96
6. ალ. მოსიავა, ზ. ხოჯავა, საანბანო წიგნის შედგენის პრინციპები, თბ. 1955

Elene Maglakelidze
Iakob Gogebashvili Telavi State University

Basics of Teaching Reading and Writing

Abstract

Georgian language as it is known is mainly a phonetically alphabetical language. Here we have got the same number of sounds and letters. We've got the coincidence in writing and the oral, the word is written as it is pronounced. That's why while writing his "Deda Ena" ("Mother Tongue") Iakob Gogebasvili used analytica-synthetical method while teaching writing and reading as this method totally corresponds to the specificity of Georgian language as phonetically written language. That's the reason why this method was inculcated in the teaching process of Georgian alphabet and was established in Georgian schools under the scientifically discussed and researched.

საკვანძო სიტყვები: წერა-კითხვა, მშობლიური ენა, მეტყველება, ბგერა, ასო.
Keywords: Reading-writing, mother tongue, speech, sound, letter.

ლალი (ბარბარე) აბდალაძე
გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია

პედაგოგიკური მეთოდები და სასწავლო პროცესი სასულიერო სასწავლებლებში გურია-სამეგრელოს ეპარქიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

სასულიერო განათლება, პედაგოგიკური მეთოდები, სასწავლო პროცესი საინტერესო საკვლევი საკითხებია არამარტო დღეს, არამედ გასულ საუკუნეებშიც. აღნიშნულს მივუძღვენი სადისერტაციო ნაშრომი და დღესაც ვაგრძელებ კვლევას. XIX საუკუნის გურია–სამეგრელოს ეპარქიის მაგალითზე განვიხილავთ მოპოვებული საარქივო წყაროს, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველ ვასილი ბელიაევის 1898-1899 სასწავლო წლის ანგარიშის მიხედვით. საარქივო დოკუმენტებში დაწვრილებითაა აღწერილი სასწავლო კურსის საგნების სწავლებასა და იმ პედაგოგიურ მეთოდებზე, რომლებითაც ძირითადად წარიმართებოდა სწავლების პროცესი.

ანგარიშის მიხედვით, დადგენილი პროგრამები ყველა საგანში საანგარიშო წლის განმავლობაში შესრულდა. სასწავლო კურსის საგნების სწავლება მიმდინარეობდა უწმინდესი სინოდისა და სასწავლო კომიტეტების მიერ განხილული პროგრამებით. „ჯანსაღი პედაგოგიკით"გაკვეთილები ტარდებოდა ცხრილის მიხედვით, რომელიც

სასწავლო წლის დასაწყისში წარედგინა ქუთაისის სასულიერო სემინარიის მმართველობას. ოზურგეთის სასწავლებელში სწავლების ფორმები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ ,,საქართველოს სასულიერო სასწავლო-საგანმანათლებლო კერებში სწავლება არა მარტო ვერბალურად, არამედ უფრო მეტად თვალსაჩინოდ მიმდინარეობდა. ვინაიდან კარგად იცოდნენ, რომ თვალსაჩინოება ხელს უწყობს ცოდნის შეგნებულად და გააზრებულად ათვისებას. როგორც ჩანს, ისინი ითვალისწინებდნენ ახალგაზრდობის სააქაო ცხოვრებისა და მოქმედებისათვის და არა მხოლოდ სამუდამო სასუფევლისათვის მომზადებას. ამიტომ მასწავლებელს ცხოვრებაში სამოქმედოდ სასარგებლო ცოდნა უნდა მიეცა მოსწავლისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თანამიმდევრობის პრინციპს, რაც განაპირობებდა ცოდნის მტკიცედ, ღრმად და გააზრებულად შეთვისებას მარტივიდან რთულზე გადასვლის გზით, წინა პლანზე წამოვიდა აღზრდისა და აღმზრდელის განმსაზღვრელი როლი პიროვნების ქრისტიანული სულისკვეთებით ფორმირების საქმეში“ (ბასილაძე ი. 1 : 64).

მასწავლებლისთვის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა:1) Толковое евангелие арх. Михаила (სახარების განმარტება - არხ. მიხეილისა); 2) Библейская историа Лопухина (ბიბლიური ისტორია - ლოპუხინისა); 3) Библииская История – Богословенского (ბიბლიური ისტორია - ბოგოსლოვენსკისა); 4) Жизнь Иисуса Христа – Фаррара (იესო ქრისტეს ცხოვრება - ფარარისა); 5) Земная жизнь Господа спасителя нашего Иисуса Христа (უფალი იესო ქრისტეს, მაცხოვრის, მხსნელის მიწიერი ცხოვრება). ნაშრომში დაწვრილებითაა განხილულისასწავლო კურსების პროგრამებიკლასების მიხედვით.

ქუთაისის სასულიერო სემინარიის მმართველობის წევრის ვ. ვასილიევის მიერ განხორციელდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის რევიზია. შედეგი ამ რევიზიისა იყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მმართველობის ანგარიში მისი უგანათლებულესობის ალექსანდრეს მიმართ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისადმი.

მოხსენებაში წარმოდგენილია რეკომენდაციები და დასკვნები ქუთაისის სასულიერო სემინარიის მმართველობისა, რომელმაც 18 მაისის სხდომაზე განიხილა ანგარიში რევიზიის შესახებ, ანგარიშში წარმოდგენილია მიმართვა საქართველოს ეგზარხოსის – ფლავიანის მიმართ, რომელიც შეიცავს თხოვნას საკადრო ცვლილებების გატარების შესახებ.სასწავლებლის თანამშრომელთა დახასიათებების გათვალისწინებით. განსაზღვრულია ზედამხედველის ფუნქციები. ანგარიში გვიჩვენებს სასწავლებლის მმართველობის ზრუნვას. სასწავლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესებაზე, ასევე როგორი იყო რეალური სურათი მთელ სასწავლებელში.

საინსპექტორო ზედამხედველობის შემადგენლობაში შედიოდნენ: ზედამხედველის თანაშემწე ალექსანდრე სოსინოვსკი და მეთვალყურე – სემინარიის სტუდენტი მელქისედეკ ქავჟარაძე. ანგარიშის მიხედვით, შეინიშნებოდა კლასსა და ეკლესიაში დაგვიანება, საუბარი ეკლესიასა და კლასში, ნაადრევად ღვთისმსახურებიდან და გაკვეთილებიდან წასვლა, ერთმანეთს შორის ჩხუბი, წესრიგისა და დისციპლინის დარღვევა და ა.შ. დასჯის ზომებსაც იყენებდნენ. მაგალითად, მოცემულ წყაროში ვკითხულობთ, რომ ერთ ჟურნალს მისმა ყოვლადუსამღვდელოესმა, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ დაადო შემდეგი რეზოლუცია: „მოსწავლეები“ - კალანდაძე და კობიძე დატოვებულ იქნან

გაკვეთილების შემდეგ ორი საათით ათი დღის განმავლობაში“ (ქ.ც.ა.5 : ფ.5. .საქ.228. ფ.22).

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, სახაზინო ან ეპარქიალური სტიპენდიები ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში არ იყო, საერთო საცხოვრებელი სასწავლებელს არ ჰქონდა და მოსწავლეები ცხოვრობდნენ კერძო ბინებში, უკიდურეს სიღარიბეში. ვ. ბელიაევი ასევე გვაწვდის ინფორმაციას ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ავადმყოფ მოსწავლეთა შესახებ 1898-99 სასწავლო წელს. მოცემულია ლაზარესა და ამბულატორულ ავადმყოფთა რაოდენობა.

გურია–სამეგრელოს სასწავლებლები რელიგიური და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. 50-იან წლებში სწავლა-აღზრდის საქმე მარტვილის სასწავლებელში საკმაოდ მაღალ დონეზე ასულა. აღნიშნულს ადასტურებს კ. ბოროზდინის მოგონება იმის თაობაზე, რომ იგი 1854 წელს ქალაქ სენაკში შეხვედრია მენიკ დადიანის (აფხაზეთის მთავრის ყოფილი მეუღლე) ამალის ახალგაზრდებს: ,,ეს მშვენივრად გაწაფული, ზრდილობიანი, მოხერხებული, გრაციოზული, თითქმის ყველა რუსულის მცოდნე, უმთავრესად მარტვილის სემინარიაში აღზრდილი მოსწავლე ახალგაზრდობა ოსტატურად ასრულებდა ყველა ცეკვებსა და გუნდურ მეგრულ სიმღერებს“ (ბოროზდინი კ. 2 : 108).

1860 წელს სამეგრელოს ეპისკოპოს გერონტის ინიციატივით გაიხსნამარტვილის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასი(სსცა.7: ფ.489. საქმე N17716, ფურც. 64). სამაზრო სასულიერო სასწავლებლის პარალელურად არსებობდა სამრევლო სკოლა, რომელსაც ჰყავდა ერთი ზედამხედველი და ერთი პირველი კლასის მასწავლებელი“ (სსცა.7 : ფ.489. საქმე N17716, ფურც.42).

„მე-19 საუკუნის ბოლოს მარტვილის სასულიერო სასწავლებელი სამეგრელოში ერთადერთი ოფიციალური და რელიგიური სასწავლებელი იყო“(მიქაძე ი. 3: 4), ამასთან, საქართველოს ეგზარქოსს დაქვემდებარებულ ახალ სასულიერო სასწავლებლებს შორის (თბილისისა და ქუთაისის შემდეგ) რიგით მესამე, სადაც სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა და მიზნად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებას ისახავდა. იგი ემსახურებოდა არა მარტო სასულიერო პირებს, არამედ მთელ საზოგადოებას.

მე-19 საუკუნის შუახანებში მარტვილის სასწავლებელი ორი კლასისგან შედგებოდა, სწავლების ვადა იყო ორი წელი, ასწავლიდნენ საღვთო რჯულს, რუსულ ენას, არითმეტიკას და სუფთა წერას. იონა მეუნარგია ასეთ ცნობას გვაწვდის: 1852 წელს მთავარი დავით დადიანი შეეკითხა ოდიშ-ლეჩხუმის მდივან-ბეგებს, მოეხსენებინათ მისთვის, სხვათა ცნობათა შორის, ისიც, თუ რამდენი სასწავლებელი იყო მათდამი რწმუნებულ მაზრებში. ამ კითხვაზე რვა მდივან-ბეგიდან შვიდმა მოახსენა, რომ მათ მაზრებში სასწავლებელი არ მოიპოვებოდა და მხოლოდ ერთმა, მარტვილის მდივანბეგმა მოახსენა, რომ მის მაზრაში არსებობდა ერთი სასწავლებელი, მარტვილის სასულიერო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში სწავლობდა სასულიერო პირთა 97 შვილი, ხოლო სამოქალაქოთა – 5. პირველი ზედამხედველი იყო დეკანოზი რომანოზ ბორისოვი, შემდგომ – დეკანოზი დავით მაჭავარიანი. ეს სასწავლებელი იდგა მთაზე, მარტვილის გარეთ, ტაძართან, შემდეგ სკოლა ოთხკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა და 1867 წლის წესდების თანახმად, სხვა სასულიერო სასწავლებლებთან ერთად გარდაიქმნა.

სასწავლებლის რეორგანიზაციას 1872 წელს, თანახმად 1867 წლის წესდებისა, მოწაფეებსა და მშობლებში დიდი მღელვარება მოჰყოლია, რაც ზედამხედველის

წინააღმდეგ ყოფილა მიმართული. „განსაკუთრებული გულისწყრომა სუსტი მოწაფეების დატოვებასა და გარიცხვას გამოუწვევი. ერთ-ერთ დარჩენილ მოწაფეს 1873 წლის 12 სექტემბერს ღამეს სასწავლებლის მთელი შენობა გადაუწვავს“(სსცა. 6: ფ.440. საქ.#729. ფ. 207–209). მას შემდეგ ამ სკოლისათვის მარტვილში არ აღმოჩნდა სასწავლებლისათვის დროებით გამოსადეგი შენობა, ამიტომ დაისვა საკითხი მისი სხვა ადგილზე გადატანის შესახებ, მაგალითად, ქუთაისში, ახალ სენაკში, ფოთში ან ძველ სენაკში.ძველ სენაკში სასწავლებლის გადატანას მხარი დაუჭირა აკაკი წერეთელმა. ძველი სენაკი სამეგრელოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და XIX საუკუნის მე-2 ნახევრამდე ერთ-ერთ წამყვან დაბას წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი საგანმანათლებლო კერებს. აქ გაიხსნა პირველი სასწავლებელი.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ქუთაისის ცენტრალურ არქივში ჩვენ მიერ მოკვლეულია 165-ფურცლიანი დოკუმენტი(ქ.ც.ა. 5: ფ.5. საქ.104) – სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის 1897 წლის რევიზიის მასალები, რომელიც წარმოადგენს 1897/98 სასწავლო წლის მონაცემებს და სრულად ასახავს მარტვილის სასულიერო სკოლაში სასწავლო პროცესისა და რელიგიური განათლების სავალალო მდგომარეობას. მასალებს ხელს აწერს ქუთაისის სემინარიის მმართველობის წევრი, მასწავლებელი, ღვთისმსახურების მაგისტრი ნიკოლოზ არხანგელსკი, ვის შესახებაც ნ. დურნოვო ნაშრომში „ბედი ქართული ეკლესიისა“(დურნოვო ნ. 8: http://www.orthodoxy.ge) წერს, რომ იგი არის ქუთაისის სემინარიის ყოფილი რექტორი და პოლიტიკანობის გამო „მიაღწია იმას, რომ ყველა ქართული სასულიერო სასწავლებლიდან გააძევებინა ქართველი პედაგოგები. მის სიცრუეს, რომ ქართველ მასწავლებლებს ვნების მეტი არაფერი მოაქვთ, ქუთაისის სემინარიის მთელმა კორპორაციამ დაუჭირა მხარი და სასულიერო სასწავლებლებიდან უღმერთოდ გაყარეს ქართველი მასწავლებლები.“ ხორციელდებოდა რელიგიური რუსიფიკაციის პროცესი.

რევიზორი აღწერსზედამხედველის სრულ გულგრილობას ღვთისმსახურებისადმი, რომელიც სრულდებოდა ნაჩქარევად, უგულისყუროდ, წესების დარღვევით. ზედამხედველი მოსწავლეებს ცუდ მაგალითს აძლევდა: მარხვის დროს ბანქოს თამაშობდა, ნადირობდა, ზოგჯერ კი ახალსენაკის საზოგადოების მხრიდან შეურაცხყოფის ობიექტი ხდებოდა. რევიზორი ამხელს მას, როგორც ამორალურ პიროვნებას, რომელმაც განადგურებამდე მიიყვანასაცოდავი სასულიერო სასწავლებლის ინტერესები და შეარცხვინა რუსის სახელი „იმ მხარეში, სადაც რუსები მოწოდებულნი არიან განათლების, პატიოსნების და კულტურის გასატარებლად“, ამასთან, სამართლიანად მოითხოვა სასწრაფოდ მისი ჩამოშორება თანამდებობიდან. რევიზორის დასკვნის შედეგი ემსახურება სასწავლებლის რეპუტაციის აღდგენასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას. იგი უკმაყოფილო იყო აღმზრდელთა რელიგიური განწყობით. მიაჩნდა, რომ რელიგია და ეკლესიურობა უკანა პლანზე იდგა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, რაზედაც მეტყველებდა თუნდაც ხატების არათვალსაჩინო ადგილას განთავსებისა და მათ მიმართ დაუდევრად მოპყრობის ფაქტი. ერთადერთი რამ, რაც დადებითად შეაფასა, იყო გულსაკიდი ჯვრების ტარება მოსწავლეების მიერ. საყურადღებოა ინფორმაცია თავად მასწავლებელთა შესახებ, რომელთა დახასიათებასაც ვეცნობით სარევიზიო ნაშრომში. რევიზორი დამაკმაყოფილებლად აფასებს საღვთო ისტორიის სწავლების საკითხს, რომელსაც

უძღვება ზედამხედველის თანაშემწე, ღვთისმეტყველების კანდიდატი, დ. ალადოვი. ქართულ საეკლესიო გალობას ასწავლიდა დ. ჭალაღანიძე, რომლის პედაგოგიური ნიჭისა და გულმოდგინების წყალობითაც ბავშვები კარგად მღეროდნენ, მაგრამ რევიზორს არ აკმაყოფილებს ეს ფაქტი და მიუთითებს ქართული სასულიერო სასწავლებლის დიდ როლსა და მნიშვნელობაზე ქართული და სლავური გალობის დაახლოების საქმეში, თვლის, რომ სლავური კილოებითა და მოტივებით უნდა შესრულდეს ქართული გალობა. როგორც ცნობილია, XIX საუკუნისდასაწყისიდან, როცა ხელოვნურად შეამცირეს ეპარქიათა რიცხვი, გაუქმდა სამღვდელმთავრო გუნდები და სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში აიკრძალა ქართული გალობა. ეგზარქოსებს სურდათ, წირვა-ლოცვის დროს სლავური საგალობლები ეგალობათ. საკუთრივ დიმიტრი ჭალაღანიძე ერთ-ერთი იყო იმ ცნობილ მგალობელთა შორის, რომლებიც დაახვედრეს ქუთაისში ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანის საკითხთან დაკავშირებით ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის მიერ თბილისიდან მოწვეულ კომპოზიტორ ფილიმონ ქორიძეს. რომელმაც 80-იან წლებში ქუთაისში ეპისკოპოს გაბრიელის თაოსნობით განახორციელა ეს დიდი მამულიშვილური საქმე.

ამრიგად, სასულიერო სასწავლებლები უმეტეს შემთხვევაში იყენებდნენ ყველა საუკეთესო მეთოდს იმისათვის, რომ ახალგაზრდობისთვის მტკიცე საფუძველი შეექმნათ მართლმადიდებელი სარწმუნოების გასაღრმავებლად და გასამტკიცებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილაძე ი., ქრისტიანული პედაგოგიკის საგანი, ამოცანები, პრინციპები და მეთოდები., ქუთაისი. 2010 წელი.
2. ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861 წწ. თბილისი., 1934 წელი. მიქაძე ი., ვ. გაგუა ვ. ძველი სენაკის საშუალო სკოლა (დაარსების 100 წლისთავის აღსანიშნავად)., საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგდოება., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი. 1978 წელი.
3. მიქაძე ი., ვ. გაგუა ვ. ძველი სენაკის საშუალო სკოლა (დაარსების 100 წლისთავის აღსანიშნავად). ,საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგდოება.,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი. 1978 წელი.
4. ლალი (ბარბარე) აბდალაძე., სასულიერო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება მე–19 საუკუნისგურია–სამეგრელოს ეპარქიაში., დისერტაცია., ქუთაისი., 2014 წ.
5. ქუთაისის ცენტრალური არქივი. (ქ.ც.ა.) ფ.5.
6. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 440
7. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 489
8. http://www.orthodoxy.ge/ დურნოვო ნ. ქართული ეკლესიის ბედი.

Lali (Barbare) Abdaladze

Gelati Spiritual Academy and Seminary

Pedagogical Methods and Educational Process in Guria-Samegrelo Diocese Spiritual Schools in the Second half of the 19th Century

Abstract

The work presents an unique archival information about the Ecclesiastical-Parish schools of Guria-Samegrelo diocese, in particular, the reports ofCaucasian educational district about the state of the mentioned schools, as public institutions in 1889 and over the 1896-1897 data. After the study of the subject we were able to verify: the full name of educational institutions; the schools'

localization by the districts and provinces; Date of the establishment of the school; the number of pupils in terms of gender, as well as a whole; The training costs over the given years in a total. It must be said that religious schools were funded by the state, Parish and literacy schools belonged to the diocese and they were not funded by the state budget. On the basis of the archival documents we consider in Guria-Samegrelo diocese great attention was paid to the need for religious education and public educational centers in the second half of the 19th century, also there was a great interest of the general population in the education.

საკვანძო სიტყვები: სასარგებლო ცოდნა, გააზრებულად შეთვისება, დასჯა–წახალისების ფორმები, სწავლების ხარისხის ამაღლება, საუკთესო მეთოდები
Keywords: Useful knowledge, thoughtful study, penalty-encouraging methods, ducational quality improvement, the best methods

Maia Akolashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

The impact of Blended Learning on Increasing Students' Foreign Language Writing Motivation

Introduction

Nowadays as we live in the age of information technologies, it is obvious, that our traditional education methods are insufficient to supply the growing education needs of language learners.

Information and communication technologies offer a possibility to apply new learning and teaching approaches. The development of these technologies increased the popularity of distance education and created new terminologies like online learning, e-learning or blended learning. In 2003 the American society for training and development announced blended learning as one of the ten top trends in the knowledge delivery industry (Roony, 2003). Blended learning as an alternative against traditional face-to-face learning is gradually replacing it in most of the educational institutions. When it comes to writing in an EFL context, learners usually face greater challenges. In traditional English writing lessons there are many limitations, especially when writing is included in general English course. The main drawback is often having hardly enough time to correct each students' writing assignment and give appropriate feedback to each of them. This is the reason why they are frustrated and their motivation also suffers a lot. Blended learning seems to be the best solution to increase student motivation which will necessarily have a positive impact on students achievements in writing.

Importance of writing

For language learners writing is considered as the most difficult skill which takes so much time and effort of students and teachers. The learners of foreign language writing usually face greater challenges. Writing needs more attention, preparation and perfection than speaking. The reason is that good writing skills include good vocabulary, grammar, spelling, reading and punctuation skills.

According to Graham and Perin (2012;236) writing plays two distinct roles in schools; First, it is a skill that requires mastering basic sub skills and processes such as handwriting, spelling, a rich

knowledge of vocabulary, mastery of the conventions of punctuation, capitalization, word usage, grammar, and the use of strategies: planning, evaluating and revising the text. All are necessary for the production of coherently organized essays containing well developed and pertinent ideas, supporting examples and appropriate details. This role can be characterized as "learning to write". Second, writing is a means to extend and deepen students' knowledge; it acts as a tool for learning subject matter.

Because many students experience problems with writing or find writing an effort they often try to avoid the task and their self-esteem also suffers. Thus, both FL writing course instructors and learners often feel frustrated.

Role of motivation

Motivation is often defined as the psychological quality that leads people to achieve a goal. For language learners, mastery of a language may be a goal. Motivation is the willingness of a person to do a particular thing or learn a particular set of information**.** To be successful at language learning students need to be motivated and therefore motivation is considered to be the most important factor affecting students' success. As Ellis claims motivation is a key factor when learning a language (Ellis, 1994). Jeremy Harmer defines motivation as "an internal drive that encourages somebody to pursue a course of action"(Harmer, 1991). According to Wang "the motivated learners are usually more active in learning, while unmotivated learners are more likely to cause classroom disturbances"(Wang, 2006:32).

Finally, we can state that students who are positively motivated are strongly affected by what happens in the classroom. The ability to provide interesting and motivating class lay in the teacher's hands (Lesáková, 2008).

Blended Learning

Nowadays Blended Learning is considered as one of the most popular pedagogical concepts. It is a modern learning method that blends the traditional learning and learning via computer and internet to increase students' achievements. Blended Learning has been around for many years, but the name has changed as the uses and recognition have increased. Many people may be using a form of blended learning in lessons and teaching, but may not realize it or be able to give it an actual name (Osguthorpe, Graham, 2003). Blended learning is something that is used in the world of education as well as the world of business. Blended learning is not a new concept, but may be a new term to many users.

Despite its widespread use in different fields many researchers claim that the term blended learning is difficult to define. Sharma and Barrett (2007) substitute it with 'technology': "Blended learning refers to a language course which combines a face-to-face (F2F) classroom component with an appropriate use of technology".

Blended Learning in higher education has been defined as: "a combination of technology and classroom instruction in a flexible approach to learning that recognizes the benefits of delivering some training and assessment online but also uses other modes to make up a complete training programme which can improve learning outcomes and/or save costs" (Banados, 2006: 534).

Blended or hybrid learning has great advantages. Graham (2006) listed six of them:

- pedagogical richness
- access to knowledge
- social interaction
- personal agency
- cost effectiveness
- ease of revision

So, there are many reasons why an instructor might choose to introduce Blended Learning in a course. We decided to use it in teaching general English writing in order to make our students more motivated.

Methodology

As the results of the EFL students achievement tests in writing showed the traditional face-to-face methods are not successful to provide the students with the necessary motivational processes that enable them to improve their writing and enhance their language. Then we explored the ways to develop student writing skills by increasing their motivation. For these reasons the we decided to investigate alternative approaches to instructional delivery that would increase students' involvement in the learning process. We decided to try out a blended learning approach.

The experiment was conveyed at Gori State University on the intermediate level (three year) students in spring 2015 year. It lasted for fifteen weeks. Our study aimed at investigating the effectiveness of the blended learning program on improving students' English writing motivation. Although our students have good access to modern technologies, they do not make use of them in their learning in general and English language learning in particular. We believed that using blended learning program could help them increase their motivation which may help them become more effective communicators through writing.

Two groups participated in our study: the experimental group who were taught using blended learning and the control group who were taught using face-to-face learning. There were 12 students in each one. A pre-test was used to check the similarity of achievement between the two groups. It showed that the both groups were similar in their writing skills achievements.

Before the experiment the participants were asked to fill the 25-item questionnaire form which was based on Ashley Renee Payne (Payne, A. R. 2012) Academic Writing Motivation Questionnaire (AWMQ) designed to measure the level of EFL students' academic writing motivation. We tried to find out whether the participants enjoyed writing; completed a writing assignment even when it was difficult; liked to get feedback from an instructor on their writing, enjoyed creative writing assignment; liked classes that require a lot of writing; practice writing in order to improve their skills; enjoy when they have to write a letter, an essy, an article review or other at the exam besides other types of tasks and so on.

There was a response scale for each item that participants used to indicate their level of agreement with each statement. The response scale ranged from zero to four, and values for the scale were as follows: 0 = Strongly Disagree; 1 = Disagree; 2 = Uncertain; 3 = Agree; 4 = Strongly Agree. The maximum total score for each student was 100 points.

Results



The students filled the same questionnaire form before the experiment, in the middle of the experiment and after the experiment. According to their answers we evaluated their motivational level.

As seen from the graph before the experiment both experimental and control groups do have a certain level of motivation. During the experiment the same teaching material was used with the both groups. In the control group the students were taught writing in a traditional way. While the experimental group were taught with blended learning approaches. During the experiment the experimental group students were actively involved in the learning process. The blended learning method enabled them to submit their written assignments via internet. All the submitted works were read, corrected, graded and commented by the teacher. Thus, it was easy for the students to notice the mistakes they had made, the changes, revisions and suggestions given by the course teacher.

Flexibility of the method enabled the students to reach the learning material at any time in any place. So, if they had to miss a lesson they could review the course material themselves. Availability of on-line and off-line resources enabled them to revisit the lesson at the ease and comfort of time. With everything electronic, it was also easy for them to compare and contrast their old and new written assignments. Because it was online, the students felt more comfortable and less anxious to ask questions and discuss these questions among themselves and with the teacher.

conclusion

Research study has shown that students' learning motivation increased significantly because of blended learning model implementation. So, if it is designed correctly, blended learning instruction is an effective learning strategy that can promote student writing motivation.

From the results of the study we can suggest that, the universities need to support the implementation through workshops for teachers and provide the facilities to support blended learning model. And the teachers, on the other hand, should choose the best ways for implementing blended learning in their classrooms.

References

1. Banados, E. (2006). A blended-learning pedagogical model for teaching and learning EFL successfully through an online interactive multimedia environment.*CALICO Journal* 23/3: 533–550.
2. Ellis, R. (1994). *The study of second language acquisition.* Oxford, UK: Oxford University Press.
3. Graham, S ,and Perin,D. (2007). Writing next: Effective strategies to improve writing of adolescents in middle and high schools, a report to Carnegie Corporation of New York.
4. Graham, C.R. & Robinson, R. (2007). Realizing the transformation potential of blended learning: Comparing cases of transforming blends and enhancing blends in higher education. *Blended learning: Research perspectives.*Needham, MA: Sloan - C.
5. Harmer, J. (1991). The Practice of English Language Teaching. London: Longman.
6. Lesáková, Z.(2008). Teaching Productive Skills in Mixed-Ability Classes. Diploma thesis. Brno.
7. Lin, H. (2007).Blending Online Components into Traditional Instruction: A Case of Using Technologies to Support Good Practices in Pre-Service Teacher Education. *Journal of Instructional Delivery Systems* 21(1): 7-16
8. Osguthorpe, R. T., & Graham, C. R. (2003). Blended learning systems: Definitions and directions. Quarterly Review of Distance Education, 4(3), 227-234.
9. Payne, A. R. (2012) Development of the academic writing motivation questionnaire. A Thesis Submitted to the Graduate Faculty of The University of Georgia in Partial Fulfillment of the Requirements for the Degree. Arhens, Georgia.
10. Wang, Y. (2006). "The factor in L2 learning motivation and their pedagogical implications in English classroom". In S*ino-US English teaching.* Retrieved April 9, 2016, from http://www.linguist.org.cn/doc/su200607/su20060706.pdf

მაია აკოლაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შერეული სწავლის გავლენა სტუდენტების მოტივაციის ზრდაზე უცხო ენაზე წერის სწავლისას

რეზიუმე

წერა ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული უნარია უცხო ენის შემსწავლელებისთვის. სტუდენტების დახმარება ამ უნარის დაუფლებისას მასწავლებლებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს. რადგანაც მოტივაცია არის „შინაგანი იმპულსი, რომელიც ადამიანს მოქმედებისკენ უბიძგებს"(Harmer, 1991), გადავწყვიტეთ, ჩვენს სტუდენტებს დავხმარებოდით ამ სირთულის დაძლევაში მათი სწავლის მოტივაციის გაუმჯობესებით. შევეცადეთ, ამ გაუმჯობესებისთვის მიგვეღწია

ისეთი ინოვაციური მეთოდის დანერგვით, როგორიცაა შერეული სწავლის სტრატეგია ინგლისურის, როგორც უცხო ენის წერის სწავლებისას, ტრადიციული პირისპირ სწავლის მოდელის გამოყენების ნაცვლად.

Maia Akolashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

The Impact of Blended Learning on Increasing Students' Foreign Language Writing Motivation

Abstract

Writing is one of the most difficult skill for foreign language learners. To assist students acquire this skill is a real challenge for English language teachers. As motivation is „an internal drive that encourages somebody to pursue a course of action"(Harmer, 1991), we decided to help our students overcome this difficulty by improving their learning motivation. We tried to achieve this improvement by implementing such an innovative method as Blended Learning strategy in teaching EFL writing instead of using traditional face-to-face learning model.

საკვანძო სიტყვები: შერეული სწავლა, პირისპირ სწავლა, მოტივაცია, წერის უნარ-ჩვევები, შემსწავლელები, ვისთვისაც ინგლისური უცხო ენას წარმოადგენს.
Keywords: Blended learning, face-to-face learning, motivation, writing skills, efl learners.

მამული ბუჭუხიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მათემატიკა და ეკოლოგია სწავლების პირველ საფეხურზე

დღევანდელ პირობებში ეკოლოგიური განათლების სწორი ორგანიზება კაცობრიობის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა, რადგანაც ეკოლოგიურმა პრობლემებმა შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სამყაროს.

ეკოლოგიურ პრობლემებს საზღვრები არ აქვს და ის ეხება ნებისმიერ სოციალურ თუ ეთნიკურ ჯგუფს. სხვადასხვა ქვეყანაში ამ პრობლემისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია, საქართველოში ის თავს იჩენს მრავალი ფორმით, კერძდ: ბუნებრივი კატასტროფების, სამომხმარებლო პროდუქტების მავნე ზემოქმედების თუ დემოგრაფიული პრობლემების სახით.

მაშინ როდესაც ადამიანი ვერ ფლობდა ბუნებრივ მოვლენებზე ზემოქმედების საშუალებებს, ხშირი იყო გარე ფაქტორებით გამოწვეული პრობლემები. მეცნიერების განვითარებამ შესაძლებელი გახადა არსებული პრობლემების შემსუბუქება, მაგრამ აუცილებელია ადამიანთა შემეცნებითი აზროვნების ამაღლება, მეცნიერული მიღწევების გამოყენება და სწორი მიდგომა ნებისმიერი პრობლემისადმი.

როდესაც საუბარი მიდის ეკოლოგიური პრობლემის მატემატიკურ ხედვაზე, ერთერთი მაგალითი შეიძლება იყოს დისბალანსი ადამიანთა რაოდენობრივ ზრდასა და მიწის ნაყოფიერებას შორის, კერძოდ: როდესაც მოსახლეობის ზრდა ხდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო არსებობის საშუალებები იზრდება მათემატიკური პროგრესიით, მაშინ იძულებული ვხდებით სხვადასხვა მეთოდითმივიღოთ ადამიანის არსებობისათვის საჭირო აუცილებელი პროდუქტები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ხდება ექსპერიმენტალურად და არც თუ ისე სასარგებლო ფორმებით ადამიანისათვის.

ისე როგორც მეცნიერების ნებისმიერი სხვა მიმართულება ეკოლოგიური პრობლემებიც მჭიდროდ შეიძლება დაუკავშიროთ მათემატიკას. მათემატიკური კვლევებითა და ექსპერიმენტებით შეიძლება დავადგინოთ მისი გამომწვევი მიზეზები და პრაქტიკაში დავნერგოთ ბუნებრივი მოვლენების რაციონალურად და სწორად გამოყენების ფორმები. ამ მიზნით მოცემული პრობლემების სწავლება უნდა დაიწყოს არამარტო სასკოლო, არამედ სკოლამდელიასაკიდანვე.

შეიძლება დავსვათ კითხვა. როგორ შეიძლება ვაჩვენოთ მოსწავლეებს სწავლების პირველ საფეხურზევე მათემატიკის პრაქტიკული ღირებულება ეკოლოგიური აღზრდის პროცესში? ამისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს პედაგოგიურ ფაკულტეტზე დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების პროცესმა, სადაც მომავალ მასწავლებლებს კარგად დავაუფლებთ როგორც მათემატიკის ასევე ბუნებისმეტყველების პროგრამით გათვალისწინებულკურსს. მომავალ მასწავლებლებს ასევე უნდა შევასწავლოთსაგანთაშორისკავშირებისმნიშვნელობა და დამოკიდებულება სასწავლო დისციპლინებს შორის. კონკრეტული საგნების სწავლებაში აუცილებელია სწორი მეთოდური ხედვა და ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება.

სწავლების დაწყებით საფეხურზე მასწავლებელმა დამოუკიდებლად შეიძლება შეადგინოს ისეთი ამოცანები, სადაც მოცემული იქნება არსებული ეკოლოგიური სიტუაციის შემთხვევები, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა ეძებოს მათი გადაჭრის პრაქტიკული ხერხები. ჩვენს შემთხვევაში განვიხილავთ ზემოთ აღნიშნული მიზნით შედგენილ რამდენიმე ამოცანის ამოხსნისა და სწავლების მაგალითს.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით საინტერესო ხდება მათემატიკის გაკვეთილის ჩატარება ბუნებაში (კონკრეტულად სკოლის ეზოში). ამოცანა დავსვათ ასეთნაირად: გავიგოთ ჯგუფში არსებული მოსწავლეების ნაბიჯის საშუალო სიგრძე.

ამისათვის მოსწავლეებს სკოლის ეზოში სპორტულ მოედანზე ან ბილიკზე, შეიძლება გავაკეთებინოთ მონიშნული ათვლის ნებისმიერი ადგილი. მოსწავლეთა მოძრაობა ტრაექტორიის მიხედვით უნდა იყოს წრფივი, აქედან გამომდინარე მოვზომოთ ათვლის საწყისი ადგილიდან 15 მეტრი და მოვნიშნოთ ეს ადგილიც. მოცემულ მანძილს თავისუფალი სვლით გავატარებთ რამდენიმე მოსწავლეს, დავითვლით თითოეული მათგანის ნაბიჯების რაოდენობას, რა თქმა უნდა ეს რაოდენობა იქნება სხვადასხვა, ამ მონაკვეთში და ვიანგარისებთ მატ საშუალოს. შემდეგ მოსწავლეებს გავაკეტებინებთ ჩანაწერს, ვთქვათ მოცემულ მონაკვეთში ნაბიჯების სასუალო რაოდენობა იყო $m = 35$, მაშინერთინაბიჯის საშუალო სიგრძე უნდა იყოს მთლიანი სიგრძე გავყოთ ნაბიჯების რაოდენობაზე. ე.ი 35:15≈0,42მ. მოსწავლეებს შეიძლება მოვთხოვოთ თუ რამდენი სანტიმეტრია 0,42მ და ისინი ადვილად მიხვდებიან რომ 0,42მ=42სმ.

ანალოგიურად შეიძლება შევადგინოთ მარტივი ამოცანა მართკუთხედის ფორმის სასკოლო ნაკვეთის ფართობის გამოთვლაზე. ამოცანის გასააზრებლად მოვნიშნავთ ნაკვეთის ოთხივე კუთხეს, შემდეგ ნაბიჯებით მოსწავლეებს გავაზომინებთ მის სიგრძეს და სიგანეს და შევადგენინებთ შესაბამის სქემას უჯრედებიან ქაღალდზე ისე, რომ ერთი უჯრა შეიძლება ჩავთვალოთ ერთ ერთელად: 1მ^2, 1სმ^2, 1დმ^2; ჩვენს შემთხვევაში ფართობს გამოვთვლით კვადრატულ მეტრებში.



ნახ.1

მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ წინა ამოცანაში მიღებული შედეგები, რომ ერთი ნაბიჯის სიგრძე იყო 0,4 მ. ვთქვათ გაზოვის შემდეგ მივიღეთ, რომ ნაკვეთის სიგრზე არის 45 ნაბიჯი, ე.ი სიგრძე $a = 45 \times 0{,}42 = 18\partial$, ხოლო ნაკვეთის სიგანე 52 ნაბიჯი.

ე.ი $b = 55 \times 0{,}42 = 22\partial$. ნახაზის მიხედვით მოცემული ნაკვეთის ფართობი$s = a \times b$, ჩვენს შემთხვევაში $S = 18\partial \times 22\partial = 396\partial^2$.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოსწავლეებს გავაკეთებინებთშესაბამის დასკვნებს და მივცემთ დავალებას, მათ ანალოგიური გაზომვები გააკეთონ სახლში სხვადასხვა ზომის მართკუთხა ფიგურებზე.

ეკოლოგიური საკითხების შესწავლისას მოსწავლეები სწავლების პირველი საფეხურიდანვე უნდა გავარკვიოთ ადამიანების მიმართ მცენარეების სასარგებლო მნიშვნელობაში. კერძოდ მათ იციან რომ მცენარეები ჩაისუნთქავენ ნახშირორჟანგს და ამოისუნთქავენ ადამიანის არსებობისათვის აუცილებელ ჟანგბადს. სწავლების პირველ საფეხურზე განსაკუთრებით საინტერესოა მოცემულ საკითხზე შედგენილი ამოცანები და მათი ამოხსნა.

განვიხილოთ ამოცანა: გამოთვალეთ რა რაოდენობის ნახშირორჟანგს ჩაისუნთქავს სკოლაში არსებული: მუხის, ვაშლის, ჭადრის და ნაძვის ხეები ერთად.

მასწავლებლის დახმარება მდგომარეობსმასში, რომმიუთითოს ცნობარი სადაც მოსწავლეები მოიპოვებენ მონაცემებს იმაზე თუ რა რაოდენობის ნახშირორჟანგს მოიხმარს თითოეული სახეობა. ჩვენს შემთხვევაში: 10 წლის მუხა თვეში მოიხმარს 25კგ; ვაშლი15კგ; ჭადარი 35კგ; ნაძვი 7კგ. მონაცემები შეიძლება ჩაიტანონ შესაბამის ცხრილში (ცხრილი.1) და მოახდენენ გაანგარიშებას იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის და როგორი სახეობის ხეებია სკოლის ეზოში.

მცენარის დასახელება	რაოდენობა	მოხმარებული ნახშირორჟანგი	ნახშირორჟანგის საერთო რაოდენობა
მუხა			
ჭადარი			
ვასლი			
ნაძვი			
სულ			

ცხრილი.1

მოცემული ამოცანა მოსწავლეებს შეიძლება მივცეთ სხვა ფორმითაც, კერძოდ პარკის ან სკოლის ეზოში როგორ შეიძლება გაიწმინდოს ჰაერი. თუ ცნობარიდან ავიღებთ მონაცემებს, მაგალითად გარკვეულ ფართობზე მოცემული ხეების რაოდენობა თუ რამდენ ნახსირორჟანგს მოიხმარს.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ხასიათის ამოცანების სწავლება აუცილებელია პირველი საფეხურიდანვე, რათა მოსწავლეებში საწყის ეტაპზე მოხდეს განსაკუთრებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება ბუნების მიმართ, მოსწავლეებს შეიძლება ხატოვნად განუმარტოთ, რომ მცენარეებს და საერთოდ ტყეებს ბუნების ფილტვებს უწოდებენ.

სასწავლო პროცესში მოსწავლეებს უნდა გავაგებინოთ, რომ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობები ჩადებულია თვითონ ბუნებაში, მაგრამ მათი შეცნობა და პრაქტიკაში დანერგვა დამოკიდებულია მეცნიერების სხვადასხვა დარგის და პრაქტიკოსების მიერ დაგროვილი ცოდნის გამოყენებაზე, რაშიდაც დიდი როლი ენიჭება მათემატიკური და ლოგიკური უნარის შეძენას, რამდენადაც მატემატიკას გააჩნია ამოუწურავი შესაძლებლობები სხვადასხვა სახის ექსპერიმენტების, სტატისტიკური მონაცემებისა და გამოთვლების დამუშავებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუნებისმეტყველების სასკოლო სახელმძღვანელოები უახლესი გამოცემა.
2. www.ttimes.ge
3. www.blogspot.g

Mamuli Buchukhishvili

Akaki Tsereteli State University

Ecology and Mathematics Teaching in the First Cycle

Abstract

As well as any other areas of science, environmental issues closely can connect mathematics. Mathematical studies and experiments can establish its causes and to introduce the practice of natural phenomena in a rational and proper use of forms. To this end, the education has to start not only the school, but also to pre-school age.

Teaching at the primary level, the teacher can make up for such tasks independently, which will provide the environmental situation in the cases, with the pupils to look for ways of solving them practical.

The above article will discuss some of the composite problem solving and learning by example. Where students are using the process to determine the nature of the current ecological rectangular plot of land and carbon dioxide absorbed by the plants and the number of oxygen.

საკვანძო სიტყვები: მათემატიკა, ეკოლოგია, ბუნება, ამოცანა, ჟანგბადი, საგანთაშორისი.

Keywords: Mathematics, ecology, nature, activity, oxygen, interdisciplinary

ნათელა მაღლაკელიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასკოლო განათლების ენობრივი პოლიტიკა და მულტილინგვალიზმი

სასკოლო განათლების ენობრივი პოლიტიკა ამ ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ყველას კარგად გვახსოვს ის დრო, როდესაც რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ქვეყანას (მათ შორის საქართველოსაც) უნდა ჰქონოდა ორი „მშობლიური“ ენა: ერთი დედაენა, მეორე - ყველასათვის სავალდებულო და საჭირო რუსული ენა. ეს საკითხი - ორი მშობლიური ენის პრობლემა - სადისკუსიოდ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე იქცა. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართულ საგანამნათლებლო სივრცეში სასკოლო განათლების ერთადერთ ენად რუსულია მიჩნეული, ხოლო ქართული ენა მთლიანად განდევნილია სასკოლო განათლების სფეროდან. ი. გოგებაშვილის თქმისა არ იყოს, „რუსეთთან შეერთების შემდეგ სარწმუნოება უზრუნველყოფილი იქნა, მაგრამ დიდი განსაცდელის წინაშე დადგა ჩვენი ენა.“ (ი. გოგებაშვილი, ეროვნული სენის მიზეზი და წამალი, ტ. მე-3, 1954 წ.)

ჩვენს წინაპრებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ საიმისოდ, რომ ქართული ერთ-ერთ სავალდებულო საგნად მაინც დარჩენილიყო სკოლაში. „ქართული ენა უნდა გახდეს სავალდებულო საგნად ყველა ქართველთათვის, მიენიჭოს სრული უფლება საშტატო საგნისა... მასწავლებელს ეძლეოდეს იმდენივე ჯამაგირი, როგორც სხვა საგნის მასწავლებლებსა“ (ი. გოგებაშვილი, შევიწროება ქართული ენისა და და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში, ტ. მე-4, 1955 წ). დიდი ილიას აზრით კი, „პირველ სამ წელიწადს მოსწავლე მხოლოდ დედა ენაზე უნდა მეცადინეობდეს, შემდეგ მეოთხე წლიდან უნდა შემოდიოდეს სკოლაში რუსული და სხვა ენები“.

მხოლოდ მე-19 საუკუნის მიწურულს შეიმუშავა საგანგებო კომისიამ ალექსი ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით „სასწავლო გეგმა“, რომლის მიხედვით სწავლება დაწყებით სკოლაში უნდა წარმართულიყო მშობლიურ (ქართულ) ენაზე. რა თქმა უნდა, ეს გეგმა მაშინდელი ოფოციოზის მიერ უარყოფილი იქნა, უფრო მეტიც - გაორმაგებული ძალით შეუტიეს ქართულ ენას და იგი საგანმანათლებლო სივრციდან თითქმის მთლიანად განდევნეს.

ბილინგვიზმის პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დადგა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როდესაც ქართული და რუსული ენები ფაქტიურად თანაბარუფლებიანები იყვნენ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამ საკითხზე განსაკუთრებით მწვავედ დაიწყო კამათი გასული საუკუნის 80-იან წლებიდან. ამ მხრივ საინტერესოა პროფ. გ. ნებიერიძის სტატიათა ციკლი მშობლიური ენისა და გენეტიკის ურთიერთმიმართების შესახებ. მისი აზრით, მშობლიური ენა გარკვეული თვალსაზრისით გენეტიკური მოვლენაა. ბავშვი წინასწარ არის „დაპროგრამებული“ საიმისოდ, რომ ამა თუ იმ ენაზე ამეტყველდეს. „ჩვილს თან დაჰყვება გარკვეული გენეტიკური პროგრამა და ეს პროგრამა შეიძლება იყოს მშობლიური ენის გენეტიკური პროგრამა. ამ პროგრამას საზოგადოება სჭირდება, მხოლოდ საზოგადოება გარდაქმნის თანდაყოლილ ლინგვისტურ ნიჭს საკომუნიკაციო სისტემად“. ამ შეხედულებას იგი

ამყარებს დაახლოებით ამავე პერიოდში ქართულ სამშობიაროში პროფ. ზ. ჯაფარიძის მიერ ჩატარებული ცდების მონაცემებით. ცდის შედეგები მეტად საინტერესო აღმოჩნდა - ახლადდაბადებული გენეტიკურად ქართველი და გენეტიკურად რუსი ბავშვები თურმე „სხვადასხვა ენაზე“ ტირიან. უფრო მეტიც - ჩვილის ტირილით გამოწვეული ჰაერის ტალღების რხევის სიხშირე ემთხვევა დედის საუბრით გამოწვეულ ჰაერის ტალღების სიხშირეს. (გ. ნებიერიძე, მშობლიური ენა და გენეტიკა, გაზ.“ სახალხო განათლება“, №45-48, 1989)

ამავე მოსაზრებას ავითარებდა პროფ. ნ. ნათაძეც. მისი აზრით, ყველა ენას აქვს საკუთარი ა) ბგერათსისტემა, ბ) ცნებათსისტემა. ენის ბგერათსისტემა „დამყარებულია იმ გენეტიკურ (თანდაყოლილ) ბუნებრივ მონაცემებზე, ამა თუ იმ ხალხს ჩასახვის დროიდანვე რომ მოსდევს. ასეთი მონაცემებია ჩვენი სამეტყველო ორგანოების, ჩვენი ნერვული სისტემის აღნაგობა, რომელიც ბგერათა წარმოთქმის სხვადასხვა თავისებურებებს განაგებს...“. რაც შეეხება ცნებათსისტემას, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვაგვარად „ხედავს“ სამყაროს, სხვადასხვა საგნებს ხედავს და ასხვავებს, სხვადასხვა ცნებებს ქმნის... სხვადასხვა ენა სამყაროს სხვადასხვა სურათს გვიხატავს. აქვე ნ. ნათაძეს ნიმუშად მოაქვს ერთი მეტად საინტერესო ცდა, ჩატარებული იაპონელ ბავშვებზე: ერთი მხრივ იმ ბავშვებზე, რომლებიც დაბადებიდან ერთენოვან (ამ შემთხვევაში იაპონურენოვან) გარემოში გაიზარდნენ და მეორე მხრივ იმ ბავშვებზე, რომლებიც ბილინგვალურ (იაპონურ-ინგლისურ) გარემოში გაიზარდნენ. ცდის შედეგების მიხედვით პირველთა უპირატესობა სკოლაში სწავლისას აშკარა აღმოჩნდა როგორც ჰუმანიტარულ საგნებში, ისე - მათემატიკაში. (ნ. ნათაძე, დედაენის როლი ადამიანის ცხოვრებაში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №4, 1986)

დაახლოებით მსგავს პოზიციაზე დგას პროფ. გ. რამიშვილიც, რომელიც ასევე მიიჩნევს, რომ „დედაენაში (რომელც არ ნიშნავს უთუოდ დედის ენას) მოცემულია გარემომცველი და შინაგანი სამყაროს ხედვის ფორმები, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი „მსოფლხედვაა“, თანაც ყოველ ერს თავისი საკუთარი „ენობრივი მსოფლხედვა აქვს“ (გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ. 200, გვ. 6).

დისკუსიიდან გამომდინარე ყველაზე შეურყეველი მეცნიერული დასკვნა ასეთი გახლდათ: არ შეიძლება ადამიანს ორი მშობლიური ენა ჰქონდეს, მშობლიური ენა ერთადერთია, „იგი სისხლია ხალხისა, რომელშიც გენეტიკურად არის ჩაწერილი მისი ისტორია და კულტურა... ეროვნული გენოფონდი, ანუ უბრალოდ - გენი - შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ნეიროლინგვისტური სისტემა და ამდენად მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მშობლიური ენა“ (გ. ნებიერიძე). ამიტომაც სასკოლო განათლების ენაც უნდა იყოს მშობლიური ენა. „ქართულ სკოლებში საგანთა სწავლების ღერძი ქართული ენა უნდა იყოს. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თვითონ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას, რომელიც აგრეთვე საფუძვლად უნდა იქცეს სკოლაში „სხვათა კულტურის“ სწავლებისა.(გ. რამიშვილი, გვ. 18) „სხვათა კულტურის“ სწავლებაში იგი უცხოურ ენებს გულისხმობს. დედაენა, ქართული ენა, მას უცხო ენების სწავლების არა მხოლოდ პირველ საფუძვლად მიაჩნია დროში (ჯერ დედაენა, შემდეგ უცხო ენა), არამედ მისი განმსაზღვრელადაც. მისი აზრით, არ არსებობს უფრო უეჭველი საშუალება საკუთარი ენის დედააზრის შეცნობისა, თუ არა სხვა ენის სამყაროში გადანაცვლება. ამიტომაც მოითხოვს, რომ უცხო ენის სწავლება დაიწყოს არა უადრეს მე-3 კლასისა. აღასანიშნავია, რომ პროფ. გ. რამიშვილი გახლდათ დამფუძნებელი

საქართველოში ერთ-ერთი პირველი ბილინგვური (ქართულ-გერმანული) სკოლისა, რომელიც დღემდე წარმატებით განაგრძობს საქმიანობას.

ბოლო ათწლეულებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკური ვითარების შეცვლამ გამოიწვია ენობრივი პოლიტიკის შეცვლაც: დღეს ქართული ენა აფხაზურთან ერთად საქართველოში **სახელმწიფო ენაა.** როგორც ცნობილია, სახელმწიფო ენა არის ამა თუ იმ ქვეყნის ოფიციალურად აღიარებული ძირიათადი ენა, სახელმწიფო ენის სტატუსს განსაზღვრავს კონსტიტუცია, ხოლო მისი ფუნქციონირების საზღვრებს ადგენს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ამჟამად ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, ფუნქციონირებს ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისა.

ამასთანავე ქართული ენა საქართველოში მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის **მშობლიური ენაც** არის. მშობლიურ ენად, პირველ ენად, ჩვეულებრივ, მიჩნეულია ის ენა, რომელსაც ბავშვი ბუნებრივად ოჯახში, მშობლების გარემოცვაში ითვისებს ყოველგვარი ინსტრუქციების გარეშე. საქართველოს ეთნიკური უმცირესობებისათვის კი ასეთია აზრბაიჯანული და სომხური ენები.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 3051 სკოლა: 2805 საჯარო და 246 კერძო, აქედან ქართულ ენაზე სწავლება მიმდინარეობს 1843 სკოლაში. ამ სკოლებში ქართული ენა არა მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო დისციპლინაა, არამედ ხსვა საგანთა სწავლების საფუძველიც. იგი მშობლიური ენაა, დედაენაა, რომლის სწავლებაც ბავშვის აზროვნების, ინტელექტის განვითარებისაკენ არის მიმართული. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის ბირთვს წარმოადგენს ენა, როგორც პიროვნების თვითგამოხატვის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადაცემის საშუალება. მშობლიური ენის სწავლება სკოლაში ემსახურება აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სწავლების ყველა ძირითადი - **ზეპირმეტყველების, კითხვისა** და **წერის** - მიმართულებით. აღსანიშავია ის ფაქტიც, რომ განათლების რეფორმამ სასწავლო საგნების ნუსხიდან 2005 წელს ამოიღო ქართული ენა და იგი პირველიდან მეთორმეტე კლასამდე ქართულ ლიტერატურასთან ინტეგრირებულად ისწავლება. სწავლების პროცესში ყველა საფეხურზე ენის საკითხები უკავშირდება მხოლოდ საკითხავ ტექსტებზე მუშაობასა და კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციას. არ ხდება „ცოდნის დაგროვება“, მთელი აქცენტი კეთდება ამ ცოდნის პრაქტიკულად „გამოყენებაზე“. ეროვნულ სასწავლო გეგმაში („საგნობრივ სტანდარტში“) არსად არ არის მითითებული კონკრეტულად ენის რომელ საკითხებს უნდა დაეუფლოს მოსწავლე სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე. აქ მოცემულია მხოლოდ „შედეგები“ სათანადო „ინდიკატორებით“. თუ როდის რა მასალა უნდა ასწავლოს მასწავლებელმა, ეს თავად მისი (და სახელმძღვანელოს ავტორთა) გადასაწყვეტია.

დღევანდელი ქართული სკოლა თავისი არსით მულტილინგვალურია. დღეს უკვე პირველი კლასიდან იწყება უცხო ენის სწავლება ქართულ სკოლაში. აქედან სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ეს არის ინგლისური ენა, ხოლო მეორე უცხო ენა, როგორც წესი, არჩევითია და მისი არჩევა სკოლას უწევს მე-5 კლასიდან (რუსული, ფრანგული, გერმანული, თურქული, იტალიური, ესპანური...), რაც შეეხება მესამე უცხო ენის არჩევას, ეს სკოლის რესურსებისა და სურვილიდან გმომდინარე ხდება მე-10 კლასში.

ამდენად, 6 წლის მოსწავლეს (და ზოგ შემთხვევაში 5 წლისასაც, რადგანაც 2011-14 წლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით სკოლებში

დაიშვებოდნენ 5 წლის ბავშვებიც) უწევს ერთდროულად ორი ენის - მშობლიური ენისა და უცხო ენის (უპირატესად ინგლისური ენის) - დაუფლება.

ენების სწავლების მხრივ კიდევ უფრო რთულად არის საქმე ეთნიკური არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში. როგორც ცნობილია, საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა - მისი მოსახლეობის დაახლოებით 13 %-ს ეთნიკურად არაქართველები შეადგენენ, მათგან უმრავლესობა ეთნიკური სომეხი - 248 949 - 5, 7% და აზერბაიჯანელია - 284 761 - 6, 5%. (სალომე მეხუზლა და ეიდინ როშე, განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში, EROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES, სექტემბერი, 2009). მათთან საზოგადოდ ენის საკითხი და მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან სუბიექტისათვის ის შერწყმული და გათანაბრებულია ეროვნულ თვითიდენტიფიკაციასთან. ენის მეშვეობით ეთნიკური უმცირესობა ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი ეროვნულობა, რასაც, მათი აზრით, ამ სხვა, არა საკუთარი, ქვეყნის ტერიტორიაზე საფრთხე ემუქრება. გამონაკლისი არც საქართველოს პოლიეთნიკური რეგიონებია, სადაც მოსახლეობა, ენობრივი რუსიფიკაციის ინერციით, ფლობს რუსულ ენას და ნაკლებად - ქართულს, რომელიც მათთვის ახლა სახელმწიფო ენაა. ამ სკოლების დაახლოებით 11 %-ში (243 სკოლა) სწავლება მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობების ენაზე, ძირითადად სომხურად და აზერბაიჯანულად. აქ **მშობლიურ** ენასთან ერთად პირველი კლასიდან ისწავლება ქართულიც, როგორც **სახელმწიფო ენა,** რომელიც მათთვის მეორე ენაა, ამასთანავე - **პირველი უცხო ენა,** რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ინგლისურია; მე-5 კლასიდან კი ამას არჩევით ემატება **მეორე უცხო ენა** (რუსული, გერმანული, ფრანგული...). ამგვარად, უკვე პირველი კლასიდან მოსწავლეს ერთდროულად უწევს სამი ენის შესწავლა, ხოლო სკოლის დამთავრებისას კი მას სხვადასხვა დონეზე 4 ენის ფლობა მოეთხოვება.

აქედან გამომდინარე, თუ წლების წინ საუბარი გვიხდებოდა მხოლოდ ბილინგვური სწავლების პრობლემებზე, დღეს უკვე მულტილინგვალური განათლების ავ-კარგზეც უნდა ვისაუბროთ. ალბათ დროა, ჩატარდეს კვლევა და გაირკვეს, რა ენობრივ და საგნობრივ კომპეტენციებს ფლობენ მულტილინგვალური სკოლების კურსდამთავრებულნი, რამდენად უწყობს მულტილინგვალური სწავლება მათ გარემოში ადაპტირებას, მომავალ პროფესიულ დაოსტატებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. გოგებაშვილი, ეროვნული სენის მიზეზი და წამალი, ტ. მე-3, თბ. 1954 წ
2. ი. გოგებაშვილი, შევიწროება ქართული ენისა და და ქართველებისა სწავლა-განათლების სფეროში, ტ. მე-4, თბ. 1955 წ
3. ს. მეხუზლა, ე. როშე, განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში, EROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES, სექტემბერი, 2009
4. ნ. ნათაძე, დედაენის როლი ადამიანის ცხოვრებაში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, #4, 1986
5. გ. ნებიერიძე, მშობლიური ენა და გენეტიკა, გაზ.“ სახალხო განათლება“, #45-48, 1989
6. გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ. 2000

Natela Maglakelidze
Ilia State University

Language Education Policy in Georgian Multilingual School

Abstract

Nowadays Georgian language in a Georgian multilingual school is not only a teaching discipline, but the basis for learning other subjects as well. The language represents the nucleus of the Disciplinary Standard of Georgian language and literature, as the means of personal self expression, development of views and their expression. Teaching Native language at school serves the shaping of skills needed for the development of language skills in all major directions – namely oral speech, reading and writing. Analysis of the relevant scientific literature, observation over the teaching process and study and geenralizarion of teachers' experience shows us that conscious study and consideration of the native language canons plays the major part in the shaping of oracy skills as well as increase of sudents' literacy level in geeneral, while the role of **school grammar** in the process is inestimable.

საკვანძო სიტყვები: ბილინგვური განათლება, მულტილინგვალური, მშობლიური ენა, უცხო ენა, სახელმწიფო ენა
Keywords: Bilingual education, multilingual, native language, foreign language, state language.

Natia Gabashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Using Audio-Lingual Method and Listening Approach for Developing Communicative Competence in Foreign Language Learners

Language is the most important and necessary aspect in the life of all living beings. We use language to express our beliefs, knowledge, thoughts, feelings and opinions, communicate with others and just maintain our culture. "The primary motive of a language is its communicative means" (Littlewood, 1996).

There are more than 6,000 languages in use around the globe. Studying a foreign language is a key component for understanding and communicating with the people of a foreign culture. Today, the fastest spreading and the most widely spoken foreign language is English. It is a dominant foreign language worldwide as it has become the language of scientific research papers, trade, business, economics, etc. English is learned and spoken internationally and it motivates diverse people of different ethnicities to learn this language and be able to communicate on a more or less equal basis.

Speaking a foreign language like a native speaker is the dream for many language learners. Unfortunately, not many learners have been able to achieve this goal as learning a foreign language is a very complex process but to reach the level of fluency is possible and attainable.

In the foreign language teaching methodology there exists various methods for successful teaching but one of the useful way for teaching communicative fluency is Audio-Lingual method.

This method is useful and effective for conscious learning and for unconscious acquisition as well. This method was developed in 1950s and the emphasis was not on the understanding of words, but rather on the acquisition of structures and patterns in common everyday dialogue unconsciously. With the help of this method all the skills of a language-reading, writing, speaking and listening can be developed. But still spoken vocabulary occupies the most important place. In the classroom the usage of native language should be restricted. Based on the various listening/audio tasks learners' vocabulary is also enriched. As a result of vast number of acquired vocabulary foreign language knowledge becomes systemic. These patterns are elicited, repeated and tested until the responses given by the student in the foreign language become automatic. According to Richards "language is verbal behavior-automatic understanding of speaker and its production" (Richards, 1987).

Some of the key features of this method are the following:

- Grammatical explanations are kept to a minimum
- Vocabulary is taught in context
- Audio-visual aids are used
- Focus is on pronunciation
- Correct responses are positively reinforced immediately

Somehow this method is based on behaviorist principal which underlines the fact that language is elicited by a stimulus and that stimulus then triggers a response. The response in turn then produces some kind of reinforcement.

In Audio - lingual method listening practice is the major component and the result is developed communicative skill. Listening provides such input that are key basis for language acquisition and enables students to interact in communication. Oral language skills are essential part of a learner's language and literacy development. Listening is key to all effective communication, without the ability to listen effectively messages are easily misunderstood – communication breaks down and the sender of the message can easily become frustrated or irritated.

Listening is a psychological phenomenon, which takes place on a cognitive level inside people's heads, and a social phenomenon, which develops interactively between people and the environment surrounding them (Bueno,A.D.2006). There exist different listening tasks and various ways of delivering a listening task. But before the listening stage it is important that learners have certain background in the target language. S/he should possess the amount of vocabulary and grammar competence. All this will help students to foresee what the given listening task is about. The learners should also have the ability to understand the material according to context. In case s/he can't understands the exact meaning of a given word or phrase they must have the skill of guessing according to context and get general picture of the text.

A teacher in the class should assist learners to develop certain strategies for effective listening. These strategies can be classified according to the listener's ability to process the input. These strategies can be top-down, bottom-up or metacognitive.

Top-down strategies are based on listener. They are based on the background knowledge of the student's language:

- listening for the main idea
- predicting
- drawing inferences
- summarizing

Bottom-up strategies are text based; the listener relies on the language in the message, that is, the combination of sounds, words, and grammar that creates meaning. Bottom-up strategies include:

- listening for specific details
- recognizing cognates
- recognizing word-order patterns

The difference between the two above presented strategies is the following: For the Top-down process, students take into account the context and do not need to pay attention on specific details while in Bottom up listening process, students have to pay attention because here, specific details are very important to understand the whole meaning of the conversation or another kind of listening activity. The listener focuses on individual words and phrases, and achieves understanding by stringing these detailed elements together to build up a whole.

Students also use metacognitive strategies that aim to monitor, plan and assess the listening. They use planning for deciding which listening strategies to use as well as monitor the effectiveness of the chosen strategy and finally evaluate if they have reached the listening comprehension aim.

Successful language learners should simultaneously use top-down and bottom-up strategies to clearly understand the meaning. They have to choose the parts in the listening that are suitable for understanding the main idea and ignore the least important ones. This method helps learners to concentrate on specific information and reduce the amount of information they have to hold in short-term memory in order to recognize it.

According to Nunan (Nunan, D. 2001), Listening is a six-staged process, consisting of Hearing, Attending, Understanding, Remembering, Evaluating and Responding.

These stages occur in sequence. The first one is *Hearing* and has to do with the response caused by sound waves stimulating the sensory receptors of the ear; hearing is the perception of sound, not necessarily paying attention, you must hear to listen, but you need not listen to hear. For this, we have *Attention*. It refers to a selection that our brain focuses on. The brain screens stimuli and permits only a select few to come into focus.

The third stage is *Understanding,* which consists of analyzing the meaning of what we have heard and understanding symbols we have seen and heard. We must analyze the stimuli we have perceived. Symbolic stimuli are not only words, they can be as well. To do this, we have to stay in the right context and understand the intended meaning. The meaning attached to these symbols is a function of our past associations and of the context in which the symbols occur for successful interpersonal communication: the listener must understand the intended meaning and the context assumed by the sender. After following with the next stage, it is necessary to make a remark: as it has mentioned previously, the background knowledge is important and people have to take into account several points: general factual information, local factual information, socio-cultural knowledge and knowledge of context. With these factors, the information will be correctly received. The next step, *Remembering*, is an important listening process because it means that an individual, in addition to receiving and interpreting the message, has also added it to the mind's storage bank, which means that the information will be remembered in our mind. But just as our attention is selective, so too is our memory, what is remembered may be quite different from what was originally heard or seen. The next stage is *Evaluating*, the listener evaluates the message that has been received. It is at this point when active listeners weigh evidence, sort fact from opinion and determine the presence or absence of bias or prejudice in a message. The effective listener makes sure that he or she does not begin this activity too soon, as beginning this stage of the process before a message is completed results in no longer hearing and attending to the incoming message and, as a result, the Listening process ceases. At last we have *Responding* stage, in which, according to the response, the speaker checks if the message has been received correctly. This stage requires that the receiver complete the process through verbal or non verbal feedback, because the speaker has no other way to determine if a message has been received. Therefore, it is sometimes complicated as we do not have the opportunity to go back and check comprehension.

As Lindsay and Knight declare (Lindsay, C. and Knight, P.2006), people have four different purposes when they listen: We listen for a purpose, but this purpose can be very different depending on the situation: listening for specific details, listening for general meaning, listening for the general idea or gist. There is also a difference between listening: for information; for enjoyment or social reasons; to learn new language.

When teachers are teaching listening, apart from the purpose, it is very important to follow a pattern. Bueno, Madrid and McLaren (Bueno, A, D. Madrid and N. McLaren. 2006) establish the following pattern: 1) Pre-listening would be the first stage, where the context is established. The teacher creates motivation and students do some activities with the purpose of preparing them for what they will hear. 2) The following stage is listening, where learners do the mentioned tasks or find answers. 3) The last stage is post-listening, the part where students have the opportunity to check their answers to the listening task heard in order to give feedback and consolidate what they have learnt. It is useful for teachers because it helps to analyze particular difficulties the students could have with the listening activity.

Listening is a vital skill for language learning. An important goal of teaching listening is to develop learners' foreign language competence that will enable them to communicate effectively in the target language. According to Krashen EFL learning is now more regarded as a process of acquiring linguistic and communicative competences (Krahen,S.D. 1976). In order to reach native like speaking in the English language it is very important to have active practice and listening activities in a foreign language class. In such away teacher creates the atmosphere where a foreign language is unconsciously acquired such a baby acquires the native language of his/her own and it provides the development of communicative competence. Listening helps students to master native like pronunciation which is important component of a language. Communication requires to be a good recipient (listener) and to be able to express one's own ideas clearly(sender).

We would like to offer teachers that it's successful if in combination with listening tasks communication activities will be used to reach the goal of speaking fluency. Communicative activities should be logical continuation of listening tasks which must be designed to be lively, interactive, and fun. When students are comfortable they are likely to learn more. The most useful activities that a teacher can use in the classroom to provide language acquisition process can be the following: information gap activities, role plays, simulation activities, jigsaws, discussions, games, interviews, etc.

Listening is a skill which provides such input that can be very significant for foreign language acquisition in general and for the development of the speaking/communicative skill in particular. Listening skill allows learners to make sense and understand what is hidden behind the words, phrases or a sentence. With the help of listening tasks provided by the teacher a good vocabulary base, effective pronunciation of target language and as a result automatic communicative competence are developed into a student. With the help of these skills a fluent knowledge of foreign language can be successfully reached.

References

1. Bueno, A, D. Madrid and N. McLaren, (eds). 2006. *TEFL in Secondary Education*.Granada: Editorial Universidad de Granada.
2. Krahen,S.D. 1976. *Formal and informal linguistic environments in language acquisition and learning .TESOL QUARTERLY.*
3. Lindsay, C. and Knight, P. 2006. *Learning and Teaching English*. Oxford.
4. Littelwood, W.1996. *Foreign and second language learning*. Cambridge University Press.)
5. Nunan, D. 2001. *Designing Tasks for the Communicative Classroom*. Cambridge.
6. Richards, J.C. Rodgers, T.S.1987. *Approaches and Methoda in language Teaching*. Cambridge University Press.

ნათია გაბაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აუდიო-ლინგვო მეთოდისა და მოსმენის მეთოდის გამოყენება კომუნიკაციური კომპეტენციის განსავითარებლად უცხო ენის შემსწავლელებში

რეზიუმე

უცხო ენის ცოდნა დღეს აუცილებელი უნარია თითოეული ადამიანისათვის. იგი მთავარი კომპონენტია უცხო ქვეყნის კულტურის ხალხთან კომუნიკაციისათვის. უცხო ენის სწავლა კომპლექსური პროცესია, მაგრამ მისი თავისუფლად ფლობა ნამდვილად შესაძლებელია.

სტატიაში წარმოდგენილია აუდიო-ლინგვო მეთოდის მნიშვნელობა, რომელიც სწავლების მეთოდიკაში ერთ - ერთი საჭირო მეთოდთაგანია. აღნიშნული მეთოდის მთავარი კომპონენტია მოსმენის პრაქტიკა, რაც უცხო ენის შეთვისებისათვის აუცილებელ ბაზას წარმოადგენს და შემსწავლელს აძლევს საშუალებას აწარმოოს კომუნიკაცია. სტატიაში ეფექტური მოსმენის სტრატეგიები და დონეები ნათლადაა განმარტებული, რომელთა სინქრონულად, თანმიმდევრულად განხორციელებაც აუცილებელია.

მოსმენა წარმატებული კომუნიკაციის წარმართვისათვის მეტად აუცილებელი პირობაა. მის გარეშე შესაძლოა კომუნიკაცია სათანადოდ ვერ დამყარდეს და საუბრის მთავარი აზრი არასწორად იყოს გაგებული.

Natia Gabashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Using Audio-Lingual Method and Listening Approach for Developing Communicative Competence in Foreign Language Learners

Abstract

Speaking a foreign language is essential today. It is a key component for understanding and communicating with the people of a foreign culture. Learning a foreign language is a very complex process but to reach the level of fluency is possible and attainable.

The article introduces audio-lingual method which is one of the useful methods in teaching methodology. In Audio - lingual method listening practice is the major component and the result is developed communicative skill. Listening provides such input that are key basis for language acquisition and enables students to interact in communication. Strategies, patterns and stages of effective listening are offered that should occur simultaneously and in sequence.

Listening is key to all effective communication, without the ability to listen effectively messages are easily misunderstood – communication breaks down and the sender of the message can easily become frustrated or irritated.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაციის უნარი, კონსოლიდაცია, შეთვისება, თავისუფლად მეტყველება, ენობრივი ინფორმაცია.
Keywords: Communicative competence, consolidate, acquisition, language fluency, input.

ნინო დავითაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მოსასმენი მასალის გამოყენება უცხო ენის სწავლებისას

მოსმენის სწავლების ეფექტურ მასალად მიჩნეულია პედაგოგის საუბრი, სტუდენტის/სტუდენტების საუბრი, ინგლისურენოვანი სტუმრის საუბრი. ასევე მოსმენის სწავლებისას ეფექტურ მასალადაა მიჩნეული ინგლისურენოვანი სიმღერები და ვიდეო მასალა.

სწორედ ეს მასალებია მოცემული უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკის თანახმად აგებულ სახელმძღვანელოებში.

პედაგოგის, სტუდენტის/სტუდენტების და ინგლისურენოვანი სტუმრის საუბრის გამოყენება მოსმენი სწავლებისას

მოსმენის სწავლების მასალებიდან აღსანიშნავია პედაგოგის, სტუდენტების, ინგლისურენოვანი სტუმარის საუბარი. ასევე საყურადღებოა ინგლისურენოვანი სიმღრების გამოყენება.

პედაგოგის საუბარი. მოსმენის სწავლებისას შესასწავლ ენაზე პედაგოგის საუბარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პედაგოგს საუბრისას შეუძლია ააჩქაროს საუბრის ტემპი თუ ამის საჭიროებას შეამჩნევს ან გაიმეოროს მნიშვნელოვანი ადგილები და განმარტოს რთული ლექსიკა. მას ასევე შეუძლია შემსწავლელები ინტერესის გათვალისწინებით და მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით შეარჩიოს საუბრის შინაარსი.

სტუდენტის/სტუდენტების საუბარი. მოსმენის სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მასალას სტუდენტის/სტუდენტების საუბარი წარმოადგენს. თანამედრივე ენის სწავლების მეთოდიკა სწორედ სტუდენტების საუბრის დროის (STT) გაზრდას და შესაბამისად პედაგოგის საუბრის დროის (TTT) შემცირებას გულისხმობს. პედაგოგის საუბრის მსგავსად სტუდენტის საუბარსაც მთელი რიგი დადებითი ფაქტორები ახასიათებს. სტუდენტს საუბრისას შეუძლია ააჩქაროს საუბრის ტემპი თუ ამის საჭიროებას შეამჩნევს ან გაიმეოროს მნიშვნელოვანი ადგილები, განმარტოს რთული ლექსიკა, შემსწავლელების ინტერესის გათვალისწინებით და მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით შეარჩიოს საუბრის შინაარსი.

თუმცა ვილსონის (Wilson, 2008) აზრით ზოგიერთ პედაგოგს არ უყვარს დროის დათმობა სტუდენტების საუბრისათვის, რადგან ისინი თვლიან, რომ ამ დროს

- სტუდნეტები სწავლობენ ერთმანეთის შეცდომებს;
- სტუდენტები ცუდ მაგალითს აძლევენ ერთმანეთს;
- სტუდენტები საუბრის დროს იყენებენ მშობლიურ ენას;
- სტუდენტების საუბარს ვერ აკონტროლებს პედაგოგი, როდესაც ისინი ბევრნი არიან და საუბრობენ წყვილებში.

ვილსონი (Wilson, 2008) ემიჯნება ამ პედაგოგებს და თვლის, რომ

- სტუდენტები ერთმანეთისაგან არა მხოლოდ შეცდომებს იმახსოვრებენ, არამედ სწორ კონსტრუქციებსაც სწავლობენ;
- სტუდენტები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს დადებით მაგალითს აძლევენ;
- სტუდენტების საუბრისას მშობლიურ ენაზე გადასვლა შესაძლებელია აკონტროლოს პედაგოგმა;

- კომუნიკაციური მიდგომა არ საჭიროებს სტუდენტების ნათქვამი ყველა სიტყვა გააკონტროლოს პედაგოგმა.

ინგლისურენოვანი სტუმრის საუბარი. ინგლისურენოვანი მოსაუბრის მიწვევა ლექციაზე მოსმენის სწავლების ერთ-ერთ მასალად ითვლება. ვილსონი (Wilson, 2008) თვლის, რომ მოსმენის სწავლებისას ინგლისურენოვანი მოსაუბრის საუბარის მოსმენა საშუალებას აძლევს სტუდენტებს:

- მოუსმინონ პირდაპირ საუბარს;
- მოუსმინონ ავთენტურ საუბარს.

ამრიგად, პედაგოგის საუბარი, სტუდენტის/სტუდენტების საუბარი და ინგლისურენოვანი სტუმრის საუბარი საშუალებას იძლევა:

- აჩქარდეს საუბრის ტემპი თუ ამის საჭიროებაა;
- გამეორდეს მნიშვნელოვანი ადგილები და განმარტებულ იქნას რთული ლექსიკა;
- შემსწავლელების ინტერესის გათვალისწინებით და მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით შესაძლებელია შეირჩეს საუბრის შინაარსი.

ინგლისურენოვანი სტუმრის საუბარის მოსმენა საშუალებას იძლევა მოსმენის სწავლებისას გამოვიყენოთ ავთენტური საუბრის ტიპი, რაც მის უპირატესობზე მეტყველებს.

სახელმძღვანელოში მოცემული მოსასმენი მასალის გამოყენება მოსმენის სწავლებისას

სახელმძღვანელოში მოცემული მოსასმენი მასალა შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ტიპის: ახალი ამბები, ინტერვიუები, სიტუაციური დიალოგები, დისკუსიები, სიმღერები და ა.შ.

გადავხედოთ მოსასმენი დავალებების ტიპებს ახალი ინგლისური ენის ფაილი ელემენტარული დონის მიხედვით (Oxenden, C., Latham-Koenig, C., Seligson, P. (2009). New English File Elementary. Oxford: Oxford University Press).

მოსასმენი დავალების ტიპები ახალი ინგლისური ენის ფაილი ელემენტარული დონის მიხედვით

1. მოუსმინე და დანომრე სურათები.
2. რას ფიქრობთ? დაასრულეთ წინადადბები ერთ-ერთი ქვეყნის სახელწოდებით.
3. მარგო მიდის ირლანდიაში ინგლისური ენის შესასწავლად. მოუსმინეთ ინტერვიუს და შეავსეთ ფორმა.
4. მოუსმინთ და შეავსეთ მოცემული კითხვარი.
5. მოუსმინეთ და გაიმეორეთ მოცემული სიტყვები.
6. მოუსმინეთ და გაიმეორეთ მოცემული ფრაზები.
7. მოუსმინეთ და აღნიშნეთ ათი ფრაზა.
8. მოისმინეთ დიალოგის დარჩენილი ნაწილი და უპასუხეთ კითხვებს.
9. მოისმინეთ და დაასრულეთ ცხრილი.
10. მოსმინეთ და აღნიშნეთ ა ან ბ.
11. მოისმინეთ დილოგი და უპასუხეთ კითხვებს.
12. მოისმინეთ და უპასუხეთ კითხვებს.
13. მოუსმინეთ და ჩაწერეთ ექვსი წინადადება.
14. მოუსმინეთ და შემოხაზეთ სწორი პასუხი.
15. მოუსმინეთ და დაასრულეთ სიმღერა ნაცვალსახელებით.
16. მოუსმინეთ და დააკავშირეთ სურათები წინადადებებთან.
17. მოუსმინეთ და აღნიშნეთ მოცემული წინადადებები სწორია თუ მცდარი.
18. მოუსმინეთ და შეხედეთ სურათს. ისურვებდით ასეთ სახლში ცხოვრებას?
19. მოუსმინეთ სატელევიზიო პროგრამას და ჩაიწერეთ ინგრედიენტები ამ კერძის დასამზადებლად.

ინგლისურენოვანი სიმღერები. ბოურქე (Bourke, 2006) სიმღერებს მოსმენის სწავლებისას ერთ-ერთ სახალისო და აუცილებელ მასალად მიიჩნევს.

მნიშვნელოვანია სწავლების პროცესი განხორციელდეს უსაფრთხო სასწავლო გარემოში და მოსმენის სწავლებისას სიმღრების გამოყენება სწორედ ასეთ გარემოს ქმნის. ქულენი (Cullen, 1998, 1999) ამ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას და მიიჩნევს, რომ სწორედ სიმღერების გამოყენება მოსმენის სწავლებისას ქმნის უსაფრთხო და ბუნებრივ სასწავლო გარემოს, როდესაც დაიძლევა ან მცირდება შემსწავლელთა სიმორცხვის ან შფოთვის ფაქტორი.

რუმლეი (Rumley, 1999) თვლის, რომ სიმღერების გამოყენება მოსმენის სწავლებისას იძლევა საშუალებას მოვისმინოთ ერთი და იგივე მასალა განმეორებით (სიმღერებში ხშირად მეორდება სტრიქონები) და მისი გამოყენება მნიშვნილოვანია მოსმენის სწავლებისას).

სქოეპი (Schoop, 2001) თვლის, რომ არსებობს სამი ძირითადი ფაქტორი, რაც ხაზს უსვამს მოსმენის სწავლებისას სიმღერების გამოყენების მნიშვნელობას.

მოსმენის სწავლებისას სიმღერების გამოყენების ფაქტორები სქოეპის (Schoop, 2001) მიხედვით

ფაქტორები	განმარტებები
ეფექტური ფაქტორები	სიმღერების გამოყენებით იქმნება პოზიტიური სასწავლო გარემო. სიმღერების მოსმენის სწავლის მიზნით სახალისოა და ხელს უწყობს სწავლება/სწავლის პროცესში არსებული შფოთვის ფაქტორის დაძლევას.
შემეცნებითი ფაქტორები	სიმღერების გამოყენება თამაშობს მნიშვნელოვან როლს ენის სრულყოფილად შესწავლასა და ენის მნიშვნელოვანი სტრუქტურების ავტომატურად გამოყენებაში.
ლინგვისტური ფაქტორები	სიმღერები წარმოადენენ ავთენტურ მასალას, რისი გამოყენებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხო ენის მოსმენის სწავლებისას.

მოსმენის სწავლებისას სიმღერების გამოყენების მნიშვნელობზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სიმღერების სწორედ შერჩევის მნიშვნელობაზე, რადგან არასწორად შერჩეულმა სიმღერამ შესაძლებელია უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანოს. ერსოზ (Ersöz, 2007) თვლის, რომ პედაგოგმა მოსმენის სწავლების დროს უნდა შეარჩიოს სიმღერები,

- რომლებსაც აქვთ მარტივი ტექსტი;
- რომლებიც შეესაბამებიან სტუდენტების შესასწავლ/შესწავლილ ლექსიკას;
- რომლებიც შეიცავენ გამეორებულ სტრიქონებს.

ამრიგად, უცხო ენის სწავლებისას გამოყენებული თანამედროვე სახელმძღვანელოები, რომლებიც შედგენილია უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკის გათვალისწინებით საკმაოდ მრავალფეროვან მოსასმენ მასალას იძლევა. ხოლო სიმღერების გამოყენება მოსმენის სწავლებისას ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებადაა მიჩნეული.

ვიდეო მასალის გამოყენება მოსმენის სწავლებისას

ვიდეო მასალის გამოყენება მნიშვნელოვანია მოსმენის და საუბრის სწავლებისას.

ჰარმერი (Harmer, 2001) მიიჩნევს, რომ ვიდეო საუკეთესო მოსასმენი მასალაა, მაგრამ მნიშვნელოვანია ვიდეოს შერჩევისას გათვალისწინებული იქნას

შემსწავლელების ინტერესები და ენის ცოდნის დონე. რთულმა ვიდეომ შესაძლებელია მათი მოტივაციის შესუსტება გამოიწვიოს.

ვიდეო რესურსის გამოყენების დადებით ფაქტორებზე ასევე ამახვილებს ყურადღებას ვილსონი (Wilson, 2008). იგი თვლის, რომ ვიდეოს შეჩერების/პაუზის საშუალება მისი გამოყენების ერთ-ერთ დადებით მხარეზე მიუთითებს. მისივე აზრით, ვიდეოს გამოყენების უპირატესობა ტიტრების არსებობაა. ის ავსებს სიცარიელეს კითხვისა და მოსმენის უნარს შორის, თუმცა ბევრი პედაგოგი გაურბის ვიდეოს გამოყენებას ტიტრების არსებობის გამო.

ალანი (Allan, 1985) ასახელებს ვიდეო მასალის გამოყენების კიდევ ერთ უპირატესობას, როდესაც მიიჩნევს, რომ ვიდეო შესაძლებელია ასახავდეს რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებს და სწორედ ამ მიზეზის გამო ვიდეო მნიშვნელოვანი მასალაა ენის შესწავლისას.

ვიდეო, რომელიც არ შეესაბამება შემსწავლელების ინტერესებს ან მათ ენის ფლობის დონეს, შესაძლებელია მათი მოტივაციის შესუსტების საბაბად იქცეს. ამ შეხედულებას იზიარებს ჰარმერი (Harmer, 2001) და არასწორად შერჩეულ ვიდეოს მოტივაციის შესუსტების მიზეზად ასახელებს.

ჰარმერის (Harmer, 2001) მსგავსად ნუნანი (Nunan, 2003) მიიჩნევს, რომ ვიდეოს შერჩევისას სტუდენტების ცოდნის დონის, მათი ინტერესების და კულტურის გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია უარყოფით შედეგებამდემიგვიყვანოს. მისი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია პედაგოგმა გარკვევით განუმარტოს სტუდენტებს ვიდეოს გამოყენებისას შესასრულებელი დავალებების ინსტრუქციები, რათა არ მოხდეს მათი ყურადღების ამ ინსტრუქციებზე კონცენტრირება ვიდეო მასალის ყურების/მოსმენის მაგივრად.

ამრიგად, გამხილული ლიტერატურა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ

- ვიდეო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასალაა მოსმენის სწავლებისას;
- ვიდეოს შერჩევისას სტუდენტების ცოდნის დონის, მათი ინტერესების და კულტურის გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანოს;
- სწორად შერჩეულმა ვიდეომ შესაძლებელია ენის შემსწავლელების მოტივაციაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინოს.

დასკვნა

ამრიგად, განხილული ლიტერატურა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ

- უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკის თანახმად აგებული სახელმძღვანელოები მოსმენის სწავლების მრავალფეროვან მასალებს გვთავაზობენ;
- საუბრის ტემპის აჩქარების ან შენელების, მნიშვნელოვანი ადგილების გამეორების და რთული ლექსიკის განმარტების საშუალება პედაგოგის და სტუდენტის / სტუდენტების საუბრის დადადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს;
- მოსმენის სწავლებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავთენტური საუბრის მოსმენა და ამ მხრივ ინგლისურენოვანი სტუმარის საუბარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს;
- ასევე ავთენტური საუბრის მოსმენის საშუალებას იძლევა ინგლისურენოვანი სიმღერების და ვიდეო მასალის გამოყენება. თუმცა მათი გამოყენებისას

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების ცოდნის დონის, მათი ინტერესების და კულტურის გათვალისწინება, რადგან მათმა გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Allan, M. (1985). *Teaching English with video.* London: Longman. pp. 48-49.
2. Bourke, J. M.(2006). Designing a topic-based syllabus for young learners. *ELT Journal*60 (3): 279–86.
3. Christopher, E., & Ho, S. (1996). Lights, camera, action: exploring and exploiting films in self access learning (R. Permberson, E. S. L. Li, W. W. F. Or, & H. D. Pierson, Eds.).*Taking control: Autonomy in language learning* (pp. 185-200). Hong Kong: Hong Kong University Press.
4. Cullen, B. (1998). Music and song in discussion. *The Internet TESL Journal* 4 (10) http://iteslj.org/ Techniques/Cullen-Music.html.
5. Cullen, B. (1999). Song dictation. *The Internet TESL Journal* 5 (11). http://iteslj.org/Techniques/ Cullen-SongDictation.html.
6. Ersöz, A. (2007). *Teaching English to young learners*. Ankara, Turkey: EDM Publishing. p. 20.
7. Harmer, J. (2001). The Practice of English Language Teaching (3rd Ed.). London: Longman. p.109.
8. Lonergan, J. (1984). *Video in language teaching.* Cambridge: Cambridge University Press.
9. Mirvan, X. (2013). The advantages of using films to enhance student's reading skills in the EFL classroom. *Journal of Education and Practice, 4*(13), 62-66.93
10. Nunan, D. (2003). Listening in a second language. The English Centre, University of Hong Kong. Retrieved September 22, 2013, from http://www. jalt-publications. org/tlt/articles /2003/07/nunan.
11. Oxenden, C., Latham-Koenig, C., Seligson, P. (2009). New English File Elementary. Oxford: Oxford University Press.
12. Rumley, G. (1999). Games and songs for teaching modern languages to young children (P. Driscoll, and D. Frost, ed.). London: Routledge.
13. Schoepp, K. (2001). Reasons for using songs in the ESL/EFL Classroom. *The Internet TESL Journal* 7 (2). From http://iteslj.org/Articles/Schoepp-Songs.html.
14. Wilson J. (2008): How to Teach Listening. Essex: Pearson Longman.

Nino Davitashvili
Gori State Teaching University

Using Listening Materials in Teaching a Foreign Language

Abstract

The work deals with the effective resources of teaching/learning listening. They are teacher's talk, student /students' talk, English-speaking guest's talk, English songs and video resources.

The literature connected to this question is analyzed in this work and it proves the importance of using the effective resources of teaching/learning listening. The positive and negative results of these listening resources are also analyzed in the work.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგის საუბრი, სტუდენტის/სტუდენტების საუბარი, ინგლისურენოვანი სტუმრის საუბარი, ინგლისურენოვანი სიმღერები და ვიდეო მასალა.

Keywords: Teacher's talk, students/students' talk, English speaking guest's talk, resources of English songs, video resources.

ლელა ეძგვერაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანწყობილი წინადადების სწავლების ერთი ასპექტის შესახებ

რთული წინადადების სწავლებისას ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ, არის კომპონენტ წინადადებათა შორის აზრობრივი მიმართების საკითხი.

კომპონენტ წინადადებებს შორის აზრობრივი მიმართება რთული თანწყობილი წინადადების უმნიშვნელოვანესი ასპექტია. რთული თანწყობილი წინადადება, ფაქტობრივად, სწორედ კომპონენტწინადადებათა მჭიდრო აზრობრივი კორელაციის საფუძველზეა მიღებული. ამიტომ მივიჩნევთ, რომ ლოგიკურ-სემანტიკური ასპექტის გააზრება სწავლების პროცესის უმთავრესი ამოცანაა.

ერთ კონტექსტში გაერთიანებულ წინადადებებს შორის ყოველთვის არსებობს გარკვეული აზრობრივი მიმართება, მაგრამ ერთ ინტონაციურ მთლიანობად მათი გააზრება რთული წინადადების ფარგლებში ხდება. შინაარსობრივი მიმართებაკომპონენტ წინადადებებს შორის მნიშვნელოვანია როგორც რთულ თანწყობილ, ისე ქვეწყობილ წინადადებაში, მაგრამ ეს ფაქტორი განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს/იძენს პარატაქსული კონსტრუქციაში, სადაც გაერთიანებულია გრამატიკული თვალსაზრისით დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი წინადადებები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში აზრობრივადაც სრულიად დასრულებულ ერთეულებს (შესიტყვებებს) წარმოადგენენ. რთული თანწყობილი წინადადების შემადგენლობაში გაერთიანებული მარტივი და შერწყმული წინადადებებიერთ ინტონაციურ მთლიანობად მათ შორის არსებული აზრობრივი მიმართების საფუძველზე მთლიანდება. რთული თანწყობილი წინადადება ფაქტობრივად წარმოადგენს მჭიდრო ლოგიკურ-აზრობრივი კავშირის საფუძველზე ინტონაციურად გაერთიანებულწინადადებათა შეერთების გზით მიღებულ ერთეულს მეტყველებისა.

რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის ურთიერთმიმართების განხილვის დროს გვერდს ვერ ავუვლით კომპონენტი წინადადებებისშინაარსობრივი დამოუკიდებლობის შესახებმსჯელობას. შესაბამისად, სწავლების პროცესში აზრობრივი მიმართების საკითხს ორ ასპექტში ვაშუქებთ: 1) ვეხებითრთული თანწყობილი წინადადების კომპონენტების აზრობრივი დამოუკიდებლობის საკითხს, 2) ვაჩვენებთ თანწყობილი წინადადების კომპონენტებს შორის ლოგიკურ-აზრობრივ მიმართებებს, რომელთა საფუძველზეც კომპონენტი წინადადებები რთულ თანწყობილ წინადადებაში ერთიანდებიან.

კომპონენტ წინადადებათა აზრობრივი დამოუკიდებლობის საკითხის განხილვის დროსვაჩვენებთ, რომ გრამატიკული თანასწორუფლებიანობა ყოველთვის არ ნიშნავს სრულ შინაარსობრივ(აზრობრივ) დამოუკიდებლობას. ამ მიზნით ვაანალიზებთ შემთხვევებს, როცა რთული წინადადების ერთი კომპონენტის შინაარსის გაგება დამოკიდებულია წინა კომპონენტზე, გამოვკვეთთამგვარი ურთიერთმიმართების ამსახველძირითადსტრუქტურულმოდელებს:

1) რთული თანწყობილი წინადადების მეორე კომპონენტში გამოტოვებულია წევრები, რომლებიც იგულისხმება წინა კომპონენტის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში

თანწყობილი წინადადების მეორე კომპონენტი უსრული წინადადებაა. მაგალითად, წინადადებაში „ბიჭმა დაიწყო სიმღერა[1] და ჩვენ ავყევით[2]“ გაერთიანებულია გრამატიკული თვალსაზრისით თანასწორი ორი წინადადება: ა) „ბიჭმა დაიწყო სიმღერა“ ბ) „ჩვენ ავყევით“, მაგრამ აზრს სრულფასოვნად მხოლოდ პირველი წინადადება გადმოგვცემს. მეორე წინადადებაში გამოთქმული აზრი არ იქნებოდა გასაგები პირველი წინადადების გარეშე. ამასთან, პირველი წინადადება სრულია, მეორე - უსრული (აკლია წევრი (ბიჭს), რომელიც იგულისხმება პირველი კომპონენტის მიხედვით).

2) მეორე კომპონენტშიგამოყენებულია ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, რომლის კონკრეტული მნიშვნელობა გასაგებია წინა კომპონენტის მიხედვით. მაგალითად, წინადადების, „ბიჭი განწირული ყვიროდა[1], მაგრამ მისი ხმა არავის ესმოდა[2]“, მეორე კომპონენტში (მისი ხმა არავის ესმოდა) გამოყენებული ნაცვალსახელის (მისი) კონკრეტული მნიშვნელობა (ბიჭის) გასაგებია პირველი წინადადების (ბიჭი განწირული ყვიროდა) მიხედვით.

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს მოვლენა მხოლოდ რთული თანწყობილი წინადადების კომპონენტთა შორის ურთიერთობაში არ ვლინდება. იგი ენობრივი კონტექსტის ზოგადი მახასიათებელია. ზეპირი თუ წერითი მეტყველების დროს ჩვენ ხშირად მივმართავთ მსგავს მოდელებს. კონტექსტის მიხედვით გასაგები სიტყვა შეიძლება გამოვტოვოთ ან ნაცვალსახელითა თუ ზმნიზედით გადმოვცეთ გრამატიკულად განცალკევებულ წინადადებაშიც.

კომპონენტებს შორის ლოგიკურ-სემანტიკური მიმართების ასპექტის ანალიზი მოითხოვს საკითხისგანხილვას პარატაქსული კონსტრუქციის გრამატიკულ სტრუქტურასთან კავშირში. აზრობრივი მიმართების გამოხატვის უმთავრეს საშუალებად რთულ თანწყობილ წინადადებაში გვევლინება კავშირი. ამიტომამ ასპექტის გააზრება მხოლოდ კომპონენტების დამაკავშირებელსაშუალებათა განხილვის პარალელურად არის შესაძლებელი.

უნდა განვიხილოთ მაჯგუფებელი, მაერთებელი, მაცალკევებელი და მაიგივებელი კავშირების გამოყენების დროს, ასევე, უკავშირო შეერთების შემთხვევაში კომპონენტებს შორის გამოვლენილი აზრობრივი მიმართება.

მაჯგუფებელკავშირთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას „და“ კავშირი იმსახურებს (სხვა მაჯგუფებელი კავშირები რთულ თანწყობილ წინადადებაში ფაქტობრივად არ გვხვდება). „და“ კავშირი აქტიურად გამოიყენება თანწყობილ წინადადების ნაწილების შესაერთებლად და სხვადასხვა აზრობრივ მიმართებას ამყარებს მათ შორის. „და“ კავშირით შეერთების დროს ძირითადად გამოხატულია მოქმედებათა ერთდროულობა (ცეკვავდა თეთრსულელა და ხარობდამთელი ქალაქი), მოქმედებათა თანამიმდევრობა (ზარი დაირეკა და მოსწავლეები ეზოში გამოეფინნენ), მიზეზშედეგობრიობა (ტაძარი შუაგულ ტყეში იდგა და მგზავრებმა ძლივს იპოვეს). სამეცნიერო ლიტერატურაში ასახელებენ „*და*“ კავშირით შეერთების დროს განსხვავებული აზრობრივი/ლოგიკურ-სემანტიკური მიმართების შემთხვევებს: ზოგჯერ მეორე წინადადება გვაძლევს პირველი წინადადების ახსნა-განმარტებას ან დამატებით ცნობას პირველი წინადადების რომელიმე წევრზე (ქალაქში იყო ქალთა სასწავლებელი და ეს სასწავლებელი ქალაქის მეორე ნაპირას იყო(ლ. კვაჭაძე, გვ. 329);გავარდა თოფიდა ეს ნიშანი იყოიერიშის დაწყებისა; ქარი აფრიალებდა მწვერვალზე დარჭობილ დროშას და ეს დროშა მეტყველებდა ადამიანის შეუპოვრობაზე).

რთულ თანწყობილ წინადადებაში კომპონენტების შესაერთებლად გვხვდება მაპირისპირებელი კავშირები: *მაგრამ, ხოლო, კი,ოღონდ, თუმცა.* ასეთ შემთხვევაში წინადადების ნაწილებს შორის გამოხატულია აზრობრივი დაპირისპირება(დიდხანს ღვრიდა ლალი ცრემლს, <u>მაგრამ</u> დავითს გული არ მოულბა; აბდუშაჰილმა სიამოვნებით შეხედა ქალს, <u>მაგრამ</u> ისევ უცბად შეიჭმუხნა სახე; ამგვარი რამეები ბევრი უთხრა, <u>მაგრამ</u>გაკერპებული ქალი ხმას არ იღებდა; ქალი კარგა ხანს იწვა უგრძნობლად, მაგრამ ბოლოს გამოფხიზლდა; ფშავ-ხევსურები ციხეს დაეცემიან, <u>ხოლო</u> ერისთავები თავიანთი ჯარით ტყეში ჩასაფრდებიან; გოგო გაკვირვებული აცეცებდა თვალებს, მიხვედრით <u>კი</u> ვერაფერს ხვდებოდა; ბავშვები მინდორში დარბოდნენ, ელენე <u>კი</u> მდინარის პირას იჯდა მოწყენილი; ხალხი დარწმუნებული იყო სულხანის სიმართლეში, <u>თუმცა</u> დავითი მაინც ეჭვობდა; შეგიძლიათ სამკურნალოდ სხვა პრეპარატიგამოიყენოთ, <u>ოღონდ</u> განსხვავებული იქნებამკურნალობის ხანგრძლივობა). სხვადასხვა კავშირი სხვადასხვა ხარისხის ლოგიკურ-სემანტიკურ დაპირისპირებას გამოხატავს (*მაგრამ* - უფრო მკვეთრს, *ხოლო* და *კი* - უფრო სუსტს), თუმცა ერთი და იმავე კავშირის გამოყენების შემთხვევაშიც, წინადადების შინაარსიდან გამომდინარე, დაპირისპირების განსხვავებული ინტენსივობა შეიძლება იყოს გამოხატული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაპირისპირებელ კავშირთაგან ყველაზე აქტიურად *მაგრამ* გამოიყენება, *ხოლო* და *კი* უფრო მწიგნობრულ ენაში გვხვდება.

მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციას მიაწერენ რიგ შემთხვევებში *და* კავშირსაც, წინადადებებში, სადაც ამ კავშირის ჩანაცვლება ფაქტობრივად უმტკივნეულოდ არის შესაძლებელი *ხოლო,კი* კავშირებით (ქარი ფოთლებს დააქროლებს <u>და</u> მე მათ ტრიალში თმაგაშლილ მოცეკვავე ქალს ვხედავ; ქარი ფოთლებს დააქროლებს, მე <u>კი</u> მათ ტრიალში თმაგაშლილ მოცეკვავე ქალს ვხედავ; ქარი ფოთლებს დააქროლებს, <u>ხოლო</u> მე მათ ტრიალში თმაგაშლილ მოცეკვავე ქალს ვხედავ). მეორე მხრივ, საუბრობენ *ხოლო, კი* კავშირების მაჯგუფებელ ფუნქციაზე წინადადებებში, სადაც მათი *და*-თი ჩანაცვლებაა შესაძლებელი (მე ჭურჭელს დავრეცხავ, შენ <u>კი</u> სახლი დაალაგე; მე ჭურჭელს დავრეცხავ <u>და</u> შენ სახლი დაალაგე; ნინო პიანინოს უკრავდა, ხოლო გიორგი წყნარად ღიღინებდა; ნინო პიანინოს უკრავდა და გიორგი წყნარად ღიღინებდა). ყველა ამ წინადადებაში, როგორც წესი, ერთდროული მოქმედებაა გამოხატული. უნდა ვიფიქროთ, რომ კავშირის შერჩევა განპირობებულია მოუბრის ნებით გამოხატოს ესა თუ ის ლოგიკურ-სემანტიკური მიმართება. სავარაუდოდ, *ხოლო, კი* კავშირებს იგი იყენებს იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში გადმოცემული მოქმედებების დაპირისპირებულ ასპექტში წარმოჩენა სურს, *და* კავშირს კი მაშინ, როდესაც ამ დამატებითი ნიუანსის წარმოჩენა მის მიზანს არ შეადგენს. შესაბამისად,

ცალკე უნდა ვისაუბროთ *ოღონდ*- და *თუმცა*- კავშირიანი წინადადებების შესახებ. უმეტეს შემთხვევაში რთულია გავარკვიოთ, ეს წინადადებები თანწყობილია თუ ქვეწყობილი. გარჩევის ხერხად შეიძლება გამოვიყენოთ ამ კავშირების *მაგრამ* კავშირით ჩანაცვლების ხერხი. წინადადებები, სადაც შესაძლებელია მათი *მაგრამ* კავშირით ჩანაცვლება, რთულ თანწყობილად უნდა მივიჩნიოთ, სადაც -არა, - რთულ ქვეწყობილად: *ხალხი დარწმუნებული იყო სულხანის სიმართლეში, <u>თუმცა/მაგრამ</u> დავითი მაინც ეჭვობდა; შეგიძლიათ სამკურნალოდ სხვა პრეპარატი გამოიყენოთ, <u>ოღონდ/მაგრამ</u> განსხვავებული იქნება მკურნალობის ხანგრძლივობა* - რთული თანწყობილი წინადადებებია. აქ თავისუფლად არის შესაძლებელი *მაგრამ* კავშირის გამოყენება. მაგრამ წინადადებებში: *თუმცა ქარი ქროდა, მაინც თბილი ამინდი იდგა;*

პლატონი თვითონ მოძებნიდა სადედინაცვლოს, ოღონდ მამულის გამყოფი არ გაჩენოდა - კავშირები - *თუმცა,ოღონდ* -არ ჩანაცვლდება და ისინი რთულ ქვეწყობილ წინადადებებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა „ოღონდ“ კავშირით შეერთებული კომპონენტების ადგილის შეცვლის შემთხვევაში, შესაძლებელია მათ დასაკავშირებლად ჩავსვათ კავშირი *„და“,* რაც აშკარად მიგვანიშნებ სამ წინადადებების პარატაქსულ კონსტრუქციაზე: *ოღონდ მამულის გამყოფი არ გაჩენოდა და პლატონი თვითონ მოძებნიდა სადედინაცვლოს.*

რთული წინადადების კომპონენტების მაცალკევებელი კავშირებით შეერთების შემთხვევები ქართულ ენაში არც ისე ხშირია. ამ დროს რთულ თანწყობილ წინადადებაში გამოხატულია მოქმედებათა მონაცვლეობა, არჩევითობა (ხან თოვს, ხან წვიმს; ან გიორგიმ იმღეროს, ან შენ იცეკვე; ან გადაიხადე, ან ცხვირ-პირს დაგიმტვრევ; გინდ წყალს დაუხრჩვიხარ, გინდ ხანძარში დამწვარხარ).

ცალკე უნდა გამოვყოთ თანწყობილ წინადადებაში*თუ*-ს გამოყენების შემთხვევები.უნდა ვაჩვენოთ, რომ თანწყობილი წინადადებების კომპონენტების *თუ* კავშირით შეერთება ქართულში იშვიათია და, ფაქტობრივად, მხოლოდ რთული კონსტრუქციის ფარგლებში გვხვდება (თეიმურაზისთვის სულ ერთი იყო, მტერმა გადაწვა მისი სახლ-კარი თუ ხანძარი შემთხვევით გაჩნდა; მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, საკუთარი ნებით გაჰყვა კაცს თუ გამოუვალმა მდგომარეობამ აიძულა ამის გაკეთება). ასეთ კონსტრუქციებში გამოხატულია სხვადასხვა მოქმედების შესაძლებლობა და *„თუ“* მაცალკევებელი კავშირის ფუნქციით გვევლინება.

მაიგივებელი კავშირით შეერთებული თანწყობილი წინადადება ქართულ ენაში იშვიათად გვხვდება. ასეთი წინადადების მეორე კომპონენტი ან აზუსტებს პირველ წინადადებას, ან მის შედეგს გვიჩვენებს (მოწინააღმდეგემ თეთრი დროშა ააფრიალა, ე. ი გავიმარჯვეთ; გავარდა თოფი, ე. ი. იერიში დაიწყო; წელს დიდი თოვლი იყო, ე. ი. კარგი მოსავალი იქნება).

სწავლების პროცესში რთული თანწყობილი წინადადების სემანტიკური ასპექტის ანალიზის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება. უნდა გავაანალიზოთ სტილისტური საჭიროებით განპირობებული უკავშირო შეერთების მაგალითები. ვაჩვენოთ, რომ ამ წინადადებებში ძირითადად მოქმედების ერთდროულობა და თანამიმდევრობა გამოიხატება. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, შესაძლებელია ჩავსვათ სხვადასხვა მაერთებელი კავშირი (ნინო ფორტეპიანოზე უკრავდა, გიორგი მღეროდა; ნინო ფორტეპიანოზე უკრავდა და გიორგი მღეროდა; ნინო ფორტეპიანოზე უკრავდა, ხოლო გიორგი მღეროდა; ნინო ფორტეპიანოზე უკრავდა, გიორგი კი მღეროდა...). ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ეს მხოლოდ ჩვენს სურვილზეა დამოკიდებული. თუმცა გამოტოვებული კავშირის შემთხვევაში უფრო ლოგიკური ჩანს, ავირჩიოთ ყველაზე ნეიტრალური კავშირი *და.* სხვა აზრობრივი მიმართების გამოხატვის სურვილის შემთხვევაში, სავარაუდოდ, მოუბარი თავად გამოიყენებდა შესაბამის კავშირს.

ცალკე უნდა განვიხილოთ უკავშირო თანწყობილი წინადადებები, რომლებშიც კომპონენტებს შორის არსებული ლოგიკურ-სემანტიკური მიმართებავერ თავსდება სტანდარტული მოქმედების ერთდროულობის ან თანამიმდევრობის ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში გაუმართლებელი ჩანს რაიმე კავშირის გამოყენება. ამ წინადადებებში ხშირად მეორე წინადადება განავრცობს, განმარტავს პირველი წინადადების შინაარსს (ქვეყანაზე არაფერი იცვლებოდა: ისევ გრძელდებოდა განუწყვეტელი ომები, თარეში,

აწიოკება; წელს კარგი მოსავალი იყო: უხვად მოვიდა სიმინდიც, ყურძენიც, ლობიოც; დავითი შეძლებული აზნაური გახლდათ: ჰქონდა 2 კვირის სახნავ-სათესი მიწა, 10 წყრთა ვენახი). პოეტურ მეტყველებაში ერთ ინტონაციურ მთლიანობად წინადადებების გაერთიანება შეიძლება პოეტური მეტყველების შინაგანი რიტმიკითა და ინტონაციით იყოს განპირობებული. ასეთ წინადადების სტრუქტურული მექანიზმი, ფაქტობრივად, არ ემყარება კომპონენტთა შორის აზრობრივ მიმართებას. პრაქტიკულად, ერთთანწყობილ წინადადებაში შეიძლება გაერთიანდეს კონტექსტის ფარგლებში ურთიერთმეზობლობაში განთავსებული ნებისმიერი წინადადება (ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ, ათას წელს გაძლებს შენი მშვენება; შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო, შენგან არასდროს მომესვენება).

მონაცემთა განზოგადების საფუძველზე გაკეთდება დასკვნები: რომ პარატაქსული კონსტრუქციით ქართულ ენაში მრავალფეროვანი აზრობრივ-ლოგიკური ურთიერთმიმართება შეიძლება გადმოვცეთ; სხვადასხვა კავშირი გამოიყენება სხვადასხვა აზრობრივი მიმართების გამოსახატავად, ზოგ შემთხვევაში კავშირთა სემანტიკური ფუნქცია მსგავსია, მაგრამ ფაქტობრივად სრულ თანხვედრას ადგილი არა აქვს; უკავშიროდშეერთებულ კომპონენტ წინადადებებს შორის უპირატესად ისეთივე აზრობრივი მიმართებაა, როგორც „და“ კავშირის გამოყენების შემთხვევაში და, შესაბამისად, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ კავშირი სტილისტური მოსაზრებით არის გამოტოვებული. თუმცა არის შემთხვევები, როცა უკავშირო თანწყობილ წინადადებაში არ ხერხდება კავშირის აღდგენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლევან კვაჭაძე, 1981, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი,განათლება, თბილისი
2. შოთა ძიძიგური, 1973, კავშირები ქართულ ენაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
3. რუსუდან ასათიანი, თინათინ ჯანელიძე, 2009, მაპირისპირებელი კავშირების ფუნქციონალური ანალიზი ქართულში, ჟ. სემიოტიკა, N5, http://www.nplg.gov.ge/

Lela Edzgveradze
Akaki Tsereteli State University

Composite Sentence Teaching

Abstract

The article deals with the problems of comprehensionlogical-semantic structure of compound sentence in the teaching-learning process.

In Georgian Language two types of composite sentenceare distinguished: compound sentence(parataxis) which contains two or more independent component-sentences (clauses) and complex sentence (hypotaxis) which containsindependentclause and subordinate clause. The parts of compound sentenceare connectedwith the way of coordination and there is subordination between the components in the complex sentence.

We show thatlogical-semantic correlation between the clauses is the key factor in formation of the compound sentence (parataxis) and it is necessary to emphasize this aspect in the teaching-learning process. The article also discusses the role of coordinating conjunctions in formation grammar and logical structure of parataxis and the forms of managing the teaching process properly**.**

საკვანძო სიტყვები: სწავლების პროცესი, გააზრება-გაცნობიერება, რთული თანწყობილი წინადადება, თანწყობილი წინადადების კომპონენტები, ლოგიკურ-სემანტიკური კორელაცია, მაერთებელი კავშირები.
Keywords: Teaching-learning process, realize the idea of complex sentence, clause, logical-semanticcorrelation, coordinating conjunction

ზურაბ როსტომაშვილი, ნინო ჟონჟოლაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სითბური ბალანსის განტოლების შედგენა სხვადასხვა აგრეგატული მდგომარეობების შემთხვევაში

როგორც საშუალო სკოლის, ასევე ზოგადი ფიზიკის კურსში ფიზიკის შესწავლისას ხშირად გვხვდება ამოცანები, როდესაც სითბურ კონტაქტში მოყავთ სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში მყოფი სხვადასხვა ტემპერატურის მქონე ნივთიერებები და გამოსათვლელია სითბური წონასწორობის ტემპერატურა. სითბური ბალანსის განტოლების შედგენის პრობლემურობის საილუსტრაციოდ ჩვენ განვიხილავთ იმ შემთხვევას, როდესაც სისტემა სითბურად იზოლირებულია და მუშაობაც არ სრულდება. თუ Q -თი ავღნიშნავთ სითბოს რაოდენობას, მაშინ ასეთ შემთხვევაში თერმოდინამიკის პირველი კანონიდან გამომდინარე გვექნება სითბური ბალანსის განტოლება:

$$\sum_{i=1}^{n} Q_i = 0 \qquad (1)$$

სადაც n არის სითბური წონასწორობის მდგომარეობამდე მისასვლელი სითბოს რაოდენობების რაოდენობა. სითბური წონასწორობის დამყარების პროცესში როგორც შემდგომში ვნახავთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს სითბოცვლის პროცესში მონაწილე ნივთიერებების მასებს და (1) განტოლების შედგენამ წინასწარი რიცხვითი შეფასებების გარეშე შესაძლოა მიგვიყვანოს არაფიზიკურ შედეგამდე. პრობლემის უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ჩვენ განვიხილავთ იმ შემთხვევას, როდესაც გვაქვს ერთი ნივთიერება, მაგალითად წყალი სხვადასხვა ტემპერატურულ და აგრეგატულ მდგომარეობებში. წყლის ორთქლის $100^\circ - 500^\circ$-ის პირობებში, წყლის და ყინულის სითბოტევადობები შესაბამისად ავღნიშნოთ $c_{ო}$, c და $c_{ყ}$ -ით. წყლის აორთქლების კუთრი სითბო L-ით, ხოლო ყინულის დნობის კუთრი სითბო -λ-თი. ზემოთმოყვანილი სიდიდეების მნიშვნელობები ასეთია:

$$c_{ო} = 2 \cdot 10^3 \frac{ჯ}{კგ \cdot გრად}, \quad c = 4{,}2 \cdot 10^3 \frac{ჯ}{კგ \cdot გრად}, \quad c_{ყ} = 2{,}1 \cdot 10^3 \frac{ჯ}{კგ \cdot გრად},$$

$$L = 2{,}26 \cdot 10^5 \frac{ჯ}{კგ}, \qquad \lambda = 3{,}34 \cdot 10^5 \frac{ჯ}{კგ}.$$

განვიხილოთ ახლა პიველი ამოცანა, როდესაც გვაქვს $m_1 = 1$კგ მასის $t_1 = 0°C$ ტემპერატურის წყალი და მასთან სითბურ კონტაქტში მოგვყავს $m_2 = 10^{-3}$კგ მასის $t_2 = 100°C$ ტემპერატურის წყლის ორთქლი. დასადგენია სითბური წონასწორობის t ტემპერატურა. ასეთ შემთხვევაში სითბური წონასწორობის მდგომარეობაში (1) განტოლება ასე ჩაიწერება:

$$Q_1 + Q_2 + Q_3 = 0 \qquad (2)$$

სადაც $Q_1 = -m_2L$ -წყლის ორთქლის კონდენსაციის სითბოა, $Q_2 = cm_2(t - t_2)$ - ორთქლის კონდენსაციის შედეგად t ტემპერატურამდე გაციებისას გამოყოფილი სითბოა, $Q_3 = cm_1(t - t_1)$ ცივი წყლის t ტემპერატურამდე გაცხელების სითბოა. ამ სითბოების (2)-ში ჩასმით წონასწორული ტემპერატურისათვის ვღებულობთ:

$$t = \frac{cm_1t_1 + cm_2t_2 + m_2L}{cm_1 + cm_2} \qquad (3)$$

რომელიც მოცემული ამოცანის პირობებში გვაძლევს $t = 0{,}15°C$. მაგრამ საკმარისია იგივე ამოცანაში შევცვალოთ პირობები: $m_1 = 10^{-3}$კგ, $t_1 = 0°C$, $m_2 = 1$კგ, $t_2 = 100°C$, რომ (3) განტოლებით ვღებულობთ სავსებით არაფიზიკურ შედეგს $t = 154°C$.

როგორც განხილული ამოცანიდან ჩანს (1) ტიპის განტოლება ტრივიალურად არ იწერება. განხილულ შემთხვევებში (3) ამონახსნში ძირითადი განსხვავება გამოწვეულია m_2L წევრით, რაც იმას ნიშნავს, რომ წყლის ორთქლი სრულად არ კონდენსირდა და კონდენსირდა მხოლოდ მისი რაღაც ნაწილი. შესაბამისად ასეთ შემთხვევაში $Q_2 = cm_2(t - t_2)$ სითბოს რაოდენობა (2) განტოლებაში არ გვექნება.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ თუ რომელი სითბოს რაოდენობები შევა ზოგადად (1) სითბური ბალანსის განტოლებაში ყოველთვის საჭიროა წინასწარი რიცხვითი შეფასებები იმ საზღვრებისა, თუ მოცემულ აგრეგატულ მდგომარეობაში სითბოს რა რაოდენობა შეიძლება მიიღოს ან გასცეს სითბოცვლის პროცესში მონაწილე ნივთიერებამ და ასევე რა რაოდენობის სითბოს მიღება ან გაცემა შეუძლიათ მონაწილე ნივთიერებებს სავარაუდო აგრეგატული მდგომარეობის ცვლილებისას. თუ ყოველივე ამის შემდეგ სითბოს გამცემი სხეულების და სითბოს მიმღები სხეულების სითბოები დაბალანსდა, მაშინ აგრეგატული მდგომარეობების ცვლილების პროცესი სრულად მთავრდება, თუ არა, მაშინ აგრეგატული ცვლილების პროცესში ნივთიერების მხოლოდ ნაწილი განიცდის ცვლილებას.

განხილულ შემთხვევაში ამოცანის პირველ ნაწილში წყლის ორთქლის კონდენსაციისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა Q_1 იცვლება 0-226ჯ-ის ფარგლებში კონდენსირებული ორთქლით მიღებული წყლის გაციებით მიღებული Q_2 იცვლება 0-420ჯ-ის ფარგლებში, ხოლო ცივი წყლის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა Q_3 იცვლება $0 - 4{,}2 \cdot 10^5$ ჯ-ის ფარგლებში. ამ შემთხვევაში წყლის ორთქლის კონდენსაციისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობის და კონდენსირებული ორთქლით მიღებული წყლის გაციებით მიღებული Q_1 და Q_2 ჯამური სითბოების რაოდენობის სიდიდის საზღვრები მოქცეულია Q_3 - ცივი წყლის მიერ მიღებული სითბოს შესაძლო

საზღვრებში. ამიტომ ასეთ შემთხვევაში კონდენსაციის პროცესი სრულად დამთავრდება.

განხილულ ამოცანის მეორე ნაწილში წყლის ორთქლის კონდენსაციისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა Q_1 იცვლება $0-2{,}26\cdot 10^5$ ჯ-ის ფარგლებში კონდენსირებული ორთლით მიღებული წყლის გაციებით მიღებული Q_2 იცვლება $0-4{,}2\cdot 10^5$ჯ-ის ფარგლებში, ხოლო ცივი წყლის მიერ მიღებული სითბოს რაოდენობა Q_3 იცვლება 0-420ჯ-ის ფარგლებში. ამ შემთხვევაში წყლის ორთქლის კონდენსაციისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობის და კონდენსირებული ორთქლით მიღებული წყლის გაციებით მიღებული Q_1 და Q_2 ჯამური სითბოების რაოდენობის სიდიდის საზღვრები აღემატება Q_3 - ცივი წყლის მიერ მიღებული სითბოს შესაძლო საზღვრებს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში კონდენსაციის პროცესი სრულად არ დამთავრდება. მოხდება წყლის ორთქლის მხოლოდ ნაწილის კონდენსაცია და შედეგად გვექნება 100°C -ზე წონასწორობაში წყლის ორთქლი და წყალი. ამრიგად, რაც შეეხება სითბური წონასწორობის ტემპერატურას, ყველაფერი ნათელია. რაც შეეხება სითბური ბალანსის განტოლებას, ამ შემთხვევაში მას ექნება ასეთი სახე:

$$-mL + cm_1(t_2 - t_1) = 0$$

საიდანაც ორთქლის კონდენსირებით მიღებული წყლის მასისათვის ვღებულობთ:

$$m = \frac{cm_1(t_2-t_1)}{L} = 0.0019\text{კგ}$$

განვიხილოთ ახლა მეორე ამოცანა, როდესაც სითბურ კონტაქტში მოყავთ $m_1 = 1$კგ $t_1 = -100$°C-იანი ყინული და $m_2 = 10^{-3}$კგ $t_2 = 100$°C-იანი წყლის ორთქლი. დასადგენია სითბური წონასწორობის t ტემპერატურა. ამ შემთხვევაში სითბოს მიმღები ყინულია. შესაძლოა ის ჯერ $t_3 = 0$°C -მდე გათბეს და მიიღოს $Q_1 = \mathrm{c_y} m_1(t_3 - t_1)$ სითბოს რაოდენობა. საკმარისი სითბოს შემთხვევაში მიიღოს $Q_2 = m_1\lambda$ სითბოს რაოდენობა და გადნეს. ამის შემდეგ შესაძლოა მიღებული 0°C-იანი წყლის გათბობა და ა.შ.. ვნახოთ ახლა სითბოს გამცემის მიერ შესაძლო გაცემული სითბოს სიდიდე: $Q_3 = m_2L$.

განხილულ შემთხვევაში მეორე ამოცანაში ყინულის გათბობისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა $\mathrm{Q_1} = 2{,}1\cdot 10^5$ჯ ყინულის გასადნობად საჭირო სითბოს რაოდენობა $\mathrm{Q_2} = 2{,}26\cdot 10^5$ჯ , ხოლო წყლის ორთქლის კონდენსაციისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობა $\mathrm{Q_3} = 334$ჯ. ამ შემთხვევაში წყლის ორთქლის კონდენსაციისას გამოყოფილი სითბოს რაოდენობის და ყინულის გათბობისა და დნობისათვის მიღებული Q_1 და Q_2 ჯამური სითბოების რაოდენობის ჯამი აღემატება Q_3 - წყლის ორთქლის კონდენსაციისას გაცემული სითბოს რაოდენობას. ამიტომ ასეთ შემთხვევაში კონდენსაციის პროცესი სრულად დამთავრდება. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა კონდენსაციით მიღებული ცხელი წყალის გაციება მინიმუმ $t_3 = 0$°C ტემპერატურამდე და დამატებით $\mathrm{Q_4 = cm_2(t_3 - t_2)}$ სითბოს გაცემა. რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმა გვიჩვენებს, რომ მიღებული Q_1 და Q_2 ჯამური სითბოების რაოდენობის ჯამი აღემატება გაცემული Q_3 და $\mathrm{Q_4}$ სითბოების ჯამს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში

კონდენსაციის პროცესი სრულად დამთავრდება, მაგრამ ამ სითბოების ჯამი ნაკლებია Q_1-ზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ყინული არ გადნება და მხოლოდ გათბება რაღაც t ტემპერატურამდე. ამიტომ სითბური ბალანსის განტოლებას ექნება სახე:

$$c_ym_1(t-t_1)-m_2L+cm_2(t_3-t_1)-m_2\lambda+c_ym_2(t-t_3)=0$$

რომლის ამოხსნით ვღებულობთ $t=-99{,}4°C$.

თუ შევცვლით მეორე ამოცანაში ყინულისა და წყლის ორთქლის მასებს: $m_1=0{,}1$კგ $t_1=-100°C$ და $m_2=1$კგ $t_2=100°C$, მაშინ სათანადო შეფასებების შემდეგ ცხადი ხდება, რომ მხოლოდ წყლის ორთქლის ნაწილი კონდენსირდება და რა თქმა უნდა ნარევის საბოლოო ტემპერატურა იქნება $t=100°C$. სითბური ბალანსის განტოლება ასე ჩაიწერება:

$$c_ym_1(t_3-t_1)-m_1L+cm_1(t_2-t_3)-m\lambda=0$$

სადაც m არის კონდენსირებული წყლის ორთლის მასა, რომლისთვისაც ვღებულობთ $m=0.256$კგ.

როგორც განხილული ამოცანები გვიჩვენებს, სითბური ბალანსის განტოლების სწორად ჩაწერა მხოლოდ მიღებული და გაცემული სითბოს რაოდენობების სიდიდეების რიცხვითი შეფასებების საფუძველზეა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. მირიანაშვილი. 1966წ. ზოგადი ფიზიკის კურსი. II ნაწილი. განათლება, თბ.
2. Физический энциклопедический словарь. 1984. И. Советская энциклопедия. М.

Zurab Rostomashvili, Nino Jonjoladze
Iakob Gogebashvili Telavi State University

Thermal Equilibrium in Various Aggregate Conditions

Abstract

Tasks about thermal phenomena are frequently given in books for public school and university general physics course. When different bodies with different temperature are thermally linked each other in different aggregate conditions it is necessary to calculate thermal equilibrium temperature. For illustrating problems on equation of thermal equilibrium, the article describes the case of thermally isolated system where the work is not performing. In the process of thermal equilibrium essential role plays mass of bodies that are involved in process of thermodynamics. Without providing preliminary numerical evaluations equation for thermal equilibrium can cause non-physical results. On the basis of assessment numerical values and amount of heat exchange sometimes becomes possible to determine thermal equilibrium temperature without equation of thermal balance. Proper recording of thermal equilibrium equation depends only on assessment of numerical values and amount of heat exchange.

საკვანძო სიტყვები: სითბო, სითბური კონტაქტი, სითბური ბალანსის განტოლება, ტემპერატურა, აგრეგატული მდგომარეობა.
Keywords: Heat, thermal contact, equation of thermal balance, temperature, aggregate condition.

იზოლდა ჭინჭარაშვილი, მაგდა დავითაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტით სწავლების როლი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში

ტერმინი „მოტივაცია“ ფსიქოლოგიაში დაახლოებით 100 წლის წინ დამკვიდრდა და დღემდე არ შეუცვლია თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ეს ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც გარკვეული მიმართულებით ენერგიის მიმართვას გულისხმობს. პედაგოგიკაში ტერმინს „მოტივაცია“ მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის, მისი სწავლის მიმართ ინტერესისა და დადებითი განწყობის აღსანიშნავად იყენებენ.

სამწუხაროდ, არ არსებობს ჯადოსნური რეცეპტი, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს, რადგან ამას უამრავი ფაქტორი განაპირობებს. იმის მიუხედავად, რომ მეცნიერები მთელი რიგი რეკომენდაციებით ცდილობენ მასწავლებელთა დახმარებას და მოტივაციაც ინდივიდუალურია, უდიდესი მნიშვნელობა მასწავლებლის მაღალპროფესიონალიზმს აქვს.

მოტივაცია არ არის თანდაყოლილი და უცვლელი, საკმაოდ დინამიურია და იცვლება ასაკის მატებისა თუ ადამიანზე მოქმედი გარემო ფაქტორების ზეგავლენით. კვლევებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს შინაგან მოტივაციას. ასეთი მოტივაციის მქონე მოსწავლეები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, ხასიათდებიან თვითრეგულაციის, თვითკონტროლის მაღალი უნარით და ზოგადად უფრო დადებითი განწყობა აქვთ განათლების, სწავლის მიმართ. არიან უფრო თავდაჯერებულები, არ ეშინიათ რთული ამოცანებისა და დაძლევის ეფექტური გზების მუდმივ ძიებაში არიან.

არსებობენ, ასევე, გარეგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეები. მათ სირთულეების და რისკის მიმართ მკაფიოდ გამოხატული შიში აქვთ, ნებისმიერ სიტუაციაში ძალისა და ენერგიის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღება სურთ. ცდილობენ თავი აარიდონ რთულ დავალებებს.

მოსწავლეთა მოტივაციის მიხედვით დაჯგუფება არ გამოგვადგება, ვინაიდან ერთიდაიგივე მოსწავლისთვის კონკრეტულ სიტუაციაში შესაძლოა ქცევის წარმმართველი იყოს გარეგანი ფაქტორი, სხვა შემთხვევაში კი - შინაგანი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობენ შესრულებაზე და განვითარებაზე ორიენტირებული მოსწავლეები. პირველი ჯგუფისთვის ძირითადი საზრუნავი ამოცანის მინიმალური დანახარჯებით შესრულებაა წინასწარ დადგენილი სტანდარტის თუ მოლოდინის შესაბამისად. მეორე ჯგუფისთვის კი, სასწავლო

პროცესში ჩართვის მიზანია საკუთარი უნარების და შესაძლებლობების არეალის გაფართოება-განვითარება. აქაც ერთიდაიგივე მოსწავლე სხვადასხვა სიტუაციაში ხან საკუთარ განვითარებაზე, ხან შესრულებაზეა ორიენტირებული.

დ. უზნაძის აზრით, ნამდვილი სწავლა შესაძლებელია მხოლოდ შემეცნებითი ინტერესის, ცოდნის წყურვილის, შინაგანი მოტივაციის პირობებში (უზნაძე,2003).

უკვე აღვნიშნეთ, რომ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში უდიდეს როლს პედაგოგი თამაშობს. იგი უნდა ფლობდეს და იყენებდეს შესაბამის სტრატეგიებს (გამდიდრებული სასწავლო პროცესი; მოსწავლეთა ჩართვა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; სხვადასხვა სირთულის დავალებების გამოყენება; მოსწავლეებთან დადებითი უკუკავშირი; მოსწავლეთა არაგაკრიტიკება საჯაროდ; მიუკერძოებლობა; მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებაში; „უნიშნო“ აქტივობების გამოყენება და მრავალი სხვა) და მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს მასწავლებლის დამოკიდებულება და რწმენა: ყველა მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს და იყოს წარმატებული!

უამრავ სასწავლო მეთოდთა შორის ერთ-ერთი სასწავლო პროექტია, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასთან ერთად მათ კვლევებში ჩრთულობას უწყობს ხელს. დღეს თანამედროვე პედაგოგიკაში განსაკუთრებით აქტუალურია და ჩვენს სასკოლო-საგანმანათლებლო სივრცეშიც ინტენსიურად ინერგება პროექტის მეთოდით სწავლების პრაქტიკა, რომელიც მიმართულია კონკრეტული ინიციატივის განხორციელებისაკენ ან პრობლემის გადაჭრისაკენ. იგი მოსწავლეებს კვლევა-ძიების უნარს უნვითარებს და ცოდნის, გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. პროექტით სწავლება ახლოა იმ მიდგომასთან, რასაც თანამედროვე საგანამანათლებლო თეორიებში პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ.

სულ უფრო მეტი მკვლევარი და პრაქტიკოსი პედაგოგი თანხმდება, რომ სასწავლო პროექტი ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ძალზე ეფექტური და მრავალფუნქციური მეთოდია, რომელიც მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებასა და ეფექტურ პროფესიულ თანამშრომლობას გულისხმობს. საზოგადოების დაკვეთით, მოსწავლე არამარტო მეცნიერებების საფუძვლებს უნდა ფლობდეს, არამედ ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს პოზიტიური აზროვნება, დამოუკიდებლად შეეძლოს პრობლემის გადაწყვეტა, იდეების გენერირება. მასწავლებლის მთავარი საზრუნავი გახდა მოსწავლემ შეძლოს სკოლაში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენება. ამიტომ, საგანმანათლებლო პროცესში თანდათან დიდ ადგილს იკავებს ისეთი სიახლეები, როგორებიცაა: სასწავლო ამოცანების ჯგუფური გადაწყვეტა, სწავლა კეთებით. პროექტის მეთოდით სწავლებას აქტიურად იყენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული სკოლების მასწავლებლები.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების (Project Based Learning) დროს მოსწავლეებს ვთავაზობთ გრძელვადიან სასწავლო საქმიანობას, რომელიც კონკრეტული პრობლემის გადაჭრისაკენ ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოა. ამ დროს მოსწავლეები დამოუკიდებლად მოიძიებენ და ითვისებენ ახალ ცოდნას, კვლევა-ძიებით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, მასწავლებელი კი ხელშემწყობია, ფასილიტატორი.

სასწავლო პროექტები ძირითადად ეროვნულ სასწავლო გეგმას ესადაგება, რომლის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება. სხვა თემაა ყველა მოსწავლე, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, როგორი ხარისხით მიაღწევს შედეგს. მთავარი ისაა, რომ მოსწავლეებმა ახალი ტიპის უნარები განივითარონ და საბაზისო უნარებთან ერთად ისეთი უნარები გააჩნდეთ, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება; პრობლემის გადაჭრის უნარი; გუნდური მუშაობა, ლიდერობა; კვლევა, ინფორმაციის სინთეზი; საკუთარი სწავლების მართვა და დროის მენეჯმენტი; კარიერის დაგეგმვა და სიახლეებთან ადაპტაცია და ა.შ. კვლევებმა დაადასტურა, რომ ეს უნარები და კომპეტენციები მაშინ ვითარდება, როცა სწავლისას გამოიყენება რეალური, ცხოვრებისეული კონტექსტი. ე.ს.გ.-ის მიხედვით, სწავლა ნიშნავს ინფორმაციის შეძენას, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას, ხოლო განათლების მთავარი შედეგია მოამზადოს მოსწავლე, რომელსაც შეუძლია პრობლემის ეფექტურად გამკლავება. ამისთვის საჭიროა პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და მოტივაციის ამაღლება. ვფიქრობთ, სასწავლო პროექტით ეს მიღწევადია, ამას ჩვენი პირადი გამოცდილებაც გვიდასტურებს.

პროექტის მრავალი სახე არსებობს (თემატური, საგნობრივი, ინტერდისციპლინარული, სასკოლო, სათემო, თანამშრომლობითი, ინდივიდუალური, ჯგუფური, ერთი საგნის ფარგლებში ან ინტეგრირებული), რომელთაგან სასურველია ხშირად ჯგუფური კვლევითი პროექტების შესრულება. ეს ერთდროულად მრავალი უნარის განვითარებას უწყობს ხელს. ინტერნეტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებამ პროექტი უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი გახადა. უმჯობესია პროექტი ეხებოდეს პრობლემას და სცილდებოდეს სასწავლო პროგრამას, ამასთან, განპირობებული იყოს აღმზრდელობითი მიზნით, საზოგადოებაში არსებული პრობლემით და მოსწავლეთა ინტერესით.

პროეტით სწავლებას თანდათანობით ვაჩვევთ მოსწავლეებს. ჯერ ვთავაზობთ გამზადებულ პროექტს, სადაც მასწავლებელი თავად განსაზღვრავს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიასა და ტაქტიკას, მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის მას; შემდგომ, მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს; და ბოლოს, მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს.

პროექტი აუცილებლად მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- ✓ პრობლემა (პრობლემის აქტუალურობა);
- ✓ მკაფიო და მიღწევადი მიზანი, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული;
- ✓ კონკრეტული ამოცანები _ ამ მიზნის განხორციელების გზები;
- ✓ თითოეული ამოცანის შესატყვისი კონკრეტული საქმიანობები (სამუშაო გეგმა);
- ✓ მოსალოდნელი შედეგები;
- ✓ რესურსები, რომლებიც საჭიროა პროექტის განსახორციელებლად;
- ✓ მონიტორინგის საშუალები და პროექტის განხორციელებაზე მეთვალყურეობის მექანიზმი;

- ✓ შეფასება კრიტერიუმების/მაჩვენებლების მითითებით, რომლებიც განსაზღვრავენ პროექტის წარმატებას;

პროექტის მიმდინარეობის პარალელურად აუცილებელია პროექტის მონაწილე მოსწავლეების მუშაობის შეფასება და პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი აძლევს რჩევებს, რეკომენდაციებს, ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით და ხელს უწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას.

მოსწავლეთა მიღწევების სხვადასხვა ასპექტისა და შედეგების შეფასების კრიტერიუმებად შეგვიძლია გამოვიყენოთ ე.ს.გ.-ს საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორები.

პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ, მოსწავლეები აღჭურვილნი არიან გარკვეული კვლევითი უნარ-ჩვევებით, გაუმჯობესებულია კომუნიკაცია მოსწავლეებს შორის და მასწავლებელთან, გაზრდილია მოტივაცია და თავდაჯერებულობაც საგრძნობლად იმატებს. ყოველივე აღნიშნული ადასტურებს, რომ პროექტით სწავლება მოსწავლეს უვითარებს სოციალურ, ემოციურ, ესთეტიკურ, კოგნიტიურ უნარებს, ავითარებს მოსწავლის ზედა დონის სააზროვნო უნარ-ჩვევებს (ბლუმის მიხედვით – ანალიზი, სინთეზი და შეფასება), კრიტიკული აზროვნების და სამეცნიერო აზროვნების უნარ-ჩვევებს.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან მოსწავლეები ახალ ცოდნას იძენენ გამიზნულად: სწავლობენ დროის მართვას, ამოცანაზე კონცენტრირებას, ინფორმაციის მოპოვება-ორგანიზებას, თვალსაჩინოებების გამოყენება/შექმნას, ანგარიშის მომზადებას და შეფასებას.

პროექტით სწავლება აქტიური, შედეგზე ორიენტირებული და მიზანმიმართული სწავლების ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია, სადაც ინტერაქტიულობის ძალიან მაღალი ხარისხია. ეს ნამდვილად ამაღლებს მოსწავლე-მასწავლებლის მოტივირებულობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ბოჭორიშვილი; *როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი* - გზამკვლევი მასწავლებლებს; http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=174;
2. ე. ბუსხრიკიძე; *პროექტით სწავლების მეთოდის როლი სასკოლო განათლების მიზნების განხორციელებაში პროექტ-გაკვეთილის მაგალითზე;* gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2243.pdf&t=1;
3. *ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის 2011-2016;*
4. *ეფექტიანი სწავლება,* თეორია და პრაქტიკა, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010;
5. ს. ლობჟანიძე; *როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტგაკვეთილი;* http://mastsavlebeli.ge/uploads/portfolio/sofiko_lobjanize_2.pdf
6. *პედაგოგიკის საკითხები,* მასწავლებლის ბიბლიოთეკა, მასწავლებლის პროფესიული განვითარება, თბ. 2013;
7. *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა;* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი 2007;
8. ი. ქურდაძე; *სწავლა/სწავლების მეთოდების ეფექტური გამოყენება სწავლების ორგანიზაციის პროცესში,* „უნივერსალი“, თბ. 2014
9. http://iziko209.blogspot.com
10. http://chain-reaction.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/05/31.pdf

Izolda Chincharashvili, Magda Davitashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

The Role of Project Teaching in Raising Students' Motivation

Abstract

The terminology "Motivation" is used in pedagogy for student's involvement in learning process and identifying his interest and positive attitude towards learning. Project teaching is one of the ways, which not only promotes the students motivation but their research involvement as well. Nowadays, project teaching-practice is especially active and it is implemented at every institution, as it is oriented on specific initiations or problem solutions. This kind of approach develops research skill among students and teaches them using their theoretical knowledge and experiences in real life. Project teaching is closed to problem oriented approach. While learning, students are independent researchers/learners. They adopt new knowledge; increase their experience by teachers help as teachers become their facilitators. This kind of learning raises not only students' motivation but their desire to be involved in research and supports them to develop their team working skill.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, პროექტი, სწავლება, უნარ-ჩვევები, პრობლემა
Keywords: Motivation, the project, teaching, skills, the problem

მაია ტაკიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრობლემები რომელთაც იტალიელი ინგლისური ენის შემსწავლელები აწყდებიან ინგლისური ენის წარმოთქმის დაუფლების დროს

უცხო ენის შესწავლა მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, იქნება ეს ლექსიკური, გრამატიკული თუ ფონეტიკური. ამჟამად, გვაინტერესებს რა ფონეტიკური სირთულეები გვხდება ინგლისური ენის შესწავლის პროცესში იტალიელების მაგალითზე. რატომ იტალია? ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ვარ ერასმუსის პროგრამა EMBER გრანტის ფლობელი, ვიმყოფები იტალიაში ქ. სალერნოს უნივერსიტეტში, სადაც მაქვს შესაძლებლობა ყურადღება მივაქციო იტალიელთა მეტყველებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უნივერსიტეტში იტალიის თითქმის ყველა რეგიონის სტუდენტი გვხვდება.

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ განსხვავებებს, რომელსაც ქართველი შემსწავლელების მსგავსად იტალიელი ინგლისური ენის შემსწავლელები ავლენენ ინგლისური ენის წარმოთქმის დაუფლების დროს. კერძოდ კი, ბგერათა ჩანაცვლება (არასწორი ბგერების გამოყენება მეტყველების დროს), ასევე არასწორი მახვილისა თუ ინტონაციის გამოყენება. რათქმაუნდა არ ვახდენთ განზოგადებას, არ განვსაზღვრავთ,

რომ ყველა შემსწავლელი აუცილებლად უშვებს შეცდომას ენის სეგმენტურ და სუპერსეგმენტურ ასპექტებთან დაკავშირებით (სეგმენტური - იგულისხმება ბგერები, მარცვლები, ფონემები, ხოლო სუპერსეგმენტური - გულისხმობს მახვილს, ინტონაციასა და რითმას).

იტალიური, როგორც ყველა რომაული ენა, ლათინურის შვილობილ ენას წარმოადგენს, რომლის აღმავლობა და ენის სტატუსად ჩამოყალიბება უკავშირდება *lingua volgare* (სასაუბრო ენის) ათვისებას ფლორენციელი ვაჭრების მიერ, ასევე მწერლებს დანტე ალიგიერს, პეტრარკას და ბოკაჩოს (მ. კრამერი 2009: 22). იტალიური ენა ფონეტიკურ ენას წარმოადგენს, ორთოგრაფია პირდაპირი და ფონოლოგიურად ორიენტირებულია.

ქართველი შემსწავლელების მსგავსად ქვემოთ წარმოდგენილი თანხმოვანი ბგერები ახალია იტალიელებისთვის რადგან არ გვხვდება ბგერათა სისტემაში. [θ] – thin, [ð] – this, [ʒ] - television, rouge; [ŋ] – song. ასევე, მეტყველების დროს იტალიელი შემსწავლელები ავლენენ ბგერათა ჩანაცვლების ტენდენციას მაგალითად: ბგერა **f** – (fan, full, fun) ანაცვლებენ ბგერით **v** – (van, vull, vun); **s** – (sun, street, smile) ანაცვლებენ ბგერით **z** – (zun, ztreet, zmile); ბგერა **t** – (till, time, tune) ანაცვლებენ ბგერით **d** (dill, dime, dune); ასევე ბგერა **ŋ** ჩანაცვლებულია ბგერით **g** საუბრის დროს.

ბგერა [**h**] - გვხდება იტალიურ ანბანში თუმცა ფონეტიკური დატვირთვა არ ააქვს. იტალიელი შემსწავლელები ადვილად აღიქვამენ და პროდუცირებას ახდენენ მოცემული ბგერისა. მიუხედავად ამისა ხშირ შემთხვევაში იგნორირებას ახდენენ ანუ არ წარმოთქვამენ ბგერას სადაც საჭიროა, ხოლო წარმოთქვამენ იქ სადაც ბგერა [**h**] ინარჩუნებს 'silence' (დუმილს).

იტალიური თანხმოვნებს [**p, t, k**] - სიტყვის დასაწყისში არ გააჩნიათ ასპირაცია (სიძლიერე) როგორც ეს ინგლისურ ენაშია, შესაბამისად თუ იტალიელი წარმოთქვამს ტიპიურ იტალიურ /p/ ინგლისური სიტყვისთვის /pen/, მაშინ ინგლისელი ამ სიტყავს გაიგებს როგორც /Ben/.[11]

ასევე, როდესაც იტალიელი შემსწავლელი წარმოთქვამს ბგერებს როგორიცაა [**p, t, k**] [**b, d, g**] სიტყვის ბოლოში, ტენდენციურად წარმოთქვამენ ამ ბგერებს უფრო გამოკვათილად, მკაფიოდ და მიისწრაფვიან თანხმოვნების გაგრძელებისკენ როგორც იტალიურ ენაში ხდება მაგ: va[bb]ene (good). შესაბამისად, ინგლისური სიტყვა 'big'- შეიძლება ჟღერდეს როგორც 'big-a', -მოკლე ხმოვნის დამატებით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მეტყველების აღქმას (გასაგებობას) მაგ: lead/leader, rub/rubber, glad/glader, vague/vaguer, dig/diger, pig/piger. ხოლო თანხმოვანი [**z**] რათქმაუნდა არსებობს იტალიურ ანბანში მაგრამ არასოდეს სიტყვის დასაწყისში როგორც ინგლისურ სიტყვებშია 'zoo', 'zebra', 'zero' - ეს შეიძლება დიდ პრობლემად არ ჩაითვალოს, მაგრამ იტალიელი შემსწავლელები მიისწრაფვიან საუბრის დროს წარმოთქვან იტალიuრი [dz] ნაცვლად [z] სიტყვებში: /dzoo/, /dzebra/, /dzero/.

[11] Joanne Kenworthy 'Teaching English Pronunciation', Longman 1988

Schwa [ə] ქართველი შემსწავლელების მსგავსად პრობლემურ ბგერას წარმოადგენს, რადგანაც უმახვილო ხმოვნები იტალიური ენის მეტყველების დროს არ განიცდიან რედუცირებას, იტალიელი შემსწავლელები მიისწრაფვიან წარმოთქვან სიტყვაში არსებული ხმოვნები იტალიური მართლწერის კონვენციის შესაბამისად, რადგანაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, იტალიური 'ფონეტიკურ' ენას წარმოადგენს.

ხმოვნების სიგრძესთან დაკავშირებით (vowel length) იკვეთება განსხვავებები ინგლისურსა და იტალიურში, მაგალითად: ინგლისურში მახვილიანი ხმოვნები სიტყვის ბოლოში გაგრძელებული ფორმით წაროითქმება 'tree'[tri:], 'sea'[si:], 'see'[si:], 'agree'[egri:]. ხოლო, იტალიურში მახვილიანი ხმოვნები კი პირიქით, სიტყვის ბოლოში მოკლედ წარმოითქმის. ასევე, ინგლისურში მახვილიანი ხმოვნები გაგრძელებულად წარმოითქმის თუ გამოიყენება /**b, d, g, m, n, l, z**/ - თანხმოვნების წინ, ხოლო მოკლედ - თუ გამოიყენება /**p, t, k, s, tʃ** / - თანხმოვნებთან. იტალიურ ენაში ასეთი მკაფიო განსხვავება არ არის ხმოვნების წარმოთქმასთან დაკავშირებით, ხმოვნები წარმოითქმის 'მოკლედ' ნებისმიერ თანხმოვანთან ერთად. შესაბამისად, მეტყველების დროს ანაცვლებენ გრძელ და მოკლე ხმოვნებს, მიისწრაფვიან ხმოვნების შემოკლებისკენ, რადგანაც მათ ენაში ხმოვნები ასეთ ფონეტიკურ კონტექსტში მოკლეა. მაგ: ინგლ. 'card' [ka:d], 'car' [ka:], 'star' [sta:], წარმოთქვამენ შემდეგნაირად cart [kat], car [ka], part [pat] , heart [hat], port [pot].

აქვე გვინდა შევეხოთ მახვილისა და ინტონაციის გამოყენებას. ქართული ენისგან განსხვავებით, იტალიური მახვილი იზიარებს ინგლისური ენის ტენდენციებს რაც გამოიხატება ცვალებადობით, ხმის ამაღლებითა და ინტენსივობით. იტალიელ შემსწავლელებს ნაკლები დაბრკოლებები აქვთ სიტყვაში მახვილის სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც ანტონიო დეუჯენიო თავის სტატიაში აღნიშნავს, ინგლისური მახვილი მეტად ძლიერი და მკაფიოაა იტალიური მახვილისგან განსხვავებით.[12] ასევე, პრობლემა იკვეთება სუფიქსების გამოყენების თვალსაზრისით. ინგლისურ და იტალიურ ენებში ლათინურიდან ნასესხები სუფიქსებია, თუმცა მახვილი სხვადასხვა ადგილას მოუდის (ჯ. ქენსუორსი 1988:148):

იტალიური სუფიქსი **'ta'** შეესაბამება ინგლისურ სუფიქსს **'ty'**, მაგრამ მახვილი ყოველთვის სუფიქს **'ta'** ეცემა განსხვავებით ინგლისურისგან. იტ. 'abilità- ინგ. 'ability'; 'Università' –'University'; 'carità' – 'charity', 'priorità' – priority, 'nationalità' – nationality, 'città' – city, 'libertà' – liberty, ასევე, იტალიური სუფიქსი **'zion'** შეესაბამება ინგლისურ **'tion'** სუფიქსს. ინგლისურში **'tion'** სუფიქსის არსებობის შემთხვევაში, მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე ეცემა, ხოლო იტალიურში კი თვითონ სუფიქსი **'zion'** არის მახვილის ქვეშ. მაგ: იტ. 'nazione' – 'nation'; 'relazione'- 'relation', internazionale – international, porzione – portion, pubblicazione – publication. ზოგადად, იტალიურ ენაში სიტყვები ბოლოვდება ხმოვნით, მახვილიც ბოლო ხმოვანს ეცემა და, შესაბამისად,

[12] Antonio d' Eugenio 'Stress levels in Italian and English: some similarities and differences'. International Review of Applied Linguistics in Language Teaching, Jan. 1. 1975.13.3. Copyright © 2007 ProQuest – CSA LLC

ხდება სიტყვის დაგრძელებაც. მაგ: ‘cit**a**’(city), ‘palt**o**’(overcoat), ‘beb**e**’(baby), ‘perch**e**’(why) (მ. კრამერი 2009:10).

ამგვარად, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ქართველი შემსწავლელების მსგავსად იტალიელებიც დგანან კონკრეტული პრობლემის წინაშე, ესენია: ბგერათა ჩანაცვლება, შესასწავლი ენისთვის სპეციფიკური ბგერების წარმოთქმა, მახვილი და ინტონაცია. როგორც ვხედავთ, ინგლისური ენის შემსწავლელებს გადააქვთ მშობლიური ენის ჩვევები წარმოთქმის დროს, რაც, თავისთავად, ახდენს ზეგავლენას ინგლისური ენის აღქმასა და მეტყველებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. Kramer M. (2009) ‘The Phonology of Italian’, Oxford-Longman
2. ბ. Eugenio An. d’ ‘Stress levels in Italian and English: some similarities and differences’. International Review of Applied Linguistics in Language Teaching, Jan. 1. 1975.13.3. Copyright © 2007 ProQuest – CSA LLC
3. გ. Kenworthy J. (1988) ‘Teaching English Pronunciation’, Longman
4. დ. Tkemaladze “ R. (1999) The English Phonetics handbook” Tbilisi
5. ე. ჟღენტი ს. (1956) ‘ქართული ენის ფონეტიკა’ თბილისი

Maia Takidze
Batumi Shota Rustaveli Sate University

Challenges, which Italian English Language Learners Face During Mastering English Language Pronunciation

Abstract

In the following article we are discussing the problems, which like Georgian, Italian English language learners encounter while mastering English language pronunciation. Concretely, specific vowel or consonant sounds, sound substitution and the incorrect usage of stress and intonation. Of course we are not generalizing that all the learners make mistakes connected to segmental and super segmental aspects of the language. However, it should be mentioned, that some phonetic setbacks make it difficult to perceive and produce the language.

საკვანძო სიტყვები: წარმოთქმა, ჩანაცვლება, ზეგავლენა, გაგება, პროდუცირება.
Keywords: Pronunciation, substitution, influence, comprehension, production.

ნატო ქობულაძე, ლელა ეძგვერაძე, ირმა ჩხიკვაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფოკუსირებული დისკუსია, როგორც კვლევის მეთოდი

დისკუსია ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ხშირად იყენებენ სასწავლი და კვლევითი აქტივობებისას.

დისკუსიის წარმართვა მოითხოვს როგორც დისკუსიის წამყვანის, ასევე მისი მონაწილეებისაგან კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, მოცემული საკითხის ცოდნას, ლიდერობისა და კოორდინაციის შესაძლებლობას, აზრების ურთიერთგაცვლას, ჯგუფის, როგორც მთლიანის, გათვალისწინებას და, შესაბამისად, საჭიროებს საფუძვლიან მომზადებას.

დისკუსია ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ხშირად იყენებენ სასწავლი და კვლევითი აქტივობებისას.

დისკუსია წამყვანსა და მსმენელებს შორის ცოდნის, შეხედულებებისა და იდეების სიტყვიერი გაცვლის პროცესია. დისკუსიას მსჯელობასაც უწოდებენ.

თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდი, რომელიც ასევე ცნობილია „ჯგუფური დისკუსიის“ სახელით, არის ფოკუს-ჯგუფი. როგორც წესი, ფოკუს-ჯგუფში 6-დან 12-მდე რესპონდენტი იღებს მონაწილეობას; ის წარიმართება სადისკუსიო გეგმის საფუძველზე სპეციალური კვალიფიკაციის მქონე წამყვანის, მოდერატორის მიერ.

ეს არის ჯგუფური ინტერვიუს მეთოდი, რომლის დროს ერთდროულად რამდენიმე რესპონდენტსვე საუბრებით და ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ მათ შორის აზრთა გაცვლას (აქედან გამომდინარეობს ამ მეთოდის კიდევ ერთი დასახელება - „ჯგუფური დისკუსია“). თანამედროვე ფოკუს-ჯგუფების უშუალო წინამორბედად სოციალურ მეცნიერებებში ამერიკელის ოციოლოგის რობერტ მერტონის (Merton, 1910 - 2003), და მისი კოლეგების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს შემუშავებული „ფოკუსირებული ინტერვიუს” მეთოდი ითვლება.

ფოკუს-ჯგუფი ჯგუფური ინტერვიუს სახეობაა, რომლის მსვლელობაც გარკვეულ წესებს ემორჩილება და რომელსაც სპეციფიკური მიზნები ახასიათებს. ასევე განსხვავებულია ფოკუს-ჯგუფის ჩატარების პროცესში გამოყენებული მეთოდიკები, მოთხოვნები რესპონდენტთა შერჩევისადმი და მკვლევარსა და რესპონდენტებს შორის ურთიერთობის ფორმები.

ზოგიერთი მკვლევარი ფოკუს-ჯგუფს „ჯგუფურ სიღრმისეულ ინტერვიუს“ უწოდებს, ვინაიდან, ფოკუს-ჯგუფსა და სიღრმისეულ ინტერვიუს საერთო თვისებები ახასიათებს. მაგრამ ამ ორ მეთოდს შორის არის სერიოზული განსხვავებებიც, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ფოკუს-ჯგუფის დროს ერთდროულად რამდენიმე რესპონდენტსვე საუბრებით (ყველაზე უფრო ხშირად მათი რაოდენობა 8-დან 10-მდე მერყეობს), და ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ მათ შორის აზრთა გაცვლას.

როგორც მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, ფოკუს-ჯგუფები საშუალებას გვაძლევს, არა მხოლოდ ძალიან ღრმად შევისწავლოთ ესა თუ ის რთული საკითხი, არამედ შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებაში არსებული აზრთა მრავალფეროვნების შესახებ. ფოკუს-ჯგუფის დროს წარმოქმნილი

დისკუსიების შედეგად უკეთ ვლინდება რესპონდენტების დამოკიდებულება გარკვეული სოციალური პრობლემებისადმი, მათი ფსიქოლოგიური განწყობები და ემოციური შეფასებები, რომლებიც ხშირად არც არის შეგნებულად გათვითცნობიერებული რესპონდენტების მიერ.

ფოკუს-ჯგუფის ჩატარება სერიოზულ მომზადებას მოითხოვს, რაც გულისხმობს თემის წინასწარ შესწავლას, გამოკვლევის პროგრამის და სადისკუსიო გეგმის შემუშავებას (და სასმელი კითხვების წინასწარ მომზადებას), აგრეთვე, დისკუსიის ჩატარების ტექნიკური მხარეების უზრუნველყოფას. ფოკუს-ჯგუფის დროს წარმოქმნილი დისკუსიების შედეგად უკეთ ვლინდება რესპონდენტების დამოკიდებულება გარკვეული სოციალური პრობლემებისადმი, მათი ფსიქოლოგიური განწყობები და ემოციური შეფასებები, რომლებიც ხშირად არც არის გაცნობიერებული რესპონდენტების მიერ.

როგორც წესი, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს სპეციალური კრიტერიუმების საფუძველზე არჩევენ, ეს კრიტერიუმები კი გამოკვლევის ამოცანებითაა განპირობებული. უპირველესი მოთხოვნა მონაწილეთა შერჩევისადმი ისაა, რომ ისინი კარგად უნდა ერკვეოდნენ იმ საკითხში, რომელსაც ფოკუს-ჯგუფი ეძღვნება.

რესპონდენტთა რაოდენობის მკაცრი შეზღუდვა აუცილებელია, რათა ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას მის ყველა მონაწილეს მიეცეს თავისი აზრის თავისუფლად და სრულად გამოთქმის საშუალება. თუ ეს პირობა არ სრულდება, ფოკუს-ჯგუფი ვერ აღწევს თავის მიზანს.

ფოკუს-ჯგუფის წარმატებას დიდ წილად განსაზღვრავს ჯგუფის წამყვანი ანუ მოდერატორი. მოდერატორის მიერ ფოკუს-ჯგუფის ჩატარების სტილი შეიძლება იყოს როგორც მკაცრი, ასევე ლიბერალური. უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც წესი, საქმე გვაქვს გამოცდილ მოდერატორთან, ვინაიდან რესპონდენტების მოჩვენებითი თავისუფლების მიუხედავად, მან მაინც უნდა აკონტროლოს დისკუსიის მსვლელობა და უნდა მიიღოს პასუხები დასმულ კვლევით კითხვებზე.

ყოველთვის ხდება ფოკუს-ჯგუფის დროს გამართული საუბრის აუდიო - და/ან ვიდეო ჩაწერა, რის შესახებაც რესპონდენტები წინასწარ უნდა იყვნენ გაფრთხილებულნი. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი კონფიდენციალობა. ფოკუს-ჯგუფის ხანგრძლივობა, როგორც წესი, საათ-ნახევრიდან ორ საათამდეა; შესვენების გაკეთება ფოკუს-ჯგუფის მიმდინარეობის დროს არ არის მიზანშეწონილი. ერთი კვლევითი პროექტის ფარგლებში, როგორც წესი, რამდენიმე ფოკუს-ჯგუფი ტარდება, რომლებიც ხშირად განსხვავდება მონაწილეთა მაჩვენებლების მიხედვით (ქალები; მამაკაცები; სხვადასხვა ასაკობრივი ან პროფესიული ჯგუფი); გამოცდილებამ აჩვენა, რომ რაც უფრო ნაკლებია წევრთა რაოდენობა ჯგუფში, მით უფრო ნაყოფიერია მუშაობა. დიდი ჯგუფების გაკონტროლება რთულია, მით უმეტეს, რომ ფოკუს-ჯგუფის მუშაობას იწერენ აუდიო-ვიდეო აპარატურაზე, ხოლო სესიის ჩაწერა დიდი ჯგუფის პირობებში გართულებულია, ვინაიდან ყველა ადამიანი განსხვავებული ხმით, ტემბრით, და სისწრაფით საუბრობს. აქედან გამომდინარე, ყოველივე ამის დაფიქსირება შეიძლება შეუძლებელიც კი აღმოჩნდეს. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყოველი ახალი სესიის დაწყების წინ საჭიროა მონაწილეთა რაოდენობის 25%-ით გაზრდა, რადგან წინა სესიების მონაწილეთა სრული რაოდენობა შემდგომ სესიებზე არ გამოცხადდება. ფოკუს-ჯგუფები კარგად უთავსდება კვლევის სხვა მეთოდებს, ამიტომ ხშირად

გამოიყენება ფართო მასშტაბიან პროექტებში სხვა მეთოდებთან, მათ შორის გამოკითხვასთან ერთად. ფოკუს-ჯგუფების შედეგად მიღებული თვისებრივი ინფორმაცია, როგორც წესი, ამდიდრებს რაოდენობრივ შედეგებს. აღსანიშნავია, აგრეთვე ისიც, რომ ფართო გამოკითხვებთან შედარებით ფოკუს-ჯგუფების ჩატარება ნაკლებ დროს მოითხოვს და დამკვეთს გაცილებით უფრო იაფი უჯდება, ვიდრე სხვა ტიპის კვლევის ჩატარება.

როგორ ხდება ფოკუს ჯგუფის ორგანიზება:

ფოკუს-ჯგუფის ჩატარების ადგილი ხელსაყრელი უნდა იყოს როგორც თითეული მონაწილის, ასევე კვლევის მიზნისათვისაც. უმჯობესი იქნება, თუ კვლევა ნეიტრალურ ადგილას ჩატარდება, თუმცა, ამ მიზნის სისრულეში მოყვანა რთულია. ხშირ შემთხვევაში კვლევა გარკვეულ დაწესებულებაში მიმდინარეობს, მაგ: საავადმყოფოში. მონაწილეებისათვის წამყვანია ორი მოთხოვნა: კომფორტი და შესატყვისი გარემო. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე იმ ადგილის გემოვნებით მოწყობასაც, სადაც უნდა წარიმართოს კვლევა, ვინაიდან ესთეტიკური გარემო კვლევის წარმატებულად ჩატარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, კვლევამ ხელი არ უნდა შეუშალოს თვითონ მონაწილეს და არ უნდა დაურღვიოს დღის რეჟიმი– ვთქვათ, ბავშვის მოვლა ან ტრანსპორტირების პრობლემა. ჯგუფის წევრები საკუთარ სახელებს (მხოლოდ სახელებს და არა გვარებს) წააწერენ ქაღალდზე და მაგიდაზე დადებენ, ან გულზე მიიბნევენ. შედეგად, ჯგუფის წევრები ერთმანეთს სახელით მიმართავენ.

ფოკუს-ჯგუფის მეთოდის მცოდნეთა უმეტესობის აზრით, სესიის ხანგრძლივობა უფროსებში არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, (თუმცა არსებობს 3 ან 3 საათნახევრიანი ჯგუფებიც), ბავშვებში 1 საათს.

ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობის დროს მნიშვნელოვანია თემების ცვლის მართვა. არსებობს თემიდან თემაზე გადასვლის ორი ტიპი: პირველი, რომლის დროსაც ინიციატივას თვითონ რესპონდენტი იჩენს და მეორე, როდესაც ინიციატივა წამყვანის მხრიდან მოდის.

რესპონდენტის მიერ ინიცირებული ცვლილება შეიძლება ნიშნავდეს, რომ მას არ სურს ამ თემაზე საუბარი, რასაც სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ქონდეს: თემა მისთვის ნაკლებად ნაცნობია, ან ეუხერხულება ამ თემაზე საუბარი და სხვ. ამ დროს წამყვანი უნდა შეეცადოს მოხსნას ამ მოუხერხებლობის ან გაუგებრობის წარმოშობისა და მისი შემდგომი გავრცელების მიზეზები – მაგალითად, სხვებიც იზიარებენ ამ უხერხულობას, თუ იზიარებენ, რა არის ამისი საფუძველი?

წამყვანის მიერ ინიცირებული ცვლილებები უფრო სტრატეგიულ ხასიათს ატარებს: წამყვანს შეუძლია დაუბრუნდეს იმ თემის ანალიზს, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ზერელედ ან საერთოდ არ იქნა განხილული.

რთული ადამიანების მართვა

ზოგჯერ ჯგუფში აღმოჩნდებიან რთული ადამიანები, რომელთა გაკონტროლება აუცილებელია 1) ჯგუფის მოუსვენარი წევრი: თუ არსებობს ადამიანი, რომელიც მთელი ჯგუფის განმავლობაში ვერ ისვენებს და ხელს გიშლით მუშაობაში, უმჯობესია მას შესაფერის მომენტში (ვთქვათ, შესვენების დროს) და რაც მთავარია, სხვების თანდასწრების გარეშე ვთხოვოთ დატოვოს ჯგუფი. 2) ჯგუფის ჩუმი წევრები: მათ ასალაპარაკებლად და ჯგუფის მუშაობაში ჩასაბმელად უმჯობესია გამოვიყენოთ კითხვების დასმის მეთოდი. ამასთან, ეს კითხვები გონივრულად უნდა იყოს

შედგენილი. 3) ჯგუფის ზედმეტად აქტიური წევრი: ამგვარი წევრების ენერგიის შესამცირებლად უმჯობესია მათ წინააღმდეგ მივმართოთ ჯგუფის დანარჩენი წევრების რეაქცია და ვაგრძნობინოთ, რომ სხვებსაც სურთ აზრის გამოთქმა.

ფოკუს-ჯგუფი, როგორც ანალიზის მეთოდი, გამოიყენება სხვადასხვა სფეროში (სოციალური მეცნიერებები, მედიცინა, ბიზნესი, მარკეტინგი...). ფოკუს-ჯგუფი ეფექტურად გამოიყენებასასკოლო, საუნივერსიტეტო პრაქტიკაში მოსწავლეთა/ სტუდენტთა და მასწავლებელთა კოლექტივში არსებული განწყობის, კონკრეტული საკითხის ირგვლივ არსებული აზრთა მრავალფეროვნებისგამოსავლენად. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნითაც.

უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები დაეუფლონ ამ მეთოდს, როგორც სიტუაციის ანალიზისა და განათლების სფეროში კვლევის ერთ-ერთხერხს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, 2004, გაეროს განვითარების პროგრამა; თბილისი
2. ინტერპერსონალური კომუნიკაცია-მომსახურების სფერო, 2010, თბილისი
3. Desining and conducting focus group interviews, www,eiu.adu/ Krueger – Focus group

Nato Kobuladze, Lela Edzgveradze, Irma Chkhikvadze
Akaki Tsereteli State University

Focus Group as a Form of Discussion

Abstract

Focus group is one of the most popular methods of qualitative research. Focus group is a form of group interview based on compliance of certain rules. Focus group participants shouldbe purposefully selected. The methods and forms of interaction between researcher and respondents while focus group working are specific.

Moderators play a key role in the success of focus groups. Moderators may be strict or more liberal, but they have to control discussion, manage/rule focus group to rich goals of research.

Focus group is a valid technique for evaluation education programs. It should be used in schools and universities for understanding and resolving the problems of educational process and it is of great importance that students handle with this techniquein order to carry out research in the field of education.

საკვანძო სიტყვები: ჯგუფური დისკუსია, ფოკუს - ჯგუფი, ესთეტიკური გარემო, წამყვანი, რესპოდენტი.
Keywords: Group discussion, focus-group, aesthetical environment, leader, respondent.

ხათუნა ხარხელი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

წერის როლი გაგება - გააზრებისას

წერის სწავლება საწყისი და რთული პროცესია. ამიტომ კითხვის სწავლების მსგავსად, წერის სწავლებაც პასუხისმგებლობის ნაბიჯ–ნაბიჯ გადაცემის მოდელს ეფუძნება. ეს პროცესი მიმდინარეობს მოდელირების, ერთობლივი ვარჯიშის, მისი პრაქტიკის, დამოუკიდებლად წერის ციკლის უწყვეტი მონაცვლეობით. წერის გამოცდილებასთან ერთად თანდათანობით გამომუშავდება ნაშრომის აგების სტილიც. (ლ. კაჭარავა. 2007, გვ. 5–52)

სტატია, წერილობითი ნაშრომი, უფრო მისაღები იქნება მკითხველთათვის, თუ ის გრამატიკულად და სტრუქტურულად გამართული იქნება. მაგრამ კარგი ნაწერის ღირებულება მხოლოდ ეს არ არის. ''წერისას ჯერ კარგად უნდა დარწმუნდეთ, რომ სათქმელი ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გამოიტანოთ დასაწერად ნაფიქრი. (გვარჯალაძე, ი. გვ.25-46).

რა არის პრობლემა წერისას? კითხვა ლოგიკურია თუ არ ჩავუკვირდებით იმას, თუ რას ვწერთ და როგორ ვწერთ. ვიცით თუ არა განსხვავება მშობლიურ ენაზე წერისას არსებულ კრიტერიუმებსა და უცხოურ ენაში, კერძოდ, ინგლისურ ენაში მიღებულ მოთხოვნებსა და თავისებურებებს შორის. ამიტომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ. მათ შორის მსგავსება–განსხვავებებზე. არსებულს დავაშენოთ ახალი და ამით ხელი შევუწყოთ ინგლისურ ენაზე კითხვისა და სწავლების გაღრმავებას. (J.Harmer, p.121-145).

მცირე კვლევა პირველკურსელებთან, რომლებისთვისაც არ იყო ინგლისური პირველადი ენა, საშუალებას მაძლევდა გამერკვია თუ როგორ წერდნენ მოსწავლეები ესეს ქართულად და ინგლისურად. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეები მისაღებ გამოცდებზე წერენ ესეს ორივე გამოცდაზე წესით მათ უნდა სცოდნოდათ ესეს სტრუქტურა. ნაწერების გააანალიზებამ გვაჩვენა, რომ მოსწავლეებს უფრო უჭირთ არგუმენტების მოყოლა და მისი დაცვა. მათთვის ძნელია საკითხის ირგვლივ სიღრმისეული მსჯელობა, მაშინ როცა საკითხი ეხებოდა ახალგაზრდების დამოკიდებულებას რიმეიქთან დაკავშირებით, მათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ევალებოდათ, ინგლისურ ენაში არათუ არგუმენტები,არამედ სტრუქტურული აგების პრობლემაც გამოიკვეთა.

1. ქართულ ენაზე დაწერილი უფრო ემყარებოდა მათი ნააზრევის შინაარსობრივ გადმოცემას და უმეტესად ისინი მსჯელობდნენ კინოს წარმოშობაზე და არა საკუთარი აზრის დასაბუთებაზე. ინგლისურ ენაში კი მწირი ლექსიკით გამოხატავდნენ პოზიციას კინოზე.
2. როგორ ვიწყებთ წერას ყოველთვის, როდესაც ამბობთ, რომ წერას იწყებთ, ამ სიტყვით ყველა იმ ფიზიკურ და ფსიქიკურ აქტივობას გულისხმობთ, რომელიც დასრულებული ნაშრომის შექმნაში მონაწილეობს. ეს არ არის იოლი შრომა, გამოცდილი ავტორებისთვისაც კი წერა შრომატევადი და რთულია. დახვეწილი სტატია თუ ნაშრომი დიდი შრომის ფასად აზრების მკაფიოდ ფორმულირების, აბზაცების დამუშავებისა და სტრუქტურირების ხანგრძლივი პროცესის შედეგად მიიღწევა. არსებობს ნაშრომის შექმნის გარკვეული ეტაპები, (T. Gordon (2009). P. 20-

38), რომლებსაც ყველა ავტორი ითვალისწინებს და რომლებიც ნაწილობრივ თანხვდებიან კიდეც ერთმანეთს. ეს ეტაპებია:

- წერის პროცესის ანალიზი. ამ ეტაპზე განისაზღვრება ნაშრომის თემა, მიზანი, სამიზნე აუდიტორია ანუ მკითხველი და პროექტის სხვა ელემენტები;
- დაგეგმვა. ამ ეტაპზე ნაშრომში განსახილველი საკითხი დაკონკრეტდება და ინფორმაცია შეგროვდება. ყურადღება გამახვილებულია ერთ კონკრეტულ საკითხზე. დგება მოპოვებული მასალა
- მონახაზი. ამ ეტაპზე გამოიხატება იდეები, მოსაზრებები, მათ შორის მყარდება კავშირები;
- გადასინჯვა. ამ ეტაპზე ხდება ნაშრომის სტრუქტურის, შინაარსის, სტილისა და გამოხატვის ხერხების ხელახალი გააზრება და გაუმჯობესება. წერის გამოცდილებასთან ერთად თანდათანობით გამოიმუშავებთ ნაშრომის აგების თქვენეულ სტილს. წერის პროცესის ანალიზი ნებისმიერი წერილობითი ნაშრომი კონკრეტული მკითხველისთვის კონკრეტული საკითხის გარკვეული მიზნით განსახილველადაა მოწოდებული. თქვენ შეიძლება კვლევის ჩატარება დაგჭირდეთ. ამასთან, თქვენ წინაშე დადგება მოთხოვნები ნაშრომის მოცულობასთან, გაფორმების ფორმატთან და დასრულების ვადებთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოთ თქმული წერის სიტუაციის კომპონენტებია, რომელთა გააზრება წერის დაწყებამდე გაცილებით ადრე მოგიწევთ.

3. არგუმენტირებული ესეს მიზანია რაიმე აზრის სისწორეში მკითხველის დარწმუნება. არგუმენტების მოტანის საჭიროება მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანები არ ეთანხმებიან ერთმანეთს რაიმე საკითხთან დაკავშირებით. ერთი მხარე მოსაზრებას გამოთქვამს და ამ მოსაზრების მხარდაჭერის მიზეზებს გვთავაზობს. მეორე მხარე საწინააღმდეგო შეხედულებას გვაწოდებს და ასევე გვთავაზობს მის დასაბუთებას. შეიძლება ორი ადამიანის აზრი რომელიმე კონკრეტული საკითხზე არ დაემთხვას არგუმენტირებული ესეს წერისას უნდა გვახსოვდეს, რომ მიზანი თქვენი მოსაზრების სისწორეში მკითხველის დარწმუნებაა. (ლ. კაჭარავა. 2007, გვ. 5–52) არგუმენტირებული ესე შეიძლება კომპონენტებად ან ეტაპებად დაიყოს, რომელთაგან შემდეგი ოთხი თითქმის ყოველთვის უნდა იყოს: (1) შესავალი, (2) საკითხის დასმა, (3) მოსალოდნელი წინააღმდეგობა და (4) დასკვნა.

დღეს, როცა ქვეყანა გლობალურ სივრცეში იკიდებს ფეხს და კონკურენტუნარიანი ცივილიზაციის ნაწილი ხდება, აუცილებელია ისეთი ახალგაზრდის აღზრდა, რომელიც შეძლებს საკუთარი ნააზრევის დაცვას და პოზიციების ჭიდილში ცოდნასთან ერთად წერილობით მის წარმოჩენას, ამიტომ, ვფიქრობ, წერა ის საკითხია, რომელიც განათლების სისტემაში უფრო უნდა წარმოჩინდეს და მის განვითარებაზე ვიზრუნოთ გაგება-გააზრება კი ცოდნის შეძენისა და ინტელექტუალური ადამიანის აღზრდის აუცილებელი ელემენტია. ბლუმის ტაქსონომიით მაღალი სააზროვნო უნარები ვერ განვითარდება თუ ახალგაზრდას არ ეცოდინება შედარება შეპირისპირება, სინთეზი და შეფასება. ამ ყველაფერს კი წერილობითი სახით გადმოცემის დახვეწა და სრულყოფა ჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი, ა. (2008). უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

2. გვარჯალაძე (1957). ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის საფუძვლები. თბილისი, საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.
3. გიორგობიანი, ლ. (2004). უცხოური ენების სწავლების თეორია; უცხო ენების სწავლების მეთოდიკა. თბილისი, ენა და კულტურა
4. კაჭარავა, ლ. (2007). აკადემიური წერა დამწყებთათვის. თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
5. კრავეიშვილი, მ. (2002). უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა.თბილისი, ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. Jeremy, H. (2007) How to teach English. Oxford, Pearson Longman.
7. Taylor, G. (2009). A Student's Writing Guide: How to Plan and Write Successful Essays. Cambridge, Cambridge University Press.

Khatuna Kharkheli
Gori State Teaching University

The Role of Writing for Understanding and Comprehension

Abstract

The current reforms in education sector have been resulted from today's necessity. The 21st century skills require some profound knowledge of the subject and general education from future generation. At lower levels of literacy more than fewer studies have been proved, however, interest in the field of writing culture is not still activated. This affects understanding and realizing the subject of study to some extent.

Writing is one of the key components of the student's development. It helps him to convey his own opinion in relevant form. Mastering writing is a long and difficult process. It requires systematic work, the usage of a wide variety of activities so as the students to master creating various texts of miscellaneous purposes and status. Enriching vocabulary is actually conditioned by a thorough writing culture. It guarantees certain profound knowledge and essential success. (L. Giorgobiani 2004, pg. 191-200). The problem arises as soon as the student is asked to express any idea or his own opinion in a written form.The statistical study shows the deplorable consequences of students' writing works at national exams. No better is even a teacher's written thoughts and I think they would not have had the existing problems at the certification exam in case of the oral examination. Here arises the question whether to strengthen our efforts towards the role and importance of writing? Perhaps, yes, as it seems that the students were not relevantly paid attention to conveying the diversity of thoughts in a written form and therefore the problem got deeper, it gained much larger scale in teaching a foreign language, particularly English.

საკვანძო სიტყვები: წერის კულტურის უნარ-ჩვევები, წერის სწავლების სტრატეგიები, წერისათვის აუცილებელი კრიტერიუმები, არგუმენტირებული ესეს სწავლება.
Keywords: Skills of writing, strategies of teaching writing, criterion necessary for writing, teaching essay writing.

თამარ ტალიაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგიური ურთიერთობის ფორმები და მოსწავლეთა კომუნიკაციური კულტურა

განათლების თანამედროვე სისტემისათვის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა კომუნიკაციური კულტურის განვითარება, რომელიც საგანმანათლებლო სივრცეში ახალი ტექნოლოგიური და შინაარსობრივი მიდგომებით ხორციელდება. ამ პროცესის ეფექტიანი წარმართვა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია პედაგოგიური ურთიერთობის პროდუქტიულ ფორმებზე, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობითი სწავლების პარადიგმას.

გავრცელებული ხუმრობა მოსწავლეთა *შორის ,რომ"სკოლა* არის ადგილი, სადაც პასუხს მაძლევენ შეკითხვებზე, რომლებიც მე არ დამისვამს"- ასახავს პედაგოგიკის ერთერთ ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანას - განათლების შინაარსის შევსება პრობლემებით, რომლებიც აღელვებს თავად მოსწავლეს.

ეს პრობლემები სხვა ფაქტორებთან ერთად აისახა წიგნიერების საერთაშორისო კვლევებში,რომლებიც 10 წლის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდში ჩატარდა საქართველოში. (PIRLS-2006, 2011), PISA-2009, TALIS-2015. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეების წიგნიერების დაბალი დონე, რომელიც, სამწუხაროდ, კვლავ ფიქსირდება 2011-2015 წლების კვლევებში, პირდაპირ კავშირშია მოსწავლეთა კომუნიკაციური კულტურის განვითარებასთან. ისეთი უნარების განვითარებასთან, როგორიცაა: კომუნიკაციის, თანამშრომლობის, სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში ადეკვატური ქმედების და სხვა.

ექსპერტების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ის ფაქტი, რომ RIRLS-ის 2011 წლის ანგარიშის მიხედვით ინტერვიურების შედეგად მასწავლებელთა 71% მიუთითებს მრავალფეროვან აქტივობებზე,რომლებსაც ინტენსიურად იყენებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვისთვის სასწავლო პროცესში. თუმცა, იგივე კვლევის მიხედვით ამ მასწავლებელთა მოსწავლეებმა კითხვის უნარში ოდნავ მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირეს(რამოდენიმე ქულა) საერთო მაჩვენებელთან შედარებით.ერთი მხრივ, ამ მონაცემთა ანალიზი მეტყველებს ქართველი მასწავლებლების მაღალ თვითშეფასებაზე, რაც კვლევებში ხშირად რესპოდენტთა არაგულწრფელობით არის განპირობებული. მეორე მხრივ, საკითხს თუ უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ პრობლემა არაპროდუქტულ ინტერაქციაშია. გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა მიუთითებს იმ აქტივობებზე, რომლებიც ორიენტირებულია წიგნიერების ამაღლებაზე, მაგრამ მოსწავლეთა ტესტირების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი პედაგოგები ვერ ახდენენ ამ აქტივობის ეფექტიან იმპლიმენტაციას სასწავლო პროცესში. შესაბამისად, არაპროდუქტიული ინტერაქციის გარემოში მოსწავლეების კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებას სირთულეები ექმნებათ. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნიერების სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის მიზნით თბილისსა და საქართველოს რეგიონებში G-PRIED-ის პროექტის ფარგლებში ინტენსიურად ტარდება ღონისძიებები დაწყებითი კლასის

მასწავლებლებისთვის, რაც ვფიქრობთ ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას, ამ მხრივ, უფრო სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან საბაზო-საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, რადგან მათ პედაგოგიურ პრაქტიკაში ჯერ კიდევ მთავარ გამოწვევად რჩება პროდუქტიული ინტერაქცია, პედაგოგიური ურთიერთობის მონოლოგური ფორმის დიალოგური ფორმით ჩანაცვლება.

ვფიქრობ, დიალოგური სწავლების მეთოდების გააქტიურება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კომუნიკაციური და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ნაშრომში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების თეორიებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ დიალოგის, როგორც სასწავლო მეთოდის, პრიორიტეტულობას, მის ფსიქოლოგიურ საფუძველს და სასწავლო პროცესში სტრუქტურების ინსტრუმენტებს.

ფსიქო-პედაგოგიური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე კომუნიკაციური კულტურა, ზოგადად, შეიძლება განვიხილოთ, როგორც სხვა ადამიანებთან კონტაქტის დამყარებისა და წარმოების უნარი შინაგანი რესურსების გამოყენებით.

ამ მხრივ, ჩვენთვის საყურადღებოა მოსწავლეთა კომუნიკაციური კულტურის ათვისების ინდიკატორები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებში გვხვდება ენის კომუნიკაციური ასპექტების მიმართულებით. ამ კომპეტენციის დაუფლება ითვალისწინებს, სულ ცოტა, 3 მიმართულებით უნარების განვითარებას:

უნარების I ჯგუფი – კომუნიკაციური ანუ ენობრივი: აზრების ნათლად და მკაფიოდ გადმოცემის უნარი; დარწმუნების უნარი; არგუმენტაციის უნარი; მტკიცებულების აგების უნარი; დასკვნების გამოტანის უნარი; გამონათქვამის ანალიზის უნარი.

უნარების II ჯგუფი – აღქმის უნარი (პერცეპციული): მოსმენისა და გაგების უნარი (ინფორმაციის სწორად ინტერპრეტირება, მათ შორის არავერბალურისაც (მიმიკა, პოზები და ჟესტები), ქვეტექსტების გაგება და სხვ.), სხვა ადამიანის გრძნობებისა და განწყობილების გაგების უნარი (ემპათიის უნარი, ტაქტის გრძნობა, თანაგრძნობა), ანალიზის უნარი (რეფლექსიისა და თვითრეფლექსიის უნარი).

უნარების III ჯგუფი – ურთიერთობის პროცესში ზემოქმედების უნარი (ინტერაქტიური): საუბრის წარმოების უნარი, მოლაპარაკებები, განხილვა, აზრების თავაზიანად გადმოცემის უნარი, შეკითხვების დასმის უნარი, აუდიტორიის დაინტერესების, მოთხვნის ფორმულირების უნარი, კონფლიქტურ სიტუაციებში ურთიერთობის უნარი, საკუთარი საქციელის გაკონტროლების უნარი ურთიერთობისას[5. გვ., 18-23].

ლ. ვიგოტსკი თავის სოციო-კულტურულ თეორიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიალოგი შემეცნების უწყვეტ ცვლილებებს იწვევს. [1. გვ., 40-42] სასწავლო დიალოგი – ეს რთული დიალექტური მთლიანობაა, რომლის კონტინუუმის რეალიზაცია ხდება გაკვეთილის ყველა ნაწილის ლოგიკური თანმიმდევრობისა და მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთამოკიდებულების დაცვით.

სასწავლო დიალოგის მოტივაციური სქემების სტრუქტურა მოიცავს ეტაპს, რომლის არსიც მდგომარეობს მოსწავლეთათვის განსაზღვრული მიზნების დასახვაში კონკრეტული სასწავლო ამოცანების გადასაჭრელად. ეს ეტაპი საშუალებას აძლევს პედაგოგს წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეებთან დიალოგში ისე, რომ მოხდეს თითოეული პიროვნების თვითრეალიზაცია, არსებობდეს სწავლების დადებითი შედეგის მიღწევის მეტი ალბათობა. დიალოგის მონაწილეთა მიზნები და ამოცანები

განსაზღვრავენ სასწავლო დიალოგის ორგანიზაციას, რომლის დროსაც უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მომენტები:

- სასწავლო დიალოგის არც ერთი რეპლიკა არ შეიძლება დარჩეს პასუხის გარეშე;
- სასწავლო დიალოგი მკაცრად არის განსაზღვრული დროით;
- თუკი მოსწავლე არ არის აქტიური, ე.ი. ის განიცდის ცოდნის უკმარისობას;
- სასწავლო დიალოგის ენობრივი მახასიათებლები დაკავშირებულია სრული პასუხების მოთხოვნასთან;
- სასწავლო დიალოგი მოითხოვს წინასწარ მომზადებას;

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუკი მასწავლებელს არა გააჩნია ურთირთგაგება კლასთან – ჩნდება ნეგატიური დამოკიდებულება დიალოგის პარტნიორთან და ხდება მთელი იმ ინფორმაციის აქტიური უარყოფა, რომელიც მისგან მოდის. ხოლო მასწავლებლისა და მოსწავლის სრული კონტაქტის დროს, დიალოგი ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი და სააზროვნო უნარების განვითარებას და ადამიანებთან ურთიერთობის რთული წესების დაუფლებას..

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო დიალოგის სპეციფიკა დაკავშირებულია, ზოგადად, დიალოგის თავისებურებებთან. მაგრამ თუკი ცოცხალ სალაპარაკო ენაში დიალოგი – ადამიანთა ურიერთობის ფორმას წარმოადგენს, სასწავლო დიალოგი – ეს დამატებით სწავლების მეთოდიცაა, რომელსაც გააჩნია თავისი სტრუქტურა, დინამიკა და კომპოზიცია. სასწავლო დიალოგი სასკოლო პრაქტიკაში ძირითადად ორი სახით არის წარმოდგენილი: მასწავლებელი → მოსწავლე და მოსწავლე → მოსწავლე., ურთიერთობა მასწავლებელსა და მოწავლეს და ურთიერთობები მოსწავლეებს შორის, გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასებაზე [5. გვ. 22-23].

მასწავლებლისა და მოსწავლის თანაშემოქმედება სასწავლო პროცესში: დიალოგი როგორც ადამიანთა შემოქმედებითი ურთიერთქმედება წარმოუდგენელია კითხვებისა და პრობლემების გარეშე. აბსოლუტური თანხმობა პარტნიორებს შორის დიალოგისათვის მარცხის ტოლფასია. დიალოგი შეუძლებელია ინდივიდის აბსოლუტური დამოკიდებულებისა და აბსოლუტური ავტონომიურობის შემთხვევაშიც. ცნება "დიალოგი" სწავლებასთან მიმართებაში გამოიყენება სამი თვალსაზრისით:

1. ყოველი მეცნიერული ცნება გაკვეთილებზე განიხილება როგორც განსხვავებული ლოგიკების, კულტურების, გაგების განსხვავებული ხერხების დიალოგი. მეცნიერული ცნებების განხილვა განსხვავებულ ლოგიკებს "შორის", უზრუნველყოფს სასწავლო დიალოგის გაშლას ზოგადსაკაცობრიო პრობლემების ჭრილში, ანიჭებს დასმულ საკითხს პროდუქტიულ ამოუხსნელობას, ნაკლოვანებას და ამავე დროს სიღრმისეულობას. სწორედ ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვისაუბროთ ლოგიკათა დიალოგზე.
2. სასწავლო დიალოგის მსვლელობისას იბადება განსაკუთრებული ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის.ამავდროულად, მოსწავლეები ცდილობენ არამარტო სხვადასხვა ეპოქის კულტურული მარკერების დადგენას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრი სამყაროზე ავტორთან დიალოგით. (ეფექტურია აქტივობა-ჰკითხე ავტორს)
3. სასწავლო დიალოგი მხოლოდ მაშინ ხდება თანამედროვე დიალოგური აზროვნების ადეკვატური, როდესაც კულტურული ბლოკების შეჯახება მუდმივად ეთანხმება მოაზროვნის შინაგან დიალოგს. ეს მიკროდიალოგი მიმდინარეობს განსაკუთრებული მეტყველების ფორმით, რომელიც არ ემთხვევა '.გარე მეტყველებას.'

იმისათვის რომ მასწავლებლის მიერ დასმულმა სასწავლო ამოცანამ შეძლოს სასწავლო დიალოგის წარმოქმნა, ის უნდა წარმოაჩენდეს სწორედ მის თვალსაზრისს, მის მიერ ჩამოყალიბებულ პირად პოზიციას, რომელიც არღვევს მოსწავლისათვის ჩვეულ აზროვნებას, უბიძგებს ბავშვებს შემოქმედებისაკენ. იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს მიწოდებული მასალის გაგება, პედაგოგმა უნდა გაშალოს არა მარტო განათლების შინაარსის ელემენტის მნიშვნელობა, არამედ განიხილოს ეს მნიშვნელობა სხვა სოციალური გამოცდილების ელემენტებთან კონტექსტში. სწავლება, ამგვარად, წარმოადგენს კომუნიკაციის სახეს, მასწავლებელი და მოსწავლე გამოდიან როგორც დიალოგური ურთიერთობის "მასწავლებელი → მოსწავლე" კომუნიკანტები. მასწავლებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ მის ყოველ მოსწავლეს გააჩნია საკუთარი "დაცული" პოზიცია მასწავლებლის პოზიციისაგან დამოუკიდებლად.

მასწავლებლის პროფესიული ამოცანაა – დაეხმაროს მოსწავლეს დაინახოს საერთო პრობლემატიკაში ის უნიკალური ასპექტი, რომელიც უშუალო კავშირშია მის პირად პრობლემებთან და საფიქრალთან. მასწავლებელი არ უნდა უშლიდეს ხელს სასწავლო პრობლემების მიმართულების შეცვლის პროცესს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოსწავლეთა მიერ ახალი პრობლემების დასმას გაკვეთილზე.

მასწავლებელი, როგორც ჯგუფის წევრი, წარმოაჩენს პრობლემის გადაწყვეტის მისეულ ვარიანტს, სვავს შეკითხვებს, ქმნის საკუთარ სახეებს.ამგვარად, მოსწავლეებისთვის დიალოგი – ეს არის თანამოსაუბრესთან საკუთარი თანასწაორუფლებიანობის შეგრძნება. თანასწორუფლებიანობა დიალოგში – ეს არ არის თანასწორობა ცოდნაში, ეს არის თანაბარი უფლებები და პასუხისმგებლობა საკითხის დასმასა და გადაჭრაზე. თანამშრომლობითი უნარ-ჩვევის გამომუშავება ხდება თანამშრომლობითი სწავლების გზით.

ამგვარად, თანამშრომლობითი სწავლა არის სამოქალაქო განათლების შემადგენელი ნაწილი, რომლის საშუალებით მოსწავლეები ეცნობიან ისეთ კომუნიკაციურ კომპეტენციებს, როგორიცაა: კითხვის დასმა, მოსმენა, თხრობა, საუბრისას ახალი იდეების შემუშავება. თანამშრომლობითი სწავლების პარადიგმაში პედაგოგიური ურთიერთობის დიალოგური ფორმის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ის აგებულია ემოციურ მხარდაჭერისა და ნდობის ფაქტორზე, რაც უშუალოდ უკავშირდება სასიამოვნო გრძნობების განცდას. სასიამოვნო გრძნობები კი დადებითად მოქმედებს თვითშეფასებაზე. თვითშეფასების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია დაადგინოს, როგორ ისწავლის უკეთესად, როგორ განსაზღვროს თავისი წარმატების დონე და ანალიტიკურად და რაციონალურად მიუდგეს პრობლემებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერკი ლ., ბავშვის განვითარება I-II თავი, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009;
2. კაჭკაჭიშვილი ი., კვლევის მეთოდოლოგია, თბილისი, 2000;
3. Langer J., A., Evening Literature: Lietrery Understending and Literature Instruqtion #9, Teachers College Press, 1995;
4. Коханов Е., Общение как взаимодействие социальних субьектов, Менеджмент, №5, 2004;
5. Добрович А., Б., Общение Наука и Искусство, Москва, Яуза, 1996

Tamar Taliashvili
Ilia State University

Forms of Pedagogical Relationship and Students' Communicative Culture

Abstract

Critical goal of a modern educational system is the realization of new technological and content approaches, which, in the first place, is based on productive forms of pedagogical relationship. Another critical goal is the development of students' communicative culture, which is also related to the form of pedagogical relationship and its structure.

Unproductive interaction and replacement of monologue form of pedagogical relationship with a dialogue form still remains to be one of the main challenges that schools face. Wide-spread joke among students - "school is the place, where I get answers to questions, which I have never asked" - depicts still unresolved problem of pedagogy: enrichment of educational content with issues that are relevant to students and concern them.

This paper discusses forms and content of pedagogical relationship based on the theory of dialogue; it also reviews tools of structuring pedagogical relationship in a teaching process. Prioritizing methods of teaching by dialogue will play a critical role in the development of students' communicative competences.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაციური კულტურა, დიალოგური სწავლება, პედაგოგიური ურთიერთობების ფორმები, თანამშრომლობის ნიმუშები, შემოქმედებითი უნარები.
Keywords: Communicative culture, teaching by dialogue, forms of pedagogical relationship, collaboration paradigm, creative abilities.

თამარ მიქელაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო დელიქსიშვილი
შილდის 1-ლი საჯარო სკოლა

როგორ ვისწავლოთ უცხო ენა: უცხო ენის შემსწავლელ მოზარდთა კვლევა

მეტაკოგნიცია უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს უცხო ენის შესწავლისას. იგი პირდაპირ კავშირშია სწავლის სწავლასთან, რაც გულისხმობს შემსწავლელის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, რაც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს. მეტაკოგნიცია არის აზროვნების მაღალი დონე, რომლის ძირითადი ფუნქციაა კოგნიტური პროცესების კონტროლი სწავლების პროცესში. ამასთანავე იგი აყალიბებს პიროვნებას წარმატებულ ენის შემსწავლელად. ფლაველმა (Flavell, 1979) პირველმა განსაზღვრა მეტაკოგნიცია, როგორც „პიროვნების შემეცნება საკუთარი კოგნიტური პროცესების, შედეგების და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ". მან აღწერა შემეცნებითი უნარის ცოდნის სამი ძირითადი სფერო, რომლებიც

შესაძლოა დაეხმარონ ენის შემსწავლელებს გააუმჯობესონ თავიანთი სწავლის პროცესი. ა) ცოდნა საკუთარი თავის შესახებ, ბ) სასწავლო საკითხებთან დაკავშირებული ცოდნა, გ) იმ სტრატეგიების ცოდნა, რომელიც უნარს აძლევს მოსწავლეებს, რომ წარმატებით დაასრულონ ამოცანა. როდესაც მეტაკოგნიცია ეხება საკუთარი სწავლის პროცესების გაცნობიერებას, მაშინ ადგილი აქვს სწავლის სწავლას, რომელსაც აქვს ორი კომპონენტი: გონებრივი და ემოციური.

მეტაკოგნიცია ეხმარება მოსწავლეებს გაიუმჯობესონ კოგნიტური განვითარების უნარი. ის, რასაც მოსწავლეები გრძნობენ ან ფიქრობენ, განმსაზღვრელი პირობა უნდა გახდეს საკლასო ოთახში მუშაობის პროცესში. მეტაკოგნიტური სწავლების გამოყენება საგანმანათლებლო სფეროში მოსწავლეებს უვითარებს კონცენტრირების და დამოუკიდებლად სწავლის უნარს (Vandergrift, 2002, 2003).

მოზარდობის ასაკი არის პერიოდი, როდესაც პიროვნებას უჩნდება საკუთარი თავის უფრო უკეთესად გაგების უნარი. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება, რომელიც მოგვიანებით ჰიპოთეზად ჩამოყალიბდა, ეს არის კრიტიკული პერიოდის კრიტერიუმი. პირველი ენის ათვისების აუცილებლობა ჩნდება ორი წლის ასაკიდან სიმწიფის დადგომამდე. დადგენილია, რომ მეორე ენის ათვისებაც მოხდება ისეთივე ეფექტურად, თუ მისი შესწავლა მიმდინარეობს სწორედ ამ ხელსაყრელ ეტაპზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ასაკობრივი ეფექტი განსხვავებულ კონტექსტში განიხილება და ჰიპოთეზა „უმცროსი ასაკის ბავშვები- ენის უკეთესად შემსწავლელები“, არ უნდა იყოს განზოგადებული უცხო ენის შესწავლის უნარის კონტექსტთან. მოზარდები უმცროსი ასაკის ბავშვებთან შედარებით, უცხო ენის უფრო ეფექტურად შემსწავლელები არიან (Muñoz, 2006; Wei და სხვები, 2013).

სკოლებში, უცხო ენის სტანდარტის მიხედვით მისაღწევი შედეგების დონე, არ არის დამაკმაყოფილებელი, განსაკუთრებით კი ეს შეიმჩნევა რეგიონებში. განათლების სამინისტროს მიერ დადგენილ საგნობრივ სტანდარტში, ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მოსწავლეთა მიერ უცხო ენის სწავლის სწავლებაზე. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ მოახერხონ სწავლება თავად. ამის განსახორციელებლად კი, დასაწყისშივე საგანმანათლებლო მიზნები და ამოცანები უნდა იქნას განსაზღვრული. მოსწავლეები შეისწავლიან თუ როგორ მოახდინონ სასწავლო პროცესის ანალიზი - რას უნდა დააკირდნენ, რომელი მიდგომები გამოიყენონ, რა გამოწვევების წინ შეიძლება დადგნენ, როგორ დაძლიონ სირთულეები, რომელი საკითხები აფერხებს პროგრესს და ა. შ. (www.mes.gov.ge/uploads/gegmebi/ucxouri_enebi.doc). კვლევის მიზანი იყო შეგესწავლა ა) ქართველი მოზარდების დამოკიდებულება უცხო ენის (ინგლისური) მიმართ, ბ) მათი ცოდნა უცხო ენის სწავლის საკუთარ უნარებთან დაკავშირებით.

კვლევა ჩატარდა კახეთის რეგიონში. იგი განხორციელდა რესპოდენტთა შემთხვევითი შერჩევის გზით. კვლევაში მონაწილეობდა 60 მოზარდი საჯარო სკოლებიდან 12 - დან 18 წლამდე, მათ შორის იყვნენ 24 მამრობითი და 34 კი მდედრობითი სქესის წარმომადგენელი (2 მონაწილის შესახებ მონაცემები ვერ მოგვყავს).

კითხვარში შეტანილი იყო როგორც დახურული ტიპის შეკითხვები ასევე ღია ტიპის ერთი შეკითხვა “რა რჩევებს მისცემდით უცხო ენის შემსწავლელს, როგორ ისწავლოს უცხო ენა?“ მოცემულ ნაშრომში ჩვენ მიმოვიხილავთ სწორედ ამ ღია ტიპის

შეკითხვაზე მიღებულ პასუხებს. კვლევაში მონაწილე 48 მოზარდმა გასცა პასუხი ამ შეკითხვას.

კვლევის შედეგები

პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულ მოზარდთა ნახევარი შემოიფარგლა მწირი რჩევებით. მათი რჩევები იყო ბუნდოვანი და ზოგად ფრაზებს შეიცავდა, მაგ. „ კარგად უნდა ისწავლოს...“, „...მოუსმინოს მასწავლებელს,“ და ა. შ. მიღებული პასუხები გავაანალიზეთ და დავყავით შემდეგ კატეგორიებად: ა) უცხო ენის შესასწავლად საჭირო რესურსების გამოყენება, ბ) უცხო ენის უნარ-ჩვევების განვითარება, გ) სათანადო დამოკიდებულების განვითარება, დ) უცხო ენის შემსწავლელის და მასწავლებელის როლი.

თავდაპირველად განვიხილავთ იმ რჩევებს, რომლებიც ეხება სასწავლო რესურსების გამოყენებას. რესპოდენტთა 35%-ის პასუხებში აღმოჩნდა, რომ შემსწავლელებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ *წიგნების, მოთხრობების, სტატიების, ლექსების კითხვას.*

> „...იკითხოს ლიტერატურა, სტატიები უცხო ენაზე...“ (16 წლის)

მოზარდთა მცირე ნაწილი (5) თვლიდა რომ უცხო ენის სწავლა გაადვილდება, თუ შემსწავლელი უყურებს *უცხო ენაზე ფილმებს, ანიმაციას, სიმღერებს* და *გადაცემებს:*

> „...უყურო მათ [უცხოურ] არხებს და შოუებს, ასევე წაიკითხო წიგნებიც. ასე სწავლა სახალისოცაა და საინტერესოც“ (18 წლის)

მხოლოდ რამდენიმე მოზარდთან შევხვდით *კომპიუტერის* და *ინტერნეტის გამოყენებას* (3), მაგ. „...მოიძიოს ინტერნეტით სიტყვები და ისწავლოს.“ (14 წლის).

მოზარდთა რჩევებში უცხო ენის უნარ-ჩვევის განვითარება იყო ნახსენები. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოზარდები *უცხო სიტყვების შესწავლას.* რესპოდენტთა პასუხების 35%-ში შეგვხვდა რჩევები, რომ დიდი ყურადღება დაუთმონ ლექსიკური ერთეულების მოძებნას და სწავლას:

> „...ასევე ძალიან ბევრი სიტყვა უნდა ისწავლოს... რადგან ნებისმიერი უცხო ენა სიტყვების გარეშე არ ისწავლება...“ (13 წლის)

თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება, მოზარდების დაახლოებით 6%-ის მხრიდან შემდეგი უნარების განვითარებას: *წაკითხვა, წერა, მოსმენა, საუბარი, გამოთქმა, მართლწერა, გრამატიკა:*

> „...კარგად ისწავლოს გრამატიკის წესები, გაიმეოროს ხშირად სიტყვები, იკითხოს წიგნები უცხო ენაზე და აკეთოს რაც შეიძლება მეტი გრამატიკული სავარჯიშოები.“ (16 წლის)

მეტად საინტერესო და მოულოდნელი იყოს მონაწილეთა მხრიდან უცხო ენის მიმართ სათანადო დამოკიდებულების განვითარებასთან დაკავშირებით გაკეთებული რჩევები. რესპოდენტთა პასუხების 14%-ში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიდ შრომას და დროს უცხო ენის შესასწავლად:

> „უცხო ენის შესწავლა არც თუ ისე ადვილია, რადგან ბევრ შრომას მოითხოვს...“

> „პირველ რიგში დიდი დრო უნდა დაუთმოს მეცადინეობას რეგულარულად, ყოველდღიურად უნდა განავითაროს თავისი ცოდნა და ენერგია არ დაიშუროს.“ (14 წლის)

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია მოზარდებისათვის ყურადღების სათანადოდ განაწილება, დეტალებზე ყურადღების გამახვილება, მოტივაციის და მეტაკოგნიციის უნარის განვითარება, პასუხისმგებლობა, ხალისით სწავლა და უცხო ენის სიყვარული:

> „უცხო ენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში, ამიტომა პირველ რიგში შემსწავლელს ვურჩევ კარგად გაანლიზოს ის, თუ რაში დაეხმარება მას უცხო ენა.“ (16 წლის)

> „უცხო ენის სწავლა მარტივად შეგვიძლია თუ ხალისიანად და მხიარულად მივუდგებით.“ (14 წლის)

> „შემსწავლელმა უცხო ენა უნდა ისწავლოს გულით, მას უნდა უნდოდეს მისი სწავლა და სერიოზულად უნდა მოეკიდოს.“ (15 წლის)

ბოლო კატეგორიაში - შემსწავლელის და მასწავლებელის როლი - აქ გამოვყავით ქვე-ჯგუფი - შემსწავლელის მიერ სწავლის უნარ-ჩვევების და მიდგომების განვითარება. ამ ჯგუფში რესპოდენტებმა აღნიშნეს შემდეგი მიდგომები: გამეორება, სისტემატურობა, თარგმანი, აქტიურობა, შეკითხვების დასმა, ავტონომიური სწავლის ფორმა, უცხო ენის უნარ-ჩვევების ინტეგრირებულად შესწავლა, მშობლიური ენის გამოყენება უცხო ენის შესასწავლად, საშინაო დავალებების შესრულება, მოწესრიგებულობა გაკვეთილზე:

> „ყურადღებით მოუსმინოს მასწავლებელს... თუ ვერ გაიგებს, შეეკითხოს, რათა არ დარჩეს ეს თემა მისთვის გაურკვეველი.“ (13 წლის)

მონაწილეთა პასუხებში უცხო ენის სწავლების პროცესში დიდი როლი ეთმობოდა *მასწავლებლის ინსტრუქციებს* და *ახსნას.* რესპოდენტის 30%-ის რჩევებში *მასწავლებლის ახსნას* და *საუბარს* დიდი მნიშვნელობა ენიჭება:

> „მე შემსწავლელს ვურჩევდი, რომ დაუჯეროს მასწავლებელს და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და რჩევები.“ (14 წლის)

> „მე ვურჩევ რომ გაითვალისწინონ მასწავლებლის აზრი და არ დაიზარონ უცხო ენის სწავლა“ (14 წლის)

მხოლოდ ორი რესპოდენტის პასუხშია მოცემული უცხო ენის კერძო გაკვეთილების მნიშვნელობა. როგორც პასუხების ანალიზიდან ჩანს, მოზარდებმა სხვადასხვა სახის, მრავალფეროვანი რჩევები ჩამოაყალიბეს.

დისკუსია

ჩვენი კვლევის მიზანი იყო მოზარდთა მეტაკოგნიციის, კერძოდ, მათი როგორც უცხო ენის შემსწავლელის მეტაკოგნიციის გამოკვლევა, თუ რამდენად იაზრებენ ისინი საკუთარ თავს სწავლის პროცესში და როგორ აღიქვამენ თავად უცხო ენის შესწავლის პროცესს. ამ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა მოზარდთა რჩევები უცხო ენის შესწავლისას და მათი პასუხების საფუძველზე წარმოგვედგინა უცხო ენის სწავლის ის მოდელი, რომელიც მოზარდებს ეფექტურად მიაჩნიათ. მიღებული პასუხები დავყავით ჯგუფებად, რამაც უფრო თვალსაჩინო გახადა შემსწავლელთა გონებაში არსებული მოსაზრებები და შეხედულებები. უნდა აღინიშნოს, რომ რესურსების გამოყენების მხრივ, წინა ადგილზეა წიგნების და მოთხრობების კითხვა, შემდეგ მას მოსდევს ფილმების და გადაცემების ყურება, და მხოლოდ ძალიან მცირე პროცენტი თვლის ეფექტურად კომპიუტერის და ინტერნეტის გამოყენებას. შემსწავლელთა მესამედს

სჯერა, რომ ლექსიკური ერთეულების, ფრაზების შესწავლა წარმატების მომტანია უცხო ენის შესწავლისთვის. ხოლო ძალიან მცირე ნაწილი თვლის, რომ სხვა უნარ-ჩვევებიც უნდა განვითარდეს, როგორიცაა მოსმენა, წერა, საუბარი. სამაგიეროდ მოზარდთა მესამედის აზრით, მასწავლებელს ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა და თუ შემსწავლელი მისდევს მასწავლებელის რჩევებს, ის იქნება წარმატებული. ამ პასუხების მიხედვით იკვეთება შემსწავლელთა დიდი ნდობა მასწავლებლის მიმართ. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოზარდთა ის რჩევები, რაც შემსწავლელის როლს ეხება. მოზარდების შეხედულებით მხოლოდ ემოციურ დონეზე მყოფ შემსწავლელს შეუძლია წარმატებით უცხო ენის სწავლა, რაც გულისხმობს უცხო ენის მიმართ დადებით დამოკიდებულებას, მის სიყვარულს და მოტივაციას.

დასკვნა

მოცემული კვლევის მიხედვით შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება: მოზარდთა რჩევები იყო მწირი და ზოგადი. უმრავლესობა მოზარდების რჩევები ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებოდა, ამიტომ საჭიროა მეტად თანამიმდევრულად დაეთმოს დრო უცხო ენის სწავლის სწავლას. ვინაიდან მასწავლებელს აქვს მოზარდთა დიდი ნდობა, მასწავლებელმა, თავის მხრივ უნდა სწორედ წარმართოს სწავლის პროცესი, სადაც მოსწავლეებს მიეცემათ საკუთარი სწავლის პროცესის გააზრების საშუალება. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სხვადასხვა თანამედროვე რესურსებს, კერძოდ ინტერნეტის და ვებ-აპლიკაციების გამოყენებას. ასევე, წაკითხვის უნარ-ჩვევის გარდა, მასწავლებელის მხრიდან უნდა მოხდეს უცხო ენის სხვა უნარ-ჩვევების სწავლის წახალისება, როგორიცაა საუბარი, მოსმენა, წერა. სამომავლოდ სასურველია, უფრო მასშტაბური კვლევის განხორციელება მოზარდთა სწავლის ჩვევების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Flavell, J. (1979). Metacognition and cognitive monitoring: a new area of cognitive developmental inquiry. *American Psychologist*, 34, 906-911.
2. Muñoz C. (2006). The effects of age on foreign language learning: The BAF Project. In C. Muñoz (ed.), Age and the rate of foreign language learning. Clevedon: Multilingual Matters, 1-40.
3. Vandergrift, L. (2002). 'It Was Nice to See That Our Predictions Were Right': Developing Metacognition in L2 Listening Comprehension. *Canadian Modern Language Review/La Revue Canadienne des Langues vivantes*, *58*(4), 555-575. http://dx.doi.org/10.3138/cmlr.58.4.555
4. Vandergrift, L. (2003). From Prediction Through Reflection: Guiding Students. Through the Process of L2 Listening. *Canadian Modern Language Review/La Revue Canadienne des Langues vivantes*, *59*(3), 425-440. http://dx.doi.org/10.3138/cmlr.59.3.425
5. Wei,l L.G., Fleming, S.M., Dumontheil, I., Kilford, E.J., Weil, R.S., Rees, G., Dolan, R.J., Blakemore, S.J. (2013). *The Development of Metacognitive Ability in Adolescence*. 22 (1) pp. 264-71.
6. doi: 10.1016/j.concog.2013.01.004

Tamar Mikeladze
Iakob Gogebashvili Telavi State University
Nino Deliksishvili
№1Shilda Public School

How to Learn a Foreign Language: A study of Adolescents as Foreign Language Learners

Abstract

This article deals with the importance of metacognition of adolescents as foreign language (FL) learners. The aim of this research was to study the recommendations given by

adolescents on how to learn a foreign language. The survey was conducted among 48 adolescents from urban and rural areas. The study revealed the attitudes of adolescents, their beliefs on FL learning, thus revealing their knowledge of the learning process.

საკვანძო სიტყვები: უცხო ენის სწავლა, მეტაკოგნიცია, სწავლის სწავლა, მოზარდების მეტაკოგნიცია, უცხო ენის სწავლება
Keywords: FL learning, metacognition, learning how to learn, adolescents, FL teaching

Карине Сукиасян
Гюмрийский государственный педагогический институт им. М. Налбандяна

Роман Леонида Гурунца «Облака на вершинах» в контексте деревенской прозы 60-х годов XX века

Значимость «деревенской прозы» бесспорна. Крестьянская цивилизация является самой древней, и судьба страны неразрывно связана с судьбой деревни. Для многонациональной советской литературы XX в. крестьянство не просто тема. Деревня - это аналог национального бытия, народной жизни, это связь с историческим прошлым, «памятью земли». Драматическая злободневность данного направления определяется необходимостью сохранить от забвения уходящий в прошлое вековой уклад деревенской жизни. Стремление познать истоки нравственной культуры народа - стало одной из причин пристального внимания литературы к психологии крестьянства, особенностям его труда и быта.

Пик расцвета «деревенской прозы» приходится на 1960-1980-е гг. (В. Астафьев, Ф. Абрамов, В. Белов, В. Распутин, В. Тендряков, С. Залыгин, В. Шукшин и др.).

От большинства произведений писателей - деревенщиков веет грустью, и причины этого понятны. При Советской власти исчез традиционный уклад деревенской жизни, а бездумные партийные решения, безусловно, не способствовали процветанию деревни и уровень жизни крестьян был катастрофически низким.

Интерес литературы к жизни деревни особенно вырос в начале 50-х годов XX века. "Преобразования, которые проводились в деревне … явились главным толчком для писателей, обративших внимание на деревенскую действительность»(7;с.4). В эти годы писателей особенно волновала «проблема руководства жизнью села, образы партийных и колхозных вожаков...» (9; с.488). В кадровой политике процветала «борзовщина»,[13] явление, впервые

[13] “Борзовщина» от Борзов – отрицательный персонаж очерка В.Овечкина “Районные будни”.

осужденное В.Овечкиным. Часто судьба деревни зависела от секретарей, председателей. К этой животрепещущей проблеме обращается Леонид Гурунц.

Деревенская действительность в центре внимания писателя в романе «Облака на вершинах».[14] Он акцентирует свое внимание на тех явлениях, которые губительны для села, с его уникальным жизненным укладом, из века в век считавшееся колыбелью нравственного здоровья народа. Роман «Облака на вершинах» воплотил в себе напряженные раздумья писателя о прошлом и настоящем, борьбу нового и старого на родной для него карабахской земле.

Все содержание романа, все характеры объединены вокруг борьбы за хлеб. Хлеб - это символ человеческой доброты, искренности, любви, дружбы, верности и человеческого благородства. Отношением к хлебу писатели не раз выявляли сущность крестьянской жизни, внутреннюю красоту крестьянина.

Уважительное отношение к хлебу утверждалось и в фольклоре, и в древнерусской литературе. Жнивные песни отразили тяжелый труд хлебопашцев. В древнерусском памятнике «Повесть о Петре и Февронии» героиня лечит князя хлебной закваской, а став княгиней, она по крестьянской привычке собирает со стола хлебные крошки в ладонь и ест. Феврония, крестьянка, хорошо знает цену хлеба. А герой повести Михаила Алексеева «Хлеб – имя существительное» дед Акимушка заявил: «Что может быть важнее хлеба?», «Хлеб – имя существительное! А весь остальной продукт - прилагательное» (1, с. 42).

Через хлеб и Леонид Гурунц выявляет ценности нравственные. Хлеб всегда давался трудно, люди испокон веков знают, как высока его цена. В горах, где раскинулся Карабах, цена хлеба особенно высока. «Хлеб не от росы, а от пота», «хлеб вырос добрым, но ведь сколько трудов кладем, чтобы вырастить его»(3, с. 491), - говорят герои Гурунца. Дорог хлеб в Мецшене. Еще от отцов и дедов усвоили мецшенцы, что хлебом силен человек, здесь «хлебом ... встречают, хлебом провожают, хлебом клянутся, хлебом проклинают» (3, с. 195), - здесь люди, поделившие кусок хлеба, становятся кровными братьями. В тридцатые годы XX века проблема хлеба стояла особенно остро. «Казахстанская целина ждала еще своего пахаря. Хлебом надо было обеспечить себя...» (3, с. 511).

Борьбу за хлеб Гурунц переводит преимущественно в моральную плоскость. Автору удалось показать жизнь села со всеми ее противоречиями, конфликтами, выражающимися не только в столкновении отдельных людей, но и в душевном разладе героев. В «Облаках на вершинах» дана широкая картина жизни карабахских крестьян. Писателя интересует сам человек, интересуют люди, их отношения друг с другом. Гурунца волнуют, печалят и радуют простые человеческие чувства, душевное состояние человека.

Борьба за хлеб шла параллельно с борьбой за человека, за его достоинство, за развитие его творческих возможностей. Писатель уверен (и

[14] (В 1957 г. (М., «Советский писатель»), и в 1963 г. (М., «Художественная литература») роман издавался под названием «Горы высокие». Третье, переработанное издание увидело свет в издательстве «Советакан грох», в Ереване, в 1982 г., под названием «Облака на вершинах»

этому посвящен многоплановый сюжет романа), что успех любого дела, любого начинания зависит от человека, от его душевного состояния. В конце романа, когда один из героев интересуется, какой из сортов пшеницы прижился на этой трудной мецшенской земле, то оказывается, что дело не столько в пшенице, сколько в людях. «Почувствовал мужик себя хозяином, и любая пшеница пошла» (3, с. 509).

Общеизвестно, что 30-ые годы XX века это время коллективизации. Это один из сложнейших периодов и в истории большой советской страны, и в истории маленького карабахского народа. Гурунц не мог в те годы открыто критиковать коллективизацию. Но подтекст романа отражает отношение писателя к партийным решениям того времени. Гурунц уверен, что крестьянин должен быть хозяином на своей земле. И эти вековые связи не могут обрубить сиюминутные, неоправданные решения «горе-руководителей». И «пшеница пошла», когда мужик почувствовал себя хозяином. Это, по сути, и есть центральная идея романа «Облака на вершинах».

Вспомним, как развиваются события романа. Инженер-конструктор Хачатур Парсегян с семьей приезжает из Москвы в родное село Мецшен. «Ехал он после аварии сконструированного им самолета» (3;с. 4). Приезжает Парсегян с мыслью отдохнуть, подлечиться, прийти в себя после аварии. Но не до отдыха ему. Беспокойная жизнь родного села полностью поглощает Хачатура. Весь день Парсегян проводит в общении с мецшенцами. Но кто они, эти мецшенцы? Репутация у них не слишком лестная: оказывается, карабахцы считают Мецшен селом «непутевым», а жителей его пустомелями, забияками, кутилами – бог ты мой, какими только прозвищами не награждают мецшенцев!» (3; с. 9) И у председателя Сарояна одна задача - «научить этих танцоров больше работать руками, чем ногами» (3; с. 112).
Руководители считают, что мецшенцы - народ трудный, народ с характером. А как не показать характер, когда один председатель на словах разрешает держать скотину, но со двора не смей ее выпускать. «А чем, собственно, кормить этот скот? (3, с. 118) - удивляются мецшенцы. А чтобы выполнить план по сдаче шерсти «горе руководители» повытряхивали шерсть даже из матрацев. И ничего, что многие мецшенцы спят без матрацев, главное - не сорвать план. Поэтому и задумываешься - такие ли вздорные эти «забияки»?

Вздорность мецшенцев на поверку - это здравомыслие, независимость суждений и поступков. Работать они умеют и любят. В повседневном труде видят свое призвание. Мецшенцы - отличные садовники. Несмотря на трудности, они умеют радоваться жизни, радоваться успехам других. Счастье одного дома становится радостью всего села.

Далеко шагнул Мецшен, которому каждый день «через горы и равнины желают... доброго утра» (3; с. 139). Есть на что посмотреть в деревне, где «столько нового, незнакомого» (3; с. 45). Писатель вместе со своими героями рад преобразованиям.

Всегда верный главному принципу реалистической литературы - принципу правдивого отображения действительности, Гурунц показал и трудности роста. Он не прячет беды, не прибавляет к радостям радостей, не «лакирует действительности», ему чужда бесконфликтность. Писатель не проходит мимо плохого, потому что это «дурное, если его замалчивать, лишь укореняется в жизни ... Как мы будем расти, идти вперед, если ошибки эти укореняются и будут хватать нас за ноги» (4; с. 55).

Гурунц не сглаживает противоречий. На протяжении всего романа он пытается найти причины, те скрытые пружины, которые тормозят развитие села. Неблагополучие мецшенских дел подтверждается печальным зрелищем: «хлеба стояли ... младенцу по щиколотку» (3; с. 76). Хозяйство в селе запущено, падает выплата на трудодни, люди потеряли веру не только в трудодень, но и веру в себя, в свои силы и способности. Изменить положение могли только сами мецшенцы. Надо было пробудить в людях утраченную веру в дело, в себя, чтобы они не просто работали, а душой прикипели к делу. Нужен человек, который возглавил бы мецшенцев.

В романе решается проблема взаимоотношений между мецшенцами и руководителями, представлены два типа руководителей. Один тип руководителя воплощен в образе Сарояна, а другой в образе Парсегяна.

Душой и сердцем болеет Сароян за дело. Много хорошего наметил сделать председатель: провести в село воду, усилиями трех деревень построить мельницу, школу. Были и первые успехи: построили ветряк, собрали хороший урожай туты, винограда. Но уже первые успехи вскружили Сарояну голову, он ликовал: «тронулся, тронулся Мецшен» (3; с. 152). В такие минуты он забывал об умирающей на полях пшенице, о «неувязках, которые, как невидимки, шагали по дворам, садам и фермам колхозов» (3; с. 152).

Слабость Сарояна еще в том, что торопясь, увлекаясь, он подчас не доводил до конца дела, начатые им же самим. Все громче стал слышен голос негодования мецшенцев. Результаты промахов Сарояна сказались очень быстро, но он не сразу осознает, что им упущено очень важное - доверие односельчан. Он забыл о людях, об их нуждах. А все начиналось как будто с мелочей, с пустяков. К нему обращается с просьбой мецшенец Абел помочь достать железо для крыши. Но Сароян даже не пытается выполнить просьбу односельчанина. А один из мецшенцев прямо говорит председателю: «Вот ты тоже не ко мне домой пришел, а на ферму прибежал. Явился бы ко мне, я бы показал тебе, как дети мои живут ... Но это не интересует ... председателя» (3; с. 141). Казалось бы - мелочь: отмахнулся от личной просьбы односельчанина, не заглянул в дом мецшенца. Но с этих мелочей и промахов начинается общий провал работы.

Сложность ситуации в том, что Сароян стремится улучшить жизнь мецшенцев. Гурунц психологически достоверно изображает противоречивое состояние своего героя. От начала до конца прослеживает он непростой путь борьбы Сарояна. Ведь были и бессонные ночи, были усилия, но не было

разумных действий, не учитывался многовековой крестьянский опыт. Мецшенцы скажут о Сарояне: «Линия его была верная, только сам он по ней плохо шел» (3; с. 252). А плохо шел так как не был самостоятелен. Каждый шаг председателя контролировался с верху. В романе дан тип партийного чиновника - Манучаряна. Ему чужды интересы и страдания тысячи людей. За бумагами, документами он не видит людей. Для него существует план и от всех требует его выполнения. Людей не знает, не видит, не чувствует.

Сароян, Манучарян и мецшенцы предствлены как взаимозависимое целое. У Сарояна, хотя и болит душа за родной колхоз, но он не смог подняться до конфликта с партийной элитой. Манучарян давно превратился в бюрократа - принцип жизни которых побольше запрещать. В итоге страдают простые люди, у которых неоплачиваемые «трудодни». «Отрицательному» и черствому функционеру противостоит «положительный» и «душевный» председатель Парсегян. Он думает не только о планах хлебозаготовок, но и о крестьянах.
Прожитые вдали от Мецшена годы были для Парсегяна годами приобретения опыта. Парнишкой уехал Хачатур из села учиться. Долго он колесил по стране: «... с винтовкой в руках брал Зимний, был грузчиком и рабочим, учился на рабфаке ... И какой был праздник для всех мецшенцев, когда однажды, развернув газету, они увидели там имя своего земляка» (3; с. 31). Много хороших дел успел Парсегян сделать за свои сорок лет. Но самое важное, ответственное дело: помочь родному колхозу - ему еще предстояло сделать.

Принимая колхоз, Парсегян понимал, что он свой, мецшенский, что это его ко многому обязывает. Он должен оправдать доверие односельчан. Во что бы то ни стало надо сдвинуть колхоз с мертвой точки. Как работать, чтобы не повторить ошибки своих предшественников.

Парсегян не очень надеялся на расположение мецшенцев: «этой любви хватит как раз до первой стычки, - думает Парсегян. - Кого-кого, а своих мецшенцев я знаю: пойдешь им наперекор - на дружбу не посмотрят. Прокатят» (3; с. 254).

Практическим шагам Парсегяна предшествуют глубокие, порою мучительные раздумья. Все начинания нового председателя обрывались телефонными звонками - требовали любой ценой выполнить план. Но он продолжал свое дело - дело выстраданное им. Парсегян знал, что он не один, мецшенцы всегда поддержат смелые и правильные начинания.

Для Хачатура нет ничего дороже людей, с которыми он работает. Он всегда среди крестьян, на строительных площадках. Он делает все, чтобы маленькие мецшенцы не прятали виноград за пазухой, а ели спокойно, чтобы интересовались не только именами «коров-рекордсменок», но интересовались и людьми, которые вырастили этих коров. А главное - надо понять, «что никакой успех не возместит урона, нанесенного обманом, равнодушием, бестолковщиной» (3; с. 482). Ради этого Парсегян готов пойти на конфликт и с Манучаряном, и со всеми, кто забыл о человеке. За планом стоят люди, живые люди.

Сложен и труден путь борьбы Парсегяна. Это был прежде всего путь познавания людей. Хачатур открывал в них светлое, хорошее. Писатель вместе с героем утверждает, что хозяева этой богом забытой деревни, раскинувшейся высоко - высоко в карабахских горах, это и бондарь Назар, и доярка Аныман, и садовник Ишхан. И в своих больших государственных делах нельзя забывать о нуждах, интересах этих простых людей. Мир держался и держится на их плечах.

Время по-своему распорядилось с советской эпохой. Время смыло в реку небытия и коллективизацию, и уйму бездумных партийных решений, и звонкие имена политиканов того времени. Осталось и уцелело то главное в романе, что выстрадано Гурунцем - любовь к маленькому карабахскому селу со своим уникальным народом, умеющим противостоять всем невзгодам и сохранить душевное тепло.

СПИСОК ЛИТЕРАТУРЫ

1. Алексеев М. “Хлеб – имя существительное”. М., 1964
2. Большакова А. Феномен деревенской прозы//Русская словесность. 1999, № 3
3. Гурунц Л. Облака на вершинах. Ереван, 1982
4. Гурунц Л. Беспокойная наша профессия. "Литературная Армения", 1968, № 9
5. Гусев В. О прозе, деревне и цельных людях// Литературная газета. 1968, 14 февраля
6. Громыко М. Мир русской деревни. М., 1991
7. Минокин М. Современная советская проза о колхозной деревне. М., 1977
8. “Повесть о Петре и Февронии”. В кн.: Литература Древней Руси. Ереван, 2008
9. Сурганов В. Человек на земле. М., 1975

Carine Suqiasian
Gyumri Pedagogical Institute

The Novel “Clouds on the High” by Leonid Gurunts in the Context of Rural Prose in the 60s of XX Century

Abstract

A unique phenomenon in Russian literature of the second half of the XX century is considered to be rural prose, bringing together writers such as F. Abramov, V.Astafyev, V. Belov, S. Zalygin who worried about the fate of the village. Among these writers, certainly, was Leonid Gurunts. In the novel "The clouds on the high" the writer refers to the phenomena that is harmful to the village, with its unique way of life, for centuries considered to be the cradle of the moral health of the people. The novel "The clouds on the high" embodying the intense thoughts of the writer's about the past and present, the struggle of old and new on our native Karabakh.

Ключевые слова: Карабах, деревня, руководитель, хлеб.
Key words: Karabakh, village, head, bread.

ელიზა კევლიშვილი, ნინო ნახუცრიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრობლემური სწავლების გამოყენება მათემატიკის გაკვეთილებზე

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების, როგორც ზოგადი განათლების ძირითადი მიმართულების, განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწავლების სტრატეგიების მიზანმიმართულ გამოყენებაზე. მათგან პრობლემური სწავლება განიხილება იმ პედაგოგიურ ,,ინსტრუმენტად", რომლის საშუალებითაც მოსწავლეთა სასწავლო შემეცნებითი აქტიური საქმიანობით იქმნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების ოპტიმალური შესაძლებლობა. სხვადასხვა პრობლემური საამოცანო სიტუაციების კვლევისა თუ გადაწყვეტის გზით, მოსწავლეები იძენენ კომპეტენციებს და გამოცდილებას, რომელიც აუცილებელი და ხელშემწყობი პირობაა თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის.

პრობლემური სწავლების ცნების ქვეშ მოიაზრება სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზება, როდესაც მოსწავლეებს ვთავაზობთ პრობლემურ სიტუაციებს, ამოცანებს გადასაწყვეტად და ეს ხორციელდება მათი აქტიური, დამოუკიდებელი საქმიანობით, მასწავლებლის უშუალო კონტროლითა და ხელმძღვანელობით. შედეგად მიიღწევა მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის შემეცნებითი ათვისება, უნარ-ჩვევების დაუფლება, აზროვნებითი შესაძლებლობების განვითარება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა შეიძლება აქტიურად იქნას გამოყენებული სხვადასხვა სასკოლო დისციპლინების სწავლებაში. მისი გამოყენება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მათემატიკის სასკოლო კურსის სწავლებისას, იმის გათვალისწინებით, რომ პრობლემების გადაჭრა არის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული იმ ძირითად უნარ-ჩვევთაგან ერთ-ერთი, რომლის ჩამოყალიბებასაც ემსახურება თანამედროვე მათემატიკური განათლება. პრობლემური სწავლების საკითხი მეტ აქტუალობას იძენს დღეს, როცა მნიშვნელოვნად იკლო მათემატიკის, როგორც უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობამ; არსებითად შემცირდა ბოლო ათწლეულში მათემატიკის მიმართულებით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე შემომსვლელთა რაოდენობაც. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ სტრატეგიულ გზად მივიჩნევთ მოსწავლეთა სასწავლო მათემატიკური შემეცნებითი საქმიანობის გააქტიურებას, რაც ხელს შეუწყობს საგნისადმი ინტერესის გაზრდას და ცოდნის საფუძვლიან ათვისებას. ამის მიღწევა კი შესაძლებელია თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების საშუალებით, რომელთაგან გამოვყოფთ პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას. ამიტომ, საკითხი, რომელიც ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პრობლემურ სწავლებას და მის გამოყენებას მათემატიკის სწავლებისას, მივიჩნევთ, რომ ერთობ აქტუალურია. მათემატიკის სწავლებას დაწყებითი საფეხურიდანვე მჭიდროდ შეგვიძლია მივუსადაგოდ პრობლემური სწავლების ძირითადი მიზნები: მოსწავლისათვის ახალი ცოდნის და უნარ-ჩვევების დაუფლება; ცოდნის განმტკიცება და სისტემატიზაცია; დამოუკიდებელი სასწავლო საქმიანობის ხერხების დაუფლება; კვლევა-ძიებითი უნარ-ჩვევების დაუფლება; შემეცნებითი და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება, მოტივაციის ამაღლება და სხვა.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას იზრდება მოსწავლის პასუხისმგებლობა, რადგან იგი თავად ეძებს პრობლემის გადაჭრის გზებს, შეიმუშვებს სტრატეგიებს და ა. შ. იგი გვევლინება აქტიური შემმეცნებლის როლში, ამიტომ პრობლემის გადაწყვეტა მისთვის ხდება საინტერესო, ერთგვარად ,,დამაინტრიგებელი". შედეგად იზრდება მოსწავლის მოტივაცია, რაც ბადებს სასწავლო აქტივობაში ჩართვის სურვილს, მოსწავლე მიზანდასახულად ცდილობს დასმული პრობლემის დაძლევას, ამიტომ უკვე არა იძულებით, არამედ საკუთარი სურვილით იძენს მათემატიკურ ცოდნას და ეს პროცესი, დადებითი ემოციური განწყობის ფონზე, მისთვის ხდება საინტერესო და სახალისო.

რა არის პრობლემური ამოცანა/სიტუაცია და რა ძირითადი მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა მათი შერჩევისას? ზოგადად, ამოცანა მაშინ იქცევა პრობლემად, როდესაც მისი გადაჭრის ალგორითმი უცნობია. ამიტომ მოსწავლეთათვის შეთავაზებული ამოცანა უნდა იყოს ,,არასტანდარტული", ამოხსნის უცნობი გზებით და მისი ამოხსნა ეფუძნებოდეს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელსაც ფლობენ მოსწავლეები. ამოცანა უნდა იყოს გარკვეული გამოწვევა მოსწავლეთათვის და შეესაბამებოდეს მოსწავლეთა კოგნიტურ შესაძლებლობებს, რათა მისი გადაწყვეტისას ბავშვებს გაუჩნდეთ წინსვლის შეგრძნება, საკუთარი შესაძლებლობების დონის ამაღლებისკენ სწრაფვა. კლასის თითოეულ მოსწავლეს უნდა შეეძლოს ამ პრობლემის გარკვეულ დონეზე გაგება და რაღაც ახლის შეძენა. პრობლემური დავალების შესრულებამ მოსწავლეებში უნდა აღძრას ცოდნის შეძენის სურვილი. მთავარია დავალება შევთავაზოთ ისეთი ფორმულირებით, რომ შეიქმნას პრობლემური სიტუაციაა და გამოიწვიოს მოსწავლეთა დაინტერესება. ის შეიძლება იყოს კითხვები, ამოცანები, პრაქტიკული თუ თეორიული სახის დავალებები და ა. შ. ამოცანათა შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მოსწავლეთა ინტერესების სფეროც.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ სასწავლო საქმიანობას. ამ მიზნით მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვადასხვა სტრატეგიები. მაგალითად, მოსწავლეთა დიფერენცირება მზაობის მიხედვით და თითოეული ჯგუფისათვის შესაბამისი სირთულის პრობლემური ამოცანის შეთავაზება სხვადასხვა ინტერპტერაციით: თუ ერთ ჯგუფს ევალება კონკრეტული პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტა, ამოცანის ამოხსნა, მეორეს-მსჯელობა, მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა. კითხვებზე, რატომ? რა კავშირშია და ა. შ., პასუხის გაცემა. მთავარია, რომ ჯგუფში თითოეულ მოსწავლეს შეეძლოს მის წინაშე დასმული პრობლემის გაგება-გააზრება და გადაწყვეტის გზების მოძიება. მნიშვნელოვანია მოსწავლემ დაინახოს საკუთარი სასწავლო აქტივობის ღირებულება და შეიგრძნოს ამ აქტივობით მიღწეული წარმატების სიამოვნება. ეს ცხადია ამაღლებს თვითშეფასებას. მოსწავლეს უჩნდება შემეცნებითი მოთხოვნილებები, ცნობისმოყვარეობა, სიტუაციაში გარკვევისა და გაგების სურვილი, რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს სწავლისა და პროცესში აქტიური ჩართვის სურვილს, იზრდება დაინტერესება და მოტივაცია. იგი თავად რწმუნდება, რომ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოძიება და ახალი ცოდნის შეძენა. ამოცანის შეთავაზებისას მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ამოცანის დიდაქტიკური ფუნქცია, თუ რომელ სასწავლო მიზანს შეესაბამება ესა თუ ის დავალება. დიფერენცირებული სწავლება იძლევა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ შეირჩეს სხვადასხვა დონის პრობლემური ტიპის დავალებები და

განისაზღვროს თუ რა სასწავლო მიზნის მისაღწევად გამოდგება თითოეული მათგანი: მოსწავლეებში პრობლემის გადაწყვეტის კრიტიკული აზროვნების განვითარების, დამოუკიდებელი სასწავლო მათემატიკური საქმიანობის, ამოცანის ამოხსნის სტრატეგიების მოძიებისა და ჰიპოთეზის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების, დასაბუთება-მსჯელობის თუ სხვა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის და ა. შ.

პრობლემური სიტუაციები, ამოცანები შესაძლოა გამოვიყენოთ გაკვეთილის მსვლელობის სხვადასხვა ეტაპზე: ახსნის, განმტკიცების ან კონტროლის დროსაც. მაგრამ ერთობ აქტუალურია ამდაგვარი ამოცანების გამოყენება ახალი საკითხის ახსნამდე, როგორც ე. წ. ,,მიზანშეწონილი ამოცანების“ სახით. როდესაც მოსწავლე პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტის მცდელობისას ექცევა ერთგვარ ,,ჩიხში“ და ხვდება, რომ პრობლემის გადაწყვეტის საშუალება არის ახალი ცოდნის მოძიება, შეძენა, გარკვეული კანონზომიერებების, კავშირების ,,აღმოჩენა“ და ა. შ. როდესაც მოსწავლეს მზა სახით ვაწვდით რაიმე წესს, ფორმულას, ალგორითმს და იგი გააზრების გარეშე ითვისებს მას, ცოდნა არამყარია, ამიტომ მოსწავლეს უჭირს მისი ადექვატურად და უშეცდომოდ გამოყენება. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისას კი მოსწავლე დამოუკიდებლად და გააზრებულად ცდილობს გარკვეული დამოკიდებულებების აღმოჩენას, საკუთარი ალგორითმის გამოგონებას, რაც შესრულებული ოპერაციების შემეცნებაში ეხმარება და შეძენილი ცოდნაც მყარია.

მაგალითად, მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას: კალკულატორის, კალმისა და ფურცლის დახმარების გარეშე გამოთვალე რას უდრის 99•17 ნამრავლი. ცხადია, ასე შეთავაზებული დავალება პრობლემურია მოსწავლეთათვის. დავალების უფრო დაკონკრეტება, წარმოადგინონ ერთ-ერთი თანამამრავლი ისეთი რიცხვების სხვაობის სახით, რაც გაადვილებს გამოთვლას, შესაძლებელს ხდის პრობლემის გადაწყვეტის გზის მოძიებას. (100-1)•17 გამოსახულების სახით საწყისი მაგალითის შედარების საფუძველზე მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნას, რაც აისახება ორი ნატურალური რიცხვის ნამრავლის გამარტივებულად გამოთვლის ხერხის ,,აღმოჩენაში“.

ცნობილია, რომ ტრადიციული სწავლებისას ამოცანები ყოველთვის შეიცავდა იმ მონაცემებს, რაც საჭირო იყო ამოცანათა ამოხსნისათვის. თანამედროვე სწავლება, როგორც აღვნიშნეთ, მიმართულია მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების გააქტიურებისა და განვითარებისაკენ. ამ მიზანს ემსახურება ნაკლები ან ზედმეტი მონაცემებით ამოცანების განხილვა. ამდაგვარი ამოცანები განიხილება როგორც ,,პრობლემური“ ამოცანები, რადგან მოსწავლემ თვითონ უნდა დააგინოს თუ რამ მონაცემია ზედმეტი, ან საჭირო კიდევ ამოცანის ამოსახსნელად.

<u>ამოცანა:</u> საცურაო ავზის სიგრძე 150 მეტრია, ხოლო სიგანე 45 მეტრი. ავზში ჩაასხეს 1800000ლ წყალი. გაივსება თუ არა ავზი?

როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ პრობლემური სწავლების ელემენტები მათემატიკის სწავლებისას დაწყებითი კლასებიდანვე? მნიშვნელოვანია დავალებების სახეები, რომელიც შესაძლებელია შემდეგი ტექსტით ჩამოვაყალიბოთ: ,,ახსენი მიზეზი“, ,,როგორ ახსნი იმას, რომ. . .: თქვენ როგორ ვარაუდობთ?“ და ა. შ.

<u>ამოცანა:</u> ორ ქალაქში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა და აღმოჩნდა, რომ ორივე ქალაქში 45 წლამდე ასაკის მოქალაქეთა რაოდენობა იყო თანაბარი, თუმცა პიველ ქალაქში ის შეადგენდა მოსახლეობის 65%-ს ხოლო მეორე ქალაქში- 58 %-ს, რატომ?

<u>ამოცანა:</u> მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა დავალება: იპოვეთ შემდეგი რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობა: (76+23,6•4):(27•3-9•9). გიორგიმ აღნიშნა, რომ ამ

გამოსახულების რიცხვით მნიშვნელობას ვერ გამოთვლიდა. როგორ ფიქრობთ, სწორია გიორგის პასუხი? რატომ? რა დასკვნის გაკეთება შეიძლება?

პრობლემური სიტუაციები შესაძლებელია შევქმნათ იმდაგვარი ამოცანებითაც, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს დაკვირვებას, შედარებას და ა. შ. ამოცანები მოთხოვნებით: შეადარეთ, მოიძიეთ, იპოვეთ შეცდომა და ა. შ. შეცდომის მოძიების სურვილი აღძრავს ამოცანაში აღწერილი სიტუაციის უფრო სიღრმისეულად და კრიტიკულად გააზრების სურვილს. იმ შემთხვევაში, კი თუ ამოცანაში ასახულია ცხოვრებისეული რეალობიდან აღებული ,,ხალისიანი" სიტუაციები, ეს მეტ დაინტერესებას და აქტივობას ბადებს მოსწავლეებში.

<u>ამოცანა:</u> ოთახში ენთო სამი სანთელი. ლაშამ ერთი ჩააქრო. რამდენი სანთელი დარჩებოდა ოთახში? როგორ თვლით, რომელი პასუხი იქნება სწორი: 1, 2 თუ 3? რატომ? შესაძლებელია ამ ამოცანას ჰქონდეს ორი პასუხი? რაიმე პირობა ხომ არ აკლია? (პასუხი: ჩაქრობის მომენტში ოთახში დარჩებოდა ისევ 3 სანთელი, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ დარჩებოდა 1, რადგან ორი ჩაიწვებოდა)

ამოცანის გადაწყვეტა იწყება პირობის ანალიზით, პირობისა და მოთხოვნის ურთიერთკავშირების დადგენით, რომელზედაც აიგება ჰიპოთეზა. ამიტომ ამოხსნის ეს ეტაპი მნიშვნელოვანია. ამ დროს საჭიროების შემთხვევაში სასურველია ე. წ. დამხმარე კითხვების საშუალებით მასწავლებელმა უზრუნველყოს მოსწავლეთა აზროვნებითი პროცესების სწორად წარმართვა. მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ (და არა ინფორმაციულ) კითხვებს (მაგ., რას ფიქრობთ ამაზე? როგორ მიგაჩნიათ? რა განმარტებები გვჭირდება ამისთვის?) და არ აწოდებს არანაირ ინფორმაციას მოსწავლეებს.(სოკრატული მეთოდი). შეკითხვები იმდაგარად უნდა იყოს დასმული, რომ მან წაახალისოს მოსწავლეთა აზროვნება, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართვას დისკუსიაში, საკუთარი და სხვების აზრების კრიტიკულ შეფასებას, რომ არგუმენტებზე დაყრდნობით მოახდინონ ფაქტების ანალიზი, პრობლემის მთავარი არსის გარკვევა, შეფასება და დასკვნების გამოტანა.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეთა წინაშე დაისმება პრობლემა, სასურველია მოხდეს დავალების ,,პრობლემურობის" დადგენა, პრობლემის ე.წ. ,,დაფიქსირება", იმ მიზეზების დადგენა, რაც ხელს უშლის საკითხის გადაწყვეტას, რისი ცოდნა ან რა ინფორმაციის მოძიებაა საჭირო პრობლემის გადასაწყვეტად? ,,პრობლემურობის" ასე ფიქსირებით ხდება ამოცანის თავისებურების დადგენა და პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიება. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს პრობლემის ,,გათავისებას" და მოსწავლეეთა მიერ საკუთარი მოსაზრებების შემუშავებას, ურთიერთგაზიარებას. ეს კი, გარდა სასწავლო უნარ-ჩვევებისა მოსწავლეს შესძენს სოციალურ უნარ-ჩვევებსაც.

V-VI კლასიდან, როდესაც სწავლის წამყვანი მოტივი ხდება სოციალური აღიარების მოპოვება, გამარჯვებისა და თავის გამოჩენის სურვილი, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს დიდაქტიკურად სწორად შერჩეულ პრობლემური ამოცანების, კითხვების, სიტუაციების შეთავაზება მოსწავლეთათვის პრობლემური საკითხების გადაწყვეტისას ურთიერთშეჯიბრის გამოწვევის მიზნით. ამგვარი დავალებები მოსწავლეებს აძლევს შანსს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ცოდნა, იყვნენ უფრო მეტად მიზანდასახულები, აქტიურები და დამოუკიდებლები.

ამდენად, მათემატიკის სასკოლო კურსის სწავლებისას პრობლემური ამოცანების/სიტუაციების მიზანმიმართული გამოყენებით რეალურად შეგვიძლია შევქმნათ მოსწავლეთა წარმატებული მათემატიკური განათლების მყარი საფუძვლები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიუნაშვილი ზაქარია, გვაზავა ჯონდო, მამულაშვილი ლელა, ბერიშვილი ლალი, ოსიაშვილი ქეთევან. (2011) მათემატიკა I-VI კლასები გზამკვლევი მასწავლებლებისთვის. 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი. თბილისი;
2. .პაპავა პ, ჭანტურია თ,კორძაძე ე, ბაქრაძე მ, მეჰდიევა ნ.ბ, (2011) მათემატიკური წიგნიერებისა და სასიცოცხლო უნარების გზამკვლევი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. თბილისი;
3. ჯანაშია სიმონ, საძაგლიშვილი შორენა, წერეთელი მზია და სხვ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისათვის (2008) ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. თბილისი;
4. ფირჩხაძე მაია. სააზროვნო პროცესების ხარისხი, მისი ინდივიდუალური თავისებურებები და სასკოლო პრაქტიკა (2013) კედლის გაზეთი საგანმანათლებლო რესურსები. http://mastsavlebeli.ge/
5. Махмутов М. И. Организация проблемного обучения в школе. Книга для учителей (1977). М. «Просвещение».

Eliza Kevlishvili, Nino Nakhutsrishvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Problem-based Teaching in Math Class

Abstract

The paper deals with the essence of problematic, as the student-oriented teaching technology and optimal ways for its implementation at the Mathematics lesson. Problem solving is one of the main competences provided by the National Curriculum from those skills the formation of which is fulfilled by the modern mathematical education. That is why problematic teaching should be purposefully and actively used during the Mathematics lessons, because it promotes increasing students' cognitive activities, mastering the knowledge and skills for solving problems independently with the help of the mentioned approach. Students' self-appraisal, interest, motivation is increased, that is the unexceptionable term for successful educational activities while studying the Mathematics.

The work analyzes the purpose of problematic task and offers those basic requirements the problematic task should comply with. Task models and proper methodical recommendations are suggested here concerning the stages and forms for offering problematic tasks to students in order to accomplish problematic teaching related study goals.

სტატიის საკვანძო სიტყვები: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პრობლემური სწავლება, პრობლემური სიტუაცია, მათემატიკური შემეცნებითი საქმიანობა, მოტივაციის ამაღლება.

Keyword: Learner-center teaching, problem-based teaching, problem situation, mathematical cognitive activity, raising motivation

თეა მაისურაძე
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

კომუნიკაციური ასპექტის როლი მეტყველების ჩამოყალიბებაში (მეორე ენის შესწავლის მაგალითზე)

კაცობრიობა, ურთიერთობათა საფუძველზე შექმნილი მყარი გაერთიანებაა, რომელიც საკომუნიკაციო ასპექტების გათვალისწინებით, ცდილობს სიმტკიცის შენარჩუნებას; თუ, „კომუნიკაციის"(ლათინური სიტყვიდან „კომუნიკარე", რაცნიშნავს: „გავხადოთ ყველასთვის გასაგები") (1.,56) საზოგადო ტერმინის ფართო გაგებას გავიხსენებთ, სადაც ის ინდივიდებს შორის, სიმბოლოთა საერთო სისტემის საშუალებით, ინფორმაციის გაცვლას ითვალისწინებს, ნათელი გახდება მისი მნიშვნელობა, პიროვნების მეტყველების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

კომუნიკაცია ადამიანთა შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესში ყალიბდება; ენის სწავლების საკომუნიკაციო ასპექტის (მეორე ენის შესწავლის შემთხვევაში) მთავარი მიზანია, სამეტყველო უნარის განვითარება ნორმირებული წესების დაცვითა და შესაბამისი გრამატიკული ფორმების გამოყენებით. კომუნიკაციური ამოცანების გადაწყვეტის მექანიზმი განსაზღვრავს სასწავლო საგნის შინაარსობრივ მხარეს, რომელიც ითვალისწინებს, როგორც სამეტყველო, ასევე ენობრივ (გრამატიკულ) კომპონენტებს, მათ ურთიერთქმედებასა და ურთიერთკავშირს.

კომუნიკაცია, ადამიანებს შორის მეტყველებისა და ენის გაგების საფუძველზე ყალიბდება; მეტყველების ცალკეულ ასპექტებს, კომუნიკაციურ აქტსაც უწოდებენ, რომელიც, ყველაზე მარტივი სახით რომ წარმოვიდგინოთ, ეფუძნება ინფორმაციის გამგზავნის შინაგან განწყობას, მის მიერ აგებული ტექსტის შინაარსს, მიმღებისათვის განკუთვნილს; ეს უკანასკნელი კი იმ დონეზე შეიმეცნებს მიწოდებულს, რომ უმუშავდება საკუთარი მოსაზრების გამოთქმის სურვილი და შედეგის მიღწევის საფუძველზე, ხდება ინფორმაციის გაცვლა, უკუკავშირი. მართალია, ამ პირველადი პროცესის შემდეგ მოსალოდნელია ადგილების, პოზიციების შეცვლა (ინფორმაციის მომწოდებელსა და მიმღებს შორის), მაგრამ, რაც ჩვენთვის მთავარია, არ იცვლება კომუნიკაციური აქტი, ის მიზნისკენ მიმართული შეუქცევადი პროცესია, ყალიბდება ურთიერთობა, რომლის საფუძველი ინფორმაციის გაცვლაა. (2. გვ., 615)

ყოველივე ზემოთქმული, პირდაპირ უკავშირდება ენის ათვისების კომუნიკაციურ ასპექტს, ჩვენს შემთხვევაში, მეორე ენის შესწავლას.

როგორც ცნობილია, დღეს საკმაოდ აქტუალურია მეორე ენის შესწავლა, რომელიც განპირობებეულია იმ გლობალური თუ სოციალური ცვლილებებით, რომლის წინაშეც დგას ჩვენი საზოგადოება; საქართველოს მოსახლეობის ერთი მეხუთედი, არაქართულენოვანია და ბუნებრივია, აღნიშნული პრობლემა აქტუალურიცაა, სახელმწიფო ენის ცოდნა მათ მისცემს საშუალებას არამარტო დასაქმდნენ სახელმწიფო სტრუქტურებში, არამედ თავისუფლად შეძლონ მეტყველება და კომუნიკაცია არაოფიციალურ ვითარებაში.

როგორც ცნობილია, ქართული ენის შესწავლა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლისათვის სახელმწიფო ენა არაა მშობლიური, გულისხმობს საკომუნიკაციო უნარ-

ჩვეველების (მოსმენა, ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა) - ინტეგრირებულად განვითარებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი, მეორე ენის გრამატიკული ენის სტრუქტურისა და ლექსიკის ცოდნა, თვითმიზანი არ უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნორმირებული წესების დარღვევა, არ მოგვცემს ენის სრულყოფილად ათვისების საშუალებას; სწავლების პროცესი არ უნდა გულისხმობდეს ქართულის ენის გრამატიკის წესების ბრმა შესწავლასა და გაზეპირებას, პრაქტიკული მაგალითების მოხმობისა და ფუნქციური გრამატიკის საფუძვლეზე, მსმენელი (სტუდენტი), ადვილად შეძლებს მათთვის უცხო გრამატიკული კატეგორიების ათვისებას.

პრაქტიკულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ გრამატიკული კომპეტენცია ყალიბდება ვერბალური კომუნიკაციის პროცესში, განსაკუთრებით მსმენელსა და მოსაუბრეს შორის დიალოგის დროს; მთავარია, ამ უკანასკნელს ესმოდეს ენა და განსახილველი საკითხის შინაარსი; თუმცა, არის კიდევ გასათვალისწინებელი მეორე საკითხი, მოსმენა არ ნიშნავს გაგებას, თუ მსმენელი უხმოდ გვისმენს, ეს არ ნიშნავს იმას რომ მან გაიგო საუბრის შინაარსი, კომუნიკაციამიღწევადი იქნება თუ დიალოგის გამოყენებით, ორ პირს შორის საუბარი შედგება.

მეცნიერები, ენის სწავლების კომუნიკაციური ასპექტებიდან, გამოყოფენ *არალეფლექსური* და *რეფლექსური* მოსმენის მეთოდს. პირველი მათგანი, წამოწყებულ საუბარში ჩაურევლობას ან მხოლოდ ემოციის, თანაგრძნობის, თანხმობის გამომხატველი სიტყვების („დიახ“, „გასაგებია“, „საინტერესოა“) გამოყენებას ითვალისწინებს (3.გვ.,320); ეს, ე.წ. ნაწილობრივი კომუნიკაცია, ენის შესწავლის დასტურად არ გამოგვადგება, რადგან, ის, საუბრის ნაწილობრივი ან მოჩვენებითი გაგების შეგრძნებას უფრო ტოვებს.

რეფლექსური მოსმენის მეთოდი გამოიყენება მოსაუბრისაგან უკუკავშირის მისაღებად, რომელიც მიწოდებული ინფორმაციის სანდოობასა და სიზუსტის კონტროლს ემსახურება; ზოგჯერ მას „აქტიური მოსმენის“ მეთოდსაც უწოდებენ, რადგან ის, მიწოდებული ინფორმაციის გაგების დასადასტურებლად, ვერბალური კომუნიკაციის უფრო აქტიურ გამოყენებასაც ითვალისწინებს.

რეფლექსური მოსმენის მეთოდი გვეხმარება კრიტიკულად გავიაზროთ და დავადასტუროთ მიღებული ინფორმაცია.

მეორე ენის შესწავლის პროცესში, რეფლექსური მოსმენის მეთოდის, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი ასპექტის გამოყენება, საწყისს ეტაპზე, ვფიქრობთ, შეუძლებელია, რადგან მას ხელს შეუშლის თავად, ენის არასათანადოდ ცოდნა.

ენის სწავლების დასაწყისში უნდა გაიზარდოს გრამატიკულ სავარჯიშოთა კომუნიკაციური დატვირთვა, მეტი ყურადღება დაეთმოს სამეტყველო ფუნქციებს და მათტიპურ სიტუაციაში გამოყენებას.

კომუნიკაციური ასპექტისათვის მნიშვნელოვანია კომბინირებული სავარჯიშოები, ანუ გრამატიკულ შინაარსს დამატებული კომუნიკაციური ხასიათი.

მეორე ენის სწავლების პირველ ეტაპზე აუცილებელია სწავლა/სწავლების ზოგადი პრინციპების გააზრება:

- სტუდენტის ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით სწავლების მეთოდის შერჩევა;
- ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით დავალებების შეთავაზება;

- საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს მიმართ დადებითი დამოკიდებულების გამომუშავება;
- შეცდომების მიმართ კონსტრუქციული დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- მოლოდინის მკაფიოდ განსაზღვრა;
- ნდობის, თანამშრომლობის და არაკონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა;
- გარკვეული საკითხების მიმართ პასუხისმგებლობისა და ინიციატივის აღება;
- სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრისათვის წახალისება;
- სწავლების გაადვილების მიზნით სათანადო ნედლეულითა და სტრატეგიით დააღჭურვა;
- ცოდნის კონსტრუირებაზე დაკვირვება;
- მსმენელთათვის (სტუდენტთათვის) რეალური, მიმზიდველი, საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნა;
- დაძლევადი მიზნების დასახვა;
- წახალისება.

ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია საურთიერთობო მეტყველების ელემენტარული ჩვევების ფლობა; მარტივი წინადადებების და ფრაზების გამოყენება, ურთიერთობის დამყარება მარტივ, ტიპურ სიტუაციებში (მისალმება, გამომშვიდობება, გაცნობა) და სხვ.

კომუნიკაციაში ვლინდება ენისა და მეტყველების ყველა ფუნქცია, როდესაც საუბარია ამ ორ მათგანზე, რთულია მათ შორის საზღვრის გავლება; საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ენობრივი გამოხატულება (წერითი თუ ზეპირი) - მეტყველებაა.

ენის ძირითადი ფუნქციაა ურთიერთგაგებინება. თუმცა, ამავე ენის მეშვეობით სულ უფრო ნაკლებად ესმით ადამიანებს ერთმანეთის. პრიორიტეტი მაინც ენას აქვს და ექნება. განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სწავლების პროცესს, როდესაც გაგებინება აზრის გადაცემის მთავარი პირობაა. აზრის გადაცემის სხვა სემიოტიკური სისტემებიც არსებობს, მაგრამ აუდიტორიაში აზრთა ურთიერთგაცვლის მთავარ ფორმად მაინც ლინგვისტური (ენობრივი) ფორმა რჩება.

ენის კომუნიკაციური ფუნქცია ნიშნავს, რომ ის წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთობის მნიშვნელოვან საშუალებას, როცა ადგილი აქვს, ამა თუ იმ მიზეზით ერთი პირიდან მეორეზე რაიმე ინფორმაციის გადაცემას. ენაც ხომ იმიტომ არსებობს რომ უზრუნველყოს ურთიერთობა.

ამრიგად, კომუნიკაციური ასპექტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეტყველების ჩამოყალიბებაში, ზოგადად და მეორე ენის შესწავლის პროცერსშიც. ადამიანები, ერთმანეთთან ურთიერთობისას, გადასცემენ საკუთარ აზრს, გრძნობებს, სულიერ შეგრძნებებს და აღწევენ დაბალანსებულ გაგებას. მეტყველება მათ აძლევს ძალას ერთმანეთში მიაგვარონ პრობლემები და ხელი შეუწყონ ადამიანთა საზოგადოების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. - [თბ., 2008]. - 20სმ. [MFN: 76027] ნაწ. 1: განათლების სპეციალისტებისათვის / [წიგნზე მუშაობდნენ: სიმონ ჯანაშია და სხვ.]. - [2008]. - 56გვ.
2. Василик М.А. Основы теории коммуникации: учебник. М.: Гардарики, 2003. 615 с.
3. Клюев Е.В. Речевая коммуникация. М.: Рипол Классик, 2002. 320 с.

ინტერნეტ რესურსები:

1. www.mes.gov.ge/uploads/qartuli%20rogorc%20**meore**%20**ena**.docx
2. tpdc.gov.ge/?action=page&p_id=214&lang=ge

Tea Maisuradze
Ekvtime Takaishvili Teaching University

The Role of Communicative Aspect in Speech Formation
(On Second Language Learning Example)

Abstract

Communication is forming in the process of cognitive activity. The main aim of communicative aspect (in case of learning second language) is to development speech skills with the defend of grammar rules and with the use of appropriate grammar forms. Solving mechanism of communicative problems determines content of learning process, which takes into consideration as speech, as well as language (grammar) components, their interdependence and interaction.

It's true, that communication is a complex process and is forming on the base of novelty request, but speech (and not signs) is the only way to convey thoughts, to set strong relationship among people and to exchange information.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაციური ასპექტი, ფუნქციური გარამტიკა, გრამატიკული კომპეტენცია, არარეფლექსური და რეფლექსური მოსმენა, სამეტყველო ფუნქცია.
Keywords: The communication aspect, functional garamtika, functional Grammar, reflexive andnonreflexive listen, the function of the speech

მარიამ ზაქარიაშვილი, ირაკლი ჭიჭაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვისწავლოთ ვირტუალური თამაშებით
Learning Apps

დღეს საქართველოში „ბუკების თაობის“ მეექვსე წელს ვითვლით. „ბუკების თაობა“ ციფრულ საუკუნეში, კომპიუტერული თამაშების, ციფრული კამერებისა და მობილური ტელეფონების გარემოცვაში დაიბადა. მათ კომპიუტერზე მუშაობის სწავლება არ დაჭირვებიათ, ვინაიდან, როდესაც ისინი დაიბადნენ კომპიუტერი უკვე იყო მათ სახლში და კომპიუტერს თამაშ-თამაშით დაეუფლნენ. ინტერნეტი, მობილური კავშირი, პერსონალური კომპიუტერი, ნოუთბუქი, მათთვის მშობლიური გარემოს განუყოფელი ობიექტებია. მათ სკოლაში სწავლა „ბუკებთან“ ერთად დაიწყესსაქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში - „ბუკი-ისწავლე ხალისით“ www.buki.ge...

ამიტომაც, ბუნებრივია ტრადიციული სასწავლო გარემო, ტრადიციული სასწავლო პროცესი და მეთოდები „ბუკელებისთვის“ ხშირად შესაძლოა მოსაწყენი და უინტერესო გახდეს. „პატარა ბუკელები“ ჩვენი თაობისანი არ არიან, რომ დასხდნენ და მოგვისმინონ. შედეგად, სასწავლო პროცესმაშესაძლოა დაკარგოს ძირითადი დანიშნულება, რომელიც გარდა სასწავლო შინაარსის დამახსოვრებისა, მოიცავს სხვადასხვა უნარების განვითარებას, მათ შორის ცოდნის ტრანსფერის და ახალი ცოდნის კონსტრუირების. იმ რეალური ვითარების ნაცვლად, რომლებშიც უნდა მოხდეს მიღებული ცოდნის აქტივაცია და ახალი ცოდნის შეძენა, შესაძლებელია ეფექტური, ინტერაქტიური ვირტუალური გარემოს გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და მათ აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. სწორედ ეს არის ის მიმართულება, რომელშიც შესაძლებელია სასწავლო პროცესში ელექტრონულ თამაშზე დაფუძნებული მეთოდოლოგიის გამოყენება.

რა არის ელექტრონული თამაში?-ელექტრონული თამაში არის პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებული მიზნის მისაღწევად ერთი ან რამდენიმე მოთამაშე იღებს გადაწყვეტილებას სათამაშო ობიექტებისა და რესურსების მეშვეობით.

ელექტრონული თამაშების განმარტების ქვეშ, შესაძლოა, მოექცეს ვიდეოთამაშები, ინტერნეტთამაშები, სტრატეგიები, სიმულაციები, როლური და სათავგადასავლო თამაშები, რბოლები, თავსატეხები და სხვ., რომელთა გაშვება შესაძლებელია კომპიუტერზე, სათამაშო კონსოლებზე, მობილურ ტელეფონებზე.

ევროპის ქვეყნებშიინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები სასწავლო პროცესში ვირტუალური თამაშების გამოყენების შესახებ. გარდა საგანმანათლებლო მიზნებით შექმნილი თამაშებისა ევროპელი მასწავლებლები სწავლების პროცესში იყენებენ როგორც გასართობ, ისე კომერციულ თამაშებს.

ელექტრონული თამაშების დანერგვის პრაქტიკა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში - საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციის პირობებში, შესაძლებელი ხდება ელექტრონული საცდელი თამაშების სასწავლო პროცესში გამოყენება. აღნიშნული ინიციატივის განვითარებასა და საპილოტე რეჟიმში დანერგვაზე ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (http://www.tpdc.ge;http://ict.tpdc.ge) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო-„ბუკი-ისწავლე ხალისით" (http://www.buki.ge), ინოვაციური განათლების ფონდის მიერ დაფუძნებული ვირტუალური აკადემია (http://www.kodala.ge),რომელთა მიერ ინტერნეტ სივრცეში, სასწავლო ვიდეო-აუდიო ელექტრონულ რესურსებთან ერთად, წარმოდგენილია ქართული ელექტრონული საგანმანათლებლო თამაშები.

სახელდობრ: „აბოს ცხოვრების გზა"; "ბუნება";„დინამიური მათემატიკა"; „ვირტუალური მიკროსკოპი"; „ვისწავლოთ ინგლისური"; „ზმნისწინები"; „ინტელის საგანმანათლებლო თამაში"; „მოგზაურობა კოლხეთში"; „ვეფხისტყაოსანი"; „იავნანამ რა ჰქმნა?"; „მოლაპარაკე ანბანი"; „რწყილი და ჭიანჭველა"; „სახალისო მათემატიკა"; „ქამა ბუკი"; „წიქარა"...

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ (www.tpdc.ge), ჯერ კიდევ 2011 წლის გაზაფხულს საგანმანათლებლო ელექტრონული თამაშების შექმნისა და სწავლებაში დანერვის მიზნით განახორციელდა პროექტი(კოორდინატორი-ეკა ჯელაძე). პროექტის შედეგად შეიქმნა 8 საგანმანათლებლო თამაში. პროექტში მონაწილეობას ვიღებდი მეც. ჩემთან ერთად ჯგუფში ჩართული იყვნენ მათემატიკის მასწავლებლები თამარ ბუაჩიძე (ხაშური), ლუდმილა ფოლადიშვილი (თბილისი), ზურაბ კეკელიძე (ბათუმი), გიორგი ხებრელიშვილი - ტექნიკური პირი, ზაქარია გიუნაშვილი - ექსპერტი. აგებული თამაშებიდან ერთ-ერთი „მიხო პაპას მარანი" შეიქმნა წარმოდგენილი ჯგუფის მიერ. ვირტუალური თამაშის პილოტირება მოვახდინე თელავის მეხუთე საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე.

და მაინც, მიუხედავად საგანმანათლებლო სისტემების მასშტაბურობისა, სკოლებში კომპიუტერული თამაშების გამოყენების მაგალითები არ არის მრავალრიცხოვანი, თუმცა მუდმივად მზარდია. თამაშების გამოყენების საკითხს ეძღვნება სულ უფრო მეტი სემინარი და კონფერენცია, ქვეყნდება აკადემიური სტატიები. თუმცა ნაკლებადაა აღწერილი სასწავლო ელექტრონული თამაშების აგების ტექნოლოგიები. ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც ყურადღებას მივაქცევთ LearningApps პროგრამულ აპლიკაციას, რომლის გამოყენებაც წარმატებითაა შესაძლებელია სასწავლო მიზნებისთვის. ამასთან არ არის აუცილებელი პროგრამირებისა და დიზაინის ფლობა.

მასწავლებლის ტიპური პრობლემები - ელექტრონულ თამაშზე დაფუძნებულ სწავლაზე საუბრისას ძირითადად გულისხმობენ იმას, რომ სწავლისას გამოიყენება უკვე გამზადებული, სასწავლო მიზნებზე მორგებული და პედაგოგიურად გააზრებული თამაში. ასეთი თამაშის შექმნა მოითხოვს რამოდენიმე სხვადასხვა საქმის მაღალ კვალიფიციური სპეციალისტის თანამონაწილეობას. ამგვარ (ხშირად საკმაოდ

ძვირადღირებულ) თამაშებს გააჩნია საკუთარი დანიშნულება და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში შესაძლებელია საკმაოდ ეფექტურადაც. მაგრამ შესაძლებელია წარმოიშვას პრობლემები, რაც ეხება ელექტრონული თამაშის სასწავლო პროგრამასთან თავსებადობას, სწავლების დროის ორგანიზებასა და კომპიუტერის ნაკლებობას, ასევე, თამაშების შეძენის ლიცენზირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შესაბამისი ტრენინგისადა მხარდაჭერის ნაკლებობას, შესაძლო ნეგატიურ გავლენებს და სხვ.

სასწავლო თამაშების აგებისას ხშირად პრობლემას წარმოადგენს თამაშის ტექნოლოგია. შესაძლოა სათანადოდ ვერ მოხდეს მისი კომპონენტების გათვალიწინება. სახელდობრ: ორგანიზაციული ფორმა, დიდაქტიკური პროცესი, პედაგოგის კვალიფიკაცია. თამაშის ტექნოლოგიამ უნდა უზრუნველყოს ემოციურობისა და რაციონალურობის ერთობლიობა.

Learning Apps - პრობლემის გადაჭრის საშუალება - დღეისათვის ვირტუალური სივრცე წარმოადგენს სხვადასხვა პროგრამულ აპლიკაციას. (GameMaker- http://www.yoyogames.com/gamemaker/studio; Scratch-http://scratch.mit.edu; Kodu- http://fuse.microsoft.com/projects/kodu), რომელთა დახმარებით შესაძლებელია მასწავლებლის მიერ კონკრეტული სასწავლო მიზნის შესაბამისად აგებული იქნას ინტერაქტიური ელექტრონული თამაში. ამჯერად, ყურადღებას LearningApps - ზე შევაჩერებთ (www.learningapps.org).

რა არის LearningApps?- LearningApps წარმოადგენს Web-2 ტექნოლოგიას. სასწავლო პროგრამა დამუშავდა 2009-2012 წლებში სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში ბერნის უნივერსიტეტში (Michale Heilscher Werner Hartman გერმანია) ქალაქ მეინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტთან (Franz Rothlauf) და ციტაუ/გორლიტცის უმაღლეს სასწავლებელთან (Cristian Wagenknecht) თანამშრომლობით.

LearningApps საშუალებას იძლევა ონლაინ რეჟიმში აგებულ და გამოყენებულ იქნას სასწავლო ინტერაქტიური მოდულები - სასწავლო ინტერაქტიური თამაშები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე. პროგრამა არის უფასო. აქვს მრავალენოვანი ინტერფეისი, მათ შორის ქართული ენა, რაც აადვილებს პროგრამულ გარემოსთან ურთიერთობას. პროგრამას ახლავს მრავალი შაბლონი, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ვირტუალური თამაშების შექმნა. მასწავლებელს ფართო არჩევანი აქვს მოარგოს შაბლონს მისთვის საჭირო თემას, ასევე თავადაც შექმნას აქტივობები სხვადასხვა თემაზე.

როგორ ვისარგებლოთ LearningApps პროგრამით? LearningApps პროგრამის გარემოში აუცილებელია შემდეგი ძირითადი მოქმედებების გავლა: რეგისტრაცია; სავარჯიშოების რედაქტირება/შექმნა; ახალი სავარჯიშოს შექმნა; LearningApps-ის პირადი გვერდის შექმნა; მოსწავლის პირადი ანგარიშის შექმნა LearningApps -ზე.

• **რეგისტრაცია** - პროგრამული სერვისის საპოვნელად ინტერნეტის ფანჯარის სამისამართო ველში ჩავწეროთ www.LearningApps.org. LearningApps-ის სერვისის ინტერფეისი გამოიყურება შემდეგი სახით (სურათი1). პროგრამული აპლიკაციის ზედა მარჯვენა კუთხეში წარმოდგენილია პატარა ჩამოსაშლელი სამკუთხედი, რომლის ჩამოშლით შეგვიძლია ავირჩიოთ ჩვენთვის ხელსაყრელი ენა. LearningApps სერვისით სრულფასოვნად სარგებლობისთვის პირველ რიგში საჭირო Login ღილაკის დახმარებით გავიაროთ რეგისტრაცია- შევავსოთ ,,Greate account"-ის ველები.



სურათი 1. learning Apps ინტერფეისი

LearningApps-ზე რეგისტრაციის შემდეგ ჩვენ უკვე გვაქვს მომხმარებლის სახელი და პაროლი. პროგრამით სარგებლობისათვის დავაწკაპუნოთ პუნქტზე Login. User name-ში ჩავწეროთ რეგისტრაციის შემდეგ მიღებული მომხმარებლის სახელი, ხოლო Password ველში პაროლი. დავეთანხმოთ Login-ღილაკს. რის შემდეგაც გვეძლევა პროგრამით სრულყოფილად სარგებლობის საშუალება.

- **ინტერაქტიური სავარჯიშოების რედაქტირება/შექმნა** - თუ ვიმოქმედებთ Browse Apps-ღილაკზე, რომელშიც მოიაზრება ყველა აქტივობა, გამოჩნდება შემოთავაზებული სავარჯიშოების ყველა კატეგორია, აქტივობები, ვიზუალურად ჩანს სურათები, ქვეშ მიწერილი წარწერებით. შემოთავაზებულ კატეგორიებს აქვს საფურცლი ისრები, რის შედეგადაც შეიძლება ნიმუშების დათვალიერება, თუ ავირჩევთ რომელიმე კატეგორიას, გამოდის მისი შესატყვისი ყველა სავარჯიშოს ნიმუში. მარჯვენა ზედა კუთხეში გვაქვს ე. წ. ,,ფილტრის“ ღილაკი, საიდანაც შეგვიძლია ჩამოვშალოთ და მოვახდინოთ აქტივობების გაფილტვრა კლასების მიხედვით.
- **ახალი სავარჯიშოს შექმნა** - ,,Create App“ - ღილაკი, საშუალებას გვაძლებს შევქმნათ ახალი სავარჯიშოები, მასზე დაწკაპუნებით გამოდის შაბლონების საფურცლი, რომელიც შეიძლება გადავფურცლოთ ისრების საშუალებით და ამავდროულად განვიხილოთ თითოეული აქტივობის არჩევანის შემთხვევაში მისი შინაარსობრივი დატვირთვის ვიდეო. თუ მაგალიად გავაკეთეთ რომელიმე აქტივობის არჩევანი, იქვე Examples ღილაკით შეგვიძლია დავათვალიეროთ მისი მრავალნაირი სახეობა.
- **LearningApps -ის პირადი გვერდი** - ჩვენს მიერ შექმნილი თუ შესრულებული ყველა აქტივობა შეიძლება განვათავსოთ ლინკებით სხვადასხვა ვებ-გვერდებზე (http://LearningApps.org/2185438) ან ყველა ისინი დავაგროვოთ ჩვენს პირად გვერდზე My Apps ჩანართში, რომელიც შეიქმნა რეგისტრაციის შემდეგ. თუ მასწავლებელს სურს მისმა მოსწავლეებმა იმუშაონ LearningApps-ის პროგრამაში, მას თვითონვე შეუძლია მარტივად შექმნას მოსწავლეთა ,,ექაუნთები“ და დაფიქსირებული ყავდეს ცალკე ჯგუფი. ამისათვის ვეთანხმებით My classes-ის ჩანართს, ახალი ჯგუფის შესაქმნელად ვიმოქმედოთ Creat Student accounts ღოლაკზე. შეგვიძლია დავაფიქსიროთ სამუშაო ჯგუფის სახელიც. მაგალითად „მოისაზრეს ბავშვები“. შეგვიძლია ჯგუფის მოსწავლეთა გვარ-სახელები შევავსოთ როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე, პროგრამა ავტომატურად გამოიტანს მომხმარებლის სახელსა და პაროლს. კლასის ჯგუფის შესანახად ვეთანხმებით Save ღილაკს. აღნიშნული ჯგუფი დაფიქსირებული იქნება My classes-ჩანართში და შესაბამისად თითოეულ მოსწავლეს შეუძლია განახორციელოს მასწავლებლის მიერ შენახული აქტივობები.
- **მოსწავლის პირადი ანგარიში LearningApps -ზე** - My classes ჩანართში გამოიტანება შექმნილი ჯგუფები, სადაც შეგვიძლია ვნახოთ ჯგუფის შემადგენლობა თავისი მონაცემებით, რომელთა ამობეჭდვაც მასწავლებელს შეუძლია აღნიშნული ღილაკით (print Account/Password list). ამ მონაცემებს ურიგებს მოსწავლეებს რათა მათ

შეძლონ თავიაანთ ანგარიშზე შესვლა. ჯგუფისთვის ახალი აქტივობების დამატება შესაძლებელია Add App-ღილაკის დახმარებით, უკვე დამზადებული აქტივობების გამოყენებას ვახდენთ ღილაკით Use this. პროგრამა საშუალებას იძლევა შევიდეს მასწავლებელიმოსწავლის ანგარიშზე მისი სახელით და პაროლითApps of my students-ჩანართში, დაათვალიეროს მოსწავლის მიერ შესრულებული აქტივობები.

LearningApps-ის გამოყენების შესწავლა ინტუიციურად გასაგები და მარტივი ინტერფეისის გამო, მოითხოვს ძალზე მცირე დროს და ძალისხმევას. თამაშის შექმნის პროცესში ძირითადი ყურადღება გადატანილია არა ტექნიკურ უნარებზე, არამედ შემოქმედებითობაზე. აქვს უამრავი ინტერაქტიური ელემენტი და მზა სავარჯიშოები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ადვილად ააგოს საჭირო რესურსი და დაუქვემდებაროს კონკრეტულ სასწავლო მიზნებს.

დასკვნა

- დღეისათვის ვირტუალური თამაშები ციფრული თაობისთვის და არა მხოლოდ მათთვის, მიმზიდველი საქმიანობაა. რატომ? იმიტომ რომ:
  - ✓ თამაში გასართობია: იგი სიამოვნებას გვანიჭებს;
  - ✓ თამაშს აქვს მიზნები: მიზანი აღვიძებს მოტივაციას;
  - ✓ თამაშს აქვს წესები: იგი კარგად სტრუქტურირებულია;
  - ✓ თამაში ინტერაქტიულია: საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ;
  - ✓ თამაშს აქვს შედეგი: საშუალებას გვაძლევს ვისწავლოთ;
  - ✓ თამაშში შესაძლებელია მოგება: საკუთარი თავით სიამაყის საშუალებას გვაძლევს;
  - ✓ თამაში შეიცავს შეჯიბრის/კონფლიქტის/სირთულეების მომენტებს: ზრდის მოთამაშეში ადრენალინის დონეს;
  - ✓ თამაში გვიბიძგებს პრობლემების გადაჭრისაკენ: ზრდის მოთამაშის შემოქმედებითობას;
  - ✓ თამაში ხასიათდება ინტერაქციით: გვაძლევს სოციალური ურთიერთქმედების, ჯგუფური მუშაობის საშუალებას;
  - ✓ თამაშს აქვს სიუჟეტი: იწვევს მოთამაშის ემოციას.

ამდენად, ვფიქრობთ, აქტუალურია მოხდეს ვირტუალური ინტერაქტიური თამაშების ინტეგრაცია სასწავლო გარემოში - „ვისწავლოთ ვირტუალური თამაშით“. თამაშები გამოვიყენოთ როგორც: ჩამორჩენილი მოსწავლეების დახმარება; განათლების მოდერნიზების საშუალება; ინოვაციისა და განსაკუთრებული უნარების განვითარების ხერხი; მომავალი მოქალაქეების ვირტუალურ სამყაროებში გათვითცნობიერების საშუალება. ასეთი სახის სწავლებით დადებითი გავლენა მოვახდინოთ სასწავლო მოტივაციაზე და ავამაღლოთ მოსწავლეთა სწავლების ეფექტურობა.

გამოყენებული ვებ-გვერდები

1. http://www.buki.ge
2. http://www.tpdc.ge
3. http://www.ict.tpdc.ge
4. http://www.kodala.ge
5. http://www.skoool.emis.ge
6. http://www.learningapps.org
7. http://www.teremoc.ru/game/game.htm
8. http://games.eun.org/upload/gis-synthesis_report_en.pdf

Mariam Zakariashvili, Irakli Chitchashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Let's Learn with Virtual Games
Learning Apps

Abstract

Currently, educational virtual electronic games are considered as a new teaching tool.

What is an electronic game? How are electronic games built? What types of games are used? How are games applied by teachers in educational programs? What pedagogical objectives have been achieved and what are the results? In what sense are games interesting to the educational system? What are the pedagogical advantages of using virtual games in teaching compared to traditional methods? What services are used to create electronic games? Here is a short list of questions that are regarded as a relevant research topic in the scientific-pedagogical society today.

The work is based on the results of the above survey, the purpose of which is to introduce the role of virtual games in the learning process; the object of the research is to study the information technology software applicationthat can be used in educational institutions to improve the efficiency of the learning process. In particular, we focus on the software application needed to create Learning Apps virtual interactive games. Basic principles for working in Learning Apps software platform are also shown.

საკვანძო სიტყვები: ვირტუალური თამაში, ბუკების თაობა, Learning Apps-პროგრამული უზრუნველყოფა.
Key words: Virtual game, the buki generation, learning Apps – software platform.

თამაზ ლაჩაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინოვაციური მეთოდები თვლის Binary digit სისტემაში

კომპიუტერულ სისტემებში ნებისმიერი ტექსტური, გრაფიკული, აუდიო თუ ვიდეო ფაილები წარმოადგენენ ერთიანების და ნულების გარკვეული წესით მონაცვლეობის საშუალებით წარმოდგენილ ურთულეს კომბინაციებს, რომლებიც იწერებიან შესაბამის რეგისტრებში. ნებისმიერი მათემატიკური თუ ლოგიკური ოპერაციის შესასრულებლად სისტემური ფაილების დამუშავების კომპილაციური ან ინტერპრეტატორული რეჟიმები სრულდება Binary digit (ორობით) სისტემაში, ინფორმაციის გადაცემა ხდება კოდირების და დეშიფრაციის საშუალებით, რის შედეგადაც მომხმარებელს მიეწოდება მისთვის გასაგები ფორმატით ტექსტური, გრაფიკული, აუდიო თუ ვიდეო ფორმატის ფაილების სახით.

არსებობს თვლის ორობითი სისტემიდან ათობითში და პირიქით გადაყვანის მრავალი „ტრადიციული“ მეთოდი, რომელიც საკმაოდ შრომატევადია და არაეფექტური დროში შესრულების მხრივ. ქვემოთ შემოგთავაზებთ ინოვაციურ

მეთოდს, რომლის საშუალებითაც ზეპირი გამოთვლების საშუალებით რამდენიმე წამში შეგვიძლია შევასრულოთ აღნიშნული ოპერაციები.

ათობით ≈ 350-მდე რიცხვებისათვის (რაც ორობით სისტემაში წარმოადგენს ცხრა თანრიგიან რიცხვებს!) ორობით სისტემაში გადასაყვანად საჭიროა ზეპირად ვიცოდეთ ათობითი რიცხვების შესაბამისი მნიშვნელობები თვლის ორობით სისტემაში 20-მდე ჩათვლით და 16-ზე ნამრავლები 20-ის ჩათვლით თვლის ათობით სისტემაში, რის შემდეგაც ზეპირი მეთოდით შევძლებთ აღნიშნული გამოთვლების შესრულებას.

წესი მდგომარეობს შემდეგში: გადასაყვან რიცხვს ვყოფთ 16-ზე და მიღებული ათობითი რიცხვის მთელ მნიშვნელობას ვწერთ თვლის ორობით სისტემაში, შემდეგ მივუწერთ დარჩენილი ნაშთითი ნაწილის ათობითი რაოდენობის შესაბამის ორობით მნიშვნელობას ოთხი თანრიგის გათვალისწინებით (მაგ. ნაშთი 3 ორობითში 11, დაიწერება 0011). ან, შეგვიძლია გადასაყვან რიცხვს გამოვაკლოთ მასზე ნაკლები 16-ზე ნამრავლის მნიშვნელობა, რომელიც წინასწარ ზეპირად უნდა ვიცოდეთ, დავწეროთ პირველი თანამამრავლის მნიშვნელობა თვლის ორობით სისტემაში, შემდეგ მივუწეროთ დარჩენილი ნაშთითი ნაწილის ათობითი რაოდენობის შესაბამისი ორობითი მნიშვნელობა ოთხი თანრიგის გათვალისწინებით.

9X16 = 144	15X16 = 240	0 - 0	7 - 111	14 - 1110
10X16 = 160	16X16 = 256	1 -1	8 - 1000	15 - 1111
11X16 = 176	17X16 = 272	2 - 10	9 - 1001	16 - 10000
12X16 = 192	18X16 = 288	3 - 11 B	10 - 1010	17 - 10001
13X16 = 208	19 X16 = 304	4 - 100	11 - 1011	18 - 10010
14X16 = 224	20X16 = 320	5 - 101	12 - 1100	19 - 10011
		6 - 110	13 - 1101	20 - 10100

მაგალითი1. გადავიყვანოთ ორობითში რიცხვი **331**. გამოვაკლოთ 20*16=320 გვექნება: 331 – 320 = 11, ამიტომ ვწერთ 20 -ის შესაბამისს ორობითში 10100 და ვუწერთ ნაშთის 11 -ის შესაბამისს ორობითში 1011. გვექნება 101001011.

მაგალითი 2. გადავიყვანოთ **182,** გვექნება: 182 - 176 = 6, ამიტომ ვწერთ 11-ის შესაბამისს ორობითში 1011 და ვუწერთ 6-ის შესაბამისს 110 -ს ოთხი თანრიგის გათვალისწინებით 0110, გვექნება: 10110110.

ორობითიდან ათობითში შეგვიძლია გადავიყვანოთ შებრუნებული მეთოდით, ამისათვის დავყოთ თანრიგებად გადასაყვანი რიცხვი. გამოსათვლელ ფორმულას ექნება შემდეგი სახე:

$$(X)_2=(A)_2*2^n+(B)_2$$

სადაც: **X** - ათობით სისტემაში გადასაყვანი ორობით სისტემაში წარმოდგენილი გამოსათვლელი რიცხვია, **A** პირველადი მონიშნული თანრიგების მიხედვით ორობითი რიცხვია, **n** პირველადი მონიშვნის შემდეგ დარჩენილი თანრიგთა რაოდენობაა, **B** - მონიშნული **n** თანრიგების მიხედვით შესაბამისი რიცხვია ორობით სისტემაში:

$(101001011)_2 = (10100)_2 * (2^4) + (1011)_2 = 20 *16 + 11 = 320 +11 = 331$



სადაც **A**=20, **n**=4, **B**=11 (ნაჩვენებია ზემოთ მოყვანილი მაგალითი 1-ის ზეპირი გამოთვლის მეთოდი).

თვლის ორობით სისტემაში სხვაობის ოპერაციის შესრულება ერთ-ერთ შრომატევად სამუშაოს წარმოადგენს. ამ ოპერაციის შესრულების „ტრადიციული” მეთოდი

მდგომარეობს შემდეგში: ამისათვის იყენებენ მაკლების დამატებითი კოდის მეთოდს. დამატებითი კოდი მიიღება ორობითი რიცხვის მოპირდაპირე კოდზე ერთიანის დამატებით, ხოლო ორობითი რიცხვის მოპირდაპირე კოდის მისაღებად ნულის ადგილას ვწერთ ერთიანებს, ხოლო იქ, სადაც ერთიანებია, ვწერთ ნულებს. მიღებულ გამოსახულებას, ანუ მაკლების დამატებითი კოდის მნიშვნელობას ვამატებთ საკლებს, რის შედეგადაც ვღებულობთ საძიებელ სხვაობას. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ სხვაობაში მიღებული შედეგის პირველი თანრიგის ერთიანი არ უნდა გავითვალისწინოთ!

ქვემოთ შემოგთავაზებთ მეთოდს, რომელიც საინტერესოა როგორც სიმარტივის, აგრეთვე იმ მხრივაც, რომ მრავალთანრიგიანი ორობითი რიცხვების სხვაობის ოპერაციის შესრულების დროს, ზეპირი მეთოდით წინასწარ შეგვიძლია განვსაზღვროთ სხვაობის ნებისმიერ თანრიგში მყოფი ერთეულის მნიშვნელობა. აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი: მოცემულ თანრიგში სხვაობაში ნულის თუ ერთიანის არსებობა არ არის დამოკიდებული მარცხენა თანრიგებში მაკლებში და საკლებში არსებულ ნულების თუ ერთიანების განლაგებაზე და დამოკიდებულია მხოლოდ საკლების და მაკლების მარჯვნივ მყოფ თანრიგების განლაგების შესაძლო ვარიანტებზე. აქ საკლებში და მაკლებში შეიძლება გვქონდეს ოთხი შესაძლო ვარიანტი: ა) $\frac{1}{0}$; ბ) $\frac{0}{1}$; გ) $\frac{1}{1}$ დ) $\frac{0}{0}$. იმ შემთხვევაში, თუ სხვაობის საძიებელი თანრიგის მარჯვნივ საკლებში და მაკლებში გვაქვს $\frac{1}{1}$ ან $\frac{0}{0}$ კომბინაცია ნებისმიერი რაოდენობით და მონაცვლეობით, ყურადღება უნდა მივაქციოთ შედარებით მარჯვნივ მყოფ უახლოეს თანრიგებს. თუ გვაქვს საკლებისა და მაკლების კომბინაცია $\frac{1}{0}$; ვსარგებლობთ პირველი წესის მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება $\frac{0}{1}$ მდგომარეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ვისესხოთ მარცხენა თანრიგებიდან და ვსარგებლობთ მეორე წესის მიხედვით.

<u>**წესი I**</u> თუ მარჯვენა თანრიგებიდან ,,ნასესხები'' არ გვაქვს: ა) და ბ) ვარიანტებისათვის მოცემულ თანრიგში სხვაობაში გვექნება **ერთი**; გ) და დ) ვარიანტისთვის – **ნული** და პირიქით:

<u>**წესი II**</u> თუ მარჯვენა თანრიგებიდან ,,ნასესხები'' გვაქვს: ა) და ბ) ვარიანტებისთვის მოცემულ თანრიგში სხვაობაში გვექნება **ნული**; გ) და დ) ვარიანტისთვის – **ერთი**.

თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. სხვაობის ოპერაციის შესრულების „ტრადიციული“ მეთოდის გამოყენების გარეშე, საკლებისა და მაკლების თანრიგების ვარსკვლავებით მონიშნული ნებისმიერი კომბინაციისათვის, ზეპირი მეთოდით, წინასწარ განვსაზღვროთ სხვაობაში მისაღები თანრიგების მნიშვნელობა.

```
 * * *1 0 1 1 0 1 1 0 1 0 1 * * *
 * * *0 1 0 1 1 1 0 0 1 1 0 * * *
 ---------------------------------
 * * *0 1 0 1 1 0 0 1 1 1 ? * * *
       1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11
```

გამოთვლების ჩატარება შეგვიძლია დავიწყოთ პირიქით, წინა თანრიგებიდანაც კი!
პირველ თანრიგში სხვაობაში გვექნება 0, რადგან საკლების პირველი თანრიგიდან სესხება მოგვიწევს მარჯვნივ მდგომი თანრიგებისათვის (იხ. წესი II, ა) ვარიანტი);
მეორე თანრიგში სხვაობაში გვექნება 1, რადგან სესხება არ მოგვიწევს საკლების მარჯვნივ მდგომი თანრიგებისათვის (იხ. წესი I, ბ) ვარიანტი);
მესამე თანრიგისათვის სხვაობაში გვექნება 0, რადგან მარჯვნივ საკლების და მაკლების 1/1 კომბინაციის შემდეგ მოდის 0/1 კომბინაცია და მოგვიწევს გასესხება მეხუთე თანრიგისათვის (იხ. წესი II, ა) ვარიანტი);
მეოთხე თანრიგში სხვაობაში გვექნება 1, რადგან მარჯვნივ საკლების და მაკლების 0/1 კომბინაციისათვის მოგვიწევს გასესხება (იხ. წესი II, გ) ვარიანტი);
მეხუთე თანრიგში სხვაობაში გვექნება 1, რადგან მარჯვნივ საკლების და მაკლების 1/1 კომბინაციის შემდეგ მოდის 1/0 კომბინაცია და გასესხება არ მოგვიწევს (იხ. წესი I, ბ) ვარიანტი);
მეექვსე თანრიგში სხვაობაში გვექნება 0, რადგან მარჯვნივ საკლებში და მაკლებში გვაქვს კომბინაცია 1/0 და გასესხება არ მოგვიწევს (წესი I, გ) ვარიანტი);
მეშვიდე თანრიგში სხვაობაში გვექნება 0, რადგან მარჯვნივ საკლების და მაკლების 0/0 კომბინაციის შემდეგ მოდის 1/1 კომბინაცია,ხოლო შემდეგ 0/1 კომბინაცია და გასესხება მოგვიწევს მეათე თანრიგისათვის (იხ. წესი II, ა) ვარიანტი);
მერვე თანრიგში სხვაობაში გვექნება 1, (იხ. წესი II, დ) ვარიანტი);
მეცხრე თანრიგში სხვაობაში გვექნება 1, (იხ. წესი II, გ) ვარიანტი);
მეათე თანრიგისათვის სხვაობაში გვექნება 1, (იხ. წესი I, ბ) ვარიანტი;
სხვაობის ბოლო, მეთერთმეტე თანრიგის მნიშვნელობა დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, მოგვიხდება თუ არა სესხება შემდეგი მარჯვენა თანრიგებისათვის და ამიტომაც ნაჩვენებია კითხვის ნიშნით. თუ არ მოგვიხდება, კითხვის ნიშნის ადგილას გვექნება ერთი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნული.

აღნიშნული მეთოდი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ თვლის **Binary digit** (ორობით) სისტემაში, ისევე როგორც ათობითში, გაყოფის ოპერაცია დაიყვანება გარკვეული წესით შესრულებულ სხვაობის ოპერაციაზე, მოცემული მეთოდით სხვაობის შესრულება კი საგრძნობლად ამარტივებს გაყოფის ოპერაციას თვლის ორობით სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლაჩაშვილი თამაზ. (2010) : *განათლების ხარისხის მართვის კონტროლის კომპიუტერული მეთოდი,* მონოგრაფია, თელავი.
2. ლაჩაშვილი თამაზ, სვიმონ ოხანაშვილი (2012): *თვლის ორობით სისტემაში სხვაობის ოპერაციის შესრულების ახალი მეთოდის კომპიუტერული რეალიზება.* // II საერთაშორისო - სამეცნიერო კონფერენცია, სამეცნიერო შრომები. თბ. gv.59-60.

Tamaz Lachashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Innovative Methods in Binary Digit System of Counting

Abstract

The article deals with the introduction of a new oral method concerning the binary transfer into algorism system, as well as a new method of inequality operations which is more flexible, compared with the rest of the already existing methods. With the help of this new method we can orally calculate any digit in the inequality. Furthermore divisibility operation may be held with certain rules of the inequality operation which seriously simplifies the calculation procedure while conducting divisibility operation.

საკვანძო სიტყვები: ორობითი, ათობითი, თანრიგი, ნაშთი, კოდი
Keywords: Binary, decimal, category, remainder, code.

სვიმონ ოხანაშვილი, ია ოხანაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელექტრონული მთავრობა და განათლება

საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ დიდი ცვლილებები გამოიწვია ადამიანთა ცხოვრებაში, გაიზარდა კომუნიკაციის მოთხოვნილება, ინფორმაცის გადაცემის სისწრაფე, სიხშირე და ინტერნეტ- სერვისების გამოყენების ხარისხი.

კომპიუტერის და ინტერნეტის არსებობამ ადამიანებს გაუადვილა და გაუიაფა ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, გადაცემის და შენახვის პროცესები. დროის მცირე მომენტში შესაძლებელია უწყვეტი კავშირის დამყარება ქვეყნისა და მსოფლიოს ახალი ამბების ნებისმიერ თემაზე. ინტერნეტ-მომხმარებელს მიეცა შესაძლებლობა, იპოვოს თანამოაზრეები ნებისმიერ საკითხზე, მოიძიოს მისთვის საინტერესო სასწავლო დაწესებულებები და ისწავლოს ახალი სპეციალობაზე, ასევე შეიძინოს ან გაყიდოს პროდუქტი, ბიზნესი, მომსახურება და ბოლოს გამოთქვას საკუთარი აზრი და გაუზიაროს მრავალ ადამიანს.

ცნობილია, რომ 1997 წელს ორგანიზაცია ,,ევრობარომეტრმა“ ჩაატარა ფართომაშტაბიანი კვლევა ევროპის ქვეყნებში, რათა გამოევლინა ელექტრონული მთავრობის მიმართ მოსახლეობის დაინტერესების დონე. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ევროპული მოსახლეობის 40% მეტი დაინტერესებული იყო ელექტრონული მმართველობის შემოღებით, რადგან მთავრობის ელექტრონული მართვა არის მსოფლიოში თანამედროვე ახალი მართვის მეთოდი, რომელიც აერთიანებს უახლოესი ინფორმაციული ტექნოლოგიების და ტექნიკის მიღწევებს, ხელს უწყობს მოსახლეობის ჩართულობას სახელმწიფო მართვაში და ხდის უფრო სწრაფ და მოქნილ სტრუქტურას.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის უმრავლეს ქვეყნებში და მათ შორის ასპირანტ ქვეყნებში – საქართველოშიც, დღეს ელექტრონული მთავრობის მომსახურებით სარგებლობა ჩვეულებრივ მოთხოვნად იქცა. როგორც კვლევებმა, აჩვენა, საქართველოს და მსოფლიო ქვეყნების მოქალაქეების მოტივაციის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო სამთავრობო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და სრულყოფა. ხოლო თვითონ ელქეტრონული მთავრობის ძირითადი მოტივაცია არის ეფექტიანობის გაზრდა, ეკონომიკური განითარება, გაუმჯობესებული მომსახურება და მოქალაქეთა მოთხოვნების დროული ,,On-Line" მომსახურების ამაღლება.

როგორც ცნობილია, ტერმინი სახელმწიფო მართვა ძალიან ბევრ ასპექტს მოიცავს და აერთიანებს; ეს არ არის მხოლოდ მოსახლეობას და ხელისუფლებას შორის კომუნიკაცია, არამედ არის უამრავი ინსტიტუტის ერთიანობა, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე ქვეყნის გარეთ. იგი არის ინსტრუმენტი მმართველობის პროცესის განსახორციელებლად. ასევე ელექტრონული მმართველობაც არ გულისხმობს მხოლოდ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციას.

საერთოდ გამოყოფენ ელექტრონული კომუნიკაციის ოთხ სხვადასხვა ფორმას:

ა) Government to Citizens- (G2C) ელექტრონული მთავრობა მოსახლეობისთვის

გულისხმობს მოსახლეობისთვის ინტერნეტის საშუალებით სხვადასხვა ელექტრონული სერვისის შეთავაზებას მომსახურეობის გაუმჯობესების მიზენით. აღნიშნული სისტემის დანერეგვის შემთხვევაში, ორივე მხარე იღებს სარგებელს. ერთის მხრივ მომხმარებელი, რომელიც ზოგავს დროს და ენერგიას, და მეორეს მხრივ კი სახელმწიფო, რომელიც ამცირებს ბიუროკრატიულ მექანიზმს და შესაბამისად ხარჯებს მის შესანახად.

ბ) Government to business- (G2B)

ელექტრონული მთავრობა ბიზნესისთვის - ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი არის ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ორმხრივი და ეფექტური კომუნიკაცია. ინტერნეტის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონტაქტის შესაძლებლობები. ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა ინტერნეტის მეშვეობით, მნიშვნელოვნად ანვითარებს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობასაც, რადგან ელექტრონული მმართველობის უპირველესი მახასიათებელი არის ინფორმაციის დროული და ობიექტურ გავრცელა, რაც გამოიწვევს გამჭირვალეობის ზრდას. ქვეყანაში ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის არსებული გამჭირვალე ურთიერთობა კი სარგებლის მომტანია, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კუთხითაც.

გ) Government to government-(G2G)

ელექტრონული მთავრობა მთავრობისთვის - გულისხმობს სახელმწიფო შტოებს შორის კომუნიკაციისთვის ინტერნეტის გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სახელმწიფო აპარატის მოქნილობას, ხელს შეუწყობს ბიუროკრატიის შემცირებას, კომუნიკაცია უწყებებს შორის გადავა უფრო მაღალ დონეზე.

დ) G2NGO

ელექტრონული მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც გულისხმობს არა სამთავრობო ორგანიზაციეთან კავშირს, როგორიცაა: ასოციაციები, ფონდები, სათემო გაერთიანებები და სხვა.

ელექტრონული სერვისები E – Services არის საჯარო ონლაინ– სერვისები, რომლებიც კონცენტრირებულია ძირითად მიზნობრივ სეგმენტებზე: საჯარო

მმართველობა, ბიზნესი, მოსახლეობა, არასამთავრობო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები, რომლებთანაც კომუნიკაციის დასამყარებლად გამოიყენება: ციფრული ელექტრონული საფოსტო სერვისები და ვებ – პორტალები, ისეთები როგორიცაა: [3]– მოქალაქის პორტალი და [4]-ის დისტანციური სერვისების პორტალი და ა. შ. მათი დახმარებით შესაძლებელია: ელექტრონული განცხადების მიღება, საქმისწარმოებისა და გადაწყვეტილების გამოქვეყნების ოპტიმიზაცია, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღება ან გაგზავნა.

დღეისათვის, მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებულია როგორც სახელმწიფო სერვისები, ასევე კომუნალური გადასახადები. ასევე, მას გააჩნია ბიზნესის ონ–ლაინ რეგისტრაციის მოდული, რომლის დახმარებით მოქალაქეს შეუძლია ელექტრონულად გააგზავნოს წერილი სახელმწიფო უწყებაში და ელექტრონულადვე მიიღოს პასუხი.

განათლებას სხვადასხვა ქვეყნებისათვის არსი და დანიშნულება ერთი და იგივე აქვთ, ხოლო მიზანები და ამოცანები კი განსხვავებილი, ეს დამოკიდებულია ქვეყნის როგორც პოლიტიკურ წყობაზე ასევე ეკონომიურ სიძლიერეზე, ტრადიციებზე და საარსებო მოთხოვნებზე. განათლება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება თაობიდან თაობაში გადასცემს თავის კულტურულ მემკვიდრეობას - დაგროვებულ ღირებულებებს, ცოდნასა და უნარ - ჩვევებს. იაკობ გოგებაშვილმა განათლებას და ცოდნას უწოდა –,,მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში“.

ევროპული კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, გაეროს მიერ მიღებული საერთაშორისო აქტით მიჩნეულია, რომ განათლება ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი და უნდა შედგებოდეს: წერისა და კითხვის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლების სწავლებისგან - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. გარდა ამისა არსებობს სასწავლო კურსების, ტრენინგების პრინციპზე აგებული არაფორმალური განათლება და თვითგანათლებით მიღებული ცოდნა, რომელსაც ადამიანი ეუფლება სპეციალური ლიტერატურის, ინტერნეტისა თუ პირადი გამოცდილების მეშვეობით.

UNESCO მოთხოვნით 2015 წლიდან უმეტეს ქვეყნებში შემოღებულ იქნას საყოველთაო დაწყებითი განათლება, რომელიც იწყება ხუთი - შვიდი წლის ასაკიდან და მისი ხანგრძლიობა დამოკიდებულია ქვეყნის განვითარებასა და ტრადიციებზე.

ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია არსებობდეს განათლების სიტემა თავისი საფეხურებით:დაწყებითი განათლება, საშუალო განათლება, პროფესიული განათლება და უმაღლესი განათლება. ამ მხივ საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა მოიცავს:

ა) სკოლამდელი განათლებას;

ბ) ზოგადი განათლება, რომელიც მოიცავს დაწყებით, საბაზო და საშუალო განათლებას;

გ) სახელობო და უმაღლესი პროფესიული განათლება;

დ) სამსაფეხურიანი უმაღლესი აკადემიური განათლება,

ე) ზრდასრულთა განათლება და ტრენინგი.

ზოგადი განათლების ხანგრძლივობა საქართველოში არის 12 წელი, დაწყებითი საფეხური მოიცავს პირველ ექვს კლასს, საბაზო საფეხური - მეშვიდე - მეცხრე კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური - მეათე მეთორმეტე კლასებს.

საქართველოს კონსტიტუციაში 2006 წლის შეტანილ ცვლილებების თანახმად, დაწყებითი და საბაზო განათლება (9 კლასი) სავალდებულოა.

ასევე, უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მქონე პირთათვის. რომლებიც აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. გამოცდები მოიცავს სავალდებულო ტესტირებას უნარჩვევებში, ქართულ ენასა და უცხო ენაში, ხოლო დანარჩენი საგნები აირჩევა სპეციალობების მიხედვით.

2010 წლიდან საქართველოში ცენტრალიზებულად განხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდებიც. 2016 წლიდან ეროვნული გამოცდები ნაწილობრივ ჩატარდება კომპიუტერების გამოყენებით. დღეისათვის მუშავდება ელექტრონული პლატფორმა, რომელიც ავტომატურს გახდის ცენტრის ყველა ოპერაციას და მოიცავს ინტერფეისებს არა მხოლოდ თანამშრომელთათვის, არამედ სტუდენტების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და რიგითი მომხმარებლისათის.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისები ხელმისაწვდომი გახდა იუსტიციის სახლში, რაც გულისხმობს იუსტიციის სახლის ერთ სივრცეში მოქცევას. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციაში გადავიდა განათლების სამინისტროს კომპეტენციის მიკუთვნებული დოკუმენტების დამოწმება, დამოწმებული დოკუმენტები კი გაიცემა იუსტიციის სახლის სივრცეში. ეს ცვლილება კი მნიშვნელოვნად გააადვილებს განათლების სამინისტროს საჯარო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას. მოქალაქე მომსახურებას მიიღებს საქართველოს ყველა ძირითად რეგიონულ ცენტრში

განათლების სისტემაში ხორციელდება მრავალი პროექტი, მათ შორის აღსანიშნავია „განათლების ხარისხი და ელექტრონული მართვა“, რომელიც შეიმუშავა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა – UNDP, და იგი ითვალისწინებს ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მეშვეობით ელექტრონული მართვის კონცეფციისა და ინტეგრირებული ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესდებას. ttp://www.eqe.ge/geo/news/show/53/715

დღეისთვის შექმნილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკის ვებ საიტი, საიდანაც შესაძლებელია სხვადსხვა სახელმძღვანელოების, ელექტრონული ჟურნალების, პროგრამების, პუბლიკაციების წაკითხვა დათვალიერება და ჩამოტვირთვა [2].

მსოფლიო გამოცდილებამ გვანახვა, რომ დიდი სისწრაფით ვითარდება ელექტრონული სწავლების მეთოდები და ფორმებიც, იხვეწება სწავლების ახალი მიმართულებები, ელექტრონული, მულტიმედიური სახელმძღვანელოების შექმნა და დისტანციური სწავლება, რაც უახლოეს პერიოდში ქვეყნებში ოფიციალურად გამოცხადდება, მანამდე კი მიმდინარეობს კვლევები და დაკვირვევები. ჩვენ, ავტორებმა გავიარეთ რამდენიმე საგანში დისტანციური სწავლება საზოგადოებრივი ინსტიტუტის ვებ გვერდის დახმარებით [1] საჯარო პოლიტიკის ანალიზი, საჯარო ფინანსები და სოციალური კვლევის მეთოდები. სწავლებამ დაგვანახვა, რომ აუცილებელია მსმენელმა მკაცრად დაიცვას დისტანციური სწავლების ძირითადი მოთხოვნები რაც გულისხმობს სწავლის მოცემული დროის განმავლობაში მოხდეს შესასწავლი მასალის წაკითხვა, მოსმენა, დამუშავება და ტესტირება. რისთვისაც საჭიროა შესრულდეს შემდეგი ნაბიჯები:

ნაბიჯი 1: გაეცანით სასწავლო პროგრამის სილაბუს და მასალას.
ნაბიჯი 2: დაგეგმეთ სწავლის დრო ყოველ კვირა. (მოთხოვნაა იცოდეთ დროის მართვა)
ნაბიჯი 3: კვირაში სამჯერ მაინც ნახეთ კურსის გვერდი.
ნაბიჯი 4: დასვით შეკითხვები.
ნაბიჯი 5: დაუკავშირდით თანაკურსელებს.
ეს რჩევები განკუთვნილია ყველა ონლაინ სტუდენტსათვის და ვინც ამ მოთხოვნებს განაწილებული დროით შეასრულებს წარმატებას აუცილებლივ მიაღწევს.
ამრიგად:

– ელექტრონული მთავრობა არის მოქალაქეების, ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების და მთავრობას შორის ურთიერთქმედების პლატფორმა, რომელიც რეალიზდება ინტერნეტის მეშვეობით და ცვლის მთავრობის საქმიანობის მიმართულებას.

– ელექტრონული სწავლება არის საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ქსელის გამოყენება სასწავლო პროცესში.

– ელექტრონული სწავლების კომპონენტების დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას და მისი ეფექტურობის გაზრდას.

– მმართველობის ერთი ფანჯრის პრინციპი გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების სერვისების წვდომას ერთ საერთო პლატფორმაზე, მომხმარებლის უცვლელი ინტერფეისით.

გამოყენებული ვებ-საიტები

[1]. http://e-learning.ge/user/view.php?id=118&course=29
[2]. www.eqe.ge/geo/news/show/53/715
[3]. http://www.el.ge/ge/
[4]. www.my.gov.ge
[5]. www.sda.gov.ge
[6]. https://sites.google.com/site/elektronuli/mostsavleta-shepaseba
[7]. http://openglam.org
[8]. http://parliament.ge/ge/mp/2002
[9]. http://sda.gov.ge/ka-GE/Distance-Services/ ↑ http://sda.gov.ge/ka-GE/positiveparent/

Svimon Okhanashvili, Ia Okhanashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Electronic government and education

Abstract

The future processes of development of electronic government and education are being discussed in this work. The importance of the use of electronic government and the problems in the development of educational system are also pointed out. The conducted survey has shown the existing tendencies of electronic education and their peculiarities.
We have summed up some necessary recommendations for electronic government and electronic educational system.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მთავრობა, **G2C** – ელექტრონული მთავრობა მოსახლეობისთვის, **G2B** – ელექტრონული მთავრობა ბიზნესისთვის, **G2G** -

ელექტრონული მთავრობა მთავრობისთვის, **G2NGO** – ელექტრონული მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

Keywords: Electronic government, G2C-electronic government for population, G2B-electronic government for business, G2G- electronic government for government, G2NGO-electronic government for non-governmental organizations

Muzaffer UCAR
Nikoloz Tsreteli International School

Benefits of Using an E-Portfolio

The Purpose of the e-Portfolio

An e-Portfolio is a place for you to showcase your good work from a course or academic program. E-Portfolios can be used for course projects, but they can also be used by student organizations to create a simple web presence.

For my part, the real value of the e-Portfolios is in the reflection and the learning. Making the connections between the e-Portfolio and learning is paramount.

The overarching purpose of portfolios is to create a sense of personal ownership over one's accomplishments, because ownership engenders feelings of pride, responsibility, and dedication.
The e-portfolio is the central and common point for the student experience. It is a reflection of the student as a person undergoing continuous personal development, not just a store of evidence.
The whole purpose(s) behind asking students to keep e-Portfolios must be developed in collaboration with all involved — the teacher, the student, the parent. The purposes need to be clear and uppermost in the development of the e-Portfolio— if there is no real reason for doing something, then the act of doing it needs to be questioned.

Purposes for student e-Portfolios include:

- Reflective thinking and goal setting
- Personalizing learning
- Development of formative assessment
- Student voice
- Creativity
- Building a learning community
- Celebrating success
- Collaboration in learning
- Providing a tool to facilitate lifelong learning
- Understanding future steps of own learning

E-portfolios have the potential to enhance teaching, learning and assessment practices. They can also support: Student advisement and career preparation; Student alumni credential documentation; Sharing of teaching philosophies and practices; Department and program self-studies, and institutional and program accreditation processes.

It defines and categorizes e-portfolios, offers examples of higher education e-portfolio implementations that illustrate current practice and potential, and reviews e-portfolio technology, including adoption issues and challenges.

Students that develop an e-Portfolio will see benefits:

- They will discover a valuable exercise in self-assessment through the reflection process
- Learning will take on a new depth through the reflection process
- Their self-esteem and self-confidence will be enhanced as they take control of their learning.
- They may develop their own goals for their learning.
- Assessment of their learning may become more student centered; the learner is involved and authorized to make decisions about will be evaluated.
- They will receive more recognition for individual learning abilities and preferences.
- They will learn and begin to practice a process that will be used in life long and life wide learning pursuits.

What is an e-portfolio?

Portfolios are generally defined as a collection of work that is deliberately compiled to showcase a person's abilities. The use of web platforms to create e-portfolios allows individuals to include multimedia artifacts, such as videos and pictures, and allows them to personalize the format and overall presentation of the portfolio. When used as a pedagogical tool, e-portfolios should also contain students' reflections about their learning process and achievement. E-portfolios are gaining in popularity because they can be an effective teaching and learning tool as well as an effective assessment tool. In 2009, a study of undergraduate degree-granting institutions in the United States found that less than ten percent of institutions were using portfolios as an assessment tool. But in 2013, a similar study revealed that over forty percent were using portfolios, which is a drastic increase (Kuh, Jankowski, Ikenberry & Kinzie, 2014).

An e-portfolio is a digitized collection of artifacts, including demonstrations, resources, and accomplishments that represent an individual, group, community, organization or institution. This collection can be comprised of text-based, graphic, or multimedia elements archived on a website or on other electronic media such as CD-ROM or DVD.

An e-portfolio is more than a simple collection, however, it can also serve as an administrative tool to manage and organize work created with different applications and control who can see or discuss the work. The benefits of an e-portfolio typical derive from the exchange of ideas and feedback between author and those who view and interact with the e-portfolio.

In general, an e-Portfolio is a purposeful collection of information and digital artifacts that demonstrates development or evidences learning outcomes, skills or competencies. The process of producing an e-Portfolio (writing, typing, recording etc.) usually requires the synthesis of ideas, reflection on achievements, self-awareness and forward planning; with the potential for educational, developmental or other benefits. Specific types of e-Portfolios can be defined in part by their purpose (such as presentation, application, reflection, assessment and personal development planning), pedagogic design, and level of structure (intrinsic or extrinsic), duration (episodic or life-long) and other factors."

Why Use an e-Portfolio?

- E-Portfolios can provide a means for assessment based on evidence of an individual's growth over time and effort- not a list of test scores
- Evaluating the learner's work using a variety of artifacts – graphics, pictures, multimedia, stories, journals, or projects – provides a view into the individual's mind and capabilities as well as the teaching and learning environment
- The collection of work provides a powerful and comprehensive digital resume of the multiple intelligences of an individual, as a linguist, an artist, a scientist, a mathematician, an athlete, a reflective learner, a self-learner, or a cooperative learner.
- A longitudinal view of a learner's work paints a picture of growth, progress, and continuity over time that the learner can collect, select, and reflect upon to present a profile of accomplishment based on evidence.

Collaboration between Student Affairs and Faculty, Glenn Johnson and Jack Rayman describe the introduction of e-portfolios in First Year Seminars, encouraging students to use web space to publish academic information, draw connections between coursework across disciplines, and explore links between the classroom and co- or extra-curricular activities. In this case, the e-portfolios reflect the trend towards outcomes-based education, asking students to define and evaluate the learning-taking place during their college years. This example also focused on a student's ability to draw together disparate strands of their college experience, simply for the sake of recording it, or to demonstrate their skills to employers or for post-graduate education through web space. However, an e-portfolio with a narrower focus can have equally broad implications. In this case, the documentation of skills and accomplishments was meant to assist with degree planning, but has also assisted students with skill identification.

Making Learning Visible

E-Portfolios are a creative, powerful, and flexible tool that can be used to:

- Collect, select, and reflect on the process and products of learning
- Chronicle, display, and visibly present the diversity of the BU experience using multimedia
- Create digital evidence of the multiple intelligences of an individual's growth over time
- Develop a personalized profile of achievement, whether as an undergraduate, graduate, or post-graduate student, or a trained professional.

Portfolios have been promoted as a twenty-first century learning tool by the AACU (Association of American Colleges and Universities), and their use is supported by base research globally in educational settings – both secondary and higher Education.

Conclusion

Throughout the twenty-first century, the field of student affairs has shifted away from the notion of simply providing student support services and moved toward a mission of facilitating educational opportunities outside the classroom. Co-curricular experiences have always been educational, but student affairs professionals are now making greater efforts to help students make meaning of these learning experiences and apply them to other contexts. This article suggests that by using e-portfolios, guided by self-regulated learning theory, student affairs professionals can intentionally enhance and demonstrate students' co-curricular learning. Since the use of e-portfolios by student affairs professionals is not yet a common practice, there is a need for empirical research to determine its effectiveness. Although this may seem like a limitation, it can also be viewed as a great opportunity. Student affairs professionals may find that e-portfolios are an excellent tool for facilitating and assessing student learning.

References:

1. A fashion Approach by an insightful - Dipti Ahuja -Assistant professor in Amity University and my specialized area is Computer Aided Designing in Fashion Industry.
2. Linda Mayhew E- Portfolios. Emerging opportunities for Students Affairs.
3. Jenson, J. (2011). Promoting self-regulation and critical reflection through writing students' use of electronic portfolio. International Journal of e-Portfolio.
4. Wolters, C. A., & Taylor, D. J. (2012). A self-regulated learning perspective on student engagement. In S.I. Christianson et al. (Eds.), Handbook of research on student engagement.
5. Kuh, G. D., Jankowski, N., Ikenberry, S. O., &Kinzie, J. (2014). Knowing what students know and can do: The current state of student learning outcomes assessment in US colleges and universities. Urbana, IL: University ofIllinois and Indiana University, National Institute for Learning Outcomes Assessment (NILOA).

მუზაფფერ უჩარ
ნიკოლოზ წერეთლის საერთაშორისო სკოლა

ელ-პორტფოლიოს გამოყენების უპირატესობები

რეზიუმე

სოციალური ქსელები არის უახლესი ინტერნეტ აპლიკაციები რომელიც ძირითადად გამოიყენება ერთმანეთთან საურთიერთობოდ და გასაზიარებლად. ამ აპლიკაციების დანიშნულებაა წერა, სურათებისა და ვიდეოს გაზიარება და ა.შ. ამას გარდა ის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სპეციალური მიზნისთვის როგორიცაა ინდივიდულაური განათლება. ინტერნეტი არის მნიშვნელოვანი ადგილი სადაც განუყოფლად მოზარდებს აქვთ საშულება დაახარჯონ თავიანთი თავისუფალი დრო ვებგვერდებზე რომლებიც მოსწონთ და ამავდროულად უზრუნველყოფს თვითონ მიიღონ განათლება უფრო ეფექტურად როცა ისინი სარგებლობენ სოციალური ქსელებით. ფაქტია ის რომ მთელს მსოფლიოში ფეისბუქის უმეტეს მომხმარებელის ელექტრონული პორტფოლიო პროგრამულადაა უზრუნველყოფილი. ამ კომპიუტერული პროგრამებით, ხდება განსაზღვრება სტუდენტების ურთიერთდამოკიდებულებისა რომლებმაც მიიღეს პროფესიული განვითარება უმაღლეს სასწავლებლებში ინფორმაციულ ტექნოლოგიებისა და ელექტრო-ელექტრონიკული ტექნოლოგიების განხრით ელექტრონული პორტფოლიოებისთვის. აღმოჩნდა რომ საშუალო ქულა იმ სტუდენტებისა რომლებთაც აქვთ ელექტრონული პორტფოლიო უფრო მაღალია, ვიდრე იმათი ვისაც არ ჰქონდათ უნივერსიტეტებში განაცხადის შეტანის დროს.

Muzaffer UCAR
NikolozTsreteli International School

Benefits of Using an E-Portfolio

Abstract

Social networks are the latest internet application that mainly used for the purpose of communicating each other and sharing. These applications are used for the purpose of writing, photograph, video sharing etc., besides these, it can be used more special purpose such as individual education. Internet is an important point that not to separate the teens spending their times on the web they like, provide them to educate themselves and on behalf of more efficient in education when they connect to internet on social networks. From the fact that, on Facebook having the most users in the world, e-portfolio software has been integrated. By this software, it is targeted to determine attitude of students, who take Vocational Development course in High School in the field of Information Technologies and Electric-Electronics Technology, for e-portfolio. It is found that attitudes average point of the students after the application of e-portfolio is higher than before the application of e-portfolio. There is significant difference between both fields students attitudes average point of portfolio process.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტი, განათლება, სკოლა, ელექტრონული პორტფოლიო, აპლიკაცია
Keywords: The Internet, education, school, e-portfolio, application

ნინო ბასილაშვილი, შორენა ძამუკაშვილი, ია ჩაქიაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ძნელადაღსაზრდელები და ფსიქოლოგის როლი სასკოლო სისტემაში

აღზრდაში დაშვებული შეცდომები წლების შემდეგ იჩენს თავს. მათი გამოსწორება ძალიან ძნელია და დროის, შრომის, ენეგიის განუზომელ ხარჯვას მოითხოვს. ძნელადაღსაზრდელი მოსწავლეები ანუ ე.წ. ,,ძნელი ბავშვები" აღზრდის ისედაც რთულ პროცესს მეტად ამძაფრებენ. ასეთ ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკა მასწავლებლებსა და აღმზრდელებს მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს. მათთან მუშაობის დროს უპირველეს ყოვლისა პასუხი უნდა გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორიცაა: რა არის ძნელადაღსაზრდელობის მიზეზი, საფუძველი? რაში მდგომარეობს ძნელადაღსაზრდელობის ფსიქიკის თავისებურება? რა გზები და საშუალებები უნდა გამოინახოს მათი დაძლევისათვის და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ძნელადაღსაზრდელობის შესახებ მდიდარი სპეციალური ლიტერატურა არსებობს, ჯერ კიდევ არ არის ერთიანი აზრი ძნელადაღსაზრდელობის შესახებ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი, რომელიც ყველა ძნელადაღსაზრდელს ახასიათებს, არის გარშემო მყოფ ადამიანებთან მისი არანორმალური, არასწორი დამოკიდებულება - მასწავლებლის ზრუნვაზე, სიკეთეზე, მოფერებაზე, ძნელი ბავშვები უნდობლობით, ხანდახან კი უხეში, გამომწვევი ქცევით რეაგირებენ.

ძნელადაღსაზრდელობის აღკვეთის და, საერთოდ ძნელი ბავშვის გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესს ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში ხელახალი აღზრდა, ანუ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური რეაბილიტაცია ეწოდება.

ძნელი ბავშვები სკოლას ძალიან უშლიან ხელს მუშაობაში. ისინი, ცუდად სწავლობენ, წესრიგს არღვევენ, მოწყვეტილნი არიან კოლექტივს და ხშირად უპირისპირდებიან კიდეც მას. ასეთ ბავშვებს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის დროულად დაწყების გარეშე ადვილად ჩამოუყალიბდებათ მორალური დეფექტები.

ძნელი ბავშვები უმეტესად გარდამავალი ასაკის მოზარდები არიან, მაგრამ, დაწყებითი სკოლის ასაკში მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. უმცროს სასკოლო ასაკში ძნელადაღსაზრდელობის დამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი პროფილაქტიკისათვის გარდამავალ ასაკში. თუ ძნელადაღსაზრდელობას დაწყებითი სკოლის ასაკშივე არ მიექცევა ყურადღება, შემდეგ იგი თანდათანობით უფრო ღრმავდება და რეაბილიტაციაც ძნელდება.

დაწყებითი სკოლის ასაკში ქცევის ნორმებიდან გადახრას ძნელადაღსაზრდელთა ნაწილში მყარი ხასიათი აქვს, მაგრამ მისი სიღრმე უმნიშვნელოა. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ამ ასაკის ბავშვთა ძნელადაღსაზრდელობის დასაწყის სტადიაზე ვილაპარაკოთ,იშვიათ შემთხვევაში დაწყებითი სკოლის ასაკში შეიძლება ძნელადაღსაზრდელობის ჩამოყალიბებული ფორმაც შეგვხვდეს.

უმცროს სასკოლო ასაკში როგორც ცნობილია გამოყოფენ ძნელადასაზრდელობის 3 ფორმას:

1) განებივრებული ბავშვები (შეძლებული და კარგი ოჯახის შვილები, სადაც ბავშვის ყოველგვარ კაპრიზს ასრულებენ).
2) პედაგოგიურად ხელშემშლელი ბავშვები (ესენი არიან არანორმალური ან ფორმალურად ნორმალური ოჯახის შვილები, რომლთაც არა აქვთ შესაფერი განათლება).
3) ჯანმრთელობის მოსაზღვრე მდგომარეობა (ამ ჯგუფის ბავშვებისათვის დამახასიათებელია ნერვიულობა, უკიდურესი აგზნებადობა).

დაწყებითი სკოლის ასაკში ქცევის ნორმებიდან გადახრა შედარებით ხანგრძლივი პროცესია, რომელიც განსაზღვრულ სტადიებს გაივლის და ასაკობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს შეესაბამება. თითოეული ასაკობრივი საფეხურისათვის გადახრებს არა ფატალური, არამედ დროებითი ხასიათი აქვს. ეს გადახრები შეიძლება შეჩერდეს დროული შერჩევით. ასეთ დროს საჭიროა, ასაკისათვის დამახასიათებელ გადახრათა დომინირებული ფაქტორების ლიკვიდაცია. ადრეულ საფეხურებზე ეს გადახრები ლოკალური, არამდგრადი ხასიათისაა და მათი რეაბილიტაცია პროფილაქტიკური ზომების გამოყენებით შეიძლება.

ამ დროს განუსაზღვრელად დიდია სკოლის ფსიქოლოგის როლი. დღეს წესით არავინ აღარ უნდა სვავდეს საკითხს იმის შესახებ საჭიროა თუ არა ფსიქოლოგი სკოლაში, თუმცა ამ მხრივ მეტად სავალალო მდგომარეობაა, ძნელად თუ მოიძებნება საჯარო სკოლა ან საბავშვო ბაღი, სადაც ფსიქოლოგი მუშაობს, უფრო მეტიც, იმ სკოლებიდანაც კი გაანთავისუფლეს ფსიქოლოგები, რომლებშიც იყვნენ. წესით ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს,თუ კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს ფსიქოლოგიური სამსახურის ორგანიზება, მაგრამ ამ სამსახურის წინააღმდეგ მაინც ვხვდებით პროტესტის ნიშნებს. იმ სკოლებში, სადაც არ ჰყოლიათ ფსიქოლოგი, სამწუხაროდ, ეჭვის ქვეშ აყენებენ ფსიქოლოგის პრაქტიკულ საქმიანობას, ამასთან ძირითადი არგუმენტი მიმართულია იქეთ, რომ მასწავლებელი, პროფესიული მომზადების პროცესში ეუფლება ზოგადი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კურსს, მაგრამ ეს ვერ სცვლის იმ ღრმა ფსიქოლოგიურ დახმარებას, რომელსაც გაწევს სპეციალიზირებული სამსახური.

ფსიქოლოგიური კონსულტაციების ტრადიციული სქემა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. პიროვნების ფსიქოლოგიური დიაგნოსტირება;
2. მიღებული შედეგების დამუშავება და ანალიზი;
3. გამოსაკვლევ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის პროგრამის დამუშავება;
4. სკოლის ფსიქოლოგის მოსწავლეებთან ფსიქოკორექციული მუშაობა.

რა შედეგებს ვიღებთ, როდესაც ფსიქოლოგიური მუშაობის ასეთი ტრადიციული მოდელი ხდება ძირითადი ფსიქოლოგიური სამსახურის საქმიანობაში? წელიწადის განმავლობაში ფსიქოლოგი „მუშაობს“ დაახლოებით 50-60 მოსწავლესთან. მიუხედავად ამ მუშაობის კონკრეტული შედეგებისა, ფსიქოლოგიური სამსახურის ეფექტურობა მთლიანად პედაგოგიური კოლექტივის მიერ ფასდება როგორც დაბალი, რადგან მიღებული შედეგი ნაკლებად შესამჩნევია სკოლის მასშტაბში და სკოლის პედაგოგების აზრით ფსიქოლოგიური სამსახურის საქმიანობა არსებით გავლენას ვერ ახდენს სასწავლო - სააღმზრდელო პროცესზე.

ჩვენი მიზანია, ჩამოვაყალობოთ შემოგთვაზოთ საჯარო სკოლებში ფსიქოლოგიური სამსახურის მოდელი, სადაც გაერთიანებული იქნებიან:

- სკოლის ფსიქოლოგი;
- სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- კლასის ხელმძღვანელები;
- სხვადასხვა საგნებისა და სხვადასხვა ასაკის მასწავლებლები;
- სხვადასხვა სოციალური წრის, თანამდებობისა და ასაკის მშობლები;
- სხვადასხვა ფსიქოლოგიური თავისებურებების მქონე მოსწავლეები ხასიათის, ტემპერამენტისა და ნიჭის მიხედვით.

იმისათვის, რომ ფსიქოლოგიური სამსახურის მუშაობის შედეგი შეესაბამებოდეს პრაქტიკულ მოთხოვნებს და რომ მუშაობა არსებითად ამაღლდეს სკოლის, როგორც პედაგოგიური სისტემის ეფექტურობას, საჭიროა, ფსიქოლოგიური სამსახური ჩამოყალიბდეს პედაგოგიური პროცესის რეალური პირობების ადექვატურად, სისტემურ საფუძველზე.

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ორგანიზაციულ სტრუქტურას რომ ჰქონდეს სისტემური სახე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი:

- სისტემური მიზანმიმართულობის პრინციპი;
- პროფესიულ-პედაგოგიური აქტივობის პრინციპი;
- ურთიერთქმედების პრინციპი;
- განვითარების პრინციპი;

ზოგადად, ამ პრინციპზე აწყობილი სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის მუშაობის ეტაპები შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

1. პირველ ეტაპზე უნდა ხდებოდეს ყველა მოსწავლის შესაძლებლობების გამოკვლევა ფსიქოდიაგნოსტირების მეთოდიკის დახმარებით;

2. მოსწავლეთა ფსიქოდიაგნოსტირების პარალელურად სკოლის მასწავლებლებთან უნდა ტარდებოდეს ფსიქო-პედაგოგიური სემინარი. ჩვეულებრივ, ამ სემინარის მიზანია, პედაგოგები გაეცნენ ჩასატარებელი სამუშაოების კურსს, მოსწავლეთა გამოკვლევის ძირითად მიმართულებებს გამოსაყენებელ მეთოდიკებს, მოკლედ განიხილონ გამოსაკვლევ მოსწავლეთა ფსიქოლოგიური თვისებები.

3. მოსწავლეთა დიაგნოსტირების შემდეგ უნდა ჩატარდეს მიღებული შედეგების დამუშავება და ანალიზი. თითოეული მოსწავლის მონაცემებიუნდა შეიტანონ კლასის სპეციალურ ფსიქოლოგიურ ბარათებზე. ფსიქოლოგიური ბარათები უნდა ინახებოდეს ფსიქოლოგის კაბინეტში.

4. როდესაც ფსიქოლოგი დაამუშავებს მონაცემებს და შეავსებს ყველა გამოკვლეული კლასის ფსიქოლოგიურ ბარათებს, ამის შემდეგ დაიწყება არსებითი

ეტაპი - ფსიქოლოგისა და მასწავლებლის ერთობლივი მუშაობა მიღებული შედეგების ანალიზზე, რაც მოიცავს:

4.1. ყველა კლასთან უნდა შედგეს ინდივიდუალური მუშაობის გრაფიკი „ფსიქოლოგი-კლასის ხელმძღვანელი“. ფსიქოლოგიური ბარათების ანალიზის შედეგების დიაგნოსტირების პროცესში, კლასის ხელმძღვანელმა ფსიქოლოგის დახმარებით უნდა განსაზღვროს კლასის ფსიქოლოგიური კლიმატი და დაამუშაოს ამა თუ იმ მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომის გეგმა, ასევე პიროვნებათაშორის ურთიერთქმედების ტაქტიკა მთელ კლასთან.

4.2. შემდეგ ეტაპზე ანალოგიური მუშაობა უნდა ჩატარდეს სქემით „ფსიქოლოგი- საგნის მასწავლებელი .“

4.3. მოსწავლეთა ფსიქოდიაგნოსტირების შდეგები ფსიქო-პედაგოფიურ ასპექტში უნდა განვიხილოთ მშობლებთან ერთად მათი, ან ფსიქოლოგის სურვილის მიხედვით. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა მარტო განხილვას, არამედ მშობელთა ფსიქო-პედაგოგიურ კონსულტაციას.

5. მიღებული შედეგები განზოგადებული სახით უნდა განიხილებოდეს მშობელთა კრებაზე და ასევე სკოლის პეადაგოგიურ საბჭოზე.

ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეულ მოსწავლეებან უნდა ჩატარდეს დამატებითი ფსიქოლოგიური მუშაობა. კერძოდ, ეს შეიძლება მოიცავდეს პიროვნების რომელიმე ასპექტის ღრმად შესწავლას. სხვა შემთხვევებში, დამატებითი სამუშაოები შეიძლება ჩატარდეს კონკრეტულ მოსწავლეებთან სკოლის ფსიქოლოგის კონსულტაციის ან ფსიქოკორექციულ მუშაობისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიჩაიშვილი, თ. (2005). ,,განვითარების ფსიქოლოგია“, თბილისი, გამომცემლობა: ,,უნივერსალი“
2. ბერკი, ლ., (2010). ,,განვითარების ფსიქოლოგია“, თბილისი, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. Реан. А. (2002). ,,Социальная педагогическая психология,“ Санкт Петербург

Nino Basilashvili, Shorena Dzamukashvili, Ia Chakiashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University

Difficult Children and the Role of Psychologist in the School System

Abstract

Todey nobody puts question if it is necessary the psychological service at schools. This issue should be discussed how to heppen the psychological service coneretely, but against this service we meet the notes of protest, the psychologist’t practical work is often doubted. This happens in cases if there are not foreseen the specific conditions.

The total heaviness of the psychological service is carried on teachers, and the argument is directed in that way that the teacher, during the professional preparation process, passes the general and pedagogical psychoplogical course, because of she should be able to solve the concert problems. Because of raising the school effect, the psychological service should conduct the all stages of work. In this article, we offered you the structure of the psychological service, where would be united as well as the school psychologist also the leaders, teachers, parents etc. of school administration.

საკვანძო სიტყვები: ძნელადაღსაზრდელები, გარდამავალი ასაკი, ფსიქოლოგის როლი, სკოლის დამოკიდებულება ფსიქოლოგისადმი, ფსიქოდიაგნოსტირება.
Keywords: Difficult children, transitive age, role of psychologist, school position towards psychologist, psychodiagnostics.

ქეთევან კახიანი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხუთი წლის ბავშვის აღზრდა-განათლების ძირითადი ტენდენციები

ამ ბოლო ხანს ხუთი წლის ბავშვი ფსიქოლოგებისა და პედაგოგების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად იქცა. ეს გასაგებიცაა. ექვსი წლის ბავშვი, ფაქტიურად სრულიად მოუმზადებელი, პირველ კლასში ჯდება. სკოლის მომზადებად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ბუნდოვანი და ქაოტური მოთხოვნების კრებული, რასაც საბავშვო ბაღის პროგრამა ჰქვია. უნდა შეიქმნას ბავშვის სკოლისათვის მომზადების მთლიანი კონცეფცია, სადაც გათვალისწინებული იქნება ბავშვის, როგორც თამაშის სუბიექტის მომზადება (გარდაქმნა) სწავლის ქცევის სუბიექტად.

ხუთი წლის ბავშვის შესაძლებობეს და მის განსაკუთრებულ ადგილს, სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებაში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბავშვის ფსიქოლოგებმა მიაქციეს ყურადღება. მათ დაინახეს, რომ ხუთი წლისთვის ძირითადად მთავრდება ე.წ. ,,ჯიუტობის ხანა“ და ბავშვი უკვე დგება სოციალურ-პიროვნულ განვითარების გზაზე, საფუძველი ეყრება პიროვნული სურვილების შეკავებას და იწყება ნებისყოფის განვითარება. ჟან პიაჟე, ეგოცენტრიზმის თეორიის შემქმნელი, მიუთითებდა, რომ ეგოცენტრიზმის ზნეობის ხანაში, მისი კოეფიციენტი ოთხწლიანების 0,60 კოეფიციენტიდან ხუთწლიანებთან 0,46-მდე ჩამოდის, რადგანაც ეგოცენტრიზმი სხვის თვალსაზრისზე, სხვის პოზიციაზე დადგომისუუნარობაა, მისი შესუსტება აზროვნების აღმავლობაზე მიუთითებს.ამ დროს ინიციატივის და ცნობისმოყვარეობის ზრდასთან ერთად ძლიერდება შემეცნებითი პროცესებიც: აღქმა დიფერენცირდება და ნაწევრდება, აზროვნება, მართალია, ძირითადათ წინაოპერაციულ დონეზე რჩება, მაგრამ შეინიშნება მერყეობა წინაოპერაციულ სტადიასა და კონკრეტული ოპერაციების სტადიას შორის.

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ქრონოლოგიური მანძილები ასაკებს შორის ყოველთვის არ შეესატყვისება ფსიქოლიგიურ ,,მანძილებს“. ასე მაგალითად, ხუთი წლის ბავშვი თავისი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობით უფრო ახლოს დგას ექვსწლიანთან, ვიდრე ოთხწლიანთან, ხოლო ექვსწლიანი ბავშვი, თავის მხრივ უფრო ახლოს დგას ხუთწლიანთან ვიდრე შვიდწლიანთან. საერთოდ, ექვსწლიანსა და შვიდწლიან ბავშვს შორის დიდი გარდატეხის პერიოდი ჩნდება. ეს გარემოება სასკოლო პრაქტიკამაც დაადასტურა. როდესაც რვაწლიანი ბავშვის ნაცვლად მერხზე შვიდწლიანი დასვეს, მან კარგად გაუძლო ამ სწავლებას, ხოლო როდესაც შვიდწლიანის ადგილზე

ექვსწლიანი დასვეს მაშინ მოხდა კატასტროფა, მოხდა გაუგონარი ძალადობა ექვსწლიან ბავშვზე, რადგანაც იმ პატარ-პატარა ცვლილებებმა სასწავლო პროგრამასა და გაკვეთილის ხანგრძლივობაში, საქმეს ვერ უშველა. ამ ძალადობას ექვსიწლიანმა ბავშვმა სიძულვილით უპასუხა: შეიძულა სკოლა მასწავლებელი, სწავლების პროცესი და დღეს თუ ზოგად-საგანმანათლებლო სკოლა კრიზისს განიცდის, ეს შესაძლოა დაწყებითი კლასებიდან მოდის, მისი სათავე აქ არის.

საქმეს ვერ უშველა ვერც თამაშის ელემენტების შეტანამ სასწავლო პროცესში. ბავშვები ადვილად გადადიოდნენ სწავლიდან თამაშზე, მაგრამ უკან დაბრუნება ჭირდა. საქმე იმაშია, რომ თამაში და სწავლა გაცვლის ორი სხვადასხვა ფორმაა: განსხვავებული მოტივაციით, განსხვავებული სუბიექტური ღირებულებით. თამაში უფრო იმპულსური ქცევის საუფლოა, ხოლო სწავლა - ნებელობითი ქცევის. თამაშის შეტანით გაკვეთილზე ბავშვი წინ კი არ მიგვყავს, არამედ უკან ვეწევით, ვაფერხებთ მის განვითარებას. როგორც გამოკითხვებმა გვიჩვენა, განვითარების აქსელერაციანებისყოფასაც შეეხო. ხუთი წლის და რვა წლის ასაკიდან დაწყებული, მიცემულიდავალების შესრულებას, ე.ი. ინსტრუბაციისადმიდაქვემდებარებას ახერხებს უფროს სკოლამდელთა უმრავლესობა, რაც მოწმობს იმას, რომ სკოლამდელთა უმრავლესობას შეუძლია განახორციელოს სასწავლო აქტივობა.

ბავშვის ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის ძირითადი ფორმაა, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად იცვლება თამაშის ფორმებიც. თუ ადრეულ ასაკში ძირითადად გვხვდება სიმბოლური, ანუ შემოქმედებითი თამაში ვირტუალური სინამდვილის შექმნით, ბავშვის ზრდასთან ერთად ვხვდებით კოსტრუქციის თამაშს (ხატვა, ძერწვა) და წესებიან თამაშებს. ბავშვი თამაშის საშუალებითაც ბევრ რამეს სწავლობს: საგანთა და მოვლენათა თვისებებს, ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებას და სოციალურ ქცევას; მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ცოდნა არასოდეს არ გამოიყვანება მხოლოდ პარცეპციაზე დაყრდნობით არამედ მომდინარეობს იმ მოქმედებიდან, რასაც სუბიექტი აწარმოებს ობიექტებზე, მოქმედება შეიცავს ორგანიზაციის საწყის ფორმებს დაწყებული სენსო-მოტორული სქემებიდან და დამთავრებული ოპერატორულ სქემებით, მოქმედების ეს სქემატიზმი პერცეპტული სტრუქტურებიდან კი არ მიმდინარეობს, არამედ მასზე უფრო მაღლა მდგომი ინსტანციაა, მას უმატებს ახალ ელემენტებს და ამით გარდაქმნის მათ. პიაჟე ხაზს უსვამს, რომ ლოგიკა - არითმეტიკული ცნებები არის შედეგი იმ ტრანსფორმაციების, რომლებსაც მოქმედება შეაქვს ობიექტებში და არ წარმოადგენენ პერცეპერული სტრუქტურების პირდაპირ და უშუალო ანარეკლს. მიუხედავად იმისა, რომ პიაჟეს ეს თვალსაზრისი დიდი ხანია ცნობილია, რომელსაც ბევრი გამოჩენილი ფსიგოლოგიც ეთანხმება, მაინც იქმნებოდა და დღესაც იქმნება ,,დახატული მათემატიკა“ როგორც სკოლამდელი, ისე დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. მათემატიკის წარმოდგენების ფორმირებისთვის გამოყენებულია ძირითადი სურათები, რომლითაც შეიძლება ბავშვს საგანთაგროვები აჩვენო, მაგრამ სრულიად შეუძლებელია სურათით თვალსაჩინო გახადო (სურათის სტატიკურობის გამო) მათემატიკური ოპერაციები: შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა. ამიტომ ბავშვებს არ ესმით ამ მოქმედებათა არსი, ვერ წვდებიან რაოდენობის უცვლელობას მათი კონფიგურაციის შეცვლის დროს.

როგორც ჩვენმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, მათემატიკის საწყისი ელემენტების სწავლება ობიექტებზე მანიპულაციის გზით უნდა ხდებოდეს და მოგვიანებით

შეიძლება გადავიდეთ სურათების ჩვენებაზეც, სადაც მან უნდა ,,წარმოსახოს“ ის მოქმედებები რომლებიც მან ობიექტებზე მრავალჯერ შეასრულა. სურათით ბავშვი ვერასოდეს ვერ გაიგებს, თუ რატომ არის ,,ტოლი“ სხვადასხვა კონფიგურაციის მქონე ობიექტების ტოლი რაოდენობები. ამ საქმეს ვერც თვლა შველის და ვერც ერთი და იგივე ციფრების მიწერა ობიექტების გროვებისადმი. ციფრი ბავშვისათვის (ყოველ შემთხვევაში დასაწყისში მაინც) ის ,,ქიმერაა“, რომლის უკან რაოდენობა არ მოიაზრება. ამ მიხვედრას მთელი წლის სისტემატიური მუშაობა სჭირდება ციფრების ,,გასაგნობრივებით“ .

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხუთი წლის ბავშვის ფორმირება სწავლის სუბიექტად, ანუ მისი მომზადება, სასკოლო სწავლისათვის არ შეიძლება გადაწყდეს, როგორც მისი დასმით არც დღევანდელ პირველ კლასში, არც მისი დატოვებით არსებული საბავშო ბაღის უფროს ჯგუფში. ჩვენის აზრით უნდა შეიქმნას შუალედური, გარდამავალი ტიპის მქონე სტრუქტურა, სადაც ხუთი წლის ბავშვი მომზადდება სასკოლო სწავლისათვის.

ასეთი სტრუქტურები შეიძლება შეიქმნას როგორც საბავშო ბაღების, ისე სკოლების ბაზაზე. მათი სახელწოდება იქნება ,,მოსამზადებელი, პირველი კლასი“, რომლის დამთავრების შემდეგ, ექვსი წლის ბავშვი პირდაპირ დაჯდება საშუალო სკოლის მეორე კლასში.

ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ამ სტრუქტურებში გვექნება: მშობლიური ენა, წერა-კითხვის სწავლება თანამედროვე მეთოდებით, მათემატიკის ძირითადი ელემენტების დაუფლება, ქვეყანათმცოდნეობის ელემენტები პოლიტიკური რუკისა და კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით, ყოველდღიური მუსიკა (მოსმენა-შესრულება), ფიზკულტურა მუსიკის თანხლებით(აერობიკის ელემენტები), შემოქმედება (დრამატიზაცია, მოთხრობის ნაწყვეტის დასრულება საკუთარი ფანტაზიის მოშველიებით, ხატვა, ძერწვა, მარტივი შრომითი ელემენტები), უცხოური ენა (ზეპირი), კომპიუტერთან ურთიერთობის ელემემტები (ზოგიერთი თამაშის ჩართვა).

ბავშვს უნდა განუვითაროთ სწავლისათვის საჭირო უნარები და ჩვევები: მოსმენის უნარი (ჯერ მოყოლილი ამბის, შემდეგ-წაკითხულის), მოცემული ნიმუშის მიხედვით მოქმედების უნარი, წაკითხული (ან მოსმენილი) ამბის მოკლედ გადმოცემის უნარი და სხვა. საჭიროდ მიგვაჩნია იმ მეცადინეობების ტიპის, რაოდენობისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა, რომელსაც ამ სტრუქტურაში ექნება ადგილი. ეს არ უნდა იყოს არც სასკოლო ტიპის გაკვეთილი და არც თამაში, მისი ყოველდღიური გაგებით: ეს უნდა იყოს სახალისო სწავლება, როდესაც ბავშვს მის ყოველდღიურ გარემოცვაში პრობლემურ სიტუაციებს აღმოაჩენინებ და უბიძგებ მის გადასაწყვეტად. მეცადინეობის ხანგრძლივობა არა უმეტეს 20 წუთისა. დღეში, შესაძლოა განხორციელდეს ერთი ან ორი მეცადინეობა. ბავშვების გონებრივი განვითარების დონე შემოწმდება წლის დასაწყისში და წლის ბოლოს-ტესტირების საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Жан Пиаже – Психология интеллекта. Питер, 2004.
2. Жан Пиаже - Ремь и мышление ребёнка. Питер, 1999.
3. ა. კოტეტიშვილი, ქ. კახიანი - თვალსაჩინოების როლი მათემატიკის სწავლების პროცესში.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2001წ.

4. ქ. კახიანი - რაოდენობაზე წარმოდგენების ფორმირება უფროს სკოლამდელ ასაკში. (5-6 წელი). ,,კავკასიის მაცნე“ №5. თბილისი 2002წ.
5 საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელთათვის. საქართველოს განათლების სამინისტრო. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. თბილისი, 2000წ.

Ketevan Kakhiani
Iakob Gogebashvili Telavi State University

Education Of 5-Year Old Children – Main Tendencies

Abstract

In order to prepare 5-year old children for school, transitive, intermediate structure between a kindergarten and a school should be created. This structure can be called a “ preparatory, first grade”, after finishing of which a 6-year old child can enter the second grade of school.

საკვანძო სიტყვები: საბავშვო ბაღის პროგრამა, ეგოცენტრიზმი, ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობა, ლოგიკა - არითმეტიკული ცნებები, საკუთარი ფანტაზია.
Keywords: Kindergarten program, egocentrism, psycho-physical abilities, logical-mathematical concepts, own fantasy.

დავით შავიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლეგენდა-თქმულებებში გადმოცემული აღზრდის მსოფლხედვა (სვანეთის ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

თეზისი: პირველი სკოლა, სადაც ბავშვის ზნე-ხასიათის (ტრადიციული, ნოვაციამიღებულ ტრადიციულით, თუ ეთნიკურისთვის უცხო ნიშნებით) წვრთნა, ადამიანად ფორმირების პროცესი მიმდინარეობს არის ოჯახი. ოჯახში აღზრდის ერთ-ერთი საშუალება იყო ქართველთა ბუნების კულტურულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამომხატველი, შესაბამისი ასაკისა და სქესის ადამიანთა პიროვნულ-ინტელექტუალური თვისებების აღზრდის, ქცევის თავისებურებების, სოციალური სტრატეგიების მასწავლებელი, **კულტურული ცხოვრებისთვის მომამზადებელი** ლეგე-ნდა-თქმულებები.

საკითხს განვიხილავთ სვანეთში 2008, 2013 და 2015 წლების ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიმდინარეობისას მიკვლეული ქართულ ღირებულებათა სისტემის ერთი, უკვე დატვირთვანაცვლელი, მაგრამ მეხსიერებას ჯერ კიდევ შემორჩენილი ზეპირ-სიტყვიერი მასალის ნაწილის ანალიზის საფუძველზე.

ეთნოგრაფიული მასალა: „სწავლების საშუალება ყოფილა საღამოთი, ოჯახი კერასთან მსხდომ უფროსთაგან, მშობელთა მიერ მოხმობილი ფოლკლორული ჟანრის თქმულება-ლექსები“ (მთხრობელი, ც. გულედანი, ლენჯერი, ივლისი, 2015).

ოჯახი - ბავშვის სოციალიზაცის გარემო: ნებისმიერი ასაკის ადამიანს და უპირველესად მოზარდს ოჯახში უღვივდებოდა „კაცობის ყადრი“, თავის საცხოვრისის სიყვარული, იმ თემის წევრთა მახასიათებლების პატივისცემა, „სადაც მისი გულის მეცალეა“ და რომლის წევრიც თავადაა: „სიყვარულის და კაცობის ყადრი აკვნიდან მოსდევს გულღია სვანებს“; „ვინ დაიწუნებს სვანებს სილაღით, რომელიც მოაქვს ენგურს ღრიალით, ჩვენ გზებს სიძნელით, უშბას სიმაღლით, კოშკებს სიძველით?“[15](მთხრობელი ნ. ქალდანი, ზესხო, 2008). ოჯახი სვანეთში დღემდე რჩება გარემოდ, სადაც ხდება ბავშვის ტრადიციებით „შემლებისდაგვარი“ სოციალიზაცია, უყალიბდება საზოგადოების ღირებულებათა ორიენტირები, წესრიგდება მოზარდის და საზოგადოების საურთიერთობო მხარე, ეჩვევა უღალატობას, მტერთან უშიშრად დგომას, სიცოცხლის და პიროვნული უფლებების სწორ განსაზღვრა-სტიმულირებას...: „სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს მთები გვიდევს ბალიშებად, საქართველოს ეს კუთხეები არასოდეს მოიშლება“; „უშიშარი არწივები სხვის ბუდეში არ სხდებიან, ყორნებივით არ ჩხავიან, ლაჩრულად არ მარცხდებიან. მოღალატის მეოხებით, ხშირად ვაცდენთ ტყვიას მიზანს, შინაურმა თუ არ გვიმტრო, გარეული ვერსა გვიზამს“ (მთხრობელი, დ. ონიანი ჟახუნდერი, 2013). საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად სვანურ ოჯახში იზრდებოდა „რომანტიკულშინაარსიანი“ ქართული ცხოვრების წესი, სულიერ-ფიზიკურად მშვენიერი ქალბატონის „საკუთარი კერის მაძლიერებლად მოფიქრება-ყოლის სურვილი. ქართველის გენეტიკის ყველა ფორმით, ფიზიკურად არმიახლოებითაც ქალისადმი მოკრძალებული და კდემით დამოკიდებულება“; „გოგო და ბიჭი ცეკვავენ ერთად და უვლის ეს ბიჭი და გოგომ უთხრა ქართველი ხარ, თუ მპარაველი შორით ჩამომიარე, ახლოს ნუ მეკარები“[16] (მთხრობელები, დ. ღვაჩლიანი, უშგული, 2008. ჩ. ვეზდენი, მაზერი, 2015).

ქრისტიანობის, როგორც ფიზიკურ-გონებრივი სიმწიფის აღზრდის აუცილებლობის შესახებ: ქრისტიანობა სვანთა ცხოვრების წესის განმსაზღვრელია, იმის მიუხედვად, რომ სვანთა „დამოკიდებულება რელიგიასთან თავისებურია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი თანაბრად უსმენენ მღვდელსაც და თემის მიერ არჩეულ უფროსს, მორიგეს/გამრიგეს, **მლზნ-ს**“. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მართლმორწმუნე სვანები მომავალ თაობებში ზრდიდნენ ქრისტიანობის რწმენას. **ლეგენდა „ლამარიას“ ეკლესიის აგების შესახებ**: „ერთხელ ფეიქარს სამუშაო ოთახიდან ხმაური მოესმა. გაბრა-ზებულს ბავშვები ეგონა და დაუყვირა, ყვირილზე ოთახიდან თეთრებში ჩაცმული, ფეხშიშველა ქალი გამოსულა და საბძელში იატაკში გაუჩინარებულა. როცა ფეიქარი დაზგასთან მისულა ოქროთი ნაქსოვი ნაჭერი დახვედრია. ამის შემდეგ სოფლელებს გადაუწყვეტიათ იმ ადგილას, სადაც ქალი გაუჩინარებულა, სალოცავი აეგოთ. ეს არის

[15] სვანის დახასიათებისთვის იხილე, დ. შავიანიძე, ქართველური მემკვიდრეობა სვანეთიდან (ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები. ანგარიში), აწსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, 2015

[16] „სვანი ქალი ღირსებიანი და სტუმართმოყვარეა. სვანმა კაცებმა დედის გინება არ იციან, სვანურად დედის გინება არც არებობს. სვანი ქალის ღირსებაზე, პატივისცემაზე მზრუნველია“; გათხოვილ შვილს მამა აწ უკვე თავის, იმ სახლში, სადაც დიასახლისი უნდა გამხდარიყო ასე დალოცავდა: „ეს მყავდეს ისე დალოცვილად რომ უპირველესად ყოვლისა ვაჟიშვილით გაიხაროს, მეორედ ისე იყოს დალოცვილი, რომ რა ზნეც ამ სახლში დედას ახასიათებდა ის ზნე აითვისოს. მესამედ მოკეთეებს სამხუბ–ს ქალის შთამომავლობას ყველას ხელს უწყობდეს. შენი (მიმართავდა სიძეს და გულისხმობდა სიძისავე ოჯახს-დ. შავიანიძე) შემწუხებელი არ იყოს. ჩემ მაგივრად თქვენ (ახლა უკვე მიმართავდა თავის ქალიშვილის დედამთილ-მამათილს-ხაზი ჩვენია) ყავდე. შენ გთხოვ, რომ ეს ქალი ჩემთან მტირალი არ გამოგზავნო, თითონ ამას რაც ნაკლი ჰქონდეს მე უნდა გამაგებინო. აბა მე დამილოცნია ჩემი შვილი შენთვის, ამ ღამის შემდეგ ეს ჩემი საქმე არ არის და შენ გაბარებ. ამდენ ხალხს ესმოდეს, რომ ამ ღამის შემდეგ ჩემი საქმე აღარ არის. ასე მარჯვნივ დაგიტრიალდეთ ეს გოგო“ (ს. გვარმიანი, რ. გადანი, ბეჩო, ივლისი, 2015)

მიწაში გამოჭრილი პატარა სალოცავი, რომლის კედელშიც ჩატნეულია ეს ნაჭერი. როგორც გადმოცემა გვეუბნება მისი ნახვა არ შეიძლება. ამ სალოცავის დღესასწაულს ყოველ წელს, ზაფხულში აღნიშნავენ. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაულის დროს როცა ხალხი სალოცავთან სურათს იღებდა ფოტოზე მლოცველებთან ერთად მარიამ ღვთისმშობლის ხატი გამოისახა“.

სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციით, ტრადიცია-ჩვეულებებით, სამართლებრივ-ეთიკური ნორმებით, აღზრდით უზრუნველყოფილ-შეპირობებული სოციალური თავისუფლების შესახებ: მთელი საქართველოს მსგავსად, სვანეთშიც ნებისმიერ ადამიანს, უმცირესობას აქვს აღზრდით, სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციით, ტრადიცია-ჩვეულებებით, სამართლებრივ-ეთიკურინორმებით შეპირობებული სოციალური თავისუფლება: „იმასაც აღზრდა უნდოდა, რასაც ქვია ღირსება, ღირებული ყოფის, სწორი მიზნის მიღწევა, ოჯახის, თემის ცხოვრების წესის არდარღვევა, მისი შენარჩუნება“; „გათვლილი იყო ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობ-ებიც და როლიც. სვანი ქალი ვალს თავიანად ასრულებს, ოჯახს უძღვია. ქალის გაფრთ-ხილება, დაცვა მახვშის კანონი იყო“ (მთხრობელები, ლ. კვიციანი, ზ. სუბელიანი, მესტია, ივლისი 2015); „სვანეთში ქალის განსაკუთრებული კულტია. აქაური ზეპირსიტყვიერება ორი ქალის, გარეგანის, ქალღმერთი დალის და შენი სახლის თავი ქალის შემდარებელი თქმულებებით გასწავლის დალის არნდობის, შენი ოჯახის მმართველ მეუღლესთან ფხიზელი დამოკიდებულების შესახებ“ (შ. კვიციანი, ც. ხორგუანი, რ. გადრანი-კვიციანის, ბეჩო, ივლისი 2015). ირკვევა, რომ, როგორც ყველგან, საქართველოში სვანეთშიც, აქაურთა ფსიქოლოგიაში ქალის პატივისცემა სიყვარულით, იმითაა ნაკარნახევი, რომ ქალი მამაკაცის გვერდით მდგომი, მეგობარი და მეუღლეა. აღნიშნულის დასტურია **თქმულება ბეთქილზე**: „ბეთქილი იყო კარგი გარეგნობის, ძლიერი ფიზიკური მონაცემების მქონე, ძალიან კარგი მონადირე და ჯერ კიდევ უცოლო ახალგაზრდა ყმაწვილი მულახის თემიდან. ერთხელ ნადირობის დროს ის გადაეყარა დალს, ნადირობის ქალღმერთს. ერთმანეთის სილამაზით მოხიბლულებს შეუყვარდათ ერთმანეთი. დალიმ ბეთქილს აჩუქა სამახსოვრო მანდილი. ბეთქილმაც მოუხშირა სანადიროდ სიარულს, ყოველთვის ხვდებოდა ამ ქამერდეს და მისი წყალობით მუდმივად ნანადირევით დატვირთული ბრუნდებოდა სახლში. დროის შემდეგ ბეთქილმა შეწყვიტა ნადირობა და შექმნა ოჯახი. ერთხელ სოფელში რელიგიური დღესასწაულის დროს ახალგაზრდები ასრულებდნენ ფერხულს, მათ შორის იდგა ბეთქილიც. უცაბედად წრეში შემოხტა შუნი (არჩვის მსგავსი გარეული ცხოველი). დაჭერა, რომ გადაწყვიტეს, ყველას გასაოცრად შუნი ბეთქილს გაუძვრა ფეხებს შორის და გაიქცა. მდევრობა დააკისრეს „დამნაშავეს“. შუნის მადევარი ბეთქილის წინ გზები ფართოდ იხსნება, უკან კი იხურება. ბევრი სირბილის შემდეგ მოულოდნელად აღმოჩნდნენ დალის საუფლოში. დალის კითხვაზე „ჩემი ნაჩუქარი მანდილი ვის აჩუქეო?“. შეშინებულმა ბეთქილმა იცრუა: „სასთუმალს ქვეშ დამრჩაო“. დალმა ჩამოკიდა ბეთქილი კლდეზე, დაუტოვა მარჯვენა ხელის ნეკა თითის და მარცხენა ფეხის ცერა თითის ჩამოსადები ადგილი და უთხრა: „თუ მართალს ამბობ გადარჩები, თუ არადა გადაიჩეხებიო“. ბეთქილიც გარკვეული ხნის წვალების შემდეგ მოწყდა და გადაიჩეხა“ (მთხრობელი, ვ. ფილფანი, ლენჯერი, ივლისი, 2015. ლევანი (ბუღვია) გუჯეჯიანი, მულახი, ჭოლაში, 1997).

დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ლეგენდა-თქმულებებით ზრდიდნენ ადამიანში, თუ როგორ უნდა გადაერჩინა თავი პიროვნებას მონადირედ გახდომის შემთხვევაში

ქალღმერთისაგან, მასთან საღვთო ქორწინება, იეროგამიისაგან (მ. ზურაშვილი, 2008, გვ. 337). რომ ქალღმერთის რჩეულობას საკუთარი მეუღლის ერთგულება უნდა ერჩივნოს: „შენ ოჯახში შენი მეუღლე ქალია ოჯახის მაძლიერებელი“ (გ. გაბულდანი, მესტია, 2015).

„სამართლიანი ჩვეულებითი სამართალი“ და აღზრდის მსოფლხედვა: სამართლიანობა კანონია სვანურ ჩვეულებით სამართალში, ვინაიდან „გულიდან მომდინარეა, ცხოვრების წესია. მთაში სამართლიანობის დაცვას ბუნებაც გკარნახობს. უსამართლობას იგი არ გაპატიებს“ (მთხრობელი, დ. კაკრიაშვილი, უშგული, 2003). „ცოტა მკაცრი წესები გვაქვს, მაგრამ მიუკერძოებლია სვანური სამართალი, დადგენილი წესის ზედმიწევნით დამცველია, ზნეობის, სხვისი პატივისცემის მზრდელია“; „აღნიშ-ნული მიდგომაა ერთი საფუძველი იმისა, რომ სვანეთში ძველად სისხლის აღება თავმოყვარე ოჯახისთვის ითვლებოდა სავალდებულოდ. სიხსლის აღება ვისაც ემართა იმ ოჯახის წევრების ხალხმრავალ ადგილებში გამოჩენა, მოლხენა, თამაში, ნადირობა, ან სხვა ფორმით გართობა სირცხვილი იყო. თან ისე უნდა მოქცეულიყავი სისხლის აღების ვალდებულება არ გქონოდა“ (მთხრობელები, გალაქტიონ, ჯეო და დილარ გვიჩიანები, ლატალი, 2015. ლ. კვიციანი, ზ. სუბელიანი, მესტია, ივლისი 2015).

ეთნოგრაფიული მასალით გადმოცემული ამ მსოფლმხედველობის, ქცევების დასტურია **თქმულება მირანგულაზე**: „მირანგულა არის ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელსაც მამა მოუკლეს ჩრდილოკავკასიაში, მაგრამ ამის შესახებ მან არაფერი იცის. ერთხელ სოფლის მკვიდრ ქალბატონს მხარზე გადაკიდებული ხის ვედროებით წყალი მოჰქონდა შორი მანძილიდან, მდინარის პირიდან. როდესაც სოფლის თავშესაყარ ადგილზე მოაღწია, მას შემთხვევით დაეჯახა ახალგაზრდებთან მოთამაშე მირანგულა. მანდილოსანი წაიქცა და ბუნებრივია წყალიც მთლიანად დაექცა. გამწარებულ-შეურაცხყოფილმა ვეღარ მოითმინა და უსაყვედურა მირანგულას: აქ თამაშის მაგივრად წადი და მამაშენი ისისხლე, ასეთი მაგარი თუ ხარო. შერცხვენილი მირანგულა თავდაღუნული გაეშურა სახლში და დედას სთხოვა ძუძუ მომაწოვებინეო. დედა გაოცდა ამ უცნაური თხოვნის გამო, მაგრამ იძულებული გახდა თხოვნა შეესრულებინა. მირანგულამ ძუძუზე მაგრად დააჭირა კბილი და უთხრა დედას: სანამ არ მომიყვები მამაჩემის ამბავს დაწვრილებით კბილს არ გაგიშვებო. დედა იძულებული გახდა და მოუყვა ყველაფერი მამის მკვლელობის შესახებ, რის შემდეგაც მირანგულამ გადაწყვიტა წასულიყო მამის სისხლის ასაღებად. გავიდა ხანი და მირანგულამ მიაღწია საწადელს, მამის მკვლელი მოკლა, მაგრამ თვითონაც დაჭრეს და ძლივს ცოცხლად მოაღწია სახლში. დედას სთხოვა, წადი სოფელს ახარე ეს ამბავი, თან მოიპატიჟე, თეთრი ხარი[17]დაკალი, ოღონდ დაჭრის შესახებ არაფერი უთხრა, გემრიელად ვეღარ მოილხენენ,ვითომ გზად მიმავალმა მონადირეებმა გაცნობეს ეს ყოველივე. მირანგულა კოშკში გამოიკეტა. დედა ჩუმად უზიდავდა სასმელ-საჭმელს. ოთხშაბათ დღეს კოშკში მისულს შვილი ცოცხალი აღარ დახვდა და გამწარებულმა დაიწყო დატირება“.

[17] ხარის კულტი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანიდან. მეცნიერთა ნაწილი ხარს მთვარის „ნაწილიან“ არსებად მიიჩნევს, ხარის რქებსკი მთავარის სიმბოლოებად (ჯავახიშვილი, 1979). სხვები მას უკავშირებენ სიცოცხლის ხეს. ქართულ ხალხურ წარმოდგენებში ხარის რქები და ხე იდენტური მნიშვნელობის მქონე საკრალური ობიექტებია(http://www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/cinareqristianuli_rcmena.html). რაც შეეხება თეთრ ფერს, ჩვენი აზრისთ აქაც სინკრეტია, ვინაიდან თეთრი სინათლის ფერია დაუმანკოების, ჭეშმარიტების, უბიწოების და ღვთიურობის სიმბოლოა. სახარებაში თეთრის სპეტაკისფერადაა წარმოდგენილი, სადაც სიმბოლურად ღვთაებრივი ნათებაა გამოსახული. თეთრი ფერის მოყვარული ადამიანი არის გულწრფელი, გაწონასწორებული, კეთილი და მორჩილია“ (http://www.perla.ge/index.php?do=fullmod/product&id=23&mid=49)

„გაზატების“ სურვილის უარყოფის აღზრდა და მისი უარყოფა: ცნობილია, რომ ნებისმიერ სოციუმს შიგნით არსებულ დამოკიდებულებათა სახით ახასიათებდა, ახასიათებს ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულების საფუძველზე აღმოცენებული კავშირები, რომ სოციუმის ცხოვრების წესი განპირობებულია სოციალურ-კულტურულ-ეკონომიკური ერთობით, რომ პიროვნებათშორისი და ფენებს შორის დამოკიდებულებანი ცხოვრებისეული კავშირების სუბიექტური ასახვაა. ფაქტია ისიც, რომ ყველას სურვილია ჰქონდეს სიმართლე-თანასწორობაზე აგებული ურთიერთობა. მთის ბუნებას შეზრდილი ყველა სოციუმი, გვარი მით უფრო ცდილობდა თანასწორობის შენარჩუნებას. აღნიშნული მატადაა საგრძნობი მთაში.

აღნიშნულის დასტურია **დადეშქელიანების, რიჩგვიანების, ნიჟარაძეების, ყიფიანების** და სხვათა გაბატონების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ამსახველი სვანური ეთნოგრაფიული მასალები. თავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილის აღზრდის მაგალითად გამოგვადგება თქმულება „**ვიცბილ-მაცბილი**“: „ბალსქვემო ბეჩოში ბატონობდნენ დადეშქელიანები. მათ იმდენად ჰყავდათ შეწუხებული ყველა, რომ ატანა შეუძლებელი იყო და ხალხმა გადაწყვიტა სამაგიეროს გადაეხადა. აირჩიეს ძმები ვიცბილი და მაცბილი, რომლებსაც წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით უნდა ემოქმედათ. ძმებს სამი წელი დასჭირდათ მოსამზადებლად და დაჰყვეს ტყეში. მათ ტყვია-წამალი და სურსათ-სანოვაგე ჩუმად აზიდეს კოშკში და გამოიკეტნენ. ძმებმა მოახერხეს და მოსავლის გარეშე დატოვეს ბატონები.ბატონებმა, რომელთაც შიმშილით ლამის სული ამოხდათასეთ ხერხს მიმართეს: ღამ-ღამობით ჩუმად ვიცბილ-მაცბილის კოშკს საძირკევლი გამოაცალეს და ფიჭვის კუნძები შეუყენეს. ერთხელაც წაუკიდეს ცეცხლი და კუნძები რომ ფერფლად იქცა, კოშკმა ნელ-ნელა წაქცევა დაიწყო. მახვშისორთმან დადეშქელიანი კოშკიდან საკმაოდ მოშორებულ ერთ-ერთი სახლის აივანზე გადმოდგა და გახარებულმა ნიშნის მოგებით ხარხარი დაიწყო. ამ დროს ერთ-ერთმა ძმამ სიშორიდან ბატონს თოფით ჩაუნგრია გული. კოშკი წაიქცა, ძმები დაიღუპნენ, მაგრამ ბატონებსაც მოუკლეს მახვში და ხალხმა თავისუფლებისათვის თავგანწირული ძმები გმირებად აღიარა“ (მთხრობელი. ვ. ფილფანი, ლენჯერი, ივლისი, 2015).

ზნე-ხასიათის წვრთნა ქართული ტრადიციული აღზრდის მეთოდების უმთავრესი მახასიათებელი იყო, უნდა იყოს დღესაც. თანამედროვე ცივილიზაციის, კულტურათა მრავლფეროვნებისა და გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია აღზრდის ძველი ქართული წესების აწმყოში გადმოტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე გამოვიყენეთ შეიძლება ბევრთათვის უკვე ცნობილი მასალა[18], თუმცა შევეცადეთ იგი განგვეხილა ზნეობრივ-მენტალური მდგომარეობის მნიშვნელობის, აღმზრდელობით-შემეცნებითი ღირებულების კუთხით.

ჩვენი ეთნოლოგის დასკვნა: ლეგენდა-თქმულებები აღზრდის ის მეთოდი, ნაწილი იყო, რომლითაც ვითარდებოდა ინტელექტუალური უნარები: ადეკვატური აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, წარმოსახვა, ნებისყოფა, საზრიანობა, მოხერხებული ქმედებების უნარი და მართვის ორიენტირები. იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვი საჭიროებს თავის ფიზიკურ-გონებრივი სიმწიფის შესაბამის დაცვა-ზრუნვას,

[18]მაგალითად თქმულება ბეთქილზე (ეთნოგრაფიული კვლევა იმადაცაა ღირებული, რომ ყველა ახალი და ამ ჯერზე ჩვენ მიერ მოპოვებული მასალაც განსხვავებულია - დ. შავიანიძე [http://www.ireporter.ge/svanuri-khalkhuri-thqmuleba/]) განხილულია გარე ბუნებასთან/არაეგზოგამიურ სივრცესთან მონადირის, ბეთქილის, საერთგულო და ტაბუდასადები საღვთო მიჯნურობით დაახლოების კუთხით.

აუცილებლად მიგვაჩნია ოჯახის, სკოლისა დასაზოგადოების ერთობლივი ჩართულობა, რათა ააშენოს ბავშვის სოციალიზაციის და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ბაზა. ასაკსა და სქესზე ორიენტირებული საოჯახო-არაფორმალური და სასკოლო მოღვაწეობის მიზანი მომავალშიც უნდა იყოს პიროვნების, უფლისმიერი სიყვარულის, პატივისცემის აღზრდა, რომ გაგრძელდეს ტრადიციული საოჯახო ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობები[19], თვისება-მახასიათებელები, მოწესრიგდეს სოციალური ურთიერთობები, ეტიკეტი. ეთნიკურის შესაბამისი მიმართულებით წავიდეს პიროვნებათა ფსიქოლოგიის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ან აბაკელია - ნ აბაკელია, მითისა და რიტუალის მიმართებისათვის, „ენა და კულტურა“ N2, 2001
2. მ. ზურაშვილი - წმინდა გიორგი და სვანურისამონადირეო მითოსი, სვანეთი ქართული კულტურის სავანე, რედაქტორი, ვ. სილოგავა, 2008
3. მალინოვსკი - B. Malinowski, Myth in Primitive Pssychology, 1926
4. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, 2010
5. დ. შავიანიძე - სვანთა წეს-ტრადიციების ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ (ლაშხეთის თემის ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), აწსუ, პედაგოგიური ფაკულტეტის V საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომები 2014
6. ივ. ჯავახიშვილი - თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, 1979
7. http://www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/cinareqristianuli_rcmena.html
8. http://www.perla.ge/index.php?do=fullmod/product&id=23&mid=49

Davit Shavianidze
Akaki Tsereteli State University

The World Vision about Upbringing Set out in Legends (According the New Ethnographic Materials of Svaneti)

Abstract

In conditions of globalization, modern civilization, and cultural diversity, it is necessary to checkout and use in present Georgian old upbringing traditions. The legends were the great part of upbringing method in development of intellectual skills:adequate perception, memory, attention, imagination, willpower, intelligence,the ability of acting and orientate conveniently. Due to the fact that a child needs the protection and care of his physical and mental maturity we consider it necessary the joint involvement of Family, school and society to build a child's socialization and civic awareness base. The main goal of family and non-formal schooling oriented on age and sex in future will continue with God's love and respect, to continue traditional Family Property-rights relations, feature-characteristics[20], to regulate social relationships, etiquette, ultimately ethnic psychology[21].

---

[19] **ეთნოგრაფიული მასალა**:„თუ ქალს სულ გოგოები ჰყავს რას ეტყვიან? ცუდს არაფერს, ქალი რა შუაშია? შვილებს შორის განაწილებაც თანაბრადაა, ქალსაც ხვდება წილი, მზითვის სახით. თუ სახლში რჩება გაუთხოვრად, მაშინ ყველაფრის უფლება აქვს. -ჩვენთან საგინებელი სიტყვა არ არის, ქალს ისეთ პატივს სცემენ დედას სვანები სვანურად ვერ იგინებიან. ქალის საქმე იყო ოჯახის მართვა-ძლიერება, შვილების აღზრდა. ქალი მონაწილეობას იღებდა ყველაფერში და ითვალისწინებდნენ მის აზრს, აბა. კაცი ვისაც არ ჰყავდა ოჯახში, მოუკვდებოდა, მაშინ ქალი იღებდა გადაწყვეტილებას კაცის მაგივრადაც. იყვნენ ისეთი ქალებიც, რო, აი, მაგალითად ბებიაჩემი, ნიჟარაძე იყო და იყო მახვში(რ. ხორგუანი, ბეჩო, ივნისი, 2015).

[20] Ethnographic material: “If a woman has only girls what she will be told? Nothing bad, it's not woman's fault ' Children are equally distributed;woman gets a share too, in the form of a dowry.If she remains single,then she has a right. For everything we have no terms of abuse,A woman is respected so greatly that Svans never swearing one's mother. The woman was a family-driving power, bringing up children.She took part in everything and was taken into account her opinion. In the family man where the man died the woman was makingdecisions instead of man.There were some women, my granny for instance; Nizharadze by the surname was maxvshi(R. Khorguani, becho, June, 2015).

საკვანძო სიტყვა: საოჯახო-არაფორმალური აღზრდა, სასკოლო აღზრდა, ასაკსა და სქესზე ორიენტირებული აღზრდა, ტრადიციული აღზრდა, ლეგენდა-თქმულებები და ინტელექტუალური უნარები.
Keywords: Family-informal education, school education, upbringing oriented on age and sex, traditional upbringing, legend-tales and intellectual skills.

Hakan BEKTAŞ
Iakob Gogebashvili Telavi State University
Fahri SEZER
Balikesir University, Turkey

Examination of Relations between Lifestyles and Loneliness Levels of Parents Having Disabled Child

INTRODUCTION

When people are not accepted and loved by those around and cannot establish relation with goings-on around them, this situation causes occurrence of loneliness emotions. It is stated that close relations or not being able to develop interpersonal relations automatically causes occurrence of loneliness (Santrock, 1993). When people do not have any sincere environment in which they can be safe or have problem in establishing relation, they start to feel alone. Alone people may have mainly problems depending on psychiatric situations. These problems may cause disorders in cognitive, functional and motor skill and abilities and stress in company with it (Softa, Öztürk, Dindaş&Göçmen, 2015). Notwithstanding, it is more likely that individuals develop social relations within a social system in which they believe that they are loved and protected (Lepore, Evans&Schneider, 1991). This brings to mind that social support elements will facilitate that lonely individuals will overcome this problem.

Individuals should have some personal characteristicsso that they can socially interact with people around them. Place of lifestyles adopted by individual is important among these personal characteristics. However; it cannot be said that adopted lifestyles will always have positive effects. According to Ellis (1973), even if individuals are inclined towards positive behavior such as being happy, developing themselves and evaluating themselves realistically, they have sometimes negative emotions by accusing themselves. These conflicting emotions of the individuals affect shape of their lifestyles, perception way of life and loneliness levels.

Lifestyles affect relations of the individuals and therefore their loneliness, parents having a disabled child also causes shape of their social relations. Emotions due to having a disabled child may cause loneliness in parents and occurrence of behaviors of abstracting themselves from society. Variable such as economic difficulties encountered by families, changing roles of family members, tensions in marriage relations, decrease in participation into social activities, attitude of society towards an individualwith mental disabilities increase stress felt by families (Bilal &Dağ, 2005; Küçüker, 2001).

[21] See for discussion D. Shavianidze:Customs and traditions of the psychological underpinnings of Svans (According new ethnographic materials of Lashkheti community),Scientific-methodological V International Conference works 2014. AkakiTsereteli State University of Pedagogical Faculty.

Having disabled child causing these problems and lifestyles adopted by the parents living with their child has effect whether they will be able to overcome these problems or not. An individual behaves accordingly with one of control-oriented, perfection-oriented, appreciation-oriented, self-respect-oriented and expectation-oriented lifestyles while continuing his/her individual life (Kern&Cummins, 1996). These lifestyles also affect shaping of behaviors in social life. Accordingly, it was stated that value judgments, intellectual capabilities, perceptual reactions, dreams, food, sleeping and sexual behavior habits, developed purposes and opinions on world of an individual were formed according to lifestyles (Adler, akt; Özpolat, 2011).

Lifestyle is not only a part of personality structure of the individual. Lifestyle is all individual-special expressions consisting of his/her walking, tone of voice, opinions, emotions and behaviors (Power and Griffith, 1996). Relation of lifestyle fact having these effects with different situations was emphasized in many researches. It was observed in some of these researches thatlifestyles are related with aggression, socialization and exposure to domestic violence (Vilhauer, 2003), food habits and problems (Belangee, 2004), leadership characteristics (Frey, Kern&Snow, Curlette, 2009) and whether an individual will feel belonging to any group or not (Meşe, 1999).

In the light of all these data, these researches show that families having disabled child have some loneliness emotions. This situation difficult to be accepted within family may be also difficult to be accepted by society. These problems may cause that parents have many psychological problems and become lonely in company with them. In this study, relations between lifestyles of parents having disabled child and their loneliness levels were examined.

METHOD

Sample

There are 278 parents in sample group of the study in total, 266 (95.7%) of them having disabled child on any area are female and 12 (4.3%) are male (SD=.21). 36(12.9%) of the individuals withinthe sample group vary between ages of 20-29, 122 (43.9%) of the individuals between ages of 30-39, 106 (38.1%) of the individuals between ages of 40-49 and 14 of the individuals between (5%) ages of 50-59 (SD=.77). 266 (95.7%) of the individuals are married and 12 are (4.3%) are divorced (SD=.20). 253 (91%) of the individuals within the sample group stated their occupations as housewife, 17 (6.1%) as officer and 8 (2.9%) as worker (SD=.40). In the study, typical state sample method that is among purposeful sample methods was used.

Data Collection Tools

UCLA Loneliness Scale (ULS), which was developed by Russel, Peplau andFergison (1978), was used to evaluate loneliness situations. Turkish adaptation studies of the scale were made by Demir (1989). Four Likert-type scale consists of 20 articles. Individuals having score of 44 and above this figure were determined as “alone” as a result of evaluation (Demir, 1989). Cronbach's alpha value of the scale that wascalculated for this study was determined as .71.

Lifestyles inventory that was developed by Kern and Cummins (1996) was used to determine lifestyles of parents within the sample group. Turkish adaptation of the scale was made by Özpolat (2011).Scale consisting of five sub-dimensions (Control, Perfection, Appreciation, Self-respect and Expectation) score between 1-5, and highest score that can be obtained from each sub-dimension varies between 5 and 25 (Özpolat, 2011). Reliability co-efficient of the scale used in this study was determined as .79.

Processing and Data Analysis

Individuals within research sample consist of parents having children who need special education. Data collection scales were applied in parallel with volunteering principle for the individuals applying to counseling and research center for identification process of special education of their children. Descriptive analysis (average and standard deviation) was made in determination of demographic characteristics of the individuals within the sample group. Correlation analysis was made to determine whether there is relation between loneliness levels and psychological symptoms or not, and multiple linear regression analysis (stepwise method) was made to determine which of the psychological symptoms are predicted by loneliness level.

FINDINGS

Loneliness levels and lifestyles of the individuals within study group were determined with Likert scales. Descriptive analysis results of data obtained from the scales are given in Table 1.

Table 1. *Descriptive Analysis Results*

	N	Mean	SD	Skewness	Kurtosis
Control-oriented lifestyle	278	14.26	3.57	.281	-.102
Perfection-oriented lifestyle	278	17.99	3.55	-.115	-.116
Appreciation-oriented lifestyle	278	18.46	5.94	4.93	32.52
Self-respect-oriented lifestyle	278	16.12	2.99	.000	-.192
Expectation-oriented lifestyle	278	15.59	3.35	-.055	.114
Loneliness	278	52.17	6.85	-1.214	2.165

The results showed that the individuals adopted appreciation-oriented lifestyle (M= 5.94) at the most, perfection-oriented lifestyle ranks number two (M=3.55), and self-respect-oriented lifestyle ranks number three (M=2.99). It was determined that lowest lifestyle is control-oriented lifestyle (M= 3.57). It was stated that loneliness levels (M= 52.17) of the individuals are at high level.

Correlation Analysis

Correlation analysis was made to determine whether there is relation between loneliness levels and lifestyles of the individuals (Control, Perfection, Appreciation, Self-respect and Expectation)or not. Analysis results are given in Table 2.

Table 2: *Correlation Analysis Results*

	Control-oriented	Perfection-oriented	Appreciation-oriented	Self-respect-oriented	Expectation-oriented
Loneliness	.092	.080	-.264**	.218**	.156**
Control-oriented lifestyle		.439**	.342**	.616**	.627**
Perfection-oriented lifestyle			.422**	.477**	.474**
Appreciation-oriented lifestyle				.387**	.346**
Self-respect-oriented lifestyle					.731**

**Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed). p<.01

It was determined from correlation analysis results that loneliness and highest positive relation is Self-respect-oriented lifestyle(r=.22), Expectation-oriented(r=.16) ranks number two and Control-oriented (r=.09) ranks number three.

It was determined that there is a positive relation between all sub-dimensions of lifestyles. It was determined that there is no autocorrelation between independent variables, and all independent variables are related with dependent variable. It was determined consequently that there is a relation between loneliness level and lifestyles.

Regression Analysis Results

Stepwise method was used to determine which lifestyles of the individuals predicted loneliness level to test hypothesis of the research, and multiple linear regression analysis was made. Results are given in Table 3.

Analysis results show that background variables explained a variance of about 14% in loneliness level (marital status, gender, age). Appreciation- lifestyle dimension makes contribution of 9% on background variables and self-respect lifestyle dimension makes contribution of 7%. The entire model explains a variance of 31% in loneliness.

Table 3. *Regression Analysis Results*

	Variables	B	Std. Error	B	t	p
Step 1	**Constant**	60.613	2.089		29.009	.000
	Marital status	-8.098	1.966	-.241	-4.119	.000
	R=.241	R^2 =.058	ΔR^2=.055	$F_{(1, 277)}$ =12.967*		
	Constant	69.109	2.863		24.141	.000

Step 2	**Marital status**	-8.477	1.911	-.252	-4.435	.000
	Gender	-7.739	1.840	-.239	-4.207	.000
	R=.339	R^2 =.115	ΔR^2=.108	$F_{(2.\ 277)}$ =17.845*		
Step 3	**Constant**	67.867	2.848		23.826	.000
	Marital status	-9.621	1.919	-.286	-5.014	.000
	Gender	-9.006	1.858	-.278	-4.847	.000
	Age	1.599	.520	.179	3.078	.002
	R=.380	R^2 =.144	ΔR^2=.135	$F_{(3.\ 277)}$ =15.421*		
Step 4	**Constant**	75.350	3.008		25.048	.000
	Marital status	-10.086	1.821	-.300	-5.539	.000
	Gender	-9.840	1.768	-.304	-5.566	.000
	Age	1.714	.493	.192	3.477	.001
	Appreciation- lifestyle	-.347	.061	-.300	-5.645	.000
	R=.484	R^2 =.234	ΔR^2=.223	$F_{(4.\ 277)}$ =20.834*		
Step 5	**Constant**	65.161	3.458		18.843	.000
	Marital status	-9.051	1.748	-.269	-5.177	.000
	Gender	-8.195	1.715	-.253	-4.778	.000
	Age	1.130	.483	.127	2.338	.020
	Appreciation lifestyle	-.474	.063	-.411	-7.482	.000
	Self-respect lifestyle	.689	.131	.301	5.282	.000
	R=.552	R^2 =.305	ΔR^2=.292	$F_{(5.\ 277)}$ =23.890*		

*p<.01; **p<.05;DependentVariable: UCLA Loneliness Scale

Stepwise regression analysis was made to determine variable that predicted the loneliness level in the best way. The results stated that best predictor variable is appreciation- lifestyle(*ß*=.41, *p*<.01), and it is followed by self-respect lifestyle(*ß*=.30, *p*<.01) variable. It was determined that marital status (*ß*=-.27, *p*<.01), gender (*ß*=-.25, *p*<.015) and age(*ß*=.13, *p*<.05) that are among background variables made significant contribution to variance.

DISCUSSION AND CONCLUSION

Primary objective of this research is to examine at which level lifestyles of parents with disabled children predicted their loneliness levels. At first, it was examined which lifestyle was adopted by the parents with disabled children at the most. Analysis results showed that the individuals adopted appreciation-oriented lifestyle at the most, and perfection-oriented lifestyle ranks number two and self-respect lifestyle ranks number three respectively. It was determined that lowest lifestyle is control-oriented lifestyle. It was determined that loneliness levels of the individuals are very above average. When appreciation-oriented individuals who are oversensitive against people around them in their lives, avoid hurting or offending someone which whom they communicate, who are defined as friendly, social, frank, and faithful (Kern&Cummins, 1996) have a disabled child, this may cause that they feel alone much more due to negative evaluation of people around against them.

Results of correlation analysis which was made determined that loneliness and highest positive relation is Self-respect-oriented lifestyle, expectation-oriented lifestyle ranks number two and control-oriented lifestyle ranks number three. It was determined that there is a positive relation between all sub-dimensions of lifestyles. It was determined that there is no autocorrelation between independent variables, and all independent variables are related with dependent variable. It was determined consequently that there is a relation between loneliness level and lifestyles. The fact that behaviors of individuals having self-respect oriented lifestyle cannot be predicted in advance, they have mainly negative perspective in their lives, they are empty of courage against life, and they cannot explain their own ideas (Kern&Cummins, 1996) may cause that they feel much more alone.

It was determined that expectation-oriented lifestyle of individuals who are hardworking, competitive, ambitious in their lives, make effort to reach personal objectives, and constitute expectations relating to their lives in parallel with these objectivesis the best variable predicting loneliness. This is followed by self-respect oriented lifestyle of the individuals whose behaviors

cannot be predicted in advance, who have mainly negative perspective in their lives, are empty of courage against life, and who cannot explain their own ideas.

In addition to this, it was determined that marital status, gender and age affect loneliness. In other words, gender and being divorced or not being divorced predicts lifestyle. Consequently, it was determined that lifestyle adopted by them, whether they are divorced or not, their genders and ages has an impact on increase of loneliness levels of the parents having disabled child.

References

1. Belangee, S. E. (2004). A theoretical and empiricalinvestigation of individual psychology and eating disorders. DissertationAbstracts International, 64(10), 523-525, 5245B. (UMl No. 3110104).
2. Bilal, Emek, and İhsan Dağ. "Eğitilebilir zihinsel engelli olan ve olmayan çocukların annelerinde stres, stresle başa çıkma ve kontrol odağının karşılaştırılması." *Çocuk ve Gençlik Ruh Sağlığı Dergisi*12.2 (2005): 56-68.
3. Demir, A. (1989). Validityandreliability of the UCLA lonelinessscale. *TurkishJournal of Psychology*, 7, 14–18.
4. Ellis, A. (1973).Rationa-emotivetherapy. Currentpsychotherapies. Illinois: Ed. R. CorsiniItiasca.
5. Frey M.,Kern R., Snow J. andCurlette W. (2009). Lifestyleandtransformation al leadershipstyle, TheJournal of IndividualPsychology, 65(3), 212-240.
6. Kern, R. M.,&Cummins, C. C. (1996). Kern life stylescaleinterpretationmanual. Georgia: CMTI Press.
7. Kern, R. (2008).LifestyleAssessment on TendernessandAggression, International Congress of IndividualPsychologyAugust 3, Vilnius Lithuania.
8. Küçüker, S. (2001). Erken eğitimin gelişimsel geriliği olan çocukların anne-babalarının stres ve depresyon düzeyleri üzerindeki etkisinin incelenmesi. *Özel Eğitim Dergisi*, 3(1), 1-11.
9. Lepore, S.J.,Evans, G.W. &Schneider, M.L. (1991). Dynamic role of social support in the link between chro -nic stress and psychological distress. Journal of Personalityand Social Psychology, 61(6), 899-909.
10. Meşe, G. (1999) Sosyal kimlik ve yaşam stilleri, Yayımlanmamış Doktora Tezi,Ege Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü, İzmir.
11. Özpolat, A.R. (2011). Üniversite Öğrencilerinin Yaşam Stillerinin Yordayıcılarının İncelenmesi, yayımlanmamış doktora tezi, Atatürk Üniversitesi, Eğitim Bilimleri Enstitüsü, Erzurum.
12. Powers, R. I. and Griffith, J. J (1987).Understanding life-style, TheAmericanInstitute of AdlerianStudies, Chicago.
13. Ross AO. (1975) FamilyProbiems. TheExceptional Child: A FunctionalApproachEd R Smith and I Neisvvorth. NewYork, McGrawHill .
14. Softa, H. K., Öztürk, A., Dindaş, İ., & Göçmen, M. (2015). Kastamonu 1no'lu aile sağlığı merkezine başvuran yaşlıların yalnızlık düzeyini etkileyen bazı faktörlerin incelenmesi. *Yaşlı Sorunları Araştırma Dergisi*, *8*(2), 88-97.
15. Santrock, J. W. (1999). *Life-Span Development*. Brown andBenmarckPub. Wisconsin.
16. Vilhauer, J. S. (2003). A theoreticalbatterertypologywithinAdler's model of personalitydevelopment. DissertationAbstracts International,64(03),151 OB. (UMl No. 3084917

ჰაქან ბექთაშ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაჰრი სეზერ

ბალიკეშირის უნივერსიტეტი, თურქეთი

უნარშეზღუდული ბავშვების მშობელთა ცხოვრების სტილისა და მარტოობიის დონის კავშირის კვლევა

რეზიუმე

სტატიაში ასახულია მშობლების ცხოვრების სტილისა და მარტოობის კავშირი, რომლებმაც მიმართეს კონსულტაციისა და კვლევის ცენტრს თავიანთი უნარშეზღუდული ბავშვების შესამოწმებლად. კვლევის ჯგუფი შედგებოდა 278 მშობლისაგან, მათგან 266 (95.7%) ყავდა უნარშეზღუდული მდედრობითი სქესის ბავშვი, ხოლო 12 (4.3%) იყო მამრობითი სქესის. გამოყენებულ იქნა მარტოობის UCLA შკალა, რათა განგვესაზღვრა მშობლების მარტოობის დონეები. ასევე გავაანალიზეთ მათი ცხოვრების სტილი. მონაცემთა ანალიზისათვის მივმართეთ თანდათანობითი

რეგრესისა და კორელაციის მეთოდს. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ იმ მშობლების ცხოვრების სტილი, რომლებსაც ყავდათ უნარშეზღუდული ბავშვი განაპირობებდა მათი მარტოობის დონეს.

Hakan BEKTAŞ
Iakob Gogebashvili Telavi State University
Fahri SEZER
Balikesir University, Turkey

Examination of Relations between Lifestyles and Loneliness Levels of Parents Having Disabled Child

Abstract

In this study, relations between loneliness levels and lifestyles of the parents who applied to counseling and research center for examination of their disabled children were examined. Sample group of the study consists of 278 parents in total, 266 of them(95.7%) having disabled child on any area are female, and 12 are male (4.3%). UCLA Loneliness Scale was used to determine loneliness levels of the parents, and Lifestyles inventory was used to determine their lifestyles. Gradual regression and correlation analyses were used in analysis of data. It was determined as a result of the analysis that lifestyles of the parents having disabled child predicted their loneliness levels considerably.

საკვანძო სიტყვები: უნარშეზღუდულობა, მარტოობა, ცხოვრების სტილი.
Keywords: Disability, loneliness, lifestyle.

ჰამლეტ რაზმაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოზარდი ასაკის კვალიფიციური სპორტსმენების შეჯიბრებისათვის მომზადების თავისებურებანი

იმისათვის, რომ მოზარდი ასაკის კვალიფიციური სპორტსმენების შეჯიბრისათვის მომზადების დონის ამაღლება და სპორტულ ფორმაში შესვლის ფაზა დაემთხვეს ასპარეზობის პერიოდს, საჭიროა მიმდინარეობდეს დაკვირვება სპორტსმენებზე მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში. ასეთი დაკვირვება გამოვიყენეთ თელავის მოსწავლე მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრებზე. დაკვირვებები ტარდებოდა სამი წლის განმავლობაში დაწყებული მოსამზადებელი პერიოდიდან და დამთავრებული საქართველოს პირველობებით. ნაკრები გუნდის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა თელავის რაიონის მოსწავლეები. ნაკრებს ყავდა ასაკით გათვალისწინებული მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენები; გუნდში ხშირად ტარდებოდა შეჯიბრებები ყველა სპორტსმენის სავალდებულო მონაწილეობით.

როგორც ჩვენმა დაკვირვებებმა გვიჩვენეს, ნაკრები გუნდის წევრთა გულისცემის სიხშირე მოსვენებულ მდგომარეობაში შეკრებაზე და თელავში ყოფნისას საშეჯიბრო პერიოდში მნიშვ ნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ დუშეთში (შეკ რების ადგილი) სპორტსმენთა გულისცემის სიხშირე საშუალოდ 80 დარტყმაა წუთში, თელავში კი – 70. ეს სხვაობა ორი მიზეზით უნ და იყოს გამოწვეული: 1. დუშეთში მიღებული მონაცემები შეეფარ დება სპორტსმენთა მოსამზადებელ პერიოდს. დუშეთი თელავთან შედარებით ზღვის დონიდან 410 მეტრით მაღლა მდებარეობს, რაც გავლენას ახდენს სპორტსმენის ორგანიზმზე. მეორე მიზეზი, ჩვენის აზრით მხედველობაში ნაკლებადაა მისაღები, რადგან დაკვირვებები ჩატარებული იყო სპორტსმენების დუშეთში ჩასვლიდან მე-5 დღეს როდესაც ფაქტიურად აკლიმატიზაციის პროცესი უკვე დამთავრებული იყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დუშეთში სპორტსმენთა შორის გულისცემის სიხშირე მერყეობდა 60-95 დარ ტყმის ფარგლებში, თელავში კი 60-75-ის ფარგლებში. ზემო აღნიშნული განსხვავება უფრო მკვეთრად ჩანს იგივე ასპორტსმენების გულის ცემის სიხშირის რეგისტრაციისას ინტენსიური საწვრთნელი მეცადინეობის შედეგად. ასე მაგალითად: თუ მოსვენებულ მდგო მარეობაში დუშეთში ცალკეულ სპორტსმენთა შორის გულის ცემის სიხშირე 30 დარტყმის ფარგლებში მერყეობდა ფიზიკური ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ეს მერყეობა გაიზარდა 70-მდე, ანუ მოსვენებულ მდგომარეობასთან შედარებით 206 %-ით. თელავის პირობებში კი გულის ცემის სიხშირის მერყეობა უდრიდა 25 დარტყმას ანუ ამ შემთხვევაში,

მოსვენებულ მდგომარეობასთან შედარებით, სპორ-ტსმენთა შორის გულისცემის სიხშირის მერყეობა გაიზარდა 160%-ით.

გულისცემის სიხშირის ცვლილების მსგავსი ხასიათი აქვს ამავე სპორტსმენის სუნთქვის სიხშირის ცვლილებასაც. აღნიშნული მონაცემები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ იდენტური ფიზიკური დატვირთვების შედეგად სპორტსმენებს შორის არსებული გულის ცემის სიხშირეთა განსხვავება თანდათანობით ნიველირდება.

საწვრთნელი ვარჯიშების ორგანიზმზე დადებით ზემოქმედებაზე მეტყველებს აგრეთვე პნევმოტაქომეტრული მაჩვენებლებიც. ეს მაჩ-ვენებლები სისტემატური ვარჯიშის შედეგად განიცდის გაუმ ჯობესებას.

ფიზიკური ვარჯიშის შედეგად ცვლილებას განიცდის სისხლში ჰემოგლობინის პროცენტული შემცველობა, რომელიც მოსვენებულ მდგომარეობაში საშუალოდ უდრიდა 14 %. საკონტროლო ვარჯიშების და ჩატარებული შეჯიბრებების შედეგად გაიზარდა 17 %-მდე, რაც მიგვანიშნებდა სპორტსმენთა ორგანიზმში სისხლმბადი ორგანოების ფუნქციის ამაღლებაზე და დეპონირებული სისხლის გამოსვლაზე ცირკულაციის სისტემაში.

არტერიული სისხლის წნევის საშუალო მნიშვნელობები სპორტსმენთა მოსვენებულ მდგომარეობასა და საკონტროლო ვარჯიშის შემდეგ მოსვენებულ მდგომარეობასთან შედარებით დაქვეითების ტენდენცია ახასიათებს.

სპორტსმენთა ფიზიკური მაჩვენებლები გამოიყურება შემდეგნაირად: მარჯვენა და მარცხენა ხელის მაქსიმალური ძალის საშუალო მაჩვენებლები მოსვენებულ მდგომარეობასა და საკონტროლო ჭიდაობის დამთავრების შემდეგ პრაქტიკულად ერთნაირია. სხვაგვარად გამოიყურება წელის კუნთების ძალის მაჩვენებლები. საკონტროლო ვარჯიშის შემდეგ, საშუალო მონაცემებით, წელის კუნთების ძალა გაიზარდა მოსვენებული მდგომარეობის მაჩვენებელთან შედარებით 30 კგ-ით.

სპორტსმენებზე დაკვირვებები ტარდებოდა ასევე შეჯიბრების დაწყებამდე ჯერ 30 დღით, შემდეგ კი ერთი კვირით ადრე. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ფუნქციური ძვრები (პულსი, სუნთქვა, არტერიული წნევა) და სხვა პირობებში ანალოგიური დატვირთვის შემთხვევაში განიცდიდა თანდათანობით კლებას, ხოლო ფიზიკური მახასიათებლები (ხელისა და წელის კუნთების ძალა) – გაუმჯობესებას. ამრიგად, ორივე შემთხვევაში ადგილი გვაქვს ფუნქციური და ფიზიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან.

ჩვენი დაკვირვებებიდან გამოირკვა, რეომ სპორტსმენთა ორგანიზმში დაღლის გამომჟღავნების საუკეთესო სურათს იძლევა პნევმოტაქომეტრული მონაცემები, რომელიც ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა დაღლის ფაქტორის პირველივე სტადიაში დაფიქსირებისათვის.

საწვრთნელ პერიოდში რეგისტრირებული ფიზიკური მაჩვე-ნებლების შედარებისას გამოირკვა, რომ ხელისა და წელის ძალა. პროგრესულად იზრდებოდა სპორტსმენთა გაწვრთნილობასთან ერ თად. სპორტულ ფორმაში ყოფნის განსაზღვრა ეფექტურად შეიძლება სტატიკური და სპეციალური გამძლეობის მაჩვენებლებით. ამან სა-შუალება მოგვცა მივსულიყავით დასკვნამდე, რომ საკონტროლო ჭიდაობებს შორის, რეაბილიტაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მოჭიდავეებს სჭირდებოდათ კომპლექ სური ღონისძიებების ჩატარება. ამ მიზნით

კარგ საშუალებას ჩვენს მიერ აყვანილი ყველა ცდისპირისათვის წარმოადგენდა სპორტული მასაჟი.

სპორტსმენებზე სისტემატური, მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დეტალურად იქნა შესწავლილი მათი ინდივიდუალური თავისებურებანი, რომლებიც იძლევა საფუძველს სპორტსმენებისათვის ზოგადი და ინდივიდუალური დატვირთვის სასწავლო-საწვრთნო გეგ მის შედგენისათვის და ამასთან ერთად პედაგოგიურ მწვრთნელთა საბჭოზე დამტკიცებული გეგმის კორექციისათვის.

ზემოთ მოყვანილი დაკვირვებიდან და ჩატარებული ექსპერიმენტიდან გამომდინარე მივედით შემდეგ დასკვნამდე: ოთხწლიანი საწვრთნელი ციკლის დროს ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი რეკომენდაციის შედეგად სამჯერ იქნა გაგრძელებული (მაქსიმუმ ორ კვირამდე) საწვრთნელი ციკლის ძირითადი პერიოდის ხანგრძლივობა. ჩვენი რეკომენდაციით ცვლილებები იქნა შეტანილი აგრეთვე კვების რეჟიმშიც. გარდა ამისა იმ სპორტსმენებს, რომლებიც შეჯიბრების დაწყებამდე ორი-სამი კვირით ადრე იმყოფებოდნენ თავიანთი შე საძლებლობების (როგორც ფუნქციური, ისე ფიზიკური მაჩვე ნებლებით) საუკეთესო ფორმაში მწვრთნელებთან შეთანხმებით პერსონალურად შეუმცირდათ დატვირთვა, ამით მათი ორგანიზმის შესაძლებლობების მაქსიმუმი „შემონახული“ იქნა შეჯიბრების დაწ ყებისათვის. ხოლო სპორტსმენთა იმ ჯგუფს, რომლებიც ჯერ კიდევ შორს იყვნენ თავისი ორგანიზმის შესაძლებლობის მაქსიმუმთან, ეზრდებოდათ კვირეული დატვირთვის მოცულობა იმის მიხედვით, თუ რომელი ფიზიკური თვისება მოითხოვდა ამას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლემონჯავა ხ.(2002). *სუნთქვისა და გულსისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი მონაცემები სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტთა მაგალითზე.* საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის შრომათა კრებული. ტომი XIX. გვ.62-65. თბილისი.
2. რაზმაძე ჰ. (თანაავტ.) – *საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის გაწვრთნილობის მაჩვენებლები სამეჯიბრო მზადების დროს.* თბილისი. 2002წ. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის შრომათა კრებული ტომი XVII, გვ.118-125.
3. რაზმაძე ჰ., ჩიტაშვილი დ., *„საშუალო მთიანეთის პირობებში აკლიმატიზაციის ზოგიერთი საკითხისათვის“.* საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის შრომათა კრებული თბილისი 1999წ. ტომი XVII, გვ.188-193.
4. ჩიტაშვილი, დ. (2005). *კარდიო-რესპირატორული და კუნთოვანი სისტემების ფუნქციონირება ფიზიკური დატვირთვების დროს* (II გამოცემა). თბილისი: მეცნიერება
5. Акимов Л. Н.- 1959. *О критерии физической нагрузки в тренировке спортсмена*. Теория и практики физической култъуры 22 (№1) 71 – 73.
6. Аруцев А. А.- 1956. *Изменение частоты сердечных сокрашений при мышечной деятелъности*. Теория и практики физической култъуры 22(№1) 930 – 933.
7. Serpa, F., Peixoto, R., Costa, E., Melicias, F. (2008). *Physiological evaluation and or model of judoka*. Power, 1-15
8. Sherwood, L. (2006). *Fundamentals of physiology: A human perspective*. Thomson Brooks/Cole.

Hamlet Razmadze
Iakob Gogebashvili Telavi State University

Peculiarities of Preparing Qualified Adolescent Sportsmen for a Competition

Abstract

The observation well revealed that in the sportsmen’s body the best effect of tiredness is shown by the pneumotachometric data that are revealed in the first stage of tiredness factor. After

systematic and many years of observation on sportsmen, their individual peculiarities were studied in details that gave us the basis to provide general and individual exercising for sportsmen while drafting teaching-training plan.

With the help of the received data training cycle was corrected, that were provided by the trainers during the training process.

საკვანძო სიტყვები: კვალიფიციური სპორტსმენები, გულისცემის სიხშირე, საწვრთნელი ვარჯიშები, ფიზიკური დატვირთვა, პნევმოტაქომეტრული მონაცემები.
Keywords: Qualified sportsmen, frequency of heart beating, training exercises, physical loading, pneumotachometric data.

მამუკა მაღლაკელიძე, ტრისტან გულბიანი, მერაბ მაისურაძე
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტური სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

სტუდენტურ სპორტს თავისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია გააჩნია, რომელიც საერთო სპორტის ისტორიის შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც ევროპასა და ამერიკაში სპორტის განვითარების მთავარ ცენტრებს სწორედ სასწავლო დაწესებულებები წარმოადგენდნენ.კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში პოპულარული იყო ისეთი სპორტის სახეობები, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, კალათბურთი, ნიჩბოსნობა, ჩოგბურთი, ბეისბოლი და ამერიკული ფეხბურთი. 1906 წელს შეიქმნა საუნივერსიტეტო სპორტის წამყვანი ორგანიზაცია, საუნივერსიტეტო სპორტის ნაციონალური ასოციაცია, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კალიფორნიის, პენსინვალიის, ჩიკაგოსა და სხვა უნივერსიტეტებში იქმნება ჰიგიენისა და ფიზიკური აღზრდის განყოფილებები და სპორტული კლუბები.ყველა უნივერსიტეტს მოწყობილი ქონდა სპორტული ბაზები, მოედნები, დარბაზები, საცურაო აუზები. იმ სტუდენტებს, რომლებსაც სპორტში წარმატებები მოქონდათ თავიანთი სასწავლებლებისთვის, უქმნიდნენ განსაკუთრებულ პირობებს, ათავისუფლებდნენ სწავლის ქირისაგან, უხდიდნენ სტიპენდიებს, აკმაყოფილებდნენ საცხოვრებელი ბინით, სასწავლო ლიტერატურით და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკაში ქვეყნის ნაკრები გუნდები უმთავრესად სტუდენტებით იყო დაკოპლექტებული. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში სპორტის კადრების მომზადების მიზნით იქმნება სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები. ინსტიტუტები, ტექნიკუმები და ფაკულტეტები პედაგოგიურ ინსტიტუტებში. საქართველოში 1932 წელს შეიქმნა ფიზიკური კულტურის სამეცნიეო-კვლევითი ინსტიტუტი, 1933 წელს იხსნება ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი, 1935

წელს ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი უნივერსიტეტში, ხოლო 1938 წელს დამოუკიდებელ ინსტიტუტად გადაკეთდა.რომელიც გამოირჩეოდა თავისი წარმატებებითა და სპორტული მიღწევებით, სამეცნიერო საქმიანობით, პროფესიონალი კადრებით, ცნობილი იყო ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ სტუდენტების სამჭედლოდ, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, არამარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საქართველოში აკრედიტებულ თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოღებული იყო ფიზიკური აღზრდა, როგორც სავალდებულო საგანი, არსებობდა სპორტული კლუბები.რაც შეეხება ქვეყნის ერთადერთ სასპორტო უმაღლეს სასწავლებელს, შემდგომში სპორტის აკადემიას, იგი განსაკუთრებული წარმატებებით გამოირჩეოდა საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს სდუდენტურ-სპორტულ მოძრაობაში. უმეტესად გვინდა შევეხოთ იმ წლებს, როდესაც პირადად გვქონდა შეხება ამ საქმიანობასთან2007 წლამდე (აკადემიის გაუქმებამდე), სპორტულ კლუბთან და კათედრებთან ერთად ვუწევდით ორგანიზებას სტუდენტურ სპორტს. აკადემიის საინფორმაციო დაფა, სასწავლო წლის ყველა დროს, მოფენილი იყო განცხადებებით, რომელიც იუწყებოდა სხვადასხვა სპორტის სახეობებში პირველობების ჩატარებას. მის სპორტულ ბაზებზე ერთდროულად ტარდებოდა შეჯიბრებები სპორტის რამდენიმე სახეობაში, რომლებიც გამოირჩეოდა თავისი ორაგნიზებულობითა და მასობრიობით. ამ ღონისძიებებში სტუდენტები დიდი ინტერესით იყვნენ ჩართული, გამარჯვებულებს გადასცემდნენ ფასიან და ფულად პრიზებს. ასპარეზობებს თვალყურს ადევნებდნენ, როგორც დამსტრე სტუდენტები დაპროფესორ-მასწავლებლები, ასევე აკადემიის ხელმძღვანელობა. კომპლექტდებოდა ნაკრები გუნდები და იწყებოდა მზადება სასწავლებლის ღირსების დასაცავად. განსაკუთრებული მასობრიობით გამოირჩეოდა სტუდენტური დღეები და უნივერსიადები. აკადემიის ნაკრები გუნდები მრავალჯერ გახდნენ საქართველოს სტუდენტური ფესტივალის გამარჯვებულები, იღებდნენ გარდამავალ თასებს, ფულადსა და ფასიან საჩუქრებს. მრავალ ასპარეზობას აკადემიის ბაზებიც მასპინძლობდა.მათგან დიდ ინტერესს ქართული ჭიდაობა იწვევდა, რომელიც უმეტესად აკადემიის ეზოში, სტუდენტების მიერ საგულდაგულოდ მოწყობილ ღია საჭიდაო არენაზე იმართებოდა, რასაც ზურნა-დუდუკი და მთავარი პრიზი, ჭედილა ამშვენებდა. ხოლო თავისი მასობრიობით კი მძლეოსნური გარბენები გამოირჩეოდა. მინდა გავიხსენო ერთი განსაკუთრებული დღე, როდესაც თბილისის სპორტის სასახლე გადაჭედილი იყო ორი მეგობარი უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებით, იმართებოდა ფინალური შეხვედრა ფრენბურთში სპორტის აკადემიისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა არნახული დაძაბულობით მიმდინარეობდა, პირველი პერიოდი აკადემიამ მოიგო, მეორე კი ს.ტ.უ-მ. მაგრამ დაძაბულობამ ორთაბრძოლაში და მაყურებლის ყიჟინაში პიკს მესამე პერიოდში მიაღწია, ამ დროს ჩემს გვერდით მაშინდელი მთავრობის ერთ-ერთი წევრი იჯდა, მან აღნიშნა, დღეს ამ სასახლეში ნამდვილად წარმოჩინდა, რომ საქართველოში

ახალგაზრდულ პოლიტიკას ნამდვილად ქმნის სტუდენტური სპორტიო. მისი მოლოდინი კი მაშინ ნამდვილად გამართლდა, როდესაც გამარჯვებულმა სპორტის აკადემიის ფრენბურთელებმა და სტუდკავშირმა, ს.ტ.უ-ს გუნდი და სტუდკავშირი დაპატიჟა საღამოს საზეიმო ვახშამზე. აღსანიშნავია, ისიც, რომ საქართველოს სტუდენტურ ფესტივალზე გამარჯვებული აკადემიის სპორტის ყველა სახეობის ნაკრები გუნდის სტუდენტები, სასწავლებლის ხელმძღვანელობამ წახალისების მიზნით, სტუდკავშირის ხელმძღვანელობით, ორი კვირით წარავლინა საკურორტო ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარში დასასვენებლად ზაფხულის სეზონზე, სადაც სტუდენტებმა უკეთ გაიცნეს ერთმანეთი.

ჩვენი დიდი სურვილია და რეკომენდაცია, აღდგეს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც სავალდებულო საგანი ფიზიკური აღზრდა და სპორტი. იფუნქციონეროს სპორტულმა კლუბებმა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტ-ახალგაზრდობაში ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის განმტკიცებას. დღეს მართალია ტარდება სტუდენტებს შორის ასპარეზობები სხვადასხვა სპორტის სახეობებში, მაგრამ საჭიროა სტუდენტთაუფრო მეტი მასობრივი ჩართულობა სპორტში. სავალდებულო საგნად ფიზიკური აღზრდა ყველა სტუდენტეს ჩააბამს ფიზიკურ აქტივობებში, წაახალისებს ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ. უფრო მეტიც, თუ გვინდა, რომ ძლიერი თაობა გვყავდეს, ჩემი აზრით სტუდენტმა ვერ უნდა აიღოს დიპლომი, თუ ის ვერ ჩააბარებს გარკვეულ ნორმატივებს. მაგალითად, რბენებს გამძლეობაზე და სისწრაფეზე, ტანვარჯიშულ ნორმატივებს, კარგი იქნება ტყვიის სროლაც, რადგან, თანამედროვე მოთხოვნები ქვეყნის დაცვის კუთხით, ითვალისწინებს არამარტო ფიზიკურ, არამედ საბრძოლო მომზადებასაც. კიდევ უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტურ სპორტს, რადგან ჩვენმა ახალგაზრდობამ უფრო ახლოს გაიცნონ ერთმანეთი და დამეგობრდნენ, მაგრამ არა, ისე, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი მწვრთნელი და მსაჯი შეჯიბრების ჩატარების დროს თავიანთი არაობიექტურობით. მივცეთ საშუალება ნიჭიერ სტუდენტებს და სტუდენტურ გუნდებს, ევროპისა და მსოფლიო უნივერსიადებზე წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურამ ძაგანია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, თბილისი 2004.
2. ავთანდილ ციბაძე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია, თბილისი 1991.
3. გაზეთი ,,ლელო“, N 72, 2005 წ. 16-19 სექტემბერი
4. გაზეთი ,,სპორტის აკადემია“ N6, 2005 წ. სექტემბერი
5. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“, N169, 2005წ, 19 ივლისი

Mamuka Maglakelidze, Tristan Gulbiani, Merab Maisuradze
Georgian Physical Up-bringing and Sports State Teaching University

Students' Sport and the Youth Policy

Abstract

This work presents the history of physical education and sports for students of Georgia and foreign students.

Great attention is paid to the importance of implementing a healthy lifestyle, mass inclusion in physical activity and establishment of friendly relation among students.

We are talking about successful sports past students of the Academy of physical education and sports in Georgia.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტური სპორტის წარმოშვება, სასპორტო უმაღლეს სასწავლებელი, მასობრივი ჩართულობა ფიზიკურ აქტივობებში

Keywords: The emergence of university sports, sports high school, mass involvement in physical activities.

გიორგი ჭიჭაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკური მომზადების პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა სპორტსმენის ფორმირების პროცესში

ფიზიკური დატვირთის აუცილებელი დონის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო წვრთნების საშუალებით, ასევე მკაცრი კანონზომიერებისა და ვარჯიშების დროს მეთოდური პრონციპების დაცვით. ფიზიკური მომზადების პრინციპები და მეთოდები განსაზღვრავენ სპორტული მომზადების სრულყოფის პროცესის მართვის ზოგად საკითხებს.

ცნობიერებისა და აქტიურობის, თვალსაჩინოების, მიღწევადობის, სისტემატიურობისა და დინამიურობის პრონციპები - ეს ის მეთოდური პრონციპებია, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მწვრთნელმა სასწავლო წვრთნების დროს.

ცნობიერებისა და აქტიურობის პრინციპი გულისხმობს მწვრთნელისა და მოსწავლის შემოქმედებითი თანამშრომლობის გზების ძიებას სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში მიზნების მიღწევისას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდს ჩამოუყალიბდეს მტკიცე მოთხოვნა, რომ დაეუფლოს სპორტის ღირებულებებს, გაუჩნდეს თვითშემეცნებისა და სრულყოფილების სურვილი. ამასთან დაკავშირებით აღნიშნული პრონციპის ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს ადეკვატური მიზნებისა და პედაგოგიური ამოცანების განსაზღვრა და ასევე მათი არსის განმარტება.

ფიზიკური მომზადების პრაქტიკიდან ცნობილია, რომ თუ მოსწავლეებს გააჩნიათ მაღალი მოტივაცია, მაგალითად, გაიუმჯობესონ ჯანმრთელობა, შეიტანონ კორექცია საკუთარი სხეულის აღნაგობაში, მიაღწიონ მაღალ სპორტულ შედეგებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათ მოთხოვნებსა და ინტერესებს სასწავლო და წვრთნის პროცესში, მაშინ მივიღებთ მაღალ

ეფექტურობას. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ჩამოყალიბებული იყოს მკაფიო პირადი მოტივი და განვითარდეს ინტერესი.

მწვრთნელმა უნდა შეძლოს ნებისმიერი დავალების არსის ახსნა და მისი მოსწავლეებამდე მიტანა. მან შეიძლება განმარტოს, თუ რატომ სთავაზობს ამ კონკრეტულ სავარჯშოს და არა რომელიმე სხვას და რატომ არის აუცილებელი კონკრეტულად ამ ალგორითმის შესრულება. I კურსის სტუდენტს უნდა განემარტოს, რომ გზა ფიზიკური სრულყოფილებისაკენ - ეს არის მძიმე დაძაბული შრომა, სადაც გარდუვალია დამქანცველი, ხშირად ერთფეროვანი და მოსაწყენი ვარჯიშები, ინდიციდუალური სირთულეების გადალახვა.

თვალსაჩინოების პრინციპი ითვალსიწინებს მოსწავლეებში ტექნიკისა და ტაქტიკის, ფიზიკური უნარ-ჩვევების ზუსტი მგრძნობელობით გამოსახულებას არა მხოლოდ მხედველობითი შეგრძნების, არამედ იმ შეგრძნებათა ერთობლიობით, რომლებსაც სხვა შეგრძნების ორგანოებიდან ვიღებთ: სმენა, ვესტიბულარული აპარატი, კუნთები, რეცეპტორები. ამიტომ აღნიშნული პრინციპის პრაქტიკაში გამოყენებისათვის მიმართავენ თვალსაჩინოების სხვადასხვა ფორმებს.

პირველ რიგში ეს არის მასწავლებლის მიერ სავარჯიშოების ტექნიკის ნიმუშებით სავარჯიშოების, სქემების, პლაკატების, ფოტოკინოფილმების, დიაფილმებისა და კონოფილმების ჩვენება. ეს ყველაფერი სავარჯიშოების სწორად შესრულებისათვის მოსწავლეებში ქმნის თვალსაჩინო წარმოდგენას. ხმოვანი სიგნალების ან მუსიკის გამოყენება მოსწავლეს უქმნის წარმოდგენას მოძრაობების ხარგრძლივობაზე, სიხშირესა და რიტმზე.

თვალსაჩინოების პრინციპი გამოყენებული უნდა იყოს არა მარტო სწავლების საწყის საფეხურზე, არამედ მოძრაობების ტექნიკური სრულყოფისა ან სპორტული ოსტატობის სხვა ეტაპზეც.

მიღწევადობის პრინციპი დამოკიდებულია, როგორც მოსწავლეთა შესაძლებლობებზე, ისე იმ ობიექტურ სირთულეებზე, რომლებიც დავალების შესრულების დროს იჩენს თავს: კოორდინაციული სირთულე, გადაჭარბებული ენერგია, საფრთხე. პედაგოგიური პოზიციიდან გამომდინარე,სრული შესაბამისობის მიღწევა მოსწავლეთა შესაძლებლობებსა დასავარჯოშოს სირთულეებს შორის ოპტიმალურ მიღწევადობას ნიშნავს. თუ ვარჯიშის სირთულის დონე მნიშვნელოვნად აღემატება მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ასეთმა ვარჯიშმა შეიძლება გამოიწვიოს მოტორული ტექნიკის დარღვევა და ფუნქციური დაძაბულობა. და პირიქით, გამარტივებული ვარჯიშები აქვეითებს სასწავლო და წვრთნის პროცესის განვითარებას. ამიტომ მიღწევადობის ოპტიმალური ზომის სწორი განსაზღვრა მწვრთნელი-პედაგოგის ერთ-ერთი უმთარესი ასპექტია სასწავლო-წვრთნების პროცესში. ვარჯიშის სირთულის შერჩევაში უნდა იხელმძღვანელოს იმ პროგრამული მოთხოვნებითა და დატვირთვის ნორმებით, რომლებიც შემუშავებულია თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის, ასევე გაითვალისიწინოს მათი მომზადებისა და მდგომარეობის მიმდინარე და ოპერატიული შედეგებით. მიღწევადობის პრინციპის პრაქტიკაში გამოყენებისას აუცილებელია შემდეგი წესების დაცვა: მარტივიდან რთულისაკენ, ადვილიდან ძნელისაკენ, უცნობიდან ნაცნობისაკენ, მთავარიდან მეორეხარისხოვანისაკენ.

სისტემატიურობის პრინციპი მოითხოვს წვრთნის პროცესის უწყვეტობას, ერთ მეცადინეობაზე ფიზიკური დატვირთვისა და დასვენების რაციონალურ ცვლას, დატვირთვის თანამიმდევრობას ვარჯიშიდან ვარჯიშამდე.

ნებისმიერ დატვირთვას გააჩნია ოთხი ფაზა: ენერგიის ხარჯვა, აღდგენა, ზეაღდგენა, დაბრუნება საწყის დონეზე. სწორედ ამიტომ სპორტული სასწავლო წვრთნები არასოდეს არ ტარდება ზედიზედ ორი დღის განმავლობაში. გარდა ამისა, აუცილებელია სასწავლო განრიგით გათვალისწინებულ ყველა მეცადინეობაზე რეგულარულ დასწრება. მაგრამ, თუ ვარჯიშები იქნება ეპიზოდური ან ჩატარდება დიდი ინტერვალებით, მაშინ დაიკარგება ეფექტიანობა და ეს გამოიწვევს ვარჯიშში მიღწეული დონის ვარდნას.

დინამიურობის პრინციპი მოიცავს მოთხოვნების მუდმივ ზრდას, ახალი, უფრო რთული ვარჯიშების გამოყენებას, დატვირთვის მოცულობისა და ინტენსივობის გაზრდას. დატვირთვაზე გადასვლა უნდა მოხდეს თანდათანობით, მოსწავლის ფუნქციური შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. დატვირთვები შეიძლება სხვადასხვა ფორმით გაიზარდოს. ამგვარად, დატვირთვის პირდაპირი ზრდა გამოიყენება მაშინ, როდესაც საერთო დონე არც ისე მაღალია და საჭიროა თანდათანობით მოხდეს სამუშაოში ჩართვა; საფეხურეობრივი დინამიკა ააქტიურებს ვარჯიშს უკვე შესრულებული სამუშაოს ბაზაზე; დატვირთვის ტალღისებური რხევები კვირის, თვის, წლის ციკლებში წარმოადგენენ ერთგვარ ფონს, რომელსაც ეყრდნობა პირდაპირი და საფეხურეობრივი დინამიკა.

თანდათანობის პრინციპის იგნორირება, აჩქარებული და ფორსირებული მომზადება ხელს უშლის დაგეგმილი შედეგების მიღწევას და შეიძლება ზიანიც კი მიაყენოს ჯანმრთელობას.

ფიზიკური მომზადების ამოცანების გადასაჭრელად ძალიან მნიშვნელოვანია მეთოდების გამოყენება, ესენია რეგლამენტირებული ვარჯიშის, თამაშის, შეჯიბრის, სიტყვიერი და სენსორული მეთოდები.

ვარჯიშის მკაცრი რეგლამენტირება წარმოადგენს ძირითად მეთოდურ ხერხს სპორტული ვარჯიშების პროცესში. მისი მახასიათებელი ნიშანია: თითოეული ვარჯიში მკაცრად დაცული ფორმით, ზუსტად განსაზღვრულ დროში და ფიზიკური დატვირთვით უნდა შესრულდეს.

რეგლამენტირებული ვარჯიშის მეთოდი საშუალებას გვაძლევს:

- შევასწავლოთ ნებისმიერი სირთულის მოძრაობები;
- მკაცრად განვსაზღვროთ მინიმალურიდა ზღვრული დატვირთვა;
- შერჩევით ვიმოქმედოთ ცალკეული ფიზიკური თვისებების გამომუშავებაზე;
- ვუზრუნველყოთ ინდივიდუალური მიდგომა მოსწავლეების მიმართ ფიზიკური აღზრდის პროცესში;
- ნებისმიერ კონტინგენტთან გამოვიყენოთ ვარჯიშები.

თამაშის მეთოდი სპორტული თამაშის ფორმით ფართოდ გამოიყენება ფიზიკური მომზადების პროცესში.

არ არის აუცილებელი, რომ თამაშის მეთოდი დაკავშირებული იყოს რომელიმე ჩვეულებრივ თამაშთან, მაგალ-თად: ჩოგბურთი, ბადმინტონი, არამედ შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა ნებისმიერი ვარჯიშის ხერხი: სირბილი, ხტომა, სროლა და სხვა. თამაშის მეთოდი წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური უნარის კომპლექსურ სრულყოფას. მისი დახმარებით ვითარდება: კოორდინაციული უნარი, სიჩქარე, ძალა, ამტანობა, სიმამაცე, სიმტკიცე, გამჭრიახობა, დამოუკიდებლობა, ტაქტიკური აზროვნება, ხდება მოტორული უნარ-ჩვევების განმტკიცება და სრულყოფა. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს

პიროვნების ზნეობრივი თვისების ჩამოყალიბებას: კოლექტიურობა, მეგობრულობა, შეგნებული დისციპლინა და სხვა.

თამაშის მეთოდის ერთ-ერთი ნაკლია დატვირთვის შეზღუდული საშუალება, რადგანაც მიზნის მიღწევის მრავალფეროვანი ხერხი, სიტუაციის მუდმივი ცვლილება, მოქმედებათა დინამიურობა გამორიცხავს დატვირთვის ზუსტ განსაზღვრას, როგორც მიმართულების, ისე ზემოქმედების თვალსაზრისით.

შეჯიბრის მეთოდი გამოიყენება ფიზიკური, ზნეობრივი და ნებისყოფის თვისებების განვითარებისათვის, ტექნიკური და ტაქტიკური უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის, ასევე ავითარებს რთულ სიტუაციებში აღნიშნულიუნარ-ჩვევების რაციონაურად გამოყენების უნარს. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ან ელემენტარული ფორმით (მაგალითად, ვარჯიშის დროს ვინ უფრო მეტ ბურთს ჩააგდებს კალათბურთის ფარში, ამ უფრო მყარად დახტება) ან ნახევრად ოფიციალური და ოფიციალური შეჯიბრის დროს, რომლებიც მოსამზადებელი ხასიათისაა (შეფასება, საკონროლო და საკვალიფიკციო შეჯიბრებები).

მუდმივი ბრძოლა პირადი ან კოლექტიური მიღწევებისათვის - ეს არის შეჯიბრის მეთოდისათვის დამახასიათებლი ყველაზე მკაფიო თვისება. მეტოქეობის ფაქტორი შეჯიბრის დროს, ასევე მისი ორგანიზაციისა და ჩატარების პირობები ხელს უწყობს ადამიანის ძალების მობილიზაციას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს, რომ მაქსიმალურად გამოვლინდეს ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური ძალისხმევა შესაბამისი თვისებების განვითარებისათვის. გასათვალისწინებელია, რომ პაექრობამ და პირველობისათვის ბრძოლაში პაექრობის დროს ურთიერთობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს არ მხოლოდ დადებითი (ურთიერთდახმარება, პატივისცემა და სხვ,), არამედ უარყოფითი (ეგოიზმი, უხეშობა, განდიდება) პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, ხშირმა მაქსიმალურმა ფიზიკურმა და ფსიკიკურმა ძალისხმევამ, შეჯიბრის მეთოდის გამოყენებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოსწავლის ჯანმრთელობაზეც, დაუკარგოს მას ინტერესი ვარჯიშის მიმართ, შეაჩეროს ფიზიკური თვისებების ჩამოყალიბება და მოტორული ტექნიკის განვითარება.

შეჯიბრის მეთოდი წარმოადგენს შედარებით შეზღუდულ საშუალებას დატვირთვის განსაზღვრისათვის და მოსწავლეთა უშუალო ხელმძრავნელობისათვის.

აღნიშნული მეთოდის ერთ-ერთ ფასეულ თვისებას წარმოადგენს, ის რომ გამარჯვებულის გამოვლენა შესაძლებელია არა აბსოლუტური შედეგების, არამედ მიღწევების ზრდის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში გამარჯვებული ხდება ის მონაწილე, რომელმაც განსაზღვრულ ვადაში აჩვენა შედეგების ყველაზე დიდი მატება.

სიტყვიერი მეთოდი მუდმივად გამოიყენება წვრთნისა და ვარჯიშის დროს. დანიშნულების მიხედვით ისინიშეიძლება გავაეთიანოთ შემდეგ ჯგუფებში:

მოყოლის, აღწერის, განმარტების მეთოდები, სადაც სიტყვა გამოიყენება, როგორც ცოდნის გადაცემის საშუალება;

ბრძანების, განკარგვის, მითითების მეთოდები, სადაც სიტყვით ზემოქმედებას მოსწავლეთა მართვის მიზანი აქვს;

გარჩევის, შენიშვნის, სიტყვიერი შეფასების მეთოდები, რომელთა საშუალებით ფასდება მოსწავლე.

სენსორული მეთოდი ხელს უწყობს ადამიანის რაც შეიძლება მეტი შეგრძნებითი ორგანოს ჩართვას: მხედველობის, სმენის, მოტორული შეგრძნებების.

მხედველობითი მეთოდები გულისხმობს მოძრაობების უშუალო ჩვენებას, დემონსტრირებას თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და მხედველობითი ორიენტაციის საშუალებით.

მოძრაობების უშუალო ჩვენების დროს მოძრაობა უნდა იყოს ნელი, მკაფიო, გამოიკვეთოს სხეულის ცალკეული პოზიცია, ამასთან მოსწავლეებისთვის შექმნილი უნდა იყოს მოსახერხებელი პირობები.

თვალსაჩინოების დემონსტრირება ხდება დიაპოზიტივების, ვიდეოჩანაწერების, ადამიანის სხეულის მაკეტების, მრავლფეროვანი სქემების, გრაფიკების, ნახატების საშულებით.

მხედველობითი ორიენტაციის დროს გამოიყენება რთული ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც გვაძლევენ მანათობელ სიგნალს მოძრაობების დროის, მიმარულებისა და სიჩქარის შესახებ. მაგალითად, ნათურის ანთება სპეციალური დაფის სხვადასხვა ადგილებზე ბურთის სროლის დროს სიზუსტისა და სისწრაფის გამომუშავებისათვის. ასევე გამოიყენება მანათობელი მოწყობილობა, რომელიც განსაზღვრავს გადაადგილების სისწრაფესა და ტემპს.

სმენითი (ხმოვანი) მეთოდი მდგომარეობს ხმების გამოყენებაში სიგნალების სახით, რაც ხელს უწყობს მოძრაობის სივრცითი და დროის მახასიათებლის დაზუსტებას. ხმის საშუალებით კარგად ხდება მოძრაობის რიტმის ათვისება, რაც შეიძლება განსაზღვრული იყოს წინასწარ ან მოძრაობის შესრულების პროცესში. არსებობს ასევე სხვადასხვა ,,ხმოვანი ლიდერები“, რომლებიც ხელს უწყობენ მოძრაობის შერჩეული ტემპის შენარჩუნებას.

დასკვნაში გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ფიზიკური მომზადების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი და ფიზიკური მომზადების მეთოდები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, შეუძლებელია მათი ცალცალკე განხორციელება, რადგანაც ისინი ასახავენ ფიზიკური მომზადების ერთი და იგივე პროცესის ცალკეულ მხარეებსა და კანონზომიერებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Книга тренера. Вайцеховский С. М. М., “Физкультура и спорт”, 1971
2. „სპორტსმენის მომზადების ფსიქო-პედაგოგიური საფუძვლები“, გ. ჭიჭაშვილი, დ. მახაშვილი. 3-ე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი, 2014.
3. „დამწყებ სპორტსმენთა წვრთნის პროცესის თავისებურებათა შესახებ“, ჰ. რაზმაძე, 6-ე საერთაშორისო სამეცნიერო - მეთოდური კონფერენცია, ქუთაისი, 2015.
4. სპორტის თეორია, კახიძე, გ.თბილისი, ცოდნა, 2007.
5. სპორტის ფსიქოლოგიური საფუძვლები, დვალი, გ. თბილისი, 2006

Giorgi Chichashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Importance of Using Physical Training Methods and Principles in the Process of Sportsmen Formation

Abstract

Attaining necessary level of physical loading is only possible via trainings as well as by following strict regulations and methodological principles during training. Principles and methods of physical training define general process management issues of sports training perfection.

We would like to underline the fact that all the physical training principles and methods mentioned in the article are closely connected to each other. It's impossible to implement them separately as they reflect separate sides and regulations of the same process in physical training.

საკვანძო სიტყვები: სპორტი, ფიზიკური მომზადება, მეთოდები, პრინციპები
Keywords: Sport, physical training, methods, principles.

გიორგი ზუბიტაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

სისტემატურობის პრინციპი სწავლებასა და წვრთნაში, როგორც ორგანიზმის მიერ, დატვირთვის საპასუხო რეაქციათა რეგლამენტატორი

შესავალი. მწვრთნელ-პედაგოგმა, მოზარდთა კონტიგენტისა და სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წინაშე დასმული ამოცანების გათვალისწინებით, ორი სხვადასხვა მეთოდით უნდა განახორციელოს მუშაობა: პირველ შემთხვევაში მისი მუშაობის ფოკუსი მიმართულია მოზარდებში მოძრაობითი მოქმედებების მხოლოდ საშემსრულებლო დონეზე მიყვანამდე(სწავლების პროცესი), მეორე შემთხვევაში კი, ამ მოქმედებათა დახვეწასა და ფიზიკური თვისებების განვითარებაზე (წვრთნის პროცესი).

ეს მუშაობა წარიმართება საჯარო სკოლებში (სპორტის მასწავლებლის მიერ), სპორტულ სექციებში (სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელის მიერ), გამაჯანსაღებელ სპორტულ კლუბებსა (სპორტული ინსტრუქტორის მიერ) და სხვა მრავალ სპეციალიზირებულ დაწესებულებაში, სადაც ფიზიკურ აღზრდასა, ან სპორტულ წვრთნასთან გვაქვს საქმე.

სწავლებისა და წვრთნის აღნიშნული პროცესი, რეგულირებულია სწავლებისა და წვრთნის შესაბამისი პრინციპებით, რომელთა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს.

სისტემატურობის (უწყვეტობის) პრინციპი ერთ-ერთი იმ პრინციპთაგანია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მწვრთნელ-პედაგოგის მიერ, როგორც სასწავლო, ისე საწვრთნელ პროცესში დასახული ამოცანების შესრულების საქმეში. მაგრამ, დაუშვებელია, ამ პრინციპის უსისტემოდგამოყენება, ფიზიკური დატვირთვების შედეგად, მომეცადინის ორგანიზმში გამოწვეული ფუნქციური ცვლილებების მხედველობაში მიღების გარეშე. ამის გათვალისწინებით, ჩვენს **მიზანს** წარმოადგენდა სწავლებისა და წვრთნის პროცესში, სისტემატურობის პრინციპის გამოყენების განხილვა, იმ ფუნქციურ ცვლილებებთან კავშირში, რომლებიც ორგანიზმში, ფიზიკური დატვირთვების შედეგად გამოიწვევიან.

სისტემატურობის პრინციპი სწავლების პროცესში: სისტემატურობის პრინციპი ერთ-ერთი წამყვანი პრინციპია სწავლების პროცესში. ის ითვალისწინებს სასწავლო მეცადინეობათა გეგმიურ და რეგულარულ ჩატარებას.

მოზარდები ვალდებულნი არიან, რომ რეგულარულად დაესწრონ სასწავლო მეცადინეობებს, რათა შესასწავლი მასალის ათვისების პროცესში, არ დაირღვეს სისტემატურობა.

სასწავლო მეცადინეობებში, მოზარდთა ორგანიზმზე მიყენებული დატვირთვის დონე უნდა გაიზარდოს ნელ-ნელა, რითიც სასიკეთო პირობები შეიქმნება სუნთქვითი და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობისათვის(ზუბიტაშვილი, 2012).

სისტემატურობის პრინციპი წვრთნის პროცესში: სისტემატურობა, როგორც საწვრთნელი პროცესის კანონზომიერება, ხასიათდება სამი ძირითადი დებულებით:

1. სპორტული წვრთნა მიმდინარეობს სრულწლიანი და მრავალწლიანი მეცადინეობების სახით, რომელიც სპორტული სპეციალიზაციის უდიდესი ეფექტის გარანტიას იძლევა; 2. ამ პროცესის რგოლებს შორის კავშირი უზრუნველყოფილია წვრთნის უახლოესი, მოგვიანო და კუმულაციური ეფექტების უწყვეტი მემკვიდრეობითობის საფუძველზე; 3. საწვრთნელ მეცადინეობებს შორის ინტერვალი ისეთ ფარგლებშია დაცული, რომელიც გაწვრთნილობის განუწყვეტელი ზრდის საერთო ტენდენციის გარანტიას იძლევა (მატვეევი, 1987).

საჭიროა ისე აიგოს საწვრთნელი პროცესი, რომ მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილისაწვრთნელი მეცადინეობების **დადებითი ეფექტის მემკვიდრეობითობა**, გამოირიცხოს მათ შორის გაუმართლებელი შესვენებები და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი წვრთნის ფაზებში გაწვრთნილობის რეგრესი, რომელიც ობიექტურადაა დაკავშირებული დატვირთვების მოცულობისა და ინტენსივობის შემცირებასთან. ამაში მდგომარეობს სპორტული წვრთნის სისტემატურობის პრინციპის ძირითადი არსი.

ამ პრინციპის რეალიზების პირობებში, აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ცალკეულ მეცადინეობებზე, ისე კვირეულ, თვიურ და წლიურ ციკლში არა მხოლოდ ვარჯიშების განმეორებას, არამედ მათ ვარიაციულობას, ე.ი. ვარჯიშების შესრულების პირობების შეცვლას, ვარჯიშთა საშუალებების მრავალფეროვნებას, დატვირთვების დინამიკას, მეცადინეობების ფორმისა და შინაარსის განახლებას. აქვე გათვალისწინებული უნდა იქნას მომეცადინეთა შესაძლებლობები, ასაკობრივი თავისებურებანი და ბიოლოგიური წანამძღვრები.

ვარჯიშების განმეორებებისა და მათი ვარიაციულობის დაცვის აუცილებლობა იმით არის გამოწვეული, რომ ის ფუნქციური და სტრუქტურული ცლილებები, რომლებიც ორგანიზმზე ფიზიკური ვარჯიშების ზემოქმედების შედეგად გამოიწვევა, შექცევადია. სწორედ ამიტომაც მდგომარეობს სისტემატურობის პრინციპის არსი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის პროცესის უწყვეტობაში და დატვირთვისა და დასვენების ოპტიმალურ მონაცვლეობაში.

სისტემატურობის პრინციპის პრაქტიკაში გამოყენების სრულად გასააზრებლად, არ არის საკმარისი მხოლოდ იმის აღწერა, თუ რა დანიშნულება აქვს მას, ერთი მხრივ, სწავლებაში და მეორე მხრივ, წვრთნაში. არამედ, ამისათვის საჭიროა, მოზარდის ორგანიზმში, ფუნქციურ დონეზე გამოვლენილი იმ საპასუხო რეაქციების განხილვაც, რომლებიც ამ პრინციპის გამოყენების საფუძველზე, სწავლებისა თუ წვრთნის სისტემატურ პროცესში გადაყვანის პასუხად წარმოიქმნებიან.

ორგანიზმის მიერ, სისტემატური დატვირთვებისადმი აღდგენა-ადაპტირებისა და ფუნქციური შესაძლებლობების სუპერკომპენსირება. სუპერკომპენსაცია, როგორც საწვრთნელი ფენომენი, არის მუშაობისა („სამუშაო ფაზა“) და რეგენერაციის ურთიერთობა, რომელიც სისტემატური წვრთნის პასუხად, აღმატებული ხარისხის ფიზიკურ, მეტაბოლურ და ნეიროფსიქოლოგიურ ადაპტაციას იწვევს (Bompa, Haff, 2009).

წვრთნის შედეგად გამოწვეული დაღლა ვლინდება სპორტსმენის ჰომეოსტაზის მრუდის მკვეთრად დაწევაში (ფიგურა 1), რომელიც შეწყვილებულია ფუნქციონალური შესაძლებლობების შემცირებასთან. ვარჯიშისას მიღებული დატვირთვის შემდეგ, სპორტსმენის ჰომეოსტაზში დაბრუნება შესაძლოა, მიჩნეული იქნას **კომპენსაციის** („შეფარდებითი ნორმალიზაციის ფაზა“) პერიოდად. ჰომეოსტაზში დაბრუნება ნელა და პროგრესულად მიმდინარეობს და რამოდენიმე საათიდან, რამოდენიმე დღემდე პერიოდს საჭიროებს. თუ მაღალი ინტენსივობის მქონე საწვრთნელ მეცადინეობებს შორის არსებული დრო საკმარისია, ორგანიზმი გამოდის დაღლის მდგომარეობიდან და სრულად ავსებს ენერგიის წყაროებს,რასაც ის სუპერკომპენსაციის მდგომარეობაში აჰყავს.

ფიგურა 1. საწვრთნელ დატვირთვაზე სუპერკომპენსაციის ციკლური პასუხი



ყოველ ჯერზე, როდესაც სუპერკომპენსაცია ხდება, სპორტსმენს უყალიბდება ახალი, გაზრდილი ჰომეოსტაზური დონე, სპორტული შესაძლებლობების ამაღლებით.

თუ დატვირთვასა და მისგან აღსადგენად საჭირო პერიოდს შორის არსებული დრო ძალიან გრძელია, სუპერკომპენსაცია თანდათანობით გაქრება და ადგილს დაუთმობს **ინვოლუციას** („რედუქტიული ფაზა“), ანუ სპორტული შესაძლებლობების შემცირებას.

სუპერკომპენსაციის ფაზები: სუპერკომპენსაციის ციკლს (ფიგურა 1) გააჩნია ოთხი ფაზა და ხორციელდება შემდეგი მიმდევრობით:

*I ფაზა. ხანგრძლოვობა: 1-დან 2 სთ-მდე.*წვრთნის დროს და მისი დასრულებისას, ორგანიზმი განიცდის დაღლას. ვარჯიშის შედეგად წარმოქმნილი დაღლა გამოწვეულია ცენტრალური, ან პერიფერიული მექანიზმებით;

*II ფაზა. ხანგრძლოვობა: 24-დან 48-სთ-მდე.*როგორც კი ვარჯიში შეწყდება, მაშინვე იწყება კომპენსაციის ფაზა;

*III ფაზა. ხანგრძლოვობა: 36-დან 72-სთ-მდე.*წვრთნის ეს ფაზა ხასიათდება შესაძლებლობის მომეტებულად აღდგენით („ზეაღდგენით“), ანუ სუპერკომპენსაციით;

IV ფაზა. ხანგრძლოვობა: 3-დან 7-დღემდე: თუ სპორტსმენი სუპერკომპენსაციის ფაზისას ოპტიმალურ დროში არ მიიღებს სხვა სტიმულს, მაშინ, ინვოლუცია მიიღება, რომელიც სუპერკომპენსაციის ფაზის დროს მიღებულ ფიზიოლოგიურ სარგებელთა შემცირებაში ვლინდება.

საწვრთნელ დატვირთვას ოპტიმალური სტიმული უნდა მოჰყვებოდეს დაახლოებით 24 საათის შემდეგ, კომპენსაციის (აღდგენის) ფაზისა და სუპერკომპენსაციის ფაზის ჩათვლით. სუპერკომპენსაციის ფაზის ხანგრძლივობის ვარიაცია დამოკიდებულია წვრთნის ინტენსივობის ტიპზე. მაგალითად, ზომიერი ინტენსივობის აერობულ გამძლეობაზე ვარჯიშის შედეგად გამოწვეულ სუპერკომპენსაციას შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს 6-დან 8 საათამდე პერიოდში. მეორე მხრივ, „მძიმე“ხასიათისდატვირთვა, რომელიც ცენტრალურ-ნერვულ სისტემას დიდ მოთხოვნებს უყენებს, სუპერკომპენსაციის მოსახდენად, შესაძლოა საჭიროებდეს 24-სთ-ზე მეტს, ხანდახან 48 საათსაც კი.

ამ შემთხვევაში ერთია დატვირთვის ე.წ. „სიმძიმე“ და მეორეა დროის ერთეულში მისი ჩატარების სიხშირე. ამ შემთხვევაში, ცვლადის სახით, ისევ შემოდის სისტემატურობის პრინციპი, რომელიც, საწვრთნელ მეცადინეობებს შორის არსებული ინტერვალების ფარგლებზე ზემოქმედებს და ამდენად, მისიგამოყენებით, შეგვიძლია ცენტრალურ-ნერვულ სისტემას ასევე დიდი მოთხოვნები წავუყენოთ. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: სწავლებასა, ან წვრთნაში სისტემატურობა, რომელიც მაგალითად, რაღაც დაშვებით, კვირაში 5-ჯერად, 2 საათიანი ხანგრძლივობის მქონე მეცადინეობებს უნდა შეადგენდეს, სტანდარტი უნდა იყოს სხვადასხვა გაწვრთნილობის მქონეთათვის? ჩვენ გთავაზობთ **რეკომენდაციებს,** რომლებიც პასუხს სცემენ ამ კითხვას; მათი მხედველობაში მიღება, ხელს შეუწყობს სისტემატურობის პრინციპის რაციონალურ გამოყენებას და მწვრთნელ-პედაგოგის მიერ, დასახული ამოცანების სწორად გადაწყვეტას.

1. კომპენსაციისა და სუპერკომპენსაციის ფაზები, რომლებიცშესაბამისად, „უახლოესი ეფექტით“ და „ტრანსფორმირებული ეფექტით“ ხასიათდებიან, დატვირთვის შემდგომ ორგანიზმზე მიღებულ ე.წ. დადებით ეფექტებს წარმოადგენენ. ამის გათვალისწინებით და სისტემატურობის პრინციპის თანახმად, სწავლებისა და წვრთნისპროცესში დაუშვებელია ისეთი შემთხვევები, რომლებიც იწვევენ დადებითი ეფექტის დაკარგვას, ე.ი. ყოველი მომდევნო ვარჯიში,უნდა ჩატარდეს ინვოლუციური ფაზის დაწყებამდე.

2. ინვოლუციური ფაზის დაწყებამდე, მომდევნო ვარჯიშის ჩატარება შესაძლოა, სამი სხვადასხვა ვარიანტით განხორციელდეს. თითოეულ ვარიანტში დადებითი ეფექტის შენარჩუნებისათვის, ვარჯიშთა შორის ინტერვალები, ორგანიზმის მიერ დატვირთვებისადმი აღდგენის/ადაპტირების პროცესის სხვადასხვა პერიოდს ემთხვევა:

- პირველ ვარიანტში მომდევნო მეცადინეობა ტარდება სუპერკომპენსაციის ფაზაში;
- მეორე ვარიანტში – „სრული კომპენსაციის“ ფაზაში;
- ხოლო მესამე ვარიანტში – „არასრული კომპენსაციის“ ფაზაში (ამ ფაზაში, როგორც მუშაობისუნარიანობა, ისე ფუნქციური მაჩვენებლები მთლიანად არაა აღდგენილი).

აღნიშნული სამი ვარიანტიდან, თითოეულის ეფექტურობის ხარისხი იმით განისაზღვრება, თუ როგორი ფიზიკური შესაძლებლობის (გაწვრთნილობის) მომეცადინესთან გამოიყენებიან ისინი. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ განსაკუთრებით მესამე ვარიანტი, რომლის დროსაც შემდეგი დატვირთვა ხდება „არასრული კომპენსაციის ფაზაში“, შედარებით იშვიათად და ფრთხილად იქნას გამოყენებული 13-14 წლის ასაკის მოზარდებთან, რადგანაც მათორგანიზმში ინტენსიური დატვირთვებისაგან აღდგენის პროცესი, შედარებით ნელა მიმდინარეობს და ამან შეიძლება, ორგანიზმის ერთგვარ ალტერნატიულ გამოსავალში, გადაწვრთნაში ჰპოვოს განვითარება.

მეორე მხრივ, თუ ჩვენ ახალგაზრდა, ან ზრდასრული ასაკის გაწვრთნილ სპორტსმენებთან გვაქვს საქმე, იმავე, „არასრული კომპენსაციის ფაზაში“, გარკვეული პერიოდის განმავლობაში,სისტემატურმადატვირთვებმა, შეიძლება, რომ წვრთნის ეფექტები ერთმანეთზე „დააშრევოს“ და შემდეგ, ამ ეფექტთა ე.წ. „აზვირთება“ მოახდინოს, რომელიც – თუ სწორად დაამთხვევს მას მწვრთნელი სხვადასხვა რანგის შეჯიბრებას – მოვარჯიშის ინდივიდუალურიუნარების მაქსიმალურ დონეზე გამოვლენას უწყობს ხელს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სისტემატურობის პრინციპის ეფექტურად რეალიზებისათვის, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის, თუ ყოველი ცალკეულიმომეცადინის ორგანიზმმა რა სახის/დონის ფუნქციური ძვრები მიიღო წინა დატვირთვისაგან. ამის გათვალისწინებით და მოზარდთა ინდივიდუალური მახასიათებლების მხედველობაში მიღებით, შეიძლება ითქვას, რომ კომპენსაციის ფაზა, ისევე როგორც სუპერკომპენსაცია, თითოეული მათგანისათვის სხვადასხვა დროს დადგება. შესაბამისად, მათთვის მომდევნო დატვირთვების მიცემა, „სრული კომპენსაციის“, ან „არასრული კომპენსაციის“ ფაზებშიც, განსხვავებულ პერიოდებზე იქნება გასათვლელი.მეორე მხრივ კი, სისტემატურობის პრინციპის გამოყენებით, მეცადინეობათა სიხშირე, ე.ი. მათ შორის არსებული ინტერვალებიჩვენ შეგვიძლია, იმის გათვალისწინებით ვცვალოთ(ინტენსივობასა და მოცულობასთან ერთად), თუ რა სახის კონტიგენტთან გვაქვს საქმე და მოზარდთაორგანიზმში, სწორედ იმ სახის კომპენსაცია მივიღოთ(„არასრული კომპენსაცია,“„სრული კომპენსაცია“ ან „სუპერკომპენსაცია“), რაც კონკრეტული დროისათვის (მაგ. მეცადინეობის დამთავრებიდან 24 საათისათვის) გვსურს, რომ დადგეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მატვეევი, ლ. (1987). *სპორტული წვრთნის საფუძვლები (თარგმანი, შ. ბუაძის რედაქტორობით).* თბილისი: განათლება.
2. ზუბიტაშვილი, გ. (2012). *ძიუდოისტთა სპორტული ფუნქციონირების პარამეტრები.* სადოქტორო დისერტაცია. თბილისი.
3. Bompa, T., Haff, G. (2009). *Periodization: theory and methodology of training.* Human Kinetics.

4. Zubitashvili, G., Qobelashvili, D., Chkhikvishvili, M. (2013). Predominant influence of the age and/ or the performed work on the functional system recovery. *Journal of Physical Education and Sport,* 13 (2), 163-165.

Giorgi Zubitashvili
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

Principle of Systematicity in Teaching and Training as a Reglamentatorof Body's Reactions Responded by Physical Loads

Abstract

In the article the principle of systematicity is reviewed, which is acondition of body's positive reactions received by physical loads, in teaching and training process. The recommendations are developed, where on the example of sportsman's different qualifications, each following load are justified, how to be correct whether it comes to super compensation, compensation or partial compensation phases.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიური გარემო, სისტემატური დატვირთვები, ორგანიზმის შესაძლებლობათა აღდგენა.
Keywords: Pedagogical atmosphere, systematic loads, recovery of body's performances.

დავით მალაზონია, ნინო ჭიაბრიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხი და სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურული კომპეტენციები

კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანი იყო განგვესაზღვრა ინტერკულტურული განათლებისა და საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნების აღქმის არსებული დონის გავლენა განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფების სამოქალაქო აქტიურობასა და ინტეგრაციის პროცესზე.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტად შეირჩა ქალაქების: თბილისისა და რუსთავის საჯარო და კერძო სკოლები, სადაც წარმოდგენილია მონოკულტურული და მულტიკულტურული გარემო. კვლევაში მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სკოლების მე-10 და მე-12 კლასის მოსწავლეები, მათი პედაგოგები და ოჯახის წევრები.

წინა პერიოდში შესწავლილი იქნა სამიზნე სკოლების მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეების (მათი პედაგოგებისა და ოჯახის წევრების) ინტერკულტურული კომპეტენციები. მიმდინარე ეტაპზე იმავე ჯგუფებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით შევისწავლეთ მათი შეხედულებები შემდეგი საკითხების შესახებ:

1. სამოქალაქო აქტიურობა:

ა) საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა
ბ) სკოლის/კლასის მართვაში მონაწილეობა
გ) სასკოლო/საკლასო ინიციატივებში მონაწილეობა

2. სამოქალაქო ინტეგრაცია:

ა) პროექტებში მონაწილეობა
ბ) სასწავლო პროცესში ჩართულობა
გ) არასასკოლო საქმიანობაში მონაწილეობა

კვლევის სტრატეგია

კვლევის სტრატეგია მოიცავს:

- მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის დადგენას;
- მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის მიმართებების განსაზღვრას სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურულ კომპეტენციებთან.

ეს სტრატეგია ითვალისწინებდა არსებული ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას და გამოცდილების გაზიარებას. ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ უცხოური, მათ შორის აპრობირებული და შედეგიანი კვლევის მეთოდების პირდაპირმა გადმოღებამ და გამოყენებამ შესაძლოა არ მოგვცეს ობიექტური სურათის

მიღების შესაძლებლობა. ქართული რეალობა, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყნისა, უნიკალურია. ამ უნიკალურობას განაპირობებს, როგორც თანამედროვე ეთნო-კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. გარემო, ასევე პრობლემების გენერირების ისტორიული წინაპირობები. ამიტომ, ვეყრდნობოდით რა საერთაშორისო გამოცდილებას, შევქმენით უშუალოდ საქართველოს მრავალფეროვან საზოგადოებაში მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის კვლევის სპეციფიკური ინსტრუმენტები.

კვლევის მეთოდები:

• მიზნობრივ ჯგუფებში მოსწავლეთა (ზოგადად, სასკოლო საზოგადოების) სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის განსაზღვრისას გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, რესპოდენტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუ.

• კორელაციური ანალიზი დაგვეხმარა განგვესაზღვრა მოსწავლეთა სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის მიმართებები სასკოლო საზოგადოების ინტერკულტურულ კომპეტენციებთან.

სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის შეფასების კითხვარი

შემუშავდა კითხვარი, რომელიც მიზნად ისახავდა განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფების სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის განსაზღვრას.

მიზნის შესაბამისად შემუშავდა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ოჯახის წევრებისთვის კითხვარი, რომელიც ემსახურებოდა მათი სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის დადგენას.

შემუშავების პროცესში კითხვარმა გაიარა ექსპერტიზა, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მიმართულების პროფესორთა მიერ, ისე სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ოჯახის წევრების მხრიდან. მათი რეკომენდაციების გათვალისწინების გათვალისწინებით მოხდა რიგი პრობლემური საკითხების გამოკვეთა, ცალკეული ფორმულირების დახვეწა-გამარტივება.

ცალ-ცალკე შედგა კითხვარი თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის. მასწავლებლებისა და მოსწავლეთა ოჯახის წევრებისათვის გამიზნული კითხვარი განკუთვნილი იყო არა მათი, არამედ, მოსწავლეების სამოქალაქო აქტიურობისა და ინტეგრაციის ხარისხის დადგენისთვის. ასევე შეიქმნა კითხვარი განათლების შესაბამისი სფეროს ექსპერტებისთვის.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტების დემოგრაფიული მონაცემები

კვლევის მოცემულ ეტაპზე ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოკითხული იქნა 193 რესპოდენტი. აქედან: მოსწავლე - 81 (მათ შორის: 39 - მეათეკლასელი, 42 - მეთორმეტეკლასელი), მასწავლებელი - 56; მოსწავლის ოჯახის წევრი - 56.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა და, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა სამოქალაქო და ინტერკულტურულ კომპეტენციებთან დაკავშირებული რამდენიმე ტენდენცია.

ტენდენცია N1. სასწავლო-კვლევითი პროექტები და საგაკვეთილო პროცესი

ორივე კვლევის (მოსწავლეთა სამოქალაქო და ინტერკულტურული კომპეტენციები) შედეგი გარკვეულ კორელაციაშია ერთმანეთთან. მოსწავლეებს ესმით ჯგუფურ სასწავლო პროექტებსა და საგაკვეთილო აქტივობებში მონაწილეობის დადებითი გავლენა თანატოლთა შორის ურთიერთოებების ფორმირებასა და პერსონალური ცოდნის/უნარების/დამოკიდებულებების გამომუშავებაზე. მოსწავლეთა

ამგვარ მოლოდინებს ყოველთვის ვერ ამართლებს ა) მასწავლებლის/სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების (საგაკვეთილო პროცესის) სტილი (მეტწილად, რეპროდუქციული, მონოლოგური) და ბ) სასწავლო-კვლევითი პროექტების განხორციელების არასისტემატურობა. ყოველივე, ხელს არ უწყობს განსხვავებული კულტურული ჯგუფების (იდენტობების) დაახლოებას, მოსწავლეებში ინტერკულტურული ცნობიერების (ცოდნის), უნარებისა და დამოკიდებულებების ფორმირებას/განვითარებას.

ტენდენცია N2. სასკოლო ინიციატივები და კლასის/სკოლის მართვაში მონაწილეობა

კვლევების შედეგების შეპირისპირებით დასტურდება, რომ მოსწავლეთა ინტერკულტურული ცოდნა (კულტურებს განსხვავებული მახასიათებლები აქვს) და დამოკიდებულება (ყველა კულტურა პატივისცემას იმსახურებს) სრულად შეესაბამება მათ მზაობას სასკოლო/საკლასო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განსხვავებული თვალსაზრისების დაფასებისა და გათვალისწინების შესახებ. განსხვავებული პოზიციის მიმღებლობას, ზოგადად, განსხვავებულობის მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ განხორციელებული საკლასო/სასკოლო ინიციატივები. მსგავსი ინიციატივების მნიშვნელობა გუნდურობის, პასუხისმგებლობის, თანაზიარობის, ურთიერთდახმარების და ა.შ. დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით, სავსებით და სრულად არის გაზიარებული გამოკითხული მოსწავლეების მხრიდან.

ტენდენცია N3. ინტერკულტურული განათლების წყაროები

კვლევების მონაცემების შეპირისპირებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეები სკოლას შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით, ამასთან, ისინი ახდენენ ინტერკულტურული განათლების წყაროების ლოგიკურ დივერსიფიცირებას.

მოსწავლეთაგან სკოლის როლის არცთუ მაღალი შეფასება, უკავშირდება იმას, რომ ინტერკულტურული განათლების ძირითადი აგენტები – მასწავლებლები არ იყენებენ სწავლების აქტიურ მეთოდებსა და მრავალფეროვან რესურსებს (იხ. ტენდენცია N1). ინტერკულტურული განათლების არასახარბიელო ხარისხი განაპირობებს მოსწავლეთა ინტეგრაციის ასევე არასასურველ დონეს, რაც თავის მხრივ, აისახება თვითმმართველობებსა და საკლასო/სასკოლო ინიციატივებში მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელში ან ფორმალურ მონაწილეობაში.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ: მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით სკოლის შესაძლებლობების/რესურსების ეფექტური გამოყენება არ ხდება; სკოლამ, როგორც ინტერკულტურული განათლების წამყვანმა აგენტმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს მოსწავლეებში ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების პასუხისმგებლობა, რასაც ისეთ მრავალფეროვან საზოგადოებაში, როგორიც საქართველოა, შედეგად მოჰყვება (1) კულტურულად მრავალფეროვან მოსწავლეთა წარმატებული ინტეგრაციის ხელშეწყობა და (2) მათი აქტიური და გააზრებული მონაწილეობა დემოკრატიისათვის მნიშვნელოვან ისეთ სასკოლო ინსტიტუციაში, როგორიც არის მოსწავლეთა თვითმმართველობა და მათ მიერ სასკოლო/საკლასო ინიციატივების განხორციელება.

ტენდენცია N4. საზოგადოებრივი აქტივობები, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სკოლის კულტურა

საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა, რაც რესპოდენტების აზრით, მნიშვნელოვანია, ზრდის მოსწავლეთა როლსა და მონაწილეობის ხარისხს სკოლის კულტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით. სკოლის კულტურის გაუმჯობესების მხრივ, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობასაც, რაც სკოლის თვითმმართველობაში მონაწილეობასაც გულისხმობს. მოსწავლეებს ნაწილობრივ გაცნობიერებული აქვთ ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა, თუმცა, მათი როლი სკოლის მართვაში პასიურია.

იმისათვის, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სკოლის კულტურის გაუმჯობესებაში რეალიზებული იყოს, საჭიროა მათი ფორმალისტური დამოკიდებულებები საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და საკლასო/სასკოლო ინიციატივების მიმართ შეიცვალოს ამ პროცესებში გააზრებული და აქტიური მონაწილეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. UNESCO Guidelines on Intercultural Education, 2006, UNESCO.
2. http://www.coe.int/t/dg4/linguistic/EducInter_en.asp
3. ტაბატაძე შ., ნაცვლიშვილი ნ., 2008, ინტერკულტურული განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ.
4. James A. Banks, 2014, An introduction to Multicultural Education, 5th ed., Pearson, 7th Ed., Wiley.
5. Milton J. Bennett, 2004, Becoming Interculturally Competent in Wurzel, J. (Ed.). Toward multiculturalism: A reader in multicultural education (2nd ed., pp. 62-77). Newton, MA: Intercultural Resource Corporation.
6. Golnick, D.M., and Chinn, P.C., 2013. Multicultural Education in a Pluralistic Society. 9th ed., New York, NY: Pearson.
7. Cushner K., McClelland A., Safford P., 2008. Human Diversity in Education: An Integrative Approach, 6th ed., McGraw-Hill.

Davit Malazonia, Nino Chiabrishvili
Ilia State University

The Level of Student Civic Activity and Integration and Intercultural Competencies of School Society

Abstract

The research on students' civic activity and the levels of integration revealed a number of trends, which are significantly influenced by their intercultural competences. In particular, a) students' intercultural knowledge (cultures have different characteristics) and attitudes (all cultures have to be treated with respect) fully correspond to their commitment of valuing and considerating different opinions in school/classroom decision-making process; b) students attach less importance to school in the process of development of intercultural competences, however, they can logically diversify the sources of intercultural education; c) students believe that participation in socially useful activities supports the growth of their role and involvement in improving school culture.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო აქტიურობა და ინტეგრაცია, ინტერკულტურული განათლება, მოსწავლეთა როლი

Keywords: Civic activity and integration, intercultural education, students' role

ნინო ყანჩელი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯ. დიუის თეორია კვლევის შესახებ და საგანმანათლებლო ფილოსოფია

დიუის თეორია კვლევის შესახებ შეუძლებელია სრულად იქნეს გაგებული, თუ მისი პრაგმატული ეთიკის შესახებ არაფერი ვიცით. იგი უარყოფდა რაციონალისტურ ინტერესზე დაფუძნებულ ეთიკის სისტემებს (მაგალითად თომას ჰობსის სოციალური კონტრაქტი) რადგან მიაჩნდა, რომ ინდივიდუალური აზროვნების და მოქმედების საკითხი სოციალურ გამოცდილებებს შორის პირველ ადგილზე დგას. დიუის მიხედვით ეთიკის კარნახი აძლევს ადამიანის მოქმედებას მიმართულებას, იმ მხრივ, რომ იგი აკმაყოფილებს ინდივიდს საკუთრივ თავის სოციალურ კონტექსტში. დიუის ეთიკა არის უფრო გამომხატველობითი ვიდრე სისტემური, იგი გვთავაზობს ეთიკური თავსატეხისადმი მიდგომის მეთოდს და არა განსაკუთრებულ პრინციპებს, ან ალგორითმებს, რომელთაც უნდა მივყვეთ.მართლაც, იგი ცდილობდა თავი აერიდებინა მისი აზრით სხვა მორალისტი ფილოსოფოსების მცდარი პრაქტიკისათვის, ანუ მათგან ვინც ეძიებდა კანტის კატეგორიული იმპერატივის რომელიმე ვერსიას მორალური ცხოვრებისათვის.

დიუის მიხედვით ეთიკა წარმოადგენს საფუძველს ცხოვრების დემოკრატიული ფორმირებისათვის, რაშიც ის გულისხმობდა თანამშრომლობისა და საჯარო ინტერესის განვითარებას, რომელსაც შეუძლია ინდივიდებისგან კოლექტივების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ცხოვრების ცხოვრების გაუმჯობესებას უფრო ექსპერიმენტის და შემოქმედების გზით, ვიდრე ერთი და იგივე დოგმის გაზიარებით. დიუის აზრით ამგვარი ეთიკის მიყოლა შესაძლებელია მაშინ, როდესაც, დემოკრატიული ჩვევების განვითარებას ბავშვის სოციალიზაციის ადრეულ ასაკში, სკოლიდან ეყრება საფუძველი. დიუისთვის სკოლაში სიარული თვით სამოქალაქო საზოგადოების გაგრძლებას წარმოადგენდა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, მას სკოლა მიაჩნდა ადგილად, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი თანამშრომლობის გზით ერთნაირი მიზნების, და როგორც საკუთარი, ასევე სხვების ინტერესების განხორციელებაში. დიუი დარწმუნებული იყო, რომ პედაგოგიური აქტივობა, რომელიც ამგვარად არის ორგანიზებული, შეგნებული, პასუხისმგებელი, დემოკრატული მოქალაქეების საუკეთესო მომზადების საწინდარს წარმოადგენს.

დიუის „ხელოვნება როგორც გამოცდილება“ (1934) მრავალმხრივ უცნაური წიგნია, თუმცა მის ერთ ნაწილში აღინიშნება პრაგმატული ესთეტიკის განვითარების მცდელობა. მისი ეპისტემოლოგიური, მეტაფიზიკური და ეთიკური გამოცდილების ფესვები ყოველდღიური ცხოვრების ზოგად გამოცდილებაშია. როცა კი მნიშვნელობების ხარისხობრივი, თვისობრივი ერთობის და ღირებულებების გამოცდა ხდება წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამ გამოცდილებას განსხვავებული ესთეტიკური თვისება ენიჭება. სხვა საკითხებთან ერთად, ეს პერსპექტივა არღვევს ელიტარულ განსხვავებულობას „მაღალ“ და „დაბალ“ ხელოვნებასა და კულტურას შორის. ხელოვანის შემოქმედებითი სამუშაო აღარ არის უფრო შესანიშნავი, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანთა ყოველდღიური გამოცდილება. პრობლემების შესაძლო გადაწყვეტილებების წარმოსახვითი განვითარება, რომელსაც გამოცდილების

დამაკმაყოფილებელ რეკონსტრუქციამდე მივყავართ არის შეოქმედებითი აქტივობა. ის, რაც ხელოვნების შემოქმედებითობას სხვა ფორმის შემოქმედებისგან განასხვავებს უფრო რაოდენობრივია ვიდრე თვისობრივი. მას საქმე უნდა ჰქონდეს ხელოვანის უნართან მიიღოს სიამოვნება, დატკბეს უნიფიცირებული თვისობრივი სირთულით, იმის დაწყობითა და განწმენდით, რაც უფრო მეტია, ვიდრე ადამიანის ცხოვრების მნიშვნელობა და ღირებულების უშუალო, ლოკალური და კონკრეტული შესაძლებლობები. ხელოვანი ხელოვნების ნიმუშში ემოციის საშუალებით არკვევს და აცოცხლებს ამ ელემენტების - არა მყისიერი, უშუალო, დაუმუშავებელი ემოციის საშუალებით, არამედ იმ ემოციის, რომელიც ფრიად რეფლექსურია და წინ უძღვის შემოქმედების პროცესს.

მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ავლებს პარალელს დიუის ესთეტიკის თეორია მის ეპისტემოლოგიასთან, მეტაფიზიკასთან და ეთიკასთან. ყველა მათგანი პრაგმატული ან ინსტრუმენტალურია, როგორც ინდივიდუალურ ასევე კოლექტიურ დონეზე. იგი ამტკიცებს, რომ ხელოვნება არის კულტურული პროდუქტი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები გამოხატავენ საკუთარი ცხოვრების მათთვის მნიშვნელოვან ფაქტებს, ისევე როგორც, მხიარულებას, ტანჯვას, იმედებსა და იდეალებს. ხელოვნების შექმნა და მოხმარება ახლოს არის ისეთ ჩვეულებრივ ადამიანურ გამოცდილებასთან როგორიცაა მაგალითად, ჭამა, სეირნობა, მებაღეობა ან ოჯახის მოვლა. ეს სიახლოვე ეთანხმება ხელოვნების კრიტიკულ მადემოკრატიზებელ როლს გაბატონებულ სოციალურ ვითარებასთან კავშირში. როდესაც აზრიანი,დამაკმაყოფილებელი ცხოვრების შესახებ არსებული შეხედულებები განხორციელდება ან ყალიბდება ხელოვნებაში, თუმცა ამავდროულად არ რეალიზდება ადამიანთა მიერ, ამ შემთხვევაში ხელოვნება ასრულებს თუნდაც ამ სოციალური ვითარების მდგომარეობის მხილების ფუნქციას. დიუის იდეები აქ მოტივირებულია ამერიკის ინდუსტრიალიზაციის მცდელობით, რასაც იგი იმ პერიოდში თითქმის ყველგან ხედავდა თავის გარშემო. ეს მცდელობა მოითხოვდა მუშათა ჩაბმას მათთვის უაზრო, განმეორებად, არადამაკმაყოფილებელ სამუშაოში, რომელიც მათ მათი სამუშაოსგან გამიჯნავდა და მიღწევის და პიროვნული სიამაყის გრძნობისაკენ არ უბიძგებდა. დიუის დაჟინებული მტკიცების თანახმად ხელოვნება და ყოველდღიური ცხოვრება ერთი და იმავე ძაფისგან არის მოქსოვილი სტრატეგიული პოლიტიკური მიზნებისათვის. როდესაც ხელოვნება რეალური ცხოვრებისაგან განცალკევებულად მიიჩნევა, მაშინ ტრანსფორმაციული, კონტრ-ჰეგემონური პოტენციალი მკრთალდება, ბრწყინვალებას კარგავს ან, სულაც უკუიგდება.

დიუის განათლებისა და განვითარების თეორია გამომდინარეობს მისი პრაგმატული ეპისტომოლოგიიდან, მეტაფიზიკიდან, ეთიკიდან და ესთეტიკიდან. დიუისთვის განათლების მიზანს წარმოადგენს ინდივიდის ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და მორალური განვითარება დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ საკითხების განვითარება ერთი მხრივ დამოკიდებულია და მეორე მხრივ, ხელს უწყობს მზარდ დემოკრატიულ და მადემოკრატიზებელ კონტექსტს. განათლება სოციალურია, იგი უზრუნველყოფს ინდივიდების პიროვნულ ინვესტიციებს „სოციალურ ურთიერთობებში და კონტროლში, აგრეთვე ფსიქიკურ ჩვევებში, რაც იცავს სოციალურ ცვლილებებს, მათში სოციალური არეულობისა და უწესრიგობის შეტანის გარეშე“ (1. გვ. 99). განათლება და გამოცდილება ერთი მასალისგან არის შექმნილი: „გამოცდილების რეკონსტრუქცია ან რეორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელობას მატებს

გამოცდილებას და რომელიც ზრდის უნარს მიმართოს კურსი მომდევნო გამოცდილებისკენ“ (1. გვ.74). განათლება გამოცდილებაზე უნდა იყოს დაფუძნებული და არა გარეშე ფაქტორებით გამოწვეული, რადგან: „რეალური გამოცდილების პროცესსა და განათლებას შორის ძალიან ღრმა და აუცილებელი კავშირი არსებობს“ (1. გვ.20). დიუის დამოკიდებულება გამოცდილების, როგორც განათლებისთვის უმნიშვნელოვანესი საფუძველის მიმართ ემყარება ურთიერთობას და გაგრძელებადობის პრინციპებს. პიაჟეს მსგავსად, დიუის მიაჩნდა, რომ ყოველი ახალი გამოცდილება იგება და ეფუძნება წინა გამოცდილებას. ის მტკიცედ აცხადებდა, რომ მასწავლებლის პასუხისმგებლობაა განსაზღვროს მიმართულება, რომელშიც წამყვანი ადგილი გამოცდილებას დაეკისრება. ამასთანავე, მას მიაჩნდა, რომ გამოცდილებები (და მათი ათვისება) შესაძლებელია იყოს განათლებადიც და არაგანათლებადიც. მან განათლებადი გამოცდილება განმარტა, როგორც ცოდნის და გამოცდილების ჰორიზონტის გაფართოვების საწინდარი, რომელსაც სწორი მიმართულებით მივყავართ გააზრებული ქმედებისაკენ. გააზრებული ქმედება შეიცავს განვითარებისა და წარმატებისკენ მუდმივად სწრაფვის უნარს, განვითარების მდგრადობისა და უცვლელობის საწინააღმდეგოდ. ის უფრო წინასწარ განზრახულ პროცესს წარმოადგენს, ვიდრე იმპულსურს. გარდა ამისა იგი გააზრებულია. ამის საპირისპიროდ, არაგანათლებადი გამოცდილება „ატყვევებს და არღვევს“ განვითარებას. ის ავლენს უზრუნველ, არარეფლექსურ, მხოლოდ საკუთარ თავზე ორიენტირებულ ხასიათს. ის ინდივიდს მიმართავს „რუტინული მოქმედებისაკენ“ და „ავიწროვებს მის სფეროს, მისი მიზნებისა და ღირებულების თვალსაწიერის შეზღუდვით და გადაფარავს პრობლემური გამოცდილების შესაძლო გადაწყვეტას. არაგანათლებადი გამოცდილება არც უშვებს და არც ხელს უწყობს მე-ს ცნობიერებას, შეგნებას ან საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ზოგად სოციო-პოლიტიკურ ეკოლოგიას, რომელშიც ის (ინდივიდი) ცხოვრობს. ის ართულებს იმ გზების დანახვას, რომლითაც ინდივიდების მოქმედებებს დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ზემოთ ხსენებულ ეკოლოგიაზე. (2. გვ. 32)

„კვლევა“ არის ტერმინი, რომელსაც დიუი ყველაზე ხშირად იყენებდა სწავლების გამოცდილების შესახებ საუბრისას. მისი ხედვა კვლევის ბუნებისა და ფუნქციების შესახებ სრულად არის ჩამოყალიბებული ნაშრომში: *ნარკვევები ექსპერიმენტული ლოგიკის შესახებ და ლოგიკა: კვლევის თეორია (1953),* რომელშიც იგი ამტკიცებს კვლევის ცვლადობას ცხოველური ორგანიზმებიდან ადამიანის ჩათვლით. დიუიმ კვლევის ყველა ფორმა განიხილა, როგორც არსებითი საჭიროებების მიღწევის მიზნით გამოწვეული ადაპტაციური პასუხი გარემო ვითარებაზე. მან ადამიანურ კვლევას უწოდა „ინტელექტუალური კვლევა,“რომლის დამახასიათებელი ნიშანია ენით გაშუალებულობა. რადგან ენა სრულიად სიმბოლურია, ის რეალურ სამყაროში ადაპტური ქცევის ჰიპოთეტური გამოცდის საშუალებას იძლევა ამ ქცევის რეალურ დანერგვამდე. დიუის მიხედვით ლოგიკური ფორმა, ტრადიციული ლოგიკის შესწავლის განსაკუთრებული საგანი, ეფუძნება არა გონებას, არამედ ფუნქციურ ღირებულებებს. ლოგიკური ფორმა მოიცავს პრობლემური სიტუაციის შესაბამის თავის გართმევის თვალსაჩინოებას, რომელიც წააქეზებს კვლევას და აკონტროლებს იმ პროცესებს, რომლებიც ჩართულია ამ სიტუაციის მიმართ მრავალმხრივი ჰიპოთეზური გადაწყვეტილებების შემუშავებაში. ისევ და ისევ, ეს იყო დიუის კვლევასთან დაკავშირებული უნიკალური ხედვა (პერსპექტივა), რომელიც კვლავ უარყოფდა

კლასიკურ დუალიზმს (მაგალითად: სუბიექტი/ობიექტი, უნივერსალური/ განსაკუთრებული, რაციონალიზმი/ემპირიზმი) და კითხვის ქვეშ აყენებდა იდეას, რომ ადამიანის არსებობის გამართლება მხოლოდ ჭეშმარიტების დანერგვაში მდგომარეობს. გამოკვლევის შესახებ დიუის ფორმულირებებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ფილოსოფიურ საზოგადოებაზე და დასაბამი მისცა შემდგომში შრომების გაჩენას ლოგიკის თეორიაში.

დიუის კვლევის იდეის ათვლის წერტილად გვევლინება მისი განსაკუთრებული ხედვა განსჯის, რეფლექსიის ბუნებისა და ფუნქციების შესახებ. მან რეფლექსია განმარტა, როგორც „ნებისმიერი სახის რწმენის ან ცოდნის სავარაუდო ფორმის აქტიური და ფრთხილი განხილვა, რომელიც იცავს მას და იმ შემდგომ დასკვნებს, რომლებისკენაც მიემართება“. რამდენადაც ამგვარი რეფლექსია დევს „ინტელექტუალური წყობის და დისციპლინირებული გონების ცენტრში“ (2 გვ 87). დიუისთვის რეფლექსია არის აზროვნების სახე, „რომელიც შინაარსის გონებრივად დამუშავებასა და მის სერიოზულ და თანმიმდევრობით გააზრებაში მდგომარეობს.“ იგი წარმოსახვით აზროვნებას ემორჩილება და მოიცავს „უწყვეტ სწრაფვას მარტივი დასასრულისაკენ“ (2. გვ. 5). დიუიმ რეფლექსიის ოთხი ძირითადი კრიტერიუმი ჩამოაყალიბა. პირველი, მოიცავს მნიშვნელობისა და მიზნის უწყვეტ აგებას, რომელსაც შემსწავლელი გადაყავს ერთი გამოცდილებიდან მეორეზე, გამოცდილებებსა და იდეებს შორის კავშირების უფრო ღრმა და საფუძვლიანი გაგებით. იგი ცოდნის გაღრმავებას და გაგებას უზრუნველყოფს უწყვეტობის საშუალებით. მეორე, რეფლექსია არის გააზრებული, დისციპლინირებული და ზუსტი. მესამე, რეფლექსია არის თანამონაწილეობითი. ის წარმოგვიდგება ხანგრძლივი პრაქტიკისა და დაუზარებელი შრომის საფუძველზე საზოგადოებაში და წინ უძღვის საერთო მიზნების მიღწევისაკენ სწრაფვას. ბოლოს, რეფლექსია ემყარება იმ განწყობებს (ატიტუდებს) რომელთათვისაც ღირებულია როგორც პიროვნული, ისე კოლექტიური ზრდა და კეთილდღეობა.

დიუის მიხედვით, რეფლექსია, როგორც გამოკვლევის ყველაზე ამაღლებული ფორმა მოიცავს 6 ძირითად ფაზას: ა) პრობლემური გამოცდილება, ბ) გამოცდილების ინტუიციური და სპონტანური ინტერპრეტაცია, გ) გამოცდილების საფუძველზე წარმოდგენილი ცალკეული პრობლემების განსაზღვრა და დასახელება დ) ამ პრობლემების გადაჭრის სავარაუდო განმარტებების ჩამოყალიბება ე) განმარტებების გააზრება ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისათვის, პრობლემური სიტუაციებისათვის თავის გართმევის მიზნით, და ვ)ჰიპოთეზური შემოწმება ინტელექტუალური და პრაგმატული ღირებულებების განსაზღვრის მიზნით (ანუ გონებრივი ქმედება).

ამ პროცესში უნმიშვნელოვანესია გარკვეულობა. მოვლენა არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რაც იგულისხმება, სანამ მათ შორის ლოგიკური ურთიერთკავშირი არ ჩამოყალიბდება. დიუისთვის სწავლა არის „აზროვნების სწავლა“ და „შედგება აზროვნების ვრცელი, ფრთხილი, დეტალურად გააზრებული ჩვევებისგან“ (2. გვ. 78) ამ მხრივ დიუი კრიტიკული იყო ისეთი სასკოლო განათლების მიმართ, რომელიც არ უზრუნველყოფს პროცესსა და პროდუქტს შორის კავშირს და ლოგიკურად ჩამოყალიბებულ, მზა ინფორმაციას, ინსტრუქციას უცვლელი სახით აწვდის მოსწავლეს.

ამის საპირისპიროდ, იგი აფასებდა იმგვარ განათლებას, რომელშიც აზროვნება მიჩნეულია ხელოვნებად და „აზროვნების პროცესზე სისტემატურ ზრუნვად“ იმისათვის, „რომ აზროვნების პროცესი ჭეშმარიტად რეფლექსური გახდეს“ (1, გვ. 85).

მან მასწავლებლებისთვის შეიმუშავა მოსწავლეებში რეფლექსური გონებრივი ჩვევების განვითარების უნიკალური მეთოდი, ხერხი რომელიც ცნობილია „სოციალური კონტროლის“ სახელით. დიუს „სოციალური კონტროლის“ მიხედვით, როდესაც მასწავლებელი მოქმედებს როგორც „მიმთითებელი გაცვლით სასწავლო პროცესებში, რომელშიც ყველა მოსწავლეს მიუძღვის წვლილი, იგი ერთპიროვნული მართველის და დიქტატორის ფუნქციას კარგავს და ჯგუფურ აქტივობებში ლიდერის როლში გვევლინება“ (1, გვ. 59). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მასწავლებლის მიზანი არის ექსპერიმენტული სწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფა. მასწავლებლები და სტუდენტები თანაარსებობენ დიალოგურ ურთიერთობაში (ბახტინის გაგებით) ან შესაძლოა ფუნქციონირებენ უახლოესი განვითარების ზონაში (ვიგოტსკის ტერმინოლოგიით). მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც არიან შემსწავლელები სოციალური ჯგუფის ან საზოგადოებრივი პრაქტიკის მიღმა და თუმცა მასწავლებელს შესაძლოა მეტი ცოდნა ან გამოცდილება (თუნდაც უახლოესი განვითარებისას) ჰქონდეს, მას უნდა გააჩნდეს მწყემსის ან ფასილიტატორის როლი და არა ავტორიტეტული ფიგურის ან ექსპერტის. მოცემულ კონტექსტში შემსწავლელები თანამშრომლობენ მასწავლებლებთან და თანატოლებთან საკუთარი მიზნების შექმნის პროცესში, ისევე როგორც იმის გარკვევაში თუ რას ან როგორ სწავლობენ. დიუი რუკის მეტაფორას იყენებდა ამ მოსაზრების გატარების მიზნით: „რუკა, შინაარსი, წინა გამოცდილების წესრიგში მოყვანა და სწორად გააზრება, შემდგომი გამოცდილების გზამკვლევს წარმოადგენს, ის აჩვენებს მიმართულებას, და ეხმარება კონტროლის განხორციელებაში, ამაო მცდელობების შემცირების ხარჯზე“ მაგრამ „რუკა ვერ დაიკავებს მოგზაურობის ადგილს“ (2, გვ. 199)

პლატონის (მაგალითად - მენონი, სახელმწიფო) შემდეგ სხვა ფილოსოფოსებზე მეტად დიუი იკვლევდა და განავრცბდა საგანმანათლებლო საკითხებს თავისი მოღვაწეობის მანძილზე. და თუმცა მას არ შეუქმნია ტერმინი „პროგრესული განათლება“, იგი მაინც ასოცირდება პროგრესულ განათლებასთან. დიუი დარწმუნებული იყო, რომ განათლება და სოციალური დემოკრატია თანაზიარია. მისი აზრით, სკოლები შეფასებაზე უფროა კონცენტრირებული ვიდრე ცოდნის გადაცემაზე. სტუდენტებს ცოდნის მოპოვებაში უნდა დავეხმაროთ, რომ შემდგომ მათ შეძლონ სხვებთან ერთად თანამშრომლობის გზით ცხოვრება ან მუშაობა და გადაწყვეტილებების მიღება, რაც მათ სწავლაზე მოახდენს ზეგავლენას. ამასთანავე იგი კარგად აცნობიერებდა, რომ სკოლები ხშირად რეპრესიულ სასწავლო დაწესებულებებს წარმადგენენ, რომლებიც არ აღვივებენ ან არ იძლევიან გამოკვლევებისა და ზრდის საშუალებას. მისი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ჩიკაგოს უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ლაბორატორიული სკოლის დაარსება. დიუი აგრეთვე იცავდა მასწავლებლების უფლებებსა და აკადემიურ თავისუფლებას. მან დატოვა მემკვიდრეობა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი დონის თეორიული და კვლევითი აქტივობების საფუძვლებს, ისეთ მრავალფეროვან სფეროში როგორიცაა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) თეორია, გამოკითხვა, სწავლა, მასწავლებლის განათლება და საგანმანათლებლო საზოგადოება. (1 გვ. 102.)

გამოყენებული ლიტერატურა

1. Гуреева А.В. 1983Критический анализ прагматической эстетики Д.Дьюи – Москва: Изд.во МГУ.
2. Кроссер П. 1985. Нигилизм Дж. Дьюи / Пер. С англ. – Москва.

3. Рогачёва Е.Ю. 2005. Педагогика Дж. Дьюи в XX веке: кросс-культупный контекст: монография / М-во оброзования и науки Рос. Федерации, Междунарю акад. Наук пед. Оброзования (МАНПО), Владимир. Гос. Пед. ун-т. – Владимир: Владимир. Гос. Пед. ун-т.

Nino Kancheli
Akaki Tsereteli State University

John Dewey's Theory of Research and Educational Philosophy

Abstract

It's impossible to gain complete awareness of Dewey's Theory of Research, without having any insight about his pragmatic ethics. He denied systems based on rational interests (e.g. Thomas Hobbs' social contract), as he reckoned the matter of individual thinking and behavior was the most important among different social experiences. According to Dewey a human behavior is conducted by the help of ethics, in the way that it accomplishes a human in their social environment. His heritage provides the basis for the advanced theoretical and research activities, in such versatile fields as curriculum theory, survey, study, teacher's education and educational society.

საკვანძო სიტყვები: დიუის თეორია, რაციონალისტური ინტერესი, სამოქალაქო საზოგადოება, ეთიკური გამოცდილების ფესვები,კულტურული პროდუქტი.
Keywords: Dewey's theory, rationalistic interest, civil education, roots of ethical experience, cultural product.

ნინო ფიცხელაური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეთიკის სწავლება და მისი ინტეგრირება დისციპლინის სახით სასკოლო კურიკულუმში

სასკოლო კურიკულუმში ახალი სოციალური, ჰუმანიტარული, ეთიკურ-ესთეტიკური პლანის დისციპლინის ინტეგრირება, მოყოლებული საბჭოთა პერიოდიდან, დღემდე მტკივნეული საკითხია. დღევანდელი მოხსენებაც სწორედ ამ საკითხს ეხება, კერძოდ, ეთიკის საფუძვლების მიწოდებას უმცროსი და მოზარდი ასაკის ბავშვებისათვის და ამ საგნის, როგორც სასწავლო დისციპლინის, ინტეგრირებას. ყველა საზოგადოებას ჰქონდა მოთხოვნილება სასწავლო დაწესებულებაში ისეთი დისციპლინის არსებობის შესახებ, რომელიც მოზარდებს ლოგიკური მსჯელობის, კრიტიკული მიმართებისა თუ სხვადასხვა საკითხებისადმი მყარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისადმი უნარების გამომუშავებაში დაეხმარებოდა: საქართველოში გელათისა და იყალთოს აკადემიებში რიტორიკა ისწავლებოდა, მე-19 ს. სასწავლებლებშისაღვთო სჯული. საბჭოთა პერიოდში ისწავლებოდა საზოგადოებათმცოდნეობა - რუსული ენიდან ნათარგმნი, არაფრისმომცემი

ტექსტებით, რომელთა გაგებაც საკმაოდ რთული იყო და ეს საგანი მხოლოდ ფორმალური სახის გახლდათ. დიდი ხანია, ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სკოლაში აუცილებელია საზოგადოებრივ-სოციოლოგიური ტიპის დისციპლინის ინტეგრირება. ამჟამად დღის წესრიგში დგას დაწყებით სკოლაში ახალი საგნის სწავლების საკითხი, რომელიც დიდი ვნებათა ღელვის საფუძველს წარმოადგენს. რატომ დგას ამ სახის დისციპლინის სწავლების საკითხი, რა განაპირობებს მის საჭიროებას?

ყველა კულტურაში არსებობს საზოგადოებრივი დაწერილი თუ დაუწერელი წესები და სხვა ადამიანებთან ქცევის მიღებული ფორმები. ქცევის ეს ფორმები ცივილიზაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგია - არა რაციონალურად, და მიზანმიმართულად, მაგრამ მაინც გარკვეული წესების სახით ჩამოყალიბებული. ადამიანი დაბადებიდანვე ხვდება გარკვეულ კულტურულ გარემოში, რომელიც მისი ცხოვრების ნირსა დ საზოგადოებაში თამაშის წესებს განაპირობებს. უწინ ის ისე ამთავრებდა ცხოვრებას, რომ ერთხელ ნასწავლი სამუდამო და განუხრელი იყო, რაც დროთა განმავლობაში რადიკალურად შეიცვალა და რაც მთელ საზოგადოებას და პირველ რიგში სკოლას ახალი ამოცანების წინაშე აყენებს, რომელთაგან რამდენიმეზე გავამახვილებ ყურადღებას:

1. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელიც სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევებითაა გაჯერებული. გონება დაუზოგავად იტვირთება ინფორმაციებით. ზრდასრულებს გარკვეულწილად შეუძლიათ ან სურთ მათი დახარისხება და გამოყენება ან უგულვებელყოფა, რაც ბავშვებისა და მოზარდებისათვის საკმაოდ რთულია. მათ გონებასა და სულში ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული მექნიზმები, რომლებიც ამას შეძლებდა. თუმცა პრაქტიკული გამოცდილება უჩვენებს, რომ ეს პრობლემა უფრო დიდ ასაკშიც აქტუალურია. აქედან გამომდინარე, მოსწავლეები მცირე სასკოლო ასაკიდან თანდათან უნდა გაიწვრთნან ლოგიკურ აზროვნებაში, ისწავლონ საქმის, მოსაზრებებისადა ფაქტებისადმი კრიტიკული მიდგომა.

2. საქართველო მულტიკულტურული ქვეყანაა, რაც სხვადასხვა რელიგიებთან, კულტურებსა და ადათ-წესებთან გამუდმებულად შეხებაში ყოფნას ნიშნავს და რაც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება.

3. მრავალი ახალგაზრდა მიდის საცხოვრებლადთუ სასწავლებლად სხვა ქვეყანაში და იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ გაიაროს ადაპტაცია, გარკვეული უნარების ფლობაა საჭირო.

4. მოზარდის აზროვნება, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, აქტიურ აღმზრდელობით დახმარებას საჭიროებს.

5. ბავშვებთანერთად მსჯელობა ნიშნავს როგორც ძალიან მნიშვნელოვანი, ასევე ყოველდღიური საკითხების შესახებ შეკითხვების დასმას. ისინინაბიჯ-ნაბიჯ ეცნობიან როგორც თავიანთ შინაგან, ასევე გარემომცველ სამყაროს. ამ დროს მნიშვნელოვანია მათთვის გზების მითითება, რაც მათ წინასწარ გამზადებულ გზაზე გაშვებას კი არ გულისხმობს, არამედ გამხნევებას, რომ გაუმკლავდნენ სირთულეებს. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ შეკითხვების დასმა და მათზე პასუხების ძიება და არ ჰქონდეთ მოლოდინი, რომ ყველაფერზე მზა პასუხს მიიღებენ უფროსებისაგან; ან კრიტიკული მიმართების გარეშე პირდაპირ არ მიიღონ აქსიომად ის, რასაც მათ უამრავი მედიასაშუალება სთავაზობს და რომელიც საკუთარ თავზე იღებს ადამიანების ნაცვლად აზროვნების ფუნქციას. ვფიქრობ, ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების

საგანი უნდა გახდეს და ყველა კლასში, დაწყებული პირველი კლასიდან მეთორმეტემდე, გარკვეული მოდულების სახით უნდა მიეწოდოს მოსწავლეებს. ბავარიის მოზარდთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ელიზაბეთ ზაიფერტი აღნიშნავს: „ბავშვებისა და მოზარდების გასაძლიერებლად და დასაცავად - ეს ეხება მედიებთან ურთიერთობასაც - მნიშვნელოვანია, რომ მათ ისწავლონ საფრთხეების შეცნობა და მათდამი კრიტიკული მიდგომა“.[1]

სკოლაში თვითეულ საგანს გააჩნიასაერთო დანიშნულებები: მოსწავლეებისათვის განათლების, უნარ-ჩვევების მიცემა, მათი სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბება, მაგრამ თვითეული საგანი უმთავრესად თავისი სასწავლო მასალითაა დატვირთული და არც მის პროგრამაში შედის და არც საამისოდ საკმარისი დროა, რომ აქტიურად იზრუნოს მოსწავლეში სოციალურ-საზოგადოებრივი კუთხით კრიტიკული, ლოგიკური აზროვნების განვითარებაზე. ამ საგნის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, მოსწავლეები ჩასწვდნენ სხვებისადმი პატივისცემის, გაგების, მოთმინების არსსა და მნიშვნელობას. ამის მიღწევა საკმაოდ რთულია და წლების განმავლობაში თანმიმდევრულ მუშაობას საჭიროებს.ეს არის უმთავრესი მიზეზები, რატომ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში საგანი, რომლის ამოცანასაც მოსწავლეებში სოციალური უნარების განვითარება წარმოადგენს. ბავშვის სხვებთან ერთად ცივილიზებული ცხოვრებისათვის აღზრდა ოჯახისა და სკოლის საერთო მოვალეობას წარმოადგენს. სხვისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს, რადგანაც ქცევის სასიამოვნო ფორმები ბუნებით მოცემული პროდუქტი არაა - ადამიანი საამისოდ აღზრდას საჭიროებს. იან კომენიუსი აღზრდის მიზნის შესახებ ამბობს: „სიტყვა *წყალი* შეიძლება მაგალითად შემდეგს ნიშნავდეს: 1. წყლის ზედაპირი, სანამ მას ქარი ააღელვებს, ყველგან ერთი სიმაღლისაა. არც ერთი წვეთი არ გამოეყოფა წყალს. ადამიანებმა მას უნდა მიბაძონ: არავინ უნდა დადგეს სხვებზე მაღლა, რადგანაც ყველა ერთი ბუნებისაა. 2. წყალი, რასაც კი შეეხება, ასველებს. მას თავისი, როგორც წყლის ბუნება, სხვებზე გადააქვს (ყველა საგანზე). ასევე უნდა იმოქმედოს ადამიანმა თავისი ადამიანურობით ყველაფერზე“.[2] ეთიკის გაკვეთილის ერთ-ერთ დანიშნულებას ამ ორი მიმართულებით მუშაობა წარმოადგენს. ის მნიშვნელოვანია სასკოლო კლიმატის გასაუმჯობებებლად, რადგან საგნის სწავლება მოსწავლეებში ხელს შეუწყობს დისციპლინისა და პატივისცემის გრძნობის ამაღლებას.

ეთიკა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ისწავლება. 2015 წლამდე საფრანგეთში არ ისწავლებოდა არც რელიგია და არც ეთიკა, მაგრამ რამდენიმეწლიანი დებატებისა და გამოკითხვების საფუძველზე მისი სწავლება გადაწყდა, რადგანაც საზოგადოების დიდი ნაწილი ამის აუცილებლობას ხედავს. ქვეყანაში მომხდარი ტერაქტების საპასუხოდ საფრანგეთის განათლების მინისტრმა ნაჯათ ბალო-ველკამესმა განაცხადა, რომ სახელმწიფო 250 მილიონ ევროს გამოუყოფს სკოლებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება, მაღალ დონეზე შეასწავლონ ბავშვებს ისეთი ძირითადი ღირებულებები, როგორიცაა თავისუფლება და შემწყნარებლობა.

გფრ-ში 16 ფედერალური მიწაა საკუთარი განათლების სამინისტროებითა და სასწავლო სისტემების სახესხვაობებით. შესაბამისად, საგნის სახელი, შინაარსი და სწავლების ხანგრძლივობაც კი გარკვეულწილად განსხვავებულია, მაგრამ ამოსავალი დებულებები ყველასათვის საერთოა. ძალიან მოკლედ წარმოგიდგენთ იმ საკითხებს, რომლებიც გფრ-ს სკოლების დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამებითაა გათვალისწინებული:

- **ბავშვი, როგორც ინდივიდუალური პიროვნება:** გარეგნობა, უნარები, ჩვევები, ინტერესები, ნიჭები, გრძნობები, საკუთარი პიროვნების შეცნობა: მე მომწონს,მე მაინტერესებს
- **სურვილები და ოცნებები:** საკუთარი სურვილები ა) ჩემთვის - სხვებისათვის, ბ) მატერიალური - იდეური. სურვილების შეცვლა, რამდენად შეიძლება ჩემი სურვილების შესრულება
- **ცვლილებები ცხოვრებაში:** ზრდა, განვითარება, დაბერება, სიკვდილი
- **დრო:** დროის სუბიექტური განცდა, დროსთან მოპყრობა
- **ბავშვი ადამიანებთან ურთიერთობაში: ოჯახი, სკოლა, მეგობრები:** ერთად ცხოვრების წესები, უფლებები და მოვალეობები საზოგადოებაში, ბავშვის უფლებები
- **კონფლიქტები და მათი გადაჭრის გზები:** უთანხმოების მიზეზები, ძალადობის გარეშე მოგვარების გზები, ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმები
- **ოჯახი:** ოჯახის/ოჯახური ტრადიციები
- **სკოლა:** ცხოვრების ახალი მონაკვეთი, სწავლის სწავლა
- **მეგობრები - მეგობრობა:** მეგობრები, მეგობრები მნიშვნელოვანია, მეგობრობა, მეგობრობის შენარჩუნება
- **ბავშვი საკუთარ კულტურულ წრეში და შეხვედრა სხვა კულტურებთან:** შობა, აღდგომა, მოსავლის სამადლობელი, წმინდა მარტინი, წმინდა ნიკოლოზი
- **შემწყნარებლობა და მიმღებლობა:** ბავშვები სხვა ქვეყნებიდან, რა გვაქვს საერთო
- **ბავშვი, როგორც გარემოს ნაწილი:** ბუნებრივი გარემოს სილამაზე, ცოცხალი/არაცოცხალი ბუნება, ადამიანისა და ბუნების ერთიანობა

საპროგრამო საკითხები ძირითადად მსგავსია მე-5 - მე-6 კლასებში, მაგრამ უკვე სხვა აქცენტებით. საქართველოს სკოლისათვის ამ საგნის სახელი პირობითია და ის შემდგომი მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

სკოლა წარმოადგენს „სარეპეტიციო სივრცეს“, რომელშიც მოზარდ თაობას ცივილიზებულ ურთიერთობების თამაშის წესების გავარჯიშება და გათავისება შეუძლია. 2015-2016 სასწავლო წელს ეთიკაისწავლება სკოლა იბერიას მე-3 - მე-4 კლასებში. მოსწავლეებისათვის ეს თავდაპირველად უცხო სახის საგანი იყო. გაკვეთილზე ერთ-ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ ყველა საგანში მასწავლებელი ცოდნას გადასცემს, რომელიცმოსწავლეებმა უნდა ისწავლონ და ეს ცოდნა გამოავლინონ. ამ შემთხვევაში კი მათ შეკითხვებს უსვამენ და პასუხები თვითონ უნდა აღმოაჩინონ. მოსწავლეს არ უნდოდა, რომ ზედმეტი ეფიქრა რაღაც განყენებულ საკითხზე. ეს დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა. პირველი თვეების განმავლობაში მოსწავლეებს მიცემულ საკითხებზე გუნდში მუშაობა ძალიან უჭირდათ, მაგრამ თანდათან მიხვდნენ, რა სირთულეებსა და უპირატესობებთანაა დაკავშირებული ამ სახის მუშაობა. ვფიქრობ, ჯგუფებში მუშაობა, რომლებშიც ბავშვები არა საკუთარი სურვილის, არამედ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ერთიანდებიან, საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მოსამზადებელი მნიშვნელოვანი მეთოდია. მათ ერთად უნდა მოამზადონ დავალება, იქნება ეს განსახილველი საკითხის შესახებ კითხვებზე პასუხების პოვნა, რაიმე წესის საკუთარი სიტყვებით ჩამოყალიბება თუ მცირე პროექტზე მუშაობა (გაზეთის გაკეთება, დაგეგმვა, რჩევების შემუშავება). ერთ-ერთი

პროექტი, რომელმაც ბავშვებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, იყო წესრიგი. მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდნენ უმთავრეს დასკვნამდე: *„საჭიროა, ჯერ თავში იყოს წესრიგი და შემდეგ ყველგან იქნება“*. ძიების გზით მათ ერთმანეთს დაუკავშირეს ინდივიდისა და ბუნების ურთიერთკავშირი და საამისოდ საჭირო წესრიგი. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად მივიდნენ ახალ განსახილველ საკითხებამდე: ბუნება, გარემო, ეკოლოგია. ისევე, როგორც ალბათ ყველა სხვა შემთხვევაში, ამ საგანშიც დასტურდება, რომ შეგნებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო გზა ცხოვრებისეული მაგალითია. როდესაც მათ უჩვენებენ სურათს, რომელზეც ჩანს, ახალგაზრდა ქალი როგორ ასუფთავებს ქუჩას თავისი ძაღლის ფეკალიებისაგან და მომდევნო სურათზე იგივე ქალი თავზე გვირგვინითაა გამოსახული და ის თურმე შვედეთის პრინცესაა, ცხადია, ბავშვების აზროვნებაში უკვე რაღაც გარდატეხა ხდება.

სამომავლო მნიშვნელობა. პროფესიულ ცხოვრებაში ახალგაზრდებისაგან არა მარტო კარგ ცოდნას მოელიან, არამედ ცივილიზებული ურთიერთობისათვის საჭირო თამაშის წესებსაც. საჭიროა საყოველთაოდ მიღებული აუცილებელი წესების გათავისება. ეთიკის საგანმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ კომპეტენციები, რომლებიც მათ მრავალმხრივ სიტუაციებში დამოუკიდებლად გარკვევისა და სხვადასხვა პრობლემოს გადაჭრის შესაძლებლობას მისცემს.

აღქმის, გათავისების, ემპათიის, განსჯის, არგუმენტირების, დასკვნის გამოტანის უნარებიპიროვნებაში, როგორც დემოკრატიული საზოგადოების წევრში, საკუთარი ცხოვრებისათვის წარმატებით გასაძღოლად ძირითადი უნარების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

იმისათვის, რომ პიროვნებას სხვებთან საქმიანი თუ ყოფითი დამოკიდებულებები გაუადვილდეს, საჭიროა კოოპერაციული ურთიერთობების კონკრეტული ფორმების სწავლება.

ეთიკის სწავლების მიზანია ადამიანი, რომელსაც თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებისა და მასზე პასუხსიმგებლობის აღების უნარი გააჩნია. გაკვეთილი ხელს უწყობს მოსწავლეებს, მრავალრიცხოვანი შესაძლებლობიდან თვითონ ამოირჩიონ შესაძლო პასუხები სიკეთის, გონივრული მოქმედების, ცხოვრების სწორად წარსამართვი გზისაკენ. აქ საქმე ეხება არა საბოლოო პასუხებს, არამედ ღიაობას, შესაძლებლობების განსხვავებასა და აწონ-დაწონვას. ამით თვითეულ მოზარდს ექნება შესაძლებლობა, დასაბუთებულად აირჩიოს საკუთარი ცხოვრების გზა. საგანი ბავშვს შესაძლებლობას მისცემს, დაკვირვებით და ფრთხილად მოეკიდოს როგორც საკუთარ, ასევე სხვების გრძნობებს, არ იყოს მათდამი გულგრილი. ბავშვი ითავისებს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა პატივისცემა, ყურადღება, დახმარება, მზრუნველობა და მათ მნიშვნელობა სხვებთან ერთად ღირსეულად და მშვიდობიანად ცხოვრებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კომენსკი, იან, 1949 წ, დიდი დიდაქტიკა, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. I, „ცოდნა“, თბილისი
2. კომენსკი, იან, 1958 წ, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, „ცოდნა“, თბილისი
3. [2]Comenius, J. A., 2001, Pampaedia. Allerziehung, Academia Verlag, Sankt Augustin
4. [1]Medien non-stop? – Medienführerschein kompakt, 2014
5. RahmenlehrplanLebensgestaltung-Ethik-Religionskunde, 2008, Deutschland, Hans GieselmannDruck- und Medienhaus GmbH & Co KG
6. Zeit Online, 22.01.2015

Nino Pitskhelauri
Ivane Javakhishvili University of Tbilisi

Teaching Ethics and its Integration in the School Curriculum as a Discipline

Abstract

This Report is regarding the topic of teaching the fundamentals of ethics to children and integrating it as a discipline. The need for this subject is due to few reasons, such as the fast scientific and technological advancement, globalisation and the challenges rising from these issues.

In professional life, good knowledge is not the only thing expected from a young individual, there are also certain "game rules" which are necessary for a civilised interaction. The ethics subject should be able to provide competences for the students, which will enable them to solve problems and overcome variety of difficult situations.

The goal of teaching ethics is a person, capable of making independent decisions and having a sense of responsibility.

A child acquires values, such as respect, attention, help, caring for others and self-value enabling them to live peacefully and honorably with others.

საკვანძო სიტყვები: ეთიკის სწავლება, სასკოლო კურიკულუმში ინტეგრირება
Keywords: Teaching ethics, integration, school curriculum